გიორგი ციციშვილი

სიმართლე
1937 წლის დიდი ტერორის,
მის მსხვერპლთა
და
მიხეილ ჯავახიშვილის
ჩეკისტურად ნასაზრდოები
ბედის
შემფასებელ-დამფასებელთა
შესახებ

2016

წიგნში გაშუქებულია 1937 წლის საქართველოში ტოტალიტარული სახელმწიფოებრივი რეჟიმისა და მისი უშიშროების (ჩეკას) ორგანოების მიერ განხორციელებული დიდი ტერორის მოტივაციისა და რეჟიმის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი ათეული ათასობით ჩვენი მოქალაქის მოსპობა-გაუბედურების მიზეზების ამსახველი მართალი ისტორია. იგი წარმოჩენილია უმთავრესად, დიდი მამულიშვილისა და არსებული რეჟიმის იდეოლოგიური მოთხოვნების მიმართ დაუმორჩილებელი ქართველი მწერლის, მიხეილ ჯავახიშვილისა და თანამოაზრეთა ჩეკისტურად ნამართავი ბედის მაგალითზე. ამის მიხედვით მკითხველს შესაძლებლობა ექმნება დამატებითი მაგალითების შუქზე გაიაზროს და შეიმეცნოს ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილი რეჟიმის მიმართ უკმაყოფილოების გამო დიდი ტერორით გაუბედურებულ მოსპობილთა, მათ შორის, მ.ჯავახიშვილის, ბედისწერის საიდუმლოებათა რეალობა.

წიგნი გათვალისწინებულია ფართო მკითხველი საზოგადოების, მათ შორის, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის მართალი უახლესი ისტორიით, საბჭოთა ტოტალიტარიზმის მიერ განხორციელებული რეპრესიებითა და მ.ჯავახიშვილის ცხოვრებისეული პერიპეტიების შესწავლით დაინტერესებული სტუდენტ ახალგაზრდობისთვის.

რედაქტორი: დავით სანდოძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: რუსუდან ბურჯანაძე – ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კომპიუტერულად უზრუნველყო ირაკლი უბილავამ



წინათქმა

სავსებით ლოგიკური და ბუნებრივია, რომ წინამდებარე ნაშრომის სათაურის და ეპიგრაფის გამო მკითხველი იმთავითვე იმის გასაგებად დაინტერესდებოდა, თუ ვის ვგულისხმობ დიდი პატრიოტისა და რეჟიმის მიმართ დაუმორჩილებელი უაღრესად პოპულარული მწერლის, მიხეილ ჯავახიშვილის გამყალბებლებად, სწორედ ამის დამატებით ახსნა-გაშუქებასა და პასუხს ეძღვნება წინამდებარე პუბლიკაცია. ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ, როგორც ამ პერიოდის მკვლევართა, მათ შორის ჩემი პუბლიკაციები მეტყველებენ, ეს იყო 1920-30-იანი წლების საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმისა და კონკრეტულად 30-იანი წლების საქართველოში ფორმირებული სახელმწიფოებრივ-ჩეკისტური სიტუაცია. ამ დროს ჩამოყალიბდა ის ბოლშევიკურ-პარტიული ტოტალიტარული რეჟიმის მდგომარეობა, რომელმაც 1937 წლის დიდი ტერორის დროს სსრ კავშირის მასშტაბით მილიონობით, ხოლო მოსახლეობის რაოდენობით მცირე საქართველოში ათი ათასობით ადამიანი მოსპო, გაანადგურა და გააუბედურა. ამ დროს, ჩვენში ისეთი დამატებითი ფაქტორებიც აღმოცენდა, რომელმაც ჩვენს რესპუბლიკაში რეპრესიების განსაკუთრებული სიმძაფრე და მასობრივი ხასიათი ასაზრდოვა. სწორედ ამ სიტუაციას ასახავს აღნიშნული უბედურების თანამედროვე დიდი პოეტის, გალაკტიონ

ტაბიძის პირად არქივში აღმოჩენილი, წინამდებარე პუბლიკაციას ეპიგრაფად წამძღვარებული, ცნობილი მკვლევარისა და პოეტის, ვახტანგ ჯავახაძის მიერ გამოვლენილი ლექსი. იგი უთუოდ კარგად ახასიათებს საქართველოს იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებასა და არა მარტო პირადად მისგან გაუბედურებული გენიალური სახალხო პოეტის სულიერ განწყობილებას, არამედ აგრეთვე ათასობით სხვათა და მათ შორის მიხეილ ჯავახიშვილის ოჯახის წევრებისა, თუ პატივისმცემლებისას...

ჩემი პუბლიკაციებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ 30-იან წლებში, განსაკუთრებით 1937 წლის დასაწყისიდან, საქართველოში შექმინი რეჟიმით ნასაზრდოები საზოგადოებრივი უკმაყოფილება, საბჭოთა სახელმწიფოებრივი ცენტრის დაკვეთის პასუხად, ბერიამ და მისმა უსიტყვოდ მორჩილმა რესპუბლიკურმა პარტიულ-სახელმწიფოებრივმა და ჩეკისტურმა ხელმძღვანელობამ მიზნობრივად და უსასტიკესი ძალმომრეობითი მეთოდების გამიყენებით გააზვიადეს. მათ იგი ხელოვნურად წარმოაჩინეს ანტი სახელმწიფოებრივ პრაქტიკულ-ორგანიზაციულ კონტრრევოლუციურ ბრძოლად და მის წინააღმდეგ ააგორეს მასობრივი პოლიტიკური რეპრესიები. ამ დროს სახელმწიფო უშიშროების მესვეურებმა მოაწყვეს ოპოზიციის საწინააღმდეგო შეთქმულება. ბერიას დაკვეთით ჩეკისტურმა ძიებამ შექმნა პატიმართა ყალბი ჩვენებები, რომელთა ჩეკისტურ-პრაგმატულმა გამოყენებამ შესაბამისი პერიოდის ჩვენი პოლიტიკური ისტორია და ადამიანების, მათ შორის მ.ჯავახიშვილის ცხოვრებისეული პერიპეტიები ყალბად გააშუქა. ბერიას სახელმწიფოებრივ-ჩეკისტურმა ხელმძღვანელობამ ძველი, მისი ჩეკისტური მეთოდებით ხელმძღვანელობის მოწინააღმდეგე, პარტიული, სახელმწიფოებრივ-სამეურნეო და კულტურის ხელმძღვანელ მუშაკთა კადრები გაასაღეს მშრომელთა ინტერესების მიმართ მტრულად მოქმედ კონტრრევოლუციონერებად. ასეთადვე წარმოაჩინეს სამშობლოს დამოუკიდებლობის ხელყოფითა და ადამიანის დემოკრატიული უფლებების უკიდურესი შეზღუდვით უკმაყოფილო ეროვნულ-პარტიოტული ინტელიგენცია. ბერიას ხელისუფლებამ რეჟიმისა და პირადად მის მიმართ უკმაყოფილო იდეური ოპოზიცია დასახა მშრომელთა კეთილდღეობის მძლავრი

აღმავლობა-გაუმჯობესების შემაფერხებელ, ბურჟუაზიული ცხოვრების წესის რესტავრაციისათვის მებრძოლებად. ამ გზითა და წამქეზებლობით გამოიწვიეს უშუალო მწარმოებელთა ეგზალტირება. ხელისუფლების მიმართ ერთგულების დემონსტრირების მიზნით წაახალისეს ბოლშევიკურად განწყობილი კომუნისტი და უპარტიოების ბოროტი მიზანდასახულობები-დასმენა, დაბეზღება, ინტრიგა, პროვოკაცია. ადამიანთა შორის არსებულ ამ განწყობილებას შეუქმნეს გაძლიერების მაქსიმალური შესაძლებლობა. ისინი აქციეს რეჟიმის კრეატურა დასაყრდენთა ჩეკისტური მიზანდასახულობების რეალიზაციის, საზოგადოების ზნეობრივი დეგრადაციის და რეჟიმით უკმაყოფილო, სხვაგვარად მოაზროვნე უდანაშაულო ადამიანების მასიური მკვლელობების წამქეზებლად.

ბერიას ჩეკისტურმა ხელისუფლებამ მოსკოვის ცენტრიდან ნასაზრდოები მასობრივი რეპრესიების პროცესი ბჭიდროდ დააკავშირა მისი პირადი მტრების განადგურება-მოსპობასთან. თავდაპირველად იერიში მიიტანეს ე.წ. „პარტიის გენერალური ხაზის“ მოწინააღმდეგე ნაციონალ-უკლონისტი-ტროცკისტი კომუნისტების წინააღმდეგ (1936-1937), ამავე დროს ამ მომაკვდინებელ პროცესში ჩართეს მათთან ვითომ პრაქტიკული ანტისაბჭოთა არალეგალურ-კონტრრევოლუციური საქმიანობით დაკავშირებული, რეჟიმით უკმაყოფილო მწერლები. მათი ეროვნულ-პატრიოტული ღვაწლი გაასაღეს ფაშიზმად, მის ხელმძღვანელ ორგანიზატორებად კი, წარმოაჩინეს რეჟიმის მიმართ ყველაზე მოწინააღმდეგედ გამჟღავნებული – მიხეილ ჯავახიშვილი (1937). უკვე ამ 1937 წლის დიდი ტერორის დროს ბერიას მიერ დაკვალიანებულმა ჩეკას სამძებრომ მყარი საფუძველი შეუთითხნა ასევე საბჭოთა ტოტალიტარიზმის რეჟიმითა და დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაციით უკმაყოფილო სხვა უპარტიო ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლობას – უპირატესად მეცნიერ-პედაგოგებს, რომლის ორგანიზაციულ-პრაქტიკული კონტრრევოლუციური საქმიანობის ძირითად ხელმძღვანელ-მონაწილედ დაისახა უნივერსიტეტის დამაარსებელი ე.წ. „მემარჯვენე პროფესურა“, ხოლო მის „იდეურ და

პრაქტიკულ ორგანიზატორებად“ შერაცხა, უნივერსიტეტის დამაარსებელთა ხელმძღვანელი, პროფესორი ივანე ჯავახიშვილი.

ამ სახელმწიფოებრივ-ჩეკისტური სიყალბის შესაბამისად, უამრავი გაუგებრობა შეიქმნა. მათი სწორი ახსნა ისტორიკოს-სპეციალისტთა უაღრესად რთული და ამასთანავე აუცილებელი სამუშაო გამოდგა. მან შესაბამისი დოკუმენტაციის სწორი, მეცნიერული ანალიზი და ამდროინდელი რეალური ისტორიის ახლებური ახსნა მოითხოვა. აღნიშნული ამოცანის განხორციელებას თავდაპირველად ზოგი სხვა სპეციალისტების და მათ შორის ჩემი დიდი ძალისხმევა მოხმარდა. შესაბამისად, ისტორიის მარავალი საყურადღებო ახალი წყარო გამოვლინდა და ბევრი ტენდენციურად გააზრებული საკითხი, თუ მიზნობრივ მეთოდოლოგიურ ყალბ საფუძველზე წარმოჩენილი პრობლემა ახლებურად და სიმართლით გაშუქდა. შესაბამისად შესაძლებელი გახდა საბჭოთა ბოლშევიკური ტოტალიტარიზმის 1920-30-იანი წლების, დიდი ტერორისა და მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებისეული პერიპეტიების, თეთრი ლაქების გამორკვევა და პრობლემების ახლებური ხედვით გაშუქება. მაგრამ მიზეზთა გამო 1920-1930-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიების ისტორიის თეთრი ლაქების სრული დაძლევა დღემდე ვერ მოხერხდა. ამ დროს მომხდარი ადამიანების ზნეობის ჩეკისტურად დეფორმაციის და უდანაშაულოდ გაუბედურება – მოსპობის ისტორიის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი დღემდე კვლავ ამოუცნობი და გაუშუქებელი დარჩა. კვლავ მნიშვნელოვნად შეიბღალა რეპრესირებული ადამიანების ღირსება. განსაკუთრებით გაყალბდა 1937 წლის დიდი ტერორის დროს დახვრეტილ მწერალთა შორის ყველაზე პოპულიარული, ბოლშევიკური რეჟიმის მიმართ დაუმორჩილებელი დიდი მამულიშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებისეული პერიპეტიების ასახვა. არადა, ტერორით გაუბედურებულთა არსი ისე ასახა მ.ჯავახიშვილის ბედისწერამ, როგორც წვეთში აისახება ზღვა. ამდენად, მიზნად დავისახე 1937 წლის დიდი ტერორის ისტორიის ფუნდამენტური საკითხების უპირატესად ამ ერთი ადამიანისა და თანამოაზრეთა ბედის მაგალითზე გაშუქება. სწორედ ამ პროცესის სწორად წარმოჩენასა და გამოკვლევა-გაშუქებას ეძღვნება ჩემ მიერ შემოთავაზებული,

წინამდებარე მონოგრაფია. იგი უმთავრესად ეყრდნობა ერთი მხრივ, ჩემი და წინამორბედი მკვლევარების მეცნიერულ მონაპოვარს, მეორე მხრივ კი, ჩემს მიერ მრავალი წლის განმავლობაში საქართველოს არქივში, უპირატესად საქართველოს ეროვნული არქივის (მისი უახლესი ისტორიისა და აგრეთვე ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიის არქივების), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი პარტიული არქივისა (I) და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს II (ყოფილი ჩეკას) არქივის დოკუმენტებს (მათ შორის განსაკუთრებით მდიდარი საყრდენი საინფორმაციო დოკუმენტები და მასალები მოვიძიე ჩეკას სამძებროს მიერ შეთითხნილ დაკითხვის ოქმებისა და პირადად მ.ჯავახიშვილისაგან გამოძალულ, თუ მისი პოლიტიკური ბრალეულობების მოხლაფორთების მიზნით ფალსიფიცირებული დოკუმენტების სახით, რომლებიც თავმოყრილია პატიმარი მწერლისა და მასზე ადრე დაპატიმრებულთა საძიებო ჩეკისტურად შეთითხნილ საქმეებში. სხვა საყურადღებო მასალებს შორის განსაკუთრებით საყურადღებო დოკუმენტებისა და მასალების სახით გამოვიყენე 1950-იანი წლების სარეაბილიტაციო კამპანიის დროს დაკითხულ მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც თავმოყრილია ამავე არქივში). მთელი ეს ინორმაცია გათვალისწიებული და გამოყენებულია წინამდებარე წიგნის შესაბამის თავებში.

წინამდებარე მონოგრაფიაში გაშუქებულია ჩვენს რესპუბლიკაში 1937 წელს ტოტალიტარული სახელმწიფოებრივი რეჟიმის, კონკრეტულად ბერიას მიერ სახელმწიფოებრივი დაკვეთითა და პირადი კარიერისტული ინტერესებით ნასაზრდოები, ჩეკისტური მართვის მეთოდებით ნაწარმოები პროცესები. ისინი ცხადყოფენ, რომ ამ პროცესებმა განსაზღვრეს საბჭოთა ბოლშევიკური რეჟიმით უკმაყოფილოების, მათ შორის: სამშობლოს სუვერენიტეტის მაქსიმალური შეზღუდვით უკმაყოფილო, პარტიული და სახელმწიფოებრივი თვალსაჩინო მუშაკების; სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ყოფილ არალეგალთა და რესპუბლიკის ნორმალური სუვერენულ-დემოკრატიული განვითარება-აღორძინებისათვის ხელისუფლების მიმართ ლეგალურ-კომპრომისული მეთოდებით მებრძოლ-მოვაწე ეროვნულ-პატრიოტული წარმომადგენლობის, მათ შორის, უპირატესად ოპოზიციურად

განწყობილი და მოღვაწე ინტელიგენციის, მწერლებისა და მეცნიერ-პედაგოგების ბედისწერა. იგი ცხადყოფს, რომ ამდროინდელმა ხელისუფლებამ და მისმა უშიშროების ორგანოებმა ბერიას უშუალო ხელმძღვანელობითა და წაქეზებით შეთითხნეს ოპოზიციურად განწყობილთა გაყალბებული ანტისაბჭოთა არალეგალური კონტრრევოლუციური ორგანიზაციულ-პრაქტიკული ბრძოლის ყალბი მოტივაცია, ხელოვნურად შეაკოწიწეს შესაბამისი ბრალეულობები და განახორციელეს ათეულობით ათასობით ჩვენი მოქალაქის ფიზიკური განადგურების მიზნით ორგანიზებული მასობრივი რეპრესიები – ხანგრძლივი დაპატიმრება, გადასახლება და მოსპობა. რეპრესირებულ და დახვრეტილ პიროვნებათა შორის აღმოჩნდა მრავალი პირადად ბერიასათვის მოუთმენელი, მაღალი ადამიანური ღირსების მქონე პიროვნება. ბერიასთვის საძულველთა შორის აღმოჩნდნენ, აგრეთვე ამ დროისთვის ყველაზე პოპულარული მწერლები - პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე და დახვრეტილ მწერალთა შორის ყველაზე პოპულარული მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი. იგი 1921-1923 წლებში ჩეკას ორგანოებმა გამოავლინეს, როგორც ანტისაბჭოთა, არალეგალური ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცეკას პრეზიდიუმისა და ანტისაბჭოთა ინტერპარტიული „სამხედრო კომისიის“ მოქმედი წევრი. მას სხვა სახელოვან ანტისაბჭოთა მებრძოლ „სამხედრო ცენტრის“ წევრებისა და მათ თანამოაზრე-თანამებრძოლთა მსგავსად დააბრალეს აჯანყების ორგანიზება და დააპატიმრეს. ხელისუფლებამ მათი ერთი განსაკუთრებით აქტიურებად და ექსტრემისტებამ მიჩნეული ნაწილი დახვრიტა, ხოლო არაამბოხებითი ტაქტიკის მიმდევრებიდან ზოგი ბრალდებული გადაბირებისა და გამოყენების მიზნით შეიწყალა. მათ შორის იყო მ.ჯავახიშვილი. მართალია იმ დროს, ხელისუფლებამ გარკვეული მოსაზრებით, მათ შორის მისი განსაკუთრებული მწერლური უნარის გამოყენების და ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელთა დაჟინებული თხოვნით დაინდო დასახვრეტად გაწირული ანტისაბჭოთა ბრძოლის მონაწილე მწერალი. მაგრამ მ.ჯავახიშვილის პირადი ოპოზიციური მსოფლმხედველობიდან და ოფიციალური იდეოლოგიის მიმართ შეურიგებელი სხვაგვარად მოაზროვნე დიდი პატრიოტი და რეჟიმის

მიმართ დაუმორჩილებელი უაღრესად პოპულარული მწერლური შემოქმედებით გასხივოსნებული ეს პიროვნება შემდგომი წლების საბჭოთა ტოტალიტარიზმის ვითარებაში, როცა იგი კვლავ გამოვლინდა, როგორც ეროვნული პატრიოტი, ბერიას მიერ შეფასებული იქნა, საზოგადოებაზე ანტისაბჭოური ზეგავლენის გამომწვევად, მისთვის მოუთმენელ და ფიზიკურად განადგურებისათვის გასაწირად. აღნიშნულ გარემოებათა გამო, მ.ჯავახიშვილს ბერიას მიერ დაკვალიანებულმა შინსახკომისა და მისდამი დაქვემდებარებულმა ჩეკას ორგანოების მუშაკებმა ისე, როგორც სხვა მრავალს, შეუთითხნეს ორგანიზაციულ-პრაქტიკულად მომქმედი არალეგალი კონტრრევოლუციონერისა და ფაშისტის ბრალდება. იგი ამ ყალბი ბრალდების საფუძველზე დააპატიმრეს 1937 წლის 14 აგვისტოს. ბერიას მიერ დაკვალიანებულმა ჩეკას სამძებრომ მ.ჯავახიშვილს მოსპობის მიზნით, პირადად ბერიას მონაწილეობით მისი ბრძანებით ჩატარებული წამებითა და ორჯერადი ცემით მოახლაფორთებინა ადრე დაპატიმრებულებისაგან გამოძალული ბრალეულობების „დამადასტურებელი“ იურიდიული ძალის მქონე აღიარება-ჩვენებების შემცველი, შინსახკომის თავმჯდომარის, გოგლიძის სახელზე „გაფორმებული“ განცხადება. ამ და ზოგი სხვა ჩეკას გამფორმებლის მიერ შეთითხნილი აბსურდული შინაარსის ფალსიფიცირებული ჩვენებების ყალბ საფუძველზე, ბერიას დავალებათა ამსრულებელმა ჩეკისტებმა უზრუნველყვეს მწერლის მიმართ ბერიას მიზანდასახულობის შესაბამისი ბრალეულობის შეთითხვნა და ამ ყალბ საფუძველზე სასამართლოს მხრივ გამოტანილი სასურველი განაჩენის – სასჯელის უმაღლესი ზომით კვალიფიცირება. ბერიას მიმართ მონური მორჩილებით გამორჩეულმა ჩეკისტებმა მ.ჯავახიშვილის მოსპობისათვის აუცილებელი, ამ შეთითხნილი ბრალდებით, აღასრულეს მისი მოსპობისათვის აუცილებელი ბრალეულობები და უზრუნველყვეს მისი დახვრეტა.

მ.ჯავახიშვილის ბერიასეულ-ჩეკისტურმა ბედისწერამ შექმნა დიდი ტერორის მსხვერპლთა ჩეკისტურად ნამართავი ბედისწერის თვალსაჩინო ტიპიური მაგალითი. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი, შემეცნებითი ღირებულების მქონე ისტორიის გაშუქების მიზნით

გაისარჯა დიდი მწერლისა და სამშობლოს თვალსაჩინო პატრიოტის შემოქმედებით და ცხოვრებისეული პერიპეტიებითა და დაინტერესებული არაერთი მკვლევარი. მათმა პუბლიკაციებმა, ჩემს მიერ მოპოვებულ მეცნიერულ მიგნებებთან ერთად, უზრუნველყვეს წინამდებარე ნაშრომის საყრდენი ბალავარი.

ზემოთ აღნიშნულთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაშრომები შექმნა მ.ჯავახიშვილის ბიოგრაფმა ქალიშვილმა, ქალბატონმა ქეთევან ჯავახიშვილმა, რომელმაც დიდი მწერლისა და სახელოვანი მამის შემოქმედებისა და ცხოვრებისეული პერიპეტიების გაშუქებას მიუძღვნა. ჩვენი საკვლევი პრობლემის შემეცნებისა და მ.ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების წარმოჩენის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მონოგრაფია - „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“ (თბ. 1991, 460 გვ.). იგი ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოსაცემად მოამზადა და ბოლოსიტყვაობის (გვ.461-478) დართვით გამოაქვეყნა მისმა ვაჟიშვილმა – რამაზ შიშნიაშვილმა.

მ.ჯავახიშვილის მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური კრედოს შემეცნების მიზნით ფასდაუდებელი ღირებულების შემცველია მისი უბის წიგნაკის ჩანაწერები. იგი გამოაქვეყნეს მწერლის შვილთაშვილმა, მარინე შიშნიაშვილმა და ცნობილმა ლიტერატურათმცოდნემ, ცისანა გუნძეხაძემ („მიხეილ ჯავახიშვილი. უბის წიგნაკიდან 1924-1935“, თბ. 2008, გვ.363). ამ დოკუმენტებმა განავრცეს მ.ჯავახიშვილის პოლიტიკური ბრძოლისა და მრწამსის ამსახველი 1921-1923 წლების ქარაგმულად გადმოცემული ანონიმური ჩანაწერები, რომლებიც ჯერ კიდევ ადრე აისახა ქ.ჯავახიშვილის დასახელებულ წიგნში. მწერლის ამ დოკუმენტურ ანონიმური ჩანაწერების გაცნობა მნიშვნელოვნად ეხმარება მ.ჯავახიშვილის შემოქმედებისა და პრაქტიკული საქმიანობის ეროვნულ-პატრიოტული მოტივაციის მეცნიერულ შემეცნების სიღრმისეულ წვდომას. ამ მხრივ იგი მკვლევარებისათვის არის მართლაც მრავლის მეტყველი და უნიკალური ღირებულების პუბლიკაცია.

მ.ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრებისა და ცხოვრებისეული პერიპეტიების სიმართლით გაგების მიზნით ფრიად საყურადღებო წერილი გამოაქვეყნა ცნობილმა არქიმცოდნემ, ლიტერატურისა და

ხელოვნების ცენტრალური საისტორიო არქივის თანამშრომელმა ნინო ქიქოძემ („იქნებ თავის შეკავება სჯობდა? გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989წ., 13 სექტემბერი). ამ წერილში ახსნილია მ.ჯავახიშვილის წინააღმდეგ წამოწყებული ინტრიგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინება და დასაბუთებულია მისი დიდი მწერლის საწინააღმდეგოდ გამოყენების უშედეგო მცდელობა. ამდენად ამ წერილს აქვს მ.ჯავახიშვილის ცხოვრებისეული პერიპეტიების გაყალბების მიზნით გაწეული მცდელობის გენეზისის გაგების მნიშვნელობა.

მ.ჯავახიშვილის ცხოვრებისეული პერიპეტიების მეცნიერული გაშუქების მიზნით უაღრესად საყურადღებო ნარკვევები გამოაქვეყნეს ცნობილმა მკვლევარებმა რევაზ კვერენჩხილაძემ და ბონდო არველაძემ.

მკვლევარმა რ.კვერენჩხილაძემ, მ.ჯავახიშვილის ცხოვრებისეული პერიპეტიების გაშუქებას განსაკუთრებული ადგილი დაუთმო თავის, რეპრესირებული ქართველი მწერლებისადმი მიძღვნილსა და გამოქვეყნებულ მრავალ, მის მიერ გამოვლენილ მდიდარი საარქივო მასალებზე დაყრდნობილ ნაშრომებში. ავტორმა ჯავახიშვილის შესახებ თავისი ღვაწლი და თვალსაზრისი წარმოაჩინა სანიმუშო შემაჯამებელი ნარკვევების სახით გამოქვეყნებულ მონუმენტურ წიგნებში - „საბუთები ღაღადებენ...“ (მეორე შევსებული გამოცემა, თბ. 2011, გვ.349-380) და „წამების გზა“ (დევნა, გადასახლება, დახვრეტა. წიგნი I. მეორე შევსებულ-გადამუშავებული გამოცემა. თბ. 2014, გვ.314-374).

მ.ჯავახიშვილის პირადი საძიებო ჩეკისტური საქმის შესწავლა-გამოყენების საფუძველზე მომზადებული საყურადღებო დოკუმენტური მოთხრობა („წამება მიხეილ ჯავახიშვილისა“, თბ.2001, 104 გვ.) გამოაქვეყნა ბ.არველაძემ. ავტორმა ამ მოთხრობაში გამოიყენა, მის მიერ ე.წ. სუკის არქივში შესწავლილი მწერლის საძიებო საქმე №9997-ისა და ზოგ სხვა რეპრესირებულთა დოკუმენტები. მან აგრეთვე მოიძია დიდი მწერლის თანამედროვეთა მოგონებები, რომელთაც აქვთ ხელისუფლების მიერ განწირულის ბედისწერასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების მეცნიერული შემეცნების ღირებულებები.

მაგრამ მ.ჯავახიშვილის უაღრესად რთულად შესამეცნებელი პოლიტიკური ცხოვრების, ცხოვრებისეული პერიპეტიებისა და მწერლური შემოქმედების გაშუქებას პოზიტიური აღქმის პოზიციებიდან გამოქვეყნებულთან ერთად, ჩემი აზრით არასაპატიო მიზეზთა გამო გამოუჩნდა მოწინააღმდეგე, მთელ რიგ პრობლემურ საკითხებზე წყაროების თავისებურ არაობიექტურ ინტერპრეტაციებზე დაყრდნობილი მცდარი კონცეფციის საფუძველზე გაშუქებული ალტერნატიული აზრისა და მტკიცებულებების შემცველი პუბლიკაციების თანმხვედრი ავტორი, ქალბატონი მანანა ხომერიკი. მის პუბლიკაციებს ასევე არასაპატიო მიზეზით, გამოუჩნდნენ ზოგი მხარდამჭერი და მისი ალტერნატიურლი კვლევის მნიშვნელოვანი მეცნიერული ღირებულების შემცველ-მეცნიერულ ნაშრომად შემფასებელი პროფესორებიც. ამდენად ზემოთ ციტირებულ ავტორთა ნაშრომებთან ერთად ჩემს წინამდებარე წიგნიც აუცილებლად ისახავს მათ კრიტიკულ ანალიტიკურ გააზრება და შესაბამისად ჩამოყალიბებული ჩემი მეცნიერული აზრის მიხედვით გაშუქებას.

მ.ხომერიკის პუბლიკაციებიდან, წინამდებარე წიგნის სპეციალურ და მომდევნო თავებში გამოყენებული და გაშუქებულია მისი საგაზეთო წერილები, რომლებიც დაიბეჭდა რესპუბლიკის უაღრესად პოპულარული პრესის ფურცლებზე და წიგნი, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა მ.ჯავახიშვილის ბიოგრაფებისა და მწერლის ეპოქის მკვლევარ-სპეციალისტთა ნააზრევების სუბიექტურ-ვულგარული, ხშირ შემთხვევაში არაადეკვატური კრიტიკის მიზანდასახულობით („მიხეილ ჯავახიშვილი და სისხლის რასობრივი თეორია“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1988, 25 ნოემბერი; „ერთი პუბლიკაციის გამო“, „ლიტერატურული საქართველო“, 1989, 4 აგვისტო; „პასუხად მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფებს“ (საიდუმლო არქივებიდან), 1996, 110 გვ.; „სიმართლის გამრუდება ისტორიკოს გიორგი ციციშვილის მიერ. ფესვები“, თბ. 2003 (117 გვ.); „მიხეილ ჯავახიშვილს თაღლითი დამცველები დათვურ სამსახურს უწევენ“ „მწერლის გაზეთი“, 2004 დეკემბერი, №21; „ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს, ბატონ მ.სონღულაშვილს. მოსარჩლე – მანანა ხომერიკის... მოპასუხეები: 1. რ.კ.კვერენჩხილაძე... 2. გ.ს.ციციშვილი... <u>სასარჩელო განცხადება</u> (ჩემი

საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო ზიანის ანაზღაურების და ჩემი გარდაცვალებული პაპის საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობები უარყოფის შესახებ“ (8 გვ.). ხელნაწერში ნათქვამია: ...ვარ ჟურნალ „ბაგრატოვანთა“ სარედაქციო კოლეგიის წევრი და „ბაგრატოვანთა სახლის“ თანამდგომი წევრი, სოროპტომისტ ქალთა საერთაშორისო კლუბის წევრი და მდივანი, ქალთა კლუბ „I[5]“-ის დამფუძვნებელი წევრი. ჩემს პროფესიულ და საზოგადოებრივ საქმიანობას სერიოზული დაბრკოლება ექმნება ორი პირის მიერ ჩემი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის გამო (ფურც.1)... „მინდა გამოვიყენო სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული უფლება და სასამართლოს მეშვეობით მოვითხოვო რევაზ კვერენჩხილაძისა და გიორგი ციციშვილის მიერ ჩემი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ყალბი ცნობების უარყოფა, რომლებიც განხილულია ჩემი სასარჩელო განცხადების პუნქტებში... ასევე მოვითხოვ, რომ მათ ამინაზღაურონ ზარალი ორი ათასი ლარის ოდენობით (ფურც.7)... 20 იანვარი, 2005 წელი; „წერილები“ თბ. 2006, გვ. 279-290; „მიხეილ ჯავახიშვილი უნიკალური დოკუმენტების ფონზე“, თბ. 2008 (162 გვ.); „იაკინთე ლისაშვილმა ჯავახიშვილი ორჯერ დაიცვა“, გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2009, გვ.31).

მ.ხომერიკის მცდარ ნააზრევთა მხარდამჭერების სახით როგორც ზემოთ ითქვა გამოვლინდნენ, არა მარტო მისი წერილებისა და წიგნების გამომქვეყნებლები, არამედ სამეცნიერო დაწესებულებათა თანამშრომლები. მათ შორის საგანგებოდ მოხსენიებას იმსახურებენ უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პროფესორები – დიმიტრი შვილიძე, ნიკო ჯავახიშვილი და ბონდო კუპატაძე. მათ ჯერ კიდევ 2003 წელს მოამზადეს ჩემი მონოგრაფიის შესახებ, მ.ხომერიკის პასკვილური რეცენზიის არსისა და კონკრეტული პრეტენზიების გამამართლებელი რეცენზია, რომლითაც დასახელებული პასკვილი შეაფასეს, როგორც მნიშვნელოვანი კვლევის საფუძველზე მომზადებული მეცნიერული გამოკვლევა (იხ. „ქ-ნ მანანა ხომერიკის რეცენზიის („სიმართლის გამრუდება ისტორიკოს გიორგი ციციშვილის მიერ“, თბ. 2003 წ.) შესახებ ავტორთა კოლექტივის <u>დასკვნა</u>“. ეს არაობიექტური „დასკვნა“

სიმართლის სახით მიართვეს უნივერსიტეტის იმდროინდელ რექტორს აკად. რ.მენტეველს, რომლის შემდეგ იგი განსახილველად გადაეგზავნა სპეციალურ სხდომას, რომელმაც არ გაიზიარა მასში გამოთქმული მცდარი აზრები. ამის შემდეგ ამავე პროფესორებმა გაზეთ „24 საათში“ გამოაქვეყნეს 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობის ისტორიის შემფასებელი თავიანთი მცდარი ნააზრევი (დ.შველიძე, ნ.ჯავახიშვილი, ბ.კუპატაძე, 1924 წელი – დღევანდელი გადასახედიდან“, 2004, 31 აგვისტო; დ.შველიძე, 1924 წლის აგვისტო... ვინ იყვნენ და რატომ აჯანყდნენ ისინი“, 2004, 2 სექტემბერი). მათი პასუხი და შეფასებები გამოქვეყნებულია ჩემს საპასუხო პუბლიკაციებში. ამავე პროფესორებმა 2005 წლის 7 მარტს ისარგებლეს მ.ხომერიკის სარჩელის საპასუხოდ მათი სასამართლოზე მოწმედ მოწვევის მიზნით გამოთქმული ჩემი მოტივაციით, მის გამო მოახლაფორთეს არაადეკვატური, ჩემი დამამცირებელი პასუხი და ანონიმურად მიართვეს მ.ხომერიკს. მან იგი გამოაქვეყნა ჩემი საჯაროდ დამცირება თავისი სიყალბეების გამართლების და ჩემი სამართლებრივ-ფინანსური დასჯის მიზნით. მაგრამ კოვზი ნაცარში ჩავაგდებინე და მისი „სიმართლის“ დაცვის მიზნით შემდგარი სასამართლო მისდა სამარცხვინოდ მოვუგე.

დ.შველიძემ შემდგომი, ჩემი საწინააღმდეგო „დამსახურება“ გამოავლინა, მისი მეცნიერული რედაქტორობით და ვ.გურულის მეცნიერ ხელმძღვანელობით 2011 წელს დოქტორანტ ლ.ჯიქიას მიერ გამოქვეყნებულ წიგნში, ჩემი მეცნიერული ნააზრევის მცდარი და უარყოფითი შეფასებით (ლ.ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, გვ.506-518). ამის გამო გამოვაქვეყნე ჩემი საპასუხო წერილი („კმარა ისტორიის პროფანაცია“, გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 2013, გვ.28) და ცხადი გავხადე, რომ ჩემი ახლებური აზრების გამო იერიშს ახორციელებენ კლანურის მსგავსი მეთოდით.

ავტორთა მთელი ეს ზემოთ აღნიშნული, ადრინდელი პუბლიკაციები გათვალისწინებული გამოყენებული და თეზისური სახით შეფასებული მაქვს ჩემს ადრინდელ და საპასუხო ნაშრომებში („დიდი ბოროტების სათავეები და შედეგები“, წერილების სერია. გაზ. „სახალხო განათლება“, 1989-1991წწ.; „ჩეკისტური ბრალდებები შალვა ნუცუბიძის მიმართ და მათი დოკუმენტურ-ანალიტიკური

კომენტარები“, თბ. 1998 (466 გვ.); „Политические репресии в Советской Грузии (1921-1938г.г)“. „Научная конференция Советский тоталитаризм на Кавказе (20-30-е годи)“, 1998, стр. 129-132; „ეროვნული მოძრაობა და 1924 წლის აჯანყება“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1999, 27, 28 და 31 აგვისტო; „ნ.ჟორდანიას წერილი ს. დ. ცეკას“ (4.VI-1924წ.), გაზ. „ახალი საქართველო“, 1999, აგვისტო, აგვისტო-სექტემბერი; „რისთვის დახვრიტეს ვაჟა-ფშაველას პირმშო ლევან რაზიკაშვილი“, თბ. 2001 და სხვ.). კონკრეტულად მ.ჯავახიშვილის პოლიტიკური და ეროვნულ-პოლიტიკური ღვაწლი გავაშუქე ჩემს სპეციალურ მონოგრაფიაში („სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ“. წიგნი I (466 გვ.), ხოლო ჩემი, როგორც საქართველოს უახლესი ისტორიის და მ.ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების მკვლევარ-სპეციალისტის აზრი, მოკლედ და თეზისურად გამოთქმული მაქვს მ.ხომერიკისა და სხვა ჩემი მოწინააღმდეგეების მცდარი აზრების მოგერიების მიზნით გამოქვეყნებულ სპეცილაურ ნაშრომებში („სიმართლე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების შესახებ“ თბ. 2004, 74 გვ.); „მანანა ხომერიკის 25-ზე მეტი ბოროტი ტყუილი, მისი ქომაგის, სოსო სიგუას გაზეთის ერთ წერილში და რეალური ისტორიით ნაკარნახევი სიმართლე“, თბ. 2005, 25 გვერდი და გარეკანი; „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებისა და ეროვნული მოძრაობის ისტორიის პრობლემების გაუკუღმართებულად გაგება-გაშუქების წინააღმდეგ“, თბ. 2005 (100 გვ.); „მაფალუ“ (დოკუმენტები და კომენტარები). წიგნი I...“ თბ. 2007, (გვ.100) და სხვ.

მას შემდეგ, როცა გამოქვეყნდა მ.ხომერიკის ბოლო დროს, მაგრამ ძირითადად მის კვლავ ძველი მცდარი აზრებით აღსავსე, ისტორიის წყაროების მიზნობრივად მცდარ ინტერპრეტაციებსა და ასევე მცდარი კონცეფციის საფუძველზე მოხლაფორთებულ-გამოქვეყნებული ახალი პასკვილები („მიხეილ ჯავახიშვილი უნიკალური დოკუმენტების ფონზე“ და „იაკინთე ლისაშვილმა ჯავახიშვილი ორჯერ დაიცვა“), რომლებშიც მ.ჯავახიშვილის საძიებო საქმიდან მოყვანილი მიზნობრივი სიყალბის გამართლების ახლებური შესაძლებლობის შექმნის მიზნით მოტანილი აქვთ

ობიექტური კომენტარების გარეშე და მ.ჯავახიშვილისეულად გასაღებული მისი ხელნაწერი, ჩეკისტურად გაფორმებული, შემზარავი ჩვენებების სრული ტექსტი და შესაბამისი ახალი ყალბი არგუმენტები, აგრეთვე დიდი მწერლის შესახებ სიმართლის მთქმელი ავტორების, მათ შორის ჩემი დაუმსახურებელი, დაცინვა-გალანძღვის შემცველი შეფასებები. ამიტომ იძულებული გავხდი გავცე შესაბამისი, სათანადო წყაროებითა და ჩემი ახალი მეცნიერული მიგნებებით აღსავსე, მის მიერ დამსახურებული პასუხი. ამასთანავე რამდენადაც დიდი მწერალი, ჩემს ადრინდელ ნაშრომებში სრულყოფილად დასაბუთდა, როგორც სწორი ტაქტიკით მებრძოლი ანტისაბჭოთა არალეგალური ბრძოლის წარმომადგენელი, ახლა უკვე მიზნად დავისახე მ.ჯავახიშვილი გავაშუქო მ.ხომერიკის გაყალბებული მდგომარეობათა მხილებითა და ბერიასეულ-ჩეკისტურად ნამართავი 1937 წლის დიდი ტერორის რეალური ისტორიის შუქზე. ამ მიზნით აუცილებელი გახდა ჩემს მიერ მოპოებული ახალი მეცნიერული მიგნებები წარმომეჩინა დიდი ისტორიის განხორციელების თავისებურება-საიდუმლოებათა ახლებური გაშუქებითა და მ.ჯავახიშვილის გამყალბებელთა ნააზრევის სკურპულიოზური მხილებით.

ზემოთ მითითებული მიზნით გამოვიყენე არამარტო ჩემს მიერ გამოვლენილი მეცნიერული მიგნებები, არამედ აგრეთვე გავითვალისწინე საქართველოს უახლესი ისტორიის 1920-30-იანი წლების პოლიტიკური პროცესების შემსწავლელი ჩემი კოლეგების ნაშრომები, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა, რეპრესირებულთა და მათ შორის, მ.ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების საყურადღებო ნიუანსების გაგებისათვის. ამასთანავე გამოვავლინე სკულპულიოზურად შევისწავლე და გამოვიყენე კერძო მფლობელობაში არსებული და ჩემს მიერ მოპოებული მ.ჯავახიშვილის საძიებო ჩეკისტური საქმე №9997 და აგრეთვე ჩეკას ყოფილ არქივში ჩემს მიერ გამოვლენილი, რეპრესირებულთაგან ჩეკისტური მეთოდებით გამოძალული ანალოგიური „აღიარებები“. ჩემი კვლევის მნიშვნელოვანი საყრდენი წყაროების სახით აგრეთვე ვისარგებლე ყოფილ ჩეკას არქივში დაცული 1950-იანი წლების

სარეაბილიტაიო სამუშაოების დროს, სათანადო ორგანოების მიერ დაკითხული მოწმეების ჩვენებები, რომლებიც მდიდარ ინფორმაციას შეიცავენ დიდი ტერორის დროს მოსპობილთა და მათ შორის მ.ჯავახიშვილის ჩეკისტურად განწირული ბედის შესწავლა გაშუქებისათვის.

როგორც ცნობილია, მიმდინარე 2015 წელს 135-ე საიუბილეო წელი უსრულდება დიდი ქართველი მწერლისა და ანტიბოლშევიკური ბრძოლის თვალსაჩინო მამულიშვილს – მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილს. ამავე დროს მომდევნო 2017 წელს სრულდება 1937 წლის დიდი ტერორის 80-ე წლისთავი. იგი ისტორიკოსთაგან უთუოდ მოითხოვს 1930-იანი წლების რეპრესიებისა და დიდი ტერორის ისტორიის შემდგომ გაღრმავებულ გამოკვლევა-გაშუქებას.

განსაკუთრებით საყურადღებოა ისიც, რომ დიდი მწერალი და სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი, საბჭოთა 1920-30-იანი წლების პერიოდის მწერლებიდან ყველაზე პოპულიარული ბელეტრისტი (ვალია ბახტაძე, გ.ქიქოძე) – მიხეილ ჯავახიშვილი, მთელი სიცოცხლის განმავლობაში განიცდიდა ბოლშევიკური ხელისუფლებისაგან დევნას. იგი, 1923 წელს დააპატიმრეს, არალეგალური ანტისაბჭოთა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრეზიდიუმის წევრისა და აგრეთვე, ვითომ 1922 წლის ფშავ-ხევსურეთის აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორის ყალბი ბრალდებით. მ.ჯავახიშვილი სიცოცხლის მოსპობის ექვსი თვის განცდის შემდეგ გაანთავისუფლეს საბჭოთა ბოლშევიკური რეჟიმის მეხოტბედ გადაბირების მცდელობის იმედით. მაგრამ ხელისუფლებამ გამოყენების ხანგრძლივი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ 1937 წლის 14 აგვისტოს კვლავ დააპატიმრა, „ხალხის მტრის“ იმდროინდელი მოდური ბრალდება შეუთითხნა და 30 სექტემბერს დახვრიტა, მისი შემოქმედება კი კანონგარეშე გამოაცხადა. ამის შემდეგ ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ მთელი 17 წლის განმავლობაში აკრძალა მისი, როგორც „ხალხის მტრის“ ჰუმანური და ეროვნულ-პატრიოტული ხასიათის მწერლური შემოქმედების ბრწყინვალე ნაწარმოებები.

მ.ჯავახიშვილი 1954 წლის საბჭოთა სახელმწიფოებრივი სისტემისა და იდეოლოგიის შელახული პრესტიჟის რეანიმაციის

მიზნით განხორციელებული „უსამართლოდ რეპრესირებულთა“ რეაბილიტაციის დროს, სახელოვან ქართველ პოეტებთან ტიციან ტაბიძესთან და პაოლო იაშვილთან ერთად, საგანგებო პირველადი სარეაბილიტაციო აქტით გაამართლეს და ამასთანავე ეს სხვაგვარად მოაზროვნე მწერალი აღადგინეს კუთვნილ უფლებებში. ამის შემდეგ საბჭოური 17 წლიანი იდეოლოგიური ხედვის პოზიციებიდან მოხერხდა მ.ჯავახიშვილის ნაწარმოებების გამამართლებელი კრიტიკულ-ანალიტიკური შეფასება და 1937 წელს აკრძალულ ნაწარმოებთა ხელახალი გამოცემა. მისი ლიტერატურული ღვაწლის დამფასებელი არაერთი ნაწარმოებიც ახლად გამოქვეყნდა, ზოგი კი, საფუძვლად დაედო მხატვრული კინოსა და სპექტაკლის სახით გასხივოსნებას. მაგრამ ამავე დროს, ზოგი პიროვნების ინტერესებით, არ აღმოფხვრულა მის მიმართ წარსული სახელმწიფოებრივი უნდობლობა, მისი, როგორც დიდი მწერლისა და პარტრიოტის მიმართ. საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში არამც თუ სახელმწიფოებრივი, არამედ მწერალთა კავშირის ინიციატივითაც კი, არ განხორციელებულა დიდი მწერლისა და მამულიშვილის ღირსების შესაბამისად აღსანიშნავი ღონისძიება. არ აღნიშნულა საიუბილეო თარიღები, არც მისი ღირსებების შესაბამისი ძეგლი დადგმულა. უფრო მეტიც, მ.ჯავახიშვილის რეაბილიტაციის 17 წლის შემდეგ, არცთუ საპატიო მიზეზითა და სხვათა წაქეზება – ხელის შეწყობით, მ.ხომერიკმა 1990-იანი წლებიდან 2009 წლის ჩათვლით, 20 წლის მანძილზე, ისტორიის წყაროების ტენდენციურ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობილი ყალბი მაგალითების საფუძველზე შეთითხნილი კონცეფციის შუქზე გამოქვეყნებულ სამ წიგნში და მრავალ საგაზეთო პუბლიკაციაში დაკნინებულად და ყალბად გააშუქა მ.ჯავახიშვილის მოქალაქეობრივი და პირადი ადამიანური ღირსებები. მათში ასახული ნართაული აზრითა და აგრეთვე სიტყვიერი განცხადებებით ეს ისტორიკოსი გულმოდგინედ ცდილობს თავისებური გაგებით გამოიყენოს საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმით ნასაზრდოები 1920-1930-იანი წლების საქართველოს პოლიტიკური ისტორია და დიდი მწერალი და საუკეთესო მამულიშვილი მკითხველს დაუსახოს ჩეკას აგენტ - „არსენად“. იგი ამით 25 წლის განმავლობაში ცდილობს განახორციელოს თავისი და

ზოგ სხვათა იდუმალი მიზანდასახულობა - ქართველ ახალგაზრდობას ინტერესი დაუკარგოს, დიდი ჰუმანისტის, დიდაქტიკოსისა და პატრიოტის უნიკალური ღირსებების შემცველი მწერლური შემოქმედების მიმართ, ამასთანავე გაამართლოს მის მიმართ 1920-30-იან წლებში გამოთქმული დამამცირებელი ბრალეულობები და დანაშაულებრივი შეფასებები.

ამ სამწუხარო, ყოველმხრივ გაუმართლებელი მდგომარეობის დაძლევისა და დიდი ტერორის რეალური ისტორიის შემდგომი გაღრმავებული გამოკვლევა-გაშუქების მიზნით, 2005 წლამდე ორი მონოგრაფიული და რამდენიმე შედარებით მცირე მოცულობის ნაშორმი გამოვაქვეყნე, ხოლო 2006-2014 წლებში უნივერსიტეტიდან სხვა მრავალ ღირსეულ მეცნიერ-პედაგოგთან ერთად განდევნილ პენსიონერს სამეცნიერო კვლევითი მუშაობა შემიფერხდა. მისი განახლება მხოლოდ 2014 წლის სექტემბრიდან, მას შემდეგ მომიხერხდა, რაც ახალი რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმრ პაპავა დათანხმდა ხელშეკრულების საფუძველზე ჩემს მკვლევარად მიწვევას. მას შემდეგ, განვაახლე შეწყვეტილი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და მკვლევარის მოკრძალებული ანაზღაურებით მოვახერხე გამოსაქვეყნებლად ორი ნაშრომის, მათ შორის წინამდებარე 500 გვერდიანი წიგნის წარდგენა.

ჩემს მიერ მომზადებულ თემაზე სადღეისოდ ცალკეულ ავტორთა (ფილოლოგ-ლიტერატორთა) საყურადღებო, მაგრამ შედარებით მოკრძალებული და ჩემი მცირე მოცულობის პუბლიკაციების გარდა, არ არსებობს ჯეროვანი სპეციალური მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელშიც სრული სიმართლიც შუქდება.

რადგან სადღეისოდ ცალკეულ ავტორთა (ფილოლოგთა) საყურადღებო, მაგრამ შედარებით მოკრძალებული პუბლიკაციების გარდა, აღნიშნულ თემაზე არ არსებობს სპეცილაური მონიგრაფიული გამოკვლევა, რომელშიც სრული სიმართლით შუქდება 1937 წლის დიდი ტერორის და აგრეთვე დიდი მწერლისა და საუკეთესო მაულიშვილის, მ.ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების, თუ ცხოვრებისეული პერიპეტიების მართალი ისტორია. ხოლო სამაგიეროდ კი, გამოქვეყნებულია ამ ისტორიის

გამყალბებელი მ.ხომერიკის სამი პასკვილური წიგნი, რომელშიც ისტორიის წყაროების მიზნობრივად ტენდენციური ინტერპრეტაციისა და შესაბამისი კონცეფციით არის გაგებული საბჭოთა, მათ შორის დიდი ტერორის დროინდელი ისტორია, აგრეთვე მ.ჯავახიშვილისა და საერთოდ უსამართლოდ რეპრესირებულთა ჩეკისტურად ნამართავი პერიპეტიები. ამასთანავე, რამდენადაც არსებობენ პიროვნებები, რომლებიც ამ, მ.ხომერიკისეულ წიგნში გამოთქმულ სიყალბეებს აძლევენ მეცნიერულ შეფასებას, ამიტომ აღნიშნული ხარვეზის დაძლევის მიზნით 2015 წლის თებერვლის დასაწყისში წიგნი გავასრულე და ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს, გამოქვეყნების ნებართვის რეკომენდაციის მიზნით, წარუდგინე წინამდებარე ნაშრომი, რომელსაც ამჟამად დაინტერესებულ მკითხველს ვთავაზობ გასაცნობად და შესაფასებლად.

<u>თავი I. მიხეილ ჯავახიშვილის ჩეკას დამსმენად და აგენტ-„არსენად", ხოლო სიმართლის მთქმელ მკვლევართა, დიდი მწერლის მიმართ დათვური სამსახურის... გამწევად გამყალბებელთა შესახებ</u>

ტოტალიტარული საბჭოთა რეჟიმის პირობებში ტენდენციურად, ხელისუფლების იდეოლოგიურ-პრაქტიკული ზეწოლისა და სათანადო წყაროების შესაბამისი ინტერპრეტაციის, ალტერნატიული დოკუმენტების მობილიზების შეზღუდული შესაძლებლობის, აგრეთვე რეჟიმის ცენზურული ზემოქმედებისა და მთელი რიგი სხვა მიზეზების გამო საბჭოთა უახლესი პოლიტიკური ისტორიის ისტორიოგრაფია ტოტალიტარიზმის რეჟიმის მძევალი გახდა. შესაბამისად ტენდენციურად გაშუქდა საქართველოს 20-30-იანი წლების ანტისაბჭოტა ეროვნული მოძრაობისა და სამშობლოს სუვერენიტეტისათვის ბრძოლის ისტორია.

დამოუკიდებლობისათვის გაშლილი ეროვნული მოძრაობის 80-იან და განსაკუთრებით საქართველოს პოსტსაბჭოთა 1990-2000-იან წლებში, ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ისტორიკოსებისათვის ადრე უცნობი, განსაკუთრებულად გასაიდუმლოებული, საარქივო დოკუმენტებისა და ადრე ხელმიუწვდომელი პუბლიკაციების გამოყენებისათვის. შესაბამისად, თანდათან დაისახა საბჭოთა ტოტალიტარიზმის ეპოქის ისტორიის თეთრი ლაქებითა და რეჟიმის ზემოქმედებით გაყალბებული პრობლემების ახლებური, ობიექტური გაშუქების ტენდენცია, მაგრამ საბჭოთა 20-30-იანი წლების პოლიტიკური პროცესების ახლებური ხედვის შესაძლებლობების გამოყენებასთან ერთად აღინიშნა ახალი მმართველობის მოთხოვნილებათა შესაბამისი, წარსული ისტორიის კონიუნქტურული გაშუქების მისწრაფება. ამ პერიოდშისაბჭოთა 20-30-იანი წლების ხალხის, საზოგადოების და ერის ინტელექტუალთა ძალისხმევით ნასაზრდოები საბჭოთა ეპოქის მონაპოვარი მაინც დაკნინებულად წარმოჩნდა. ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის ისტორიიდან, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პოლიტიკური პარტიებისა და პარტიზანული გაერთიანების თავგანწირულ ანტისაბჭოთა ექსტრემისტული ბრძოლის ისტორიის გაშუქებას. ტოტალიტარული ხელისუფლების რეჟიმის დამთრგუნველი პოლიტიკის გამო, ერის მწარმოებელ, განსაკუთრებით კი, ინტალექტუალურ ძალთა ღვაწლი

ხელისუფლებასთან კომპრომისული თანამშრომლობისა, ზოგი სწავლულის მიერ გაგებული იქნა კომფორმიზმად (ბ.კუპატაძე). ანტისაბჭოთა არალეგალური მოძრაობის ლიდერთა მისწრაფება, ებრძოლათ მომენტის შესაბამისად, ერის ფიზიკური რესურსებისა და ენერგიის შენახვა-გაძლიერებისათვის, გაგებული იქნა ლამის ღალატად, შესაბამისად ნაკლები მნიშვნელობა მიენიჭა ერის შინაგანი პოტენციის ევოლუციურ-კომპრომისული საქმიანობით მებრძოლთა დადებითი შედეგების ასახვას.

განსაკუთრებით სავალალო ტენდენციის გამოვლინებების სახით, თავი იჩინა ისტორიის კვლევისა და გაშუქების თავისუფალმა უცენზურო, პირადი პროფესიული პასუხისმგებლობების იგნორირებით წერის პრაქტიკამ. ზოგმა სპეციალისტმა ისტორიის ბუნდოვანი საკითხების გაშუქება, არასაპატიო, გაზვიადებული მიზეზებით, დაუმორჩილა მ.ჯავახივილისა და მისი შთამომავლობის მიმართ შურისძიების პირად, არასაპატიო და ამბიციურ ინტერესებს. ამ მხრივ შემჩნეულთა შორის, საკუთარი თავი განსაკუთრებით ცხადად წარმოაჩინა ისტორიკოსმა მანანა ხომერიკმა. მან სბჭოთა 20-30-იანი წლების პოლიტიკური ისტორიისა და მ.ჯავახიშვილის ამ პერიოდის ცხოვრებისეული პერიპეტიების თავისებურ გაშუქებას არაერთი ტენდენციური ხასიათის საგაზეთო პუბლიკაცია მიუძღვნა და ბოლოს თავისი არამეცნიერული აზრები შემაჯამებელი სახით ჩამოაყალიბა 1976 წელს გამოქვეყნებულ წიგნში - „პასუხად მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფებს. საიდუმლო არქივებიდან“ (ტირაჟი 500, ფასი ხელშეკრულებით, 110 გვერდი). ეს წიგნი მ.ხომერიკმა გამოქვეყნებისთანავე მეც „პატივისცემით“ გადმომცა, როგორც უახლესი ისტორიის მკვლევარს და ჩემი აზრის მოსმენა ისურვა. იგი, როგორც წესი, ყურადღებით შევისწავლე და განცვიფრებული დავრჩი, როცა გავარკვიე, რომ ავტორი ნებსით თუ უნებლიედ, მ.ჯავახიშვილის ეპოქას და ცხოვრებისეულ პერიპეტიებს წყაროების თავისებური, არამეცნიერული ინტერპრეტაციით აშუქებს. იგი წერს.

„...მ.ჯავახიშვილის ბიოგრაფები წლების მანძილზე ჩქმალავდნენ მის წვლილს 1924 წლის აჯანყების დამარცხებისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიკვიდაციაში, ასევე, სხდომაზე გამოსვლებს ხელისუფლების მიერ განწირული ადამიანების

წინააღმდეგ“ (გვ.2); „...გავეცანი მ.ჯავახიშვილის 1923 და 1937 წლის ჩვენებებს... დიდძალი მასალის შესწავლისა და გაანალიზების შედეგად დავრწმუნდი, რომ ჩემი ადრინდელი ნათქვამი სავსებით სამართლიანი და საკმაოდ რბილიც ყოფილა“ (გვ.5); „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ ისევ ცალმხრივად იწერება, ყალბდება ისტორია. სამართლიანობა კი რეალური სურათის აღდგენას მოითხოვს. სწორედ ამ მიზნით თავი მოვუყარე მნიშვნელოვან ფაქტებს, რომელთა დიდი ნაწილი უცნობია ფართო საზოგადოებისათვის“ (გვ.6); „ცალკე შესწავლას მოითხოვს მ.ჯავახიშვილის ურთიერთობა კალე მისაბიშვილთან. ამ პიროვნებას აბრალებდნენ (სამწუხაროდ დღესაც აბრალებენ – გ.ც.) პარიტეტული კომიტეტის სამხედრო ცენტრის გაცემას, რის გამოც პარიტეტულმა კომიტეტმა იგი მოაკვლევინა 1923 წლის 1 აპრილს (და ამით მან მიუტევებელი შეცდომა დაუშვა – გ.ც.). მისაბიშვილის გადმობირება ჩეკამ მისი პატიმრობის დროს, 1923 წლის დასაწყისში მოახერხა (ტყუილია – გ.ც.) და ციხიდან გაანთავისუფლა სპეციალური დაველებით“ (გვ.10); „...ჩანს, რომ დიდი მწერალი არ ინდობდა თავის თანამებრძოლებს და მათ შესახებ დაწვრილებით ცნობებს აწვდიდა ჩეკას...“ (გვ.13, ესეც ტყუილია – გ.ც.); „კ.მისაბიშვილმა გასცა მთელი შემადგენლობა სამხედრო ცენტრისა...“ (გვ.14, ტყუილია – გ.ც.); „მისაბიშვილი მოკლეს. მ.ჯავახიშვილთან მისი საიდუმლო კავშირი არ გამომჟღავნებულა“ (გვ.15, მათ შორის გამცემლურ-მოღალატეობრივი კავშირი არ არსებულა – გ.ც.); 1923 წელს „აჯანყება ნამდვილად მზადდებოდა (ტყუილია. 1923 წლის დასაწყისში, სამხედრო ცენტრის დაპატიმრების დროისთვის, არავითარი აჯანყება არ მზადდებოდა – გ.ც.) და მათ მართალი ინფორმაცია სჭირდებოდათ, რაც მიიღეს კიდეც მ.ჯავახიშვილისგან“ (გვ.16, ტყუილია. პატიმარ მ.ჯავახიშვილისაგან დაკითხვების დროს ნაგულისხმევი არ არსებული კი არა, ისეთივე „ინფორმაცია“ მიიღეს, როგორიც სხვებისგან, მათ შორის კოტე აფხაზისაგან და სამხედრო ცენტრის სხვა წევრებისაგან – გ.ც.); „მ,ჯავახიშვილმა სამხედრო კომიის წევრი და ფაქტობრივი ხელმძღვანელი ნოე ხომერიკიც დაასმინა, რომელიც მაშინ დაპატიმრებული არ იყო“ (გვ.17, ესეც ტყუილია. პატიმარი

მ.ჯავახიშვილი, ისე როგორც სხვა პატიმრები, იძულებული იყო სიმართლე ეთქვა – გ.ც.); „მისი ინფორმაცია შეტანილია ჩეკას აგენტურულ მონაცემებში, რომლის საფუძველზე ჩეკა იმუშავებდა რეალურ გეგმას ჭეშმარიტ მამულიშვილთა წინააღმდეგ საბრძოლველად“ (გვ.25, ესეც ტუილია მამულიშვილის წოდებას ჭეშმარიტის წამძღვარება ამ შემთხვევაში მზაკვრული აქცენტია – გ.ც.); „ვფიქრობ, არანაირი მასშტაბის მწერალი და არავითარი პროფესიის ადამიანი არ უნდა ჩაებას პოლიტიკაში, თუ მოწოდებით პოლიტიკოსი არ არის. წინააღმდეგ შემთხვევაში, მის „პოლიტიკანობას“ ისეთივე სავალალო შედეგი მოჰყვება, როგორიც მ.ჯავახიშვილის შემთხვევაში მოჰყვა, ხოლო მეგობრებისა და სამშობლოს ინტერესების ღალატს არ შეიძლება „წვრილმანი რამ“ ეწოდოს. რამდენად მოიგებდა საქართველო მ.ჯავახიშვილის პოლიტიკანობისა და მისი ჩვენებების გარეშე“ (გვ.27, ეს პასაჟი თავიდან ბოლომდე მიზნობრივად ტენდენციური და უმართებულოა – გ.ც.);

მ.ხომერიკი მ.ჯავახიშვილის 1937 წლის პატიმრობის დროინდელ ამბებსაც აყალბებს და გაუკუღმართებული გაგების მიზნით აქვეყნებს. იგი წერს: „1937 წლის ივნისში მ.ჯავახიშვილი როგორც ჩანს (? – გ.ც.) პირადად ბერიასთან თუ არა, ჩეკაში მაინც დაიბარეს... 1937 წლის 21 ივნისს დაწერილ განცხადებაში მ.ჯავახიშვილმა ჩეკას გაუმჟღავნა...“ (გვ.60); „ლევან გარსიაშვილს და ბეგლარ ფაღავას მხოლოდ მ.ჯავახიშვილის ჩვენების საფუძველზე დაბრალდათ ჯაშუშობა...“ (გვ.62); „მ.ჯავახიშვილმა თავისი დანაშაული კიდეც აღიარა, კიდეც მოინანია და 50-ზე მეტი ადამიანი დაასახელა...“ (გვ.64);„მ.ჯავახიშვილს გაუხსენეს, რომ იგი იყო წევრი პარიტეტული კომიტეტისა, რომელიც 1924 წლის აჯანყებას ხელმძღვანელობდა. ცნობილია, რომ კომიტეტის წევრები დახვრიტეს, მიხეილ ჯავახიშვილი კი, როგორც გერონტი ქიქოძე წერს (გ.ც. - ?!) „გაამართლეს...“ (გვ.40, ესეც ტყუილია, მ.ჯავახიშვილი „პარიტეტული კომიტეტის წევრი“ არასდროს ყოფილა გ.ქიქოძე სხვა რეალობას გულისხმობს და ასახავს – გ.ც.). იგი ამ აბსურდებს თავის შემდგომ პუბლიკაციებშიც იმეორებს.

განსაკუთრებით მიუღებელია მ.ხომერიკისეულად გაგებული და გაშუქებული მ.ჯავახიშვილის 1937 წლის დიდი ტერორის დროინდელი ბერიას უშუალო მონაწილეობით, ხელმძღვანელობითა და იდეურ-პრაქტიკული ზემოქმედებით ნამართავი პროცესების, აგრეთვე პირადად მ.ჯავახიშვილისა და პაოლო იაშვილის ჩეკისტურ-ბერიასეული ბედისწერის გაშუქება. მ.ხომერიკს იგი გაგებული და გაშუქებული აქვს ჩეკისტური საარქივო წყაროებში ასახული აზრის ანალოგიურად. მას ისე გამოჰყავს, რომ მისეულ სულისკვეთებას იზიარებს. აქედან ნათლად ჩანს, რომ წიგნის ავტორს ყურადღება არ დაუთმია დიდი ტერორის დროინდელი ჩეკისტური მიზანდასახულობებისა და მიზნობრივად დაპატიმრებულ-დაკითხული და გაუბედურებულ-მოსპობილთა ნამდვილი მდგომარეობის, მათ შორის მ.ჯავახიშვილის დახვრეტის მომზადება-განხორციელებების ნამდვილი ისტორიის ამოცნობისათვის. შედეგად ამ „მეცნიერ“-ისტორიკოსს ისე გამოსდის, რომ თითქოს რაც ჩეკას სამძებროს გამომძიებლებმა ბერიას თანამონაწილეობით და მისი ბრძანებით შეასრულეს, ანუ დოკუმენტურად და ყალბად გააფორმეს, ეს ყოველივე პატიმრებისთვის და ჯავახიშვილსთვის დაუბრალებია.

მ.ჯავახიშვილის ბიოგრაფების წინააღმდეგ შექმნილი წიგნის ავტორისა და ამ, ნებსით თუ უნებლიედ, დიდი მწერლის ორიგინალური ბიოგრაფიის, მ.ხომერიკის მიერ, გამოყენებული საარქივო წყაროების მიზნობრივი, ყალბი ინტერპრეტაციებით, არგუმენტებითა და მათ საფუძველზე ჩამოყალიბებული ყალბი კონცეფციით, დიდი მწერალი და ბოლშევიკური რეჟიმის მიმართ დაუმორჩილებელი მამულიშვილი გამოჰყავს ბერიას თუ ჩეკას დამსმენად და თანამოაზრეთა გამაუბედურებლად.

მ.ხომერიკმა ამ წიგნითა და ისტორიის წყაროების საკუთარი ინტერპრეტაციით ზოგი მკითხველი თავის ყალბ აზრებში კიდეც დაარწმუნა და თანამოაზრედაც გაიხადა, მაგრამ, როცა საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივში მუშაობის დროს შესვენებისთვის გამოსულს, სხვების, მათ შორის ტრადიციულ გვართა გენიალოგიის ცნობილი მკვლევარის, იური ჩიქოვანის თანდასწრებით, მისი წიგნის შესახებ აზრის გამოთქმა მომთხოვა, ჩემგან როგორც უახლესი ისტორიის მცოდნე მკვლევარ-

სტორიკოსისაგან მოისმინა მისი „ნასიბრძნის“ უარყოფითი შეფასება, ამის გამო გულმაო-სულმა წამოიძახა: „ბატონო გოგი, ჩემმა ჩეკისტმა მეზობელმა მითხრა, მიხეილ ჯავახიშვილი ჩვენი აგენტი იყო!“. ამასაც არ დავეთანხმე, მისი დამკვალიანებლის ნათქვამი ჩემთვის საბუთი არ იყო. იგი ამასთანავე პრინციპულად ეწინააღმდეგება ჩემს მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებში გაშუქებულ საბჭოთა პერიოდის კომპრომისულად მოღვაწე ძველი ეროვნულ-პატრიოტი ინტელიგენციის გაგებას. ამასთანავე დაუჯერებელია, რომ მეზობელმა ჩეკისტმა სრულიად საიდუმლო ცნობა გააცნო მეზობელ ქალს და ისიც მაშინ, როცა არ არსებობს გარანტია, რომ ეს ქალი ამ საიდუმლოებას საქვეყნოდ არ გახდის. უფრო სავარაუდოა, რომ ეს მეზობელი კი არა მისი ოჯახის უხუცესი წევრი ყოფილიყო. თუ ასე არ არის, ამ შემთხვევაში საჭიროა მ.ხომერიკმა დაასახელოს დამკვალიანებლის გვარი და სახელი.

თავიდან მეგონა, რომ ჩვენი უახლესი ისტორიისა და მ.ჯავახიშვილის პოლიტიკური მოღვაწეობის მ.ხომერიკისეული გაგება გამომდინარეობდა ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის ისტორიის თავისებურებათა და ნიუანსების გაუგებრობიდან. ამიტომ ჩემს ერთ-ერთ გამოქვეყნებულ ნაშრომში შევეცადე მისთვის ამეხსნა იმ თავისებურებათა საიდუმლოება, რომელიც ამართლებდა პატიმარი მ.ჯავახიშვილის მიერ ჩეკას ხელმძღვანელთა მიმართ ეროვნულ დემოკრატი ლიდერების პატიმრობიდან განთავისუფლების მოტივით ქაქუცა ჩოლოყაშვილის შემორიგების იმ წინადადების შეთავაზებას, რომელიც მ.ხომერიკს გაგებული აქვს ჩეკასადმი მიწოდებულ იმფორმაციად და ანტისაბჭოთა ბრძოლის წარმომადგენელთა ღალატად. მაგრამ მან ჩემი ეს ახსნა-განმარტება საკუთარი მეცნიერული რენომეს შეურაცხყოფად მიიღო. ამის შემდეგ მისი პიროვნების დასახელების გარეშე გავაშუქე ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის და მისი თანამებრძოლების ერთ-ერთი მხარდამჭერის ვაჟა-ფშაველას შვილის, ლევან რაზიკაშვილის ბედისწერა. იგი გავაშუქე ანტისაბჭოთა ოპოზიციური ბრძოლის ნიუანსების და პროცესების წარმოჩენით (გ.ციციშვილი, რისთვის დახვრიტეს ვაჟა-ფშაველას პირმშო ლევან რაზიკაშვილი, თბ. 2001). ეს წიგნი სპეციალისტების მიერ შეფასდა როგორც ანტისაბჭოთა

ბრძოლის მიმდინარეობათა მეცნიერული გამოკვლევის იშვიათი ნიმუში. მაგრამ მ.ხომერიკისათვის ესეც გახდა შეურაცხმყოფელი. ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ მან ამის შემდეგ დაიწყო ხმების გავრცელება მიხეილ ჯავახიშვილის ჩეკას აგენტად გასაღებისა და ჩემი მეცნიერული ღვაწლის გაბაიბურების მიზნით. ამიტომ 2003 წელს გამოვაქვეყნე ჩემი ხანგრძლივი საარქივო კვლევითი მუშაობით და წინამორბედ მკვლევართა მიერ მოპოებული ისტორიის საყურადღებო წყაროების მყარ ბალავარზე დაფუძვნებული ფუნდამენტური მონოგრაფია - „სიმართლე 1921-1923 წლების ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ“ (461 გვ.).

ამ წიგნში გავაშუქე, შესაბამისი პერიოდის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის რეალური სიმართლე. ავღნიშნე მ.ხომერიკის დადებითიც, მაგრამ ამავე დროს მეცნიერული მორალის მოთხოვნების დაცვით, გავაშუქე მის მიერ მ.ჯავახიშვილის შეფასების დროს დაშვებული ზოგი შეცდომები. ამ წიგნით აღფრთოვანებულმა მრავალმა ისტორიკოსმა გამოაქვეყნა დადებითი რეცენზია. გამოქვეყნდა არაერთი გამოხმაურება... გამოითქვა მონოგრაფიის ივანე ჯავახიშვილის პრემიის მოსაპოვებლად წარდგენის მხარდამჭერი წინადადებები.

დაინტერესებულ მკითხველთაგან უნივერსიტეტის ერთ-ერთმა სწავლულმა კოლეგამ, ფილოლოგმა მეცნიერმა და პედაგოგმა, ცირა ჩიკვაიძემ, ჩემი წიგნის წაკითხვის შემდეგ შთაბეჭდილების გაზიარებასთან ერთად, მომითხრო: მ.ხომერიკის მიერ მ.ჯავახიშვილის შესახებ 1996 წელს გამოქვეყნებული წიგნის შესახებ ალექსანდრე აბაშელის ქალიშვილმა, მედეამ თავისი გულისტკივილი გამოთქვა და თან დასძინა „ისე აქვს შეკრული, ვერ შეედავებიო“ და ქალბატონმა ცირამ ჩემ მიმართ მადლიერების ნიშნად დასძინა: - „შენმა წიგნმა გულიდან ლოდი ჩამომხსნაო“.

ჩემი აზრი დასახელებული წიგნის პრეზენტაციის დროსაც უაღრესად მაღალ დონეზე შეფასდა. ჩემმა ყოფილმა, სტუდენტობის დროინდელმა მასწავლებელმა, შემდეგ კი, კოლეგამ, პროფესორმა კარლო მეშველიანმა და კოლეგა-პროფესორმა, ოთარ ჟორდანიამ პრეზენტაციის დროს გამოთქვეს ერთობლივი აზრი: „... წიგნი

წარდგენილი იქნას სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად“. მაგრამ მათ განემარტათ, რომ იგი უკვე იყო წარდგენილი ზემოთ აღნიშნულ პრემიაზე.

ამის შემდეგ თსუ ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაც ჩატარდა. აქ საბჭოს მიერ გამოყოფილმა (პირველადმა) ექსპერტმა და სამეცნიერო საბჭომ, წიგნის ივანე ჯავახიშვილის პრემიაზე წარდგენის მიზანშეწონილობა დაადასტურეს. ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულო იყო საბჭოს სხდომაზე შალვა ნუცუბიძის შესახებ ჩემი პრემირებული წიგნის ერთ-ერთი რეცენზენტის, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის მიერ საჯაროდ გაცხადებული სიტყვები: „გოგის წიგნმა გულიდან ლოდი ჩამოხსნა“, რომელიც სხვისგან, უკვე მოსმენილი მქონდა პირადი საუბრის დროს, ახლა კი იგივე აზრი გამოითქვა საჯაროდ. ეს ჩემთვის განსაკუთრებისთ სასიამოვნო იყო, რადგან ამ სხდომას ფაკულტეტის მთელი ხელმძღვანელობა და ჩემთვის საპატივისცემო ბევრი მცოდნე პიროვნება ესწრებოდა.

პრემიაზე წარდგენილი წიგნი და მის შესახებ წერილობით და ზეპირად გამოთქმული შეფასებები, მ.ხომერიკმა შეურაცხყოფად მიიღო და დაიწყო საჩოთირო ხმების გავრცელება. (ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ) მ.ხომერიკი ჩვენს საერთო კოლეგებთან საუბრის დროს, მ.ჯავახიშვილის ჩეკას ინფორმატორობის შესახებ თავისი „ჩეკისტი მეზობლის ნათქვამის” სახით ხმებს ავრცელებდა. ჩემთვის ახლა უკვე ცხადი გახდა, რომ იგი სიმართლის გამო, ჩემს მიმართ მტრულად განეწყო და ჩეკისტი მეზობლის ნათქვამიც შესაძლოა, რომ უცხოს გამოგონილი არ იყო და მის მიერ სრულ სიმართლედ იყო მიჩნეული.

2003 წელს, მ.ხომერიკმა, ჩემი მონოგრაფიის შესახებ თავისი ძველი მიზნობრივად მცდარი აზრები ახლა უკვე ჩემი მეცნიერული მიგნების გასაბაიბურებელ წიგნად („სიმართლის გამრუდება ისტორიკოს გიორგი ციციშვილის მიერ...“) გამოაქვეყნა, რომელშიც, მრავალჯერ მომიხსენია აუგად. ამის შემდეგ მან მ.ჯავახიშვილისა და ჩემი ლანძღვა საერთო ამოცანად დაისახა. ჯერ უნივერსიტეტის რექტორთან აუდენციით ისარგებლა და ადვილი მისახვედრია რა სიყალბეებიც მიაწოდა. ამასთანავე, მან რექტორს „15/VIII-2003წ“-ით

დათარიღებული სათანადო განცხადება წარუდგინა, რომელიც ოფიციალურად „18.08.03წ“-ით გაფორმდა. ამ განცხადებით მ.ხომერიკმა მოითხოვა ჩემი პრემიის მოსაპოებლად წარდგენილი, საფაკულტეტო ექსპერტის, აგრეთვე ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრების მიერ მოწონებული და მაღალ დონეზე შეფასებული წიგნის დაბლოკვის მიზნით შეთითხნილი, მისი რეცენზიად წოდებული ახალი პასკვილის მიხედვით განხილვა. როგორც ირკვევა, იგი უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხელმძღვანელობას დაემუქრა, რომ სტრასბურგის სასამართლოში იჩივლებდა, თუ მისი „რეცენზიისა” და განცხადების სათანადოდ შეფასება არ მოხდებოდა. ადვილი მისახვედრია, რომ მისმა შანტაჟმა იმუშავა.

უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა, მ.ხომერიკის საჩივრის განცხადება, ისტორიის ფაკულტეტის ხელმძღვანელობას განმეორებული რეცენზიისთვის 29 აგვისტოს თარიღით, ანუ კარგად გაცნობის შემდეგ, ისე გადაუგზავნა, რომ ჩემთან გასაუბრებაც არ ისურვა. მან ამით, ნებსით, თუ უნებლიედ ჩემი წიგნის მაღალ მეცნიერულ დონეზე შემფასებელი პუბლიკაციების ავტორთა, ისტორიის ფაკულტეტის ხელმძღვანელობის მიერ გამოყოფილი ადრინდელი ექსპერტისა და სამეცნიერო საბჭოს დადებითი დასკვნები ეჭვის ქვეშ დააყენა და გადასაკონტროლებელი გახდა, ნაცვლად იმისა, რომ ჩემთვისაც მოესმინა და მ.ხომერიკის აღნიშნული პასკვილის საჯარო განხილვის რეკომენდაცია გამოეთქვა. ბატონმა რექტორმა რატომ აირჩია მოკლე გზა, ადვილი მისახვედრია... მაგრამ მას რომ ჩემთვისაც მოესმინა, იმ შემთხვევაში, მ.ხომერიკის რეცენზიის სიყალბეებს საწინააღმდეგო საარქივო წყაროების საფუძველზე აუხსნიდი და ამის შემდეგ მომდევნო წყლის ნაყვა (სპეციალური სხდომა, მ.ხომერიკის სიყალბეების ხელახლად გამოქვეყნება, ჩემი და სხვათა პასუხები, სასამართლო პროცესი, ჩემი საპასუხო პუბლიკაციები და მათ შორის ამგვარი წიგნიც) არ გახდება საჭირო, რადგან ჩვენი პაექრობით ყველა კითხვა, იმთავითვე ბოლომდე გაირკვეოდა.

ფაკულტეტის ხელმძღვანელებმა, რექტორის მიწერილობის (რეზოლუციის) თანახმად, თავის მხრივ ახალი, მეორადი ექსპერტი

(საქართველოს ისტორიის კათედრის წევრები – პროფ.დიდმიტრი შველიძე, პროფ. ნიკო ჯავახიშვილი და დოცენტი ბონდო კუპატაძე) დანიშნეს. ხელახლად გამოყოფილ, მეორადი ექსპერტების წევრებს ვიდრე ისინი დაკისრებულ მოვალეობას შეუდგებოდნენ ობოექტურობის დაცვის მიზნით განვუცხადე: „მ.ხომერიკი მიზანდასახულად აყალბებს რეალურ ისტორიას და მ.ჯავახიშვილის ცხოვრებისეულ პერიპეტიებს და ჩეკას აგენტად აცხადებს მას, ამიტომ საჭიროა საფუძვიანად გაეცნოთ არამარტო მის ე.წ. „რეცენზიას“, არამედ დიდი მწერლის გაყალბების მიზნით გამოქვეყნებულ მის ადრეულ პუბლიკაციებსაც, აგრეთვე მათ საწინააღმდეგო ჩემს ნაშრომებს რაიმე გაურკვევლობა-გაუგებრობის შემთღხვევაში დაგვიკავშირდით მეც და მ.ხომერიკსაც, კარგდ გაარკვიეთ სადაო საკითხები და მხოლოდ ამის შემდეგ დაწერეთ თქვენი დასკვნა. ახალმა „ექსპერტებმა“, ეტყობა ახალი კონიუნქტურა ამოიცნეს, ან იქნებ კიდეც გაიკითხეს. მათ ადრინდელი სპეციალისტების მიერ გამოქვეყნებული და გამოთქმული ჩემი პრემიაზე წარდგენილი მონოგრაფიის მხარდამჭერ სპეციალისტთა აზრები, აგრეთვე თსუ ისტორიის ფაკულტეტის პირველადი ექსპერტისა და სამეცნიერო საბჭოს მაღალი შეფასებები, მნიშვნელოვნად უგულებელყვეს და მ.ხომერიკის „რეცენზიაში“ შეტანილ, ადვილად შესამჩნევ, მ.ჯავახიშვილის დამამცირებელ ფაქტებს გვერდი აუარეს. ექსპერტების მხრივ ეს იყო სრულიად გაუმართლებელი საქციელი, მსუბუქად რომ ითქვას შეცდომა. ამ „ექსპერტებმა“ მრავალთაგან უმაღლეს დონეზე შეფასებული, უკვე ექსპერტგავლილ და ისტორიის ფაკულტეტის საბჭოს მიერ შექებულ ჩემს მონოგრაფიას მისცეს ახლებური სრულიად ტენდენციური და სუბიექტური ხასიათის შეფასება, მაშინ როცა მას არავითარ შემთხვევაში არ სჭირდებოდა გადამოწმება მეორადი, დაკვალიანებული და არაკომპეტენტური „ექსპერტიზით“. ეს შეიძლებოდა მხოლოდ ყოფილიყო საჯარო პაექრობის პრეროგატივა. მოსალოდნელი „გაუგებრობა“ წინასწარ განვსჭვრიტე. ამიტომ, როგორც უკვე ვთქვი, ობიექტურობის დაცვის მიზნით მეორადი ექსპერტ-რეცენზენტები თავიდანვე საგანგებოდ გავაფრთხილე, რომ მ.ხომერიკის მთავარი მიზანდასახულობაა მ.ჯავახიშვილის

გაყალბება, ჩეკას და ბერიას დამსმენ აგენტად გასაღება... და მომავალ საუნივერსიტეტო კონკურსში ჩემი წარმატების გამორიცხვა. იგი იმუქრება, ილანძღება და ობიექტურ მკვლევარად ინიღბება. ჩემთვის კარგად ნაცნობ ორ მათგანს (პროფესორებს დ.შველიძეს და პროფ. ნ.ჯავახიშვილს) ვურჩიე: „საჭიროა გაეცნოთ მ.ჯავახიშვილის შესახებ მ.ხომერიკის ყველა სიყალბეს და ჩემს ყველა საწინააღმდეგო აზრს. აღმოცენებული გაუგებრობების შემთხვევაში თქვენთვის საჭირო კითხვებით მოგვმართეთ მეც და მ.ხომერიკსაც, მხოლოდ ამის მერე დაწერეთ დასკვნა".

„ექსპერტებმა" ჩემთვის გასაგები, არასაპატიო მიზეზით, „ოქროს" გამოსავალი გამოძებნეს, ჩემი წიგნის ღირსებებს მნიშვნელოვნად წაუყრუეს, ხოლო მ.ხომერიკის „რეცენზია"-პასკვილი, ისე როგორც ჩემი მონოგრაფია, მეცნიერულ გამოკვლევად შეაფასეს.

ჩემი წინამდებარე წიგნის მიზანდასახულობის სრულყოფილი გაგებისათვის საჭირო ხდება იმ ხელოვნური წინაღობა-დაბრკოლებების დამატებითი სრული წარმოჩენა, რომლებმაც გამოიწვიეს დიდი მწერლისა და საუკეთესო მამულიშვილის ჩეკისტურად ნამართავი ბედისწერის სრული სიმართლით გაშუქების გართულება. ამის კიდევ ერთი მთავარი მაჩვენებელია „ექსპერტების" არაობიექტური დასკვნა, რომლიდანაც ჩანს, რომ მ.ჯავახიშვილის მიმართ თავისი ბოროტი აზრების რეალიზაციის დროს, მ.ხომერიკი აქტიურად იყენებს მხარდამჭერებს, რომ მას კონიუნქტურულ-„დიპლომატიური" მიზანდასახულობით მფარველობდნენ. ჯერ კიდევ 2003 წელს გამოვლინდა, რომ მან, აღნიშნული ანტიმეცნიერული ვირუსის გავრცელებაც მოახერხა. ამ ვირუსით მას შემდეგ მხოლოდ მ.ხომერიკი არ აღმოჩნდა შეპყრობილი. მას გვერდში დაუდგნენ მისი მენტალიტეტის, მეტ-ნაკლებად, მსგავსი მენტალიტეტის წარმომჩენი მხარდამჭერები, მათ შორის განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდნენ ე.წ. „ექსპერტები", რომელთაც ჯერ კიდევ 2003 წელს შეეძლოთ ზღვარი დაედოთ მ.ხომერიკის მიზნობრივი სიყალბეებისთვის, მაგრამ პირიქით მოიქცნენ. მათ რეცენზიაში ხომერიკისეულად შეფასდა დიდი მწერალი და ეროვნული პატრიოტი. „ექსპერტებმა" თავს იდეს ფაქტებისა და წყაროების მ.ხომერიკისეულად გაყალბებული ინტერპრეტაციებითა და კონცეფციით გაშუქება და მისეულად

წარმოაჩინეს მ.ჯავახიშვილის ცხოვრებისეული პერიპეტიების ჩეკისტურ-ხომერიკისეული ისტორია. „დელიკატურად“, მაგრამ კონიუნქტურის შესაბამისი დიპლომატიურობით აუარეს გვერდი სიმართლეს და მის დაფიქსირებას. ისინი თავიანთ კოლექტიურ რეცენზიაში წერენ:

„1. ...არცერთი მოკამათე მკვლევარის მიერ წამოყენებული კონცეფცია არ არის ისეთი, რომ გარკვეული საფუძველი არ გააჩნდეს...“ (ეს სწორია, მაგრამ აქსიომა არ არის. ჩვენი კონცეფციები ალტერნატიულია. მ.ხომერიკის კონცეფცია მიზნობრივად მცდარია, ჩემი კი, მეცნიერულია - გ.ც.).

„2. ...ორივე მოდავე მხარის – ქ-ნ მანანა ხომერიკის და ბ-ნ გიორგი ციციშვილის მიერ წამოყენებულია ორი მეცნიერული თვალსაზრისი...“ (მაშასადამე, ხომერიკის მიერ წამოყენებული ყალბი თვალსაზრისი მეცნიერულია?! ეს სიყალბეა – გ.ც.).

„5. ...ჩვენ ვერცერთ (ანუ ვერც გ.ციციშვილის და ვერც მ.ხომერიკის – გ.ც.) ნაშრომს ვერ დავწამებთ არა მეცნიერულობას და არაობიექტურობას...“ (ეს აზრი ხომერიკის მიმართ კომფორმისტულია – გ.ც.).

„7. ...დავასკვნით, რომ საქმე გვაქვს... მეცნიერულ კამათთან, ორივე მხრიდან ჩატარებულია საკმაოდ მნიშვნელოვანი და შრომატევადი კვლევა...“ (სინამდვილეში მ.ხომერიკის კვლევა ტენდენციურია და პასკვილურია – გ.ც.).

ავტორთა კოლექტივი დ.შველიძე, ნ.ჯავახიშვილი, ბ.კუპატაძე (იხ. „...ავტორთა კოლექტივის <u>დასკვნა</u>“, გვ.17-18).

სინამდვილეში როგორც ქვემოთ რ.კვერენჩხილაძისა და ჩემი საწინააღმდეგო პუბლიკაციებით ნახავთ, მისი აზრები ყალბია, მაგრამ მ.ხომერიკი მათ 2008 წელს გამოქვეყნებულ წიგნშიც იმეორებს (იხ. გვ.3-62).

მ.ხომერიკი, როგორც ერთხელ უკვე ითქვა, მ.ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების გაბუაბრუება-გაყალბების მიზნით, თსუ რექტორისა და სხვა მრავალისთვის მირთმეულ, ჩემი მონოგრაფიის სარეცენზიო წიგნში იყენებს ჩემს დამამცირებელსა და სალანძღავ სიტყვებს: თითქოს მე მის მიმართ ვავლენ „ცილისწამებასა“ (იხ. გვ.3, 4, 14, 15, 19, 43) და „მეცნიერულ არაკეთილსინდისიერებას“ (გვ.3);

თითქოს ფაქტებს ჩემს სასარგებლოდ „ვმალავ“ (გვ.7, 28), „ვაყალბებ“ (გვ.7, 10), „ვთაღლითობ“ (გვ.8), „ვცრუობ“ (გვ. 10, 22, 31); მ.ხომერიკის მიმართ „არაობიექტურობას“ ვავლენ (გვ.20), ჩემთვის არასასურველ ფაქტებს „უკვალოდ ვაქრობ“ (გვ.23), ჩავდივარ „დანაშაულს“ (გვ.23), „მკითხველს ვაწვდი ყალბ დასკვნას“ (გვ.28), მ.ხომერიკს „პლაგიატორობას ვაბრალებ“ (გვ.31), მასთან მიმართებაში ვსვამ „უაზრო შეკითხვებს“ (გვ.31), ვავლენ „წივილ-კივილს“ და „აშკარა ისტერიკას“ (გვ.32, 43), მისი კვლევის შეფასების დროს, აგრეთვე, ვავლენ „აბდაუბდას“ (გვ.33), ფაქტებს „ვამახინჯებ“ (გვ.43), მახასიათებს მცდარი ფაქტების „მოზაიკის შედგენა“ (გვ.44) და მცდარი ფაქტების „აკვიატება“ (გვ.53), ხოლო მეცნიერული მტკიცებულობების ნაცვლად „დემაგოგია“ (გვ.59) და სხვ. „ექსპერტები“ უსინდისოდ ტყუიან, მაბრალებენ, რომ თითქოს მ.ხომერიკის მიმართ მსგავსი დამამცირებელი სიტყვები, მათ მიერ შეფასებულ ჩემს წიგნშიც იძებნებოდეს. იმთავითვე იყო ნათელი რომ მ.ხომერიკის ეს შეფასებები იყო არაობიექტური. ახლა კი, წინამდებარე წიგნში, მეტი დამაჯერებლობით ცხადდება, რომ ხომერიკისეულად წარმოჩენილი ყველა ჩამოთვლილი ტყუილია, მე ვამხელდი მ.ხომერიკის მიერ მ.ჯავახიშვილის ჩეკისტურად გაყალბებულ ცხოვრებისეული პერიპეტიების კონცეფციასა და წყაროების მისეულ ინტერპრეტაციებს. მაგრამ მისგან განსხვავებით, შეურაცყოფის მცდელობაც კი არ მიფიქრია. დიახ, ასეთის მცდელობა მ.ხომერიკის მიერ რეცენზირებულ 2003 წელს გამოქვეყნებულ ჩემს მონოგრაფიაში არ იძებნება. მაგრამ მ.ხომერიკის დამქაში „ექსპერტების“ რეცენზიაში მ.ხომერიკი ამის გამო მხილებული როდია. „ექსპერტები“ აღნიშნულის გამო წერენ: „საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოკამათე მხარეები არაკორექტულნი არიან ერთმანეთის მიმართ, ხშირად არღვევენ მეცნიერულ ეთიკას (?! – გ.ც.), ათასგვარი იარლიყებით და ზედწოდებებით მიმართავენ ურთიერთს და ერთმანეთის ადამიანურ-ფსიქოლოგიურ თვისებებსაც არაიშვიათად ახასიათებენ...“ (?! – გ.ც. იხ. „დასკვა“, გვ.18) ეს გამონათქვამი ჩემი, - მ.ხომერიკისა და „ექსპერტების“ მიერ რეცენზირებული წიგნის მიმართ, არა მარტო ტყუილია, არამედ დანაშაულია. მ.ხომერიკის და „ექსპერტების“ მიერ

ვითომ რეცენზირებულ ჩემს წიგნში მსგავსი შეურაცხმყოფელი სიტყვები არ მიხმარია. ვეცადე მ.ხომერიკის მიერ მ.ჯავახიშვილის შეფასებისათვის სწორი განმარტებები მიმეცა. ზოგჯერ მ.ხომერიკის წიგნში წარმოჩენილი მისი სწორი პოზიციის გამო კიდეც ვაქებ, ხოლო მის მოწინააღმდეგეს ზოგჯერ კიდეც ვამხელ. ამ დროს მ.ხომერიკის მიერ „რეცენზიაში“ ჩემს მიმართ გამოთქმული 25-ზე მეტი სალანძღავის მსგავსი სიტყვები ერთხელაც არ მიხმარია. ეს იმიტომ, რომ მათ მიერ რეცენზირებული ჩემი მონოგრაფია მიზნად ისახავდა ისტორიის რეალური სიმართლის საფუძველზე მ.ჯავახიშვილის და ი.ლისაშვილის შთამომავალთა და მხარდამჭერების შერიგებას (იხ. ჩემი, „რეცენზირებული“ მონოგრაფიის გვ.386, 387-390). მაგრამ, თურმე იმჟამად შემვმცდარვარ...

რატომ იტყუებიან ექსპერტები, როცა მაიგივებენ ხომერიკთან, თუ დაინტერესბულები არ არიან?! დიახ, დაინტერესებულები არიან... ექსპერტების ფარული მიზანი ადვილი ასახსნელია. მათ უნდათ, ამ და ზოგი სხვა ფანდებით გაამართლონ მავანის დაკვეთა. ისინი შეეცადნენ ჩემი სარეცენზიო მონოგრაფიის დაკნინებას და მოკამათე მხარეებთან შედარებით თავიანთი კომპეტენტურობის გაზვიადებას, მაგრამ ამით მათ თეთრი წარმოადგინეს შავად, შავი კი, თეთრად. მ.ხომერიკისა და მისი რეცენზენტების უბედურება იმაშია, რომ ჩემი ნაშრომის შეფასების დროს გამოთქმული ყველა ეს მათი ყალბი პრეტენზია, ეგონათ, რომ უმტკივნეულოდ შერჩებოდათ.

მ.ხომერიკის მოქმედების მოტივაცია მკითხველისათვის ალბათ მისახვედრია, მაგრამ „ექსპერტები“ რამ აცდუნა? რატომ მოხდა ის რომ ისინი მ.ხომერიკის მიერ ჩემ მიმართ გამოქვეყნებულ 24 „შენიშნიდან“ თუნდაც არაობიექტურად რეაგირებდნენ მხოლოდ 23 „შენიშვნაზე“ და საერთოდ გვერდს უვლიან იმ ფაქტს, რომ მ.ხომერიკი დიდ მწერალსა და საუკეთესო მამულიშვილს, მისი „რეცენზიის“ „დანართში“ (იხ. გვ.63-66) აშუქებს ჩეკას დამსმენად, ხოლო კერძო საუბრებსა და საჯაროდ, მ.ჯავახიშვილს აცხადებს ჩეკას აგენტად. ადვილი მისახვედრია ის, თუ „ექსპერტები“ რატომ მალავენ, იმას, რომ მ.ხომერიკის „რეცენზია“ პასკვილია და არა „მეცნიერული ნაშრომი“. გასაგებია, რომ ჩემ მიერ პრემიაზე

წარდგენილი წიგნის ჩაგდება სხვაგვარად არ მოხერხდებოდა და მათი „ექსპერტობის“ იდუმალი აზრებიც სწორედ ამაშია.

არის კიდევ ერთი ფაქტი, რომელსაც ვერ გაექცევა მ.ჯავახიშვილის ხელნაწერი განცხადების ვერცერთი თვითმხილველი, მათ შორის მ.ხომერიკი. და აი, რატომ: მ.ხომერიკი აღიარებს, რომ მას მ.ჯავახიშვილის საქმე და მასში მე-16-49-ე გვერდებზე დართული მწერლის ხელნაწერი ნანახი აქვს დედანში, ჯერ 1990 წელს ჩეკას არქივში... მან ეს აბსურდული შინაარსის, შემზარავი ხელნაწერი- განცხადება გადმოწერა და თავის პასკვილში ბეჭდური რუსული შრიფტით თავისი ყალბი კონცეფციის შესაბამისად გამოაქვეყნა. ამ დროს, მან ტექსტის სისწორე ვითომ დაიცვა, მაგრამ აქაც იცუღლუტა...

მ.ხომერიკი წერს: „ნაცემი ადამიანი 34 გვერდიან განცხადებას ვერ დაწერდაო“. ისე გამოიყავანა თითქოს ჩეკას მიერ ნაწამები პატიმრის იძულებით ნაწერ აბსურდებში სიმართლე არა ჩანს და თითქოს მ.ჯავახიშვილის 21 აგვისტოს დაკითხვისა და ორჯერადი ცემით გამოძალულ 34 ფურცლიან განცხადებაში ყველაფერი მ.ჯავახიშვილისეულია, და თითქოს დაკითხვის ოქმზე ხელის მოწერა, ან ჩეკისტური ძიებისთვის სასურველი განცხადების გამოძალვა უსათუოდ ცემისთანავე ხდებოდა. სინამდვილეში, როგორც ჩეკისტური აღიარების გამოძალვის მეთოდების დროს გავეცანით, პატიმრის დასამორჩილებლად, ცემა და წამების სხვა მეთოდები გამოიყენებოდა მის მიმართ ძიების მიზანდასახულობით წაყენებული ბრალეულობისადმი წინააღმდეგობის გასატეხად. აღიარების „გაფორმება“ კი, შეიძლებოდა მომხდარიყო წინასწარ, იმავდროულადაც და პატიმრის დამორჩილების შემდეგაც. როგორც ადრე ვნახეთ, პატიმრებს ცემდნენ და აწამებდნენ მათგან აღიარების მოპოების მერეც. მაშასადმე, მათ ცემდნენ დამატებითი ახალი აღიარებების გამოძალვის მიზნით. ასევე მოექცნენ მ.ჯავახიშვილსაც. ამ დროს კონკრეტული მაგალითით არა ჩანს, ხელნაწერის დედანი „განმარტებების“ გამოძალვის დროს რატომ გაუმეორეს ცემა, მაგრამ სავარაუდოა, რომ მოსთხოვეს მისთვის ყველაზე შეურაცხმყოფელის აღიარება.

მ.ხომერიკმა და მისმა მფარველმა ექსპერტ-„რეცენზენტებმა“ დილეტანტ მკითხველს აარიდეს ის ფაქტი, რომელიც მოწმობს, რომ ბერიას ბრძანებით განხორციელებული ორჯერადი ცემით ძიებამ მ.ჯავახიშვილისგან მოიპოვა აბსურდულ აღიარებათა „განმარტებები“, რომლებიც გამომძიებლის თანაშემწეს გასაფორმებლად და არა ხელმოსაწერად გადაეცა. მან გამომძიებლის თანაშემწე-გამფორმებლის იმ ჩვენებასაც მიზნობრივად აუარა გვერდი სადაც იგი აღიარებს, რომ მ.ჯავახიშვილისგან ორჯერადი ცემით გამოძალული განმარტებებმა დააეჭვა, რადგან ისინი სიმართლეს არ შეესაბამებოდნენ. ეს გამფორმებელი იმასაც აცხადებს, რომ მასთან გადაადგილების უნარმოკლებულ და ბადრაგის მიერ მიყვანილ მ.ჯავახიშვილს აღარაფერი გაუპროტესტებია. რა დარჩა გაუგებარი? ხომ არ დაწერდა ყალბი ხელნაწერი მე ვუკარნახეო, თუ გადავაწერინეო?!

მ.ხომერიკმა ისიც დამალა, რომ ხელნაწერი განცხადება მ.ჯავახიშვილის მიერ დაპატიმრებამდე დაწერილს არაფრით არა ჰგავს, რადგან აქ ნათლად ჩანს რეპრესირებული ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა და ხელწერა. სავარაუდოა, რომ მ.ჯავახიშვილი აიძულეს მისი დამორჩილების შემდეგ საკუთარი ხელით გადაეკეთებინა ჩეკას სამძებროს ტვინების მიერ შეთითხნილი განმარტებები, თუ ფუტლიარი-ჩვენება, და ამავე დროს გამფორმებელის დახმარებით ანუ კარნახით ჩაესწორებინა. ამის შემდეგ ეს ნაწვალები ხელნაწერი მისგან მოპოვებული, შინაგან საქმეთა კომისრის, გოგლიძის სახელზე დაწერილი იურიდიული ძალის მქონე ხელნაწერ ჩვენებად გასაღდა. მსგავსი ჩეკისტური ფანდები, როგორც მომდევნო IV და სხვა თავში ვნახავთ, ფართოდ გამოიყენებოდა, მათ შორის ბ.ჭიჭინაძის, ს.ქავთარაძის, ს.ყაუხჩიშვილის, გ.მახარაძის, ი.დარჩიას, ლ.ქორქაშვილისა და სხვათა მიმართ.

„ექსპერტების“ ეს, „დასკვნა“ სადაო პრობლემასთან მიმართებაში, ხომ ტყუილია, მაგრამ ისე მოხდა, რომ ამ დადგმული სპექტაკლის დროს კიდევ უფრო ნათლად გამოვლინდა მ.ხომერიკის სულისკვეთება მ.ჯავახიშვილის ჩეკისტად მტკიცებისა და ჩემი მეცნიერული მიგნების ღირებულებების დამცირების მცდელობა.

მოგვიანებით, როგორც ზემოთ უკვე ვთქვი და ქვემოთაც მოგახსენებთ, ისიც გამოვლინდა, რომ ჩემი დარიგების მიუხედავად ამ „ექსპერტებად“ წოდებულებიდან ყველა თუ არა, ორი მათგანი მაინც, ჩემს წინაღმდეგ „დიპლომატური მოსაზრებით“ შეეკრა მ.ჯავახიშვილის გამყალბებელს.

მ.ხომერიკის ბოროტი პროპაგანდის გამოვლინება საგნობრივად არის დაფიქსირებული ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორის მიერ ჩატარებულ 2003 წლის 3 ნოემბრის სხდომისა და თსუ ისტორიის ფაკულტეტის საქართველოს პოლიტიკური პარტიების სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ა.წ. 12 ნოემბრის ოქმებში. ამ სხდომებზე სპეციალურად, დამატებით იმსჯელეს ჩემს ერთ-ერთ, მ.ხომერიკის მიერ „რეცენზირებულ” წიგნზე, რომელიც ეროვნული მოძრაობის 1921-1923 წლების ისტორიის და მ.ჯავახიშვილის ცხოვრებისეული პერიპეტიების სიმართლით გაშუქებას მიეძღვნა და აგრეთვე, მის შემფასებელ მეორადი „ექსპერტის“ რეცენზიის შესახებ. 3 ნოემბრის სხდომაზე ჩემი წიგნის შესახებ თავდაპირველმა რეცენზენტმა და დამსწრე მეცნიერებმა კვლავ გამოთქვეს უაღრესად მაღალი შეფასება. მეორადი ექსპერტები კი, სამივე ენაჩავარდნილი უსმენდა მათ საწინააღმდეგო, ჩემსა და სხვათა ობიექტურ მოსაზრებებს. ეს რომ ასეა შესაბამისი ოქმიდან ჩანს.

უნივერსიტეტის პრორექტორთან ორგანიზებულ 3 ნოემბრის სხდომაზე მოისმინეს პირველადი ექსპერტ-რეცენზენტებისა და დამსწრე მეცნიერთა (აკად. მ.ლორთქიფანიძის, დოც. ე.კოპალიანის დოც. რ.ჯამრიშვილის...) პოზიტიური აზრები. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სწავლულმა მდივანმა, დოც. ე.კოპალიანმა აღნიშნა, რომ: „საექსპერტო კომისიის შემაჯამებელ დასკვნაში... უნდა ასახულიყო აზრი... (24 პუნქტის) სამართლიანობის ან არაობიექტურობის თაობაზე და ეს დაფიქსირებულიყო ცალსახად“. ეს იყო უაღრესად სწორი შენიშვნა. პროფ. მ.ლორთქიფანიძემ განაცხადა: „პროფ. გ.ციციშვილის წიგნი ნამდვილად არის მაღალმეცნიერული გამოკვლევა და უთუოდ იმსახურებს ივანე ჯავახიშვილის პრემიის მოსაპოებლად წარდგენას“. აქ აგრეთვე ითქვა: „ჩვენ არ ძალგვიძს ახლა მ.ხომერიკის დავის გადაჭრა. ამას

სჭირდება დამატებითი სამუშაოების ჩატარება“ (ფურც.2). დოცენტმა რევაზ ჯამრიშვილმა სხდომის მონაწილეებს მიაწოდა უაღრესად საყურადღებო ინფორმაცია: „მ.ხომერიკი პრფ. ციციშვილის წიგნის გამოქვეყნების შემდეგ მოვიდა ჩვენს ლაბორატორიაში და ლაბორანტ ნ.კიკნაძის თანდასწრებით თქვა, რომ თითქოს მიხეილ ჯავახიშვილი მისი მეზობელი ჩეკისტის სამართლიანი მტკიცებით იყო ჩეკას აგენტი, მეტსახელად „არსენა“ (ფურც. 2). ამას ხომ ვერავინ გაექცევა! ამ ოქმის გამფორმებელ-მდივანი გახლდათ „ექსპერტ“-რეცენზენტის თანამოაზრე პროფ. ვახტანგ გურული, რომელსაც აქ ხმა არ ამოუღია. რვა წლის შემდეგ კი, მან ჩემი მეცნიერულად დასაბუთებული ზოგი აზრის მიმართ თავისი ასპირანტ-დოქტორანტის მცდარად დაკვალიანებით გამოავლინა თავისი მზაკვრობა. მან თავისი გულნადების რეალიზაცია იმით გამოხატა, რომ მისი ხელმძღვანელობითა და თავისი დოსტის, დიმიტრი შველიძის „მეცნიერული“ რეცენზენტობით გამოქვეყნებული დოქტორანტის წიგნში ჩასდეს „ექსპერტების“ ის მცდარი დებულებები, რომლებიც საგნობრივად მქონდა გაკრიტიკებული ჯერ კიდევ 2005-2007 წლებში. მაგრამ თავიანთ აღსაზრდელს ის კი არ ათქმევინეს, რომ დავასაბუთე მათი უსაფუძვლობა (ამის გამო გამოქვეყნდა ჩემი უპასუხოდ დარჩენილი საგაზეთო გამოხმაურება – გ.ციციშვილი, კმარა ისტორიის პროფანაცია. იხ. გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 2013, 3 აპრილი).

ახლა, ისევ, 2003 წელს, თსუ პრორექტორთან ჩატარებულ სხდომას ვუბრუნდები: ისტორიის ფაკულტეტის დეკანმა პროფ. მ.ვაჩნაძემ აქვე, ოფიციალურად განმარტა, „რომ მასთან მივიდა მ.ხომერიკი. მან მოსთხოვა სხდომის ოქმი და ამავე დროს განაცხადა, რომ პროფ. გოგი ციციშვილს უნდა უჩივლოს სტრასბურგის სასამართლოში. ამიტომაც საჭიროა სადაო საკითხის მიმართ უაღრესად ყურადღებიანი დამოკიდებულება“ (ფურც. 3). მ.ხომერიკის ეს განცხადება ცხადია, რომ იყო შანტაჟი და ამავე დროს, არა მარტო ჩემს მიმართ. ამაზე ადრე, დეკანმა არაოფიციალურად, ხუმრობით, ისიც სთქვა: „მალე ყველას სტრასბურგში მოგვიწევს გამგზავრებაო“. აქედან კარგად ჩანს, რომ მ.ხომერიკს სხვების და მათ შორის დეკანის დაშანტაჟებაც თავიდანვე განუზრახავს და

კიდეც არაერთხელ უცდია. როგორც ჩანს მ.ხომერიკის შანტაჟმა ზოგის მიმართ მაგრად იმუშავა...

ოქმში დაფიქსირებული დოცენტ რ.ჯამრიშვილის აზრის შესახებ, მ.ხომერიკი თავის 19 ნოემბრის საპასუხო განცხდებაში უნივერსიტეტის რექტორის, პრორექტორის და სხვათა მიმართ, წერს: „დიდი მწერლის, მიხეილ ჯავახიშვილის ავტორიტეტს ამოფარებული გ.ციციშვილის მთავარი არგუმენტებია ჭორები (?! – გ.ც.) და ჩემი დასმენა (?! – გ.ც.), რაშიც მას გვერდს უმშვენებს დოც. რ.ჯამრიშვილი (?! – გ.ც.), ოქმიდან შევიტყვე, რომ თსუ-ში არსებობს ლაბორატორია, რომელსაც სხვაგვარად ვერ უწოდებთ, თუ არა „ჯაშუშობის ლაბორატორიას“ (?! – გ.ც.). მის ხელმძღვანელ რ.ჯამრიშვილს უკანონოდ ჩაუტარებია ჩემი დაკითხვა (?! – გ.ც.), რის შესახებაც მე გაფრთხილებული არ ვიყავი. ახლა კი რ.ჯამრიშვილი გ.ციციშვილთან ერთად მასმენს“ (ფურც. 2). აქედან დამატებით ჩანს, რომ მ.ხომერიკი კარგად ვერ არის, იგი პირადად, თვითონვე ადასტურებს, რომ ჯერ ერთი – ვიღაც „მეზობელი ჩეკისტის“ ნათქვამზე დაყრდნობით, მ.ჯავახიშვილს „აცხადებს”, დიახ აცხადებს „ჩეკას აგენტ-არსენად”. მეორე - დალოცვილი, იმას კი არ ამბობს, რომ იგი ამ ვითომ „ჯაშუშობის“ ლაბორატორიის გამგეს მის მიერ განქიქებული ჩემი წიგნის ერთ-ერთ მაქებარი რეცენზიის თანაავტორსა და პირველად ექსპერტს ესტუმრა დაუპატიჟებლად და გადასაბირებლად. თანაც იგი არც არავის მიუწვევია და მითუმეტეს ენაზე არავინ ექაჩებოდა, მაგრამ თავისი გულისნადები ვერ დამალა და უკვე, კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ „მ.ჯავახიშვილი... იყო ჩეკას აგენტი, მეტსახელად „არსენა“. ამას ლაბორატორიის ხელმძღვანელთან ერთად, აქ დამსწრე ლაბორანტი, ქალბატონი ნანა კიკნაძეც ესწრებოდა, რომელმაც სათანადო ოქმი ხელმოწერითაც დაადასტურა.

მ.ხომერიკმა შეუფასებლად არც სხვა აზრი დატოვა. იგი წერს: „გაკვირვებას იწვევს... გამოთქმული „ჩვენ არ ძალგვიძს ახლა მ.ხომერიკის დავის გადაჭრა. ამას სჭირდება დამატებითი სამუშაოების ჩატარება...“ თუ ჩვენი მეცნიერები ხელს აწერენ თავიანთ უუნარობაზე (? – გ.ც.), მაშინ მე იძულებული ვხდები, ვთარგმნო საჭირო მასალები ამ სამარცხვინო ოქმთან ერთად და

მივმართო უცხოელ ექსპერტებს, ასევე როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ინსტიტუტებს...“ (ფურც.3). ისევ შანტაჟი! ჯერ ერთი, მან ვითომ ვერ გაიგო, რომ ლაპარაკი იყო კონკრეტულად სხდომაზე დავის გადაჭრის შესახებ და მეორე, ეს იყო მ.ხომერიკისეული მორიგი შანტაჟი. მას სხვაგვარად არ შეუძლია. მეორად „ექსპერტებს“, როგორც ექსპერტ-რეცენზენტებს უთუოდ ევალებოდათ კონკრეტული შეფასებები წერილობით დაეფიქსირებინათ ჩეკას პატიმარი, ბერიას ბრძანებითა და ორჯერადი ცემით გამოძალული ხელნაწერი განცხადება – ჩვენებისა, თუ მ.ხომერიკის მიერ მიზნობრივად გაყალბებული მ.ჯავახიშვილისა და ჩემს მიერ გამომჟღავნებული ფაქტი. მაგრამ ისინი დღემდე ინარჩუნებენ გამყალბებლის მენტორის სახეს. ამით მეორადი „ექსპერტის“ წევრებს თავი ისე მოაქვთ, თითქოს უცოდველები არიან, თითქოს შეიძლებოდეს კლასიკოსი მწერლისა და დიდი მამულიშვილის ცხოვრებისეული პერიპეტიების გამყალბებლის სტიმულირებაში მათი წვლილის მუდმივად დამალვა.

აქ ისიც სათქმელია, რომ მ.ჯავახიშვილის ქალიშვილი, ამ დროს ჯანმრთელობა შელახული ქალბატონი რუსუდანი თვალს მუდმივი, ფხიზელი ყურადღებით ადევნებდა უნივერსიტეტის ისტორიკოსთა მიერ, მამის გარშემო გამოთქმულ აზრებს, ხარობდა როცა ისინი სიმართლეს უჭერდნენ მხარს. მაგრამ როცა იგი მეორადი „„ექსპერტების“ რეცენზიას და მის დასკვნებს გაეცნო საგონებელში ჩავარდა და კლასიკოსი მამის დაცვის თხოვნით მიმართა იმდროინდელ მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს და უნივერსიტეტის რექტორს, მაგრამ მათგანაც ვერ მიიღო საჭირო მხარდაჭერა. ქალბატონი რუსუდანი ამა ქვეყნიდან ისე წავიდა, რომ მისი უდანაშაულოდ დახვრეტილი და უსამართლოდ გალანძღული მამის სრული მორალური რეაბილიტაცია ვერ იხილა. სწორედ მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა მავანთა წყალობითა, თუ აშკარა მხარდაჭერით სტიმულირებული, მ.ხომერიკის დანაშაულებრივი ბრალეულობების ყალბი აზრებითა და „უნიკალური დოკუმენტების“ ყალბი ინტერპრეტაციების საფუძველზე დაწერილი მ.ხომერიკის პასკვილური წიგნიცა და მისი ასეთივე საგაზეთო პუბლიკაციაც. რომელთა შთამაგონებლად და ენერგიის

წყაროდ მეორადი ექსპერტების დელიკატურობა და მათი ფარული წამქეზებლის „აკადემიურობა“ გამოავლინა.

მ.ხომერიკმა ჩემი პრემიაზე წარდგენილი წიგნის მეცნიერული ღირებულების კომპეტენტური, მცოდნე და ობიექტური მეცნიერები, ვერ გადაიბირა. ზემოთ აღნიშნულ სხდომებზე მ.ხომერიკისა და ექსპერტების ტენდენციურობა საფუძვლიანად ვამხილე.

მ.ხომერიკის საქციელთა გამო ლაბორატორიის სხდომას მოვთხოვე სპეციალური, საჯარო პაექრობის მოწყობა, მაგრამ ჩემი მოთხოვნა მიზეზთა გამო განუხორციელებელი დარჩა. ყოველივე, ზემოთ აღნიშნულის შემდეგ, გასაგები უნდა იყოს, რომ ექსპერტებისა და ზოგ სხვათა არაობიექტურობის გამო, მჯობნის მჯობნი გამოიძებნა და პრემიაც ვერ მივიღე. ამით წაქეზებულმა მ.ხომერიკმა მეორადი ექსპერტების მხარდაჭერა შემდეგ გამოქვეყნებული საგაზეთო წერილით „გაამაგრა“ და მისი პასკვილების მოწინააღმდეგე ცნობილ მკვლევარებთან, რ.კვერენჩხილაძესთან და ბ.არველაძესთან ერთად, მ.ჯავახიშვილის „თაღლით დამცველებად“ რევაზ კვერენჩხილაძეს მორიგი მცირე განმარტება ვეღარ უშველის, „ლიტერეტურული საქართველო“, 2003, 5-11 დეკემბერი; მისივე, და დიდი მწერლის მიმართ „დათვური სამსახურის გამწევად“ გამომაცხადა (იხ. მ.ხომერიკი, მიხეილ ჯავახიშვილს თაღლითი დამცველები დათვურ სამსახურს უწევენ, „მწერლის გაზეთი“, 2004, №21, 17-21 დეკემბერი). აი სადამდე მიიყვანა მ.ხომერიკი მის მიმართ ჩემი კოლეგებისა და სხვათა მართლაც დათვურმა სამსახურმა. მაგრამ მათი მხარდაჭერა მ.ხომერიკმა შემდეგშიც არაერთხელ თავისებურად გამოიყენა. „ექსპერტებს“ კი, იმის კაცობა არ ეყოთ, რომ მისი საქციელი საჯაროდ დაეგმოთ. პირიქით, მათ მ.ხომერიკი კიდევ უფრო წააქეზეს.

აღნიშნულის შემდეგ, მ.ხომერიკი 2005 წელს, ჩემს სამსახურში, ივ.ჯავახიშვილის უნივერსიტეტში, მაშინ გადამეყარა, როცა ჩემი წარუმატებლობით წაქეზებული, ახლა უკვე სასამართლოს უწყების გადმოცემისთვის მეძებდა. ჩვენი კამათი უნივერსიტეტის კადრების განყოფილების მრავალრიცხოვან თანამშრომლებიან ოთახში გაგრძელდა. აქ, კამათის დროს მისი მამხილებელი არგუმენტები საჯაროდ ჩამოვუყალიბე. ამით შერცხვენილმა მ.ხომერიკმა თავი ვერ

შეიკავა, ახლა უკვე დამკვალიანებლის ხსენება დაავიწყდა და ყველას გასაგონად წამოიყვირა: „მიხეილ ჯავახიშვილი ჩეკას აგენტი იყო!“ ამის გამო, ერთმა კადრების ახალგაზრდა, გაბედულმა მუშაკმა ქალიშვილმა, რომელიც ჩვენს პაექრობას სხვებივით, სულგანაბული უსმენდა, მიუგო: „მიხეილ ჯავახიშვილი ჩეკას აგენტი რომ ყოფილიყო არ დახვრეტდნენ!“ ეს არის ფაქტის შემდგომი საჯარო დადასტურება.

ჩემს მიერ ჩამოთვლი ფაქტები ცხადად მეტყველებენ, რომ მ.ხომერიკი მ.ჯავახიშვილს აცხადებს, დიახ აცხადებს ჩეკას აგენტ-„არსენად”. მ.ხომერიკმა აქ თავი რომ შეირცხვინა შემომაგინა, დიახ უზრდელი გამოთქმით შემაგინა და ისე გაიქცა, რომ უნივერსიტეტის კიბეზე კინაღამ ცხვირ-პირი დაიმტვრია... კიდევ კარგი რომ გადარჩა, თორემ რაიმე რომ მოსვლოდა, უთუოდ მე დამაბრალებდა...

მ.ხომერიკის მხრივ, ჩემს მიმართ შანტაჟი ამის მერეც არ შეწყვეტილა. ამას ისიც მოწმობს, რომ მან, ვითომ მისი და თავისი ბაბუის შეურაცყოფისთვის სასამართლოში, რომ მიჩივლა, სასამართლო სარჩელში შეიტანა ჩემ მიმართ გამოთქმული ყალბი ბრალეულობები და ასეთი პრეტენზიული განმარტებები: „...ვარ ჟურნალ „ბაგრანტოვანთა“ სარედაქციო კოლეგიის წევრი და „ბაგრატოვანთა სახლის“ თანამდგომი წევრი („დაუმშვენებია“ - გ.ც.), სოროპტომისტ (? – გ.ც.) ქალთა საერთაშორისო კლუბის წევრი და მდივანი, ქალთა კლუბ „I[5]“-ის (? – გ.ც.) დამფუძვნებელი წევრი. ჩემს პროფესიულ და საზოგადოებრივ საქმიანობას სერიოზული დაბრკოლება ექმნება ორი პირის მიერ ჩემი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო...

გიორგი ციციშვილი, ცილისწამებით ლახავს ჩემი გარდაცვლილი პაპის... საქმიან რეპუტაციის (სარჩელის ფურც. 1)...

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე... რევაზ კვერენჩხილაძისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ყალბი ცნობების უარყოფა... ასევე მოვითხოვ, რომ მათ ამინაზღაურონ ზარალი ორი ათასი ლარის ოდენობით (ფურც. 7)... მათ შორის მოიხსენია „კომპეტენტური ექსპერტთა ჯუფი“, რომლის მიერ „ძირითადად გაზიარებულიაო ჩემი არგუმენტები, თუმცა ზედმეტი ლმობიერებაა გამოჩენილი თავიანთი კოლეგის, გ.ციციშვილის

მიმართო“ (იხ. ფურც.3)... ეს არის ტყუილი. აქედან ჩანს, რომ მ.ხომერიკი სარჩელის გამართლების მიზნით ისევ თავის მფარველებს იმოწმებს. ამის საწინააღმდეგოდ, გადავწყვიტე მესარგებლა სასამართლო უწყისზე დართული, ჩემი უფლებებით, რომლებიც განმიმარტავენ: „თქვენ ვალდებული ხართ შეადგინოთ პასუხი (შესაგებელი) სარჩელისა... და მოსაზრებებთან ერთად, წარუდგინოთ ისინი სასამართლოს...

ა) ცნობთ თუ არა სარჩელს;

ბ) ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში... მესამე პირად;

გ) რომელი მოწმე უნდა იქნას გამოძახებული სასამართლო სხდომაზე;“

ამიტომ გადავწყვიტე მ.ხომერიკის მიერ თავის სასარგებლოდ გამოყენებული ე.წ. „კომპეტენტურ ექსპერტთა ჯგუფის“ შეწუხება და მათი ჩართვა სასამართლო პროცესში მონაწილეობისთვის. ისიც გავითვალისწინე, რომ ამ გადაწყვეტილებას თავდაცვად კი არ შემიფასებდნენ, არამედ თავდასხმად გამიყალბებდნენ. ამიტომ ჩემი მოქმედების მოტივის შესახებ განცხადებით ვაცნობე მათი კათედრის გამგეს, აკად. რ.მეტრეველს. განცხადებაში განვმარტე ის, რომ „...ექსპერტების მიმართ მთავარი პრეტენზია მაქვს იმის გამო, რომ, როგორც მ.ხომერიკიც აღნიშნავს, მათ მართებულად მიიჩნიეს მ.ხომერიკის ყველაზე საზიზღარი და ყალბი ბრალდება, რომლის მიხედვით, მ.ჯავახიშვილი იყო სამშობლოს და მეგობრების მოღალატე, ჩეკას აგენტი-„არსენა“. ამის გამო „ექსპერტის“ წევრებს შეეძლოთ აქამდე გამოეთქვათ საკუთარი, განსხვავებული აზრი, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ ასეთი არ გააჩნიათ. ამის გამო იძულებულს მხდიან ისინი ჩავრთო... „შეგებებულ სარჩელში... მოგმართავთ იმის გამო, რომ თქვენი კათედრის წევრი ექსპერტების მიმართ ჩემი დამოკიდებულება არ გახდეს გაუკუღმართებულად გაგებული. 5. III. 2005“. ამ განცხადების პასუხი სასამართლოს სხდომის ჩატარებამდე (9/VII-07წ.) არ მიმიღია და ისე მოხდა, რომ არც დამჭირვებია. როგორც წელიწადის და ექვსი თვის მერე გავერკვიე თურმე ჩემი განცხადება კათედრის გამგემ იმავე დღეს გააცნო ჩემი განცხადება კათედრაზე სახელდახელოდ მიწვეულ წევრებს. სხდომაზე ჩემი მიწვევა და ახსნა განმარტებაც საჭიროდ

არ ჩათვალეს. „ექსპერტებმა“ კი, თავიანთი ტენდენციური პასუხი ახლა კიდევ უფრო „დელიკატურად“, ანუ სინამდვილეში, უფრო ბინძურად მოახლაფორთეს, თავიანთი კათედრის გამგის, ანუ იგივე თსუ რექტორს გადასცეს და კათედრაზე განხილვის გარეშე, თავიანთ კათედრის გამგეს სანქციის გარეშე მ.ხომერიკს მიურბენინეს. ამ უკაანასკნელმა კი, იგი თავის „წერილებში“ უნივერსიტეტის კათედრის პროდუქციად გაასაღა (იხ. მ.ხომერიკი, წერილები, თბ.2006, გვ.288). მათი ამ კოოპერირებული ლაზათიანი, მაგრამ სინამდვილეში აუგი საქციელის შესახებ, მე არაფერი გამაგებინეს და ისე დამიმალეს, რომ მის შესახებ მხოლოდ წლინახევრის შედეგ გავიგე. როცა გავიგე, ამის გამო დავურეკე პროფ. დ.შველიძეს... მიპასუხა გავერკვევი და გიპასუხებო, მაგრამ მოიტყუილა. პროფ. ნ.ჯავახიშვილს შემთხვევით შევხვდი ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მისაღებ ჰოლში. ვკითხე: „საიდან მოიტანეთ მ.ხომერიკის მიერ გამოქვეყნებული აღნიშნული ტექსტი? მან იცრუა: ჩვენი რეცენზიიდან არისო. აქვე გავუპროტესტე, რადგან მათ რეცენზიაში ასეთი რამ არ წერია. ამის გამო ჭარხალივით გაწითლდა, როგორც ჩანს სირცხვილის გრძნობა მაინც ჰქონია. ამიტომ აღარ ჩავეკითხე, ისედაც ყველაფერი გასაგები იყო. ამის შემდეგ შევეცადე კათედრის სხდომის ოქმის მიხედვით გამეგო ვინ ესწრებოდა იმ სხდომას რომელზედაც მათმა, სამმა წევრმა ეს ბინძური პასუხი წარმოადგინა, მაგრამ ვისაც კი ვკითხე, ყველამ მიპასუხა, რომ მსგავსი არაფერი მოუსმენიათ. კათედრის სხდომის ამონაწერიც გამოვითხოვე. აქედან გავიგე, რომ თურმე, კათედრაზე მხოლოდ ჩემი განცხადება მოუსმენიათ, ექსპერტების პასუხზე კი, არ უმსჯელიათ. ამ უკანასკნელებს თურმე ეს ბინძური და არაადეკვატური პასუხი ხომერიკისთის ჩემს გასალანძღად მიურთმევიათ. მ.ხომერიკმა ეს შანსი ხელიდან არ გაუშვა და კათედრის აზრად გაასაღა. სწორედ მსგავს თაღლითობაზე ამბობენ: „რაც ალხანაა ისიც ჩალხანააო“. ამავე წიგნში, მ.ხომერიკი მე და რ.კვერენჩხილაძეს დაგვემუქრა კიდეც - „სასამართლოშიც ერთად დაბმულებმა უნდა აგონ პასუხი ჩემი საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვისო“ (გვ.283). მაგრამ იგი სასამართლოზე ისე „დავაბი“, რომ ყველა ბრალდება გავუბათილე და სასამართლოც

სამარცხვინოდ წავაგებინე ჩემთვის უცნობი. იგი მ.ხომერიკმა გამომიგზავნა და ამის მერე სოროპტომისტმა მ.ხომერიკმა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთ-ერთი პასუხისმგებელი რედაქტორის, ბატონი გურამ გოგიაშვილის მეშვეობით მომაწოდა, მის მიერ ნაჩალიჩევი და ჩემთვის უცნობი, სასამართლოს ოქმის აღმაშფოთებელი ამონარიდი და როგორც ბატონმა გურამმა გადმომცა, უხამსი დამუქრებით შემომითვალა: გ.ციციშვილმა ჩემს წინააღმდეგ არაფერი გამოაქვეყნოს თორემ დავაჭერინებო. ამის მერე მის თაყვანისმცემელს ჩემთან შეხვედრის დროს, ხუმრობით არა ერთხელ უკითხავს - „შენ კიდევ გარეთა ხარ?!” დიახ, გარეთ ვარ და მ.ხომერიკსა და მისი პასკვილების მხარდამჭერებს როგორც ხედავთ, საფუძვლიანი მორალური უფლებით არ ვურიგდები, ვიდრე ისინი საჯაროდ არ მოიხდიან ბოდიშს მ.ჯავახიშვილის, მისი შთამომავლობისა და სიმართლის მთქმელი, უსაფუძვლოდ გალანძღული მკვლევარების მიმართ.

ზემოთ აღნიშნული სასამართლოს სხდომა შესდგა 2007 წლის ზაფხულში. მას რ. კვერენჩხილაძე საპატიო მიზეზით ვერ დაესწრო. მე კი, მოსამართლეს განვუცხადე: „მოსარჩლის „პრეტენზიები” არის უსაფუძვლო და მხოლოდ მეცნიერული პაექრობით გასარკვევი, თუ ეს ჩემი აზრი სასამართლოსთვის არ არის მისაღები, გთხოვთ მიიღოთ ჩემი სიმართლის დამამტკიცებელი, ჩემივე შემხვედრი, 65-გვერდიანი „შეგებებული სარჩელი“, ხოლო სასამართლოს მორიგ სხდომამდე დამატებით წარმოგიდგენთ ამავე მოცულობის სხვა დამატებით მამხილებელ მტკიცებულებებს. ამასთანავე მ.ხომერიკის გამტყუნების შემთხვევაში ჩემი მხრივ მისგან მოვითხოვ ხუთი ათას ლარს”.

მოსამართლემ ჩემი წინადადებით მოისმინა მოწინააღმდეგის პრეტენზიები და მისი სრულიად გამაბათილებელი ჩემი პასუხები. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ერთი ეპიზოდი: მ.ხომერიკმა განაცხადა, რომ მე მის ბაბუას, იაკინთე ლისაშვილს (ხომერიკს), „ჩეკას აგენტად“ მოვიხსენებ. სინამდვილეში მ.ხომერიკის ეს სასარჩელო განცხადება ტყუილია. ამის გამო კითხვა დავუსვი: „აბა სთქვი სად მიწერია?“ მან დაასახელა ჩემი წიგნის („სიმართლე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების

შესახებ...“, თბ.2004) გვერდი 59-ე. ეს წიგნი მითითებულ გვერდზე გადავფურცლე და მოსამართლეს მივაწოდე. ამით იგი დავარწმუნე, რომ ამ გვერდზე ი.ლისაშვილი საერთოდ არ არის ნახსენები. ამასთანავე იძულებულმა მოსამარეთლეს განვუცხადე: „მ.ხომერიკის ბაბუა იაკინთე იყო არა ჩეკას აგენტი, არამედ პარტიული ხელმძღვანელობის მიმართ მ.ჯავახიშვილის დამსმენი!“ ამ მოულოდნელი და გაბედული განცხადების გამო განცვიფრებულ მოსამართლეს მივაწოდე ჩემი ნათქვამის დამამტკიცებელი დოკუმენტები კერძოდ საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივიდან (იხ. დასახელებული არქივის დოკუმენტების პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების გამგის, ნ.ქიქოძის პუბლიკაცია: „იქნებ თავის შეკავება სჯობდა? გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1929, 15 სექტემბერი) ქსეროკოპირებული ასლი. სწორედ ამ დროს და ამის გამო, მ.ხომერიკმა წამოიყვირა: „მე ბატონ გოგის კი არა, რეზო კვერენჩხილაძეს ვედავები”. ისე გამოიყვანა თითქოს რ.კვერენჩხილაძესთან მაინც ყოფილიყოს ცამდე მართალი... ამის შემდეგ მოსამართლე მოეთათბირა, გაკოტრებულ მოსარჩელეს, აგრეთვე მის ადვოკატს, ზურაბ ერემაშვილს და ისინი დაიყაბულა ჩემს წინადადებაზე. მათ ჩემი წინადადების თანახმად პროტესტისა და ხმაურის გარეშე მოხსნეს უსაფუძვლოდ მიჩნეული სარჩელი. ე.ი. სასამართლოც ისე მოვუგე, რომ რ.კვერენჩხილაძის თანადგომა არ დამჭირვებია. არა და, ერთი წლით ადრე, ორივეს გვემუქრებოდა „სასამართლოშიც ერთად დაბმულებმა უნდა აგონ პასუხი ჩემი საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვისო” (მ.ხომერიკი, სანამ საკადრის პასუხს გავცემდე, იხ. წიგნში წერილები, 2006, გვ.283). სინამდვილეში თვითონ დიდი მწერლისა და საუკეთესო მამულიშვილის გამყალბებელი დემაგოგი, სოროპტომისტი და მისი ადვოკატი აღმოჩნდნენ ჩემს მიერ „სასამართლოზე დაბმულები”.

მოგვიანებით გამოვიტანე „სასამართლოს სხდომის ოქმი“. მასში მხოლოდ ერთ ფურცელზეა ნათქვამი: „...სარჩელი მოპასუხეების გიორგი ციციშვილის და რევაზ კვერენჩხილაძის მიმართ, რეპუტაციის შელახვისა და ცნობების უარყოფის თაობაზე... დარჩეს განუხილველი. განემარტოს მხარეს, რომ იმ გარემოებათა

აღმოფხვრის შემთხვევაში, რომლებიც საფუძვლად დაედო განცხადების განუხილველად დატოვებას, უფლება აქვს კვლავ მიმართოს სასამართლოს...

განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით... განჩინების გამოცხადებიდან 12 დღის ვადაში.

მოსამართლის შეკითხვაზე მოსარჩელე და მისი წარმომადგენელი აცხადებენ: უარს ვამბობთ გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე და ვითხოვთ სასამართლო შემოიფარგლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებით, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით. ხელმოწერა დაერთო საქმეს 1 ფურცლად" (ამონარიდის დასასრული). დოკუმენტი დადასტურებულია მოსამართლე გ. სულაკაძის ხელმოწერითა და სასამართლოს ბეჭდით.

მაშასადამე, მ.ხომერიკმა გამოთქმული პრეტენზიების გამო, სასამართლოს წესით და რ.კვერენჩხილაძის გარეშე, მოთხოვნილი 2000 ლარის ნაცვლად მოგვიგო „Дирка от бублика" (მაიაკოვსკის სიტყვებია)...

ოქმში რატომღაც ნათქვამი არ არის, რომ: მ.ხომერიკისგან მოვითხოვე ჩამოეყალიბებინა ის, რასაც მედავებოდა; რომ მართლაც ჩამოთვალა - ბაბუაჩემ იაკინთეს ჩეკას აგენტს უწოდებს, მე კი, ტერორისტსო; ყველა „ბრალდება", რომ გავუბათილე და შესაბამისად მოსამართლე და ჩემი მოწინააღმდეგეები სწორედ რომ დავაკვლიანე. ისინი ხომ სწორედ ამიტომ დათანხმდნენ ჩემს წინადადებას სასამართლო სხდომის შეწყვეტისა და სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, მაგრამ რატომღაც გამოტოვეს. ამის რამდენიმე წლის შემდეგ ბატონი გურამ გოგიაშვილის შუამავლობით მ.ხომერიკმა გადმომცა ახალი ამბები, მათ შორის დოკუმენტი, რომლითაც ირკვევა, რომ ჩემთვის სრულიად მოულოდნელად არსებულა სამ გვერდიანი „სასამართლოს სხდომის ოქმიც". მასში ასახულია ის დამატებითი ამბები, რომლებიც არ მომისმენია, რადგან არ შევსწრებივარ. მათ შორის დაფიქსირებულია მ.ხომერიკის მიმართვა, რომელიც სასამართლოზე ჩემი თანდასწრებით არც წაკითხულა და არც გამოთქმულა.

ოქმში იკითხება მ.ხომერიკის სიტყვები: „ვინაიდან მხარე უთითებს იმ გარემოებას, რომ აღნიშნული არ არის სასამართლოს განსახილველი, მე მინდა მას განვუმარტო, რომ კათედრის თანამშრომელთა განცხადება განიხილა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგემ, აკადემიკოს როინ მეტრეველმა და წარმოგიდგენთ აღნიშნულ განცხადებას და გთხოვთ იგი დაურთოთ საქმეს. ამასთან მინდა განვმარტო, რომ ამ ეტაპზე უმჯობესი იქნება გავიხმო სარჩელი... და გთხოვთ სარჩელი დატოვოთ განუხილველი“ (ციტატის დასასრული). ეს განცხადება სასამართლოს სხდომაზე არ თქმულა, რომ განეცხადებინა ჩემი პასუხიც აუცილებლად მოჰყვებოდა. როგორც ჩანს, ჩემი ინფორმირება საჭიროდ არ ჩათვალეს და ოქმში, ჩემგან ფარულად შეიტანეს... ამასთანავე მოსარჩლე ტყუის! კათედრაზე ასეთი დოკუმენტი ჩემი მოთხოვნის დროს ვერ წარმომიდგინეს. ჩემი განცხადების შესახებ, რომ სპეციალური სხდომა ჩაატარეს და ჩემი განცხადება რომ „ექსპერტებს“ გადასცეს, მხოლოდ ის ოქმი გადმომცეს. კათედრის სხდომაზე ჩემი საქციელისა და ჩემს მიერ სასამართლოზე მოწმედ მისაწვევთა ბინძური პასუხის შესახებ არ უმსჯელიათ. ასეთ სხდომაზე, კათედრის ობიექტურობითა და პრინციპულობით გამორჩეული უხუცესი წევრები აკად. მ.ლორთქიფანიძე და პროფ. გივი ჯამბურია, როგორც მათ მითხრეს, არ მიუწვევიათ. როგორც ჩანს ჩემს წინდახედულობაში სასამრთლოზე მოწმეების მიწვევის შესახებ საჩოთირო ვერაფერი დაინახეს და „ექსპერტების“ პასუხის მოსმენა მიზნობრივად არ ისურვეს. რაც უნდოდათ იმას მიაღწიეს და მ.ხომერიკს ჩემი პიროვნება ექსპერტი თაღლითების არაობიექტური დასტურით საქვეყნოდ გაალანძღინეს.

რამდენადაც მ.ხომერიკი და მისი ადვოკატი ვაიძულე დათანხმებოდნენ ჩემს მოთხოვნას სარჩელის განხილვის აცილების შესახებ, ამდენად სავსებით ლოგიკურად ისმება კითხვები: 1) როგორ და რატომ მოხდა, რომ მ.ხომერიკის აღნიშნული „განმარტება“ ოქმში ჩემგან ფარულად შეიტანეს? 2) რა საჭიროებით იყო ოქმში ჩემგან ფარული დაფიქსირება უნივერსიტეტის „კათედრის თანამშრომელთა განცხადებისა“, მაშინ როცა მის შესახებ, ამ დროს არაფერი ვიცოდი

და როგორც წლინახევრის მერე გამაგებინეს სინამდვილეში აკადემიკოს როინ მეტრეველმა“ და კათედრის წევრთა შედარებით ახალგაზრდულმა ნაწილმა განიხილა არა სასამართლოსთვის მ.ხომერიკის მიერ მიწოდებული „კათედრის წევრთა”, არამედ მხოლოდ ჩემი მეორადი ექსპერტების შესახებ სასამართლოს სხდომის დანიშვნამდელი განცხადება, რომელშიც სავარაუდოდ, მოსალოდნელი გაუგებრობისგან დაზღვევის მიზნით ვწერდი, რომ მ.ხომერიკის სარჩელის შესაბამისი სასამართლოს ჩატარების შემთხვევაში ვაპირებდი მ.ხომერიკის საყრდენი, არაობიექტური და დამქაში ექსპერტების ჩართვას. 3) რამდენადაც მ.ხომერიკი შეურაცხყოფად მიჩნეული საკითხების გამო, მოსამართლის მიმართ ჩემი გამაბათილებელი პასუხებით დაკმაყოფილდა სარჩელის გატანას და ამასთანავე მოთხოვნილი ორი ათასი ლარის დაკარგვასაც შეურიგდა, გაუგებარია აღნიშნული „განცხადების“ შეტანა რისთვის სჭირდებოდა და რისთვის დასჭირდა როინ მეტრეველის პიროვნების ხსენება, რომლის შესახებ სასამართლოზე არაფერი თქმულა?

ჩემთვის ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მკითხველმაც ხომ უნდა გაიგოს რომ, მ.ხომერიკს როცა გამოუვალ მდგომარეობაში ვაყენებ ტყუის, ხან „მეზობელ ჩეკისტს“ იმოწმებს, ხან გარბის და არაადეკვატურად იქცევა. ახლა მას ჩაფიქრებული ქონდა ახალი მზაკვრობა და ამ მიზნით, რ.მეტრეველისა და მისი „კათედრის წევრი დამქაშების გამოყენება”. მკითხველმა ისიც უნდა იცოდეს, რომ სინამდვილეში ექსპერტების შესახებ კათედრის გამგის მიმართ ჩემი წერილობითი გაფრთხილება ნაკარნახევი იყო ერთი მხრივ იმით, რომ საქართველოს ისტორიის კათედრის ჩემს მხარდამჭერ და ჩემი წიგნის მაქებარ უხუცეს წევრებს (მაგალითად აკად. მ.ლორთქიფანიძეს), ჩემი მიზანდასახულობის მოტივაცია სწორად გაეგოთ, ამ მიზნით განცხადების განხილვის დროს მეც მივეწვიეთ და ჩემი თანდასწრებით ემსჯელათ, ხოლო მეორე მხრივ იმით, რომ „სარჩელის” განხილვის შემთხვევაში მოსალოდნელი იყო, რომ მოსარჩლე “მეცნიერი“ თავისი „სიმართლეების“ გასამაგრებლად მის მაქებარ, ვითომ „ეროვნულ პოზიციაზე მდგომ“ „ექსპერტებს“ კვლავაც დაიმოწმებდა. ამ შემთხვევაში სასურველი იქნებოდა მათი დასწრება, რადგან უთუოდ საჭირო გამიხდებოდა მ.ხომერიკის

არაობიექტურობის მხილებაც. და მოწმედ მიწვეულთაგან მათი დადასტურებაც. მაგრამ ისე მოხდა, რომ „კათედრამ" სხდომაზე მ.ხომერიკის დამქაში ექსპერტების პასუხის შესახებ კი არა, არამედ მათზე ჩემი განცხადების შესახებ იმსჯელა და იგი მეორადი ექსპერტის წევრებს გადასცა, ამათ კი, კათედრაზე ჩემი მიწვევისა და სათანადო განმარტების გვერდის ავლით, 2005 წლის 7 მარტს, მოახლაფორთეს არაადეკვატური, ბინძური პასუხი, რომელიც კათედრას კი არ დაუბრუნეს განსახილველად და მე კი არ გამაცნეს, არამედ ჩემს მომჩივან მ.ხომერიკს მიართვეს და თანაც, ჩემგან ფარულად. ამ უკანასკნელმა კი, მისი დამქაშების მიერ მოხლაფორთებული ეს ჩემი შეტყობინების არაადეკვატური, ფარული „განცხადება", ჩემი დამცირების მცდელობით, სასამართლოს წინა მზადების დროს, სხვა აბსურდებთან ერთად, თავის 2006 წელს გამოცემულ წიგნში, გამოაქვეყნა. ჩემს განცხადებაში ნათქვამია: „...საქართველოს ისტორიის კათედრის წევრთა უმრავლესობის მიმართ ჩემი პატივისცემის და მოწიწების მიუხედავად იძულებული ვხდები სასამართლოს წესითვე ვამტკიცო ჩემი სიმართლე, მ.ხომერიკის პროვოკაციები და აგრეთვე თქვენი კათედრის წევრი „ექსპერტების" დასკვნის არამეცნიერულობა, კურიოზულობა და მ.ხომერიკის მიმართ ადვოკატური გამოსარჩლება, რის შესახებაც არაერთგზის განმიცხადებია. თქვენი კათედრის წევრ „ექსპერტების" მიმართ მთავარი პრეტენზია მაქვს იმის გამო, რომ, როგორც მ.ხომერიკიც აღნიშნავს, მათ არ ამხილეს მ.ხომერიკის, ჩემს მიერ მხილებული ყალბი არგუმენტები და შეღავათი გამიწიეს, როგორც თავიანთ კოლეგას. მაგრამ სინამდვილეში ხომ პირიქით მოიქცნენ. მართებულად მიიჩნიეს მისი ყველაზე საზიღარი და ყალბი ბრალდება, რომლის მიხედვით მიხეილ ჯავახიშვილი იყო სამშობლოს და მეგობრების მოღალატე, ჩეკას აგენტი „არსენა..." ამის თქმის უფლებას მაძლევდა ის, რომ ექსპერტების მიერ რეცენზირებული მ.ხომერიკის წიგნში, რომელიც მან მ.ჯავახიშვილის შესახებ ჩემს მიერ წარმოჩენილი სიმართლის გასაყალბებლად 70 გვერდზე მოახლაფორთა და ჩემი ნაშრომის რეცენზია უწოდა („სიმართლის გამრუდება ისტორიკოს გიორგი ციციშვილის მიერ") და ჩემს მიერ თეზისურად იყო გაბათილებული, მისი ის მოსაზრება,

რომლის მიხედვით მიხეილ ჯავახიშვილი თითქოს იყო დამსმენი და ჩეკას აგენტი „არსენა“. ექსპერტებმა კი, ამას ფაქტობრივად და დანაშაულებრივად გვერდი აუარეს, ე.ი. მისი აზრი გაიზიარეს. სინამდვილეში, მათ მეცნიერულ ნაშრომად წარმოაჩინეს მ.ხომერიკის პასკვილი. მკითხველებმა უნდა იცოდნენ, რომ, ჩემი სამართლიანი პრეტენზიის გამო მათ გამოაცხვეს „განცხადება“, რომელშიც წერენ: (მომყავს არა არსებითი მნიშვნელობის შემოკლებით): „...ეს გახლავთ მტკნარი სიცრუე და განმცხადებლის (ე.ი. ჩემი – გ.ც.) მდარე ფანტაზიის ნაყოფი... ავტორთა კოლექტივის დასკვნაში ჩვენ ვწერდით: „ქ-ნ მანანას შეფასება მ.ჯავახიშვილის პოლიტიკური მრწამსისა და პიროვნებისა რადიკალურად და გადაჭარბებულად შეიძლება ჩაითვალოს. შესაძლებელია უფრო რბილი და თავშეკავებული შეფასების მიცემა... მ.ხომერიკის დასკვნები კატეგორიულია და სასურველია მხოლოდ ზეპირ გადმოცემებს ნუ დაუკავშირებთ ისეთ ფრთხილ და სათუთ თემას, როგორიცაა მ.ჯავახიშვილის... ცხოვრების და ბიოგრაფული დეტალები... ჩვენ ვფიქრობთ, რომ ორივე მოკამათე მხარე აჭარბებს... (ეს ხომ მიუტევებელი ქომაგობაა დანაშაულებრივი სიყალბეებისა, მაგრამ მეორადი ექსპერტები ამავე ტონში და იგივე მიზანდასახულობით აგრძელებენ – გ.ც.)

გ.ციციშვილი, ჩანს, იმან გააღიზიანა, რომ „დასკვნაში“ მეცნიერული ობიექტურობით, თავშეკავებითა და დელიკატურად შეეცადეთ გამოგვეთქვა ჩვენი აზრი. პატივისცემით მოვეკიდეთ ორივე მოკამათე მხარეს და არა ისე, როგორც ამას სისტემატურად აკეთებს გ.ციციშვილი, იგი ყველას ვინც მის დებულებებს უსიტყვოდ არ იზიარებს, უტიფრად, შეურაცმყოფელი სიტყვებით იხსენიებს.

ჩვენ პასუხის ღირსადაც არ ჩავთვლიდით გ.ციციშვილის ბრალდებას, რომ იგი მხოლოდ სიცრუე ყოფილიყო. მის ბრალდებას ჩვენ განვიხილავთ, როგორც ცილისწამებას და ბინძურ პროვოკაციას. უფრო მეტიც ეს პროვოკაცია იმდენად უსაფუძვლო და ამაზრზენია, რომ ამის შემდეგ ჩვენ ვეღარ განვიხილავთ გ.ციციშვილს მოკამათე მეცნიერულ მხარედ და სრულიად შეუძლებლად მიგვაჩნია მასთან რაიმე სახის ოპონირების

<u>გაგრძელება</u>“ დ.შველიძე, ნ.ჯავახიშვილი, ბ.კუპტაძე (7.III.06). ხაზგასმები ჩემია.

თუ მართლა ასეა ჩემგან ფარულად რატომ იმოქმედეს?!

ექსპერტ-რეცენზენტები თაღლითობენ და ტყუიან. ისინი არ ახსენებენ მ.ხომერიკის უამრავი შემაძრწუნებელი ტყუილებიდან კონკრეტულად რომელს მიიჩნევენ მანანას მიერ დაწერილ „რადიკალურად“ და „გადაჭარბებულად“, ან „კატეგორიულად“. ასეთმა აბსტრაქციამ შექმნა გაუგებრობა. ისინი ვალდებულნი იყვნენ მ.ხომერიკის მიმართ უთანხმოება გამოეთქვათ კონკრეტული სიტყვებითა და წინადადებით. „ექსპერტები“ ტყუიან აგრეთვე, იმ დროს, როცა მანანას შეფასებებს აცხადებდნენ: „რადიკალურად“, „გადაჭარბებულად“ ე.ი. ნაკლებად „რბილად“ და ნაკლებად „თავშეკავებულად“, მაგრამ ამავე დროს „მეცნიერულ ნაშრომად“ „საკმაოდ მნიშვნელოვან შრომატევად კვლევად“. ეს ექსპერტების მხრივ დანაშაულია.

ეს კონსპირატორები ჩემს შესახებ წერენ: „ყველას, ვინც კი მის დებულებებს უსიტყვოდ არ იზიარებს, უტიფრად, შეურაცმყოფელი სიტყვებით იხსენებს“. სინამდვილეში მე ვიცავ სიმართლეს და საკუთარ რენომეს. ამასთანავე ისინი „დასკვნაში კონკრეტულობას და სიცხადეს აშკარად გაურბიან. მალავენ, რომ მ.ხომერიკის მთავარი მიზანია მ.ჯავახიშვილი გააყალბოს. ამიტომ ექსპერტები არ წერენ ვინ არის მართალი მ.ჯავახიშვილი იყო თუ არა „ჩეკას თუ ბერიას“ დამსმენი და „ჩეკას აგენტი არსენა“. სამაგიეროდ წერენ: „...<u>ორივე მოდავე მხარის... მიერ წამოყენებულია ორი მეცნიერული თვალსაზრისი...“„ჩვენ ვერც ერთ ნაშრომს ვერ დავწამებთ არამეცნიერულობას და არაობიექტურობას...“„ორივე მხრიდან ჩატარებულია საკმაოდ მნიშვნელოვანი და შრომატევადი კვლევა</u>...“ (გვ.14, 15). ამასთან დაკავშირებით საჭიროა შენიშვნა: რატომ არ აფიქსირებენ, რომ ჩემმა მოდავემ, თავისი რეცენზიის სათანადო 4, 5 გვერდებზე და გარეკანზე, როგორც კარგად ჩანს, შეურაცხყო მ.ჯავახიშვილი, მისი მეუღლე შთამომავლობა. გულზე სამწუხარო ლოდი დაადო დიდი მწერლის ყველა პატივისმცემელსა და მისი შემოქმედების დამფასებელს... მათ არ აღნიშნეს, რომ მ.ხომერიკმა ამასთანავე არა მეცნიერულად წარმოაჩინა ჩეკას პატიმრობაში

მყოფი და მისგან ბერიას მიერ გამოძავლით მოპოვებული შემზარავი, გოგლიძის სახელზე გაფორმეული ხელნაწერი განცხადება-ჩვენება?! და სხვ. „ექსპერტთა“ მხრივ ჩემი აზრით, ეს არის ექსპერტების არაობიექტური დასკვნა და არც სიმართლეა, რადგან მ.ხომერიკის ფაქტების ინტერპრეტაცია, „მტკიცებულობები“ და კონცეფცია ყალბია. სამი „ექსპერტის“ ამ ფარულ 2006 წლის ვითომ „მეცნიერული ობიექტურობით, თავშეკავებულად და დელიკატურად“ შეფასებაში მიზნობრივად არ აისახა აგრეთვე მ.ჯავახიშვილის მ.ხომერიკისეული გაყალბების კონკრეტული მაგალითები, მისი ყალბი დასკვნები, წყაროების მიზნობრივად ყალბი ინტერპრეტაციები და მისი საერთო მეთოდოლოგიის დემაგოგიურობა, რომელიც ჩემს 2004-2005 წლების საპასუხო პუბლიკაციებში თეზისურად, მაგრამ დამაჯერებლად გაშუქდა?!

რაც შეეხება ექსპერტების რეცენზიაში ჩემს მიმართ გამოთქმული „დელიკატურობას“ და „თავშეკავებას“, ჩემი აზრით, იგი სუფრის თამადის საქმეა. მნიშვნელოვანი მეცნიერული პრობლემების ექსპერტიზა კი, მოითხოვს კონკრეტულობას, პრინციპულობას და ობიექტურობას, რისი სურვილიც, როგორც ქვემოთ, სათანადო მაგალითებზე დაყრდნობით ნახავთ, მათ არ აღმოაჩნდათ, რადგან არ მოინდომეს მ.ხომერიკისა და მისი მხარდამჭერების კრიტიკა. ამის გარდა ჩემი განცხადების გამო „კათედრას“ არ უმსჯელია და არც ჩემი აზრით დაინტერესებულან. როგორც ზემოთ ვთქვი ამ განცხადების არსებობის შესახებ მე მხოლოდ შემთხვევით და დიდი ხნის შემდეგ, გავიგე და ისიც გავიცნობიერე, თუ რა ახალი ბინძური „მახეც” დამიგეს მ.ხომერიკმა და მისმა დამქაშმა მეცნიერ-პედაგოგებმა. თუმცა რა გასაკვირია – როგორც მსგავს შემთხვევაში ამბობენ „ფერი ფერსა და მადლი ღმერთსა”! ამის გამო, ჩემს მომდევნო პუბლიკაციაში (იხ. „მაფალუ...” 2007, გვ.90-92) მკითხველს მივაწოდე სათანადო განმარტებითი მხილება და მოწინააღმდეგეები ამჯერადაც თვითონვე გავაბი მათ მიერ ჩემთვის დაგებულ ხაფანგში...

ამის მერე, 2008 წელს, მ.ხომერიკმა მაინც გამოაქვეყნა იმავე ძველი ყალბი აზრებით და არგუმენტებით, მოხლაფორთებული ახალი წიგნი – პასკვილი: „მიხეილ ჯავახიშვილი უნიკალური

დოკუმენტების ფონზე“, რომელიც ნაცნობებს მიართვა, როგორც რელიქვია. ეს წიგნი ახლა ჩემი განხილვა – შეფასების ერთ-ერთი მთავარი საგანია, მასში გამოთქმული მზაკვრული აზრების კრიტიკის გარეშე, მ.ჯავახიშვილისა და მისი დამცველების მიზნობრივად გაყალბებული მდგომარეობების სწორი გაშუქება, მთელი ოცი წლის მანძილზე დაბნეული ზოგი მკითხველისთვის, ძნელად გასაგები გახდება.

ამ წიგნში მ.ხომერიკი საგნობრივად ამჟღავნებს, რომ მან მიუხედავად 1996 წლის შემდეგ მოყოლებული ჩემი და სხვათა მრავალი ახსნა ჩაგონებისა, ვერც ვერაფერი ისწავლა და არც არაფერი დაივიწყა. იგი ისევე, როგორც თავის ადრინდელ პასკვილურ პუბლიკაციებში რიხიანად ლანძღვას მ.ჯავახიშვილს, რომელიც ჩეკას დამსმენი არასდროს ყოფილა. მის დამცველ მეცნიერებთან კამათი დემაგოგიურ ტალღაზე გადაჰყავს და როგორც ყოველთვის უწმაწური კომენტარებით უმასპინძლდება დიდი მამულიშვილის შესახებ გამოთქმული, მისი ყალბი აზრების მოწინააღმდეგეებს. ქვემოთ მომყავს ის მისი განსაკუთრებით სამარცხვინო აზრები, რომლებსაც მ.ხომერიკი ჩემი შეურაცმყოფი აკომპანიმენტით, 2008 წელს, კვლავ ჩასჩხავის მ.ჯავახიშვილის შემოქმედებითა და ცხოვრებისეული პერიპეტიებით დაინტერესებულებს.

მ.ხომერიკი რომ მისტიფიკატორია ამას მისი ახალი პასკვილის იმდენი ტყუილი ააშკარავებს, რომელთა ჩამოთვლასა და პასუხის გაცემას ერთი სქელტანიანი ტომი არ ეყოფა. ეს წყაროების „მცოდნე“ წერს:

1. „1937 წელს საქ.კ.პ.ბ. X ყრილობაზე ბერია აშკარად დაემუქრა ჯავახიშვილს „ქართველი ხალხის მტრებთან“ - აღნიაშვილთან, ლომინაძესთან, ელიავასთან და სხვებთან კავშირ-ურთიერთობისათვის“. მითითებული აქვს: 69 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 15 მაისი 1937 წ. (იხ. გვ.78, 156). მაგრამ ასეთი წყარო არ არსებობს. მ.ხომერიკის მიერ დამოწმებული სიტყვები კი, ბერიას გამოთქმული აქვს არა მ.ჯავახიშვილის, არამედ პ.იაშვილის მიმართ.

2. 1930-იანი წლების რეპრესიების ეს ვითომ მცოდნე მისტიფიკატორი წერს: „ათასებმა გაჟლიტეს ერთმანეთი.

მ.ჯავახიშვილი ათასობით ადამიანის სიკვდილს მოითხოვდა“. მკითხველიც ააფორიაქა, რადგან იქვე მიადევნა წყაროები საიდანაც ჩანს, რომ 1937 წლის 30 იანვარს „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოუქვეყნებია ტროცკისტ–ზინოვიეველების საწინააღმდეგო წერილი - „სიკვდილი მუხანათურ მტერს“. აქვეა „საქართველოს საბჭოთა მწერლების მიმართვა ამხანაგ ლავრენტი ბერიას“, რომლის მიხედვით ქართველი მწერლები მოითხოვენ „აღიგაოს... სამშობლოს მოღალატეთა ბანდის ყველა მონაწილე“ და მ.ხომერიკის კომენტარი - „ეს მოთხოვნა მ.ჯავახიშვილის მიმართაც გაიჟღერებს“ (იქვე, გვ.75-76). მან ამ ანალოგიით მკითხველს ხაფანგი დაუგო, და ზოგი კიდეც გააბა, რადგან დაუმალა, რომ ეს იყო ბერიას მერ ორგანიზებული და რომ აქვე დაბეჭდილია გ.ლეონიძის, ტ.ტაბიძის, ს.ჩიქოვანის და სხვა ნამდვილი მწერლების მსგავსი წერილები. აქ იაკინთეს წერილისთვის ადგილი ვერ გამოინახა, სამაგიეროდ ს.ორჯონიკიძის „გარდაცვალების დროს გამოუქვეყნეს მისდამი მიძღვნილი ათ სტროფიანი ოდა, რომელშიც სხვა სიბრძნესთან ერთად გამოთქმული აქვს: „...მილიონების იმედებს ზრდიდი, დიდი ბელადის რკინის კედელო, ბედნიერებას სხივებად ღვრიდი ჩვენი სიმტკიცის გამომჭედელო... მაგრამ ვფიცავართ გვემახსოვრება შენი სახელი გვინათებს გზაში...“ (ი.ლისაშვილი, მის ძვირფას ხსოვნას, „ლიტერატურული საქართველო“, 1937, 22 თებერვალი). ისე, ბოლშევიკი ბოლშევიკს, რომ ხოტბას გულრწფელად ასხამს, სავსებით გასაგებია, მ.ჯავახიშვილს კი, ტროცკისტების ქომაგობა არ შეეძლო... აი რას წარმოადგენს მ.ხომერკის „რეცენზიის“ ზოგი უმთავრესი პასკვილი ჩემი მონოგრაფიის „სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ“ (თბ.2003, გვ. 366) და რომლებსაც ვერ ვურიგდები.

სათანადო, დამატებითი თვალსაჩინოების შექმნის მიზნით მომყავს მ.ხომერიკის სასამართლოზე დამარცხების მერე, 2008 წელს პასკვილურ წიგნში გამოთქმული ყალბი ინტერპრეტაციები და ჩემი შესაბამისი განმარტებები:

1) „1937 წლის ივნისში მწერალი (მ.ჯავახიშვილი-გ.ც.), როგორც ჩანს, პირადად ბერიასთან თუ არა, ჩეკაში მაინც დაიბარეს,

რასაც ის ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ მის მიერ დაწერილი 34 გვერდიანი განცხადება 1937 წლის 21 ივნისით არის დათარიღებული" (გვ. 82). სინამდვილეში ეს აზრი მ.ხომერიკის ყველა პუბლიკაციის ხერხემალი და მისი კონცეფციის მთავარი საფუძველია. ჩემი კვლევა-ძიების მიხედვით აქ გამოთქმული ვარაუდი მცდარია. ეს ვარაუდი მ.ხომერიკმა ქვემოთ მტკიცებულებად გაიხადა და მასზე, ანუ ამ ყალბი მტკიცებულების საფუძველზე დაამყნო ყველა თავისი მძვინვარე სიყალბე და აბსურდული არგუმენტი. ამით მას უნდა ისე გამოიყვანოს თითქოს რეპრესიებითა და პირადი საშიშროების მოლოდინში, ჯერ კიდევ თავისუფლებაში მყოფმა, ჩეკაში გამოძახებულმა მ.ჯავახიშვილმა, 21 ივნისის გოგლიძის სახელზე წარდგენილი 34 გვერდიანი ხელნაწერი განცხადებით, ჩეკას და ბერიას დოკუმენტურად შეატყობინა, რომ ხელმძღვანელობს ფაშისტურ ანტისაბჭოთა არალეგალურ ორგანიზაციას, რომლის მეთაურები არიან აგრეთვე ილო მოსაშვილი, გერონტი ქიქოძე, პაოლო იაშვილი და სხვ. მან ორგანიზაციასთან კავშირში დაასახელა 50-ზე მეტი პიროვნება, რომელთაგან ზოგი დახვრიტეს და ა.შ.. ეს აბსურდი და დემაგოგია მ.ხომერიკმა იმდენად ლოგიკურად შეთითხნა, რომ ბევრი მკითხველი კიდეც დააჯერა. მაგრამ მ.ხომერიკის ეს ჩეკისტური აზრის გადამღერებით დაწერილი აბსურდი და დემაგოგია გამოაშკარავდა...

2) „მ.ჯავახიშვილი აღიარების დაწერის შემდეგ არ დაუპატიმრებიათ. ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ 1937 წლის 21 ივლისს იგი სიტყვით გამოდის სხდომაზე. მოგვიანებით, როდესაც ის უკვე დახვრეტილი იყო, მისი რეაბილიტაციის დროს (? – გ.ც.) გენერალურ პროკურორს – რ.რუდენკოს მოუხდა იმის მტკიცება, თითქოს მწერალი 1937 წლის ივნისში იყო დაპატიმრებული და პატიმრობაში დაწერა თავისი განცხადება" (გვ. 83). ეს მართალია მხოლოდ იმდენად, რადგანაც რ.რუდენკო გენერალური პროკურორის წარდგინებაში ასე წერს. მაგრამ აქ მიჩქმალულია, რომ იგი შეცდომაში შეიყვანეს... მ.ხომერიკმა კი, აქედან, როგორც ჩანს, უკვე ყალბი მტკიცებულობები დაიწყო. ჩემს სიმართლეში მკითხველი დარწმუნდება წინამდებარე ნაშრომის სათანადო გვერდების გაცნობით. დაინტერესებული მკითხველი იმასაც გაიგებს, რომ

რ.რუდენკო და სხვები სავარაუდოდ შეცდომაში შეიყვანეს მ.ჯავახიშვილის ხელნაწერი განცხადების ჩეკისტური მეთოდებითა და პირადად ბერიას მიერ გამოძალვით მოპოების საიდუმლოებათა ბოლომდე ვერგამგე თანაშემწეებმა და პიროვნებებმა, სავარაუდოდ მათ შორის აქაურებმაც...

3) „უნდა ითქვას, რომ 1937 წლის 21 ივნისს, თავისი ხელით დაწერილ განცხადებაში, მ.ჯავახიშვილმა ყველაზე მეტად პ.იაშვილი გალანძღა. ამ ჩვენების დაწერიდან ერთი თვის შემდეგ, პ.იაშვილი იძულებული გახდა თვითმკვლელობით დაესრულებინა სისცოცხლე...

თვითმკვლელობამდე, პაოლო იაშვილი, როგორც ვთქვით, ბერიასთან ყოფილა დაბარებული... პაოლო იაშვილის შესახებ მისი ძმიშვილი, ნოდარ იაშვილიც იხსენებს: ბერიამ დაავალა, ვალოდია ჯიქიას უნდა დაადგე პირზეო.

<u>დოკუმენტურად უფრო დასაბუთებული კი ის არის, რომ იმ დროისათვის ჩეკას უკვე ხელთ ჰქონდა მ.ჯავახიშვილის ჩვენება, რომელიც ცხადია, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა პაოლო იაშვილს</u>" (გვ. 84, ხაზგასმა ჩემია – გ.ც.).

- ეს საზარელი ბრალდება, იგივე ყალბი „არგუმენტი" მ.ხომერიკს მუდმივ მომგებიანად მიაჩნია და ამიტომ თავის სამივე პასკვილში იმეორებს. სინამდვილეში „ცდება", ან მიზნობრივად ტყუის რადგან ცხადი ხდება, რომ მ.ჯავახიშვილისგან გამოძალულ ჩვენებამდე, პაოლოს შესახებ, არსებობდა ჩეკას ძიების მიერ, სხვა, უფრო ადრე დაპატიმრებულთაგან გამოძალული მომაკვდინებელი „ჩვენებები". სინამდვილეში პ.იაშვილი თვითმკვლელობამდე მიიყვანა ბერიამ და საკუთარმა ვაჟკაცურმა ხასიათმა. ამით პაოლომ ბერიას ადრე არგანცდილი ისეთი ალიყური აჭამა, რომლის გამოც ბერიამ და მისმა მორჩილმა ჩეკისტმა გამომძიებლებმა მ.ჯავახიშვილს „ჩვენების" სახით ორივეს – მიხეილსა და პაოლოს შეუთითხნეს დამამცირებელი ფაქტები.

როგორც ირკვევა, მ.ხომერიკმა ირწმუნა, რომ მკითხველმა მისი სიყალბე დაიჯერა. იგი ამდენად მ.ჯავახიშვილს ბრალდებებსაც უყენებს, იმას კი ჩქმალავს, რომ მ.ჯავახიშვილმა ჩეკისტურ ორჯერად ცემას როცა ვეღარ გაუძლო მაშინ პ.იაშვილთან ერთად საკუთარი თავიც დაამცირა.

4) „მ.ჯავახიშვილი 1937 წლის 14 აგისტოს ქვიშხეთში მაინც დააპატიმრეს.

დაპატიმრების ორდერი 1937 წლის 13 აგვისტოს არის გამოწერილი.

გერონტი ქიქოძე იხსენებდა: „რადგან მიხეილ ჯავახიშვილი დიდად პოპულარული მწერალი იყო, ბერიამ საჭიროდ სცნო საზოგადოების თვალში გაემართლებინა მისი დასჯა...“ (აქ მ.ხომერიკი გ.ქიქოძის აზრს აღარ აგრძელებს მისი შემდგომი გაყალბების მიზნით – გ.ც.) და წერს:

გ.ქიქოძის მოგონებას სავსებით ემთხვევა (? – გ.ც.) ბესო ჟღენტის ნაამბობი, რომელიც მისმა სიძემ, აწ განსვენებულმა პროფესორმა ანტონ წულუკიძემ გადმომცა”... (გვ. 84).

- აქ არის ბოროტი პასკვილის კონკრეტული და ნართული გამოვლინება. მ.ხომერიკი მიზნობრიბად მალავს, რომ ბ.ჟღენტისა და სხვათა ნათქვამის მისი ინტერპრეტაცია, გ.ქიქოძის მოგონებას და თვით ბ.ჟღენტის მიერ ნათქვამს, პრინციპულად ეწინააღმდეგება. ამას მ.ხომერიკი მისი მიკლე ჭკუით საგანგებოდ მალავს. მაგრამ ამაში ქვემოთ, ჩემი ნარკვევის სათანადო მტკიცებულებებით დაგარწმუნებთ... მაგრამ ახლა საჭიროა მისი ნასიბრძნის გაგრძელება. იგი აგრძელებს:

5) „ბერიას სურვილი ნათელი იყო. მ.ჯავახიშვილის დაღუპვაზე პასუხისმგებლობა მთლიანად მწერლებს უნდა აეღოთ. 1937 წლის 17 აგვისტოს შედგა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სხდომა მწერალთა აქტივთან ერთად.

ჩემი უსაფუძვლო კრიტიკის სურვილით შეპყრობილი გ.ციციშვილი წერს: „მ.ხომერიკის აღნიშნული განცხადების „21/VI-37”-ით დათარიღების „გამართლების” მიზნით მოჰყავს დამატებითი „არგუმენტი”: თითქოს მ.ჯავახიშვილის დაპატიმრების შემდეგვე, 17 აგვისტოს, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი მოიწვია ბერიამ და ეს „მიხეილ ჯავახიშვილის ხელით დაწერილი აღსარება წაუკითხა”... მაგრამ ეს მ.ხომერიკის მიერ თეთრი ძაფით შეკერილი ამბავი, როგორც მე გ.ქიქიძის მონათხრობით (და სხვა წყაროებით – გ.ც.) გავარკვიე, სინამდვილეში მ.ჯავახიშვილის გაუბედურების შემდეგ მოხდა. აქ ისიც მჟღავნდება, რომ აღნიშნული თარიღის გადმოწევით,

მ.ხომერიკი ცილს სწამებს არა მარტო მ.ჯავახიშვილს, არამედ ბ.ჟღენტს, მის სიძეს ა.წულუკიძეს, გ.ქიქოიძეს, თვით ბერიასაც და სხვებსაც. არ ვიცი, რა ცილისწამება მოეჩვენა გ.ციციშვილს? გერონტი ქიქოძის მოგონებები მე არ გადამიკეთებია (გადაგიკეთებია! – გ.ც.), ბ.ჟღენტის მონაყოლის დადასტურება შეუძლია მის ქალიშვილსა და ანტონ წულუკიძის ქვრივს – ქ.ნ. ნინო ჟღენტს. ბერიასთან ნაცნობობა არა მქონია. რა არის თეთრი ძაფით შეკერილი, ან რომელი თარიღი მაქვს გადაწეული? კიდევ ერთხელ განვმარტავ: მ.ჯავახიშვილმა 1937 წლის 21 ივნისს დაწერა განცხადება, იგი 14 აგვისტოს დააპატიმრეს და ჩეკას იზოლიატორში მოათავსეს. პირველი დაკითხვა 1937 წლის 19 აგვისტოს ჩაუტარდა. იქამდე კი, ანუ დაკითხვამდე, (? – გ.ც.), მწერლები ბერიამ თავისთან მიიწვია და მ.ჯავახიშვილის აღიარება დაანახა. ამის შემდეგ 17 აგვისტოს მწერლები ატარებენ სხდომას... რის საფუძველზე ამტკიცებდნენ მწერლები, რომ ჯავახიშვილი ჯაშუში და დივერსანტია? ცხადია, მათ ეს ბერიამ დაავალა მას შემდეგ, რაც მწერლის განცხადებიდან ამონარიდები გააცნო, რა არის აქ გაუგებარი? (გვ. 85).

- აქ ჩემთვის გაუგებარი არაფერია. მე კარგად ვიცი, რომ ეს აზრი მ.ხომერიკის კონცეპტუალური მტკიცების მცდელობის ერთ-ერთი მთავარი არგუმენტია, მაგრამ ისიც ვიცი, რომ იგი მიზნობრივად მცდარია, ანუ ყალბია. დილეტანტი და განსაკუთრებით მ.ჯავახიშვილის მიმართ მტრულად განწყობილი მკითხველი ვერ ამჩნევს, რომ მ.ხომერიკი მათ ატყუებს. იგი ამ ამბის ზუსტ დათარიღებას ერიდება და მალავს 17 აგვისტოს სხდომის ოქმში მწერლბი კი არ „ამტკიცებენ" რომ „ჯავახიშვილი ჯაშუში და დივერსანტია", არამედ დავალებისამებრ, მხოლოდ აცხადებენ. მწერლებისთვის მ.ჯავახიშვილის განცხადებიდან ამონარიდების გაცნობა კი, ბერიას ამ დროს არ შეეძლო, რადგან ასეთი სხდომა სადაც ბერია და მწერლები მ.ჯავახიშვილზე მსჯელობენ და მ.ჯავახიშვილის ხელნაწერს იმოწმებენ, ამ დროს, ჯერ კიდევ არ შემდგარა და რაც მთავარია, ამ დროს არც მ.ჯავახიშვილის ასეთი განცხადება, ანუ ჩვენებმა თუ „დასმენა" არსებობდა. სინამდვილეში ეს განცხადება, 21 აგვისტოთი დათარიღებული, „მ.ჯავახიშვილის

გოგლიძის სახელზე დაწერილი პირველი განცხადების“ მერე დაიწერა. დიახ, მ.ხომერიკი მკითხველს თავიდან ბოლომდე ატყუებს. ამის დამტკიცებას მკითხველი წინამდებარე წიგნის VII თავში ასახული ნარკვევის სათანადო გვერდებზე იხილავს... აქ კი საჭიროა კიდევ ერთი ხომერიკისეულად აქსიომად მიღებული „მტკიცებულების“ მოყვანა:

6) „სანამ მწერლები 17 აგვისტოს სხდომას ჩაატარებდნენ, მათ ხომ უკვე აჩვენა ბერიამ მ.ჯავახიშვილის ადიარება პოლონეთის კონსულისაგან 3000 მანეთის მიღების შესახებ... ადრე ივნისში კი წერდა:”... (გვ. 89).

- ეს ტყუილზე დამყარებული სიცრუეა. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ეს მტკიცებულებების მცდელობა, მიზნობრივია, სანამ მწერლები 17 აგვისტოს სხდომას ჩაატარებდნენ, ბერიას მათთვის მ.ჯავახიშვილის ხელნაწერი განცხადების და ამ განცხადებიდან მ.ხომერიკის მიერ მოხმობილი ამონარიდის ჩვენება არ შეეძლო, რადგან იგი იმ დროს ჩეკას ძიების მიერ ჯერ კიდევ არ იყო გამოძალული, ანუ მოპოვებული. ამის მიუხედავად მ.ხომერიკი აგრძელებს:

7) „... როგორ შეიძლება მკვლევარი ეწოდოს გ.ციციშვილს მისი შემდეგი ნაბოდვარის შემდეგ (რომელიც მხოლოდ ერთ-ერთია მისი მრავალ ნაბოდვარს შორის). „მკვლევარი” ასე აყალიბებს ჩემს მე-16 „ტყუილს”: „XVI სიცრუე: მ.ჯავახიშვილის მიერ დაპატიმრებამდე (ანუ 13-14 აგვისტომდე), ორი თვით ადრე, „1937 წლის 21 ივნისს, ჩეკას სახელზე დაწერილი 36 გვერდიანი” (სინამდვილეში 34 ფურცლიანი – გ.ც.) ინფორმაცია არ არსებობს“ (დიახ! არ არსებობს – გ.ც.).

გ.ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში დაცული, მისი დირექტორის, ქ-ნ იზა ორჯონიკიძის მიერ ქსეროკოპირებული მ.ჯავახიშვილის სამძებრო საქმის შესწავლით დავადგინე, რომ მ.ხომერიკი სარგებლობს ჩეკას გამომძიებელთა მიერ 1937 წლის აგვისტოს 21-ში, პატიმრობის დროს, არაადამიანური წამებით მოპოებული მ.ჯავახიშვილის 34 გვერდიან ხელნაწერზე დატანილი ადვილად მისახვედრი, მცდარი თარიღით (21/VI-37) და იგი მ.ჯავახიშვილს მიზნობრივად აცხადებს ჩეკას აგენტ - „არსენად”. ეს

არის არა მხოლოდ თაღლითობა, არამედ ისტორიკოსის მიერ ვითომ უვიცობით ხალხის მოტყუება და მიზნობრივად გამოწვეული დანაშაული. მაგრამ შუბი ხალათაში დიდხანს არ დაიმალება".

მ.ხომერიკი წერს ამის შემდეგ გ.ციციშვილი ჩემს „XVII სიცრუეზე" გადადის. თვლის, რომ მე-16 ბოროტ ტყუილზე უკვე საკადრისი პასუხი გამცა, არადა, საკუთარი თავი აიგდო მასხრად. რატომ არ ეხება 21 აგვისტოთი დათარიღებულ განცხადებას, რომელიც 21 ივნისის განცხადებიდან განსხვავდება, როგორც შინაარსით, ისე ზომით, ან სად ვაცხადებ მ.ჯავახიშვილს ჩეკას აგენტ - „არსენად"? (გვ. 89-90).

- ეს ვრცელი ამონარიდი სანიმუშოდ ააშკარავებს მ.ხომერიკის ადამიანურ და „მეცნიერულ" ღირსებებს. მ.ხომერიკი მ.ჯავახიშვილის გულრწფელი მკვლევარი რომ იყოს ადვილად გამიგებდა, რომ მ.ჯავახიშვილის „21/VI-37წ"-ით დათარიღებული, დილეტანტი მკითხველისთვის შემზარავი, მაგრამ აბსურდული შინაარსის მქონე ხელნაწერი განცხადება მართლაც არ არსებობს. ჩემი მტკიცება გამომდინარეობს მისი მცდარი თარიღის („21/VI-37"-ის) სწორი „21/VIII-37წ"-ით დათარიღების მყარი მტკიცებულობიდან. მაშასადამე არ არსებობს „ჩეკას თუ ბერიას" სახელზე მ.ჯავახისვილის დაპატიმრებამდე დაწერილი „დასმენა". ეს არის ჩემი მეცნიერული და მ.ხომერიკის პასკვილის საწინააღმდეგო მიგნება, რომელსაც წინამდებარე ნარკვევის შემდგომ თავებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა...

აღნიშნულთან ერთად მკითხველი ხომ კონკრეტული ფაქტებით ადვილად დავარწმუნე, რომ მ.ხომერიკი მ.ჯავახიშვილს აცხადებს, დიახ აცხადებს „ჩეკას აგენტ - „არსენად".

მას ჰგონია, რომ დაკვირვებული მკითხველიც კი, ვერ მიუხვდება მის ბოროტ ცუდლუტობას და აგრძელებს: „აი, ეს არის ის განცხადება, რომელიც გ.ციციშვილის მტკიცებით, არ არსებობს, ის ჩაკერებული იყო მ.ჯავახიშვილის საქმეში (ფ.ფ. 16-49). დოკუმენტი უთარიღოც რომ იყოს, ნებისმიერი ჭკუათმყოფელი ადამიანი მიხვდება, რომ ის პატიმრობამდეა დაწერილი, ვინაიდან ნაცემი პატიმარი თავისი ხელით ასეთ ვრცელ განცხადებას ვერ დაწერდა" (გვ. 98).

- ჭკუათმყოფელი ადამიანები წინამდებარე ნარკვევის სათანადო გვერდებზე წარმოჩენილი მაგალითებით დარწმუნდებიან, რომ ჩეკისტები სწორედ ნაცემ-ნაწამებ პატიმრებს „ათხრევინებდნენ გვირაბს ბომბეიდან ლონდონამდე", და რომ ამ მხრივ მ.ჯავახიშვილიც არ იყო გამონაკლისი. ამასთანავე, მ.ჯავახიშვილის ხელნაწერის ჩემეული დათარიღება (21/VIII-37), იმას როდი ნიშნავს, რომ ნაცემმა ავტორმა იგი იმავე დროს ამოუსუნთქავად განასრულა, არამედ იმას მოწმობს, რომ მწერლის ხელნაწერი განცხადება მისი ცემის თარიღით განისაზღვრა. ამ სიმართლეს როცა ქვემოთ დავამტკიცებ, მკითხველისთვის ამით ისიც ცხადი გახდება, თუ როგორ შეიძლება შეფასდეს ჩემს მიმართ გამოთქმული ამ და უამრავი სხვა დამამცირებელი სიტყვების ავტორის პიროვნულ-ადამიანური თვისებები და ღირსება. მაგრამ მივყვეთ მის მიერ გამოქვეყნებულ აზრებს. მ.ხომერიკი წერს:

8) „ორიოდე სიტყვით შევეხოთ დოკუმენტების განლაგებას. უნდა ითქვას, რომ მათი თანმიმდევრობა არეულია.

გ.ციციშვილი აქაც არ ღალატობს საკუთარ თავს და ყველაფერს კიდევ უფრო ურევს: „მეოთხე, მ.ჯავახიშვილის ე.წ. 21 ივნისს „მიცემული ჩვენება" პატიმრის სამძებრო საქმეში ჩაკერებულია მკაცრად გარკვეული რიგითი თანმიმდევრობით: 19 აგვისტოს დაკითხვის ოქმისა და 21 აგვისტოს პირველი განცხადების შემდეგ და 31 აგვისტოს განცხადების წინ..." (გვ. 98).

- დიახ, ასეა. ახლაც იგივეს ვიმეორებ და წყაროების ფურცლების მ.ხომერიკისეული სწორი მითითებითაც კი ვადასტურებ: მე მართალი რომ ვარ, ეს კარგად ჩანს მ.ხომერიკის ამავე წიგნში და მასში შეტანილი დოკუმენტების გვერდების დამოწმებაში, კერძოდ „გამოყენებული ლიტერატურისა და წყაროების სიაში". აქ მ.ხომერიკის მიერ დოკუმენტების მიზნობრივად გადაადგილების მიუხედავად, მათი ადგილი მ.ჯავახიშვილის საქმეში სწორად არის მითითებული: მ.ჯავახიშვილის დაკითხვისა და ქოქრაშვილის 19 აგვისტოს დაპირისპირება-დაკითხვის ოქმი-ფურც.7-9; შემდეგია 21 აგვისტოს მ.ჯავახიშვილის პირველი „ფუტლიარი" განცხადება გოგლიძისადმი-ფურც.10-15; ამას მოსდევს ლოგიკურად და ქრონოლოგიურად მომდევნო 21/VI-37"-ით მცდარად დათარიღებული,

მაგრამ სინამდვილეში 21 აგვისტოს მეორე ორჯერადი ცემის შემდეგ ბერიას მიერ გამოძალული მ.ჯავახიშვილისეული ხელნაწერი-განცხადება - ფურც.16-49. რომელიც მ.ხომერიკს მიზნობრივად მ.ჯავახიშვილის 21 აგვისტოს ხელმოუწერელი განცხადების წინ აქვს გადაადგილებული. ამის შემდეგ მოდის მ.ჯავახიშვილის 31 აგვისტოს განცხადება, ფურც. 50-54 (იხ. მ.ხომერიკის წიგნი-პასკვილი გვ. 99 და „გამოყენებული ლიტერატურის სიაში" გვ. 157, №99. 111, 109; გვ. 158, №117). როგორც ვხედავთ სახეზეა მკაცრად გარკვეული, ჩეკას ძიების მიერ აკინძული ლოგიკურ-ქრონოლოგიური თანმიმდევრობა: მ.ჯავახიშვილის სამძებრო საქმე №9997-ში ასეა:

I ფურც.7-9: 19 აგვისტოს პირველი, დაკითხვა დაპირისპირების ოქმი;

II ფურც.10-15: მ.ჯავახიშვილის დაკითხვის საფუძველზე შედგენილი, მისეულად წარმოჩენილი, პირველი განცხადება გოგლიძისადმი. იგი დათარიღებულია „21/VIII-37წ"-ით;

III ფურც.16-49: მცდარად, „21/VI-37წ"-ით დათარიღებული, სინამდვილეში 21/VIII-37წ-ის მეორე, ანუ ხელნაწერი განცხადება;

IV ფურც.50-54: 31/VIII-37წ-ის მ.ჯავახიშვილისეულად წარმოჩენილი ფუტლიარი განცხადება.

მ.ხომერიკი კი, მისი ბოროტი ინტერესიდან გამომდინარე სულ სხვა არგუმენტებს მიპირისპირებს, მკითხველს ხელოვნურად და მიზნობრივად აბნევს და ისე გამოყავს, თითქოს მე როცა ამ კონკრეტული დოკუმენტების თანმიმდევრობას ავღნიშნავ, ვმსჯელობ საერთოდ მ.ჯავახისვილის საქმეში დაცული ყველა დოკუმენტების შესახებ (იხ. მ.ხომერიკის წიგნი, გვ. 99). მ.ხომერიკი ამის მერე ისევ თავისას იჩემებს.

9) „გ.ციციშვილი მ.ჯავახიშვილის საქმეს არ იცნობდა... XXI საუკუნეში მან როგორც იქნა მოახერხა ი.ორჯონიკიძის ქსეროასლის ნახვა და თავი ყოვლისმცოდნედ წარმოადგინა. მატყუარა მკვლევარები - „კეთილებად" გამოაცხადა, ხოლო მე სიმართლის თქმისათვის - „ბოროტ მატყუარად"...

- ჯერ ერთი, ჩეკას გამომძიებელთა მიერ გამოძალულ „ჩვენებებს" პატიმრის საქმის გაცნობის გარეშეც, თუნდაც მ.ხომერიკის ტენდენციური ინტერპრეტაციებით შეიძლება მიეცეს

საწინააღმდეგო შეფასება. მეორე, მე ვწერდი, რომ: ჩეკას არქივში მ.ჯავახიშვილის საქმეზე არ მიმუშავია, რადგან ამის საშუალება არ მომეცა. იგი ჩემს მიერ შერჩეულ სხვა უამრავ საქმესთან ერთად ამ არქივიდან გაიტანეს აკად. გ.ლეონიძის სახელობის მუზეუმში. იქ კი მასზე მუშაობის შესაძლებლობა არ მომცეს. მაგრამ მ.ჯავახიშვილის საქმეში მ.ხომერიკის 1996 წელს და ადრე გამოქვეყნებული პასკვილებით ნაწილობრივ მაინც ვერკვეოდი. ამის გარდა, რაც მთავარია, კარგად ვიცნობდი მ.ჯავახიშვილის ეპოქას და რეპრესიებით შეთითხნილ უამრავ დოკუმენტს. ისიც გავიცნობიერე, რომ მ.ჯავახიშვილის გაგების მ.ხომერიკისეული ტენდენციური მეთოდოლოგია და არგუმენტაცია ამ პერიოდის რეალურ კანონზომიერებას არ ასახავს. ისიც არის, რომ მალე მ.ჯავახიშვილის საქმის დოკუმენტების ქსეროკოპირებული ასლებიც მოვიპოვე, XXI საუკუნეში კი, ეს ქსეროასლები გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერეტურის მუზეუმში დაცული მასალებით და ჩემს მიერ გამოვლენილი სხვა უამრავი დაკითხვის ოქმით გადავამოწმე. როცა დავრწმუნდი, რომ მ.ხომერიკი მ.ჯავახიშვილის გაუბედურება-მოსპობის, 1937 წლის ნამდვილ ისტორიას შეგნებულად აყალბებდა, ამის გამო და ამის მერე, დიდი მწერლისა და საუკეთესო მამულიშვილის ჩეკისტურ-ბერიასეულად ნამართავ პერიპეტიების სწორად გაშუქების ამოცანის შესრულებაც დავისახე და შესაბამისად დიდი მამულიშვილის გაყალბებული ისტორიის სწორად გაშუქებაც ვიტვირთე.

მეორე, მ.ხომერიკი მატყუარა მკვლევარებში გასაგებია ვისაც გულისხმობს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ისინი მ.ჯავახიშვილის შესახებ სიმართლისა და სიკეთის წერისას, თუ გამოქვეყნების დროს, როგორც ყველა მოკვდავი ავტორები, ზოგჯერ შეცდომებსაც უშვებენ, რის შესახებაც მე მათ ხან პირადად და ზოგჯერ ჩემი მონოგრაფიით მივუთითე. მ.ხომერიკი კი, ბოროტებას მიზნობრივად თესავს, თუმცა ზოგჯერ სიმართლესაც არ მალავს და ამ უკანასკნელის გამო, კიდეც ვაქებ და ვეფერები (იხ. გ.ციციშვილი, სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, გვ. 62, 377, 379,

380, 384). ის კი ცდილობს მკითხველის წინაშე წარმომაჩინოს მის პირად მტერად.

10) „... გ.ციციშვილი ყველაფერში ერთვება და თავდაყირა აყენებს. საკამათო არ არის, რომ მ.ჯავახიშვილის დაპატიმრებამდე ჩეკამ მის წინააღმდეგ უამრავი ბრალდება გამოსძალა სასიკვდილოდ განწირულ პატიმრებს. გ.ციციშვილი კი წერს, თითქოს მ.ჯავახიშვილს ჯერ კიდევ 1937 წლის 17 აგვისტოს ჩატარებულ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე მწერლებმა დააბრალეს სხვადასხვა დანაშაული (ამ დროს მწერალი უკვე დაპატიმრებული იყო) და მხოლოდ ამის შემდეგ „ჩეკას სამძებრომ მ.ჯავახიშვილს, მწერალთა ბრალდებების დახმარებით, საკუთარი ჩამოუყალიბა" (იქვე, გვ.109).

- აღნიშნულთან დაკავშირებით მ.ხომერიკს მითითებული აქვს ჩემი ბროშურა , „მ.ხომერიკის 25-ზე მეტი ბოროტი ტყუილი მისი ქომაგის, სოსო სიგუას გაზეთის ერთ წერილში", გვ. 10 და „სიმართლის" მთქმელი თავხედურად დასძენს: „როდემდე უნდა გრძელდებოდეს ეს უმეცრების ბოგინი! მ.ჯავახიშვილის დაპატიმრების ორდერი გამოწერილია 1937 წლის 13 აგვისტოს. იმავე რიცხვით არის დათარიღებული გოგლიძის დადგენილება, რომელშიც ვკითხულობთ, რომ მ.ჯავახიშვილი „достоточно изобличен в том, что он ведет к-р работу", ე.ი. მის დაპატიმრებამდე მოხდა ჩეკას მიერ მისთვის ბრალდებების ჩამოყალიბება (? – გ.ც.), რომელსაც სისხლის სამართლის კონკრეტული მუხლებიც კი მიუსადაგეს, სახელდობრ 58/10 და 58/11. პროვოკატორი ციციშვილი კი ამ ყოველივეს (? – გ.ც.) მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომას აბრალებს, რომელიც გოგლიძის მიერ დადგენილების დაწერიდან ოთხი დღის შემდეგ ჩატარდა. სადღეისოდ არ არსებობს ისეთი მექანიზმი, რომელიც გ.ციციშვილს სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობის ფაქტებით მანიპულირებას და ბოროტ მატყუარობას აუკრძალავს" (გვ. 109 ხაზგასმები ჩემია – გ.ც.).

- მ.ხომერიკის ეს, ჩემს მიერ მოყვანილი უკანასკნელი სალანძღავი დებულებაც, მისი ღვარძლიანი და აკვიატებული სულისკვეთებიდან მოდის. იგი ამბობს:

ა) „ყველაფერში ერთვებაო” – ტყუილია. მე ვერთვები მხოლოდ იმაში რაც მე მეხება, როგორც მკვლევარსა და პიროვნებას;

ბ) „და თავდაყირა აყენებსო” – ეს მართალია. საქართველოს უახლესი ისტორიის გადამწერ, კომპილიატორ და კონიუნქტურის გამომყენებელ კრეატურა ისტორიკოსებს, მითუმეტეს ისტორიკოს ფალსიფიკატორებს, ნებსით თუ უნებლიედ იმდენი შეცდომა აქვთ დაშვებული, ხოლო მ.ჯავახიშვილის ცხოვრებისეული პერიპეტიების მიზნობრივად გამყალბებელ მ.ხომერიკს, ისეთი ბოროტი სიყალბეები აქვს ჩადენილი და სიტყვიერად გამოთქმული, რომ მათი გვერდის ავლა არა მარტო მე, როგორც სპეციალისტს, არამედ არცერთ წიგნიერს, რომელსაც ეროვნული თავმოყვარეობა გააჩნია, არ მიეტევება...

გ) მ.ხომერიკმა რადგან ბოლოს მაინც აღიარა, ის რასაც მე მას მუდმივად მივუთითებ, რომ „მ.ჯავახიშვილის დაპატიმრებამდე ჩეკამ მის წინააღმდეგ უამრავი ბრალდება გამოსძალა სასიკვდილოდ განწირულ პატიმრებს”, იქნებ მათ შორის ისიც დაენახა ერთ-ერთ ჩვენებაში, რომ ჩაწერილია – მ.ჯავახიშვილი ეწეოდა ფაშისტური „სისხლის რასობრივი თეორიის” პროპაგანდას და ისიც აეხსნა, იგი მწერალთა პრეზიდიუმის 17 აგვისტოს სხდომას სახელდობრ თუ არა, სავარაუდოდ მაინც ვინ შესძინა? მას ისიც უნდა დაენახა და ადრევე უნდა გაეგო, რომ მ.ჯავახიშვილის ხელნაწერ განცხადება-„ჩვენების”-ჩვენებებში შეტანილი აღიარებების ერთი, ძირითადი ნაწილი, სწორედ წინამორბედი პატიმრების ჩვენება-„აღიარების” განმეორება-განვითარება იყო. ამ შემთხვევაში ნაწილობრივ მაინც დაიზღვევდა თავს ზოგი პრიმიტიული შეცდომებისგან და იქნებ აღარც მოწინაარმდეგეების ლანძღვის ტალღაზე გადასვლა გახდომოდა საჭიროდ.

დ) მ.ხომერიკი მე მლანძღავს და მამცირებს, მაგრამ მკითხველი დამატებით, უამრავჯერ დარწმუნდება, რომ იგი მ.ჯავახიშვილის ცხოვრებისეული პერიპეტიების გაგება-შეფასებითა, თუ გაშუქების და წყაროების მისეული მიზნობრივად ტენდენციური ინტერპრეტაციებით მისი ჩემს მიმართ ნახმარი სიტყვები რომ გამოვიყენოთ, თვითონ არის სტაჟიანი და ნაწრთობი პროვოკატორი. ჩემს მიმართ ნახმარი სიტყვები, რომ გამოვიყენო, მ.ხომერიკი,

უმეცარი, მანიპულიატორი და ბოროტი მატყუარა თვითონაა. ამას წინამდებარე წიგნის სათანადო თავების ნარკვევებში მ.ჯავახიშვილის სიმართლის წარმოჩენის მიზნით ვააშკარავებ.

მ.ხომერიკი ცდილობს, მაგრამ უშედეგოდ, რომ მ.ჯავახიშვილის მიმართ გამოტანილი 17 აგვისტოს დადგენილების გამო პრეზიდიუმის წევრი მწერლები გაამართლოს. მე კი, სიმართლისათვის პროვოკატორს მიწოდებს და მლანძღავს. იგი ამას იმიტომ სჩადის, რომ ჯერ ერთი, იგი ცდილობს დამალოს, რომ ამ სამარცხვინო საქმის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილე ბაბუამისი, იაკინთე ლისაშვილი იყო. მეორე, იგი იმასაც ცდილობს, რომ ძველი მწერლების შთამომავლობა და, ბერიას მიერ მწერლობის მოთვინიერების უცოდინარი ახლები დამიპირისპიროს. მაგრამ არ გამოუვა, რადგან არსებობს საარქივო წყაროები რომლებიც მოწმობენ, რომ სხვადასხვა დროს, მათ შორის მაის-ივნისში და შემდგომშიც სხვების (ნ.მიწიშვილის, აკ.თათარაშვილის, გრ.მუშიშვილის და სხვ.) მიმართ მიღებული მსგავსი დადგენილებებით, 1937 წლის ზაფხულში, ამ მწერლებმა არაერთხელ შეირცხვინეს თავი. მ.ხომერიკსა და მის დამქაშებს ვურჩევ უკეთ გაიცნობიერონ მწერლების მოთვინიერების ამბები. დიახ, „მწერალი უკვე დაპატიმრებული იყო და დაპატიმრების გამამართლებლად წინამორბედ პატიმართა „ჩვენებების" საფუძველზე სისხლის სამართლის მუხლებიც კი მისადაგებული ჰქონდა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის „ფიზიკურად განადგურების" მოთხოვნას, მითუმეტეს ფიზიკურად განადგურების აუცილებლობის ფორმალურ იურიდიულ-სამართლებრივ დასაბუთებას. მწერალთა პრეზიდიუმის სხდომამ და მის მიერ მიღებულმა დადგენილებამ კი, 17 აგვისტოს პრობლემა ყოველგვარი სამართლებრივი პროცედურების გარეშე, უდანაშაულოების პრეზუმციის დაცვის უგულვებელყოფით გადაჭრა. ეს იყო იშვიათი, მწერალთა კავშირიდან გარიცხული და გაუბედურებლთა მიმართ გამოტანილი, შემზარავი და სხვა შემთხვევაში არნახული დადგენილება. ამ დადგენილების შემუშავებაში ზოგმა თავისი უნამუსო წვლილი შეიტანა, ზოგი კი, გარემოებათა მძევალი აღმოჩნდა. მწერალთა ეს აქტი სახუმაროდ კი არ მოამზადა და განახორციელა ხელისუფლებამ, ბერიამ თუ, ჩეკას,

არამედ მას სათანადო მიზანდასახულობა ჰქონდა. ჩეკამ სამძებრომ კი, როგორც დავრწმუნდით, მ.ჯავახიშვილს მხოლოდ ამის შემდეგ, ჩამოუყალიბა და განუვითარა აბსურდული მომაკვდინებელი ბრალდებები, რომლებიც თავისივე ხელით დააწერინა და ზოგჯერ კიდევ ჩაასწორებინა.

ე) მანმადე, სანამ ჩეკისტურად შეთითხნილი მ.ჯავახიშვილის „საბრალდებო დასკვნას" ჩამოაყალიბებდნენ ჩეკას ძიების ჯალათებმა იურიდიულად იმიტომ არ დაარღვიეს, ანუ დაიცვეს უდანაშაულობის პრეზუმფცია, რომ ჯერ ერთი, მ.ჯავახიშვილი ქართველ ხალხში იშვიათი პოპულარობით სარგებლობდა, მეორე, ქართული საზოგადოების წარმომადგენლობამ კარგად იცოდა, რომ ბერიას მ.ჯავახიშვილის მიმართ, ისე, როგორც ბევრ სხვათა მიმართ, პირადი მტრობა ჰქონდა. მესამე, სისხლის სამართლის 58/10 და 58/11 მუხლები არ ითვალისწინებენ ბრალდებულის „ფიზიკურ განადგურებას", არამედ მოითხივენ ბრალეულობათა შემდგომ დასაბუთებას. მწერლებმა კი, დაარღვიეს კანონიერი მოთხოვნა და დაადგინეს: „მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც ხალხის მტერი, ჯაშუში და დივერსნტი გარიცხულ იქნას მწერალთა კავშირიდან და <u>ფიზიკურად განადგურებული</u>". ეს როგორ უნდა შეფასდეს, რა იყო? იგი ჩეკას სამძებროსთვის შემაკავებელი თუ, წამქეზებელი აქტი იყო?! ჩემი აზრით, რამდენადაც მ.ჯავახიშვილის ბრალეულობათა გამო, ამ 17 აგვისტოს მწერალთა სხადომის დროს ძიებაც არ იყო დაწყებული, ამდენად პრეზიდიუმის დადგენილება ვისი ბრძანებითაც უნდა მიეღოთ, მაინც დაბრალება იყო. ამიტომ ჩემი აზრი რამდენადაც შემზარავად უნდა მოგეჩვენოთ, იგი მაინც ამტკიცებს, რომ პრეზიდიუმის დადგენილება ჩეკასთვის ხელისშემწყობი ფაქტი იყო.

ვ) უვიცობის გამოვლინებაა, ისტორიკოსის მიერ იმის თქმა, რომ თითქოს, მ.ჯავახიშვილის დაპატმრებამდე მოხდა მისთვის მომაკვდინებელი „ბრალდების ჩამოყალიბება", და ამიტომ, თითქოს მწერლებს მე ვაბრალებდე მ.ჯავახიშვილის მოსპობას, რადგან ეს იურიდიულად მართალი არ არის. ბრალდების ჩამოყალიბება ხდება მთელი რიგი პროცედურების საფუძველზე. ეს კი, არის ბრალდებულის მიმართ წინასწარი აგენტურული მონაცემების,

დაკითხვა-დაპირისპირებით მოპოებული აღიარება-ჩვენების და სხვადასხვა საჭიროების, მათ შორის ნივთიერი მტკიცებულებების წარდგენით ჩასატარებელი სამუშაოების მომთხოვნი. მწერალთა პრეზიდიუმს კი, გააჩნდა მხოლოდ მ.ჯავახიშვილის მიერვე ხშირად დაუფარავად გამოთქმული და მწერალთა ინკვიზიციური სხდომის დროს, მის მიერ კვლავ აღიერებული აპოლიტიკური გამოთქმების დადასტურებანი, მისთვის მიუღებელი რეალობის ლიტერატურულ-მოქალაქეობრივი გამოვლინებები და როგორც მ.ხომერიკი სწორად ვარაუდობს, ბერიას ბოროტი დავალებები. მ.ჯავახიშვილის ძიება 19 აგვისტომდე არ ჩატარებულა, მწერალთა პრეზიდიუმს კი გამოაქვს მისი ფიზიკურად განადგურების მოთხოვნა... ამიტომ მწერალთა პრეზიდიუმის გამართლება არ ხერხდება, თუნდაც, რომ აღმოჩნდეს მათ მიმართ ბერიას ხელმოწერილი მითითება და მოთხოვნა...

11) მ.ხომერიკი დადიოდა ოჯახებში, საჯარო ბიბლიოთეკაში, უმაღლეს სასწავლებლებში, გაზეთის რედაქციებში და სხვაგან. იგი, ამ დროს ცდილობდა პიროვნებების დარწმუნება-გადაბირებას მ.ჯავახიშვილის ცხოვრებისეული პერიპეტიების ყალბი ინტერპრეტაციებით. ზოგი კიდეც გაიხადა თავის თანამოაზრე-დამქაშად. ამ მიზნით იგი როგორც თვითონვე აღიარებს, ნოე ხომერიკის საზღვარგარეთ (პარიზში) მცხოვრები ვაჟის, ვიქტორის გადაბირება-გაბრიყვებასაც არ მოერიდა, მაგრამ უშედეგოდ... რადგან მან უთუოდ კარგად იცოდა მამის როლის უარყოფითი შეფასება სხვათა და მათ შორის მენშევიკი თანაპარტიელების მხრიდან.

მ.ხომერიკის აუგ საქციელს რაც უფრო საგნობრივად ვამხელ და ვააშკარავებ, მით უფრო მწარედ მლანძღავს, იმის ნაცვლად, რომ ჩემს მიერ გამოქვეყნებული ფაქტებითა და არგუმენტებით საკუთარი შეცდომები გააკონტროლოს და გაანალიზოს. მას ჯიუტობა ნებისყოფის გამოვლინებად, ხოლო მოწინააღმდეგეს დაცინვა და ლანძღვა, თავდაცვის მყარ საშუალებად ესახება. მისი ჯიუტობის მიზეზია, აგრეთვე უცოდინარობა ეპოქის პოლიტიკური, სამართლებრივი, ფსიქიკური და იდეოლოგიური თავისებურებებისა. მას ვერ გაუგია, რომ საბჭოთა ტოტალიტარიზმის პრობლემებისა და უკიდურესად მწვავე პროცესების უცნობი საკითხების მეცნიერული შესწავლა მოითხოვს, არა ჯიუტობის გამძლეობას, არამედ

პროფესიონალიზმს და ხანგრძლივ, დაძაბულ შრომისმოყვარეობას, რთული პრობლემების გამოვლინებასა და მათი წყაროების კრიტიკულ-ანალიტიკურ შესწავლით, სწორი დასკვნებისა და გამაზოგადებელი, ანუ კონცეპტუალური ცოდნის ჩამოყალიბებას.

12. მ.ხომერიკის, როგორც აღნიშნული, მ.ჯავახიშვილის ისტორიის ფალსიფიკატორული გამძლეობისა და ჯიუტობის ერთ-ერთი გამომწვევი მთავარი, დამატებითი მიზეზი მაინც მისი აშკარა და ფარული დამქაშების თანადგომა – წაქეზება და აგრეთვე, მის მიერ თანამდგომთა, თუ წამქეზებელთა ფარისევლობის „შეუცნობელობაა“ და მათი გამოყენებაა. მაშასადამე, მ.ხომერიკის მსგავსად მ.ჯავახიშვილის გაგების საკითხში მისი წამქეზებლებიც და თანამდგომებიც, ობიექტურად მ.ჯავახიშვილის გამყალბებლები არიან. მათ შორის ისინიც იგულისხმებიან ვინც მ.ხომერიკის სიყალბეთა გამოვლენას ამუხრუჭებენ და რომლებსაც პრობლემის სიღრმისეული შესწავლა და მ.ჯავახიშვილის ბოლომდე გამართლება არ უნდათ. ვისაც გაუგებრობათა გამო გულრწფელად სჯერათ, რომ მ.ხომერიკი პრინციპში მართალია, მისი მოწინააღმდეგეები კი, ნებსით თუ უნებლიედ ტყუიან. შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: მ.ხომერიკის მიერ ჩემს წინააღმდეგ 2007 წელს აღძრულ სასამართლოს ესწრებოდა მისი ერთ-ერთი ვაჟიშვილი, მან როგორც დამსწრე-თვითმხილველმა და მსმენელმა, თავად ნახა და განიცადა ჩემი უსაფუძვლოდ მომჩივანი, მოსარჩლე დედის სამარცხვინო დამარცხება. მან ისიც კარგად იცის, რომ ქალბატონ მანანას მიერ ვითომ რეცენზირებულ ჩემს წიგნში მის ზოგ მოწინააღმდეგეებს ვაკრიტიკებ, ხოლო სიმართლის თქმისთვის მ.ხომერიკს კიდეც ვაქებ. ამის მერე, რატომ ხდება, რომ მ.ხომერიკს ოჯახში შემაკავებელი ფაქტორი არ აღმოაჩნდა? იგი 2008 წელს გამოქვეყნებულ წიგნში საკუთარ დამარცხებას ისე წარმოაჩენს თითქოს სარჩელზე უარი რომ სთქვა, მიზეზთა გამო მაპატია. ამის შემდეგ ახლა ისევ ძველი, უმთავრესად ჩემ მიერ ადრე, მრავალჯერ გაბათილებული არგუმენტებითაც მედავება, მლანძღავს და მემუქრება. ისე იქცევა, როგორც ნორმალურ ადამიანს, მითუმეტეს მეცნიერის წოდების პრეტენზიების მქონეს (მ.ხომერიკი ამ დროს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორის თანამდებობის მაძიებელია), არ ეკადრება.

მაშასადამე, როგორც ჩანს, მ.ხომერიკს შემაკავებელი ზნეობრივი ფაქტორები მოშლილი აქვს და შემკავებელ-დამრიგებელი არა ჰყავს. ამაშია მისი უბედურება და მოწინააღმდეგე ავტორთა ლანძღვისა და ჩემი თუ სხვათა პროვოციერების მიზეზი. თორემ მოწინააღმდეგე აზრის მკვლევართა მეცნიერული პაექრობა აუცილებელი, ჯანსაღი და მეცნიერულად ყოველმხრივ გამართლებულია.

13. მ.ხომერიკის მიზანდასახულობას და პიროვნულ სახეს ნათლად გვიჩვენებს მისი 2008 წელს გამოქვეყნებული პასკვილის გამო უაღრესად პოპულარულ გაზეთ „ასავალ-დასავალში“ მისი მუშაკის, ქ-ნ ქეთევან ხამიცაშვილის მიერ „მომზადებული“ წერილის გამოქვეყნება დემაგოგიური სათაურით - „იაკინთე ლისაშვილმა ჯავახიშვილი ორჯერ დაიცვა“ (2009, №40, 5-11 ოქტომბერი, გვ.31). „არცოდნა, არცოდვაარ“, მაგრამ ესოდენ პოპულარული გაზეთის კორესპოდენტ-გამომქვეყნებელმა უნდა იცოდეს, რომ სინამდვილეში, იაკინთემ საკუთარი თავი დაიცვა და ისიც წარუმატებლად.

ქ.ხამიცაშვილის მიერ „მომზადებულ“, მ.ხომერიკის დასახელებულ საგაზეთო პუბლიკაციაში, 1937 წლის რეპრესიებისა და მ.ჯავახიშვილის ისტორია, თავიდან ბოლომდე ტენდენციურად არის გაშუქებული. აქ მ.ხომერიკი ამბობს მხოლოდ იმას რაც აწყობს: როცა მან მ.ჯავახიშვილის მხრივ შანშიაშვილთან და ახმეტელთან შეუთანხმებლობა წამოსწია, დამალა, რომ პიესა „არსენას“ შექმნის დროს, მისი ნაშრომი გამოიყენეს, მისი საავტორო „კანონიერი უფლება“ კი, „ბერიას პირადი თაოსნობით შექმნილი“ პიესის გამო, უგულებელყვეს. (იხ. ლხცსა, ფ.8, აღ.1, ს.532, ფურც.46); როცა მ.ხომერიკი ჩემს მიერ მ.ჯავახიშვილის შვილიშვილის კრიტიკას თავისებური, ყალბი მიზანდასახულობით ახმოვანებს, მალავს, რომ ეს ადგილი სწორედ მე წამოვწიე და სწორი ინტერპრეტაციით, მ.ხომერიკის დასაცავად გამოვაქვეყნე...

მ.ხომერიკის მიერ გამოთქმული ტყუილებიდან განსაკუთრებით სავალალოა ის, რომ მ.ხომერიკი ტყუილებს ამბობს, ხოლო ქ.ხამიცაშვილი ამ ტყუილებს მკითხველს სიმართლედ ასაღებს. ასე მაგალითად მ.ხომერიკი თუ ქ.ხამიცაშვილი წერს:

ა) „20 წელი მოვანდომე, რომ დამედგინა სიმართლე 1937 წლის რეპრესიებთან დაკავშირებით“

- ტყუილია. იგი ოცი წელია მკითხველს ისტორიის წყაროების ძირითადად ერთსა და იმავე დემაგოგიურ და ბოროტ ინტერპრეტაციებს აჩეჩებს

ბ) „მის წიგნში მოცემულია მკითხველისათვის უცნობი ბევრი საინტერესო მასალა“

- ტყუილია. მ.ხომერიკის წიგნში უფრო ბევრი, მკითხველის დამაბნეველი ტყუილი წერია.

გ) „20 წელია თავს ესხმიან იაკინთე ლისაშვილს და ამახინჯებენ ისტორიულ სინამდვილეს, დოკუმენტურ მტკიცებულებებს“

- სინამდვილეში ი.ლისაშვილს კი არ ესხმიან, არამედ მასთან მიმართვებაში, მისი შვილიშვილის, მ.ხომერიკის ტყუილებს იგერიებენ და სიმართლეს აქვეყნებენ.

დ) „წიგნში სრული სიმართლეა მიხეილ ჯავახიშვილის შესახებ“

- ტყუილია. მასში მხოლოდ ჩეკისტური „სიმართლეა“ ამაში ქვემოთ დამატებით დარწმუნდება წინამდებარე წიგნის მკითხველი.

ე) „მემარჯვენე ჯგუფის წევრად შერაცხული იაკინთე ლისაშვილი დასაპატიმრებელთა სიაში შეიყვანეს“

- ტყუილია. იგი ამ სიაში ზოგი ჩამშვებისა და აგენტის მსგავსად, მიზნობრივად მოახვედრა, მისმა დამსახელებელმა, მაგრამ არა მ.ჯავახიშვილის დაცვის გამო. მაგრამ ეს ძველი ბოლშევიკი ამის გამო არც დაუპატიმრებიათ, არც დაუკითხავთ, არც შეუწუხებიათ და ამის შემდეგ კიდევ უფრო აღზევდა...

ვ) „იაკინთე ლისაშვილმა ორჯერ დაიცვა ჯავახიშვილი, არა თუ მის წინააღმდეგ გამოვიდა“

- ტყუილია. ეს ფაქტი 1937 წელს ეხება და ამ დროს იგი საკუთარ თავს იცავდა.

ზ) მ.ჯავახიშვილი „ხშირად გამოსულა თავისი მეგობრების წინააღმდეგ. ერთ-ერთი ასეთი გამოსვლა იყო გრიგოლ რობაქიძის წინააღმდეგ მიმართული“

- ტყუილია. მ.ჯავახიშვილი შეეცადა გრ.რობაქიძის ოფიციალური სამოქალაქო დასჯა არ მომხდარიყო (ლხცსა, ფ.8, აღ.1, ს.472, ფურც.11).

თ) „იყო შემთხვევა როდესაც ჯავახიშვილმა თავისი მეგობარი დ.კარსაძე გაწირა“.

ეს რომ ტყუილია დოკუმენტურად საბუთდება (იხ: ქ.ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება, გვ.276-177). მ.ხომერიკი უფრო ადრე წერდა: „მ.ჯავახიშვილმა... ორჯერ <u>დაასმინა</u>... დ.კარსაძე“ (მ.ხომერიკი, პასუხად მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფებს... თბ.1996, გვ.41; მისივე, სიმართლის გამრუდება ისტორიკოს გიორგი ციციშვილის მიერ, თბ.2003, გვ.30). არა და, მ.ხომერიკმა კარგად იცის ტერმონების მნიშვნელობაც და მათი ჩანაცვლების ფასიც... არავის ეგონოს, რომ მას იმ შემთხვევაში ტერმინის გამოყენებაში შეეშალა. იგი 2008 წელს გამოქვეყნებულ პასკვილშიც იგივეს წერს (გვ.129). ვისაც უნდა, რომ სიმართლე გაიგოს ჩაიხედოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური საისტორიო არქივის სათანადო საქმეში (ფონდი 8, აღ. 2[ს], საქმე 19, ფურც. 1-3) და დარწმუნდება, რომ მ.ხომერიკი, ამ შემთხვევაშიც მისი მოწინააღმდეგის მიმართ გამოყენებული სიტყვა რომ ვიხმაროთ – თაღლითობს.

ი) მ.ჯავახიშვილმა ნ.ხომერიკს შეკითხვა დაუსვა „პასუხი კი ჯავახიშვილმა ჩეკას მოახსენა“

- ტყუილია. მან ჩეკისტური სასამართლოს ძიების წინაშე თავი იმართლა. ისე მოიქცა, როგორც ყველა მის მდგომარეობაში მყოფი.

კ) დაპატიმრებამდე, ორი თვით ადრე „1937 წლის 21 ივნისით დათარიღებულ 34 გვერდიან განცხადებაში ჯავახიშვილმა 50-ზე მეტი ადამიანი დაასახელა. მათ შორის იყვნენ პაოლო იაშვილი, ლევან გარსიაშვილი, ბეგლარ ფაღავა... ამ განცხადებაში ყველაზე მეტად პაოლო იაშვილი იყო გალანძღული. ერთი თვის შემდეგ პაოლო იძულებული გახდა, თვითმკვლელობით დაესრულებინა სიცოცხლე“

- ბოროტი ტყუილის აპოგეაა. ასეთი განცხადება არ არსებობს. მ.ხომერიკი ჩეკისტურად გამოძალულს ეხება. ამის შესახებ სპეციალურ V და VI თავებში იხილავთ ჩემს დამაჯერებელ მტკიცებულებებს.

ლ) „1937 წლის 21 აგვისტოს (უკვე დაპატიმრების შემდეგ) ჯავახიშვილმა ახალი განცხადება დაწერა, რომელშიც კვლავ

გაიმეორა ის, რასაც დაპატიმრებამდე წერდა, ოღონდ ახლა ბევრად შერბილებული სახით“

- ბოროტი ტყუილია. მან კი არ დაწერა, არამედ მისმა გამომძიებელმა მ.ჯავახიშვილის აღიერებების გამოყენებით, გაზვიადებულად შეათითხნინა. ამასთანავე, მ.ჯავახიშვილს დაპატიმრებამდელი ნაწერის „შერბილებულად გამეორება“ არ შეეძლო, რადგან იგი ადრე არ არსებობდა.

მ) „მ.ჯავახიშვილი 1937 წლის 22 ივლისს მწერალთა კავშირის სხდომაზე გამოვიდა აკაკი თათარაშვილის წინააღმდეგ, ხოლო 28 ივლისს

- პაოლო იაშვილის“ - ტყუილია. ასეთი წყარო არ არსებობს.

- ეს და ზემოთ მოყვანილი ყველა სხვა ტყუილი მ.ხომერიკის მიერ გამოყვანილია ისტორიის ფაქტებისა და მოვლენების ტენდენციური ინტერპრეტაციით. ცხადია, რომ მ.ხომერიკს თავისი ტყუილები ურჩევნია ჭეშმარიტებას. ამაში ახლა, ადრე დაბნეული მკითხველიც ადვილად დარწმუნდება, ოღონდ მას შემდეგ, როცა ჩემს წინამდებარე წიგნს ყურადღებით გაეცნობა. მაგრამ „ასავალ-დასავალის“ მუშაკს ქ.ხამიცაშვილს, რომელმაც მ.ხომერიკის ეს მორიგი პასკვილი ვითომ 30-იანი წლების რეპრესიებისა და მ.ჯავახიშვილის შესახებ სიმართლის სათქმელად „მოამზადა“ და გამოაქვეყნა, როცა კარგად იცნობს ამ ტყუილებისა და ტენდენციურობების საწინააღმდეგო უამრავ სწორ ახსნებს, რატომ არის, რომ მ.ხომერიკს მხოლოდ ხელი შეუწყო, მაგრამ მისი პასკვილების მიმართ კრიტიკული ხასიათის საწინააღმდეგო ერთი ჟურნალისტური შეკითხვა მაინც არ დაუსვა?! ამის გამართლება არ შეიძლება...

აუცილებელია ითქვას, რომ „ასავალ-დასავალის“ მუშაკმა, ქალბატონმა ქ.ხამიცაშვილმა, ამ, მის მიერ მომზახდებული წერილის გამოყენებით ცუდი სამსახური გაუწია არამარტო დიდ მწერალსა და საუკეთესო მამულიშვილს, არამედ გაზეთ „ასავალ-დასავალსაც“.

რაც შეეხება მ.ხომერიკის პასკვილის სათაურს, მასთან დაკავშირებით საჭიროდ მესახება მკითხველი აქვე გავარკვიო, რომ საქმის ვითარება ასეთია: 1930-იანი წლები აღინიშნა უაღრესად მძიმე საზოგადოებრივი მოვლენებით (კონდრატიველობა, მავნებლობა,

რაპპ-ის მიერ პატრიოტი მწერლების დისკრეტიდაცია-დისკრიმინაცია). ამასთან დაკავშირებით მკაცრად შეირყა პროლეტარული (კომუნისტური იდეოლოგიის მიმდევარი და დამცველი) მწერლობის შინაგანი ერთიანობა. ამ დროს დაემთხვა ცნობილი ქართველი სპეციალისტების ე.წ. „ჩისტკა“, აგრეთვე მწერალთა კავშირიდან დათხოვნა-„დამუშავება“ და ზოგი მწერლის (მათ შორის კ.გამსახურდიას და გ.ქიქოძის) კავშირიდან გარიცხვა. მაგრამ ისიც გამოირკვა, რომ ამ მიმართულებით აღინიშნა „პროლეტარული წმენდის“ ხარვეზიც. ამის გამო „საქართველოს პროლეტარული მწერლობის ერთიან ფრაქციაში“ გამოვლინდა ცალკეულთა გამიჯვნა. მათმა ერთმა ნაწილმა მიიჩნია, რომ პარტიის პოლიტიკიდან ხდებოდა ექსპერიმენტული გადახრა მათი ხლმძღვანელობის (ბ.ბუაჩიძის, პ.ქიქოძისა და სხვ) მიერ, რომ უახლოეს მომავალში დადგებოდა მათი შეცდომების მხილება და გადაჭარბებისთვის მაგრადაც მოხვდებოდათ. ამიტომ თავდაცვის მიზნით პროლეტარულ მწერალთა ერთმა ნაწილმა, მათ შორის სამსონიძემ და ი.ლისაშვილმა, პარტიის მიერ თანამგზავრებად მიჩნეული მწერლების, მათ შორის, საქართველოში საყოველთაოდ აღიარებული, უაღრესად პოპულიარული და საყვარელი მწერლის, მ.ჯავახიშვილის ქომაგობა გამოავლინეს და ამით პარტიის, მათი აზრით, სწორი პოლიტიკა დაიცვეს. ამის გამო საქართველოს კომპარტიის იმდროინდელმა მდივანმა, 1930 წლის მიწურულს, მისი აზრით არა თანამგზავრი მწერლების დამცველად გამოსულები კომკავშირის ყრილობაზე მხოლოდ გააკრიტიკა. მაგრამ ეს ხელმძღვანელი იმის გამო, რომ ბერიასთან კომფლიქტში აღმოჩნდა, გადააყენეს, 1937 წელს კი, დახვრიტეს. დაგმობილი იქნენ პროლეტმწერალთა ძველი ხელმძღვანელებიც. ამ დროს ი.ლისაშვილი და თანამოაზრეები კოჭლი ცხვარივით სათავეში აღმოჩდნენ. ძველები თავისი აზრებიანად დაგმეს და თავი გამოიჩინეს. ამის მერე ამ პოლიტიკური ბრძოლის განვითარების წყალობით ადრე შერისხულმა პროლეტმწერლებმა 1937 წელს თავი გმირებად დაისახეს და მწერალთა დისკუსიის დროს ძველი „დამსახურებით“ შეეცადნენ პროლეტარული მწერლობის ძველ ცოდვებს დაპირისპირებოდნენ და გამიჯვნოდნენ. მაგრამ არ გამოუვიდათ. 7 მაისის სხდომაზე

დ.სულიაშვილმა მკაცრად გააკრიტიკა ლიტერატურული ფონდის ხელმძღვანელობა (დ.წერეთელი, მ.ჯავახიშვილი და ი.ლისაშვილი). ი.ლისაშვილს აქვე მიახალეს – ტრიუმვირატის მმართველობის ნაკლი იაკინთესაც ეხებაო (იხ.ლხცსა, ფონდი 8, აღ.1, საქმე 592, ფ.20). ამის შესახებ 28 მაისს, როცა ძველმა „გმირებმა“, ისევ მოინდომეს გამიჯვნოდნენ ბ.ბუაჩიძეს და პროლეტმწერლობის თავკაცებს, ადრე შერისხულმა, კ.გამსახურდიამ რომელიც ახლაც განწირვის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა, მწარე კრიტიკა შეაგება ამის გამო, თავის გამოჩენას და ხელისუფლების გამართლებას შეეცადა იმდროინდელ პროლეტმწერალთა თავკაცი – კონსტანტინე ლორთქიფანიძე. მან რაპპის ორთოდოქსებიდან გამოჯვნის მიზნით განაცხადა: „ჩვენ რაპში არ ვეტეოდით“. ამის გამო აზრის დამთავრება არ აცალა სამსონიძემ, რომელმაც ესროლა რეპლიკა: „მეტად გაბერილი იყავით“. კ.ლორთქიფანიძემ ხელისუფლების პოზიციის გამართლების მიზნით შეაფასა ერთი მხრივ, სამსონიძისა და ლისაშვილის, ხოლო მეორე მხრივ, გამსახურდიას ძველი საქციელი: „მე მგონია ამხ. ლისაშვილის პოზიციები ისევე მცდარი იყო, როგორც გამსახურდიას“. მისი სიტყვით გამსახურდიას ადრინდელი შემოქმედება „არ ემსახურებოდა ქართველი ხალხის კეთილდღეობას. მისი ნათქვამით „ბერიას მიერ გამსახურდიას ძველი ნაწარმოებების შეფასება სწორია და ვერავინ შეედავებაო. ამასთანავე, კ.ლორთქიფანიძემ დასძინა: „მე მგონია ამხ. ლისაშვილის პოზიციები ისევე მცდარი იყო როგორც გამსახურდიას: „რომ თქვენ იყავით ერთადერთი სწორი ჯგუფი, რომ სწორი პოზიციიდან ებრძოდით რაპ-ს... მე ვფიქრობ ეს ისევე არ არის სწორი, როგორც არ არის სწორი ამხ. ლისაშვილის პოზიცია, ვინაიდან მას ჰქონდა იგივე შეცდომები, როგორც პ.სამსონიძეს ცოტა უფრო ნაკლები, თუ უფრო მეტი მაგრამ იგივე... თქვენ იყავით პროლეტერულ მწერალთა ასოციაციის ფრაქცია, მაშასადამე მთელი ხელმძღვანელობა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის თქვენ ხელში იყო, თუ ფრაქცია ცუდად მუშაობდა ეს არის თქვენი დანაშაული“ (იქვე, აღწერა 2, საქმე 32, ფ.64-65). ამ „თავდასხმის“ გამო იაკნთე ლისაშვილმა თანამებრძოლი გმირებისა კი არა, საკუთარი თავის დაცვაც ვერასდროს გაბედა. არ იყო იგი იმ დონის კაცი, რომ

ინტელექტუალურად დაპირისპირებოდა დიდ მწერლებს. ლანძღვა და დასმენა კი, როგორც სათანადო წყაროებიდან ჩანს, კარგად ეხერხებოდა. მას არ შეეძლო დაპირისპირებოდა, მითუმეტეს კონსტანტინე გამსახურდიას, რომელმაც პროლეტმწერლები და მათი თავკაცები „ალიაში“ არაერთხელ გაატარა. სათანადო წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ ი.ლისაშვილს მწერალთა კავშირის წევრები მისი რომანების სისუსტისათვის საფუძვლიანადაც აკრიტიკებდნენ, მაგრამ მწერალთა კავშირის წევრად მაინც ინარჩუნებდნენ და იყენებდნენ მისი ძველი, 1920 წლიდან მოყოლებული კომუნისტური სტაჟის და პარტიის საქმიანობისადმი ბოლშევიკური ერთგულების გამო. მ.ხომერიკი კი, მას ქ.ხამიცაშვილის დახმარებით აზვიადებს.

წინამდებარე ნაშრომში მომყავს ჩემი 500 გვერდიანი გამოსაქვეყნებლად მომზადებული წიგნის ერთი, სადღეისოდ უაღრესად აქტუალური ნაწილი. ამასთანავე, აქ მიზნად ვისახავ სპეციალურად შემოვიფარგლო მ.ჯავახიშვილის როგორც 30-იანი წლების დიდი ტერორის ტიპიური მსხვერპლისა და ჩეკას მიერ მიზნობრივად გაყალბებული ისტორიის მართებული გაშუქებით. ამ დროს მ.ჯავახიშვილი მომყავს, როგორც რეპრესირებულთაგან წარმოჩენილი ერთ-ერთი განმაზოგადებელი პერსონაჟი. აღნიშნული მიზნით ყურადღებას ვუთმობ თემასთან ქრონოლოგიურად დაკავშირებულ, მ.ხომერიკის მიერ მიზნობრივად გაყალბებულ იმ საკითხებს, რომლებიც თითქმის ყველა რეპრესიებულს ამართლებს. მათ შორის საგანგებოდ დავისახე მ.ჯავახიშვილის მიერ „საქართველოს შინსახკომისრის, მოქალაქე გოგლიძის“ მიმართ წარდგენილი, მის სამძებრო საქმეში (№9997) დაცული, ერთადერთი, მცდარად, „21/VI-37წ“-ით დათარიღებული ხელნაწერი „განცხადების“ სწორად გაგება და დათარიღება. იგი ჩემს მიერ ადრინდელ პუბლიკაციაში დასაბუთებულია მოკლედ და ნაწილობრივ. როგორც ჩეკას გამომძიებლის მიერ ნაცემ - ნაწამები პატიმარის, იძულებითი ხასიათის 1937 წლის 21 აგვისტოს ჩვენება-აღიარებები. ამის შემდეგ იქნებ არც ღირდა ჩემი მიგნების გაბათილების მოსურნე თავდაჯერებული მ.ხომერიკისა და მისი დამქაშების აყოლა, მაგრამ რადგან მ.ხომერიკი,ამის შემდეგ არაერთხელ შეეცადა მ.ჯავახიშვილის დამცირებასა და მისი დამცველი მეცნიერების

გამასხარავებას, ხოლო, 2008 წელს, რადგან კვლავ გამოაქვეყნა ძირითადად იგივე წყაროებზე დაფუძვნებული მორიგი პასკვილი - „მიხეილ ჯავახიშვილი უნიკალური დოკუმენტების ფონზე“ და აგრეთვე ქ-ნ ქ.ხამიცაშვილის მიერ მომზადებული, 2009 წლის პასკვილური წერილი - „იაკინთე ლისაშვილმა მ.ჯავახიშვილი ორჯერ დაიცვა“ - სადაც მის მიერ გამოთქმულია ძველი ბოროტი ტყუილები და ჩემი გაუმართლებელი ლანძღვა. ამით მან არ დამიტოვა თავის არიდების შესაძლებლობა და იძულებული გამხადა რომ ახლა მეტი დამაჯერებლობით დამემტკიცებინა, რომ: პატიმრის ხელნაწერი განცხადება-ჩვენება მის მიერ კვლავ გაშუქებულია მიზნობრივად ყალბად, მცდარ თარიღზე უსაფუძვლო დაყრდნობით, და მისი დამქაშების მიერ წაყრუებული თავისი ძველი უაღრესად მძიმე, უსამართლო ბრალდებით; რამდენადაც მისი ეს მცდელობა დასტურდება არა მარტო დამატებითი, მიზნობრივად მცდარი თარიღით და რამდენადაც ისევ გრძელდება ჩემს მიმართ მ.ხომერიკისა და მისი დამქაში თაყვანისმცემლების მხრივ ჩემი მეცნიერული ღვაწლის იგნორირება და დანაშაულებრივი შანტაჟი, იძულებული ვარ გამოვაქვეყნო დამატებითი ახალი არგუმენტები და შესაბამისი გაცილებით ვრცელი პასუხები. ამისთვის აუცილებელი ხდება მ.ჯავახიშვილის შესახებ მის პირად სამძებრო საქმეში დაცული ყველა წყაროების გათვალისწინება და სხვა აუცილებელთა მოხმობა-გამოყენება. ამავე მიზნით საჭიროა სრულად წარმოვაჩინო ზოგი დოკუმენტი, მათ შორის, მ.ხომერიკის მიერ მიზნობრივად დამალული ბრალდებული მწერლის 1937 წლის 19 სექტემბრის „საბრალდებო დასკვნა” და „დადგენილება...“ აგრეთვე ზოგი სხვა დოკუმენტების ამონარიდები რომელებიც პირველად ქვეყნდება მათი სხვა წყაროებთან ერთად აღქმა-გააზრებისა და აუცილებელი კომენტარების დართვით. მაშასადამე 1937 წლის დიდი ტერორის ისტორიის ჩემს მიერ გამოვლენილი უამრავი უნიკალური საარქივო წყაროების, ჩემს მიერ მობილიზებული ახალი ფაქტებისა და პრობლემების გარშემო სპეციალისტების (მათ შორის ჩემი ხანგრლივი შრომით) მოპოვებული და გამოქვეყნებული ინფორმაციის ბაზაზე დაყრდნობით მიზნად დავისახე მიხეილ ჯავახიშვილის და სხვა რეპრესირებულთა შესახებ 1937 წლის პერიპეტიების სრული

სიმართლის ყოველმხრივი გაგების მიზნით, ორიგინალურად წარმოვაჩინო 1937 წლის დიდი ტერორით განწირულთა საერთო ხვედრი.

მაშასადამე, მიზნად დავისახე მ.ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრე მეგობრების ჩეკისტურად გაყალბებული ბედის სიღრმისეული გაგების მიზნით ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში, გავაშუქო 30-იანი წლების დიდი ტერორის, მისი დროინდელი თანმხლები, სპეციფიკური სახელმწიფოებრივ-ჩეკისტური მიზანდასახულობები, შესაბამისი ფაქტები, მათი განხორციელების ზოგადი და კონკრეტული გამოვლინებები. ამასთანავე წარმოვაჩინო უდანაშაულო, ბერიას და რეჟიმის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი რეპრესირებულებეისაგან ჩვენებების გამოძალვისა და ფალსიფიცირების მამხილებელი ჩეკისტური ძიების ზოგადი მეთოდები, მათი შედეგობრივი გამოვლინებები და მათთან დაკავშირებული ზოგი სხვა აუცილებელი საკითხიები. ეს არის არა მარტო მ.ჯავახიშვილის ცხოვრებისეული პერიპეტიების სწორი გაშუქების მიზანდასახულობა, არამედ იგი ამასთანავე ისახავს დიდი ტერორის დროინდელი რთული, უკიდურესად ჩახლართული და გაუგებარი საკითხების ახსნასა და გაღრმავებულად გაშუქებას. წიგნი ამასთანავე ემსახურება აგრეთვე ჩემი მეცნიერული ღვაწლით 1920-1930-იანი წლების საქართველოს პოლიტიკური ისტორიის პრობლემებზე გამოქვეყნებული ნაშრომებში გამოთქმული აზრის, ზოგი მკითხველის მიერ სადაოდ ხელოვნურად და ტენდენციურად გამხდარი შეფასების, ახალი წყაროებითა და არგუმენტებით ახსნა-განვითარებასა და დაცვას. ვიმედოვნებ, რომ ეს ნარკვევი, ტენდენციურ მკითხველსაც გააგებინებს, რომ თუნდაც ერთი რეპრესირებულის, მ.ჯავახიშვილის ფიზიკურად განადგურება-მოსპობის განმაზოგადებელი ისტორიით თითქმის ყველა 1937 წელს დახვრეტილის ხვედრი შუქდება.

ჩემი ღრმა რწმენით, წინამდებარე მონოგრაფია გასაგებს გახდის, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს წყაროების მ.ხომერიკისეულ ყალბსა და ჩემებრ სწორ ინტერპრეტაცია-გაგებას, რას ნიშნავს „დასმენა", რით განსხვავდება მისგან „ჩვენება" და რატომ აიგივებს ამ და სხვა ალტერნატიულ, ანუ სრულიად საწინააღმდეგო

ტერმინებს „ისტორიკოსი”-ქალბატონი მანანა ხომერიკი, რომელმაც კარგად იცის ყოველი ტერმინის მნიშვნელობა და უთუოდ ისიც იცის, რომ მის მიერ ერთი უდანაშაულოდ რეპრესირებული ადამიანის, მ.ჯავახიშვილის ჩეკისტური გაყალბების გზით, მრავალი 1937 წელს დახვრეტილი ადამიანი ყალბდება.

ზემოთ ჩამოყალიბებული ნააზრევის მიხედვით ცხადი ხდება, რომ წინამდებარე პუბლიკაციის მიზანდასახულობებიდან გამომდინარე, აუცილებლობად გამიხდა ისტორიკოსის, ქალბატონ მანანა ხომერიკისა და მისი თანამოაზრეების, ზემოთ ნათქვამი მიმართულების და სხვა, არასაპატიო საქმიანობის სკულპულიოზულად წარმოჩენა, 1937 წლის დიდი ტერორის მაგალითზე. ამის გარეშე აზრი არა აქვს შემოთავაზებული წიგნის არც დაწერას და არც გამოქვეყნებას. ამ შემთხვევაში არც მ.ხომერიკის მიერ ათწლეულების მანძილზე, საერთო კონცეფციისა და ცნობილი საყრდენი წყაროების ყალბი ინტერპრეტაციით გაშუქებული ისტორია და მ.ჯავახიშვილის პოლიტიკური პორტრეტი აისახებოდა სწორად და თანაც კვლავ ჩეკისტური, ანუ მ.ხომერიკისეული გაგებით დარჩებოდა გაშუქებული. ამასთან ერთად ისიც სათქმელია, რომ ისტორიის ფაქტების მ.ხომერიკისეული ინტერპრეტაციის და ამ გზით ჩამოყალიბებული მეთოდოლოგიის გამოყენებით დიდი ტერორის დროს რეპრესირებული ნებისმიერი პიროვნება გამოდის თანამოაზრე-თანამებრძოლთა დამსმენად და სხვათა გამანადგურებელ-მომსპობად, რაც ისტორიის წყაროების სწორი ანალიზითა და ინტერპრეტაციით, აგრეთვე მასზე დამყარებული მეცნიერული მეთოდიკითა და მეთოდოლოგიით გამოკვლეულ რეალურ სინამდვილეს არ შეესაბამება. წყაროების ხომერიკისეული ინტერპრეტაციის და მისი კონცეფციის იგნონირების შემთხვევაში, წინამდებარე ნაშრომის გამოქვეყნებას არც მეცნიერული აქტუალობა ექნებოდა და არც მიხეილ ჯავახიშვილის მცდარად გაშუქებული და მიზნობრივად გაყალბებული ცხოვრებისეული პერიპეტიების თანადროული, პოლიტიკური მოვლენების თანმხვედრად გაშუქება მოხდებოდა. მოსალოდნელი იყო, რომ ახალგაზრდა საქმის რეალურ ვითარებაში გაურკვეველ მკითხველს, მ.ხომერიკისა და მისი თანამოაზრე-მხარდამჭერების

აზრით დაკვალიანების საფრთხე დამოუკიდებლად ვერ გადაელახა და დაეჯერებინა, რომ: მ.ჯავახიშვილი მართლაც უღირს პიროვნებად გაცხადდა; ხომერიკი მართალია როცა წერს, რომ თითქოს მიხეილ ჯავახიშვილი იყო თანამოაზრე და დამსმენი და ჩეკას აგენტი - „არსენა“; „მწერალი თავისივე ვაიდამცველების მსხვერპლიც აღმოჩნდა (? – გ.ც.). მათი ყოველი უსაფუძვლო გამოხდომა იძულებულს მხდის ახალი დოკუმენტები (? – გ.ც.) გამოვამზიურო ხოლმე. ვინ ზარალდება? ეს ე.წ. „დამცველებს“ სულ არ ენაღვლებათ... სამწუხაროდ მიხეილ ჯავახიშვილს ნამდვილი გულშემატკივარი არ აღმოჩნდა (? – გ.ც.) . მის ავტორიტეტს ამოფარებულნი საკუთარ ამბიციებს იკმაყოფილებენ, თან „დამცველის“ სახელს იმკვიდრებენ (? – გ.ც.) საქმეში ჩაუხედავი მკითხველის თვალში. ჩემი პასუხი ყოველთვის უტყუარ საარქივო მასალას ემყარება...“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2003, 5-11 დეკემბერი). ამ და სხვა მსგავსი ყალბი აზრებით, მ.ხომერიკმა ხომ არა ერთი „გენიოსი“ და მათ შორის ის მეცნიერი ექსპერტებიც დააჯერა, რომლებმაც მისი პასკვილები გამოაცხადეს მეცნიერულად. ამის გადამკიდე ახალგაზრდებმა როგორღა უნდა გაიგონ, თუ არა ისევე, როგორც ამ მეცნიერ ექსპერტებმა?! ამაშია უბედურება.. მაგრამ ამით მან ამით დაუმსახურებელი ჩირქი მოსცხეს არამარტო საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლსა და მის მიმართ მთელი სიცოცხლის მანძილზე დაუმორჩილებელ მ.ჯავახიშვილს, არამედ ყველა იმ პიროვნებას, რომელიც იმდროინდელმა რაჟიმმა მ.ჯავახიშვილის მსგავსად შეიწირა.

ჩემი წინამდებარე წიგნის ახალგაზრდა მკითხველი უთუოდ გაგვიგებს, რომ მ.ჯავახიშვილის დამცველებს საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიისა და მისი საყრდენი წყაროების ცოდნამ არამარტო ერთი პიროვნების დაცვის შესაძლებლობა მოგვცა, არამედ ამასთანავე ვალდებული გაგვხადა არაობიექტური მკვლევარის მიერ მისთვის შეთავაზებული სიყალბეების საწინააღმდეგოდ მოგვეცა ისტორიის ნიუანსების სწორი, მეცნიერული გამოკვლევა და დამატებითი გაშუქება. სწორედ ამან გვიკარნახა მ.ხომერიკის და მისი დამქაშების მიერ შემოთავაზებული სიყალბეების ვრცელი, სკურპულიოზური ნაშრომის სახით

წარმოჩენა. ამით, მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა დამოუკიდებლად გაიაზროს და შეაფასოს კლასიკოსი მწერლისა და რეჟიმის მიმართ დაუმორჩილებელი მამულიშვილის 1937 წლის დიდი ტერორის დროინდელი პერიპეტიები მ.ხომერიკისეული და ჩემი გაგების საფუძვლიანი შესწავლით განსაჯოს რამდენად მართალია მისი ეს ნათქვამები და ვინ არის მ.ჯავახიშვილის ჩეკისტურად ნამართავი ცხოვრებისეული პერიპეტიების სიმართლით წარმომჩენი.

ახალგაზრდა მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ქალბატონი მანანა ხომერიკი 1989 წლიდან მოყოლებული დღემდე, 25 წლის განმავლობაში კარგად ცნობილი მიზანდასახულობით, მაგრამ ყოვლად გაუმართლებელი, არასაპატიო მიზეზების გამო, როგორც ცდილობს საუკეთესო მამულიშვილი და ტოტალიტარული რეჟიმის მიმართ დაუმორჩილებელი დიდი მწერალი, ქართული ლიტერატურის კლასიკოსი, მიხეილ ჯავახიშვილი, თავისი პუბლიკაციების მცდარი არგუმენტებითა და მხარდამჭერების თანადგომით, მკითხველს მიასაღოს წამხდარი ზნეობის მქონედ, თანამოაზრე-თანამებრძოლთა და მეგობართა მიმართ ცოდვილ ადამიანად. იგი მ.ჯავახიშვილის ეროვნული სუვერენიტეტისათვის ბრძოლისა და ცხოვრებისეული პერიპეტიების გამრუდების მიზნით, 1990-იანი წლების დასაწყისიდან წამოწყებულ და გამოქვეყნებულ სიყალბეებს თავს უყრის და ანვითარებს ჯერ 1996 წელს გამოცემულ 110 გვერდის მოცულობის წიგნში - „პასუხად მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფებს (საიდუმლო არქივებიდან)“. ამ წიგნს, მის ღირსებასა და ნაკლს, მკვლევარების ბ.არველაძის, რ.კვერენჩხილაძის, სხვათა და ჩემი პუბლიკაციებით ნაწილობრივ უკვე იცნობს დაინტერესებული მკითხველი. ზემოთ წარმოჩენილი სიყალბეების ერთი ნაწილი მხილებულია ჩემს მონოგრაფიაში – „სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ“ (თბ. 2003, გვ.366). ამიტომ ახლა მათ არ ვუბრუნდები და მიზნად ვისახავ მ.ჯავახიშვილის 1937 წლის ცხოვრებისეული პერიპეტიების მ.ხომერიკისეული გაყალბების მხილებას.

მ.ჯავახიშვილის 1930-იანი წლების საქმიანობის მ.ხომერიკისეულ ინტერპრეტაციას, წინამდებარე წიგნის მომდევნო თავებში ცალკე, დამატებით გაგაცნობთ, რადგან, შემოთავაზებული წიგნი, მიზეზთა

გამო, სწორედ მისი ამ პერიოდის სიყალბეების გამომჟღავნებას ისახავს, ამიტომ ზოგი აუცილებელი ძველი ამონარიდის მოტანა მაინც საჭირო ხდება:

მ.ხომერიკი ცდილობდა მ.ჯავახიშვილს დიდი ტერორის დროინდელი ცხოვრებისეული პერიპეტიების ახსნის სირთულეებით ესარგებლა, ამიტომ იგი შეეცადა ბერიას და ჩეკას მიერ გაუბედურებული მ.ჯავახიშვილი მკითხველსთვის მოეჩვენებინა „ჩეკას, თუ ბერიას“ მიმართ 1937 წლის 21 ივნისს, ანუ დაპატიმრებამდე (14-15/VIII-37წ) ორი თვით ადრე, თავისი მეგობრების და თანამოაზრეების შესახებ „დასმენის“ მიმწოდებელად. იგი ამით მრავალ სიყალბეს ანვითარებდა. მათ შორის, პ.იაშვილის თვითმკვლელობის მთავარ წამბიძგებლად და ზოგ სხვათა გამაუბედურებლად, ჩეკას ნაცვლად, მ.ჯავახიშვილი გამოჰყავდა. ამასთანავე ეწეოდა ამ ყალბი აზრების სიტყვიერ პროპაგანდას. მ.ხომერიკი ამავე დროს ცდილობდა, თავისი ყალბი, მუდმივად გამეორებულ-გადამღერებული „ნარკვევების” მიზნობრივად მცდარად არგუმენტირებული ფუტურო აზრები გაემაგრებინა ყალბი ზეპირი გამოთქმებით და ხალხი დაერწმუნებინა, რომ თითქოს მისი მეზობელი ჩეკისტის ნათქვამითაც დასტურდება, რომ მ.ჯავახიშვილი იყო „ჩეკას აგენტი, მეტსახელად „არსენა“. მ.ხომერიკმა ეს თავისი ბოროტი აზრები ისე შეკრა და ახსნა, რომ ზოგი მკითხველი სიცრუეებში კიდეც დააჯერა. მან ზემოთ აღნიშნულ 1996 წელს გამოქვეყნებულ წიგნს ბოლოში დაურთო სიტყვები: „...თუ ოპონენტებს კამათის სურვილი ექნებათ, ვთხოვ თავი შეიკავონ აბსტრაქციული კრიტიკისაგან და დასაბუთებულად შეეცადონ კონკრეტული ფაქტების გაბათილებას”, მაგრამ ვინც კი გამოეხმაურა, ყველა ყბაში ჩაიგდო. თავისი მიზნობრივად ყალბი აზრები პოპულარულ რესპუბლიკურ გაზეთებშიც არაერთხელ გამოაქვეყნა და თანაც მისი ყალბი აზრების მოწინააღმდეგეები, მავანთა მხარდაჭერით ზოგჯერ ისე დაგვბლოკა, რომ მისი მიზნობრივად მცდარი აზრების გამაბათილებელი ჩვენი არგუმენტების გამოქვეყნებაც გამოგვირიცხა. აი რისთვის და როგორ იყენებდა ქ-ნ მ.ხომერიკი მ.ჯავახიშვილის ბიოგრაფების ნააზრევს და მათ ზოგ დაუკვირვებელ გამოთქმებს. ამიტომ მისი სიცრუის მამხილებელი

არაერთი ავტორის და ჩემი საპასუხო, მოგერიებითი ხასიათის საწინააღმდეგო აზრებით აისახა, ჩემს ადრინდელ პუბლიკაციაში.

მ.ჯავახიშვილის ცხოვრების თანმხვედრი საბჭოთა პერიოდის რთული პროცესები ნათლად აისახა უახლესი ისტორიის ცნობილ მკვლევართა და აგრეთვე ჩემს პუბლიკაციებში: „სისხლიანი 1937“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1997, №138, 139, 141, 143; „ჩეკისტური ბრალდებები შალვა ნუცუბიძის მიმართ და მათი დოკუმენტურ-ანალიტიკური კომენტარები“, თბ.1998; „ეროვნული მოძრაობა და 1924 წლის აჯანყება“, გაზ. „ს.რ.“; 1999, 27, 28, 31 აგვისტო; „ნ.ჟორდანიას წერილი ს.დ. პარტიის ცეკას“, გაზ. „ახალი საქართველო“, 1999, აგვისტო და აგვისტო-სექტემბერი; „რისთვის დახვრიტეს ვაჟა-ფშაველას პირმშო ლევან რაზიკაშვილი“, თბ.2001; „სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ“, თბ.2003. ამით მ.ჯავახიშვილისა და მისი ბიოგრაფების სიმართლის დანახვის ნათელი შესაძლებლობებიც შეიქმნა და მცდარი აზრების გაკონტროლებისაც, მაგრამ კარგად ჩანს, რომ ეს სიმართლე მ.ხომერიკისთვის მიუღებელი გამოდგა. იგი საპატიო და არასაპატიო მიზეზით, საკმაო მტკიცებულებად ვერ გამოდგა. არამარტო მ.ხომერიკისთვის, არამედ მისი მხარდამჭერების და სამწუხაროდ, ზოგი „ნეიტრალური” მკითხველისთვის, ჩემს ნააზრევს მ.ხომერიკი არ დაეთანხმა, რადგან როგორც ჩანს, მან ვერ გაიგო საბჭოთა ეროვნული მოძრაობის ისტოირიის საკითხების ჩემს მიერ შემოთავაზებული ახლებური და სიღრმისეული გაგება, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს მეცნიერული ახსნა მივცეთ ისტორიის გაუგებარ მოვლენებს და კერძოდ მ.ჯავახიშვილის ცხოვრებისეულ პერიპეტიებს. უფრო მეტიც მან თავისი ამბიციებით ჩემი პუბლიკაციები შეურაცყოფად მიიღო. ამის მიზეზი ის არის, რომ ამ პიროვნებამ, აღნიშნული, მიზნობრივად ტყუილი მტკიცებულებების მამხილებელთა და ჩემს წინააღმდეგ აქტიურად გამოიყენა თავისი მხარდამჭერი, ზოგი პოპულარული გაზეთის... რედაქტორ-გამომცემელი, უნივერსიტეტების ბობოლა ჩენოვნიკი... მათი ზოგი თანამშრომელი... და მან ჩემი, სპეციალისტების მიერ ნაქები მონოგრაფიული ნაშრომის დაკნინებული შეფასების მიზნით

ხელმეორედ და გაუმართლებლად გამოყოფილი ჩემი, ნიჭიერი და შრომისმოყვარე, მაგრამ ამასთანავე ტენდენციური, „დიპლომატი“ ცრუ „ექსპერტ-რეცენზენტი“ კოლეგები. მათმა თანადგომამ მ.ხომერიკს შთააგონა ძველად გამოქვეყნებული ტყუილები ხელახლად გამოექვეყნებინა ახლებური ინტერპრეტაციებით. იგი ტყუილებისა და ადრე გამოქვეყნებული წყაროების ახალ-ახალი ყალბი ინტერპრეტაციებით ცდილობს ძველი ტყუიელბი შეაჩეჩოს ახლებურად. ამიტომ საჭირო გახდა არამარტო ხომერიკის, არამედ მისი წამქეზებლებისა და მისი სიყალბეების ენერგიის მასაზრდოებლების დამატებითი მხილებაც.

ესეც მოხდა, რომ ერთ-ერთი გაზეთის რედაქტორი, და მ.ხომერიკის ძველი თაყვანისმცემელი, მისი გაზეთის რედაქციაში ჩემი მისვლის დროს, ყოველთვის ცდილობდა ჩემს მიმართ მ.ხომერიკის ბოროტი გამონათქვამი სიმართლესავით მოეწოდებინა და არ სურდა, რომ ჩემი კონტრარგუმენტები შეისმინა.

როგორც ადრე ითქვა, მავანთაგან წაქეზებულმა მ.ხომერიკმა ბეჭდვურად გამოთქმული მისი ყალბი აზრების გამაბათილებელ მკვლევარ სპეციალისტებს... უსაფუძვლოდ გვიწოდა მ.ჯავახიშვილის მიმართ „დათვური სამსახურის“ გამწევი „თაღლითი დამცველები”(იხ. მ.ხომერიკი, მიხეილ ჯავახიშვილს თაღლითი დამცველები დათვურ სამსახურს უწევენ, „მწერლის გაზეთი”, 2004, 17-31 დეკემბერი, №21). ხოლო მათგან ორ პიროვნებას, მე და რეპრესირებული ქართველი მწერლების შესახებ ცნობილი მონუმენტური წიგნების ავტორს, ბატონ რევაზ კვერენჩხილაძეს, სასამართლოშიც გვიჩივლა. ამ დროს მ.ხომერიკმა სარჩელში შეიტანა ის ყალბი მოტივი, რომლითაც ცდილობდა მოსამართლე დაერწმუნებინა, რომ თითქოს, ჩვენ, მას და მის ბაბუას, იაკინთე ლისაშვილს (ი.ხომერიკს), მ.ჯავახიშვილის არასწორი ინტერპრეტაციით შეურაცხყოფას ვაყენებთ. მან სასამართლოს მიმართ 2005 წელს წარდგენილ სარჩელში საკუთარი რენომეს გაზვიადების მიზნით, თავი მოიხსენია „სოროპტომისტ ქალთა“ საერთაშორისო კლუბის წევრად და მდივნად, კიდევ სხვა რაღაც ჯგუფის, თუ საზოგადოებრივი გაერთიანების - „1[5]-ის დამფუძვნებელ წევრად“ და აგრეთვე „ბაგრატოვანთა სახლის ასოცირებულ წევრად“. ღმერთმა ყველა დასახელებული გაერთიანება

სიკეთით მოახმაროს, მაგრამ გაუგებარი რჩებოდა მ.ხომერიკი როგორ ახერხებდა ამდენი დავალებების შესრულებას და განსაკუთრებით, კი „სოროპტომისტების“ ერთ-ერთი ლიდერისა და ბაგრატოვანთა სახლის თანამდგომი წევრის მოვალეობათა შეთავსება-გამართლებას.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ მ.ხომერიკმა ჩვენი მხრივ ვითომ „შეურაცხყოფის“ საკომპენსაციოდ სარჩელით სასამართლოს მოსთხოვა ჩვენგან, ორი ათასი ლარის გადახდა. მისი ამ უსაფუძვლო საქციელის გამო მე და რ.კვერენჩხილაძემ პასუხები არ დავაყოვნეთ. პირადად მე 2005 წელს, გამოვაქვეყნე სპეციალური ნაშრომები – „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებისა და ეროვნული მოძრაობის ისტორიის პრობლემების გაუკუღმართებულად გაგება-გაშუქების წინააღმდეგ“ (100გვ.) და აგრეთვე „მანანა ხომერიკის 25-ზე მეტი ბოროტი ტყუილი მისი ქომაგის სოსო სიგუას გაზეთის ერთ წერილში და რეალური ისტორიით ნაკარნახევი სიმართლე” (27გვ.). ამ ნაშრომებით, ერთი მხრივ, მოვიგერიე მ.ხომერიკის და მისი დამქაში ქომაგებისგან ჩემი მეცნიერული ღვაწლის გაბიაბრუების მცდელობა, ხოლო მეორე მხრივ, შევეცადე მ.ხომერიკის და მისი ცდომილი მხარდამჭერებისთვის საგნობრივად ამეხსნა პრობლემების მცდარი წარმოჩენის მათი უსუსური მცდელობა. აღნიშნულ ნაშრომთა შორის ერთის გარეკანზე გამოვაქვეყნე ცნობა იმის შესახებ, რომ მომზადებული მქონდა 500 გვერდიანი ნაშრომი – „<u>მიხეილ ჯავახიშვილი</u> (მიზნობრივად გაყალბებული და რეალური ისტორიით გამართლებული)“. მიუტითე, რომ მისი დანიშნულებაა მ.ჯავახიშვილის ცხოვრებისეული პერიპეტიების სრულად გაშუქება. მის გამოქვეყნებამდე კი, დავისახე თავგასული ფალსიფიკატორის დაშოშმინება და აგრეთვე ამ წიგნის სპონსორის მოძებნაც.

ზემოთ მითითებულ ჩემს ორ ნაშრომში, მათი შეზღუდული მოცულობის მიუხედავად, თეზისურად დავასაბუთე, რომ მ.ჯავახიშვილის მიერ 1937 წ. 21 ივნისის თარიღის მქონე, ჩეკის, თუ ბერიასთვის წარდგენილი „დასმენა“ არ არსებობდა, რომ ეს ხელნაწერი არის ჩეკას პატიმრობაში ფსიქოლოგიურად ნატანჯი მოხუცის აუტანელი ორჯერადი ცემის შემდეგ, 1937 წლის 21 აგვისტოს თარიღით მოპოებული, ჩეკისტური ზემოქმედებით დაწერილი, მცდარად დათარიღებული „ჩვენება“, მაგრამ არავითარ

შემთხვევაში თავისუფლებაში ყოფნის დროს, დაპატიმრებამდე ორი თვით ადრე ჩეკას თუ ბერიასთვის გადაცემული დაბეზღება, თუ თანამოაზრე მეგობრების დასმენა (იხ. გ.ციციშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებისა და ეროვნული მოძრაობის ისტორიის პრობლემების გაუკუღმართებულად გაგება – გაშუქების წინააღმდეგ, გვ. 60-66). მ.ხომერიკმა ძალიან კარგად იცის რა არის „დასმენა" და რით განსხვავდება მისგან „ჩვენება", ან „ჩივილი". მაგრამ ამ ტერმინებს თავის, ჩემს საწინააღმდეგოდ ნაწერებში მკითხველს ისე აწვდის რომ მას ჩემი, მ.ჯავახიშვილის გამამართლებელი თეზისურად ნაწერი კონკრეტული ამბები თავისებურად მოახვიოს. იგი ასეთ ფანდებს იმიტომ იყენებს, რომ სიმართლე მიზნობრივად თავისი კონცეპტუალური აზრის შესაბამისად გააყალბოს. მას ყველა მკითხველი ბრიყვი და ადვილად მოსატყუებელი ჰგონია. ამიტომ მ.ხომერიკმა მკითხველს ახლა უკვე ძველი სიყალბეები 2008 წელს გამოქვეყნებულ შემაჯამებელი წიგნითა და გაზეთ „ასავალ დასავალში" გამოქვეყნებული მისი მიზნობრივად მოხლაფორთებული კვინტენსეცია შესთავაზა. მან ამით იძულებული გამხადა მისი ძველი, მაგრამ ახლებურად წარმოჩენილი სიყალბეები დამატებით მემხილებინა.

აქ აუცილებელია მ.ხომერიკის მხარდამჭერი ჩინოვნიკების და მათი დამქაში მეორადი „ექსპერტების" შესახებ კიდევ ერთხელ შევჩერდე. ეს აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ ისინი წარმოადგენენ მ.ხომერიკის სიყალბეების გვერდის ამვლელ წამყრუებლებსა და მისი პასკვილური აზრების მეცნიერულ ნაშრომად გამსაღებლებს, მისი შემდგომი სიყალბეების მასაზრდოებლებს. ისინი ნაწილობრივ მხილებული მყავს ჩემს სპეციალურ წიგნში „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებისა და ეროვნული მოძრაობის ისტორიის პრობლემების გაუკუღმართებულად გაგება-გაშუქების წინააღმდეგ" (იხ. გვ. 66-80). მათ შესახებ დამატებით მდიდარ ინფორმაციას კი, ქვემოთ, მათ მიერ მეცნიერული აზრების ავტორად გასაღებული მ.ხომერიკის მცდარი დებულებების წარმოჩენის ფონზე და სპეციალურ თავშები მოგაწვდით. დაინტერესებულ მკითხველს აქ მხოლოდ შემაჯამებლად განუმარტავ: რომ 2003 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიულ ნაშრომში

„სიმართლე 1921-23 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის შესახებ“ სხვა ავტორთა და ჩემს მიერ გამოვლენილი წყაროების მყარ ბალავარზე დაყრდნობით საფუძვლიანად გავაშუქე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის ისტორიის ნიუანსები და ამ ფონზე ვუჩვენე მ.ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ გაყალბებულის საწინააღმდეგო. იგი ქართველმა მკითხველმა საზოგადოებამ და სპეციალისტებმა აღიარეს მნიშვნელოვან მეცნიერულ სიმართლედ, ხოლო ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის პოლიტიკური პარტიების ისტორიის კათედრამ წარადგინა ივანე ჯავახიშვილის პრემიის მოსაპოვებლად. ამის გამო მ.ხომერიკი საგონებელში ჩავარდა. მან თავისი ძველი აზრების შემცველი „ნაშრომი“ ახლა ჩემს საწინააღმდეგო „რეცენზიად“ გადააკეთა. მას ზოგი ახალი სიბინძურე დაუმატა და შანტაჟით მეორადი ექსპერტების გამოყოფასაც მიაღწია. მეორადი ექსპერტების წევრებს კი, პრინციპულობა და კომპეტენტურობა არ აღმოაჩნდათ. მათ მ.ხომერიკი პასკვილი გამოაცხადეს მეცნიერულ ნაშრომად და ამით შეძლეს შანტაჟისტი მომჩივანის დაშოშმინება. მაგრამ ამით მეორადი ექსპერტის წევრებმა გააყალბეს მ.ჯავახიშვილი და მისი სიმართლის ყველა დამცველი მათ, რომ მეცნიერული პატიოსნებით შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობა, მ.ხომერიკის ჯიუტი წინააღმდეგობა იმ დროსვე (ანუ 2003 წერლს) შეწყდებოდა, მაგრამ მათ არასაპატიო კონიუნქტურული, მეცნიერისთვის მიუტევებელი, „დიპლომატიური“ მიზანდასახულობებითა და ვითომ „დელიკატურობით“ იმოქმედეს, მთელ რიგ სხვა სიყალბეებთან ერთად შეგნებულად აუარეს გვერდი მ.ხომერიკის მიერ ჩემი ნააზრევის გაყალბების მიზნით შეთითხნილ ე.წ. „რეცენზიაში“ („სიმართლის გამრუდება ისტორიკოს გიორგი ციციშვილის მიერ... თბ. 2003) გამოთქმული სიყალბეების დაფიქსირებას. შეგნებულად მიჩქმალეს, რომ მ.ხომერიკი მ.ჯავახიშვილის გაგებისა და მის შესახებ ჩემს მონოგრაფიაში გამოთქმული, სათანადო წყაროების ბალავარზე დაყრდნობილი დებულებების შეფასების საკითხში არის პროვოკატორი. მათ მიზნობრივად წაუყრუეს მ.ხომერიკის რეცენზიაში 24-ე შენიშვნასა და „დანართს”, რომელშიც იგი არაადამიანურად ნაცემ პატიმარ მ.ჯავახიშვილს, მისი ხელნაწერი განცხადების

მცდარი თარიღის (21/VI-37) მიზნობრივი გამოყენებით, პირადად ბერიას თუ არა, ჩეკას მოხალისე დამსმენისა და თანამოაზრე-თანამებრძოლების ჩამშვების როლის შემსრულებლობას მაინც აბრალებს (იხ. გვ. 55, 63-67). მ.ხომერიკს მის ბოლო პასკვილურ წიგნში მოყავს მ.ჯავახიშვილის განცხადებიდან ამოკრეფილი 51 კაცის სია (იხ. გვ.104-105) და ასეთ კომენტარს ურთავს: „მართალია სიაში გვხვდება რამდენიმე (? – გ.ც.) ისეთი პოლიტპატიმარი, რომელმაც ვერ გაუძლო ტანჯვას და მ.ჯავახიშვილი დაასახელა, მაგრამ ორმოცდათერთმეტივე ერთი საერთო ნიშნითა სიაში მოხვედრილი: ყოველივე მათგანი მიხეილ ჯავახიშვილის მიერ არის დასახელებული“ (იქვე, გვ.106) ე.ი. რამდენიმე ისეთმა „ვერ გაუძლო“, მ.ჯავახიშვილმა კი დაასახელა“. აირ ის ჩაგონებას ცდილობს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. ექსპერტებმა მ.ხომერიკის ეს აზრი 2003 წელს მეცნიერულ გამოკვლევად შეაფასებს. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ იგი ამას 2008 წელსაც იმეორებს და დღეისთვისაც ძალაში ტოვებს.

„ექპერტებმა“ საკუთარი თავი მენტორად წარმოაჩინეს. იმის მიუხედავად, რომ არცერთი მათგანი კონკრეტული პრობლემების მკვლევარი არ იყო, უგულებელჰყვეს ჩემი მონოგრაფიის შესახებ, არა მარტო, უამრავი მკითხველისა და ჟურნალისტის დადებითი აზრი, არამედ აგრეთვე იმ კომპეტენტური მკვლევარების აზრი, რომლებმაც თავიანთი პუბლიკაციებით გამოხატეს ყადრი (იხ. შ.თეთვაძე, რეცენზია. სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ... ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, 2003, №2, გვ.145-149; აკ.მათიაშვილი, წარდგენილია ივანე ჯავახიშვილის პრემიაზე... „მწერლის გაზეთი“, 2003, №18, 12-18 აგვისტო; რ.კვერენჩხილაძე, ნაშრომი ოციანი წლების პოლიტიკურ მოვლენებზე, ლიტერეტურული საქართველო 2003, 19 აგვისტო – 4 სექტემბერი; „ჩვენი მწერლობა“, 2003, 15-21 აგვისტო; რ.ჯამრიშვილი, გ.ცხოვრებაძე, გ.მარუაშვილი, უაღრესად მნიშვნლოვანი მეცნიერული მონოგრაფია, „საქართველოს რესპუბლიკა“, 2003, 10-16 ოქტომბერი).

მენტორის პრეტენზიების მქონე ფინაჩმა ყურადღება მიზნობრივად არ გაამახვილეს იმაზე, რომ მ.ხომერიკი „რეცენზიის“

მე-4, მე-5 გვერდებზე და გარეკანზე მოგონილი ერთი და იგივე, სამჯერ გამეორებული ამონარიდით მ.ჯავახიშვილს, მის მეუღლეს, შვილებსა და შთამომავლობას საზიზღარ შეურაცხყოფას აყენებს. ფინაჩმა ექსპერტებმა, ჩემი გამოკვლევებისა და მ.ხომერიკის პასკვილური მტკიცებულებების მიჩქმალვის მიზნით წაუყრუეს და „დელიკატურად“ დაასკვნეს: „მ.ხომერიკის მიერ წამოყენებული კონცეფცია (!-გ.ც.) არ არის ისეთი, რომ გარკვეული საფუძველი არ გააჩნდეს... წამოყენებულია მეცნიერული თვალსაზრისი (!-გ.ც.)... როგორც მეცნიერული კვლევის ობიექტს აქვს არსებობის უფლება... ვერ დავწამებთ არამეცნიერულობას და არაობიექტურობას – ჩატარებულია საკმაოდ მნიშვნელოვანი და შრომატევადი კვლევა“ (!-გ.ც.). მე კი, წინამდებარე ნაშრომში ვამტკიცებ, რომ: ექსპერტების ეს დასკვნები მიზნობრივად ტყუილია; მ.ხომერიკის პუბლიკაციები მ.ჯავახიშვილის შესახებ ბოროტი პასკვილია. ხოლო, მათ მიერ წაქეზებული მ.ხომერიკი ფალსიფიკატორია, ეს ტენდენციური, მისი მხარდამჭერი ექსპერტები კი, რომლებიც მ.ხომერიკმა „ეროვნულ ნიადაგზე მდგომად“ გამოაცხადებს, მ.ხომერიკის რეცენზიის შეფასების დროს, მის სიყალბეებს მალავენ, მაშასადამე ისინი როგორც „ექსპერტები“ ფინაჩები არიან, მათმა ტანდემმა მ.ჯავახიშვილის უამრავი სალანძღავი სიტყვა აკადრა და ზოგი თავისი ძველი თაყვანისმცემელიც ხელახლა დააბნია.

მ.ხომერიკი ცდილობს სიმართლის თქმა არავის გააბედინოს. იგი თავის ახალ პასკვილში ფაქტობრივად იგივე ფუყე არგუმენტებით, ისევე უსირცხვილოდ, ძირითადად იგივე მიზნობრივ სისაძაგლეს იმეორებს. ზოგ სიყალბეს საჭიროების მიხედვით კიდეც ანვითარებს. იგი ადრე წერდა კალე მისაბიშვილს „აბრალებდნენ სამხედრო ცენტრის გაცემას“. მერე გააღრმავა: „კალე მისაბიშვილმა გასცა მთელი შემადგენლობა სამხედრო ცენტრისა“ (მ.ხომერიკი, პასუხად მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფებს... გვ.14). ახლა მ.ხომერიკი წერს: „გ.ციციშვილმა, ჯერ იყო და ჩეკას აგენტ კალე მისაბიშვილთან გაიგივა მ.ჯავახიშვილი, შემდეგ კი საკუთარ თავთან. საკმარისია მას საყვედური უთხრა, რომ ამას მ.ჯავახიშვილის შეურაცხყოფად ასაღებს (მ.ხომერიკის ბოლოდროინდელი პასკვილი, გვ.146). მას რომ დაჭირდეს მ.ჯავახიშვილის დახვრეტის მონაწილეთაც გამოგაცხადებს.

არა და, ურყევი წყაროებით 12 წლის წინ დავამტკიცე, რომ კ.მისაბიშვილი ტერორისტებმა თანამებრძოლებმა უსაფუძვლოდ გასწირეს. ჩემი არ დაიჯერეს, მაგრამ არც იმისა სჯერათ რომ 1922 წლის აჯანყების ამბებს ცხელ კვალზე დამსმენი არ გამოლევია. 1923 წლის 23 იანვარს კი, გიორგაძემ „უჩვენა“ (ნ.ყიფშიძე, ბაგრატიონ მუხრანელი - „ორბი“. ჟურნ. „საარქივო მოამბე“, 2010, №9, გვ.26). ექსპერტებს და მათ მხარდამჭერებს კი, მისიც არ სჯერათ. მათ თავიანთი ადრინდელი მზაკვრობით გამოწვეული წამქეზებლობის შედეგი, სულაც არ ადარდებთ და პირიქით, მათი და კოლეგების მხარდამჭერით კვლავაც ქვეყნდება მათი ადრე გამოთქმული და ჩემს მიერ საფუძვლიანად გაბათილებული ზოგი სხვა სიყალბეები (იხ. გ.ციციშვილი, კმარა ისტორიის პროფანაცია! გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 1913, №12).

მ.ხომერიკის პიროვნული და „მეცნიერული“ ღირსების მაჩვენებელი ძალიან ბევრია, მაგრამ მათ შესახებ აქ ვეღარ გავაგრძელებ. ის კი, უთუოდ სათქმელია, რომ: იგი მ.ჯავახიშვილის ბიოგრაფიაში მუდმივად, ბოროტი მიზნით იქექება. მის შესახებ წერს, რომ თითქოს იგი არის ტოკლიკიშვილების ჩამომავალი, ხოლო ჯავახიშვილის გვარი 1909 წელს, საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ მიიღო. ჯერ ერთი, ტოკლიკიშვილის გვარის ქალბატონმა საქართველოს ფიროსმანი შესძინა და ეს გვარი ამითაც საამაყოა. ტოკლიკიშვილების გვარი თუ მ.ჯავახიშვილის წარმომშობელია, იგი ამითაც დამშვენებულია. მაგრამ მას მ.ჯავახიშვილის ტოკლიკიშვილებიდან წარმომავლობაც არ ასვენებს და ამიტომ ამავე წიგნებში მოყავს ამონარიდები, რომლითაც მწერლის ამ გვარის „ნათესავებს“ შორის მიუთითებს მახინჯებს, სნეულებსა და გრძნეულებს რომლებსაც მ.ჯავახიშვილთან აკავშირებს. იგი თავისი წინაპრების წარმომავლობას კი, ჰომეროსთან და იმერეთის მეფესთან აკავშირებს (იხ. მ.ხომერიკის დასახელებული პასკვილი, გვ.17).

მაგრამ არსებობს მწერლის ჯავახიშვილიეული წარმოშობის, ჯერ კიდევ ბოლომდე აუხსნელი, მ.ხომერიკის აზრის საწინააღმდეგო და ზოგი მის მიერ უნებლიედ მოყვანილი ფაქტით წარმოჩენილი ვერისა... ამასთანავე, არსებობს ჟანდარმერიის არქივის ჩემს მიერ გამოვლენილი, „ექსპერტებიდან“ მინიმუმ ფედერალისტების

ისტორიის მკვლევარ პროფ. დ.შველიძისთვის ცნობილი 1906, თუ 1907 წლების დოკუმენტი, სადაც არალეგალ ფედერალისტებს შორის დასახელებულია მათი „პარტიის ცკ-ის სარედაქციო კოლექტივის წევრი ადამაშვილი მიხეილი". ამავე დოკუმენტის „ფედერალისტთა პარტიის საერთო სია"-ში კი, 29-ედ დასახელებულია „Джавахов Михаил Саввич" (იხ. გ.ციციშვილი, სიმართლე... მიხეილ ჯავახიშვილის... ცხოვრების შესახებ, თბ. 2003, გვ.396). შეიძლება ამასთან კავშირში იყოს მწერალი მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილი. მაგრამ ამ ფაქტს მ.ხომერიკი უპირისპირებს აბსურდულ არგუმენტებს. მე კი მიმაჩნია, რომ ამას გარკვეული ახსნა სჭირდება და მისი უგულებელყოფა არ შეიძლება. ამის წაფუჩეჩება, თუ იგნორირება მ.ჯავახიშვილის გენიოლოგიის „მკვლევარს" არ ეპატიება. ექსპერტებს კი, არც ეს აინტერესებთ.

მ.ხომერიკს უფრო ჩემი და სხვა მისი სიყალბეების მამხილებელის გენიოლოგია აწუხებს. იგი ჩემს წარსულს მიზნობრივად აყალბებს. ერთხელ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციაში მისულს, ბატონმა გურამ გოგიაშვილმა, ჩვენი ერთი ბოლო შეხვედის დროს გადმომცა: „მანანა ხომერიკმა შენზე მითხრა იგი ციციშვილად მეორე კურსიდან გახდა, პირველ კურსზე ციციაშვილი იყოო". არა და, კარგად იცის, რომ სამსახურის იმავე ოთახში ცხვირწინ უზის, ჩემი ყოფილი პირველკურსელი, მისი უფროსი რედაქტორი, ა.ასლანიშვილი, მაგრამ სიმართლის მისგან გაგებას მაინც ჩემთვის სენსაციის მორთმევა, ამჯობინა. ამის გამო საკადრისი პასუხი მივაგე ყველას გასაგონად და ისიც დავუმატე, რომ ებრაელობასაც ვიამაყებდი... აღნიშულ ამბავთან დაკავშირებით ისიც საჭიროა ითქვას, რომ მ.ხომერიკი, რომელსაც საკუთარი თავი ხან სოროპტომისტების ლიდერად გამოჰყავს, ხან ჰომეროსისა და იმერეთის მეფის ჩამომავლად მოიხსენიებს (იხ. მ.ხომერიკის უკანასკნელი პასკვილი, გვ.146), ცდილობს მ.ჯავახიშვილი ჩეკისტური ძიების ხერხების გამოყენებით გააშუქოს იგი თავისი და მ.ჯავახიშვილის დამცველი, მოწინააღმდეგეების ბიოგრაფიებშიც მათი შეურაცხყოფის მიზნით იქექება, თითქოს ამას მის მიერ შეურაცხყოფილი დიდი მწერლის ცხოვრებისეული პერიპეტიების გარკვევისათვის რაიმე დამატებითი მნიშვნელობა ჰქონდეს. მან

მ.ჯავახიშვილის „ნათესაობიდან“ უამრავი მახინჯი, ბნედიანი და ბრმა წარმოგვიჩინა (იქვე, გვ.17). როგორც გადმომცეს, მ.ხომერიკი ჩემი გენიოლოგიის შესწავლა-გაშუქების მიზნით საციციანოს ქალაქ ქარელში ჩავიდა და ჩემი ნაცნობ-ამხანაგები თავისებურად „გაანათლა“, ჭკუაზე დაკვალიანება-მოქცევას შეეცადა. მაგრამ მათგან საკადრისი პასუხი მიიღო და კუდამოძუებული დაბრუნდა. ამით მ.ხომერიკმა ის მაგალითი მიჩვენა, რომ მეც მის მამა-პაპეულ სოფელ ლეღვას ვესტუმრო და იქ ამ წიგნის პრეზენტაცია მოვაწყო, ან ეს წიგნი გავუგზავნო და თვითონ ლეღველმა მკითხველებმა განსაჯონ...

ბატონმა გურამმა მ.ხომერიკის შემონათვალი ასეთი მუქარაც გადმომცა: „გოგი ციციშვილმა ჩემს წინააღმდეგ არაფერი გამოაქვეყნოს თორემ დავაჭერინებო“, ეს მუქარა ხუმრობა არ გეგონოთ... ამაზე ადრე ბატონმა გურამმა მისი ასეთი შემონათვალი გადმომცა: „გოგი ციციშვილი კონცეფციებს იგონებსო”. შემდეგ 2006 წელს, როცა დალის ხეობის კრიზისი შეიქმნა და ემზარ კვიციანს საქართველოს სახელმწიფოს საწინააღმდეგო მოქმედება დააბრალეს და დაპატიმრებაც მოუნდომეს, მ.ხომერიკი ჩემს წინააღმდეგ პოლიტიკური კონიუნქტურის გამოყენებას შეეცადა. მან ჩემს მიერ მომზადებული ხელნაწერი წიგნის „მაფალუ“-ს ანოტაციის გამო გამომიქვეყნა: „ახლა მას (ე.ი. მე – გ.ც.) საქართველოში კუთხური (მეგრული – გ.ც.) სეპარატიზმის პროვოცირება აქვს ჩაფიქრებული (თუ დავალებულიო?)” (იხ. მ.ხომერიკი, წერილები, თბ.2006, გვ.292-293). მ.ხომერიკს უნდოდა მისი ამ ყალბი დაბეზღებით დავეჭერინებინე, მაგრამ იმ დროშიც იყვნენ მისი სიყალბეების სწორად გამგებნი, ხოლო მის დოსტ სოროპტომისტებს ჩემისთანებისთვის არ ეცალათ. იგი ახლაც იგივეს აქვეყნებს (იხ. გვ.144). მ.ხომერიკი წაგებული სასამართლოს მერე ისევ სიყალბეებს აქვეყნებს. ყოველმხრივ ცდილობს პრობლემები შემიქმნას. თუმცა ჯერ-ჯერობით ისე გამოუვიდა, რომ საკუთარი თავი აიგდო მასხრად. მე კი, კიდევ ერთხელ გამაღიზიანა და ახალი, კიდევ უფრო ღირსეული პასუხის გასაცემად წამაქეზა. აღნიშნულ, მ.ხომერიკის შემონათვალთა გამო, ბ-ნ გურამს სათანადო განმარტებები მივეცი. ავუხსენი, რომ იგი მ.ჯავახიშვილს ღალატს, დასმენას და აგენტობას აბრალებს, მე კი

დაუმსახურებლად მლანძღავს. ამას იგი ეჭვით მოეკიდა. ამის გამო დამპირდა – პასუხი მომიტანე, დაგიბეჭდავო. ერთხელაც მივუტანე, მაგრამ შორს დაიჭირა და თანამშრომელთა თანდასწრებით უარი გამომიცხადა.

წინამდებარე წიგნის მომდევნო თავებში პირუთვნელად, სათანადო, ურყევ წყაროებზე, მათ მეცნიერულ ინტერპრეტაციებზე და დასკვნებზე დაყრდნობით, გაშუქებული მაქვს 1937 წლის დიდი ტერორის დღემდე შეუსწავლელი ისტორიის ის საკითხები, რომლებიც დამატებით ასახავენ არა მარტო იმას რაც მოხდა, არამედ განსაკუთრებით იმას თუ როგორ მოხდა. ამასთანავე აუცილებელი ხდება, რომ: ისტორიის სიმართლით წარმოჩენის მოთხოვნების შესაბამისად მოვიგერიო მ.ხომერიკის მიზნობრივად შეკოწიწებული მ.ჯავახიშვილის, მის დამცველთა და ჩემს წინააღმდეგ გამოთქმული ბრალდებები და დამამცირებელი აზრები; მის წინააღმდეგ წარმოვაჩინო ჩემი მეცნიერული მიგნებები და მთელი რიგი ახალი მდგომარეობები. შესაბამისად, საჭირო გახდა კონკრეტული ახალი მაგალითებით მემხილებინა მ.ხომერიკის ის ყალბი აზრები, ანუ წყაროების მისეული ტენდენციური ინტერპრეტაციები, თუ მისი ყალბი კონცეფციის მასაზრდოებლები. ყურადღებას დავუთმე აგრეთვე მ.ხომერიკის მიერ „ეროვნულ ნიადაგზე“ მდგომად გასაღებულ მეორადი „ექსპერტის“ წევრებს, რომლებმაც ჯერ კიდევ ადრე, 2003 წელს ჩემი ნაშრომისა და მ.ხომერიკის „რეცენზიის“ შეფასების დროს კონიუნქტურული მოსაზრებებით, მიზნობრივად არ წარმოაჩინეს: მ.ხომერიკის არცერთი მნიშვნელოვანი სიყალბე, წყაროების მისეული მიზნობრივად მცდარი ინტერპრეტაციები და მათზე დამყარებული ყალბი კონცეფცია, აგრეთვე, მ.ჯავახიშვილის ჩეკისტურად გაყალბებული ცხოვრებისეული პერიპეტიების ფაქტები. ამით ვამხილე, რომ მათ სიმართლეს ამჯობინეს ყალბი რენომე და ფაქტობრივად ხელი წაახმარეს არა მარტო მ.ჯავახიშვილის, არამედ, ამასთანავე მის მსგავს ბედქვეშ მყოფი ათასობით რეპრესირებულის სიმართლის მრუდედ წარმოჩენა-გაყალბებას.

მკითხველმა სიღრმისეულად უნდა გაიცნობიეროს, რომ მ.ხომერიკის პუბლიკაციებში, მათ შორის მის სამ წიგნში

გამოთქმული ყალბი აზრების მხილების გარეშე შეუძლებელია არა მარტო მ.ჯავახიშვილის, არამედ მის მდგომარეობაში ხელოვნურად ჩაყენებული და მოსპობილ-გაუბედურებული ადამიანების ჩეკისტური ბედისწერის სწორად გაგება.

წინამდებარე მონოგრაფიული ნაშრომის მთავარი მიზანდასახულობაა ავტორ-სპეციალისტთა და პირადად ჩემი მეცნიერული მონაპოვარის გათვალისწინება-გამოყენებით და უპირატესად ჩემს მიერ მოპოვებული უამრავი საარქივო დოკუმენტური წყაროების ბალავარზე დაყრდნობით, ახლებურად, ორიგინალურად და ჩემს მიერ გამოვლენილი უამრავი მიგნებებით გავაშუქო 1937 წლის დიდი ტერორი, ამ სიტუაციით მოსპობილი ადამიანებისა და კონკრეტულად მ.ჯავახიშვილის ჩეკისტურად ნამართავი ბედი, ისინი წარმოვაჩინო ღირსებისა და დამსახურების მიხედვით, როგორც რეჟიმის, ბერიას და ჩეკას მიერ გაუბედურებული და განწირული ადამიანები. მაშასადამე, მიზნად ვისახავ იმასაც, რომ ჩემს მიერ არქივებში გამოვლენილი, 1937 წლის დიდი ტერორის დროს ჩეკისტურად გამოძალული და შეკოწიწებული ყალბი ჩვენებების მხილების საფუძველზე გავაშუქო ის ბრალეულობები, რომლითაც 1938 წელს მომზადდა საქართველოს ჩეკას ხელმძღვანელთა წარდგინება სსრ კავშირის შინაგან საქმეთა კომისრის – ეჟოვისა და მისი მოადგილის – ბერიას მიმართ და რომელიც ითვალისწინებდა ქართველ პატრიოტ მეცნიერ-პედაგოგთა და მათი ლიდერის, ივანე ჯავახიშვილის დაპატიმრების მოთხოვნას...

ზემოთ აღწერილი გზით მსურს ჩემი წვლილი შევიტანო 1937 წლის დიდი ტერორის დროს რეჟიმის მიერ გაუბედურებულ-მოსპობილი მ.ჯავახიშვილის და სხვა ადამიანების ღისრების სწორ შეფასებაში. ამ ამოცანის შესრულების დროს ვხელმძღვანელობ სწორი გაგებით – მიხეილ ჯავახიშვილის მოსპობის მცდარი, მითუმეტეს ყალბი გაშუქებით, ყალბდება 1937 წლის დიდი ტერორის დროს მოსპობილთა და განადგურებულთა ცხოვრებისეული პერიპეტიები...

<u>თავი II. საქართველოში დიდი ტერორის თავისებურებების, ჩეკისტური ძიების მიზანდასახულობისა და აღიარება-ჩვენებების მოპოვების მეთოდიკის შესახებ</u>

წინამდებარე თავში, მისი მიზანდასახულობების ნათლად გაგების მიზნით, საჭიროა წარმოვაჩინოთ, ის, თუ ოფიციალური აზრით, რა გახდა 1937 წლის დიდი ტერორის და მისი უშუალოდ მომდევნო რეპრესიების მიზეზი. იგი დამატებით შესაძლებლობას გვაძლევს უკეთ გავიაზროთ ბერიას და მის თანამოაზრეთა, აგრეთვე მათ მიერ დაკვალიანებული და საქართველოში გატარებული ჩეკისტური რეპრესიების მიზანდასახულობა, მეთოდები და თავისებურებები. ამით მკითხველს მეტი შესაძლებლობა შეექმნება უკეთ გაიცნობიეროს ჩვენი უახლესი ისტორიის 1930-იანი წლების ჩეკისტურად ნაწარმოები პროცესების გაგების საკითხში, ჯერ კიდევ არსებული ხარვეზები. ამ მიზნებით გთავაზობთ ბერიას და მისი თანამებრძოლი ბოლშევიკების მიერ საქართველოს კომპარტიის XI (1938წ.) ყრილობაზე გამოთქმული საქართველოს კომპარტიის ცეკას ანგარიშის შესახებ ბერიას მოხსენებასა და ბოლშევიკი „ორატორების“ სიტყვებში გამოთქმულ აზრებსა და დიდი ტერორის რეტროსპექტული ხედვით გამოთქმულ მათ შემაჯამებელ დასკვნებს.

1. მოხსენებაში ბერია აღნიშნავდა, რომ საქართველოს ბოლშევიკების X ყრილობიდან (1937 წ. მაისი)... ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შინაარსს ძირითადად განსაზღვრავდნენ საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის თებერლავ-მარტის პლენუმებისა და 1938 წლის იანვრის პლენუმის დადგენილებანი... ამხანაგ სტალინის მოხსენება და საბოლოო სიტყვა... რომლის წარმატებით განხორციელებისათვის მობილიზებული იქნა მთელი ჩვენი ძალები, უნარი და ენერგია“. ბერიას მოაქვს პლენუმების გადაწყვეტილებები და სტალინის მითითებები რომლითაც ასკვნის, რომ: „<u>ბევრი კომუნისტის უდარდელობის გამოყენებით, მოხერხებული შენიღბვითა და ორგულობით, ტროცკისტ ბუხარინელებმა და საერთაშორისო ფაშიზმის ყოველგვარმა სხვა აგენტესმა შეძლეს გამძვრალიყვნენ არა მარტო პარტიაში, არამედ ცალკეულ ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო პოსტებზედაც</u>“ (ხაზგასმა ჩემია – გ.ც.). საქართველოში ასეთებად ნაგულისხმევთა

შორისაა ოთხი ათასი სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელი და სხვა დაწინაურებული მუშაკი. რომელთა შეცვლაც განხორციელდა საანგარიშო პერიოდში და რომელთა გამოყენებითაც ხდებოდა დიდი ტერორის უბედურებანი.

მოხსენებაში ბერია აღნიშნავს, რომ საჭირო იყო... სტალინის მითითებათა და... პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ბოლომდე გაგვენადგურებინა, პარტიის და ხალხის ყველა ეს მტერი, მოგვეხდინა მათი ბუდეების ლიკვიდაცია და დაუნდობლად აღმოგვეფხრა მტრების ნაბოლარები... საჭირო იყო იმ არხების გამოვლინება და გამორკვევა და გადამწყვეტი ზომების მიღება მავნებლობის ყველა შედეგის სწრაფი და სრული ლიკვიდაციისათვის როგორიც სახალხო მეურნეობაში, ისე პარტიულ მუშაობაშიც.

ხალხის მტრების მხილებისა და განადგურების და მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციის ამოცანა შეიძლებოდა წარმატებით გადაჭრილიყო ბოლშევიკური სიფხიზლის მაქსიმალური გაძლიერების პირობებში, პარტიული კადრების პოლიტიკური აღზრდის დონის გადაჭრით ამაღლებით და მათ მიერ ბოლშევიზმის დაუფლების პირობებში (ე.ი. მათ ბოლშევიკურ-ჩეკისტურ დაკვალიანების დროს – გ.ც.)...

ამჟამად მტერთა ბუდეები უკვე განადგურებულია და ახლა სწარმოებს მათი ნაბოლარების აღმოფხვრა... კონტრრევოლუციური ტროცკისტულ-ბუხარინული ორგანიზაციების განადგურება არსებითად პარტიული რიგების გენერალური წმენდა იყო, როგორიც ჯერ კიდევ არა სცოდნია ჩვენი პარტიის ისტორიას. ამის შედეგად საქართველოს ბოლშევიკთა კომუნისტური პარტია, საკ. კპ (ბ) ცკ-ის რკინისებური და ურღვევი დასაყრდენი, თავის XI ყრილობას შეეგება განმტკიცებული, მონოლიტური, მტკიცედ შემჭიდროვებული საკ. კპ (ბ) სტალინური ცკ-ის და დიდი სტალინის გარშემო (ტაში) ყველანი ფეხზე დგებიან (საქართველოს კომპარტიის (ბ) XI ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, თბ. 1938, გვ.74-74; ხაზგასმა ჩემია – გ.ც.).

II. რეალურაი მდგომარეობის კრიტიკული აღქმა შემეცნებაში დიდ დახმარებას გვიწევს სიტყვაში გამოსული „ორატორების“ ნებით თუ „იძულებით“ ნათქვამი, რომელთა მიხედვით 1937 წელი იყო მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციის წელიწადი... (იქვე, გვ.230).

„მტრული ბუდეების განადგურებასთან ერთად საქართველოს კომპარტიამ გაშალა მნიშვნელოვანი მუშაობა მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციისათვის და ამ დარგში უკვე ახლა გადამწყვეტ წარმატებას მიაღწია, ამის ნათელ მაჩვენებელს წარმოადგენს ბრწყინვალე შესრულება საანგარიშო პერიოდში ყველა უმნიშვნელოვანესი სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანისა“... (? – გ.ც.) (იქვე, გვ.218). ეს იყო წელიწადი ჩვენი პარტიის თვითგანწმენდისა, ყველა ორგულებისა და მტრებისაგან, ყველა შემთხვევითი მიტმასნილი ელემენტებისგან, რომლებიც ლაქუცობით ნიღაბაფარებულნი, დაღუპვას უმზადებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, ლამობდნენ ჩვენი აყვავებული ქვეყნის გადაცემას პირსისხლიანი ფაშიზმის სახელმწიფოსათვის“ (იქვე, გვ.195).

„მიუხედავად წინა წლებში რამდენჯერმე ჩატარებული წმენდისა, მიუხედავად პარტიული დოკუმენტების ბეჯითად შემოწმებისა, პარტიაში საპასუხისმგებლო პოსტებზეც კი აღმოჩნდნენ პარტიისა და ხალხის მტრები, ტროცკისტ-ბუხარინელი გამცემლური, ტროცკისტი ჯაშუშები, საზიზღარი მოღალატები“ (იქვე, გვ.195). „საანგარიშო პერიოდში ყველაზე მთავარი და ძირითადი მიღწევაა დაუნდობელი განადგურება ხალხის მოსისხლე მტრების მენშევიკების, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტების... ფაშისტურ დაზვერვათა ჯაშუშების“ (იქვე, გვ.217-218). „საქართველოს ბოლშევიკებმა... გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს ფაშისტთა საზიზღარი აგენტების... ჯაშუშებისა და დივერსანტების გველის ბუდეებს“ (იქვე, გვ.195). „ხალხის მტრების განადგურებით ჩვენმა პარტიამ პირველი გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა პირსისხლიან ფაშიზმს“ (იქვე. გვ.217). „ჩვენ კარგად ვიცით... როგორ და ვისგან ჩამოყალიბდნენ ფაშისტები საქართველოს პირობებში. ყველასთვის ცნობილია, რომ ფაშისტების ძირითადი ბირთვი საქართველოში წარსულში იყვნენ ყოფილი ნაციონალ-უკლონისტები“ (იქვე, გვ.214).

„ხელმძღვანელობდნენ რა საკ კპ (ბ) ცკ-ის თებერვალ-მარტისა და იანვრის პლენუმების გადაწყვეტილებით და ამხანაგ სტალინის მითითებით საქართველოს ბოლშევიკებმა ბოლშევიზმის დაუფლებით რევოლუციურ შემტევი ბოლშევიკური სიფხიზლის კიდევ უფრო გაძლიერებით (იქვე, გვ.95) „სტალინის ბრძნული მითითებებით

შეიარაღებულებმა... პარტიამ გაანადგურა... უბოროტესი მტრები, რომლებიც ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ საბჭოთა ხელისუფლებისთვის და ხელახლა დაედგათ მშრომელებისათვის მემამულურ-კაპიტალისტური ჩაგვრის უღელი“ „რომლებიც ცდილობდნენ ჩაეშალათ ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობა, ძირი გამოეთხარათ საბჭოთა ხელისუფლებისთვის და სისხლში ჩაეხრჩოთ ჩვენი მშობლები იმისათვის რათა აღედგინათ მემამულეების, თავადებისა და კაპიტალისტების ძალაუფლება (იქვე, გვ.217-218). „ამზადებდნენ ტერორისტული აქტების განხორციელებას, პირველ რიგში პარტიის ბელადის ამხანაგ სტალინის და საქართველოს ბოლშევიკთა ხელმძღვანელის – ამხანაგ ბერიას წინააღმდეგ. მაგრამ ეს მათ ვერ შეძლეს. მტრები ანგარიშში მოტყუვდნენ“ (იქვე, გვ.80). „და მხოლოდ ჩვენი პარტიის უდიდესი ბელადის ამხანაგ სტალინის გენიალურ შორსმხედველობას და მის ბრძნულ მითითებებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ მტრები დროზე გამომჟღავნებულ და მოსპობილ იქნენ“ (იქვე, გვ.195). „...უცხოეთის დაზვერვათა სტაჟირებული ჯაშუშების გველების ბუდეების განადგურებისა და აღმოფხვრის საქმეში განსაკუთრებით დამსახურება საქართველოს კომპარტიის წინაშე მიუძღვის უწინარეს ყოვლისა ბოლშევიკური პარტიის მტკიცე შვილს ამხანაგ ბერიას“ (იქვე, გვ.218, ხაზგასმა ყველგან ჩემია).

სინამდვილეში, როგორც ვნახავთ, ამ დროს საქართველოში არ არსებობდნენ ორგანიზაციულ-პრაქტიკულად მოქმედი ტროცკისტ-ბუხარინული და ფაშისტური მიდრეკილების უცხოეთის ინტერესებით მოქმედი ჯაშუშები; ეს ბრალდებები შეთითხნილია სტალინის დირექტივების შესაბამისად და ბერიას უშუალო ჩარევით იქნა ჩეკისტურად ნასაზრდოები. ამ და შემდგომ თავებში ისიც გაირკვევა, რომ ერთგვაროვანი ბოლშევიკურაი აზროვნების ჩამოყალიბების მიზნით, ამ პროცესს ჩეკისტური მეთოდებით მართავდნენ ბერია და მისი მხარდამჭერი კარიერისტები.

სინამდვილეში ბერიას დასკვნებსა და პოსტულატებს იმეორებდნენ ყრილობის სხდომაზე სიტყვით გამომსვლელი ორატორები.

წინამდებარე წიგნის მოცემულ და სხვა მომდევნო თავებში ასახულის განვითარების სახით, მკითხველს ძირითადად ვთავაზობ ამ და ჩემი სხვა, დამოუკიდებელი ხელნაწერი მონოგრაფიების იმ ნაწილს, რომელიც მას დაეხმარება უკეთ გაიცნობიეროს მ.ჯავახიშვილისა და სხვა მის ბედქვეშ მყოფთა მიერ განცდილი საერთო ვითარება და მათი ბედისმწერლების მიერ ნასაზრდოები კონკრეტული გარემოებანი.

როგორც ცნობილია, 30-იანი წლების მეორე ნახევარში განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემა-რეჟიმების მქონე სახელმწიფოების გარდაუვალი სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება-შეტაკების პერსპექტივა. იგი 1934 წლიდან განსაკუთრებით აირეკლებოდა ფაშისტური გერმანიისა და ბოლშევიკურ საბჭოთა კავშირში მიმდინარე საშინაო, თუ საგარეო პოლიტიკური მოვლენებით, რაც საბჭოთა ცენტრალური პრესის ფურცლებზეც საგნობრივად შუქდებოდა (სამაგალითოდ იხ. გაზ. „Молодой Рабочий“, 1934, 20 მაისი №114 (1814)). ამ დროის საბჭოთა პარტიული და სახელმწიფოებრივი მმართველობის უმაღლეს დონეზე, ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად დაისახა ქვეყნის შინაგან ძალთა, მათ მიერვე გამწვავებული, დაპირისპირების აღმოფხვრა და პრობოლშევიკური ძალების კონსოლიდაცია. იგი მიზნად ისახავდა საბჭოთა საზოგადოების მომზადებას ფაშისტურ გერმანიასთან მომავალი სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებისთვის. ამ მიზნით ტარდებოდა ღონისძიებები, რომლებიც ისახავდნენ საბჭოთა საზოგამოების გაწმენდას ბოლშევიკური სოციალიზმის მიმართ მტრულად განწყობილი შიდაპარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელი, აგრეთვე ძველი სპეციალისტების („სპეცების”) და „მერყევი“, ანუ „პროკაპიტალისტურ“ - „პროფაშისტური“-ად მიჩნეული ე.წ. მეხუთე კოლონის წარმომადგენლებისაგან. ამავე მიზნით საბჭოთა ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობდა დაუნდობელი ბრძოლა ანტისაბოთა კონტრრევოლუციად მიჩნეულ, ყოფილ ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების წევრებთან და საერთოდ, ტოტალიტარული რეჟიმის მიმართ უკმაყოფილო ოპოზიციურ მიმდინარეობებთან, მათ შორის მავნებლებად, ნაციონალ-უკლონისტ ტროცკისტებად, მემარჯვენე

ოპოზიციად და ფაშისტებად შერაცხულ პატრიოტულ ინტელიგენციასთან. მათი სახით უმთავრესად განიხილებოდნენ საქართველოს სუვერენიტეტის უკიდურესი, ბოლშევიკურ-უნიტარული მმართველობის რუსული შაბლონით შებოჭვის გამო უკმაყოფილო უმაღლესი პარტიულ–სახელმწიფოებრივი სამეურნეო და კულტურის დარგის მუშაკები, თანამდებობის მქონე ე.წ. ნაციონალ-უკლონისტები, ქართული ნაციონალურ-შოვინისტური მრწამსის მქონედ შეფასებული ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები, კულტურის სფეროს მუშაკები პატრიოტული მწერლობის ტრადიციებისა და ეროვნული ინტერესების დამცველი მწერლები, აგრეთვე მეცნიერ-პედაგოგები, და მათი იდეების მიმდევარი ახალგაზრდები, განსაკუთრებით კი, 1920-იანი წლებში საბჭოთა ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ არალეგალურად მებრძოლთა სახით გამოვლენილი სხვადასხვა ანტისაბჭოური ტაქტიკის მქონე ანტიბოლშევიკური პარტიების ყოფილი წარმომადგენლები, რომელთა საერთო იდეურ მისწრაფებას წარმოადგენდა საბჭოთა ბოლშევიკური რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოება.

ბერიას 1936 წლის მონაცემებით, ანტისაბჭოთა ძალებად ორგანიზებულთა, ანუ ანტისაბჭოთა ელემენტებისა და კერძოდ ტროცკისტების განსაკუთრებულ სიჭარბის შესახებ, გამოთქმული იყო აზრი, რომ თითქოს მათი საერთო რიცხვი 100 ათასამდე მათ შორის ტროცკისტებისა 2700-მდე აღწევდა (იხ. გ.ციციშვილი, სისხლიანი 1937, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1997, №138, 139, 141, 143; იხ.ჩემი წერილი III „ეშმაკის დოლაბი", იქვე, №141, 1993, 20 ივნისი). მაშასადამე, ბერიას მიერ, ჯერ კიდევ დიდი ტერორის წამოწყებამდე განისაზღვრა მომავალი სისხლის კალოს ამოცანებიცა და მასშტაბიც.

ამ ბოლშევიკურ-სახელმწიფოებრივი დაკვეთის განხორციელების უმთავრეს ძალას წარმოადგენდნენ სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს ორგანოები (ჩეკა), რომლებიც რუსეთში და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე, ახალი, ბოლშევიკური ხელისუფლების სახელმწიფოებრივი მმართველობის ერთ-ერთ უმთავრეს ძალისმიერ

ორგანოს წარმოადგენდნენ. მათთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულების უმთავრეს მეთოდს წარმოადგენდა ანტისაბჭოთა ტერორისტულ ძალებად მიჩნეულთა მიმართ უმკაცრესი ძალმომრეობითი დამოკიდებულება. ამ მოთხოვნის ძირითადი დებულებები ჩამოყალიბებული იყო სსრკ ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს 1934 წლის 1 დეკემბრის ერთობლივ დადგენილება-კანონში „...მოქმედ სისხლის სამართლის მუხლებში ცვლილებების შეტანის შესახებ“. იგი საბჭოთა ხელისუფლების მუშაკთა წინააღმდეგ ტერრორისტული ორგანიზაციებისა და ტერორისტული აქტების განხორციელების გამო მოითხოვდა: 1. ძიების დამთავრებას არა უგვიანეს 10 დღისა; 2. ბრალდებულისთვის „საბრალდებო დასკვნის“ გადაცემას სასამართლოში საქმის განხილვამდე ერთი დღით ადრე; 3. საქმის მოსმენას მხარეთა მონაწილეობის და 4. გადაწყვეტილების გასაჩივრების გარეშე; 5. სასჯელის უმაღლესი ზომის სისრულეში მოყვანას დაუყოვნებლივ (ა.ქურხული... და რომ გვახსოვდეს, თბ.2004, გვ.330). ამ კანონს ჩეკას სამძებროსთვის საქმის გაიოლების ფუნქცია ქონდა იმ თვალსაზრისით, რომ ყველა თავიდან მოსაშორებელს მიაწერდნენ ტერორისტობას.

როგორც ცნობილია, ექიმმა ლევინმა, რომელსაც მენჟინსკის და ა.მ. გორკის მკვლელობა ბრალდებოდა, უჩვენა: „მკვლელობა ავიღე ჩემს თავზე იმიტომ, რომ იაგოდა ჩემი ოჯახის განადგურებით დამემუქრა”. ეს მეთოდი 30-იან წლებში კიდევ უფრო განავითარა საბჭოთა ჩეკას მომდევნო უფროსმა ეჟოვმა. საქართველოში დაკითხვების დროს სიცოცხლის შენარჩუნების დაპირებით პატიმარში იმედის გაჩენისა და სასურველი აღიარების გამოძალვის მეთოდს იყენებდა პირადად რესპუბლიკის კომპატიის ცეკას მდივანი და ჩეკას შეფი-ბერია.

ეჟოვისა და ბერიას დროს საბჭოთა უშიშროების სამსახურის ძალმომრეობით საქმიანობას სტიმულს აძლევდა პარტიულ-სახელმწიფოებრივი დაკვეთის შესაბამისი დირექტივა, რომელიც სსრ კავშირის გენერალურ პროკურორად 1935 წლიდან დაწინაურებულ ვიშინსკის ეკუთვნის. პარტიული და სახელმწიფოებრივი კურსის შესაბამისად, „ვიშინსკიმ, საერთოდ მიღებული იურიდიული მეცნიერების ნორმების საწინააღმდეგო პოსტულატად წამოაყენა

მოთხოვნა-ბრალდების ობიექტური დასაბუთება საერთოდ არ არის საჭირო, თუ ბრალდებულმა აღიარა მის მიმართ ინკრიმინირებული დანაშაულობანი" (Н. Маслов. Политические процессы 30-хгодов: характери особенности. В. книге: Страницы истории КПСС. Факты, проблемы, уроки. М. 1988, С. 454-455). ამ პოსტულატმა ჩეკას ორგანოების კანონსაწინააღმდეგო თვითშემოქმედებას განსაკუთრებული სტიმული მიანიჭა ტროცკისტულ-ზვინოკიოვური და ბუხარინული ანტისაბჭოთა ბლოკის ლიდერთა გამოვლინებისათვის ბრძოლის პირობებში. ხანგრძლივი პატიმრობისა და ძალმომრეობის შემდეგ, ეჟოვმა, 1937 წლის იანვარში მოიპოვა ტროცკისტ-ზინოვიელთა თანამებრძოლ ლიდერთა –პიატაკოვის და სერებრიკოვის ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური, არალეგალური ბრძოლის დამადასტურებელი აღიარებები. ამით ჩეკას ორგანოებს შესაძლებლობა მიეცათ „გამოევლინათ" მათთან დაკავშირებული ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური ბრძოლის ახალი,ფართომასშტაბიანი ქსელი, რომელშიც შეიყვანეს ქართველი ე.წ. ნაციონალუკლონისტი-ტროცკისტებიც. ამის შემდეგ კიდევ უფრო მძაფრი ხასიათი შეიძინა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ბრძოლამ ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური დაჯგუფებებისა და ელემენტების წინააღმდეგ.

ამ ბრძოლის ხასიათსა და მომავალ სიმწვავეს ასაზრდოებდა სტალინის მიერ სკპ(ბ) ცკ-ის 1937 წლის თებერვალ – მარტის პლენუმზე გამოთქმული სიტყვები: „Сразоблачением… злейших врагов наркомвнутдел запоздал… крайной мере на 4 года". ეს პოსტულატი იყო საყურადღებო დირექტივა, საერთოდ საკავშირო, და მათ შორის, საქართველოს შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის, კერძოდ, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის პირველი მდივნისა და საქართველოს სახემწიფო უშიშროების ფაქტობრივი უზენაესი ხელმძღვენელის, ლ.ბერიას მიმართ.

საქართველოში სახელმწიფოებრივ-ჩეკისტური ანგარიშწორებისათვის პოხიერი ნიადაგი შექმნა ბოლშევიკური სოციალიზმისა და დიქტატურის რუსული შაბლონით განხორციელებამ, მათ შორის საქართველოს ოკუპაცია-ფაქტობრივი ანექსიით გამოწვეულმა ეროვნულმა უსამართლობებმა

(საქართველოს დამოუკიდებელი, დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობამ, მისი სუვერენიტეტის შენარჩუნების დაპირებების იგნორირებამ და სრულმა გაუქმებამ, რესპუბლიკის ტერიტორიის მეხუთედის ბოლშევიკების მიერ გასაჩუქრებამ, კერძო საკუთრების გაუქმებამ, ბოლშევიკების ეროვნული პოლიტიკით უკმაყოფილოთა მიმართ იმ სასტიკმა ანგარიშწორებებმა, რომელიც 1921-1937 წლებში განხორციელდა) და აგრეთვე, სიძულვილმა საქართველოს უზენაეს ხელმძღვანელად სახელმწიფოებრივი მართვის ჩეკისტურ-კარიერისტული მეთოდებით აღზევებული ბერიას ჩეკისტური ხელმძღვანელობის მიმართ. ბერია, მრავალი წყაროებით მათ შორის მისი თანამოაზრე-თანამებრძოლი ჩეკისტის „კაკოს“, იგივე ბერიას დაპატიმრების შემდეგ, 1954 წელს ბერად შემდგარი სახელმწიფო უშიშროების გენერლის, მამა ალექსის მოგონებების მიხედვით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრება-განმტკიცების პერიოდში ცნობილი იყო, როგორც სამშიბლოს სუვერენიტეტისათვის მებრძოლ თანამემამულეთა სისხლში უზომოდ გასვრილი ჩეკისტი და სტალინის წინაშე რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დამსმენ-ინფრმატორი. განსაკუთრებით მოუთმენელი გახდა, სტალინის მიერ მისი აღზევება საქართველოს და ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელად.

ბერიას აღზევებით შექმნილი საქართველოს საზოგადოებრივი აზრის ზედმიწევნით მცოდნე-ბრძენი თანამედროვე, ირაკლი აბაშიძე, მის მიერ განცდილი 30-იანი წლების „ეპოქის შვილის აღსარების“ სახით მოგვითხრობს, რომ „ახალ ხელმძღვანელს საზოგადოება იცნობდა, ასეთი დიდი პოსტისთვის ის ჯერ მაინც უცნობი იყო... აქა იქ ჩუმჩუმად ლაპარაკობდნენ აგრეთვე მის დაბალ განვითარებაზე...

იგი, როგორც ახალი ხელმძღვანელი დამსჯელი ორგანოებიდან მოვიდა და ამ დარგის მუშაკთა დიდი კმაყოფილების გარდა, ამ დანიშვნამ ქვეყანაში მრავალმხრივი რეაქცია გამოიწვია – უკიდეურესი გაოცება, დაბნეულობა, გაუგებრობა, შეშფოთება და ძველ რევოლუციონერთა შორის ძლიერი აღშფოთება...

იცნობდნენ რა საქართველოს ახალი ხელმძღვანელის ბიოგრაფიასა და ხასიათს ყველა ერთს ფიქრობდა: - „მშვიდობით

ყოველგვარო დემოკრატიავ!..“ (ი.აბაშიძე, ზარები ოცდაათიანი წლებიდან, თბ.2003, გვ.55, 56, 59).

ბერიას ხელისუფლების მეთაურად მოსვლა, ბოლშევიკური სოციალიზმის ძალმომრეობითი განხორციელების ახალი ეტაპის ამოცანები და დირექტივები საქართველოში უკიდურესად მძიმე შედეგის პერსპექტივას ასაზრდოებდა. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ საქართველოში დიდი ტერორის ორგანიზებას უშუალოდ ბერია ხელმძღვანელობდა, როგორც საქართველოს და ამიერკავკასიის ჩეკას ორგანოების ყოფილი უფროსი და ამჟამინდელი საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივანი. მან თავისი წარმატებული კარიერის 1921-1937 წლებში, საქართველოს ინტელიგენციის ლამის აბსოლუტური უმრავლესობა პირად მტრებად გაიხადა. ბერია 1937-1938 წლების დიდი ტერორის დროინდელ წმენდას, ფაქტობრივად, საკუთარ დაქვემდებარებაში მყოფი საქართველოს შინსახკომისა და მისი სახელმწფო ორგანოების მეშვეობით ახორციელებდა, ხოლო პირად მტრებად მიჩნეულ კადრებს დაუნდობლად ანადგურებდა და სპობდა. მათ შორის, ბერიას შურისძიების რისხვა განსაკუთრებით იმ პიროვნებებს დაატყდათ, რომლებიც გამოთქვამდნენ უკლაყოფილებას სახელმწიფოებრივი მართვის ჩეკისტური მეთოდების, ამიერკავკასიის ერთიანი პარტიულ-სახელმწიფოებრივი მმართველობის მოსალოდნელი გაუქმებისა და საქართველოსთვის ბერიას ხელმძღვანელობის დამღუპველი გავლენის შესახებ. ასეთებს შორის იყვნენ უმთავრესად ძველი, ბერიას მიერ გადაყენებული თუ შევიწროვებული პარტიული, სახელმწიფოებრივი და სამეურნეო სფეროს ხელმძღვანელები, აგრეთვე ეროვნულ-პატრიოტული ინტელიგენციის წარმომადგენლები.

აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა მოვიხმო ჩემს მიერ, ჯერ კიდევ 1990-იანი წლების დასაწყისში გამოქვეყნებული, ბერიას წინააღმდეგ 1933 წელს შეთქმულთა ერთ-ერთი, ცოცხლად გადარჩენილის, ბატონ ალექსანდრე (საშა) პაპავას პირადი მონათხრობი.

ა.პაპავას მონათხრობის მიხედვით, ბერიას საქართველოს კომპარტიის მდივნად დანიშვნამდე რესპუბლიკის პარტიული

ხელმძღვანელობა კვლავინდებურად იცავდა ლენინურ აზრს საქართველოში სოციალიზმის მშენებლობის უფრო ფრთხილი და რსფსრ მართვის შაბლონისაგან განსხვავებული ტაქტიკის გატარების საჭიროების შესახებ. ბერიამ რესპუბლიკის ხელმძღვანელად მოსვლის პირველი დღეებიდანვე დაარტყა ძველი ხელისუფლების მეთოდებს. მან წამოიწყო ე.წ. „ატამანსჩინისა“ და „ჯგუფობრიობის მხილება“. ამის გამო უკვე იმავდროულად აღმოცენდა ხმები საქართველოს კომპარტიის ცეკას ახალი ხელმძღვანელობის უვარგისი და ჩეკისტური მეთოდებით მუშაობის შესახებ. 1932 წლის იანვრის პლენუმზე საქართველოს კომპარტიის ცეკამ გადაწყვეტილება გამოიტანა კოტე გორდელაძის, მარიამ ორახელაშვილის და ნიკოლოზ ბახტაძის ჯგუფური მოქმედების დაგმობის შესახებ, რომლებიც განუწყვეტლივ საუბრობდნენ ბერიას მიერ დანერგილი ჩეკისტური მართვის მეთოდების შესახებ.

ასეთ ვითარებაში თბილისის საქალაქო პარტიულ კომიტეტში აღმოცენდა ჯგუფი, რომელმაც მიზნად დაისახა ბერიას ცეკას მდივნობიდან გადაყენება. ამ ჯგუფში გაერთიანდნენ: პარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი პავლე მელაძე; საქართველოს კომპარტიის ცკ-ის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე, კოტე გორდელაძე; საქართველოს სარეწაო კოოპერაციის თავმჯდომარე, ნიკოლოზ (კოლია) ბახტაძე; საქართველოს განათლების სახალხო კომისრის მოადგილე მარიამ (მარუსია) ორახელაშვილი; თბილისის კომიტეტის წევრი – არტემ კვირიკაძე, აფციაური და საშა პაპავა. მათთან დაკავშირებული იყვნენ პარტიის უხუცესი წევრებიდან – ფ.მახარაძე, მ.ტოროშელიძე, მამია ორახელაშვილი – ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანი. შეთქმულთა ჯგუფის შეკრებები ტარდებიდა კ.მელაძის კაბინეტში და კ.ბახტაძის ბინაზე, ჰყავდათ ბევრი თანამგრძნობიც. მიზნად დაისახეს ბერიას კრიტიკით გადაყენება საქარეთველოს კომპარტიის 1933 წლის აგვისტოს პლენუმზე. მაგრამ მასზე ბერა რამდენიმე დღის განმავლობაში არ გამოცხადდა. მეოთხე დღეს, – მოგვითხრობს ს.პაპავა, – ბერია ამოდის კიბეზე და მიმართავს შეკრებილებს: აბა ვის უნდა ჩემი მოხსნა? მომხსენით! სტალინთან ვიყავი. გადავეცი, რომ ჩემს წინააღმდეგ შეთქმულებაა. სტალინმა დამავალა

გადმოგცეთ, რომ მთლიანად მხარს მიჭერს... ყველა გაჩუმდა. ფ.მახარაძემ მიუგო: „არაფერი არავის არა აქვს, მხარს გიჭერთ“. ახალგაზრდებს ამჯერად მხოლოდ საყვედური აკმარეს (იხ. გ.ციციშვილი, დიდი ბოროტების სათავეები და შედეგები, გაზ. „სახალხო განათლება“ 1989, 19 აპრილი). როგორც ჩანს სტალინი ბერიას მყარად უჭერდა მხარს. ამის მერე, საქართველოს კომპარტიის IX (1934წ.) ყრილობაზე გააკრიტიკეს ნ.ბახტაძე, კ.გორდელაძე, სამსონ მამულია, მარიამ ორახელაშვილი და ფილიპე მახარაძე (იხ. საქართველოს კომპარტიის (ბ) IX ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, თბ.1935, გვ.420-424). 1937 წელს კი, ბერიამ ყველა შეთქმულს ანგარიში ბოლომდე გაუსწორა. დახვრეტას გადაურჩა ს.პაპავა, რომელიც ერთი ლამაზი ქალის ქმრის გამოსარჩლების საბაბით 10 წლით გადაასახლეს და ბერიას დახვრეტის მერე დაბრუნდა, აგრეთვე გადარჩა ფ.მახარაძე, რომელიც მრავალი დამცირებით თვითმკვლელობის განწყობილებამდეც კი მიიყვანეს, მაგრამ როგორც მისი ქალიშვილი გვიდასტურებს, შემდეგ გადაიფიქრა, რადგან მიიჩნია, რომ თვითმკვლელობა მისთვის მიზნობრივად დაბრალებულის გამართლებად ჩაეთვლებოდა (ჩეკისტური საქმე №12636, ფურც.102).

ბერიას ჩეკისტური ხელმძღვანელობის მოწინააღმდეგეთა შორის აღმოჩნდნენ ის მწერლებიც, რომლებიც თავიდან საბჭოთა ხელისუფლების თანამგზავრად წარმოჩნდნენ. მათ შორის იყვნენ პ.იაშვილი და ცისფერყანწელები. მიხეილ ჯავახიშვილის, 1923 წელს დახვრეტილ თანამოაზრე ექსტრემისტებად შერაცხულებთან ერთად რომ არ მოსპეს, ამის მიზეზებს შორის ისიც უთუოდ იყო, რომ მის გადაბირებისა და ზოგ სხვათა მსგავსად, გამოყენებასაც ვარაუდობდნენ. ამის შემდეგ ერთხანს, მისი პირველი ნაწარმოებები, მათ შორის „ჯაყოს ყიზნები“ თანამგზავრობადაც კი შეუფასეს, მაგრამ 1930-იანი წლების ახალი პოლიტიკური კონიუნქტურის პირობებში იგი აშკარად ანტისაბჭოური მწერლური შემოქმედების ავტორად შეაფასეს. ამ ყოფილი შეწყალებულის გადაბირება ბერიამ ვერ მოახერხა, რადგან იგი შინაგანი ბუნებით იყო დაუმორჩილებელი და ჯიუტი. მწერლის ბიოგრაფი ქალიშვილი წერს, რომ: 1937 წელს ბერიას ერთი გადაბირებულისთვის მ.ჯავახიშვილის მოკვლაც

დაუვალებია; ვიღაცას საუბარში უთქვამს „კარგი დრო დგებაო“. ამაზე მ.ჯავახიშვილს, რომელსაც უკმაყოფილების გულღიად გამოთქვა ახასიათებდა, უპასუხია: „რაღა კარგი დროა, ჩეკისტი გვადგას თავზეო“. ეს ნათქვამი ბერიასთვის მიუტანიათ, რასაც იგი ძალზე გაუბოროტებია (ქ.ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება, გვ.452). როგორც ჩანს, ბერიას აევსო მოთმინების ფიალა და შურისძიებაც არ დააყოვნა.

როგორც ცნობილიასაქართველოში პოლიტიკური რეპრესიების ესკალაციას სათავე დაუდო საკ.კპ(ბ) ცკ-ის 1937 წლის თებერვალ მარტის პლენუმზე სტალინის მიერ დასახულმა ამოცანამ ქვეყანაში ტროცკისტულ-ზინოევურ-ბუხარინული ხალხის მტრების გამოვლენა-განადგურებისა და მოსპობის აუცილებლობის შესახებ.

პარტიისა და ხელისუფლების მეთაურის დირექტივები საქართველოს რესპუბლიკის ჩეკისტური ხელმძღვანელობისთვის იმასაც ნიშნავდა, რომ დასახული ამოცანების განხორციელებაში სტალინის სამშობლოს მთელი ქვეყნისთვის სანიმუშო მაგალითი უნდა ეჩვენებინა. ამას დამატებით მოწმობს აგრეთვე გაზეთ „Правда“-ს 1937 წლის 22 მაისის ნომერში, მისი თბილისელი კორესპოდენტის, მეზენინის ხელმოწერით გამოქვეყნებული მცირე, მაგრამ ძალიან ბევრის მთქმელი კრიტიკული წერილი - „საქართველოს კომპარტიის X ყრილობის შესახებ“ და მასთან დაკავშირებული ამბები.

„პრავდის” წერილში ნათქვამი იყო, რომ ქართველი კომუნისტების ყრილობას „თვითკრიტიკა აკლდა“. ყრილობაზე „გაისმოდა არც თუ ისე ცოტა ალილუია სიტყვები“ და „სადღეგრძელოები რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიმართ“. წერილში მრავალმნიშვნელოვნად იყო მითითებული: „აღმოცენდება კანონიერი კითხვა: საქართველოს ყველა პარტიულ ორგანიზაციაში სწორად გაიგეს სკპ (ბ) ცკ-ის პლენუმის გადაწყვეტილებები? და თუ გაიგეს, სად არის პარტიული დასკვნები და რატომ არის ასე ბლომად არასასურველი პარადულ-საზეიმო სიტყვები? ხომ არ არის ეს აღფრთოვანებისა და კეთილდღეობის აცუნდრუკების გამო პარტიის მიერ მკაფიოდ დაგმობილის გამეორება?!“ პარტიის მიერ “დასახული ამოცანების შესრულება შეიძლება იმ პირობით, თუ პარტიული ორგანიზაცია განიკურნება იმ ავადმყოფობათაგან,

რომლითაც, როგორც ყრილობამ გვიჩვენა, დაავადებულნი არიან საქართველოს ზოგი პარტიული ხელმძღვანელები. საჭიროა დაღწევა თავს მოხვეული, მავნე, უსარგებლო აურზაურისგან.“

სინამდვილეში ბერიამ და მისმა ერთგულმა პარტიულმა ელიტამ, პრავდის წერილის გამოქვეყნებამდე, ჯერ კიდევ ყილობის წინ გაითვალისწინა, რომ დღისწესრიგში იდგა პარტიულ-პოლიტიკური ბრძოლის წარმართვა თებერვალ-მარტის პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად. ამის შემდეგ ბერიამ საქართველოს კპ (ბ) X ყრილობა და წინა მოსამზადებელი სამუშაოები საკმარისზე მეტი კრიტიკული მოთხოვნებით ჩაატარა. ეს უთუოდ იმით აიხსნებოდა, რომ ბერიას სტალინის მიზანდასახულობა თავისი უკმაყოფილო და აშკარად მტრული დამოკიდებულებით გამსჭვალული, ტროცკისტ-უკლონისტებად შერაცხულთა, სტალინის წინაშე მისი უშუალო დასმენებით თანამდებობიდან გადაყენებულთა და ბერიას შესახებ აშკარად უკმაყოფილო გამოთქმებით ცნობილი პატრიოტი ინტელიგენტების, ანუ ცნობილი პარტიული, საბჭოთა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენელთა დათრგუნვა-დამორჩილებისა, თუ მოსპობისთვისაც ეწადა. ამ მიზნით ბერიას აქტიურობა არასდროს აკლდა, და X ყრილობაც ამ ნიშნით ჩატარდა. ამასთანავე ბერიამ ისიც გაარკვია, რომ „პრავდის“ თბილისელი კორესპოდენტის წერილი მოსკოვში გადააკეთეს და მისი აზრით ამ შემოტევის ინიციატორებიც უპირატესად მოსკოვში მისი წყალობით გადახვეწილები უნდა ყოფილიყვნენ.

როგორც ცნობილია ბერიას მოწინააღმდეგეთა გააქტიურებისათვის 1935-1937 წლებში განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. ამას მოწმობს თუნდაც მისი, გაზეთ „პრავდის“ 1936 წლის 19 აგვისტოს საპროგრამო წერილი - „გავაცამტვეროთ სოციალიზმის მტრები“. ბერიამ სტალინის მიერ, ადრე გამოთქმული „პოსტულატები“: სოციალიზმის წარმატებათა კვალობაზე კლასობრივი ბრძოლის უკიდურესი გამწვავების გარდაუვლობისა და ანტიბოლშევიკური ძალების შესაძლო გამოცოცხლების შესახებ, იმ მხრივ განავითარა, რომ საქართველოს და ამიერკავკასიის „ოპოზიციური ელემენტების ნამსხვრევებს“, ანუ უკვე დაპატიმრებულ ადგილობრივ ტროცკისტებად გასაღებულებს და სხვა

დასაპატიმრებლად განწირულებს დაუკავშირა. მათში იგულისხმებოდნენ სტალინის და ბერიას მიერ მოძულებული პიროვნებები „მემარჯვენე უკლონისტების წრიდან“. მან დაუფარავად ამხილა– კანდელაკი, ჩიხლაძე, გასვიანი და სხვ.

ბერიამ ქვეყანას ამცნო, რომ „საგრძნობი ნაწილი ნაციონალ უკლონისტებისა... ტროცკისტებთან და ზინოვიევველებთან ერთად... დაადგა ჯაშუშობის, დივერსიისა და ტერორის გზას“. მან მოითხოვა, რომ ამიერკავკასიის ფედერაციით უკმაყოფილო ელემენტები „დაუნდობლად იქნან გამოაშკარავებული“. მაშასადამე, საქართველოში დიდი ტერორის ძირითადი მიმართულებები უკვე 1936 წლისათვის იყო გამორკვეული და განსაზღვრული.

ბერიას ეს განცხადება ეყრდნობოდა საქართველოში ამ დროს მისი პარტიულ-ჩეკისტური ხელმძღვანელობით მოპოებულ შედეგებსაც. მათ შესახებ წარმოდგენას გვიქმნის საქართველოს ჩეკას სამძებროს ცნობილი წარმომადგენელ-ჯალათის, 1954 წლის 15 ივნისს, სსრ კავშირის მთავარი სამხედრო პროკურატურის მიერ, რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 135-138 მუხლების პასუხისმგებლობით დაკითხული კ.ს.სავიცკის ჩვენებაში აღწერილი ამბები, რომლებიც დაკავშირებულია ისამართლოდ დახვრეტილი, ცნობილი ქართველი ენერგეტიკოსის, ბესარიონ ჭიჭინაძის რეაბილიტაციასთან.

სავიცკიმ უჩვენა, რომ: „ჯერ კიდევ 1932-34 წლებში საქართველოს მთავარ სახელმწიფო სასამართლოს გააჩნდა ვრცელი მასალები მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში არსებული მავნებლობის შესახებ. მასალები კერძოდ საქართველოს მრეწველობაში არსებული მავნებლობის შესახებ თავმოყრილი იყო... განყოფილებაში, რომლის უფროსი იყო იაკობ ვინერი... განყოფილებაში დაგროვილი იყო მრეწველობაში მავნებლობის განსაკუთრებით სენსაციური საქმეები... ამას საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს ხელმძღვანელობა ანიჭებდა დიდ... მნიშვნელობას, ხოლო ვინერზე ჩემოყალიბდა „ნიჭიერი ჩეკისტ-აგენტიურისტის” ავტორიტეტი. 1934 წელს განყოფილების უფროსად აზერბაიჯანიდან გადმოყვანილი, „აზერბაიჯანის ნაციონალური ცენტრის” გამხსნელი გორიაჩევის

დანიშვნის შემდეგ, საქართველოშიც საქმე შექმნეს „ქართული ნაციონალური ცენტრის" შესახებ და მაშინვე გატარდა მრეწველობისა და სოფლის მეურნობის სპეციალისტთა დაპატიმრებები... ბევრ მუშაკს მაშინვე გაუჩნდა ეჭვი ამ „ცენტრისადმი" და აგენტურულ მასალებს მოეკიდნენ უნდობლობით. უნდობლობა დადასტურდა იმით, რომ მის მიხედვით 1935 წელს დაპატიმრებულები, მათზე საქმის შეწყვეტით განთავისუფლდნენ. ამის მიუხედავად ვინერის ავტორიტეტი კი არ შემცირდა, არამედ პირიქით – გაიზარდა საქართველოს შინსახკომის შესაბამისი განყოფილების (ყველაზე მნიშვნელონვანი IV სამმართველოს – გ.ც.) უფროსად თბილისელი სომეხის ბოგდან (ბახჩო – გ.ც.) ქობულოვის დანიშვნასთან დაკავშირებით და მისდამი ქობულოვის უშუალო და აქტიური მხარდაჭერით.

ქობულოვმა ყოველმხრივ დაიახლოვა ვინერი, თავის მხრივ ვინერიც არ დარჩა ვალში და 1935-36 წლებში გახსნა, უფრო სწორად შეთითხნა მენშევიკების, თუ ტროცკისტების მხრივ, ქობულოვზე მოსალოდნელი თავდასხმის მითი. ქობულოვზე მოსალოდნელი თავდასხმის ვინერის მიერ გახსნის შესახებ თხრობა ქობულოვს ძლიერ უყვარდა. 1937 წელს, როცა საქართველოს შინსახკომის IV განყოფილებაში შეიქმნა სამძებრო ჯგუფი და დაიწყო აქტიური მუშაობა, იმჟამად შინსახკომის III განყოფილებში, სადაც ვინერი მუშაობდა, ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, როცა დაპატიმრებები თითქმის არ ტარდებოდა და აი ახლა, როგორც III განყოფილების მუშაკმა კორხმანზიანმა მომიყვა, III განყოფილების ხელმძღვანელებს შორის ვიღაცას იმის აზრი გაუჩნდა, რომ ძველი აგენტურული ცნობებით, მათ შორის „ქართული ნაციონალური ცენტრის" მასალებით განეხორციელებინა დაპატიმრებები. კორხმანზიანმა კიდეც წაიტრაბახა, რომ III განყოფილებაში საქმე მიდის არანაკლებ ვიდრე (მთავარ სამძებრო – გ.ც.) IV განყოფილებში. დაპატიმრებულნი იქნენ ათეულები, რომლებისგანაც მიღებული იქნა აღიარებები მათ მიერ გატარებული მავნებლური მუშაობის შესახებ. სწორედ მაშინ დააპატიმრეს ბ.ჭიჭინაძე, რომელიც მოსკოვიდან იქნა ეტაპირებული... ჭიჭინაძის საქმე იყო ერთ-ერთი პირველი მსხვილი საქმე... მისი დაპატიმრების შემდეგ

დაპატიმრებულთა გამომძიებელების ჯგუფის წევრები იყვნენ: ვინერი, ბერიშვილი, კორხმანზიანი და კოზაჩენკო, ანუ პიროვნებები, რომლებიც უშუალოდ იყვნენ დაინტერესებული ჭიჭინაძისგან აღიარების მოპოებით.ჩემი კაბინეტი იმ დროს მდებარეობდა ვინერის კაბინეტის გვერდით, მე ხშირად მესმოდა ნაცემი ადამიანების განწირული ყვირილი. იმის გამო, რომ ვინერის კაბინეტის ფანჯრები ქუჩაში გადიოდა, ხოლო გადაღმა იყო (თბილისის №I – გ.ც.) სკოლა, ფანჯრებთან მორბოდნენ მოსწავლეები, რაც მაიძულებდა ზოგჯერ მიმემართა III განყოფილების მუშაკებისთვის და მეთხოვა ზომები მიეღოთ ხმების შეჩერებისათვის. მე ვფიქრობ ასეთი ცემით იქნა მიღებული ჩვენებები ჭიჭინაძისა და სხვა პიროვნებებისაგან. ჩემთვის ცნობილია, რომ III განყოფილებამ ჭიჭინაძის ჩვენებებით გაატარა ფართო დაპატიმრებები და ეს საქმე მათთვის იყო <u>ცენტრალური</u> (! – გ.ც.). ჭიჭინაძის ჩვენებები მისი რამდენიმე ქვეყნის დაზვერვის სასარგებლოდ და აგრეთვე მისი საქმიანობა მავნებლური მუშაობის შესახებ, მოითხოვს ყურადღებით შემოწმებას...” (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ანუ ყოფილი „ჩეკას”, იგივე „სუკის” არქივი, საქმე №3რ-2431, ტ.3, ფ.150). ის ფაქტი რომ პირველი სკოლის მოსწავლეების ყურადღებას მართლაც იპყრობდა მიმდებარე ჩეკას შენობის ფანჯრებიდან ნაცემ-ნაწამები პატიმრების განწირული ყვირილი, ამ სკოლის იმდროინდელი მოსწავლეებიც ადასტურებენ.

ბ.ჭიჭინაძის და სხვა პატიმრების ბრალდებების, აგრეთვე ჩეკას სამძებროს მუშაობის შესახებ ჩემთვის ხელმისაწვდომი წყაროების შესწავლამ დამარწმუნა, რომ ზემოთ სავიცკის მიერ აღწერილი მსგავსი საქმიანობით ხასიათდებოდა საერთოდ მთელი შინაგან საქმეთა კომისარიატის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს და მათ შორის განსაკუთრებით კი მისი IV განყოფილების მუშაობა.

სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს IV განყოფილება, რომელსაც ბერიამ სათვეში ჯალათი ბახჩო ქობულოვი ჩაუყენა, იძიებდა იმ განსაკუთრებული მნიშვნელობის კონტრრევოლუციურ-ტერორისტულ საქმიანობას, რომელიც ჩეკისტურად შეთითხნილი „საქართველოს ნაციონალური ცენტრის” წვრებსა და მათ დაქვემდებარებულად „გამოვლენილ“ სხვა ცენტრების საქმიანობად საღდებოდა. მთელი ეს სამუშაოები მიჰყავდათ ძირითადად ზემოთ

ჩამოთვლილთა მსგავს, არაქართველ ფალსიფიკატორ-ჯალათებს – სავიცკის, ხაზანს, კრიმიანს, პარამონოვს და სხვებს, რომლებიც განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩეოდნენ და დაპატიმრებული ბრალდებულებისგან სასურველ აღიარება-ჩვენებებს ძირითადად ცემითა და სასტიკი წამებით მოიპოებდნენ ხოლმე.

საქართველოს შინსახკომის პოლიტიკური სამმართველოს სამძებროს და კერძოდ მისი მთავარი IV სამმართველოს საქმიანობის, ჩვენთვის საყურადღებო ერთ-ერთი სფეროს შესახებ საინტერესო ინფორმაციას იძლევა საქართველოს ჩეკას შიდა ციხის, ანუ იზოლიატორის, ზედამხედველ-დარაჯის, ს.გ.კოვშოვის 1954 წლის 9 ივნისის ჩვენება. იგი აღიარებს: „1935-1936 წლებში პატიმრობის მდგომარეობა იყო ნორმალური; პატიმრების რაოდენობა კი მცირე, მათ ნორმალურად კვებავდნენ, ისინი სარგებლობდნენ სავაჭრო ფარდულით; პატიმრების ცემის ფაქტები არ იყო და არ იყო უძილობით წამებული პატიმრები. 1936 წლის ბოლოდან, თუ 1937 წლის დასაწყისიდან, პატიმრების რაოდენობამ იწყო ზრდა და 1937 წელს მათი მდგომარეობა აუტანელი გახდა, განსაკუთრებით კი გაუარესდა მას შემდეგ, როცა მუშაობა დაიწყო სამეულმა, რომელიც პირველი კატეგორიით, ანუ დახვრეტით ასამართველბდა. 1937-1938 წლებში ციხე პატიმრებით იყო გადატვირთული, კვებავდნენ უარესად, ფარდულის გამოყენება აიკრძალა. გამომძიებლები პატიმრებს იძახებდნენ ღამით და აბრუნებდნენ დილით, იყო მასობრივი ცემა-ტყეპა... ეს ჩანდა, როცა დაკითხვიდან ქვემოთ, საკანში ჩაგვყავდა... განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩეოდნენ: ხაზანი, კრიმიანი, სავიცკი, პარამონოვი. მათგან პატიმრები გამოჰყავდათ ძალიან ნაცემები. კაბინეტიდან ისმოდა პატიმართა კვნესა და გამომძიებლის გინება. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ამ გამომძიებლებთან მივიყვან პატიმარს, გამომძიებელი მთავაზობს კარს მიღმა დადგომას და ამ დროს მესმის როგორი ძლიერი გინებით მიმართავს გამომძიებელი პატიმარს: „ხელი მოაწერე", ხოლო პატიმარი ამბობდა: „რატომ მოვაწერო, დამნაშავე არა ვარ", მაგრამ აწერდნენ და ამის მერე მიგვყავდა.

გამომძიებლები... ხშირად პატიმრებს დღისით, რომ იბარებდნენ და ხელს აწერინებდნენ, იმავე ღამეს ისინი გაგვყავდათ

დასახვრეტად. ეს გამომძიებლები ზოგჯერ კომენდატურაში იმ დროს მოდიოდნენ, როცა პატიმრებს დასახვრეტად კოჭავდნენ. მახსოვს, რომ პატიმრები ხშირად ამბობდნენ: „რატომ მაგზავნით დასახვრეტად, მე ხომ დამნაშავე არა ვარ".

განაჩენის სისრულეში მოყვანის ოპერაციები თითქმის ყოველდღიური იყო, გაგვყავდა ათეულობით, ზოგჯერ ასამდე. მიხდებოდა დასახვრეტად გამზადებულთა ქცევაზე დაკვირვება და ვეჭვობდი... დახვრეტის სისრულეში მოყვანის დროს ზოგი ყვიროდა: „ჩვენ დამნაშავეები არა ვართ, გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს და ამხანაგ სტალინს". არც თუ იშვიათად... ამბობდნენ პარტია გამოარკვევს დამნაშავე ვინც არის... 3-4 მეთვალყურეს დღეში დაკითხვაზე გაგვყავდა 300-400 ადამიანი". მათ შორის როგორც სათანადო წყაროები მოწმობენ, იყვნენ შინსახკომის თანამშრომლები, რომლებიც სავარაუდოა, რომ იყვნენ ადრინდელი ბერიას ჩეკისტური მეთოდების მოწინააღმდეგეები. „შინსახკომის თანამშრომლებიდან ძლიერ ცემდნენ: შიროკოვს, ალტაევს, შუტოვს, მაქსიმენკოს, ზელენცევს. სახალხო კომისრის მდივანს გამსახურდიას კრიმიანმა და პარამონოვმა სცემეს დახვრეტის წინაც კი". სავარაუდოა ისიც, რომ მათ შორის იყვნენ ისინი, რომლებიც ვერ ურიგდებოდნენ უდანაშაულო ადამიანების, მითუმეტეს ნაცნობ-მეგობართა რეპრესიებს.

როგორც ზედამხედველი კოვშოვი უჩვენებს: „შინსახკომის თანამშორმელთა გარდა ძლიერ ნაცემი მახსოვს ბუდუ მდივანი... და ჩიხლაძე. ჩიხლაძისა იჯდა ცოლიც... ბუდუ მდივანი... საკანში აცხადებდა: „კარგია ბოლშევიკებისათვის, რომ დროზე დაგვაპატიმრეს, თორემ მათ მე ჩამოვკიდებდი ტელერაფის ბოძზე" (საქმე №2431, ფ.311-321).

იყო ცხელი და ცივი საკან-კარცერები: ცხელში ორთქლს იმდენად უშვებდნენ, რომ ერთ მეტრში პატიმარი არ ჩანდა. ცივ საკანში თოვლს ყრიდნენ და შიგ პატიმარს თეთრეულით აგდებდნენ... ჩვენთან ციხეში იყო სიკვდილის შემთხვევები. პატიმრები თავს იკლავდნენ... იყო 2-3 შემთხვევა გაუფორმებელი პატიმრის გარდაცვალების..." (იქვე, ფურც.318-319).

ზემოთ აღწერილ, 1937 წელს საქართველოში შექმნილი ამ ზოგადი სურათის მთავარ მიზეზებსა და მის კონკრეტულ გამოვლინებებზე ქვემოთ გვექნება საგნობრივი მსჯელობა. აქ კი საჭიროა ითქვას - მთავარი ის იყო, რომ საქართველოს შინსახკომისა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებისათვის დირექტივის როლს ასრულებდა სტალინის მითითებები და კერძოდ ბერიას მიერ დასახული კონკრეტული ამოცანები. მათ პასუხად 1936 წლის ზაფხულიდან დაიწყო სწორედ ე.წ. ნაციონალ-უკლონისტ-ტროცკისტებად შერაცხულ ლიდერთა დაპატიმრებები და მათი ხანგრძლივი ჩეკისტური დაკითხვები, ხოლო 1937 წლიდან კი „დამუშავება" ჩეკისტური მეთოდებით.

საქართველოში რეპრესიების გაძლიერებისათვის სტიმულის მიმცემი როლი ითამაშა იმანაც, რომ საკავშირო ჩეკამ მოსკოვის ტროცკისტულ-ზინოვიევური ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციის ლიდერების გამოვლინების პროცესი მჭიდროდ დაუკავშირდა საქართველოში არსებულ ტოტალიტარული და სტალინ-ბერიას რეჟიმის უკმაყოფილო კადრებისა და ყოფილი ოპოზიციური მიმდინარეობის ლიდერების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლას.

ბერიამ საქართველოში მორიგი ფართომასშტაბიანი რეპრესიები სტალინის აშკარა ოპოზიციის წარმომადგენლობის, „პიატაკოვ-სერებრიკოვის და სხვათა" ე.წ. ანტისაბჭოთა, ქართული მავნებლურ–დივერსიულ–ჯაშუშურ–ტერორისტულ კონტრრევოლუციური საერთო ქართული „ნაციონალური ცენტრის" და ე.წ. „პარალელური ცენტრის" გამოვლენა-გასამართლება-მოსპობას დაუკავშირა. ეს პროცესი ჩვენში განსაკუთრებით 1937 წლის იანვრიდან გაძლიერდა და X ყრილობის შემდეგ აპოგეას მიაღწია.

1937 წლის იანვარში საქართველოს და ამიერკავკასიის მასშტაბით განხორციელებული რეპრესიების საბაბი იმით შეიქმნა, რომ ეჟოვმა ხანგრძლივი წამების შემდეგ, 1937 წლის იანვარში შეძლო ძალადობისა და ფალსიფიცირების მეთოდებით სერებრიკოვისა და პიატაკოვის ისეთი „ჩვენებების" მოპოვება, რომლითაც ისინი „ქართველ ნაციონალ-უკლონისტ-ტროცკისტებთან", ანუ უპირველეს ყოვლისა, სკპ(ბ) საქართველოს ყოფილ ხელმძღვანელობასთან, აგრეთვე რესპუბლიკის სახელმწიფო

ხელისუფლების იმ ლიდერებთან - ბუდუ მდივანთან, მიხეილ ოკუჯავასთან, სერგო ქავთარაძესთან, სიმონ ჩიხლაძესთან და სხვებთან-დააკავშირა, რომლებმაც ადრე, საქართველოს სუვერენიტეტის შენარჩუნებისათვის უკლონისტური ბრძოლის დროს, ყველაზე მკაფიოდ გამოავლინეს უკმაყოფილება, არა მარტო მოსკოვის ცენტრის მესვეურთა, არამედ ბერიას ჩეკისტური სახელმწიფოებრივი მმართველობის მიმართ.

„1937 წლის 30 იანვარს, რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-1, 58-8 და 58-11 მუხლების მისადაგების ძალით დახვრეტილმა სერებრიკოვმა, ჯერ კიდევ 7 იანვარს „უჩვენა", რომ 1934 წელს კავკასიის (ქართულ – გ.ც.) რესტორანში სერებრიკოვი, პიატაკოვი და ბუდუ მდივანი, უკანასკნელის ინიციატივით შეიკრიბნენ ქართული ორგანიზაციის საქმიანობის რიგი საკითხების განსახილველად. როგორც სერებრიკოვმა უჩვენა, მას მდივანმა აცნობა, რომ ქართულ ტროცკისტულ ორგანიზაციაში შედიან: მდივანი, ქავთარაძე სერგო, ოკუჯავა მიშა, ჩიხლაძე სიმონი და კიკნაძე ნიკო.

ბ.მდივანის „ჩვენებით" ამ შეკრებაზე სერებრიკოვმა და პიატაკოვმა სანქცირებულჰყვეს ტერორისტული აქტის განხორციელება ბერიაზე, რაც მოტივირებული იქნა იმით, რომ ვიდრე ბერია იქნება ამიერკავკასიაში ორგანიზაციის მიერ მუშაობის გაშლა ძალიან ძნელი იქნება, რადგან ბერია სარგებლობს უდიდესი გავლენით, ბრძოლას ეწევა ჩეკისტური მეთოდებით და სამუშაოზე შემოიკრიბა უპირატესად ყოფილი ჩეკისტები.

ამავდროულად მდივანს მიეცა დავალება მოემზადებინა ტერორისტული აქტი ი.ბ. სტალინზე" (საქმე №2431, ფურც. 21).

ბ.მდივანთან დაპირისპირებისას პიატიკოვმა 1937 წლის 21 იანვარს „უჩვენა": „მდივანმა დააყენა განსახილველად ცენტრის საკითხი. ყველა არ მახსოვს, მაგრამ მახსოვს მდივანი, ქავთარაძე და ოკუჯავა... მერე ლაპარაკი იყო ტროცკის დირექტივების განხორციელებაზე. ბუდუმ თქვა: „მოგვეცით ბერიას მოკვლის სანქცია და არ შეიძლება ბერიაზე ტერორისტული აქტი, ვიდრე სატალინზეო..." პიატიკოვის ჩვენება მდივანთან დაპირისპირებისას დაადასტურა სერებრიკოვმა". ეს ტყუილი ეჟოვმა, როგორც ჩანს,

სათავისოდ გამოიყენა, რადგან არსებობს წყარო, რომლის მიხედვით ბერიამ, თუ ვიღაც სხვამ, ეჟოვის მოკვლა დაისახა მიზნად. არ არის გამორიცხული, რომ ეს ცნობა ბერიას მტრებმა მიზნობრივად მიაწოდეს მოსკოვში გასახლებულებიდან, ან საქართველოდან. ცნობილია, რომ ეჟოვმა სტალინთან უაღრესად მჭიდროდ დაკავშირებულ ბერიას სახით თავისი კარიერისთვის საშიში პიროვნება განჭვრიტა. ამიტომ იგი ზემოთ აღნიშნული ტყუილის სიმართლედ დასაბუთებას განსაკუთრებული გულმოდგინებით მოეკიდა.

აღნიშნულ ინტერესთა გამო ისე მოხდა, რომ ბ.მდივანმა თავის მხრივ „დაადასტურა“: „ქართველი ტროცკისტები პირველ რიგში აყენებდნენ ტერორს ბერიას მიმართ. ჩვენ პიატიკოვთან ერთად წინააღმდეგი ვიყავით, რადგან ეს ჩაშლიდა ტერორს სტალინზე და მიგვაჩნდა, რომ უნდა შეიქმნას ტერორისტული ჯგუფი ჯერ სტალინის მოსაკლავად და არ უნდა შეფერხდეს ტერაქტი ბერიას წინააღმდეგაც...“(იქვე, საქმე №5875, ტ. 1, ფურც. 30). ბ.მდივანმა ისიც „დაადასტურა”, რომ მიიღო სერებრიკოვ-პიატაკოვისგან „პარალელური ცენტრის“ შექმნის დავალება... „ჩიხლაძეს დაევალა ტერაქტის მომზადება... მდივანის დავალებით გასვიანმა დაიწყო გადაბირება... მდივანი საზღვარგარეთ მივლინებული კარპე მოდებაძის დავალებით პარიზში შეხვდა ნ.ჟორდანიას და დაითანხმა რომელიმე კაპიტალისტური ქვეყნის პროტექტორატის გამონახვაზე, მომავალი დამოუკიდებელი საქართველოსათვის... ქარცივაძემ ბ.მდივანს აცნობა, რომ რაიონებში იქმნებოდა მენშევიკების სამხედრო ამბოხებითი ორგანიზაციები, რომელიც მოიცავს 2 ათასზე მეტ კაცს“. ლიდა გასვიანს, ხანგრძლივი პატიმრობის შემდეგ, 1937 წლის 17 იანვრის შემდეგ დააწყებინეს „აღიარება“-„ჩვენების“ მიცემა. მან ჩამოთვალა ქართული ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ-არალეგალური „ნაციონალური ცენტრის”წევრები: ბუდუ მდივანი, მიხეილ ოკუჯავა, სერგო ქავთარაძე, სიმონ ჩიხლაძე, ვალერიან ჯიქია, ფილიპე მახარაძე, თენგიზ ჟღენტი, მალაქია ტოროშელიძე, სეიდ დევდარიანი, ნიკოლოზ ქარცივაძე.

ლ.გასვიანმა 1937 წლის 27 მარტს „უჩვენა“:

1. იყო მინაწილე კონტრრევოლუციური ტროცკისტული, ტერორისტული და დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციისა, რომელმაც 1934 წლის 1/XII-ს განახორციელა ამხ. ს.მ.კიროვის მუხანათური მკვლელობა და მომდევნო წლებში (1934-1936) მოამზადა ტერორისტული აქტები საკ. კპ(ბ) და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

2. იყო საქართველოში ამ კონტრრევოლუციური ორგაიზაციის ხელმძღვანელობის წევრი. უშუალოდ ხელმძღვანელობდა მთელი რიგი ტერორისტული ჯგუფების შეკოწიწებას ამხ. სტალინისა და ბერიას წინააღმდეგ ტერორისტული აქტების ჩადენის მიზნით.

3. ორგანიზაციის მთელ რიგ მონაწილეებს გადასცა, როგორც საერთო საკავშირო ტერორისტული ცენტრის დირექტივები ტერორის შესახებ, ისე სახალხო მეურნეობაში მავნებლობისა და დივერსიის შესახებ.

4. აღნიშნული კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ცენტრის სხვა წევრებთან ერთად ეწეოდა აქტიურ მუშაობას საბჭოთა კავშირისაგან საქართველოს მოწყვეტის მომზადებისათვის და იცოდა, რომ კონტრრევოლუციური ტროცკისტული ცენტრის რწმუნებულებს საზღვარგარეთ მოლაპარაკება ჰქონდათ მენშევიკთა ლიდერთან ნოე ჟორდანიასთან საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა და კაპიტალიზმის რესტავრაციის შემდეგ საქართველოზე ერთ-ერთი კაპიტალისტური სახელმწიფოს პროტექტორატის დამყარების მომზადების შესახებ“. ეს არის 1936 წელს დაპატიმრებულთაგან ჩეკისტური სამძებროს მიერ ძალის გამოყენებითა და წამების გზით მოპოვებული ტიპიური ხასიათის აღიარება. თავის მხრივ იგი მხილებული იყო: ლ.ალავერდოვას, ს.ი.ქავთარაძის, მანიშვილი-მიშკევიჩის, ბ.ა.მდივნის, ოკუჯავას, ლ.მ.ოსტროკსკაიას, ე.ა.პრეობრაჟენკის, ს.ა.ჩიხლაძის, ზ.ვ.ჩიხლაძის, ა.ვ.ახმეტელის, შ.მ.ოდილავაძის, მ.გ.ტოროშელიძის, ვ.მ.მუტმანის ჩვენებებით.

ჩეკას სადისტი გამომძიებლების მიერ გაწამებულმა ქალბატონმა, ლ.გასვიანმა „აღიარა“: „ჩემს მიერ გადაბირებულ პირებს ვაძლევდი მითითებებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ტროცკისტების ბრძოლის ახალი მეთოდების... ინდივიდუალური ტერორის, მავნებლობის და ტერორის გამოყენების... შესახებ“. იგი,

იმდენად იყო მათ მიერ წამებული, რომ კონტრრევოლუციური გადაბირების, პროპაგანდისა და ურთიერთ კავშირების აგების გადმოცემის დროს, ასახელებს საქართველოს გაერთიანებული ეროვნული ცენტრის წევრებს: ბუდუ მდივანს, სერგი ქავთარაძეს, მიხეილ ოკუჯავას, ლევან ღოღობერიძეს, ვლადიმერ ჯიქიას, და პეტრე აღნიაშვილს; ცენტრის წევრებთან კავშირში მყოფ ქართველ მწერლებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხელმძღვანელ მუშაკებს. მათ შორის ქართველ მწერლებს, რომლების ნაწილიც „ადრე შედიოდა ფაშისტურ და მენშევიკურ კ/რ ორგანიზაციებში“. მათ შორის ასახელებს: გამსახურდია კონსტანტინეს, ჭიჭინაძეს, ჯავახიშვილს, აბაშელს, ტაბიძე ტიციანს და მიწიშვილს; რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორს - ახმეტელს, მსახიობებს – ლაღიძეს, ლორთქიფანიძესა და ქანთარიას; ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის დირექტორს ივანე ვაშაყმაძეს; სახელგამის დირექტორს ბ.ბიბინეიშვილს, ბ.კვირიკაშვილს, კ.მოდებაძეს, და სხვ. მისი ჩვენებების მიხედვით ...ამათგან გამსახურდია, ჭიჭინაძე, აბაშელი დაკავშირებული იყვნენ ვლადიმერ ჯიქიასთან... ახმეტელის ჯგუფი ასევე დაკავშირებული იყო ჯიქიასთან...“ (იქვე, საქმე №2431, ფურც. 310-311).

ცნობილი ჯალათი და ფალსიფიკატორი გამომძიებლის, ხაზანის მოთხოვნის პასუხად ლ.გასვიანმა უჩვენა: „ბუდუ მდივანმა მემარჯვენეების კ/რ ორგანიზაციის წევრად დამისახელა გ.კურულოვი... 1934 წელს ჩიხლაძემ... მითხრა, რომ ამზადებს ტერორისტულ ჯგუფს მოსკოვის კ/რ ტერორისტული ცენტრის განკარგულებაში გადასასროლად და სტალინზე ტერაქტის განსახორციელებლად“ (იქვე).

ლ.გასვიანს, 9-10 აპრილის დაკითხვის დროს კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში დაასახელებინეს, აგრათვე: ლ.ღოღობერიძე, პ.აღნიაშვილი და სხვ. მან 25 აპრილს „უჩვენა“: „გორდელაძემ თვითკმაყოფილებით განმიცხადა, რომ დაკავშირებულია ისეთ დედაბოძთან და იდეოლოგთან ქართული ნაციონალიზმისა, როგორიცაა ივანე ჯავახიშვილი“, ხოლო 7 მაისს „აღიარა“: „დავით დემეტრაძე კონტრრევოლუციურ კავშირშია გორდელაძე კონსტანტინესთან... მან მე დამისახლა ამ კავშირში

მყოფთა გვარები, რომელთაგან დავიმახსოვრე ჯავახიშვილი“ (იქვე, საქმე №9997, ფ. 98). სათანადო წყარო გვამცნობს, რომ კ.გორდელაძემ უარყო ლ.გასვიანის ჩვენება და ტროცკისტების ბრალდება. 1937 წლის 13 აპრილის დაკითხვის დროს მისთვის შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით წყლის დასხმის უფლებით ისარგებლა, ჭიქა გატეხა და ვენების გადაჭრას შეეცადა. გამომძიებელმა დაუყოვნებლივ აღკვეთეს მისი თვითმკვლელობის მცდელობა და ბოლოს (26.VI.1937წ.) მაინც ჩეკისტური ძიების მსხვერპლი გახადეს (საქმე №პრ-2431, ფურც.178-179, 182-183). როგორც ხედავთ, ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარებული ჩეკისტური სამძებროს მუშაობით, უკვე „ნაციონალ უკლონისტ-ტროცკისტების” გამოვლინებისთანავე დაისახა არამარტო პარტიული ინტელიგენციის, არამედ, განსაკუთრებით მწერლების „გამოვლენისა“ და მათი ფაშისტებად კვალიფიცირების პროცესი.

1937 წლის ზაფხულის დასაწყისისათვის, ბერიას პირადი აქტიურობითა და სახელმწიფო უშიშროების სამსახურის გულმოდგინე მუშაობით, საქართველოს კონტრრევოლუციური ცენტრისა და მასში შემავალი მენშევიკური, მემარცხენე ესერული, მემარცხენე ფედერალისტური, ეროვნულ დემოკრატიული, ფაშისტური და სხვა საბჭოთა კონტრრევოლუციურ-დივერსიულ-ტერორისტული ორგანიზაციების პრაქტიკულ-ორგანიზაციული არალეგალური ბრძოლის ჩეკისტური ლეგენდა ზვავივით ჩამოიშალა და პრაქტიკული საქმიანობით „დადასტურდა“.

ბუდუმ 1937 წლის 23 ივნისის „აღიარებით“ თავი დამნაშავედ ცნო. გარდა ამისა იგი „მხილებულ“ იქნა: ქავთარაძის, პიატიკოვის, სერებრიკოვის, ქარცივაძის, მოდებაძის, ელიავას, ჩიხლაძის, ოკუჯავას, გასვიანის, ვაშაკიძის და სხვათა ჩვენებებით (იქვე, საქმე №5875, ტ. 1, ფურც. 31-37). თავის მხრივ ამათაც არ დაჰკლებიათ „მამხილებლები”. საქართველოში თითქმის არ დარჩა ცნობილი პარტიული, სახელმწიფო და კულტურის თვალსაჩინო მუშაკი, რომელიც ჩეკისტური ძიების მიერ უგულვებელყოფილი და ეჭვმიტანილი არ იყო. მათგან ზოგი დახვრიტეს, ზოგი გადაასახლეს, ზოგი კი, საერთოდ არ შეაწუხეს, რადგან ბერიას დონეზე კარგად იცოდნენ, რომ ჩეკისტურად გათვალისწინებულ ყალბ პროცესს

მართავდნენ. გასათვალისწინებელია ის, რომ მთელი ეს სამუშაო ხორციელდებოდა ბერიას ზედამხედველობითა და კონტროლით.

ეს იმითაც აიხსნება, რომ ბერიამ მეზენინის მეშვეობით პირადად გაარკვია, რომ პრავდის თბილისელი კორესპოდენტის წერილი მოსკოვში მის საწინააღმდეგოდ გადააკეთეს და ისე გამოიყვანეს თითქოს საქართველოს კომპარტიის და ჩეკას ხელმძღვანელობა სტალინის მითითებას, მტრების გამოვლენისა და განადგურების შესახებ, თავს ვერ ართმევს. ამით ბერიას კარიერას სერიოზული საფრთხე შეუქმნეს.

„პრავდის" წერილსა და ამ დროის გამოვლინებებს ემთხვევა თანამედროვეობის ფხიზელი მემატიანეს, გ.ქიქოძის საყურადღებო მოგონება. იგი „თანამედროვეს ჩანაწერებში" გვამცნობს: „ეჟოვმა განსაჯა, რომ ბერია თბილისში მეტ თაოსნობას და დამოუკიდებლობას იჩენდა, ვიდრე მის მდგომარეობას შეესაბამებოდა და გოგლიძეს საიდუმლო მოწერილობით დაავალა თავისი შეფი დაეტუსაღებინა და მოსკოვში გადაეგზავნა. გოგლიძემ თავის მხრივ სწორად განსაჯა, რომ თუ თავის მფარველს დაატუსაღებდა, თვით მასაც კარგი დღე არ დაადგებოდა, ამიტომ ბერიას დაუყოვნებლივ აცნობა საქმის ვითარება. ბერია მეორე დილითვე... მოსკოვში გაფრინდა, იქ სტალინს თავის მრავალწლიანი ერთგული სამსახური გაახსენა და დაარწმუნა, რომ მისი ნამდვილი მოღალატე ეჟოვი იყო..." (იხ. გ.ქიქოძე, თანამედროვის ჩანაწერები, ჟურნ. „მნათობი", 1989, №1, გვ. 46).

ზემოთ აღნიშნული, გ.ქიქოძისეული პოლიტიკური ხედვა, ზუსტად მიესადაგება ქვეყნისა და საქართველოს ჩემს მიერ აღწერილი დროის პოლიტიკურ ვითარებას. კარგად ჩანს, რომ სწორედ მოსკოვის ზემოქმედებამ გამოიწვია ბერიას და საქართველოს ჩეკას ადრე არნახული გააფთრება და გააქტიურება. დოკუმენტურად არა ჩანს, რომ ბერია, ამ მის მიმართ განხორციელებულ ქმედებაში, მისი ქართველი მოწინააღმდეგე მტრების მზაკვრობის კვალს ვარაუდობდა. მე კი, სათანადო წყაროების ანალიზის შუქზე კარგად ვხედავ, რომ საქართველოს კპ(ბ) X ყრილობისა და სწორედ 1937 წლის მაისისა და ივნისის დისპუტების დროს და მის შემდეგ აღინიშნება ბერიას

განსაკუთრებული გააფთრება არა მარტო პირადი მტრების, არამედ სხვაგვარად მოაზროვნე, ძნელად სამართავი და დაუმორჩილებლობის მიდრეკილებით გამორჩეული ინტელიგენციის (პარტიული, სახელმწიფო მუშაკების, პატრიოტი მწერლებისა და ასეთივე, ძველი პროფესორ-მასწავლებლების) მიმართ. მათ შორის პ.იაშვილი კი, ბერიამ მის წინააღმდეგ შეთქმულებთან თავისი ეჭვებით დააკავშირა. ამის იდეური და სამართლებრივი საფუძველი შექმნა 30-იან წლებში, სსრკ მასშტაბით დანერგილმა დირექტივებმა და სსრკ გენერალური პროკურორის, ვიშინსკის მიერ, ირიდიული მეცნიერების საწინააღმდეგო მოთხოვნების შესაბამისმა პრაქტიკამ, რომელიც საჭოროდ არ მიიჩნევდა „ბრალდების ობიექტურ დასაბუთებას თუ ბრალდებული აღიარებდა მის მიმართ ინკრიმინირებულ დანაშაულს"...

საქართველოს შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს რწმუნებულმა, ს.ს.დავლიანიძემ, რომელიც ჩეკაში მიმდინარე პროცესების მონაწილე, 1937 წლის ივნის-ივლისიდან იყო, 50-იანი წლების დაკითხვის დროს უჩვენა: 1937 წელს შინსახკომის მუშაკთა ოპერატიულ თათბირზე წაგვიკითხეს სსრ კავშირის შინსახკომის დირექტივა, საიდანაც ჩანდა, რომ ძიება უნდა ჩატარებულიყო გამარტივებულად – დასმენების, აგენტურული მონაცემებისა და წინა, ადრე დაპატიმრებულთა ჩვენებების საფუძველზე და ამ გზით მომზადებული გადაეცემოდა „ტროიკებზე" გასატანად". (იხ. საქ. სახელმწიფო უშიშროების, ანუ „სუკ"-ის არქივი, საქმე №2431, ფურც 334). ეს მდგომარეობა ჩეკას გამომძიებლებს ხელს უწყობდა ბრალდებულთა ძიბის ფორმალურობით გაჭიანურებული პროცესიდან დახვრეტების პროცესზე გამარტივებულსა და დაჩქარებულ გადასვლაში (იქვე, ფურც.335-336). ამდენად, ამან დამატებითი სტიმული მისცა ძიების ხელოვნურ დაჩქარებასაც.

საბჭოთა პერიოდის დიდი ტერორის მასტიმულირებელ როლს ასრულებს საბჭოთა კავშირის და მათ შორის საქართველოს მოსახლეობის ერთი, დიდი ნაწილის ნდობა 30-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიების ოფიციალური გაშუქება-გამართლების მიმართ. ამაში გვარწმუნებს უამრავი საარქივო წყარო, ამ პერიოდის

ისტორიის ზედმიწევნით მცოდნე, ცნობილი ისტორიკოსი, იური ჟუკოვი, „ლიტერატურნაია გაზეტას" მიმომხილველ ვ.სუხომლინოვისადმი მიცემულ ინტერვიუში აღიარებს, რომ მისი მეხსიერების მაგალითის მიხედვითაც, ხალხი 1930-იანი წლების მეორე ნახევარს... სიხარულით ხვდებოდა. „ხდებოდა ხელისუფლებისთვის სასარგებლო ფაქტების მუსირება... ჩინოვნიკი ქვეყნისთვის უბედურებაა... დარტყმაც პირველ ყოვლისა მათ მიმართ განხორციელდა... თითქმის 500 ათასი ყველა დონის ჩინოვნიკი (უპირველეს ყოვლისა პარტიული) მოიხსნა სამსახურიდან და დაისაჯა... (Неизвестный37-й. „литературнаягазета", 11-17 июля 2012, №28). მსგავსი ამბები ხდებოდა საქართველოშიც. აკად. შალვა ხიდაშელი, რომელმაც მეუღლის დაპატიმრებით თავად განიცადა დიდი ტერორის დროინდელი უსამართლობანი, თავის „უსათაურო მოგონებებში" წერს, რომ 1937 წელს რეპრესიების დაწყების მოწონებით შეხვდნენ ჩვენშიც, რადგან იგი თავიდან თავს დაატყდა პარტიულ ელიტას, რომელიც გარკვეულწილად მონაწილე იყო საქართველოს მიმართ განხორციელებული უბედურებისა: „დაიწყო ნელ-ნელა თბილისში ხმა საოცარი სისწრაფით ვრცელდება... პირველ ხანებში ყველა ეს... პარტიულებს, პოსტებზე მყოფებს, დამსახურებულ პარტიულებს ეხება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბრძოლა „შიგნით" წარმოებს... მაგრამ... ტალღა ფართოვდება, ფართოვდება და ყოველი ოჯახის წინ ურჩხულივით ხახადაფჩენილი დგება" (ჟურნ. „განთიადი" 1991, №1, 2, 3: 1937-1941 წლები, გვ.21). მკვლევარი ალეკო დაუშვილი კი, უამრავი საარქივო დოკუმენტებით გვარწმუნებს, რომ საქართველოს საწარმოების მშრომელთა კოლექტივები აქტიურად უჭერდნენ მხარს რეპრესიებს (იხ. ა.დაუშვილი, თბილისი 1937). გარკვეულ წილად ეგზალტირებული ხალხი თავის ბედისწერას მართლაც„თვითონვე" ქმნიდა. მაგრამ განსაკუთრებულად ბინძურ საქმეს აკეთებდნენ ბერიას მიერ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მობილიზებული და გამოზრდილი ჩეკას აგენტები, კომუნისტი დამსმენები და მოხალისე ინფორმატორები. ასეთი ტიპის ადამიანებით გაივსო რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებები, კოლმეურნეობები, უმაღლესი სასწავლებლები, მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი...

ჩეკას ინფორმატორების უზნეო, ხარბი, თუ კარიერისტული მიზნებით ჩეკისტურად ითითხნებოდა მათ თანამშრომელ და გარემომცველთა იმიჯი. ამ სინამდვილეს ასახავს გალაქტიონ ტაბიძის პირად არქივში გამოვლენილი ლექსის საყურადღებო სტროფი - „მწერლობა, ოჯახები აივსო ჯაშუშებით“ (ი.ლორთქიფანიძე, უცნობის სტრიქონები გალაქტიონის არქივიდან, გაზ. „საქართველო“, 1992, №47). მართლაც, ჩეკას არქივში ზოგჯერ პოლიტიკური ანეგდოტისათვის ათი წლით დაპატიმრების, თანამშრომელთა გაწირვის, შვილის მიერ მამის დაბეზღება – გაუბედურებისა და სხვა, მასგავსი შემაძრწუნებელი მაგალითებიც გხვდება. ამასთან დაკავშირებით საჭიროა ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში მუშაობის მდიდარი გამოცდილების მქონე მეცნიერები იკვლევენ საბჭოთა პერიოდის სამოქალაქო ისტორიას, მაგრამ არ ინტერესდებიან მათი პროფესიული გამოცდილებით შედარებით ადვილად დასაძლევი, ისტორიოგრაფიულად რთული, ისეთი აქტუალური პრობლემებით, როგორიცაა ჩეკას ორგანოების გამომძიებელთა აგენტურულ-ინფორმატორული და საგამომძიებო მეთოდები. განსაკუთრებით უყურადღებოდ შემოგვრჩა ამ დროინდელ საგამომძიებო მეთოდებსა და სიყალბეებს დაპირისპირებული, უშიშროების ორგანოების რეპრესირებულ მუშაკთა საპროტესტო საქმიანობები. ამის გამო რთულდება, ხშირად შეუძლებელიც ხდება საქართველოს საბჭოთა პერიოდის რეპრესიებისა და საერთო პოლიტიკური ისტორიის საყურადღებო „თეთრი ლაქების“ გამოკვლევა და ბოლომდე გაშუქება. მაგრამ ის, რაც სადღეისოდ არის ცნობილი, უაღრესად შემზარავ სურათს გვიხატავს.

როგორც ცნობილია 1937 წლის დიდი ტერორის დროს განსაკუთრებული ძალმომრეობა განიცადეს კომუნისტებმა. მხოლოდ ამ წელს პარტიიდან გაირიცხა 5 ათასზე მეტი სხვადასხვა რანგის კომუნისტი. პარტიის X ყრილობიდან (1937 წ. მაისი) XI ყრილობამდე (1938წ. ივლისი) პერიოდში სხვადასხვა თანამდებობაზე დასაწინაურებელი გახდა 4 ათაზსე მეტი ახალი კადრი. მათ შორის: საოლქო და რაიონული კომიტეტების მდივნებად 219; საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და

საქალაქო კომიტეტის განყოფილების გამგეებად, მათ მოადგილეებად და ინსტრუქტორებად – 135; რაიაღმასკომების თავმჯდომარეებად – 72; მსხვილი საწარმოებისა და მშენებლობების დირექტორებად – 136; რაიონულ პროკურორებად და სახალხო სასამართლოების მუშაკებად – 290; რესპუბლიკური, საქალაქო და რაინული გაზეთების რედაქტორებად – 65; პარტიული კომიტეტებისა და პირველადი ორგანიზაციების მდივნებად და მათ მოადგილეებად – 2128 და სხვა (იხ. XI ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, თბ. 1938, გვ.14-15). ამ შემადგენლობიდან ძირითადი განახლება მოხდა სწორედ 1937 წლის ტერორის დროს. აღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებოა ყრილობაზე დაფიქსირებული ასეთი ფაქტი: „ახლად დაწინაურებული ამხანაგები თავის მხრივ სამუშოზე იზიდავდნენ ახალ შემოწმებულ და მათთვის მუშაობაში ცნობილ ადამიანებს და ამით აძლიერებდნენ დაწინაურების გაქანებას“ (იხ. იქვე, გვ.15-17). ყრილობაზე ბერიამ აღნიშნა, რომ: „მეტწილად ხელმძღვანელ სამუშაოზე დაწინაურებულ ამხანაგებს არ ჰქონდათ საკმაო პრაქტიკული გამოცდილება. მიუხედავად ამისა ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი ერთგულებამ და მათთვის სისტემატიური დახმარების გაწევამ, ხელი შეუწყვეს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყველა ახლად დაწინაურებულ მუშაკს დაეძლიათ მათთვის მინდობილი საქმე“ (იქვე, გვ.15). ამ საოცარი სისტემატიური დახმარების საიდუმლოების ახსნა, ნართაული მიზანდასახულობით და აზრით წარმოაჩინა ბერიას მიერ პარტიის IX, X და XI ყრილობებზე და მათ შორის დროის განმავლობაში მრავალგზის შეურაცხყოფილმა ფ.მახარაძემ: ბერია ახალ კადრებს იწვევდა ცეკას ბიუროს სხდომებზე. „ბერია თითოეული მათგანის დახასიათების შემდეგ მიმართავდა მათ შემდეგი სიტყვებით: ...პარტიამ თქვენ დაგაწინაურათ... პარტია თხოულობს თგვენგან ერთ რამეს იმუშაოთ პატიოსნად და ერთგულად. თქვენი ამოცანაა 1. ძირფესვიანად აღმოფხვრათ ხალხის მტრების ყველა ნაბოლარები 2. უმოკლეს ვადაში მოახდინოთ მავნებლობის ყველა შედეგების ლიკვიდაცია. თუ ასე იმუშავებთ... დაგეხმარებით, თუ არა, არ დაგინდობთ... ახალმა კადრებმა გაამართლეს“ (იქვე, გვ.138). მაგრამ გაამართლეს უპირატესად რეპრესიების ესკალაციის საქმეში.

ჩემს ხელთ არსებული, სუკის არქივში მოძიებული, მობილიზებული და გამოქვეყნებისათვის გამზადებული, 50-იანი წლების ე.წ. უდანაშაულო საბჭოთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაციის დროს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით გათვალისწინებული კოდექსის სათანადო (რსფსრ 162-168, უკრაინის სსრ 92-95 და საქართველოს სსრ 95-96) მუხლების პასუხისმგუბლობით დაკითხულთა მრავალფურცლიანი ჩვენებები (საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს, ყოფილი ჩეკას არქივი №2431; №12636 და სხვ) ნათლად ადასტურებენ, რომ ბერია აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჩეკისტური ძიების მართვისა და დაჩქარების საქმეში. იგი მართლაც პირადად მართავდა საქართველოში განხორციელებულ მთავარ ჩეკისტურ საქმიანობას, და ამასთანავე უშუალოდ მონაწილეობდა არა მარტო ბოლომდე გაურკვეველი ბრალდებულების მიმართ დაპატიმრების, არამედ „რეჟიმის“ გამოყენების შესახებ განკარგულებათა გაცემაში, ხოლო ზოჯერ მტრად მიჩნეული და ჩეკისტური ძიების მიერ მათი კონტრრევოლუციურობის შესახებ მოპოებული ჩვენებების უარმყოფელი, ცნობილი პიროვნებების არა ადამინურ ცემაშიც. ამის საილუსტრაციოდ, საჭიროა თუნდაც ზოგიერთი კონკრეტული მაგალითების მოყვანა:

1. 1957 წლის 7 ივისს, დაკითხვის დროს, ყოფილმა რაიკომის მდივანმა და საქრთველოს კომპარტიის ცკ-ის ბიუროს გადაწყვეტილებით, 1937 წლის დასაწყისში მობილიზებულმა, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის რწმუნებულ-გამომძიებელმა, მოწმე სვიმონიშვილმა უჩვენა: „ ბერია 23 საათისათვის მოდიოდა გოგლიძესთან ან ქობულოვთან, გამოიძახებდა ხელმძღვანელ მუშაკებს, აკეთებდა ინფორმაციას საქართველოს ფარული კონტრრევოლუციური ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ... შინსახკომის მთელ მუშაობას ბერია აძლევდა მიმართულებას. იგი ინფორმაციას იძლეოდა იმის შესახებ, რომ საქართველოს კპ(ბ) ცკ-მა განიხილა საქართველოს სახელმწიფო თუ სამეურნეო მართვის ამა თუ იმ მუშაკზე შემოსული მასალები. ასახელებდა გვარებს. ამბობდა, რომ ისინი ცკ-ს ბიუროს გადაწყვეტილებით გაირიცხნენ პარტიიდან, რომ მათზე მასალები გადმოგვეცა შინსახკომში. აქვე იძლეოდნენ

მითითებებს. ასეთი მითითებით დაპატიმრებები ხდებოდა დადგენილების, პროკურორის სანქციის და ორდერის გარეშე, ხოლო ტექნიკური მხარე მოგვიანებით ფორმდებოდა...(სშსს არქივი, საქმე №პრ-4281, №12636, ფურც. 106).

სვიმონიშვილმა ისიც უჩვენა: „ერთ ინფორმაციულ შეკრებაზე ბერიამ გვაცნობა, რომ შ.კ.ლეჟავა კონტრრევოლუციურ კავშირშია სსრკ ცაკის მდივან ენუქიძესთან და თითქოს ისინი ბრძოლას აწარმოებდნენ ბელადის (სტალინის – გ.ც.) წინააღმდეგ. შემოგვთავაზა მათი დაპატიმრება... ლეჟავა დავაპატიმრეთ დაახლოებით ღამის 3 საათზე... ორდერის, დადგენილების და პროკურორის სანქციის გარეშე... „დამუშავების“ შემდეგ ლეჟავა მივიყვანეთ ქობულოვის კაბინეტში... აქ გველოდებოდნენ ბერია, გოგლიძე, ქობულოვი, რაფავა და თვალჭრელიძე. როცა მივიყვანეთ ბერია დაელაპარაკა და გააფრთხილა: <u>თუ გინდა სიცოცხლის შენარჩუნება</u>, პატიოსნად მოყევი აბელ ენუქიძესთან შენი კავშირის და ბელადის წინააღდეგ თქვენი ბრძოლის შესახებო (სიცოცხლის შენარჩუნების დაპირება იყო დამორჩილების ერთი მთავარი ფანდი – გ.ც.). ლეჟავამ განაცხადა, რომ ა.ენუქიძეს იცნობს, მაგრამ მასთან არავითარი კონტრრევოლუციური კავშირი არ ჰქონდა. მაშინ გოგლიძის ბრძანებით, შ.ლეჟავას მიმართ გამოიყენეს „რეჟიმი“, ბერიას თანდასწრებით სასტიკად სცემეს და უგონო მდგომარეობაში გაიტანეს კარებიდან... <u>ლეჟავას ცემა გრძელდებოდა საათნახევარი</u>... მე თვითმხილველი ვიყავი იმისა, თუ როგორ იღებდა პიროვნულ მონაწილეობას ბერია შალვა ლეჟავას ცემაში“ (იქვე, №5975, ტ. 1, ფ. 360). ყოფილმა „რწმუნებულ“-გამომძიებელმა, სვიმონიშვილმა, აგრეთვე აღიარა, რომ „პატიმრები უსაფუძვლოდ“ დაუსაბუთებლად მიჰყავდათ შინსახკომში და დაკითხვის გარეშე სცემდნენ...“(იქვე, №12636, ფ. 106). მათი მსგავსი, თუნდაც ყველაზე საყურადღებო მაგალითების ვრცლად მოყვანა, წინამდებარე პუბლიკაციის შეზღუდული შესაძლებლობის გამო არ გვიხერხდება. ის კი უნდა ითქვას, რომ საქართველოს ცკ-ის ყოფილ მდივანს, სამსონ მამულიას დაკითხვის დროს გონების დაბნელებამდე სცემდნენ და „ცალი თვალიც ამოუგდეს“ (იქვე, ფურც. 124).

2. 1937 წლის ჩეკას სამძებრო მთავარი, IV განყოფილების უფროსმა და ბერიას ერთ-ერთმა უახლოესმა ხელქვეითმა-ჯალათმა, ბაღჩო ქობულოვმა სასამართლოს ასეთი ჩვენება მისცა: „ბერია თვითონ მოდიოდა დაკითხვაზე, დაჰკითხავდა, ბრძანებას იძლეოდა გვეცემა დასაკითხი. მიბრძანებდა მეცემა და მეც ვცემდი (იქვე, ფურც. 146-147).

3. 1937 წელს ჩეკას გამომძიებელმა და შემდგომში შინსახკომისრის მოადგილე, დავლიანიძემ 1955 წლის 4 აპრილს უჩვენა: „მე მიხდებოდა პატიმრების დაკითხვის ოქმის წაკითხვა, რომელსაც ჰქონდა ბერიას რეზოლუციები გოგლიძისა და ქობულოვის სახელზე - „დააპატიმრეთ“, „დალეწეთ“, „დახვრიტეთ“. გოგლიძე და ქობულოვი ბერიას წაბაძვით ასეთივე რეზოლუციებს უწერდნენ თავიანთ ხელქვეითებს“ (იქვე, ფურც. 334).

4. მე აგრეთვე გამოვავლინე ყოფილი სააფთიაქო სამმართველოს უფროსის, ადრე ბერიასთან დაპირისპირებული ძველი ბოლშევიკის, ბეგლარ ბერიას განცხადება,საქართველოს კომპარტიის ცკ-სადმი. იგი მოითხოვს გარკვეული იქნას მისი პარტიიდან უსაფუძვლო გარიცხვის გარემოებანი... ამ განცხადებას ადევს პირადად ბერიას რეზოლუცია: „შინსახკომს, ამხ. გოგლიძეს. იგი უნდა აიყვანოთ. ლ.ბ. 10/XI-37“. აიყვანეს და პატიმრობაში კიდევ ერთი „დანაშაული“ ჩაიდინა. იგი მისმული (подсадка) პატიმრის დაბეზღების მიხედვით, სასტიკად ლანძღავდა იმ თანამესაკნეებს, რომელებიც რეჟიმისა და რეპრესიების შიშით ყველაფერს აღიარებდნენ, უდანაშაულო ნაცნობ-მეგობრების მიმართ ცრუ ჩვენებებს აძლევდნენ და ამ საქციელს სიცოცხლის შენარჩუნების გარანტიად აცხადებდნენ. საბოლოოდ ბეგლარ ბერიას მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა. მისი ცოლ-შვილი ბინიდან გამოაგდეს და ცის ქვეშ დატოვეს.

ჩეკას არქივის მასალებში შემხვდა სხვა პატიმრის მეუღლისა და პატიმრის ვაჟიშვილის მხრივ ქმრისა და მამის ცინიკური, „ანტისაბჭოური და კონტრრევოლუციური“ საუბრების წერილობითი დაბეზღება. წყაროდან არ ჩანს რა გზით დაიწერა ისინი, მაგრამ რამდენადაც პატიმრის საძიებო საქმეს ერთვის, ამდენად სავარაუდოა, რომ ეს არის გამომძიებლის მიერ ბინძური მეთოდებით

და ფსიქოლოგიური ზემოქმედებით გამოძალული „ჩვენება“. (იქვე, საქმე №12760, ფ. 10).

5. უაღრესად საყურადღებოა ბ.ქობულოვის ნათქვამი, დასაკითხი პატიმრების ცემის შესახებ. მან განმარტა: „მათიკაშვილს პირველი დარტყმები მიაყენა ბერიამ, შემდეგ მისი ცემა განაგრძო ქობულოვმა...“ ქობულოვმა გოგლიძის ეს ნათქვამი დაადასტურა“ (იქვე, საქმე 4281, №12636, ფ. 147).

6. დაკითხვის დროს მოწმე ელიავა-ქუთათელაძის ქალბატონმა უჩვენა: „ჩემთან ერთად იჯდა შინსახკომის მუშაკი სტარშოვა ლიდია. მან მომიყვა, თვითმხილველი გახდა როცა გოგლიძე და ბერია აქებდნენ კრიმიანს, მის გამო, რომ მან მიაღწია ს.მამულიას მხრივ საკუთარი დანაშაულის „აღიარების” მოპოვებასა და სხვათა „მხილებას“-ბერია ამბობდა: „Молодецкримян, из нечего может сделать дело, из камня выжмет!“ (იქვე, ფურც. 135).

ლ.სტარშოვას ს.მამულია უნახავს გოგლიძის კაბინეტში, როცა იქ ბერიაც იმყოფებოდა. ბერია შეეკითხა ს.მამულიას – „აღიარე კონტრრევოლუციური მუშაობა?“. მამულიამ უპასუხა - „ოქმში დაწერილი ყალბია, ცემით მიცემულია“ და „აღიარების“ მომპოვებელ კრიმიანზე მიუთითა. ამის გამო კრიმიანმა ბერიას თანდასწრებით იყვირა - „უარს ამბობ!“ და სახეში მუშტი ჩაარტყა. კრიმიანის ამ საქციელზე ბერია ახარხარდა“ (იქვე, ფ. 125, 134-135). გასაგებია, რომ ყალბი ჩვენების მომპოებელი გამომძიებლები ყოველთვის ცდილობენ თავიანთი „ღვაწლის“ გამართლებას და ეს ჩეკისტური ძიების ნორმად ითვლებოდა. ამას მ.ჯავახიშვილის 21 აგვისტოს დაკითხვის დროსაც ვნახავთ, მაგრამ, ბერიას მონაწილეობა დაპატიმრებაში, პატიმართა დაკითხვასა და მათ ცემაში, ისე არ უნდა გავიგოთ, რომ მის ძირითად საქმიანობას პატიმრების ცემა და მათგან ჩვენების მოპოვება წარმოადგენდა. სინამდვილეში ბერია, როგორც საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი მონაწილეობას იღებდა რესპუბლიკის ყველა კომისარიატის ძირითადი საქმიანობის, მათ შორის განსაკუთრებით შინსახკომის უმთავრესი საქმიანობის მართვაში. ხოლო, რაც შეეხება დაპატიმრებებისა და პატიმრის მიმართ მის პირად დამოკიდებულებას და ცემას, იგი მონაწილეობდა მხოლოდ დიდად განსაკუთრებულ და აუცილებელ შემთხვევებში,

რომლის დროსაც სიცოცხლის შენარჩუნებასაც პირდებოდა და დაუმორჩილებლობის შემთხვევაში პატიმრის ცემასაც არ თაკილობდა. ასევე მოქმედებდნენ გამომძიებლებიც. რომლის დროსაც სიცოცხლის შენარჩუნებასაც პირდებოდნენ და დაუმორჩილებლობის შემთხვევაში პატიმრის ცემასაც არ თაკილობდნენ.

7. ბერია განსაკუთრებული ინტერესის შემთხვევაში ჩეკას კაბინეტში იბარებდა პიროვნებებს და დაკითხვა-დამუშავებას უტარებდა. ისტორიკოსმა და ჟურნალისტმა, ალეკო ასლანიშვილმა, ბერიას დროინდელი საქართველოს კომკავშირის ცეკას 1950-იანი წლების დასაწყისში კი, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივნის, ალექსანდრე (ალიოშა) მირცხულავას ასეთი ინტერვიუ დააფიქსირა: „ერთხელ ისე მოხდა, რომ გაუფრთხილებლად შევიხედე ბერიას კაბინეტში. ბერიამ მომაძახა: „ალიოშა შემოდი, შემოდი!“ ბერიას კაბინეტში ისხდნენ გერმანე მგალობლიშვილი, გოგლიძე და ამბერკი კეკელია. გერმანე იმ დროს დაპატიმრებული იყო, ამბერკი გოგლიძეს დასაპირისპირებლად ჰყავდა მოყვანილი სამსახურიდან. გ.მგალობლიშვილი პირზე ადგებოდა სასოწარკვეთილ ამბერკის, მასთან ერთად მემარჯვენე კონტრრევოლუციური არალეგალური მუშაობის ბრალდებით. ბერიამ მიმართა მგალობლიშვილს: „გერმანე სთქვი, რომ რასაც ამბობ ტყუილია!“ გერმანე მგალობლიშვილი კი, იჩემებდა - „მართალიაო“. ეს ის დრო უნდა იყოს, როცა გ.მგალობლიშვილი უკვე ჩეკისტურად არის გატეხილი და დამორჩილებული. მსგავსი ამბავი თავად მოვისმინე აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის ერთ-ერთი საჯარო გამოსვლის დროს. ბატონმა შალვამ თხრობაში ჩართო მისი პატიმრობის დროინდელი წამების დროს რესპუბლიკის პირველ პირთან მიყვანის ამბავი, ბატონმა შალვამ ბრძანა: „გასაუბრების პროცესში მკითხა: უდიერად ხომ არ მეპყრობოდნენ ორგანოს მუშაკები? მათგან წინასწარ გაფრთხილებული ვიყავი: „არაფერი წამოგცდეს, თორემ გახსოვდეს, რომ ისევ ჩვენთან გიწევს დაბრუნება“. ამიტომ დასმულ კითხვაზე ანაზდად მივაგებე: „ბედნიერი ხართ, რომ ორგანოებში ასეთი მუშაკები გყავთ!“.

8. ბერია საჭიროების მიხედვით მოითხოვდა გასაცნობად, მისთვის კაბინეტში მიეტანათ ჩეკას ძიების მიერ შეთითხნილი

დოკუმენტები. ამის მაგალითია ის, რომ 1950 წლების სარეაბილიტაციო პროცესის დროს, როცა დასჭირდათ 1937 წლის 9-10 ივლისს ბერიას მითითებით გასამართლებულთა, „ქართული ნაციონალური ცენტრის“ წევრებად შერაცხულებისა და დახვრეტილების, „საბრალდებო დასკვნა“, იგი უმაღლესი სასამართლოსა და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივში, ხანგრძლივი ძებნით რომ ვერ იპოვეს, მოიძიეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ქაღალდებში და სწორედ აქ აღმოაჩინეს (არქივის საქმე, №5875, თ.1, ფურც.366).

9. ჩემს ხელთ არსებული უამრავი წყარო, გამოწვლილვით გვამცნობს ჩეკას სამძებროს გამომძიებლების მხრივ,პატიმართაგან, ხელისუფლებისა და ძიების მიზანდასახულობით ნაკარნახევი „ჩვენება-აღიარების“ სხვა პატიმრების მიერ დადასტურების მიზნით განხორციელებულ სისასტიკეს. მათ შორის არსებობს ასეთი ფაქტიც, რომლის გვერდის ავლა შეუძლებელია: ბუდუ მდივანის დის შვილმა („племяник“-მა), დახვრეტას 10 წლიანი პატიმრობით გადარჩენილმა, შოთაძემ უჩვენა, რომ ბიძამისს, დაპირისპირების დროს ზურგშებრუნებულს აიძულებდნენ მის შესახებ ჩვენებების მიცემას, „როცა შემომაბრუნეს, იმ ზომამდე იყო მიყვანილი, რომ ვერ მიცნოო“ (იქვე, პრ-5975, ტ. 1, ფ. 325).

10. სათანადო წყაროები მოწმობენ, რომ ჩეკას გამომძიებლები, როგორც წესი ცემდნენ ყველას, ვისგანაც საჭიროდ მიჩნეულ აღიარებას მოითხოვდნენ და აწამებდნენ მანამდე ვიდრე საწადელს მიაღწევდნენ, ანუ ვიდრე უსიტყვოდ დაიმორჩილებდნენ და ვიდრე ბრალდებულისგან ისეთ აღიარებით ჩვენებებს მოიპოვებდნენ, რომლებიც შეესაბამებოდა მათ მიზანდასახულობებს, ანუ საერთო ჩეკისტურ მეთოდოლოგია-მეთოდიკიდან გამომდინარე გამომძიებელთა ამოცანებს. ეს მეთოდოლოგია და მეთოდიკა პატიმრებმა საკუთარ ტყავზე რომ იწვინეს, მას შესაბამისი ტაქტიკა მიუსადაგეს. ზოგი „ბრალდბული“ იმთავითვე „აღიარებდა“ ყველაფერს, რასაც მისგან მოითხოვდნენ, ზოგი მათგანი თავის საკანში მყოფ სხვებსაც აძლევდა რჩევა-დარიგებას ეღიარებინა რასაც მისგან მოითხოვდნენ, თორემ მოკლავდნენ, ან ხეიბრად გახდიდნენ. ზოგი ამ გამოცდილების გამო იმთავითვე ყველაფერზე თანხმდებოდა და

ხელს დაკითხვის ოქმზე წაუკითხავად აწერდა. ზოგს კი, მას შემდეგ იმორჩილებდნენ, როცა სიმწარეს ხანგრძლივად განაცდევინებდნენ და საფუძვლიანად გააგებინებდნენ, რომ თუ იგი იმას არ აღიარებდა რასაც მისგან მოითხოვდნენ – მოკლავდნენ. აღიარების შემთხვევაში კი, დანდობასა და შეღავათებს პირდებოდნენ. ამიტომ იმორჩილებდნენ ყველას, ვისაც კი სერიოზული, საკვანძო, ანუ ჩეკისტური ტერმინოლოგიით „მთავარი მიმართულების" ჩვენების მიმცემად მიიჩნევდნენ. ასეთებს უმოწყალოდ ცემდნენ და განსაკუთრებული სისასტიკით აწამებდნენ. მათ სხვა მოქალაქეების, ჩამშვები მიმართულების „ჩვენების" აღიარებას ავალებდნენ. ზოგჯერ მათგან საოცარი მითების შეთხზვასაც კი მოითხოვდნენ და აღწევდნენ. ასეთებს შორის იყვნენ თითქმის ყველა პატიმრობაში აყვანილი, ცნობილი, ყოფილი პარტიული და სამეურნეო მუშაკი, მწერალი, თუ მეცნიერ-პედაგოგი. სწორედ ამიტომ იყო, რომ ცივსა და ცხელ საკნებში აწამეს ბ.მდივანი, მ.ტოროშელიძე, შ.ლეჟავა, ბაქტერიოლოგი პროფესორი ელიავა და ბევრი სხვა, ხოლო ერთ-ერთი სამხედრო პიროვნება ცხელ საკანში მიავიწყდათ და მხოლოდ რამდენიმე დღის მერე ნახეს დამწვარი. (საქმე №2431, ტ.3, ფურც 299-319). იყო შემთხვევა, როცა ცივ საკანში უგრძნობ მდგომარეობამდე მიყვანილი პატიმარი სპეციალური სამედიცინო ზემოქმედებით ძლივს მოასულიერეს (საქმე №12636)... სათანადო პუბლიკაციაში გვხვდება პატიმრისაგან აღიარება-ჩვენებების გამოძალვის მიზნით წამება-შეურაწყოფის ისეთი მეთოდები, როგორიც არის ბოთლზე დასმა...

11. სათანადო წყაროები მოწმობენ, რომ პატიმართა ცემას სისტემური ხასიათი მიენიჭა 1937 წელს. ციხეში იყო ცემის დროს პატიმრების შემოკვდომისა (საქმე №14823, ფურც. 22-40), და მოკვლის შემთხვევები (იქვე, ფურც.149). საქართველოს ცაკის მდივანმა, თენგიზ ჟღენტმა, უსაფუძვლო წამება-დამცირებას რომ ვეღარ გაუძლო, თავი მოიკლა (საქმე №2431, ფურც. 115-116). ასე მოიქცა ბ.რამიშვილიც და ზოგი სხვა. ეს არ იყო იშვიათი გამონაკლისი. იყო, აგრეთვე აუტანელი შეურაცყოფა: ბრალდებულისთვის სახეში შეფურთხება, დაცინვა; წამების გაუსაძლის მეთოდად კრებულში „ალჟირის პატიმართა პორტრეტები – სტალინიზმის ისტორიიდან" (თბ.2008) ნახსენებია პატიმართა დამორჩილების მიზნით ფრჩხილებქვეშ

ნემსების ჩხვლეტა და ბოთლზე დასმა. ასეთი და მსგავსი ჩეკისტური დამოკიდებულების გამგები ბრალდებული იძულებული ხდებოდა, თუნდაც ხანგრძლივი წინააღმდეგობის შემდეგ მაინც ეღიარებინა ძიების მიერ შეთავაზებული დანაშაული. წამება – დამცირების მეთოდების გამოყენების ხარისხის შესაბამისად იყო აღიარებაზე უარის თქმის შემთხვევები, მაგრამ ჩეკას ძიების დაინტერესების შემთხვევაში ასეთებსაც ხვრეტდნენ. ფაქტობრივად ბრალდებულებს შექმნილი ქონდათ გამოუვალი მდგომარეობა. იყო ჩეკას სამძებროს შენობიდან ბრალდებულთა გადმოხტომით, თუ გაუსაძლისი წამების გამო ჩამოხრჩობით თვითმკვლელობის შემთხვევები. პატიმრების ერთ ნაწილს ძიების პროცესში ჩაგონებდნენ, რომ თუ გამომძიებლის მიერ ინკრიმინეირებულ ან დაბრალებულ ბრალდებას არ აღიარებდა მოკლავდნენ...

12. გამომძიებლები საჭიროების შემთხვევაში პატიმრებს ჰპირდებოდნენ, რომ სასურველი ყალბი ჩვენების დადასტურების შემთხვევაში სიცოცხლეს შეუნარჩუნებდნენ. ერთ-ერთმა 50-იან წლებში დაკითხულმა პატიმარმა, გვარად ქურდიანმა, რომელიც უკიდურესად ნაწამები ბ.ჭიჭინაძისა და პაიპსის ჩვენებებით გასაღებული იყო გერმანიის დაზვერვის რეზიდენტად, უჩვენა: „1937 წელს <u>ჩვენებები მივეცი დაპატიმრებული სიცოცხლის შენარჩუნებისთვის</u>“ (საქმე №2431, ტ. 4, ფურც. 180). ეს მომენტი უაღრესად საყურადღებოა. აქედან ჩანს, რომ ჩეკას ძიებას ჩვენებების სანაცვლოდ პრაქტიკაში ჰქონდა სიცოცხლის შენარჩუნების დაპირება. ადგილი ჰქონდა წამებას შიმშილით (იქვე, ფურც. 129), ზოგჯერ ხდებოდა გაუფორმებელი პატიმრის მკვლელობა (იქვე, ფურც. 219, 211). წყაროები მოწმობენ შალვა მათიკაშვილის ცემას. მას ცემით მემარჯვენე კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში დაასახელებინეს: საკუთარი თავი, გ.მგალობლიშვილი, ლ.ღოღობერიძე, გ.კურულოვი, ს.კუხალეიშვილი, ბ.მდივანი, მ.ტოროშელიძე, ს.ჩიხლაძე, გ.ელიავა, პ.საყვარელიძე (საქმე №12636, ფურც. 146). იშვიათად შემხვედრია დაკითხვის ოქმი, რომელშიც არა ჩანს ჩვენების გამოძალვა და ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციონერთა ჯგუფების წევრთა დასახელება.

13. აღიარებათა გამოძალვის მიზნით სცემდნენ მალაქია ტოროშელიძეს და გიორგი ელიავას (საქმე №4281). ჩეკას იმდროინდელი ერთი რწმუნებულის ჩვენების მიხედვით, ცემდნენ საქართველოს ყოფილ თანამდებობის პირებს: „სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს – გერმანე მგალობლიშვილს; სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს – შალვა მათიკაშილს; პარტიის რაიკომის მდივანს – ნიკოლოზ ბახტაძეს; პარტიის ამიერკავკასიის ყოფილ მდივანს, მამია ორახელაშვილსა და მის ცოლს, სახალხო განათლების ყოფილ კომისარს - მარიამს; სახალხო კომისარს- გიორგი ყურულაშვილს; „ზაგოტზერნოს“ რესპუბლიკური კანტორის მმართველს – ამბერკი ურუშაძეს; ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანის – თენგის ჟღენტის შვილს და სხვებს“ (ჩეკას არქივი, საქმე №4281, ფურც.108). აგრეთვე ცემდნენ: ვასო ქურდაძეს, სარჩიმელიას, ქუჩულორიას, ლაკობას, წუწუნავას, ჩალმაზს, გაიოზ დევდარიანს, გიგო ქურციკაშვილს, ხაშურის რაიკომის მდივანს – გიორგი ბელთაძეს, თბილისის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს - მიხეილ ნიორაძეს, ბაგრატ მაჩაიძეს, კონსტანტინე ჭკუასელს, უნივერსიტეტის ყოფილ რექტორს – კარლო ორაგველიძეს, რაიკომის მდივანს მიტო აბდუშელიშვილს, ზუგდიდის რაიკომის მდივანს – იუსტინე გვასალიას, მიწსახკომისრის მოადგილეს – ვ.გვარამიას, ფინანსთა სახალხო კომისარს – ღლონტს, ამბერკი კეკელიას, სავა კუხალეიშვილს, ინჟინერ სალუქვაძეს, თედო ქორსაველს, თელავის რაიკომის მდივანს, კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივანს – მიხეილ რუხაძეს, ჭიათურის რაიკომის მდივანს – ჩიხლაძეს, ქუთაისის ქალაქკომის მდივანს – შალვა ჩხაიძეს, ტყიბულის რაიკომის მდივანს – ხაროტონ ჯინჭარაძეს, აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანს – მიხეილ გობეჩიას, ყვარლის რაიკომის მდივანს – დავით აფციაურს, „სოიუზტრანსის” მუშაკს –კობიაშვილს, სურამის რაიკომის მდივანს – ივანე გაბაშვილს“. მის შესახებ „მოწმე“ მიუთითებს: „როგორც მახსოვს, მოკლეს დაკითხვის დროს და სასამართლოზე დასწრების გარეშე გაასამართლეს“ (საქმე №4281, ფურც.229, 232). ყველა „მოწმე“ ასახელებს იმას ვინც თვითონ ახსოვს. საერთოდ კი, ცემდნენ ყველას ვინც ეურჩებოდა და თავიდან უარს ამბობდა გამომძიებელთა მიერ წაყენებულ მოთხოვნაზე.

ნიკოლოზ ელიავას ბ.ქობულოვმა ჯერ კიდევ დაკითხვამდე დაარტყა მეტალის სახაზავი, რის შედეგადაც მოტეხა მარცხენა ხელის ძვალი (იქვე, ფურც. 111).

14. 1955 წლის 16 ივნისს დაკითხულმა მოწმემ, ბარსკიმ უჩვანა: „შევედი სავიცკის კაბინეტში და დავინახე, რომ კუთხეში ეგდო ყოფილი სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, გერმანე მგალობლიშვილი (იქვე, საქმე №17988, ფურც. 194). საქართველოს კომპარტიის ცეკას ყოფილ მდივანსა და პარტიის სინდისად ცნობილ მიხეილ ოკუჯავას აღიარებინეს, რომ თითქოს მავნებლობას ეწეოდა კვების მრეწველობაში, აგრეთვე მას აღიარებინეს: „ჯაშუშობას ვეწეოდი საფრანგეთის დაზვერვის სასარგებლოდო" (საქმე №5975, ფურც. 1734).

15. 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთ ორგანოზატორს, „პარიტეტული კომიტეტის" ყოფილ წევრსა და მენშევიკური პარტიეს ცნობილ წარმომადგენელს, ფაუსტის ქართულ ენაზე მთარგმნელ-დავით ონიაშვილს გამომძიებელმა ლევან აბაშიძემ და მისმა თანაშემწემ, მღებრიშვილმა სამთვიანი წინააღმდეგობის გაწევის დაძლევით 1937 წლის 9-10 ივლისის დაკითხვით ნაყალბევ ოქმში „აღიარებინეს": „ვარ მენშევიკების არალეგალური ორგანიზაციის წევრი, საზღვარგარეთული ბიუროს დავალებით, შეიარაღებული აჯანყების მიზნით 1934 წელს შეიქმნა ინტერპარტიული კომიტეტი. სეიდ დევდარიანის დავალებით მე შევქმენი მენშევიკების ცენტრი. მასში შედიოდნენ ნ.ქარცივაძე, გ.მახარაძე, ს.დევდარიანი, კ.ნინიძე და მე. გადავიბირე ნ.მიწიშვილი, მან გადაიბირა პ.იაშვილი და სხვა. ამ ცენტრში შედოდა გამსახურდიაც". გამომძიებელმა აქ თხრობა შეაწყვეტინა და კითხვა დაუსვა: „შენ ვინ ჩართე?" დ.ონიაშვილმა უპასუხა: მე ჩავრთე მსახიობი ალ.ჟორჟოლიანი, რეჟისორი დოდო ანთაძე, იაკობ ნიკოლაძე, მან ჩართო თოიძე, დ.კაკაბაძე და ლ.გუდიაშვილი. ს.დევდარიანმა თბილისის უნივერსიტეტიდან ჩართო თსუ ბიუროს თავმჯდომარე ბიძინა რამიშვილი, ბიუროს წევრი ზოზო ნანეიშვილი, გიორგი ახვლედიანი, მოსე გოგიბერიძე. სეიდისგან ვიცი, რომ პროფესორთა აქტივი აერთიანებდა 35-40 კაცს და 300-მდე სტუდენტს" (საქმე №9997, ფურც.161-166)

გამომძიებელ ლ.აბაშიძის „აღმოჩენებიდან“ ზემდგომმა ჩეკისტმა ინტელექტუალებმა ბერიასთან შეთანხმებით ბევრი პიროვნების მათ შორის მენშევიკების, ფედერალისტებისა და ესერების „დანაშაული“ ოქროს ფასის მონაპოვრად მიიღეს, ზოგს კი აბსურდული აღიარებების გათვალისწინებით, საერთოდ არ შეეხნენ.

16. ე.დარჩია და ცინცაძე, როგორც საზღვარგარეთთან კავშირში მყოფი პირები „დასახელებული” არიან, ჯერ კიდევ დ.წერეთლის 20 ივნისის დაკითხვის ოქმში. აქ ნათქვამია, რომ თითქოს საზღვარგარეთიდან ელიან ემისრებს ევგენი გეგეჭკორს და კონსტანტინე კანდელაკს. „გადმოსვლა უნდა მოხდეს ხულოს რაიონში, ვიღაც ბეგის ხელშეწყობით” (იქვე, ფურც.121-137). ეს გამოძალული ჩვენება ისე, როგორც ბევრი სხვა მონაპოვარი ძიებამ შემდეგში განავითარა და გამოიყენა მ.ჯავახიშვილის წინააღმდეგ.

17. ჩეკისტური ძიების მიერ ნასაზრდოებ ფანტაზიებს არა აქვს საზღვარი. მაგრამ მ.ჯავახიშვილის, ან პ.იაშვილის მიერ კონსულებისგან ჯაშუშობის გამო ფულის აღების აბსურდული აღიარება-ჩვენებები, რომლის მსგავსიც, აბსურდული ხელნაწერი „აღიარების“ სახით და 21 აგვისტოს თარიღით გამოსძალეს მიხეილ ჯავახიშვილს. (საქმე №9997, ფურც.16-49) იგი ალბათ მოგვიანებით შეიმუშავეს. ჯერ არა ჩანს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩეკას დაკითხვის მეთოდებით უცნობია უცხოეთის კონსულებისგან ფულის აღების დაბრალება. მაგალითად კალიმას გადასახლებაში ნამყოფ ალი ნაზაროვის 1956 წლის 7 ოქტომბრის მოწმის დაკითხვის ოქმში ნათქვამია: „სომეხმა გამომძიებელმა ლაზარევმა შემომთავაზა მეღიარებინა უცხოეთის აგენტობა, არ დავეთანხმე, სისხლის წამოსკდომამდე მეცემა. ისე გამიყვანეს რომ აღიარება არ მიმიცია. მეორე დღეს რომ მიმიყვანეს, მაგიდაზე ედო ჩემი დაკითხვის ოქმი, რომელშიც ეწერა – ვარ უცხოეთის კონსულის აგენტი, მათგან ვიღებდი დიდ თანხას, რომელსაც იარაღთან ერთად ვურიგებდი ბორჩალოს აზერბაიჯანელ მოსახლეობას“ (საქმე №12636, ფურც.113). მ.ჯავახიშვილს და პ.იაშვილს კი, მსგავსი ქრთამების მითვისება და სხვა უარესი უზნეობა დააბრალეს.

18. თედო ღლონტს აღიარებინეს კ/რ ფუნქციების განაწილება: კურულოვი მავნებლობას ხელმძღვანელობდა მრეწველობაში,

მათიკაშვილი სოფლის მეურნეობაში, პ.აღნიაშვილი წითელ არმიაში ხელმძღვანელობდა სამხედრო ამბოხით ორგანიზაციებსო. მას მიაცემინეს ჩვენება: „კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში ჩამაბა მამია ორახელაშვილმა. კონტრრევოლუციური კავშირი მქონდა ბუდუ მდივანის კონტრრევოლუციურ ცენტრთან. მემარჯვენეების ქართულ ცენტრს მოსკოვიდან ხელმძღვანელობდნენ მამია ორახელაშვილი და შალვა ელიავა. ორახელაშვილის დირექტივებით და ხელმძღვანელობით ვატარებდი მავნებლობას. ორახელაშვილის დავალებით გერმანიის დაზვერვის სასარგებლოდ ვმუშაობ რეზიდენტ რიხარდ ციულკესთან, თბილისში დაკავშირებული ვიყავი გერმანიის კონსულ დიტსმანთან და ვიცე კონსულ ვილკესთან, ორახელაშვილის მოსკოვში წასვლის მერე დაკავშირებული ვიყავი ქართველი მემარჯვენეების ცენტრის თავმჯდომარე გერმანე მგალობლიშვილთან, მგალობლიშვილი ტერიტორიულ საქმიანობის გამო ჩემს იმედზე იყო...“ მემარჯვენეების კონტრრევოლუციურ მავნებლურ ორგანიზაციაშიო. მას დაასახელებინეს გ.ნიორაძე, ა.მიქაძე, ვ.ქურდაძე, ლ.აღნიაშვილი, და სხვები (საქმე №2431, ფურც. 315-316). მან აგრეთვე „აღიარა“: „ნოე ჟორდანიას დირექტივები, სტალინის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის განხორციელების შესახებ გადავეცი მამია ორახელაშვილსაო“. თედო ღლონტმა, ამასთანავე „უჩვენა“: ჯაშუშური მუშაობის შესახებ გერმანიაში გადავცემდი ჩემს ყოფილ სიმამრს. შიდაპოლიტიკური დაზვერვის შესახებ გადაცემულ ცნობებს ვღებულობდი ალიოშა სვანიძისგან (სტალინის ცოლისძმისგანო – გ.ც.), მამია ორახელაშვილისგან, შალვა ელიავასგან, ბესარიონ ჭიჭინაძისგან და კარპე მოდებაძესგანო.

თ.ღლონტის დაკითხვის ოქმში ვკითხულობთ: „პარიზში ყოფნის დროს შეხვედრა მქონდა ნ.ჟორდანიასთან, რომელსაც გადავეცი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა და კაპიტალიზმის აღდგენის სამუშაოების წარმოების, ხოლო თავის მხრივ, ნ.ჟორდანიასგან მივიღე დირექტივები ჩატარებული ჯაშუშური, დივერსიულ-მავნებლური, ამბოხებითი სამუშაოების, ხოლო მგალობლიშვილთან ერთად, ვიხილავდით ბერიაზე ტერორისტული აქტის განხორციელების შესახებო”. (იქვე, ფურც. 359).

19. ბერიას საქმის გამო დაპატიმრებულმა ნ.მ.რუხაძემ 1954 წლის 23 იანვარს უჩვენა: „1937-1938 წწ. მას წარმოებაში ჰქონდა ი.მ.ვარძიელის საქმე, რომლის მიხედვით მ.ორახელაშვილის ჩვენებებით ვარძიელი იყო ანტაბჭოთა ორგანიზაციის მონაწილე, რომელიც პირადად ორახელაშვილმა გადაიბირა. ცემის მიუხედავად ვარძიელმა თავი დანმაშავედ არ ცნო. ქობულოვის წინადადებით გადაწყდა დაპატიმრება, რომელიც ჩაატარა კრიმიანმა.

დაპატიმრების დროს ორახელაშვილი იყო იმ ადამიანის მდგიმარეობაში, რომელიც რეპრესიბით უკიდურესობამდე იყო ძალაგამოცლილი. მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდების უარსაყოფად ყოველგვარი ნებისყოფა ჰქონდა დაკარგული. მან ავტომატურად ყოველგვარი დეტალიზაციის გარეშე დაადასტურა თავისი ძველი ჩვენებები... ვარძიელი დამაჯერებლად უარყოფდა, იგი ორახელაშვილზე არ რეაგირებდა. ბოლოს კი, მიაძახა: „მამია როგორ არ გრცხვენია!" ამაზე დაპირისპირება შეწყდა. რუხაძემ აღიარა, რომ კრიმიანმა შთააგონა, რეპრესიებით სუსტი ადამიანებისგან ყველაფრის გამოძალვა შეიძლებოდა. ვიცი, რომ კრიმიანმა ორახელაშვილი მოამზადა ვარძიელთან შეხვედრისათვის. წინასწარ უთხრა ვის დაუპირისპირებდნენ და რა უნდა ეთქვა".

20. ს.პ.ნადარაიამ 1953 წლის 24 სექტემბერს აღიარა: როცა შინსახკომის შიდაციხის უფოსი ვიყავი, ერთმა პატიმარმა (რომელსაც დავალებული ჰქონდა – გ.ც.) მთხოვა გამომეძახა საუბრისთვის... მომიყვა: მასთან ერთად საკანშია ორახელაშვილი... მოსკოვიდან ეტაპით ჩამოყვანილი. იგი დაკითხვიდან დაბრუნების შემდეგ თანამესაკნეებს ეუბნებოდა, რომ მას აიძულებდნენ ყალბი ჩვენებები მიეცა ანტისაბჭოთა ორგანიზაციების მონაწილეებად დასახელებულებზე, რომლებიც დამნაშავეები არ არიან. იგი ამბობდა: „მე დაპატიმრებული ვარ, რადგან ბერიას მოწინააღმდეგე ვარო". მას დაკითხვის დროს შესთავაზეს საკუთარი ხელით დაეწერა ჩვენება, რომელშიც გვარის მითითებით უნდა შეეტანა როგორც კონტრრევოლუციური ორგანიზაციების მონაწილე ყველა ვისაც კი იცნობდა, პარტიის რაიკომის მდივნები, ყველა ვისი ვინაობაც იცის, თუნდაც რომ ისინი არ ყოფილიყვნენ კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული ორგანიზაციის მონაწილეები. გამომძიებელი

ეუბნებოდა: „თუ გვარი იცით, ყველას შესახებ დაწერეთ იმის მიუხედავად იცით თუ არა მისი კონტრრევოლუციურ ორგანიზაციებისადმი კუთვნილება, ხოლო მერე ჩვენთვითონ გავარკვევთო...”(საქმე №11545, ფურც. 164-165). ესაა შეკვეთა. მ.ორახელაშვილი თანამესაკნეებს მოუწოდებდა მათაც მიეცათ ისეთი ყალბი ჩვენებები, თუ არა და მოგკლავენო”(იქვე, ფ.166).

სავიცკიმ ბ.ქობულოვის ნათქვამის მიხედვით უჩვენა: „ჩეკას ყოფილმა თანამშრომელმა მოწმე არზანოვმა 1954 წლის 10 ივნისს ჩვენება მისცა იმის შესახებ, თუ როგორ იღებდნენ ჩვენებებს მ.ორახელაშვილისგან: „კრიმიანი ორახელაშვილის სასტიკი ცემის შემდეგ მისგან მოითხოვდა ჩვენებების სახით ჩაეწერა, რომ ს.ორჯონიკიძის აგარაკზე, ბერიას მიერ მოხსნილი საქართველოს ყოფილი ხელმძღვანელი მუშაკები, სერგოს თანდასწრებით მსჯელობდნენ ბელადზე ტერორისტული აქტის განხორციელების შესახებ, მაგრამ ორახელაშვილი არ ეთანხმებოდა ამის წერილობით დაფიქსირებას. იგი ამბობდა ვინც ოდესმე სერგოსთან იკრიბებოდა ყველა სიყვარულით იხსენებდა სტალინს. ამდენად არ შეიძლებოდა მსგავსი საუბარი ჰქონოდათ, არამც თუ ტერაქტის გეგმა დაეწერათ”... სავიცკიმ დასძინა: „არქივის მასალებიდან ჩანს, რომ კრიმიანმა მიაღწია არა მარტო სერგოს სახელის შებღალვას, არამედ მისი ძმის, პაპულიასი, რომელიც ტროიკის გადაწყვეტილებით დახვრიტეს”(იქვე, გვ.167).

21. შამშე ლეჟავას შესახებ ჩვენების მიმცემებს, შალვა ელიავას, მიხეილ ნიორაძეს და ვარამაშვილს, ბერიას თანდასწრებით, წინასწარ სცემდნენ(იქვე, გვ.108) და როგორც ჩანს, კიდეც იმორჩილებდნენ.

22. შინაგანი ციხის მორიგე მოადგილე, ვ.ს.პროშიევის ჩვენების მიხედვით იზოლიატორში „სამი სახის კარცერი არსებობდა – პატარა ოთახი, ცივი და ცხელი, სადაც პატიმრებს სვამდნენ 3-დან 10 დღემდე, შინსახკომის უფროსის განკარგულების შესაბამისად. ცივ საკანში იჯდა პროფესორი ლეჟავა. სავიცკიმ და კრიმიანმა ბუდუ ცხელ საკანში მოათავსეს სამი დღით... საჭვრეტიდან ბუდუ არაერთხელ მინახავს მუხლებზე იდგა და ლოცულობდა. ბაქტერიოლოგი ელიავა რამდენჯერმე ჩასვეს ცივ საკანში. ამ დროს

თოვლი არ იყო და ამიტომ სპეციალურად ჩამოჰქონდათ მთიდან. ელიავა ცივ საკანში ჩასვეს ფეხშიშველი და მხოლოდ ქვედა საცვლების ამარა”(საქმე №2431, ტ.3, ფურც. 338). ამასთან დაკავშირებით საჭიროა ვიცოდეთ, რომ „საბრალდებო დასკვნა ბუდუ (პოლიკარპე) გურგენის ძე მდივანზე“ (9/VI-37წ.) შეიცავს ასეთ გაყალბებულ ბრალდებას: „მდივანმა ელიავასგან მიიღო ჯაშუშური დავალებებისათვის 5000 მანეთი საბჭოთა ვალიუტით სხვადასხვა დროს სსრკ საავიაციო წარმოების შესახებ ინფორმაციისთვის. ამას ადასტურებს ელიავას ჩვენებაც (საქმე №5875, ტ.1, ფურც.33). როგორც ვხედავთ, გამოვლინდა ჯაშუშობისათვის ფულის აღების ბრალდების ახალი შემთხვევაც. ბუდუმ თავი დამნაშავედ ცნო... მხილებული იქნა ჩვენებებით: ქავთარაძის, პიატაკოვის, სერებრიკოვის, ქარცივაძის, მოდებაძის, ელიავას, ოკუჯავას, გასვიანის, ვაშაძის და სხვ.“ (იქვე, ფურც.37). თვითონ ეს პირებიც მხილებულნი იყვნენ ზოგი ამათგანისა და სხვების მიერ. ბ.მდივნის საბრალდებო დასკვნას ხელს აწერენ მისი და მრავალ სხვათა გამაუბედურებლები უმცროსი ლეტენანტი კრიმიანი, ლეიტენანტი სავიცკი და მაიორი ქობულოვი (იხ.იქვე).

23. ჩემს ხელთ არსებული, ჩეკას არქივში მოპოებული, მსგავსი ცრუ, იძულებით გამოძალული აღიარება-ჩვენებები იმდენად მრავალია, რომ ყველას მოყვანა, მეთოდიკის სრული ანალიზი და გაშუქება მოითხოვს ცალკე, სპეციალურ ტევად პუბლიკაციას. მაგრამ ზემოთ მოყვანილი ფაქტებიც კი, საკმარისია იმისთვის, რომ კარგად დავინახოთ, ჩეკისტურად მოპოვებულ აღიარება-ჩვენებებს სახელმწიფოებრივ-ჩეკისტური კონცეფციისა და დირექტივების საფუძველზე, ბერიას უშუალო ხელმძღვანელობითა და საჭიროების შესაბამისად, თხზავდნენ არა პატიმრები, არამედ ჩეკას სადისტი გამომძიებლები.

ზემოთ აღნიშნული სხვა მსგავსი ჩვენებების საფუძველზე საქართველოს შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა, ზემდგომი ორგანოების დამაჩქარებელი ზემოქმედების შედეგად 1937 წლის ზაფხულში წამოიწყეს საქართველოს ჩეკას ძიებაში მყოფი, ყოფილი ცნობილი პარტიული და სახელმწიფო მუშაკებისა და მათ მიერ მხილებული ინტელიგენციის ფართო წარმომადგენლობის განადგურება-მოსპობის პროცესი. ამ მიზნით ბერიას და გოგლიძის

უშუალო ზემოქმედებით გააქტიურდნენ გამომძიებლები. ჩეკას რწმუნებულის, გ,ლაზარევის ჩვენების მიხედვით, „პატიმრების ცემაში გამოირჩეოდნენ ხაზანი, სავიცკი, კრიმიანი. ძიებას მასწავლიდნენ და მითითებებს მაძლევდნენ ფეიხოარი და ხაზანი. ისინი მაიძულებდნენ მეცემა. ჩემს დაწერილ საბრალდებო დასკვნას თვითონ ასწორებდნენ და დასაბეჭდად აძლევდნენ"(იქვე, ფურც.330).

შინაგან საქმეთა კომისრის ყოფილმა მოადგილემ ს.დავლიანიძემ აღიარა, რომ „რეპრესიებით გამოირჩეოდნენ გოგლიძე, ქობულოვი, რუხაძე, სვიცკი, კრიმიანი, ხაზანი და სხვები. ბერიას თანდასწრებით გერმანე მგალობლიშვილს სცემეს რაფავამ, რუხაძემ და შავშიძემო" (იქვე, ფურც.334).

24. ყოფილმა ჩეკისტმა ი.ბაჟანოვმა უჩვენა: „გავესაუბრე კავშირგაბმულობის თანამშრომელ უჩანეიშვილს, რომელიც ჩვენებებს იძელოდა. მან მითხრა დავასახელეო თითქმის ყველა კავშირგაბმულობის მუშაკი, მაგრამ ახლა კიდევ მთხოვენ. მას აწუხებდა, რომ ცილს სწამებდა კონტრრევოლუციურობაში უდანაშაულოებს. მახსოვს კვანტალიანი (ყოფილი საქართველოს ჩეკას უფროსი და შემდეგ კავშირგაბმულობის უფროსი – გ.ც.).უჩანეიშვილმა სთქვა ვაღიარე მისი კონტრრევოლუციური კავშირის შესახებ რიკოვთან (ეს უკვე, აბსურდებს შორის, ერთ-ერთი მარგალიტია – გ.ც.)... საკანში ისიც მითხრა, რომ სინამდვილეში ამ კავშირის შესახებ არაფერი იცოდა და ცემის გამო დაასახელა. მან ისიც თქვა, რომ თვითონ შეესწრო კვანტალიანის ცემას შინსახკომის თავმჯდომარისგან. თავმჯდომარე სცემდა შავშიძესაც"(იქვე, ფ.350).

25. დიდი ტერორის დროს ბრალდებული პატიმრებისგან აღიარება-ჩვენებების გამოძალვის ყველაზე გავრცელებული მეთოდი მართალია იყო ცემა და წამება, მაგრამ ამასთან ერთად არსებობდა ბრალდების შეთითხნის „უმტკივნეულო" - აკადემიური მეთოდებიც. მაგალითად პატიმარს მის მიმართ განხორციელებული საძიებო დაკითხვის დროს ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, ხან კი, ცემით აყოლებდნენ დასმული კითხვის პასუხებს. მის საფუძველზე გამომძიებლები ან მათი უფროსები ქმნიდნენ შავად ნაწერ ძიების ლეგენდის შესაბამის პროექტს, ანუ ე.წ. „ფუტლიარს", რომელშიც ჩეკას ძიების საერთო ამოცანების შესაბამისად აფიქსირებდნენ

მხილებულ კონტრრევოლუციონერთა გვარებსა და საქმიანობას.შემდეგ დაკითხვაზე იწყებოდა პატიმრისგან „ფურცელზე“ ხელის მოწერის გამოძალვა. ეს ხელის მოწერის გამოძალვა ხდებოდა სხვადასხვა ხერხით (ცემით, წამებით, მუქარითა და ე.წ. ცივსა თუ ცხელ საკანში გარკვეული დროითა და შეზღუდული კვებით მიყენებული წამებით). გაწამებულ-დამორჩილებული პატიმრის მიერ ფურცელზე ხელის მოწერის შემდეგ ფუტლიარი ხდებოდა „დედანი“, ანუ აღიარება და იგი ძიების მიერ გამოიყენებოდა, როგორც იურიდიული დოკუმენტი. ჩეკას ოპერატიული რწმუნებულის სვიმონიშვილის 1957 წლის 7 ივნისის დაკითხვის ოქმში აღწერილია ეს მეთოდი და აქ ისიც ნათქვამია, რომ გამოძალული შედარებით მცირე ჩანაწერები, ანუ „ფუტლიარი“ გადაეცემოდა ქობულოვის მდივანს, მილოვას. იქ მუშავდებოდა და სამი-ოთხი დღის შემდეგ პატიმარს წინადადება ეძლეოდა ხელი მოეწერა მანქანაზე დაბეჭდილი დაკითხვის ოქმისთვის... (არქივი №12636, ფურც.230). მაშასადამე, პატიმრისეულად გასაღებული ყველა მის მიერ ხელმოუწერელი „ჩვენება“ არის მის ბრალეულობათა შესახებ გამომძიებლის მიერ წინასწარი მიზანდასახულობით დასმული შეკითხვების პასუხების გადაკეთებული, საჭირო ბრალდების გამართლების მიზნით იმპროვიზირებული „ჩვენებები“, ანუ „ფუტლიარი“. ჩეკას ყოფილ არქივში მკვლევარი უთუოდ შენიშნავს, რომ „დაკითხვის ოქმს“, ანუ დედანს, ყოველი გვერდის ბოლოში აქვს ბრალდებულის ხელმოწერა. ამასთანავე გვხვდება დაკითხვის ოქმები, რომელთაც ხელს აწერს მხოლოდ გამომძიებელი, ან გამომძიებელთან ერთად ძიების სხვა მონაწილეები. ასეთი ძიების მიერ იმპროვიზებული, მ.ჯავახიშვილისადმი მიწერილი ფუტლიარი, მის საქმეში დაცულია გოგლიძის სახელზე დაწერილი 21, 31 აგვიტოს და 20 სექტემბრის განცხადების სახით. მათი შესწავლით ჩანს გამომძიებელთა პირადი ინტერესით შენათითხნიც.

26. 1950-იანი წლების სარეაბილიტაციო კამპანიის დროს დაკითხული „მოწმეები“ თავიანთი ჩვენებებით მოგვითხრობენ, რომ 30-იანი წლების დიდი ტერორის დროს გამოიყენებოდა „აღიარებების“ მოპოვების ასეთი მეთოდიც: პატიმრებისაგან გამომძიებლების დასმული კითხვის მიხედვით აწერინებდნენ საკუთარ ბიოგრაფიას,

შემდეგ კი, ამ ბიოგრაფიული ჩანაწერის მიხედვით გამომძიებლები ქმნიდნენ მათთვის დასახული ამოცანის შესაბამის აღიარებას, რომელსაც პატიმრისეულ კონტრრევოლუციური ხასიათის აღიარების შემცველ ჩვენებად გადააკეთებდნენ და ბიოგრაფიაში დასახელებულ პიროვნებებს კონტრრევოლუციონერ თანამებრძოლებად, თუ ხელმძღვანელებად ასახელებდნენ და ამ ხერხით პატიმრის ბიოგრაფიაში ნახსენებ პიროვნებათა სახით ჩეკას ძიებისათვის სასურველ მთელ კონტრრევოლუციურ ქსელს აკოწიწებდნენ. ისე გამოჰყავდათ თითქოს ბიოგრაფიის დამწერმა, ანუ ბრალდებულმა დაკითხვის დროს არალეგალთა კონტრრევოლუციური ქსელი და მასში საკუთარი მონაწილეობა აღიარა (იხ. გ.ციციშვილი, ჩეკისტური ბრალდებები შალვა ნუცუბიძის მიმართ და მათი დოკუმენტურ-ანალიტიკური კომენტარები, თბ.1998, გვ.177-184).

27. მთელი ამ ზემოთ კონცენტრირებულად ასახული პროცესის შინაგან თავისებურებათა გაგებისათვის საჭიროა გავიგოთ და კარგად გავიაზროთ, რომ ჩეკას სამძებროში არსებობდა გამომძიებელ-ფალსიფიკატორების ერთგვარი ინტელექტუალურ-ანალიტიკური ჯგუფი, რომელიც მათ მიმართ ზემდგომთა, ბერიასა და სხვების მიერ დასხული დირექტივა-ამოცანების, თუ სხვათა ჩვენებების ასლების გაცნობის შესაბამისად თითხნიდა განსაკუთრებით საყურადღებო პატიმრების „აღიარებებს“, ანუ „ფუტლიარს“ როგორც ვთქვით, და მათ ძიებას სასურველი „ჩვენებების“ შეთითხვნით ამარაგებდა. ასეთ „აღიარებებს“ აბეჭდვინებდნენ ქობულოვის მდივან მილოვას, ხოლო ფუტლიარზე პატიმრის ხელმოწერის იძულების გზით, „ფუტლიარი“ ხდებოდა „დედანი“, ანუ პატიმრის დაკითხვის ოქმი, რომელსაც ხელს აწერდნენ, აგრეთვე გამომძიებელი და განყოფილების უფროსი, ან მისი სათანადო კომპეტენციის მქონე ქვეშევრდომი. ზოგჯერ კი, გამომძიებელი „ფუტლიარს“ ხელს თვითონ, დაკითხულის გარეშე აწერდა, ხოლო ბრალდებულის ხელნაწერი, ნამდვილი დედანი კი, ისპობოდა. მაგალითად: როგორც 1950-იანი წლების სარეაბილიტაციო დაკითხვის დროს გამოირკვა, სიმონ ყაუხჩიშვილს დააწერინეს საკუთარი გაშლილი ბიოგრაფია. იგი შემდეგ გადააკეთეს დაკითხვის კონტრრევოლუციური აღიარების ოქმად და ხელი ისე მოაწერინეს,

რომ არც წააკითხეს. ამ გზით ისე გამოიყვანეს თითქოს პატიმარმა საკუთარი და ყველა ნაცნობის თანამონაწილეობით შექმნილი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის არსებობა აღიარა და უჩვენა; ერთ-ერთ საფაკულტეტო კონფერენციაზე, როცა ჩემ მიერ პატიმრების „აღიარებათა გამოძალვის“ მეთოდებზე მქონდა საუბარი, აკად. მარიამ ლორთქიფანიძემ ასეთი მაგალითი წარმოაჩინა: „საპროფესოროში შევესწარი კორნელი კეკელიძისა და შალვა ნუცუბიძის საუბარს. ბატონმა კორნელიმ შ.ნუცუბიძეს მიმართა: „შენზე ამბობენ, რომ დაკითხვის ოქმებს ხელს წაუკითხავად აწერდი“. ამას შალვამ უპასუხა: „აბა თავს ცემით ხომ არ მოგაკვლევინებდი“; ცნობილია, რომ ბატონმა შალვამ თავად დაადასტურა: ჩვენებების დროს ადგილს ვტოვებდი, რომ ჩემი წამების გარეშე, თვითონ გამომძიებელს ჰქონოდა ჩემს შესახებ ჩამატების შესაძლებლობაო; ისიც ცნობილია, რომ ჯალათმა გამომძიებელმა, კრიმიანმა, ცნობილი პარტიული მუშაკის, სერგო ქავთარაძის ვრცელი, საზარელი აღიარებების შემცველი წარდგინება თვითონ შეადგინა, იგი ჩეკას სამკუთხა ბეჭდით დაადასტურა და ბრალდებულს მომაკვდინებელი დოკუმენტი ისე მოახლაფორთებინა, რომ მისთვის არც უჩვენებია. მაშასადამე „ფუტლიარებს“ ჩეკას გამომძიებლები თითხნიდნენ და სიმართლედ ასაღებდნენ, ხოლო პატიმრის ნაწერს სპობდნენ. დაკითხვის ოქმზე წაუკითხავად ხელის მოწერით ითითხნებოდა საზარელი ლეგენდები... ამის ცოდნა მკვლევარებისგან გათვალისწინებას და განსაკუთრებულ დამოკიდებულებას მოითხოვს.

ჩეკისტური ძიების მეთოდიკა-მეთოდოლოგიის ანალიზიდან ჩანს, რომ 1937 წლის ზაფხულისათვის უკვე ყოველმხრივ დამუშავებული მეთოდებით და გამოცდილებით აღჭურვილი გამომძიებლები ჩეკისტური ძიების დროს ზემდგომთა მითითებით, თუ პირადი ინიციატივით, ბრალდებულთა შორის შეარჩევდნენ ე.წ. „ცენტრალური მიმართულების” ჩვენებათა მიმცემ პატიმრებს, ანუ უფრო გასაგები რომ გავხადოთ – მეისრეებს, რომლებსაც რომელიმე კ.რ. ორგანიზაცია–მიმდინარეობის ლიდერად, ან გამხსნელ-მამხილებლად წარმოაჩენდნენ და მასზე განხორციელებული ძალმომრეობით ისეთ ფართო ქსელის „გამოვლინებას” ახერხებდნენ,

რომელიც ზოგჯერ დაუჯერებლობასა და ირონიას იწვევდა თვით ჩეკას ზოგ გამომძიებელთა შორისაც კი. მაგრამ საქართველოს ჩეკას სამეგრო სისტემაში დანერგილი მოთხოვნების, საერთო წესისა და განწყობილების ვითარებაში წინააღმდეგობას არსებითად და აშკარად ვერავინ გამოხატავდა, ჩეკას წისკვილი კი ფქვავდა და ფქვავდა...

ასე მაგალითად: 1954 წლის 13 ივნისს რსფსრ სისხლის სამართლის 135-138 მუხლების პასუხისმგებლობით დაკითხულმა, ცნობილმა სადისტმა და ფალსიფიკატორმა გამომძიებელმა, კრიმიანმა აღიარა: „პატიმრებს აცნობდნენ ბ.ჭიჭინაძის დაკითხვის ოქმებს და მის მიხედვით გამოსძალავდნენ ჩვენებებს ახალი პიროვნებების შესახებ, რომლებსაც აპატიმრებდნენ, აღწევდნენ მათ მიერ აღიარებებს და გადიოდნენ ახალ პატიმრებზე. ასეთ კონვეირულ სისტემას (ანუ ესტაფეტას – გ.ც.) მოსდევდა ადამიანთა დიდი რაოდენობის დაუსაბუთებელი დაპატიმრება და გამომძიებლების მხრივ თვითნებობა... პატიმრები ასახელებდნენ საერთო ამიერკავკასიის პარტიის კომიტეტს, რომელსაც თითქოს გააჩნდა თავისი რესპუბლიკური ფილიალები და განყოფილებები. ამ მითიური პარტიის დაპატიმრებულმა ერთ-ერთმა წევრმა დაასახელა ათეულობით ადამიანი... დასახელება მითიური იყო იმდენად, რომ ისინი არც კი გამოუყენებიათ ამ პარტიის გამოსავლენად. მაგრამ სხვა მთავარი მიმართულების ბრალდებულთა, მათ შორის ბ.ჭიჭინაძის ჩვენებები იწვევდა გამომძიებელთა შორის აჟიოტაჟს და ხელს უწყობდა სხვა საქმეების ფალსიფიკაციას" (საქმე №2431, ტ.3, ფ.152-153). კრიმიანმა ისიც აღიარა, რომ: „ჭიჭინაძე თავიდან თავს დამნაშავედ არ ცნობდა. აწამეს რამდენიმე დღის განმავლობაში. ამის მერე დაიწყო საკუთარი თავის და სხვათა ცილისწამებები. რეპრესიები მაინც გაუგრძელეს, ამიტომ მან მიზნად დაისახა ისეთი საქმის შექმნა, საიდანაც ცხადი გახდებოდა, რომ დამნაშავე არაფერში არ არის. ამ მიზნით მან გადაწყვიტა რაც შეიძლება მეტი პატიოსანი, უდანაშაულო დაესახელებინა. მან დაასახელა 300 ადამიანი, რომელთანაც კი რაიმე სამსახურებრივი კონტაქტი-შეხება ჰქონდა მოსკოვში და საქართველოში"(იქვე, ტ.4, ფურც.183). ასეთი

მეთოდი ქმნიდა არალეგალი კონტრრევოლუციონერების გამოვლენის „ჯაჭვურ რეაქციას".

1954 წლის 15 ივლისს რსფსრ სისხლის სამართლის იმავე, 135-138 მუხლების პასუხისმგებლობით დაკითხულმა, ასევე ცნობილმა ჯალათმა და ფალსიფიკატორმა გამომძიებელმა, სავიცკიმ უჩვენა: „1937 წელს საქართველოს შინსახკომის სახ. უშიშროების IV განყოფილების (უფროსი მაიორი ბ.ქობულოვი – გ.ც.) III ქვეგანყოფილებაში მუშაობდა ცნობილი აგენტურული საქმეების სპეციალისტი ვინერი. ამ განყოფილებაში ჭიჭინაძის საქმე გახდა ცენტრალური(! – გ.ც.). ჭიჭინაძის ჩვენებებით ბევრი დააპატიმრეს, მათ შორის კ.მოდებაძე, შ.მათიკაშვილი, ლ.ლავრენტევი.

გამომძიებელმა კორხმანზიანმა ჭიჭინაძეს მისცა თავისი ნაწერი, მან წაიკითხა და ხელი მოაწერა... ნაწერს ხელი წაუკითხავად მოაწერა პატიმარმა სერედამ. ჭიჭინაძეს აწამებდნენ და დასცინოდნენ (იქვე, ტ.4, ფურც.150).

გამომძიებელმა კორხმანზიანმა უჩვენა, რომ „ჭიჭინაძის დაკითხვის დროს არ გამოიყენებოდა არავითარი მტკიცებულობითი დოკუმენტაცია, ტენნიკური ექსპერტიზა"... არა და, ცნობილ ენერგეტიკოსს, ბ.ჭიჭინაძეს ბრალად სდებდნენ უამრავ აბსურდულ დანაშაულობათა გამო. მათ შორის: „ქართული ნაციონალური ცენტრის" ერთ-ერთი მეამბოხური ორგანიზაციის ხელმძღვანელ წევრობაში; გერმანიის, იაპონიის და სხვა საზღვარგარეთული დაზვერვის აგენტობაში, რომელთაც „ფულადი ჯილდოსათვის უგროვებდა და გადასცემდა ცნობებს, რომლებიც სსრკ საყელმწიფო საიდუმლოებას შეადგენდნენ"; „ეწეოდა მავნებლობას მის მიერ დაპროექტებულ ჰიდროელექტროსადგურებში..." (საქმე №2431, ტ.3).

28. ცნობილი პარტიული მუშაკის, შემდეგ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორისა და პოლიტიკური პატიმრობა გამოვლილი ბატონი ალექსანდრე (საშა) პაპავას, ჩემს მიერ გამოქვეყნებული მონათხრობიდან ჩანს, რომ იმდროინდელ საქართველოში რაიკომის მდივნებს ეძლეოდათ დასაპატიმრებელთა გეგმა, რომელშიც მითითებული იყო დასაპატიმრებელთა რაოდენობაც (იხ. გ.ციციშვილი, დიდი ბოროტების სათავეები და შედეგები, გაზ. „სახალხო განათლება", 1989, 28 ივნისი, 16 ივლისი).

მსგავსი ძნელად დასაჯერებელი ამბავი, ამის შემდეგ საბჭოთა კავშირის ოლქებისა და რესპუბლიკების მათ შორის საქართველოს მაგალითზე (ა.ქევხიშვილი ...და რომ გვახსოვდეს, თბ. 2004, გვ.335), გამოქვეყნებული აქვს არაერთ ცნობილ ისტორიკოსს... საქართველოში მიმდინარე ამ პროცესს 1937 წლის უნივერსიტეტის მოვლენის მაგალითზე გადმოგვცა იმდროინდელმა პირველი კურსის სტუდენტმა და 1989 წელს ამავე, ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის პროფესორმა, ბატონმა სოკრატ ხურცილავამ. მან გაიხსენა, რომ „ხალხის მტრების“ და მათი „მოკავშირეების“ გამოვლენის მიზნით უნივერსიტეტში ტარდებოდა პარტიულ-კომკავშირული კრებები. მისი თავმჯდომარე დამსწრეს მიმართავდა სიტყვებით: „შენ რამდენი ხალხის მტერი გამოავლინე?“ იყო შემთხვევა, როცა თავს არიდენდნენ პასუხის გაცემას, მაგრამ ზოგი ასახელებდა რაოდენობას. ზოგს კი, თავი მოჰქონდა „ხალხის მტრებისა“ და „ხალხის მტრების მიკავშირეების“ გამოვლენით. იყო შემთხვევა, როცა დასახელებული იქნა 20-მდე „ხალხის მტერი“ და „მოკავშირე“. მსგავსი ზნეობრივი გახრწნის არაერთი საწარმოოს მაგალითზე ასახულია მკვლევარ ალექსანდრე დაუშვილის წიგნში – თბილისი 1937 (მასობრივი რეპრესიები თბილისის სამრეწველო შრომით კოლექტივებში, თბ. 1997, გვ.98-142). მაგრამ, ის რაც ჩეკისტებისა და განსაკუთრებით ჩეკას სამძებროს მუშაკთა გახრწნის თვალსაზრისით გამოვლინდა, ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გამოკვლეული და გაშუქებული.

გ.მგალობლიშვილს 1937 წლის 4 ოქტომბერს მიესაჯა დახვრეტა. მაგრამ ამავე დღეს დამატებით დაკითხეს და დაასახელებინეს ახალი გვარები (იქვე, საქმე №969456, ფურც.228). ეს ერთ-ერთი ის საყურადღებო ფანდია, რომელიც შემდეგ (20/IX-37წ), კრიმიანის მიერ გამოყენებული იქნა მ.ჯავახიშვილის მიმართ.

ჩეკას სამძებროს საქმიანობის მასალები გვაცნობენ მსგავს და კიდევ უფრო განსაცვიფრებელ უამრავ დანაშაულებრივ ამბავსა და კურიოზულ გამოვლინებას. ასე ითითხნებოდა ის საერთო ჩეკისტური კანონზომიერება, რომელსაც ათასობით უდანაშაულო ადამიანის სისცოცხლე შეეწირა. მათგან თუნდაც ყველაზე საინტერესოთა მოხმობისა და სრული ანალიზის საშუალებას, როგორც უკვე ითქვა,

წინამდებარე პუბლიკაციის შეზღუდული შესაძლებლობები არ იძლევა. მაგრამ საქართველოში განხორციელებული პოლიტიკური რეპრესიების თავისებურებათა გაგებისათვის შეუძლებელია გვერდი აუაროთ იმ ფაქტს, რომ ბ.ჭიჭინაძის მსგავსი „ცენტრალური მიმართულების" ჩვენებათა გამოძალვის სუბიექტები გახდნენ საქართველოს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, კულტურისა და მეცნიერულ-პედაგოგური სფეროს თითქმის ყველა ის წარმომადგენლები, რომლებიც სხვადასხვა დროს, ამა თუ იმ სამსახურებრივი მიზეზებით, თუნდაც ირიბად დაუპირისპირდნენ ხელისუფლების მიერ ნასაზრდოებ ტოტალიტარიზმს და ბერიას ჩეკისტურ პოლიტიკას. „ცენტრალური მიმართულების" ჩვენებათა მიმცემის მდგომარეობა შეუქმნეს მრავალ ისეთ პიროვნებას, რომლებიც დახვრიტეს, მაგრამ მათ შესახებ, როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ამბის გადმოცემა მაინც მოხერხდა. 50-იანი წლების სარეაბილიტაციო კამპანიის დროს დაკითხული იყვნენ „ცენტრალური მიმართულების" წარმომადგენლების თანამესაკნეები, რომლებიც ცოცხლები დარჩნენ და 50-იან წლებში მოგონებების სახით ჩვენების მიმცემი ფუნქცია შეასრულეს. ასეთების მსგავსად მოგვევლინენ მ.ჯავახიშვილის თანამესაკნეები მოსე გვასალია და ანონიმი, ვინმე ქუთაისელი ჭაბუკი.

იყვნენ ისეთებიც რომლებმაც ჩეკაში მიღებული ინფორმაციის შედეგად ისეთი ცოდნა მიიღეს, რომ მხოლოდ გარდაცვლილებს, ან დახვრეტილებს ასახელებდნენ და ამით ცოცხლების დასახელებას ერიდებოდნენ, მაგრამ იყვნენ ისეთები, რომლებიც ფიქრობდნენ რომ რაც უფრო მეტს და ცნობილ პიროვნებას დაასახელებდნენ, ამით ჩეკას გამომძიებლის, თუ საერთოდ ჩეკისტური ძიების სისტემის სიყალბის გამომჟღავნებას მოემსახურებოდნენ. გამონაკლისების სახით ისეთებიც იყვნენ, რომლებმაც ჩეკას სამძებროში მათ მიმართ შექმნილ გამოუვალ მდგომარეობაში აღიარება და სხვათა დასახელება საკუთარი თავისთვის სასიკვდილო განაჩენად მიიჩნიეს და ამიტომ ბრალდებას არ დაემორჩილნენ. ისეთებიც იყვნენ, რომლებმაც „ცენტრალური მიმართულების" ჩვენებების მიცემას თვითმკვლელობა არჩიეს და თვითმკვლელობით ბერიას დამატებითი პრობლემები შეუქმნეს. ასეთებს შორის ჩვენთვის, ჩატარებული

გამოკვლევის ინტერესების თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა პაოლო იაშვილი. არის მოსაზრება, რომ თითქოს პ.იაშვილის თვითმკვლელობის მთავარ მიზეზად მოგვევლინა ის, რომ მას ბერიამ მოსთხოვა პირზე წასდგომოდა მისსავე მეგობარსა და ბერიას პირად მტერს, ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეს – ვლადიმერ ჯიქიას. ჩემი აზრით ეს არის პრობლემის გამარტივებული გაგება.სინამდვილეში, როგორც მეტყველებენ მთელი რიგი ჩეკისტურად გამოძალული ჩვენებებისა და როგორც ქვემოთ სათანადო თავში ვნახავთ, პ.იაშვილს ემუქრებოდა ჩეკისტურად შეთითხნილი უამრავი „აღიარება-ჩვენებების" გადაფარვა, ანუ საგნობრივად და არსებითად, ე.ი. პირადი აღიარება-ჩვენებით დადასტურება და ჩეკას სამძებროს მთელი შემდგომი სამუშაო პროექტის „ცენტრალური მიმართულების" ჩვენებათა იმპროვიზატორის როლის შესრულება. ამ და შესაბამის მოსალოდნელ საშიშროებებს თვითმკვლელობით გაერიდა პ.იაშვილი და ამით ბერიას მიაყენა განუმეორებელი გამოავლინა შურისძიება. ამის შესახებ ქვემოთ, სათანადო თავებშიც გვექნება საუბარი. ამდენი მაგალითი იმისთვის გვჭირდება, რომ საფუძვლიანად გავარკვიოთ საერთოდ 1930-იანი წლების უდანაშაულოდ რეპრესირებულ-მოსპობილთა და მათ შორის მ.ჯავახიშვილის მიმართ ძალადობითა, თუ ფალსიფიცირებით შეთითხნილი ბრალეულობები, რომლებიც სისტემის დაკვეთით იქნა განხორციელებული.

ძირითადად მოცემულ თავში აღწერილი ჩეკისტური მეთოდებით ითითხნებოდა ბრალდებულთა საძიებო საქმეების „კანონიერი" საფუძველი და განისაზღვრებოდა მათი ბრალდების კატეგორიები. განსაკუთრებით „მძიმე დანაშაულთა" გამო განისაზღვრებოდა I და II კატეგორია. დანაშაულის სიმძიმის მიხედვით ჩეკას სამძებრო თითხნიდა „საბრალდებო დასკვნას" და „დადგენილებას", რომელიც გადაეცემოდა სპეცილაურად ორგანიზებულ სასამართლო ორგანოებს - „სამეულებს", „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიებს", „სსრკ საგანგებო სათათბიროებს" (ეს უკანასკნელი, საკავშირო სასამართლოები რესპუბლიკებისა და ოლქებში აწყობდნენ გამსვლელ სხდომებს, რომლებიც საქმეებს იხილავდნენ ფორმალურად, სულ რამდენიმე 20-40 წუთის განმავლობაში). ჩვენს

რესპუბლიკაში პოლიტიკურ „დამნაშავეთა“საქმეებს უპირატესად განიხილავდა „სამეულები“, „საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სპეციალური კოლეგია“, „სამხედრო ტრიბუნალი“ და იშვიათი გამონაკლისის სახით ერთად-ერთი კანონიერი სამართლებრივი სტრუქტურა - „სახალხო სასამართლოები“ (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 14, აღ.2, საქმე 152, ფურც. 171-173; გ.ციციშვილი, კაცის სიცოცხლე ჩირად არ ღირდა, გაზ. „7 დღე“, 1990, 12 ოქტომბერი).

სამართლებრივი კანონიერების დაცვის მიზნით ე.წ. ანტისაბჭოთა პოლიტიკური, განსაკუთრებით მძიმე, I და II კატეგორიის დანაშაულით კვალიფიცირებული ბრალდების მქონეთა სიები ფორმალურად წინასწარ იგზავნებოდა მოსკოვში, რომელთაც ასევე ფორმალურად ამტკიცებდნენ სკპ (ბ) პოლიტბიუროს გამორჩეული წევრებისგან შემდგარი კომისიები, ხშირ შემთხვევაში სტალინის უშუალო მონაწილეობით (ამის შესახებ იხ: ავთანდილ ქურხული, ...და რომ გვახსოვდეს, თბ.2004, გვ.351-342; რ.კვერენჩხილაძე, საბუთები ღაღადებენ, მეორე გამოცემა, თბ.2011, გვ.373-376). მოსკოვიდან ფორმალური სანქციის, ანუ დასტურის მიღების შესაბამისად კი, 1934 წლის კანონის თანახმად სასამართლოთა ფორმალური განაჩენით სასჯელის უმაღლესი ზომის, ანუ დახვრეტის მისჯილებს, როგორც წესი, ჩეკას ოპერატიული მუშაკები იმავე დღეს ხვრეტდნენ.

როგორც ცნობილია ბერიამ ჯერ კიდევ ანტიბოლშევიკური, ტოტალიტარიზმის მოწინააღმდეგე პარტიული და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის ჩეკისტური იზოლაციის დროს, X ყრილობის ტრიბუნიდან განაცხადა: „აღმოჩენილი იქნა ტროცკისტული ჯაშუშურ-მავნებლური ტერორისტული ცენტრი, რომელშიც შედიოდნენ ბუდუ მდივანი, მიხეილ ოკუჯავა, სერგო ქავთარაძე, მალაქია ტოროშელიძე, სიმონ ჩიხლაძე, ნიკო კიკნაძე და სხვები...

ტროცკისტთა ცენტრის მთელს მავნებლურ, ჯაშუშურ და ტერორისტულ მუშაობას მეთაურობდნენ და წარმართავდნენ ბ.მდივანი, მ.ტოროშელიძე...

რაც შეეხება ისეთ ამხანაგებს, როგორებიც არიან გიორგი ყურულაშვილი, თენგიზ ჟღენტი, შალვა მათიკაშვილი, ისინი არა თუ

ახლო მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ ხალხის ცალკეულ, ამჟამად გამომჟღავნებულ მტრებთან, არამედ პირდაპირ უკავშირდებოდნენ მათ და მათი დამქაშები იყვნენ...

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით ყურულაშივილი, მათიკაშვილი და ჟღენტი მოხსნილი არიან სამუშაოდან და მასალები მათ შესახებ გადაეცა პარტკოლეგიას...

<u>ჩვენში იყვნენ</u> (! – გ.ც.) ისეთი ადამიანები, რომლებიც ლაყბობდნენ თითქოს აუტანელი რეჟიმის შესახებ ამიერკავკასიასა და საქართველოს კომუნისტურ ორგანიზაციებში, ადამიანებისადმი შეურიგებლობისა და არაობიექტური დამოკიდებულების შესახებ პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მხრივ მუშაობაში რაღაც „ჩეკისტური“ მეთოდების გამოყენების შესახებ, იმის შესახებ, რომ მშრომელთა მდგომარეობა საქართველოში თითქოს უარესდება და საქართველი დაღუპვისკენ მიექანებაო“... (საქართველოს კომპარტიის (ბ) ცკ-ის ანგარიში საქართველოს კპ(ბ) X ყრილობას, 15/V-37; ალ.ბერია, „გავაძლიეროთ რევოლუციური სიფიზლე“, იქვე: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბ.1937, 27 მაისი, გვ.91).

ბერიამ არსებული რეალობის ერთგვარ შეჯამება-შელამაზებასთან ერთად, ამ ნათქვამით დაადასტურა, რომ დამთავრდა ოპოზიციასთან ბრძოლისა და მთავარი მოწინაღმდეგეების განადგურების, ანუ იზოლირების, გამოვლენის და ბრალდების პროცესი, იწყებოდა მათი მოსპობის პერიოდი.

ბერიამ საქართველოს კომპარტიის X ყრილობის ტრიბუნებიდან მიანიშნა, რომ კონტრრევოლუციის ძირითადი ძალის განადგურების შემდეგ იწყებოდა ოპოზიციასთან ბრძოლის ახალი ეტაპი. მან მწერლებს და მათ შორის პ.იაშვილს საქართველოს კპ(ბ) X ყრილობის ტრიბუნის დონიდანვე მიუთითა, რომ „უნდა გადასინჯონ თავიანთი კავშირურთიერთობა ქართველი ხალხის (ამ დროისათვის უკვე ჩეკისტური ძიებით „დასაბუთებულ” – გ.ც.) მტრებთან – მათ შორის ნახსენები იყო პ.იაშვილის კავშირი კონკრეტულად აღნიაშვილთან, ლომინაძესთან, ჯიქიათან, ელიავასთან და სხვებთან... ბერიამ მოითხოვა მხილებულმა მწერლებმა„გამოიტანონ... ყველა

საჭირო დასკვნა, ვინაიდან არავის ნებას არ მივცემთ ითვალთმაქცოს... საბჭოთა მწერლის ან მხატვრის მაღალი სახელწოდების ამოფარებით აკეთოს თავისი შავი საქმე ხალხის მტრებთან ერთად". ბერიას ამ განცხადებიდან ყველა გამგებისათვის გასაგები გახდა, რომ იგი ეყრდნობოდა ჩეკისტურად მოპოვებულ წყაროებს, რომლებიც მის ხელში დამოკლეს მახვილის მსგავს ფუნქციას ასრულებდა და მისი სურვილის შემთხვევაში ნებისმიერი პიროვნება შეიძლებოდა გაეხადა მსხვერპლად. ასეთი პიროვნების სახით, პაოლოს მოულოდნელი და მამხილებელი თვითმკვლელობის შემდეგ, ბერიამ შეარჩია მ.ჯავახიშვილი, რომელსაც მეგობრის, პ.იაშვილის გმირული თავგანწირვის სწორი შეფასების გამო შეაწერეს ჩეკას სამძებროს მიერ სხვებისგან გამოძალული, მათ მიერვე შეთითხნილი, უამრავი ბრალდება, და რომელიც აგრეთვე ისე, როგორც სხვები, სასტიკი ზემოქმედებით აიძულეს ეღიარებინა შეწერილი ბრალდებები, შეექმნა ხელნაწერის სახით იურიდიული დოკუმენტი, რომელიც გამოიყენეს მისი და ბერიასათვის სასურველი სხვა პიროვნებების მოსასპობად. იგი გაასაღეს ფაშისტ ინტელიგენტთა ხელმძღვანელად და ჯაშუშად, რომელიც იმსახურებდა დახვრეტას. ბერიამ და მისმა ჩეკისტმა თანამოაზრე-თანამოსაქმეებმა შური იძიეს და პ.იაშვილის თვითმკვლელობის დამფასებელი მ.ჯავახიშვილი გახადეს „ცენტრალური ჩვენებების" გამოძალვის სუბიექტად. აი, როგორ ვითარებაში და რა ძირითადი მეთოდებით სწარმოებდა სამართალი 1937 წლის დიდი ტერორის დროს. ზემოთ წარმოჩენილ და ამ მიზნობრივ სიყალბეებს აუცილებლად სჭირდება ფუნდამენტალური მეცნიერული გამოკვლევა და კლასიკოსი მწერლისა და რეჟიმის მამხილებელი მამულიშვილის დამსახურებული ღირსებებით გაშუქება. ჩემი მეცნიერული ძალისხმევით სწორედ ამ საკითხებს, მათ სწორ ახსნას გავეცნობით მომდევნო თავებში.

<u>თავი III. დიდი პოლიტიკური ტერორის ახალი ეტაპის დასაწყისი. პაოლო იაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის და სხვათა ჩეკისტურ-კოლეგიალურად ნასაზრდოები ბედისწერა</u>

საქართველოს კომპარტიის X ყრილობაზე ბერიას მიერ წარმოთქმული პოსტულატები „ხალხის მტრებისა“ და მათთან კავშირში მყოფ „საბჭოთა მწერლის“ მოწოდების გაუმართლებელთა მხილების შესახებ, საფუძვლად დაედო მათ მიმართ სახელმწიფოებრივად ნასაზრდოებ დიდი ტერორის მიზანდასახულობათა შემდგომ რეალიზაციას. ამჯერად ჩეკისტური მახვილი წარიმართა ქართული მწერლობის განსაკუთრებით პოპულიარული, პატრიოტული და ამავე დროს, არსებული ტოტალიტარული რეჟიმის მიმართ კრიტიკულად განწყობილთა მიმართ. ეს პროცესი, ბერიას დავალებით, ნათალად ასახა ქართველი საბჭოთა მწერლობის კავშირის ხელმძღვანელთა მიერ ორგანიზებულმა, ე.წ. ქართველ მწერალთა პრეზიდიუმის სხდომა-დისპუტებმა.

ბერიამ საქართველოს კომპარტიის X ყრილობაზე სამაგალითოდ დაასახელა ქართველი მწერლები, რომლებსაც მიზნობრივად წაუმძღვარა პ.იაშვილის პიროვნება. მან განაცხადა: „პავლე იაშვილმა... დროა ჭკუა ისწავლოს.

სიკეთე არ მიჰყვება მის ნავარდს ლომინაძისგან ჯიქიასკენ, ჯიქიადან აღნიაშვილისკენ, ღოღობერიძისგან ლომინაძისკენ და ბოლოს ელიავას კლანჭებში.

ზედმეტი არ იქნება სერიოზულად ჩაუფიქრდნენ თავის საქციელს აგრეთვე გამსახურდია, ჯავახიშვილი, მიწიშვილი, შევარდნაძე და კიდევ ზოგიერთები...” აქედან კარგად ჩანს, რომ ბერიას მიერ ათვალისწინებული მწერლებს შორის პ.იაშვილი „ცენტრალურ” ადგილს იკავებდა. ბერიამ ამ ნათქვამს ფარისევლურად მიადევნა ვითომ შესაძლო ლოიალურობით ნაკარნახევი გაფრთხილება: „ჩემს მიერ ჩამოთვლილმა მწერლებმა უნდა იცოდნენ, რომ მათი <u>შემდგომი საქციელი</u> (! – გ.ც.), ის გარემოება, თუ რა სწრაფად გარდაიქმნებიან და დაჰგმობენ ისინი თავის წარსულ საქმეებს და კავშირურთიერთობას, <u>განსაზღვრავს</u>

ჩვენი პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებას მათდამი" (გაზ. „კომუნისტი", 1937, 15 მაისი). ეს იყო ბლეფი. სინამდვილეში ამ დროისათვის ჩეკას ძიებას და მაშასადამე ბერიას, ხელთ ეპყრა დასასჯელ და მოსასპობად განწირულ მწერლების შესახებ უკვე გამოვლენილი, ე.წ. კონტრრევოლუციონერებისგან მიზნობრივად გამოძალული „აღიარება-ჩვენებები". მათი სიმძიმე, დიდი ტერორის დროინდელი ბერიას ჩეკისტური ლოგიკიდან გამომდინარე, გამორიცხავდა პ.იაშვილის, მ.ჯავახიშვილის, ტ.ტაბიძისა და ზოგ სხვა მწერლისა თუ კულტურის მუშაკის, კერძოდ დ.შევარდნაძის მიმართ, შემწყნარებლობასა და სიცოცხლის შენარჩუნების შესაძლებლობას.

ჩემთვის ხელმისაწვდომი, ჩეკას ყოფილ არქივში გამოვლენილი არქივების საძიებო მასალებიდან, ბერიას მიერ შერისხული ქართველი მწერლების შესახებ არსებულ ჩვენებებს შორის, ყველაზე საგნობრივია ძიების მიერ ბუდუ მდივანთან ანტისაბჭოთა არალეგალურ-კონტრრევოლუციეური ბრალდებით დაკავშირებული საქართველოს სახელგამის დირექტორის ყოფილი მოადგილის, ლიდა გასვიანისა და ყოფილი ეროვნული დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის რუსთაველის თეატრის ყოფილი დირექტორიის, ალექსანდრე (საშა) ახმეტელის „აღიარებითი" ჩვენებები.

ლ.გასვიანმა ხანგრძილივი პატიმრობისა და წამების შემდეგ, 1937 წლის 27 მარტს „აღიარა": ბუდუს დავალებით ჩვენს კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში გადავიბირე პიროვნებები რომელთაგან ნაწილი ადრე შედიოდა ფაშისტურ და სხვა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციებში. მან „უჩვენა": „ მე ჩამოგითვლით პიროვნებებს, რომლებსაც გადაეცათ ჩვენი მოქმედი კ/რ ნაციონალისტური ორგანიზაციისაგან ზემოთ დასახელებული მითითებები და დავალებები სსრ კავშირიდან საქართველოს გამოყოფის მიზნით ტერორის გამოყენების აუცილებლობის შესახებ:

1. გამსახურდია კონსტანტინე – მწერალი, მკაფიოდ გამოხატული ნაციონალისტი, ფაშისტი.
2. ჭიჭინაძე – მწერალი, ნაციონალისტი-ფაშისტი.
3. ჯავახიშვილი – მწერალი.
4. აბაშელი – მწერალი, მენშევიკი.

5. ტაბიძე ტიციანი – მწერალი.

6. მიწიშვილი – მწერალი.

...ამათთაგან გამსახურდია, ჭიჭინაძე, აბაშელი დაკავშირებული იყო ვლადიმერ ჯიქიასთან“ (არქივი №9997, ფურც.310-311).

<u>ალექსანდრე ახმეტელისაგან</u> გამოძალული ჩვენებებიც, გამორიცხავდნენ სხვაგვარ დამოკიდებულებას გარდა მისი უმძიმესი გამოყენებისა და გამოვლენილთა სხვებთან ერთად მოსპობისა. ასე მაგალითად: ა.ახმეტელის 1937 წლის 17-19 მარტის ჩვენებაში აღიარებულია: „როგორც უკვე ვუჩვენე ძიებას საქართველოში არსებობდა ნაციონალური შეხედულების პიროვნებათა ჯგუფი... მისგან გამომდინარეობდა კონკრეტული ნაციონალური მიმართულებები. ამიტომ იგი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ქართული ნაციონალური ცენტრი. მართალია იგი ორგანიზაციულად გაფორმებული არ იყო, მაგრამ აწარმოებდა გარკვეულ კ-რ ორგანიზაციულ მუშაობას ანტისაბჭოთა აგიტაციით, პროპაგანდითა და კ-რ ნაციონალური უჯრედების შექმნით.

ამ ე.წ. ქართულ ნაციონალურ ცენტრში შედიოდნენ შემდეგი პირები: მწერლებიდან ჯავახიშვილი მიხეილი, გამსახურდია კონსტანტინე, დადიანი შალვა, იაშვილი პავლე, ტაბიძე ტიციანი; რეჟისორი ახმეტელი ალექსანდრე; ნაციონალური გალერეიიდან შევარდნაძე დიტო; პროფესურიდან ნუცუბიძე შელვა.

ამ ქართული ნაციონალური ცენტრის მიზნები და პერსპექტიული ამოცანები იყო: 1. საქართველო უნდა იყოს (უფრო სწორად იქნება) დამოუკიდებელი. 2. საქართველოს სჭირდება ეროვნული მთავრობა. 3. საქართველოს ისტორიული საზღვრები უნდა აღსდგეს თუნდაც აგრესიით... 4. ...ფსონი იდება ევროპულ ფაშისტურ კოალიციაზე (გერმანია). 5. ინტერვენციის დროს ეს ორგანიზაცია უნდა შეიქმნას გადაბირებით, აგიტაციითა და კ-რ პროპაგანდით.

მასობრივი აგიტაციისა და პროპაგანდისათვის იყვნენ თავად მწერლები, რუსთაველის სახელობის თატრი, კ-რ განწყობილი ქართული ინტელიგენცია და დამუშავებული ახალგაზრდობა.

ა.ახმეტელი 5-7 აპრილის დაკითხვის ოქმში წერია, რომ ქართული ნაციონალური ცენტრი შეიქმნა 1931-1932 წლებში და მასში

წამყვან როლს ასრულებენ – მ.ჯავახიშვილი, კ.გამსახურდია, პ.იაშვილი და შ.ნუცუბიძე".

ზემოთ მოყვანილი ჩეკისტურად ნაწარმოები „ჩვენებები„ და „დამატებითი სიახლე პაოლო იაშვილისა და ზოგ სხვათა შესახებ", რომელსაც ქვემოთ დამატებით, სპეციალური თავის სახით შემოგთავაზებთ, ცხადად დაგარწმუნებთ, რომ პ.იაშვილის თვითმკვლელობის (1937 წლის 22 ივლისი) დროისათვის მართლაც უკვე ყველა სიმპტომი არსებობდა იმისათვის, რომ წელში გადატეხილი „ქართული ნაციონალური ცენტრის" შემადგენლობის განადგურების პარალელურად ჩეკისტური რეპრესიების დღისწესრიგში დგებოდა ანტისაბჭოურად და პროგერმანულად განწყობილი, საქართველოს ეროვნული ინტერესებისა და „სუვერენიტეტისთვის მოღვაწე", ქართველი მამულიშვილების განადგურების ბერიასეულად დაკვეთილი მასშტაბური ამოცანა.

მწერალთა „დისპუტი" მსგავსი, სპეციალურად ბერიას მიერ დასახული ამოცანების განხორციელების მიზნით ორგანიზებული სხდომები მიმდინარეობდა ყრილობის მომდევნო (27, 28, 30 და 8-9) მაის-ივნისის ხუთი დღის დაძაბული მხილება-ჩაშვებისა და „პაექრობის" ვითარებაში. მ.ხომერიკი კი, გაზეთიდან გადმოწერილი, მიზნობრივად შემცირებული დღეთა რაოდენობის მიხედვით მკითხველს აწვდის ცნობას, რომლის მიხედვითაც სხდომები მიმდინარეობდა „სამი დღის" განმავლობაში (იხ. „ლ.ს.", 1937, 10 ივნისი, №13; მ.ხომერიკი, დასახელებული პასკვილი, გვ.80).

27 მაისის სხდომაზე მწერალთა კავშირის თავმჯდომარისა და მთავარი მომხსენებლის დ.დემეტრაძის განცხადების მიხედვით, სხდომები მიზნად ისახავდა მწერლობის „იდეური გადახრების" დაძლევას. მოხსენებაში ნათქვამი იყო: „ჩვენი ამოცანა არის, ჩვენი მწერლობის შემდგომი იდეური განიარაღების, ბოლშევიკური იდეებით შეიარაღების საკითხი". მისი განხორციელების საქმეში „განსაკუთრებული" როლი ენიჭებოდა კაცობრიობის ყველაზე მოწინავე ბოლშევიკური იდეებისა და მათ შორის ბერიას ისტორიულ მოხსენებას - „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის ისტორიის საკითხისთვის". კონკრეტულ ამოცანად დაისახა ყრილობაზე ბერიას სიტყვაში ჩამოყალიბებული ქართველი

„ცთომილი“ მწერლების მიმართ გამოთქმული შეფასებები და მათი დაძლევის გზები. ეს სამუშაო საერთო ჯამში 450-მდე ფურცელზე აისახა და მისი ზოგადი ანალიზის საფუძველზე ცხადი გახდა, რომ იგი წარმოადგენდა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან მჭიდროდ დაკავშირებული ინკვიზაციის გამოვლინებას.

„დისკუსიის“ დროს, ხელმძღვანელობის მიზანდასახულობა, ძირითადად, მათ მიერ ბერიას აზრის შემეცნებისა და მისი რეალიზაციის ამოცანათა გაგებით მიმდინარეობდა. ამდენად ყველა ხელმძღვანელი ორატორი თავის ამოცანად მიიჩნევდა საკუთარი აზრის ბერიას მიზანდასახულობათა გაგებით წარმოჩენას. მათი ნააზრევი ნათლად მოწმობს, რომ მთავარი ყურადღება უნდა დათმობოდა ბერიას მიერ მხილებულ „ხალხის მტრებთან“, მის მიერ დასახელებული მწერლების კონტრრევოლუციური კავშირების გამოვლენას. ზოგმა ბერიას მიერ მხილებულმა მწერალმაც ზუსტად ასევე, წარსული ცოდვებისგან განწმენდად გაიგო მისი და სხვათა დისკუსიაში მონაწილეობის მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა. ასე გამგებმა მწერლებმა საკუთარი წარსული წარმოაჩინეს პარტიისა და ხელისუფლების, კონკრეტულად ბერიას, მზრუნველობის ჯეროვნად დაუფასებლობად, მაგრამ ამავე დროს ამ წარსულში გონივრულად ასახეს საბჭოთა პლატფორმაზე დაგვიანებული დადგომის ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. ამასთანავე მათ თავდაცვის მიზნით განსაკუთრებით წამოსწიეს: პარტიის სწავლებისა და პოლიტიკის შესაბამისად განცდილი განწყობილება, აღფრთოვანება ბერიას მიერ ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვების გამო და ამ სოლიდარობით გამსჭვალული წერილით ბერიასადმი ერთგული თანამშრომლობის შეპირებასთან ერთად, თავისი ძველი, მცდარი პოზიციის დაგმობა. გამოითქვა დითირამბები „მსოფლიოს დიდი კაცის“ და ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელის, ანუ სტალინის პრესტიჟის დაცვის მიზნით სიცოცხლის განწირვისთვის მზადყოფნის შესახებ. მოყვანილი იქნა კონკრეტული ფაქტები საქართველოს ცეკას პირველი მდივნის პრესტიჟის დაცვის მიზნით მეგობრების მხილების, ტროცკისტის დასმენის, განადგურების, ბერიასადმი ანონიმური წერილის მიწოდებისა და მტრის განადგურების და სხვა მსგავსი საქციელის შესახებ.

პრეზიდიუმის სხდომაზე დისკუსიის დროს ერთმა კრიტიკოსმა საჯაროდ განაცხადა, რომ ა.ახმეტელი ჩეკას ორგანოებში დაასმინა და ამით მან წარმოაჩინა საკუთარი წვლილი „ხალხის მტერის“ დაპატიმრება-გამოაშკარავების საქმეში. ერთ-ერთმა ცდომილმა ბერია „სახელოვან, ვაჟკაცურ ხელმძღვანელად შეაფასა და დასძინა - „ბერიას 1935 წლის მოხსენებამ პოეტური შემოქმედების ძაფი მიმაგნებინა და გონების კარი გამიხსნაო“. ბერიას ყურადღების წყალობით საკუთარი შემოქმედებითი გამარჯვების დემონსტრირება, არა ერთმა ადრე შერისხულმა აღიარა. ბერიას და ორატორების მიერ გაკრიტიკებულმა პროლეტარულმა მწერალმა, თუ აგრეთვე საკუთარი თავის ასეთად მიმჩნევმა კრიტიკოსებმა თავზე ნაცარი წაიყარეს და შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვეს, რომ კოლეგების ძველი „ცოდვების“ მხილებით საკუთარი ხარვეზები დაებალანსებინათ. ასეთების წამქეზებლური კრიტიკა განსაკუთრებით ბერიას მიერ შერისხულებს დაატყდათ, რამაც მათი უკურეაქციაც გამოიწვია. ზოგ შემთხვევაში დისკუსია მწვავე ურთიერთ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ბერიას მიერ შერისხულ მწერლებიდან ძირითადად თავიანთი წარსული „დანაშაულობებისა“ და მოსალოდნელი ბედის შესაბამისი თავის მართლება და პარტიის მოთხოვნილებათა დონის საბჭოთა მწერლად გარდაქმნის დაპირებები გამოითქვა.

კ.გამსახურდიამ განსაკუთრებით თავგასულ პროლეტარულ მწერლებს შეახსენა ალ.აბაშელის ნათქვამი - „თქვენთვის რომ რევოლუციას არ მოესწრო სტრაჟნიკები იქნებოდითო“ (ლხცსა, ფონდი 8, აღ2, საქმე 32, ფურც 11-12). მან თავისი მეორე გამოსვლის დროს კრიტიკანი ორატორები საგანგეოდ გააფრთიხლა: „ღრეჭა და უადგილო ჩაციება ატმოსფეროს აფუჭებს, კაცს აიძულებს, ისე არ ილაპარაკოს, როგორც საჭიროა“. ამიტომ მე საჭიროდ მივიჩნიე წერილობითი პასუხი წარმომედგინაო (ლხცსა, ფ.8, აღ.2, საქმე 35, ფურც.1). დისკუსიის დროს გამოვლენილი გადაჭარბებული თავდასხმების ვითარებაში კ.გამსახურდიამ თავდაცვა-„აღიარების“ იშვიათი უნარი გამოავლინა. თავის გამართლების მიზნით ზოგჯერ თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და პიროვნული ცხოვრების ეპიზოდების ისეთი წნეხილი წარმოადგინა, რომლითაც ოპონენტები გაანეიტრალა. ამით მან, მის მიმართ გამოთქმული მოფაშისტო

მწერლის ბრალდებას თავი ნაწილობრივ მაინც დააღწია. ამასთანავე კ.გამსახურდიამ დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ გამოვლენილ „ხალხის მტრებთან“, ანუ იგივე ბერიას მტრებთან, არავითარი კონტაქტი არ ჰქონდა. ამავე დროს მან არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, სტალინის და ბერიას მიმართ ერთგულებისა და შემდგომი თანამშრომლობის მზადყოფნა ისე წარმოაჩინა, რომ მოწაინაღმდეგეებს საკუთარი შემოქმედებისათვის „გამწმენდი გრიგალისა“ და „დეზის კვრის“ ცხოველყოფელი გავლენის და გარდაქმნის მიმართ, თუ ბერიას მიმართ ერთგულებაში ეჭვის შეტანის შესაძლებლობა გამოურიცხა. კ.გამსახურდიამ კონიუნქტურის შესაბამისი მჭერმეტყველობით საკუთარი სიცოცხლე გადაარჩინა, თუმცა ისიც შეინიშნება, რომ მის გადარჩენში გარკვეული დადებითი როლი, ადრე მისმა სოლოვკებში გადასახლების ინიციატორის, ბერიას მიერ, მისი ახალი რომანის - „მთვარის მოტაცების“ გამო გამოთქმულმა ქათინაურმაც ითამაშა.

საკუთარი თავი გაცილებით იოლად გადაირჩინა გ.ლეონიძემ. მას მძაფრი კომფლიქტური სიტუაცია არ შექმნია, რადგან ხელი შეუწყო მისმა პუბლიკაციების ციკლმა სტალინის ბავშვობასა და ყრმობის შესახებ, რომელმაც პარტიის ლიდერების მხარდაჭერა და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

ბერიას მიერ შერისხული მწერლებიდან კ.გამსახურდიას მსგავსი დამაჯერებლობით საკუთარი შეცდომებისგან განწმენდისა და „პარტიის“, ანუ იგივე ბერიას მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნის მტკიცება არავის გამოუვიდა. ამის მიზეზი, ჩემი აზრით ის იყო, რომ ჯერ ერთი, მათ მიმართ იმთავითვე იყო განსაზღვრული მომავალი უბედურება. მეორე მხრივ ამ გარდაუვალ ბედისწერას ხელი შეუწყო, აგრეთვე მათი მხრივ შეცდომებისაგან განწმენდისათვის მზადყოფნის არადამაჯერებლობამ და ბრალდებების გამო თავდაცვამ. მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც ის იყო, რომ მათ ბრალად ედებოდათ ბერიას მტრებთან „ხალხის მტერ“, ტროცკისტებთან კავშირი და ამ კავშირის მთავარი იდუმალი მოტივი – ბერიას განადგურების მისწრაფების ჩეკისტურად დასაბუთებული ბრალდება.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ნიკოლო მიწიშვილი. მისი ბედისწერა დისკუსიის დროისთვის უკვე დიდი ხნის გადაწყვეტილი იყო. ამ მხრივ მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა, ერთი მხრივ მეგობრების ვიწრო წრეში ბერიას პოლიტიკისა და პირადად ბერიას გაკრიტიკება-გალანძღვასა და ამის გამო ბერიას სასტიკ მუქარას (იხ. რ.კვერენჩხილაძე, დასახელებული მონოგრაფია, გვ.319-322). მეორე მხრივ, ნ.მიწიშვილს უაღრესად სერიოზულ და მომაკვდინებელ ბრალდბად უნდა ჩათვლოდა 1937 წლის 7 მაისის მწერალთა პრეზიდიუმის სხდომაზე საჯაროდ გამოთქმული სიმართლე, იმის გამო, რომ ზოგი აღზევებული მწერლების შემოქმედება ბერიას დაკვეთით იქმნებოდა (ლხცსა, ფ.8, აღ.1, ს.525, ფურც.46). ამასთანავე მას ბრალი დასდეს სტალინისა და ბერიას მტრებთან – პირუმოვთან, აღნიაშვილთან, გ.ელიავასთან, მ.ტოროშელიძესთან და სხვებთან „განსაკუთრებული სიახლოვესა“ და „მეგობრობაში“. მისი ბედი განსაზღვრა ადრე დაპატიმრებულთა, მათ შორის, პარიზში საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობისა და სხვა მაღალი თანამდებობრივი პოსტებზე მყოფი ფირუმოვის მიერ საკუთარი და ნ.მიწიშვილის ჯაშუშობის „აღიარებითმა“ ჩვენებებმა. ნ.მიწიშვილმა დისკუსიის დროს უკვე იგრძნო თავისი გამოუვალი მდგომარეობის შესახებ, მაგრამ იგი მაინც შეეცადა თავის გადარჩენას. ნ.მიწიშვილმა პარტიის ხელმძღვანელის მხრივ საკუთარი პიროვნების მიმართ დამოკიდებულება გააშუქა, როგორც „არსებული ისე მოსალოდნელი“ საფრთხე. მან 27 მაისის სხდომაზე განაცხადა: „გამოვიტანე ის დასკვნა, რომ არსებობს სურვილი არა ჩემი უფსკრულში გადადევნისა, არამედ სამშვიდობო გზაზე გამოყვანისა, ჩემი ლიტერატურულად და პოლიტიკურად უფრო მეტი გააქტიურებისა... შეგნებული დანაშაული მე არცერთი არ ჩამიდენია პარტიისა და ხელისუფლების წინაშეო...“ (ლხცსა, ფ.8, აღ.2, ს.29, ფურც.45-46). მაგრამ 30 მაისის სხდომაზე მას შეახსენეს, რომ მის შესახებ ბერიას „გაფრთხილების ქვეშ ურყევი ფაქტები არის“ (იქვე, საქმე 32, ფურც.89). ნ.მიწიშვილს თავის მართლების შესაძლებლობაც არ მისცეს. იგი „დისკუსიის“ დამთავრებამდე დააპატიმრეს, 8 ივნისის სხდომაზე საჯაროდ გამოაცხადეს: „ორი აზრი არ არსებობს მიწიშვილი ხალხის მტერი და პროვოკატორიაო“. კენჭი უყარეს და

როგორც არსებული წესი მოითხოვდა, გარიცხვის გადაწყვეტილება ერთხმად მიიღეს (იქვე, საქმე 34, ფურც.2).

ტიციან ტაბიძეს „დისკუსიის“ დროს ბრალდებადაც წაუყენეს: 1936 წელს გამოცემულ წიგნში შეიტანე ლექსები გრიგოლ რობაქიძეზე, მაშინ როცა მისი ფაშიზმი უკვე გამორკვეული იყოო. მწერალთა კავშირის ყრილობაზე ბუხარინს „უვაჟაემი“ უწოდეო. თავდაცვის მიზნით განწყობილმა ტიციანმა თავი იმართლა - „აბა დედას ხომ არ ვაგინებდიო“ (იქვე, საქმე 29, ფურც.55). მან, როგორც ჩანს, ნ.მიწიშვილის უბედურება საყურადღებო მძიმე გაკვეთილად მიიღო: „მე მიწიშვილის შესახებ სიტყვა ჯაშუში მაჟრიალებსო“ და ყველა თავისი ბრალდების გამო გამამართლებელი არგუმენტის წარმოჩენას მიმართა. გრ.რობაქიძის საზღვარგარეთ გასვლის მომწყობად ს.ორჯონიკიძე ამხილა. ახმეტელის მიმართ მეგობრობა და თანადგომა არ უარჰყო, მაგრამ განაცხადა – მის მიმართ დამოკიდებულებაში პარტიის იმდროინდელ ხაზს ვიცავდიო. ლომინაძესთან სიახლოვეს მისი ნაციონალ უკლონისტებთან ბრძოლის წარმოჩენა დაურთო. ღოღობერიძესთან ურთიერთობაში დაპირისპირების მიზნით წარმოაჩინა ის, რომ „ის იცავდა მარჯანიშვილს, მე კი ახმეტელსო“. ახმეტელი ქუჩაში რომ აგინებდა ხალხს მე არ ვიმეორებდი, თანამდებობის მქონეთა სიახლოვეს არ ვიყენებდი, „არ მქონდა შემთხვევა, რომ კაბინეტში შევსულიყავი და მეთქვა, რომ ისინი მემარჯვენეები არიან, დასახვრეტები არიან და სხვა“. ამის მერე ჯიქიაზე, აღნიაშვილზე და სხვა „ხალხის მტრებად“ გასაღებულებზე ისურვა საუბარი. სანდრო ეულმა რეპლიკა ესროლა - „სწორედ ეს გვაინტერესებსო“. ბარიასთვისაც ეს იყო მთავარი და განსაკუთრებით საინტერესო.

ტ.ტაბიძემ აღნიაშვილთან სიახლოვე მათი ცოლების ნათესაობით ახსნა. „ჯიქია ჩემი სკოლის ამხანაგი იყო... წიგნი დავწერე, ისე გამომივიდა, რომ ვითომ... დიდი რევოლუციონერია... მაგრამ არაფერი გამიკეთებია ისეთი, რომ კაცმა სხვა რამ დამწამოს...“ ს.შანშიაშვილმა იკითხა: „ყურულაშვილთან არ ჰქონდა დამოკიდებულება ტიციანს?“. ამ შეკითხვის გამო ტ.ტაბიძემ თავი იმართლა: „თეატრის გამო მემტერებოდა“, მაგრამ „ვერავინ

დამაბრალებს, რომ ყურულაშვილის დავალებით რამე გამიკეთებიაო“ (იქვე, საქმე 35, ფურც.18-30).

ტ.ტაბიძეს თავის მართლებამ არ გაუმართლა. დ.დემეტრაძემ 9 ივნისის, ბოლო, შემაჯამებელი გამოსვლის დროს აღნიშნა მისი მონაწილეობა „დაუსრულებელ ბანკეტებზე“ და „საეჭვო ხალხთან“ (იქვე, ფურც.85). ისე გამოვიდა, რომ ტ.ტაბიძემ ბოლომდე მაინც არ გახსნა მისი ინტიმური ურთიერთობა „ხალხის მტრებთან“. მაშასადამე, ტიციანმაც თავი აარიდა ბერიას დავალებათა გულრწფელ შესრულებასა და მისი იდუმალი ინტერესის მთავარი არსის გახსნას.

„დისკუსიის“ დროს, ნ.მიწიშვილის შემდეგ, ყველაზე მძიმე ზეწოლა განიცადა პ.იაშვილმა. მას მუდმივად ახსენებდნენ ბერიას საყვედურს, „მის ნავარდს“ ხალხის მტრებს შორის. მისგან დაჟინებით მოითხოვდნენ საფუძვლიანად, ბოლომდე გამოემჟღავნებინა რატომ ჰქონდა ადგილი მჭიდრო ინტიმური ურთიერთობა ბერიას მიერ დასახელებულ „ხალხის მტრებთან“. რატომ ნავარდობდა „ლომინაძიდან ჯიქიასკენ, ჯიქიადან აღნიაშვილისკენ, ღოღობერიძიდან ლომინაძისკენ“ და როგორ ჩავარდა „ბოლოს ელიავას კლანჭებში“. ბერიამ პ.იაშვილს, აღნიშნულის გამო, მუქარაც დაურთო: „დროა ჭკუა ისწავლოს სიკეთე არ მოყვება მის ნავარდსო“. აქედან ზოგისთვის ისე ჩანს, რომ თითქოს ბერია პ.იაშვილის მიმართ მზრუნველობას ავლენდა. მაგრამ დისკუსიის პროცესში პაოლოს მიმართ დამოკიდებულებამ ცხადყო, რომ მეთოდურად მიმდინარეობდა მისი ფსიქიკურ-მორალური განადგურების პროცესი. ცხადი იყო, რომ ნიადაგი მზადდებოდა პ.იაშვილის მწერალთა კავშირიდან გარიცხვისა და დიალოგის ჩეკაში გაგრძელებისათვის. ეს იყო შურისძიება არა პაოლოსთვის ჯერ კიდევ ბოლომდე შეუცნობელი, მისი და თანამოაზრე მეგობრების ჩეკისტურ ბრალეულობათა გამო, არამედ აგრეთვე, პაოლოს მეგობარ, ბერიას მიერ დასახელებულ, მის შეურიგებელ პირად მტრებთან უაღრესად მჭიდრო ინტიმურ ურთიერთობათა მთავარი სულისკვეთების აუხსნელობის გამო.

პ.იაშვილი, ბერიას ანგარიშით, რჩებოდა იმ ერთად-ერთ ცოცხალ მოწმედ, რომელსაც თავიდან ბოლომდე უნდა სცოდნოდა

ბერიას მიერ „ხალხის მტრებად“ გასაღებული პაოლოს მეგობრების გაუბედურება – მოსპობის ნამდვილი მიზეზები – ტერორისტული შეთქმულება სტალინისა და ბერიას მიმართ. ამის შესაძლებლობის რწმენას აძლიერებდა მათთან პაოლოს მჭიდრო, მეგობრულ-ინტიმური ურთიერთობები. ამასთან დაკავშირებით, მძლავრობდა ეჭვი, რომ მართლაც შეიძლებოდა პაოლოს ის სხვა ამბებიც სცოდნოდა, რომლის გამხელასაც მისგან ნართული აზრით მოითხოვდნენ, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ მას კარგად ესმოდა – მის ასეთ „აღიარებას“ უთუოდ მოჰყვებოდა პრესაში შესაბამისი საჯარო პუბლიკაციის გამოქვეყნების მოთხოვნა.

ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით ცნობილია, რომ საქმის ვითარება მდგომარეობდა შემდეგში: ჯერ ერთი, ჩეკისტური ძიების წყაროები „ადასტურებენ“, რომ ბერიას მიერ განდევნილი, უპირატესად მოსკოვში მოღვაწე და თბილისში შემორჩენილი, ჩეკაში მსხდარი ბერიას მიერ დევნილი პირადი მტრები აქტიურად მუშაობდნენ ბერიას მოსპობისთვის. მეორე, პაოლოს უთუოდ უნდა სცოდნოდა, რომ ბერიასთან მათი სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებისათვის არსებობდა უმთავრესად პიროვნული შეუთავსებლობისა და პირადი მტრობის მიზეზები. ამასთანავე პაოლოსთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, აგრეთვე, აღნიშნული შეუთავსებლობა-მტრობის კონკრეტული მაგალითებიც. ერთი ასეთი მაგალითი იყო ის, რომ ბერია თავდავიწყებით ცდილობდა მოეპოვებინა ბ.ლომინაძის ბინაში მცხოვრები უახლოესი ნათესავის, მშვენიერი სტუდენტი ქალიშვილის „თ“-ს განწყობილება. ამ დროს ბერია იყო ამ ულამაზესი ქალიშვილისთვის უაღრესად შეუფერებელი გარეგნობისა და ამავე დროს უკვე ნინო გეგეჭკორზე დაქორწინებული. ეს ის დროა როცა ბ.ლომინაძე იყო ამიერკავკასიის კომპარტიის სამხარეო კომიტეტის მდივანი, ხოლო ბერია – საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოების, ანუ ჩეკას უფროსი. როცა ბ.ლომინაძემ ბერიას ინტერესის შესახებ, მას მოთხოვა საჭირო თავშეკავება და სათანადო დამოკიდებულება თავისი ნათესავის მიმართ, ამის შემდეგ ისე მოხდა, რომ ეს ქალიშვილი გახდა ვ.ჯიქიას მეუღლე, მაგრამ ბერიასთვის ეს არ აღმოჩნდა საკუთარი მიზანდასახულობის აღსრულების

შემაკავებელი. ცოლმა გაუმხილა ვ.ჯიქიას, რომ ბერია ცდილობდა მასთან ინტიმური ურთიერთობების მიღწევას (საქმე №17988, ფურც.195; №5975, ტ.4, ფ.131). ამ დროს ვ.ჯიქიას ოჯახთან მეგობრობენ გ.ელიავა, ა.ახმეტელი, კ.გამსახურდია და საქართველოს კულტურის, მწერლობის, მეცნიერების, აგრეთვე პარტიული და სამეურნეო სფეროს ის ცნობილი წარმომადგენლები, რომლებიც ბერიასთან მტრულ, ან მწყრალ ურთიერთობაში იყვნენ და მათგან ზოგმა კიდეც იცოდა ოჯახის მიმართ ბერიას მიზანდასახულობის შესახებ. ბერია, თავის მხრივ, ეჭვიანობდა ვ.ჯიქიას ოჯახის მეგობარ ბაქტერიოლოგ გ.ელიავას მეტოქეობას. ეს იყო მათდამი ბერიას მტრობის სერიოზული მიზეზ-საბაბი.

არსებობს სხვა მაგალითიც: ვ.ჯიქიას და ბერიას ბინები მდებარეობდა ერთმანეთის მახლობლად. ერთ დღეს როცა ვ.ჯიქიას საკუთარი ბინის ვერანდაზე ჰქონდა მცირე წვეულება და დამსწრეებს შორის იყვნენ ა.ახმეტელი და კ.გამსახურდია, ახმეტელს შეუნიშნავს თავისი ბინის ბალკონზე მჯდარი ბერია, მისთვის დაუძახია: „ლავრენტი მოდი!“ ასეთი მიმართვა უთუოდ იყო ერთგვარი ირონია. იგი კ.გამსახურდიას ფამილიარობად მიუჩნევია. ა.ახმეტელს კი, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყოფილ ლიდერსა და რეპრესიების გადამტანს, ბერიასადმი, როგორც 1920-იანი წლების ჩეკისტური რეპრესიების ორგანიზატორის და მისი მეგობრების მოსპობის მიმართ, უთუოდ უნდა ჰქონოდა ფარული მტრობა. ასეთივე განწყობილება ახასიათებდა ბერიას მიმართ ვ.ჯიქიას. ამდენად სავარაუდოა, რომ ბერიას შესახებ აქ, ფამილიარულის გარდა ბევრი ისეთი რამ ითქმოდა, რომელსაც ბერიას ინტერესისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ცნობილია ა.ახმეტელის სიფიცხე და თავშეუკავებლობაც. ისიც ცნობილია, რომ მას ბერიასთვის დედაც შეუგინებია, მაგრამ უცნობია ეს სად და როდის მოხდა. ის კი ცნობილია, რომ ბერიას მისი „კეთილისმოსურნეებისთვის“ ცნობილი ჩეკისტი ჭიჭიკო რაფავა აუდევნებია. ჰოდა, საფიქრალია, რომ ჭიჭიკომ ბერიას ახმეტელის შესახებ ისიც ჩაუკაკლა რაც მოისმინა და ისიც, რაც თვითონ დაუმატა. მაგრამ, ჩემი აზრით მთავარი მაინც ის არის, რომ ვ.ჯიქიას უახლოეს სამეგობროს წარმოადგენდნენ საქართველოს პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურის

სფეროს ყოფილი ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც მოსკოვში და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა პუნქტებში იყვნენ გაფანტულნი. მათ ერთ ნაწილს საქართველოდან ფაქტობრივი განდევნის შემდეგ, პერიოდული საქმიანი და მეგობრული შეხვედრები ჰქონდა მოსკოვში მცხოვრებ დევნილებთან, მათ შორის ლ.ღოღობერიძესთან. მეგობრები ლ.ღოღობერიძის, სხვათა ბინებსა თუ რესტორნების მეგობრულ სუფრაზე ხვდებოდნენ, ქართველებისათვის დამახასიათებლად ღრეობდნენ, როგორც აუცილებელი დანართი, პოლიტიკაზე ბჭობდნენ, ბერიას აგინებდნენ და როგორც მათი შემდგომი, ჩეკას ძიების მიერ მოპოებული „ჩვენებები“ მეტყველებენ, ბერიას განადგურების საქმესაც მოსკოველ „თანამოაზრე-თანამებრძოლებთან“ კავშირში გეგმავდნენ. მართალია ამ „სიმართლის“ შესახებ ბერიას უაღრესად მდიდარი და ამომურავი ჩეკისტური დოკუმენტაცია გააჩნდა, მაგრამ ფართო საზოგადოებრივი დამაჯერებელი აზრის შესაქმნელად ოქროზე დიდი ფასი ენიჭებოდა ამ შეთქმულების მონაწილე, თავისუფლებაში მყოფი უაღრესად პოპულიარული მწერალი მეგობრების, მათ შორის, განსაკუთრებით კი, პაოლო იაშვილის ოფიციალურ დადასტურებას. როგორც „დისპუტის“ მთელი მრავალმხრივი მასალის ანალიზიდან ჩანს, იგი ძირითადად სწორედ მსგავსი ამოცანის შესრულებას ემსახურებოდა. ამიტომ სასურველად მესახება პ.იაშვილის ბერიასეულ ბრალეულობის მოგერიების მახასიათებელთა ფონზე წარმოჩენა. ამ პრობლემის გაშიფვრა საშუალებას გვაძლევს დამატებით გავარკვიოთ, არა მხოლოდ პ.იაშვილის თვითმკვლელობაში მ.ჯავახიშვილის ბრალის შესახებ მ.ხომერიკის აზრის უსაფუძვლობა, არამედ რაც ასევე მნიშვნელოვანია, დამატებითი კონკრეტული მაგალითით წარმოვაჩინო საქართველოში განხორციელებული დიდი ტერორის თავისებურება. ამის შესაძლებლობას მაძლევს პ.იაშვილის მიმართ ბერიას ნებით განხორციელებული სახელისუფლებო ზეწოლისა და „სადისკუსიო“ ბატალიების დროს მის მიერ გამოვლენილი მაგალითები. ზემოთ ნათქვამი მიზანდასახულობისთვის საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოს კომპარტიის X ყრილობამდე, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მიერ პ.იაშვილი და ტ.ტაბიძე აღიარებულნი

იყვნენ პარტიის იდეოლოგიისათვის შეუთავსებელი, „ცისფერყანწელთა“ ბოჰემური პოეზიისგან განწმენდლილად და თავიანთი ბოლოდროინდელი ნაწარმოებებში, ძველი პოეტური ხერხების გამოყენების მიუხედავად, საბჭოთა პოზიციაზე მდგარ მწერლებად. მ.ჯავახიშვილიც, მიუხედავად მისი ბოლოდროინდელი მწერლური შემოქმედების უკიდურესი კრიტიკული შეფასებისა, კვლავ რჩებოდა ყველაზე პოპულიარულ და სახელოვან მწერლად. ასე მაგალითად:

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის 1937 წლის პირველ, 16 მარტის სხდომაზე, დ.დემეტრაძის მოხსენებაში ითქვა, რომ: ცისფერყანწელები პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე და სხვები გამომჟღავდნენ უიდეო ლირიკის პროდუქციით, დაშორებული იყვნენ საბჭოთა პოეზიას, იყო ბევრი ბრძოლები, კრიტიკამ მიუთითა და საქმე გამოსწორდა (ლხცსა, ფონდი.8, აღ.1, ს.661, ფურც.13). მეორე დღეს, 17 მარტის პლენუმის სხდომაზე გამოსულებიდან: კ.ლორთქიფანიძემ განაცხადა: „გუშინ გამოვიდნენ პ.იაშვილი და ტ.ტაბიძე... ეს იყო ჩინებული ნამდვილად საბჭოთა მწერლების გამოსვლა“ (იქვე, საქმე 662, ფურც.17). ლ.ქიაჩელის შეფასებით „ტ.ტაბიძე და პ.იაშვილი ჩვენი საუკეთესო საბჭოთა პოეტები არიან, წერენ საბჭოთა ლექსებს... (იქვე, ფურც.50). მან ამასთანავე დასძინა გ.ბააზოვმა ალკაზარი დაიწყო ბერიას მიერ აქ გამართული თათბირის მერე და მკთხველის აღფრთოვანება გამოიწვიაო (იქვე, ფურც.59). შ.აფხაიძემ განაცხადა: „პ.იაშვილი და ტ.ტაბიძე მე მიმაჩნია ნამდვილ საბჭოთა მწერლად და მაინცა და მაინც დიდი განსხვავება არ არსებობს პ.იაშვილსა და ტ.ტაბიძეს შორის, ერთი მხრივ, და რომელიმე კომუნისტ მწერალს შორის მეორე მხრივ... დღეს ყველასთვის უდაო და ნათელია, პ.იაშვილმა და ტ.ტაბიძემ... გარდაქმენს თავიანთი მუშაობა – გახდნენ ნამდვილი საბჭოთა მწერლები. დღეს ამის შესახებ აღარავინ დაობს... (იქვე, ფურც.70).

როგორც უკვე, აღინიშნა, X ყრილობამდე, 5 მაისიდან ჩატარებული საქართველოს მწერალთა ხუთი სხდომა მიეძღვნა სკპ(ბ) ცკ-ის უკანასკნელი პლენუმისა და მასზე სტალინის მიერ დასახულ ამოცანების მიხედვით მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე

მსჯელობას. პლენუმის მთავარი მომხსენებლისა და სიტყვით გამოსულთა მიერ გამოითქვა საყურადღებო კრიტიკული აზრები უპარტიო ქართველი საბჭოთა მწერლების შემოქმედებაში არსებული ხარვეზების შესახებ. მაგრამ ამასთანავე აკ.თათარაშვილის მიერ ითქვა: „კ.გამსახურდიას წიგნში „მთვარის მოტაცება“ გარკვეული ნაბიჯია ავტორის იდეურ მხატვრული ზრდის. მაგრამ როგორც აქ დამატებით ითქვა მწერალი ჯერ ვერ განთავისუფლდა უცხო იდეური ტვირთისაგან“; „ისეთ მწერალსაც კი, როგორიც არის მიხეილ ჯავახიშვილი, რომელიც აღიარებული არის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძალად ჩვენი თანამედროვე მწერლებისა და რომელიც სარგებლობს პოპულიარობით მასებში, როცა ის შეეხო თანამედროვე თემებს, განიცადა იდეური და მხატვრული მარცხი (იქვე, აღ.1, საქმე 592, ფურც.20-21). მისი შეფასებით: პ.იაშვილის ციკლი „ახალი კოლხიდა“... თემის სიმახვილით წარმოადგენს მხატვრული ოსტატობის ღირშესანიშნავ ნიმუშს“ (იქვე, ფურც.40).

9 მაისის სხდომაზე ითქვა რომ: „გ.ლეონიძის პოემა ბელადზე, ძვრების მაჩვენებელია ქართული პოეზიისა“; „პ.იაშვილს აქვს ცდები პოემის შექმნისა“, ნ.მიწიშვილი წერს დიდ პოემას, სადაც იქნება ასახული XX საუკუნის აღმიანის ცხოვრება; ტ.ტაბიძე ლექსს უძღვნის „ორდენოსან სამშობლოს“. დასკვნის სახით ითქვა - „ჩვენს პოეზიას აღებული აქვს სწორი გეზი... საჭიროა მეტი მუშაობა“ (იქვე, ფურც.10-11).

შ.რადიანმა მ.ჯავახიშვილს „არსენა მარაბდელი“ დიდ გამარჯვებად აღიარა. იგი სსრ კავშირში ერთ-ერთ უძლიერეს ნაწარმოებად იქნა აღიარებული... ამ ნაწარმოებით მ.ჯავახიშვილმა სერიოზული იდეური ზრდა მოახდინაო“. მან ამასთანავე გააკრიტიკა მ.ჯავახიშვილის უკანასკნელი ნაწარმოებების იდეური და მხატვრული დონე, „ქალის ტვირთში“ შეეცადა მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ მეტად არასასიამოვნო, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდაო (იქვე, 23-24).

მაშასადამე საქართველოს კომპარტიის X ყრილობამდე ქართულ მწერლობაში განსაკუთრებით საგანგაშო ვითარება არ აღნიშნულა და მდგომარეობაც, საერთო შთაბეჭდილებით, დადებითად შეფასდა. მაგრამ ყრილობაზე ბერიას მოხსენებაში

ჩამოყალიბებული საქართველოს პოლიტიკურ-იდეოლოგიური სიტუაციების შეფასებისა და შესაბამისი ამოცანების დასახვის შემდეგ მწერალთა კავშირში ატმოსფერო, როგორც ნაწილობრივ უკვე ითქვა, რადიკალურად შეიცვალა. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა პ.იაშვილის მიმართ.

მართალია დისპუტის დროს დამაიმედებლად წარმოჩნდა – ბერიამ ისიც თქვა, პ.იაშვილმა „დროა ჭკუა ისწავლოსო“ და ისიც აღნიშნა: „ჩემს მიერ ჩამოთვლილმა მწერლებმა უნდა იცოდნენ, რომ მათი შემდგომი მოქმედება, ის გარემოება, თუ რა სწრაფად გარდაიქმნებიან და დაგმობენ ისინი თავის წარსულ საქმეებსა და კავშირ-ურთიერთობას, განსაზღვრავს ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებას მათდამიო“ (იხ. ლხცს, ფ.8, აღ.2, ს.29, ფ.23), მაგრამ, როგორც მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, ეს მასებში პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების და პირადად ბერიას „დიდსულოვნება-ჰუმანურობის“ დემონსტრირებისთვის იყო ნათქვამი. სინამდვილეში კი, ადამიანებისათვის დამახასიათებელი ზნეობრივი ცდომილებების გამო, იმდროინდელ საქართველოში, განსაკუთრებით ჩეკას ორგანოებში და ამდენად თვით მწერლებში, იმდენად მრავლად იყვნენ ბერიას გულის მოგებით დაინტერესებულნი, რომ არ არსებობდა პ.იაშვილის და ზოგი სხვა მწერლის გადარჩენის არავითარი შანსი. საკმარისია აღინიშნოს, რომ მწერლებს განემარტათ არა მარტო პ.იაშვილის ე.წ. „ხალხის მტრებთან“ მეგობრობა, არამედ, აგრეთვე იმის შესახებაც, რომ

„ელიავა(რომლის კლანჭებშიც ჩააგდო ბერიამ პ.იაშვილი – გ.ც.) აღმოჩნდა უცხოეთის კონტრრევოლუციური დაზვერვის აგენტი“ (იხ. იქვე).

ჩეკას ბობოლა მუშაკებმა, რომლებიც ბერიას გარემოცვას ქმნიდნენ და მის დავალებებს უსიტყვოდ და ზგჯერ მიხვედრილობითაც ასრულებდნენ, მშვენივრად იცოდნენ, რომ დასახელებული „ხალხის მტრები“. ბ.მდივანი, მიხეილ და კოლია ოკუჯავები, მ.ორახელაშვილი, ლ.ღოღობერიძე, გ.ყურულაშვილი, მ.ტოროშელიძე, და ამ დროისთვის ასევე „ხალხის მტრებად“ გასაღებული, ჩეკას პატიმრობაში მყოფი სხვა, საქართველოს ყოფილი უმაღლესი პარტიული საბჭოთა, სამეურნეო მუშაკები და

„უცხოეთის კონტრევოლუციური დაზვერვის აგენტი“, ბაქტერიოლოგი პროფესორი გ.ელიავა, იყვნენ ბერიას პირადი მტრები და მისი ნება-სურვილით „გამოაშკარავებულები“. ამიტომ მათთან მჭიდრო კავშირში მყოფ პ.იაშვილს არ შეიძლება ჰქონოდა სიცოცხლის შენარჩუნების რაიმე შანსი. მაგრამ ბერიამ პ.იაშვილსა და „ხალხის მტრებთან“ დაკავშირებულ სხვა მწერლებს იმიტომ „დაუტოვა“ გადარჩენის იმედი, რომ ჯერ ერთი, მათ მეგობარ „ხალხის მტრებზე“ აემხედრებინა ქართველი ხალხის სიყვარულით გარემოცული მწერლები და მეორე, მწერლების ურთიერთწაქეზებით გაექარწყლებინა მათი ავტორიტეტი, მოემზადებინა იდეური ატმოსფერო მათ მიმართ შემდგომი ჩეკისტური დამოკიდებულებისათვის. ეს აუცილებელი პირობა იყო ბერიას და საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ურჩი პოლიტიკოსების და მწერლების წინააღმდეგ შეთითხნილი ჩეკისტური ბრალეულობებისათვის დამაჯერებლობის მინიჭებისა და მათი მოსპობისათვის. აქ საოცარი მხოლოდ ის არის, რომ „უცხოეთის აგენტის“ „კლანჭებში“ ჩავარდნილად, უკვე ამ დროს, არ გამოცხადდნენ, აგრეთვე ტ.ტაბიძე, ნ.მიწიშვილი, დ.წერეთელი, მ.ჯავახიშილი და სხვა ისინი, რომლებსაც ამ დროისთვის და ამის შემდეგ შეუთითხნეს მსგავსი პრობლემები. როგორც ჩანს, ჩეკისტურ ყალთაბანდობასაც ჰქონდა მყარი ლოგიკის, დროისა და სივრცის გათვალისწინების მოთხოვნები.

„დისპუტის“ მთავარ კითხვად გამოიკვეთა ის, თუ რა მიზნით იყვნენ დაკავშირებული „ხალხის მტრებთან“ გაკრიტიკებული „ცისფერყანწელები“ და განსაკუთრებულ მიზნად გამოცხადდა იმის გარკვევა, თუ რით და როგორ იყო დაკავშირებული „ხალხის მტრებთან“ პ.იაშვილი.

პარტიის ყრილობაზე ბერიას მიერ წარმოთქმულ მომაკვდინებელ საბრალდებო სიტყვას, აგრეთვე საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებულ, პირველსავე სხდომაზე, კრიტიკოსი კომუნისტების მიერ ბერიას მიერ გამოთქმულ ბრალდებებს, დაუყოვნებლივ გამოეხმაურა „ბრალდებული“ პ.იაშვილი. მან სიტუაციის საკუთარი შეფასებიდან გამომდინარე, ბერიას სიტყვა „მწერლებისთვის სახელმძღვანელოდ“

შეაფასა (იქვე, ფურც.31). მან მოიყვანა მაგალითები იმის საილუსტრაციოდ, რომ არა ერთხელ ჰყავდა გაკრიტიკებული ცისფერყანწელთა დეკადენტური განწყობილებები, რომ ახლა მიზნად ისახავს გაარკვიოს როგორ იყო დაკავშირებული ხალხის მტრებთან. მაგრამ ეს მიზანი მან თავდაცვის სახით წარმოაჩინა.

აღნიშნული მიზანდასახულობის შესრულებას პ.იაშვილმა საკმაოდ ვრცელი სიტყვა მოანდომა. იგი შეეცადა ბერიას მიერ უკვე განწირულად გამჟღავნებლებთან გამმიჯნავი მაგალითების გადმოცემას და მათთვის დამაჯერებლობის მაქსიმალურად მინიჭებას. მაგრამ მის გულრწფელობას ახლდა შინაგანი წინააღმდეგობა და ის იდუმალება, რომელიც ხელზე დაიხვიეს „ობიექტურობისა და სრული სიმართლის“ მაძიებელმა კრიტიკოსებმა.

პ.იაშვილმა „უცხოეთის დაზვერვის აგენტის“, გ.ელიავას კრიტიკას მოაყოლა: „მისგან გამიგონია უწმაწური ანეგდოტები, „პოშლიაკური“ ლექსები, არ მიკვირს რომ... მტრების პირველ რიგში აღმიჩნდაო“. მან პ.აღნიაშვილის მიმართ არ დაიშურა დამამცირებელი შეფასებები, რომლის დროსაც ისიც აღნიშნა: „დავუახლოვდი მოსკოვში, როცა ის ღოღობერიძესთან ცხოვრობდა, გაუწონასწორებელ პიროვნებად შევიცანი”; „ერთხელ კახიანს ძალიან აქებდა, მერე მიწასთან ასწორებდაო“. პ.იაშვილმა მოიყვანა ასეთი მაგალითი: „ჯიქია ქუთაისში მიდიოდა, აღნიაშვილიც თავისი ვაგონით მიდიოდა დასავლეთში, მოგვიწვია... გორამდე გამიყოლა. ეს ის დროა, როცა გამოვიდა ცკ-ის დადგენილება რუსთაველის თეატრზე. მატარებელში იყო კოლია ამირაღოვი და ჩემთვის უცნობი აჭარელი პარტმუშაკი. ჩამოვარდა ლაპარაკი რუსთაველის თეატრზე. მე გამოვთქვი შიში, რომ ახმეტელი არ დაემორჩილება დაგენილებას და შეიძლება საქმეს გართულება მოჰყვეს. წამოვარდა აღნიაშვილი, დაიწყო ყვირილი, გაანადგურა ახმეტელი, უწოდა მას ხულიგანი, ფაშისტი, გაიძვერა. მე შევეცადე ჩემი აზრის დასაბუთებას, არა ქნა. ამირაღოვი და აჭარელი დასაძინებლად წავიდნენ. აღნიაშვილი ადგა, კარები დახურა და ღიმილით თქვა დამშვიდებულმა: „ახმეტელი მე ძალიან მიყვარს, ყოველმხრივ ვეხმარები, მაგრამ ამირაღოვთან და იმ ამხანაგთან სხვანაირი თქმა არ შემეძლო“ (იხ. იქვე, ფ.31-34). აღნიშნული ერთგვარ ჩრდილს აყენებს მთხრობელს, მაგრამ

მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს, რომ იგი ამ დროს თავს ისევე იზღვევდა, როგორც ადრე პ.აღნიაშვილი და სხვები. იგი ვარაუდობდა, რომ ბერიას მიერ ნასაზრდოებ ვითარებაში აღნიაშვილის შემთხვევა შეიძლებოდა წინ ბრალდების სახით დახვედროდა. პ.იაშვილი არ იყო დაზღვეული, რომ ეს ამბავი პ.აღნიაშვილს ან სხვას ჩეკას ძიებისათვის მოყოლილი უკვე ჰქონოდა.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, აღნიაშვილს უყვარდა პოეტებისა და მწერლების პროტექტორობა – აღიარა პ.იაშვილმა და იქვე დაუმატა – ეძებდა პოპულიარობას. ცკ-ში ცდილობდა კულტურული საქმეების მეურვეობას“. „ერთ დროს მეც მფარველობდაო“. მან დამსწრეთ განუმარტა: „ლ.ღოღობერიძე, ბ.ლომინაძე და ჯიქიასთან ბავშვობიდან ვიყავი დაახოვებული. ჯიქიასთან ერთად გიმნაზიაში ვსწავლობდი, ლომინაძე ჩვენთან ოჯახში ცხოვრობდა მოწაფეობის დროს... ლომინაძე და ღოღობერიძე მენშევიკების დროს იყვნენ ჩემთან დაახლოვებული. ლომინაძე მთელი კვირის განმავლობაში თავს იფარავდა ჩემთან იმ ხანებში, როგორც თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის მუშაკი... ის იყო ერთად-ერთი კაცი, რომელმაც ჩვენ ჯერ კიდევ მენშევიკების თარეშის დროს ჩაგვინერგა გატაცება დიდი ოქტომბრის რევოლუციით. მე თუ გასაბჭოების ღამეს (25-26.II.1921 – გ.ც.) თბილისში დავრჩი, მონაწილეობა მივიღე ქალაქის წესრიგის აღდგენაში, არ დავემორჩილე იმ ჭორებს ტერორისა და აწიოკების შესახებ, რომელსაც მენშევიკები ავრცელებდნენ წითელი არმიის შესახებ, ეს იყო უმთავრესად ლომინაძის გავლენით, რომელიც გვიხატავდა მომავლ სურათს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას საქართველოში“. პ.იაშვილმა გაიხსენა ბ.ლომინაძის და ლ.ღოღობერიძის ხელმძღვანელობა, ისიც დაუმატა, რომ ამ დროს გვაკრიტიკებდნენ, მაგრამ ვერ მოვახერხე მათთან კავშირის გაწყვეტაო. ამის საილუსტრაციოდ გააშუქა მოსკოვური შეხვედრები ლ.ღოღობერიძის ბინაზე, რაც ბერიამ და ჩეკამ უთუოდ კრგად იცოდა: „მოსკოვში ღოღობერიძის ბინაში ხშირად იკრიბებოდნენ უკმაყოფილონი, ვინც საქართველოდან იყო მოხსნილი (ბერიას მიერ სტალინთან დაბეზღებით – გ.ც.)... იყო ხშირი სმა, ქართული

სიმღერების გარდა ყველაფერი ქართული (პოლიტიკური – გ.ც.) აბუჩად იყო აგდებულიო...“ (იხ. იქვე, ფ.34-37) და ა.შ.

პ.იაშვილი გასაკუთრებით ფართოდ შეეხო ვ.ჯიქიასთან კავშირს: „მასთან ყველაზე უფრო დაახლოვებული და დამეგობრებული ვიყავი... ერთად ვსწავლობდით. გიმნაზიის შემდეგ პირველად 1922 წელს ვნახე ტფილისში, სადაც იგი სამხედრო კომისრად იყო დანიშნული... ლენინგრადიდან დაბრუნებული. ჯერ კიდევ გიმნაზიაში ჯიქია რაინდად მიგვაჩნდა. ის ძლიერი კაცი იყო და მოწაფეების დამცველი, დაურიდებელი და მასწავლებელებს მისი შიში და რიდი ჰქონდათ. ბევრი გამიგია პეტერბურგში, სამოქალაქო ომში მის გმირობაზე, ბევრი წამიკითხია პრესაში. 1930 წელს... შემოდგომაზე შევხვდი მას წყალტუბოში, ერთ ოჯახში, 30 კაცამდე მოეყარათ თავი. ჯიქია ყველაზე ადრე გაეშურა ქუთაისისკენ და გამოთხოვებისას მითხრა: ამდენი კაცი რომ მყავდეს დარჩენილი მუშა ამ ზამთარში რაინჰესის გვირაბს დავასრულებდიო. ის მაშინ ახლად იყო დანიშნული რაინჰესის უფროსად და მთავარ ინჟინრად მელიქ-ფაშაევის ნაცვლად, სამუშაოზე ჩავარდნილობის გამოსასწორებლად. მე მას სრულიად მოუფიქრებლად ვუთხარი, რომ ვარ ჭიათურის მხრიდან, იქ ბევრი მუშებია, რომელბიც მიჩვეულნი არიან გვირაბში კარგად მუშაობას და თუ საჭირო იქნება წავალ ჭიათურაში და მუშებს დავაგროვებ-მეთქი. გაეხარდა სიტყვა ჩამომართვა... მეორე დღეს ჩამოიჭრა წყალტუბოში, პირდაპირ აბაზანიდან გამომიტაცა, მითხრა თუ სიტყვის პატრონი ხარ დღესვე უნდა წახვიდე ჭიათურაში მუშები შეაგროვო, რადგან გეგმა არ სრულდება, ვადა მიდის და რაიონჰესს განსაცდელი მოელის...“.

პ.იაშვილმა მწერალთა ამ საგანგებო სხდომას მოუთხრო, რომ ვ.ჯიქიას დავალება შეასრულა. თვითონაც ორ წელს, უაღრესად რთულ პირობებში, იმუშავა რიონჰესზე. შეძლო 400 მუშის მიწოდება იმ დროს როცა ადრე მათი საკვები პური ღორების საჭმელად თუ გამოდგებოდა. რიონჰესის მშენებლობაზე პოემა, „300 არაგველის“ ნაწილობრივ დაბეჭდვაც მოვახერხეო.

პ.იაშვილმა სხდომის მონაწილეებს ასეთივე, პათოსით დაუსახა ვ.ჯიქიასთან თანამშრომლობა სამგორის ველის ათვისების მიზნით: „ჯიქიას წაქეზებით მოსკოვში დავდიოდი უწყებიდან უწყებაში და

ვიცავდი სამგორის პროექტებს. არ დამიტოვებია არცერთი რუსი მწერალი, რომ ამ საქმეში არ ჩამებას და მათი ავტორიტეტი არ გამომეყენებინოს. შევადგინე დელეგაცია რომელშიც შედიოდნენ ალ.ტოლსტოი, ნოვიკოვ-პრიბოი, ვსევოლოდ იანოვი, ლეონიდ ლეონიდოვი და სხვ. წავიყვანე ხან კუიბიშევთან, ხან ორჯონიკიძესთან... მე მარწმუნებდნენ, რომ საქართველოს პარტორგანიზაციაც აჩქარებდა სამგორის საკითხს... თურმე ჩვენში არ ჩქარობდნენ... რადგან მთელი ყურადრება კოლხიდისკენ იყო მიმართული“ (იხ. იქვე, ფ.40). გამოდის, რომ იგი ჯიქიასთან ერთად ბერიას ნების წინააღმდეგ გამოსულა.

სამგორის მერე პ.იაშვილი ვ.ჯიქიას მოსკოვში რიონჰესის მშენებელთა დაჯოლდოვების საქმის მოსაგვარებლად გაუგზავნია. „აქაც ბევრი ჭირი გადამხდაო“. მაგრამ „დიდად ვცდებოდი“... „ლაპარაკი და ჩურჩული ბევრი იყო. მხოლოდ ტიციან ტაბიძემ გამიმჟღავნა ყველაფერი რაც ჩემს გარშემო ესმოდა. წავედი ამხ. ბერიასთან და ვუამბე ყველაფერი. მან მირჩია მწერლობისათვის მომეკიდა მაგრად ხელი და ურო მეტი მემუშავა. მას შემდეგ ჯიქია, ხრამჰესზე დანიშნეს, მაგრამ მის მუშაობის საქმეში აღარ ჩავრეულვარ, მხოლოდ ერთხელ ვიყავი ხრამჰესზე. ჯიქიასთან კავშირს ვაგრძელებდი. ორჯერ მომცა შენიშვნა ბერიამ, მაგრამ მე ვერ გავერკვიე და სწორად ვერ დავაფასე ამხ. ბერიას გაფრთხილება. მხოლოდ მაშინ როცა დაისტამბა ამხ. ბერიას წერილი ხალხის მტრების გაცამტვერების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულნი არიან უპარტიო ინტელიგენციასთან და დიდ გავლენას ახდენენ მათზე, მე მივხვდი, რომ ეს ადგილი მეც მეხებოდა. იმ დღესვე გავწყვიტე კავშირი ჯიქიასთან და... გამომჟღავნებამდე მასთან აღარ ვყოფილვარ. შეიქნა მითქმა-მოთქმა, იმ საღამოს შევხვდი მას და გადავეცი ნამდვილი მიზეზი ჩამოშორებისა. მე ახლოს ვიყავი ჯიქიასთან, მაგრამ მე არ ვიცოდი ამხანაგებო თუ ის ხალხის მოღალატეებში გაერეოდა...“

პ.იაშვილი ასევე საგანგებოდ შეეხო ბერიას მიერ „ქართველი, ხალხის მტრად“ დასახულ მ.ტოროშელიძეს, რომელიც ისევე, როგორც გ.ყურულაშვილი და ვ.ჯიქია შემოქმედებით ინტელიგნციასთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა. საკმარისია

ითქვას, რომ მ.ტოტოშელიძე პ.იაშვილის „დანაშაულობათა“ დაგროვების პერიოდში საქართველოს მწერალთა კავშირს ედგა სათავეში და მას ალბათ ამიტომ ამ „ხალხის მტრის“ გაკრიტიკება-გალანძღვაც საჭირო გაუხდა.

პ.იაშვილი შეეცადა ბერიას და მისი დამქაშების გულის მოგებას „ყველა ჩემი გრძნობით შევხარი რესპუბლიკელთა გამარჯვებას ესპანეთში, მიყვარს ჩემი სოციალისტური სამშობლო, ყოველწუთში მზად ვარ სტალინს და მის საქმეს შევწირო თავი. ამხანაგი ბერია მოითხოვს ჩემი ძველი საქმეების დაგმობას და გარდაქმნას. მე მაქვს სურვილი, შესაძლებლობა ამ გარდაქმნისა, მაქვს სურვილი თავდადებული მუშაობისა. მე ვიღებ ამხ. ბერიას ყველა შენიშვნას და გაფრთხილებას... არ გაივლის ერთი წელი... ყველა ჩვენი წინსვლის მოხარული ადამიანი დარწმუნდება, რომ ამხ. ბერიას დაურიდებელმა კრიტიკამ მე სარგებლობა მომიტანა... და ამიერიდან არავითარი საყვედური არ შემხვდება. ამ წლის ბოლომდე მე შევასრულებ ყველა ვალდებულებას, რომელიც ჩემს თავზე ამიღია და თქვენ ყველანი იქნებით მოწმენი, რომ მომავალ წელიწადს მე შევხვდები სრულებით გაწმენდილი, როგორც ცხოვრების, ისე შემოქმედების შეცდომებისგან“ (იხ. იქვე, ფ.43).

არ ვიცი, ამის მეტად რითი შეეძლო პ.იაშვილს ბერიას გულის მოგება, თუ არა იმით, რომ ეთქვა: სტალინსა და ბერიაზე ტერორის დაგეგმვას მეც ვესწრებოდი და ჩემი ყურით ვუსმენდიო. მაგრამ როგორც ჩანს, პოეტს პოლიტიკურმა ალღომ უღალატა. მის სიტყვაში „ხალხის მტრები“ ერთ დროს ხალხისთვის მებრძოლ გმირებად წარმოჩნდნენ. ამით ხომ ყველას გაახსენდა მათი ძველი დამსახურება, რომლითაც ერთგვარი ეჭვის ქვეშ დგებოდა მათი დანაშაული. ამასთანავე პ.იაშვილის სიტყვაში „ხალხის მტრების“ ლანძღვაც წარმოჩნდა, მაგრამ არ ჩანდა მათ მიმართ ბერიას ბრალდების შემოქმედებითი განვითარება-დასაბუთება. მისი ეს ხარვეზი სხდომის ხელმძღვანელ მონაწილეებსაც არ გამოეპარათ, მითუმეტეს იგი არ შეიძლებოდა შეუმჩნეველი დარჩენოდა ბერიას, რომელიც დისპუტის სტენოგრაფიულ ჩანაწერებს უთუოდ ყურადღებით ეცნობოდა და სავარაუდოა, რომ დისპუტსაც იდუმალი ზეგავლენით მართავდა.

ამის საილუსტრაციოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის მთავლიტისა და ჩეკას, ანუ იგივე ბერიას მუშაკის, კარლო მელაძის სიტყვა. მან აღნიშნა, რომ: როგორც ბერიას მოხსენებიდან ირკვევა მხილებულ მწერლებს „ხალხის მტრებად“ „ძალიან ახლობელი, ძალიან ინტიმური და პოლიტიკური კავშირიც ჰქონდათ და არა ისეთი, როგორც ამხანაგ პავლეს უნდა მოგვაჩვენოს“; პ.იაშვილზე სიგნალი სხვა დროსაც იყო მოცემული. „აქ ტყუილად იკატუნებენ თავს ამხანაგი ნიკოლო და პავლე. მე მაქვს მათი პათხალიმური დამოკიდებულება ჯიქიასადმი. ჯიქიას ფინიასავით ჰყავდა ჩაგდებული ეს ხალხი“. მან პ.იაშვილს უსაყვედურა ბ.ლომინაძის პოპულიარიზმი: „გ.ელიავა, რატომ სხვებთან არ ლაპარაკობდა ანტისაბჭოთა ანეგდოტებს (პ.იაშვილი – ყველასთან). მაშინ თქვენ თუ პატიოსანი საბჭოთა მწერალი იყავით, რატომ არ მიბრძანდით ცენტრალურ კომიტეტში? ან რატომ არ განაცხადეთ მწერალთა კავშირში ამის შესახებ?... ლენინი რომ გარდაიცვალა თქვენ არ დაწერეთ 1924 წელს? (პ.იაშვილი – მე ამოვაგდე ეს სტრიქონები). ამოგდება არ კმარა, სტრიქონები კი არ უნდა ამოგეგდო, არამედ თავიდან უნდა ამოგეგდო ეს აზრები (პ.იაშვილი – მე ვწყევლი ამ პერიოდს), წყევლაც არ კმარა, წყევლა დედაბერმა იცის. 1924 წელს იაშვილი ლაპარაკობს ამხანაგ ლენინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით „შემოიკრიბეთ ლევან, ბესო“ და ეძახის მათ (იაშვილი – მე ამოვაგდემეთქი ეს ამბავი). ვიმეორებ, რომ სტრიქონების ამოგდება არ კმარა, საქმე იმაშია, ისე გარდაიქმნე, რომ თავმა მეორედ არ გიკარნახოს ასეთის დაწერა...

შემდეგ პავლე ლაპარაკობდა სამგორის პრობლემამ გამიტაცაო, რომელი ნიკო ნიკოლაძე თქვენ ბრძანდებით, რომელი კერძო კაპიტალისტი... (დარბაზში სიცილია.ორატორი არ ისმის) (იაშვილი – ეს ჩემი შეცდომაა, ვაღიარე ეს შეცდომა). თქვენი შეცდომა... ის არის რომ თქვენ ორი წლის განმავლობაში ჯიქიას წარმომადგენელი ბრძანდებით მოსკოვში, ჯიქიასთან კავშირი გქონიათ ორი წლის განმავლობაში... მაშასადამე არ ყოფილა შემთხვევითი ამ ხალხის კავშირი ხალხის მტრებთან... პავლეს გაუხარდა სოვნარკომის თავმჯომარე სთხოვს (დასავლეთში მიმავალი გამაცილეო – გ.ც.)... აქ

კერძო პირადი ინტერესი არა სდგას, არამედ პარტიის სასიცოცხლო ინტერესები არის“.

კ.მელაძემ პ.იაშვილის კავშირი აღნიაშვილთან, ვ.ჯიქიასთან და გ.ელიავასთან ჯაშუშურ და მავნებლურ კავშირად დასახა. ამასთანავე უსაყვედურა: „თუმცა საფუძვლიანად თავის კავშირის შესახებ არაფერი უთქვამს მაინც. ყველგან ცდილობს პოლიტიკური პასუხისმგებლობიდან თავი დაიძვრინოს (იაშვილი – ე.ი. თქვენ ამტკიცებთ, რომ მე ელიავასთან მქონდა ჯაშუშური ურთიერთობა. მაშინ მე აქ არ ვიქნებოდი) რასაკვირველია, მაგრამ თქვენ გინდათ, რომ ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან გაითავისუფლოთ თავი.

თქვენ ლაპარაკობთ, რომ აღნიშნული ნევრასტენიკია, გ.ელიავა ციგანია, განა პოლიტიკურ ამბავს მე გამანდობდნენო, მაგრამ პოლიტიკური აზრის განდობა არის თუ არა ის, რომ ჩვენი ბელადის და ხელმძღვანელის შესახებ უწმაწური ანეგდოტებით გამოდიოდა, გეუბნებოდა. ეს არ არის გულის პასუხის გაზიარება? რასაკვირველია არის, თორემ მე არ ვლაპარაკობ, რომ გ.ელიავას ეხმარებოდა პავლე იაშვილი ბაქტერიების დამზადებაში (სიცილი)”...

თავისი სიტყვის ბოლოს, კ.მელაძემ პავლეს, ტიციანს, ნიკოლო მიწიშვილს უსაყვედურა ურთიერთდანდობა, სამი წლის წინ, რომ გეღიარებინათ ხალხის მტრები, ბერია კი არ გამხელდათ, არამედ შეგაქებდათ, „თქვენ ეს შეგეძლოთ სამი წლის წინათ გაგეკეთებინათ, ამის მაგივრად თქვენ ანტისაბჭოთა ანედგოტებით ყურს იტკბობდითო“. მან დამსწრეთ მოუწოდა „გამოვამჟღავნოთ ყველაფერი, რაც იოტისოდენა ზიანს მიაყენებს ჩვენს პარტიას და ჩვენს ხალხსო“ (იხ. იქვე, ფ.50-61). კ.მელაძის სიტყვაში წარმოჩენილ უამრავ საყურადღებო „დიდაქტიკურ“ ნააზრევს შორის, აღსანიშნავია, მის მიერ ჩამოყალიბებული „კომუნისტის მორალური კოდექსის“ ის პრინციპები, რომლებსაც მ.ჯავახიშვილის და სხვათა მიმართ დამოკიდებულებაში ერთგულად ახორციელებდა ზოგი კომუნისტი, პროლეტარული მწერალი. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ 1924 წელს, როცა ლენინის გარდაცვალების შემდეგ კომპარტიის ცკ-ის წინაშე ოფიციალურად დადგა მისი შემცვლელის საკითხი, მ.ტოროშელიძემ და ზოგმა სხვამ,

სტალინის წინააღმდეგ მხარი დაუჭირა ტროცკის (ა.დაუშვილი, თბილისი, 1937, გვ.75).

შ.რადიანმა მეორე დღეს (28/V-37) გაგრძელებული დისპუტის დროს, პ.იაშვილს მიუთითა: „ბერიას შენიშვნა მოითხოვდა არა ზოგად, არამედ კონკრეტულს. პავლე ცდილობდა საკითხი გადაეტანა სხვა მიმართულებით. ხალხის მტრების მხილების ნაცვლად წამოსწია მათი ბიოგრაფიები რაინდობის სახით“. ეს სწორი მიხვედრა იყო. პ.იაშვილმა მიუგო: „მაგ შეცდომებზე ვილაპარაკებ დღეს“. შ.რადიანმა, ისე როგორც ზოგმა სხვამ, როგორც ჩანს, ბოლომდე ვერ ამოიცნო ბერიას სიტყვის ნამდვილი მიზანი და დასძინა: „პავლე ხო არავინ არის დაინტერესებული თქვენ ხელი გკრათ. ამხ. ლ.ბერიას მოხსენებაში მართალია მძაფრად ხართ გაკრიტიკებული, მაგრამ ამხ. ბერიას მოხსენებაში უსათუოდ შენიშნავდით, რომ ამხ. ბერიას სურს ამოგიყვანოთ თქვენ იმ ჭაობიდან რომელშიაც მოექეცით ხალხის მტრებთან კავშირის შედეგად... საჭირო იქნება უფრო დაწვრილებით, უფრო მძაფრად შეეხოთ იმ საკითხებს, რომლებსაც თქვენ გუშინ გაუბედავად, ასე მკრთალად შეეხეთ, რაზედაც თქვენ არა ვრცლად ილპარაკეთ” (იხ, იქვე, საქმე 30, ფ.28). ჩემი აზრით, შ.რადიანმა გულრწფელად, მაგრამ გულუბრყვილოდ გამოსთქვა ცხოვრების რეალობის მიერ პირუკუ დადასტურებული აზრი.

კ.ლორთქიფანიძემ პ.იაშვილი ზოგ სხვა მწერლებთან ერთად ისეთ მწერალად დაასახელა, რომელთა შესახებ კრიტიკა და ლაპარაკი არ შეიძლებოდა (იხ. იქვე, ფ.81). მან კონკრეტულად პ.იაშვილის შესახებ თქვა: „მისმა სიტყვამ არ დამაკმაყოფილა, როგორც მწერალი. მე ეჭვი არ შემიტანია, რომ მისი გამოსვლა გულრწფელი იყო, მაგრამ ეს გამოსვლა ამტკიცებდა, რომ პ.იაშვილმა ერთგვარი პოლიტიკური ალღო ვერ აუღო ამხ. ბერიას მოხსენების იმ ნაწილს, რომელიც პავლეს ეხება. ასევე ეხება დანარჩენ ამხანაგებს მიწიშვილს, გამსახურდიას, ჯავახიშვილს... პ.იაშვილმა არ ახსნა, არ ამხილა ეს ის, რაც უნდა გაემხილა თავისი გამოსვლით. მე არ მიმაჩნია იმდენად გულუბრყვილოდ რომ ის ვერ მიმხვდარიყო. ჯიქიას ურთიერთობას უფასებს თავისებურად, მოსკოვში გაგზავნას და სხვა. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ ჯიქია

ხალხის მოღალატე ერთგვარ პოპულიარობას ეძებდა მუშებში, იმ ხალხში, სადაც ის მუშაობდა. რატომ აგზავნიდა ცეკას გარეშე ჯილდოს მისაღებად? იმისთვის, რომ მუშებს ეთქვათ ჯიქიამ მოგვცა ჯილდოო. ცეკა არ აკეთებდა და ჯიქიამ გააკეთაო. ეს ხდებოდა იმისთვის, რომ დასაყრდენი ჰქონოდა იქ სადაც მუშაობდა. პ.იაშვილმა შეცდომა დაუშვა, რომ ასეთი რომანტიული ელფერით გადმოგვცა ბ.ლომინაძის, ღოღობერიძის და ვ.ჯიქიას შესახებ. ჯიქია რაინდი მეგონაო... პ.იაშვილი ლაპარაკობს, რომ ბესო ლომინაძემ, ღოღობერიძემ მე ამიხილეს თვალები რევოლუციაზე ოქტომბრის შინაარსით. მე მგონია ეს ძალიან დიდი შეცდომა არის. თვენ ჯიქიას ბიოგრაფიულ მომენტებს ეხებოდით (იაშვილი – მართალია ეს, ამას ვაღიარებ)“.

კ.ლორთქიფანიძემ განაგრძო: „... კაცო, ჯიქია ლაპარაკობდა საქართველოს ცეკას შესახებ საზიზღარ ამბებს, ამიერკავკასიის ხელისუფლების შესახებ საზიზღარ ამბებს... მეც ხომ მქონდა უბრალო მოქალაქეობრივი შეგნება ამას თავის დროზე ვამხელდი. ზოგიერთს არ ეგონოს, რომ ეს არის ჯაშუშობა, სამარცხვინო საქმე, ვინაიდან ვისაც თავისი ქვეყანა უყვარს აუცილებლად ამხელს იმ პიროვნებას, ვინც ხელს უშლის მისი ქვეყნის მშენებლობას. პირიქით, ეს საქმე სასახელოა. ამხ. პავლემ კი, ჩვენზე უკეთესად იცოდა, მე მგონია უფრო მეტი იყო ნათქვამი აღნიაშვილის მიერ, ვიდრე პავლემ თქვა. ჩინეთის პრობლემაზე ხომ არ ილაპარაკებდა აღნიაშვილი, ცხადია, სხვა რამეც თქვა თეატრის გარდა... ყველაფერი ეს იმიტომ არის საჭირო, <u>რომ გავაწბილოთ ხალხის წინაშე</u> (! – გ.ც.), ჩვენი აქტივის წინაშე ხალხის მტრები. ვთქვათ აშკარად, რომ ეს არ არის შემთხვევითი... ეს ხალხის მტრები თავიანთ კაბინეტებში აკეთებენ უსასიზღრეს საქმეს. ამის შესახებ უნდა გველაპარაკონ აქ იაშვილამა და სხვებმა, რომ ამ ხალხის მტრების კაბინეტებში, იქ იქმნებოდა ლიტერეტურული პოლიტიკა, რომლის მიხედვით ყოვლად მიუღებელი მწერალი, უნიჭო მწერლები წინ მიდიოდნენ და ბევრ ნიჭიერ პატიოსან საბჭოთა მწერალს აცილებდნენ სამწერლო ასპარეზს” (იხ, იქვე, ფ.78, 84-87). როგორც ვნახეთ, ბერიას პრეტენზიები პ.იაშვილის მიმართ მომხსენებლისა და ზოგი სიტყვით გამოსულის მიერ, სავსებით სწორად, პოლიტიკური დანაშაულის

ბრალდებად იქნა გაგებული. ამიტომ ისინი პ.იაშვილისაგან მოითხოვდნენ „ხალხის მტრების“ მიერ ჩადენილი კონკრეტული დანაშაულობების და მასში საკუთარი თანამონაწილეობის მაგალითების დასახელებას და მის საქვეყნოდ გაშუქებას.

აქ ისიც საყურადღებოა, რომ ბ.ჟღენტმა პარტიის მიმართ ერთგულების დამტკიცების საკუთარი დამსახურების მაგალითი ჩეკას მიერ ა.ახმეტელის განადგურებაში მონაწილეობით წარმოაჩინა. მან პარტიის მიმართ ერთგულების დემონსტრირების მიზნით განაცხადა, ბოლშევიკმა არ უნდა ითაკილოსო დაბეზღება.

ამის შემდგომი სხდომა 30 მაისს გაიმართა. სიტყვით გამოსული პირველი ორატორი, წულუკიძე პ.იაშვილის გამოსვლასაც შეეხო და არადამაკმაყოფილებლადაც შეაფასა: „რატომ მაინცდამაინც მის მეგობრობას ეძებდნენ ლომინაძეც, ღოღობერიძეც, ჯიქიაც და აღნიაშვილიც, ახმეტელიც და გიორგი ელიავაც... ქონდა თუ არა რამე იდეური საფუძველი მასთან მათ მეგობრობას“. თუ ანგარება არ ედო ჩამოშორდებოდა პირველი ანეგოტების გაგებისთანავეო. ბერიამ რომ სამგორის პრობლემით გატაცება დაგიშალა, რატომ პრესაში არ გამოხვედით, მაგრამ თქვენ სამგორის პრობლემა კი არ გაინტერესებდათ, არამედ იყავით „პოლპრედი“ (პოლიტწარმომადგენელი – გ.ც.) ჯიქიასი მოსკოვში, გქონდათ ფულები და ფულებს იყენებდით. ეს შენიშნა ბერიამ და გითხრათ: „ეს შენი საქმე არ არის, პოლპრედობა შენი საქმე არ არისო“ (იხ, იქვე, საქმე 31, ფ.8-10). როგორც ვხედავთ, წულუკიძემ პ.იაშვილი „პოლიტიკური დანაშაული“ ერთგვარად გაამარტივა და ფულად-ანგარებითი ინტერესებით წარმოაჩინა. ძნელია გარკვევა ამით მან დანაშაულის შემსუბუქება ინება, თუ ის ახალი, დამატებითი ფორმა გამოავლინა, რომელიც შემდეგ მ.ჯავახიშვილს მისი და პაოლოს „სიხარბის“ წარმოჩენის საბაბად გაიხადა ისევ ბერიამ.

რამდენიმე ორატორმა თავი აარიდა პ.იაშვილის კრიტიკას და სხვა „პრობლემებზე“ მსჯელობით შემოიფარგლა. ამის შემდგომ პ.იაშვილის მეორედ გამოსვლის ჯერიც დადგა. მან საჭიროდ სცნო წინასწარ დაწერილი ტექსტის წაკითხვა.

პ.იაშვილის სიტყვის ვრცელ სტენოგრაფიულ ჩანაწერში შესანიშნავია, რომ იგი ცდილობს ბერიას შეფასებით საბჭოთა

ხელისუფლებისაკენ შემობრუნებულ ცისფერყნწელად დასახოს საკუთარი თავი. მან ბერიას შენიშვნა სამგორის მშენებლობასთან დაკავშირებით, საკუთარ შეცდომად შეაფასა. პ.იაშვილმა უსაყვედურა უსამართლო კრიტიკოსებს - „აი, რამ მიმიყვანა მე უფსკრულამდე, საიდანაც ამხანაგი ბერია მიპირებს შემობრუნებასო“. საყვედური გამოსთქვა წულუკიძის „რაპპული კრიტიკის“ გამო, რომელიც ერთ დადებითსაც ვერ ხედავს და ამბობს „მხილებით შემიძლია დახმარებაო“. მან აღიარა ბ.ლომინაძის, ლ.ღოღობერიძის და ვ.ჯიქიას შესახებ საუბრის დროს სწორი შეფასება არ გამომივიდა, ხალხის მოღალატე არ შეიძლება ერთ დღეს გაჩნდეს“, „მტრული მუშაობის მთელი სისტემის შედეგიაო“. აქ მან დაიმოწმა ბერიას ნათქვამი: ხალხის მოღალატეთა შტაბი ლენინ-სტალინის საქმის მოღალატე ნაციონალ-უკლონისტებიდან იღებს სათავეს; ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი, პიატაკოვი, რადეკი, ბუხარინი, რიკოვი და სხვა ხალხის გამომჟღავნებული მტერბი განა თავიდანვე არ ღალატობდნენ პარტიის საქმეს, განა გიორგი ყურულოვი ჯერ კიდევ 1920 წელს არ ეკუთვნოდა ე.წ. „მუშურ ოპოზიციას“? ლომინაძეც ამ კატეგორიის ხალხს ეკუთვნოდაო; შევცდი იგი, რომ მენშევიკების დროს ჭეშმარიტ ბოლშევიკად წარმოვაჩინე, სამარცხვინოდ გამოიყურება დღეს ჩემი დაუფიქრბლობაო; სამოქალაქო ომში ჯიქიას დამსახურების თქმაც შეცდომა იყო. „გულრწფელად ვამბობ, რომ ვერავითარი ძალა ვერ ჩამინერგავს მე რაიმე სიმპატიებს ამ ხალხისადმი“, „განა ჯიქია მე არ მატყუებდა, არ მწირავდა?“ განა ლომინაძე და ღოღობერიძე მზოგავდნენ როცა თავის შავბნელ საქმეს აკეთებდნენ, რად უნდა შემრჩეს რაიმე თბილი გრძნობა მათდამი? „ამხ. ბერიამ დაამტკიცა რას უპირებდა ეს ხალხი საქართველოს... მთელს კავშირს წარჩინებულს... რად უნდა მქონდეს სამშობლოს მტრებისადმი მე იოტისოდენა კარგი გრძნობა გარდა ზიზღისა, აღშფოთებისა, სიძულვილისა“ (იქვე, ფ.23-24). უნდა მეთქვაო, რომ „ღოღობერიძის ბინაზე იკრიბებოდნენ მ.ტოროშელიძე, გ.ყურულოვი, ფირუმოვი, ლომინაძე, ჩაპლინი, პ.აღნიაშვილი. ღოღობერიძემ ერთხელ სთქვა, რომ ასეთ ხელმძღვანელობასთან არ იმუშავებს. ელიავა უკმაყოფილო უყო ჩვენი ხელმძღვანელობით და ამბობდა მოსკოვში წავალ და იქიდან გავცემ პასუხს საზღვარგარეთ

რომ არ მიშვებენო. ელიავასთან ფულადი ამბავი არა მქონია. „ვერცერთ შემთხვევას ვერ დამისახელებენ, რომ ბერიაზე რამე ორჭოფული, არასაკადრისი სიტყვა მეთქვას ან მოქმედება ჩამედინოს. მაგრამ როდესაც მე ვიცნობდი მის საწინააღმდეგო აზრებს მე ეს უნდა მეთქვა ჩვენი კავშირის ხელმძღვანელობისათვის. მაკლდა მოქალაქეობრივი გამბედაობა, მეშინოდა ერთის მხრივ შურისძიებისაო“...

პ.იაშვილმა დაიმოწმა: „ლორთქიფანიძემ ისიც თქვა, რომ ჯიქიამ ქუთაისში სადილზე აგინა ამიერკავკასიის ფედერაცია, სომხები და ჩვენი ხელმძღვანელობა. გამოდის, რომ ჯიქია არ ყოფილა შენიღბული მტერი. ის საჯაროდ ამბობდა თავის ფარულ ზრახვებს“. მაგრამ „არაფერი ამის მსგავსი მე არ მახსოვსო“. ის კი გაიხსენა: „ჯიქიამ მითხრა მოსკოვიდან ჩვენი დელეგაციის დაბრუნების დღეებში, რომ მალე ამიერკავკასიის ფედრეაცია გაუქმდება და დიდ ქეიფს გავმართავო, ის არც მანამდე იყო ფედერაციის მომხრე... რათქმაუნდა ამხ. ჯიქია ახდენდა გავლენას ჩემზე თავისი ნაციონალისტური განწყობილებებით, რომ ასეთი გავლენა არ ქონოდა მას ჩემზე, მე არც ასეთ მდგომარეობაში ვიქნებოდი, ოღონდ კატეგორიულად ვაცხადებ არცერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ მას ჩემთან ეძაგებინოს ჩვენი დღევანდელი ხელმძღვანელობა. რად უნდა მომთხოვოთ მე მისი თქმა რაც არ იყო... რიონჰესის პურის შესახებ... მისი უვარგისობის შესახებ, მხედველობაში მქონდა ის რომ პური მავნებლურად იყო გამოცხობილიო“... (იხ. იქვე, საქმე 31, ფ.21-36). ამის შემდეგ, პ.იაშვილმა ჩამოაყალიბა დასკვნითი დებულებები:

1. დაკავშირებული ვიყავი ხალხის მტრებთან, მაგრამ არ ვიცოდი მათი ფარული ზრახვები;

2. ვგმობ ჩემს კავშირს ხალხის მტრებთან;

3. სავსებით ვღებულობ ბერიას გაფრთხილებას, რომ პარტია და ხელისუფლება საშუალებას მაძლევს გარდაქმნისათვის;

4. ამიერიდან ჩეზეა დამოკიდებული როგორ მომეპყრობა საბჭოთა ხელისუფლება; გარდავიქმნები ბერიას მოთხოვნების მიხედვითო და იმედიც გამოსთქვა, დახმარებას გამიწევს მწერალთა კავშირიო (იქვე, ფ.36-37).

პ.იაშვილის ამ სიტყვის მიხედვით ისე ჩანს, რომ მან დაიჯერა დასახელებული, ყოფილი მეგობრების ის ბერიას საწინააღმდეგო გამოთქმები, რომლებიც მისთვის ისედაც იყო ცნობილი და ისიც, რაც მათთვის, ხელისუფლების, ჩეკას და კრიტიკოსების მიერ, ამ დროისთვის იყო შეწერილი.

ზემოთ აღნიშნულ აღიარებათა შემდეგ, მწერალთა კავშირს, პ.იაშვილისათვის თითქოს დანაპირების შესრულების შესაძლებლობა უნდა შეექმნა და მის შემდგომ განქიქებაზე ამთავითვე თავი შეეკავებია. მაგრამ ასე არ მოხდა. იმავე დღეს შემაჯამებელი სიტყვით გამოსულმა სანდრო ეულმა პ.იაშვილი კვლავ უაღრესად დანაშაულებრივად დაახასიათა.

ს.ეულმა, კიდევ ერთხელ და მერამდენედ მოიხმო ბერიას სიტყვები პ.იაშვილის შესახებ და დასძინა: „რა გვითხრა მან იმის შესახებ თუ რა ხასიათის ნავარდს ჰქონდა ადგილი ხალხის მტრებთან? როგორ ჩავარდა ის ელიავას კლანჭებში. ჩვენ ეს მისი სიტყვიდან ვერ გავიგეთ... ჩვენ გვაინტერესებდა ის თუ როგორ მოხდა ის ელიავას თუ ჯიქიას კლანჭებში... მე არაფერს ვიტყვი იმის შესახებ, თუ როგორი ხასიათის შეცდომა არის ის, რომ შენ უსმინო ანეგდოტებს ვინმე ჩვენს ხელმძღვანელზე და ამის შესახებ გაჩუმდე. პირში წყალი ჩაიგუბო. ეს შეცდომა არ არის, ეს დანაშაულია“ (იხ. იქვე, ფ.76).

ს.ეული აცხადებს, რომ: ბერიას განცხადება „ხალხის მტრებთან“ კავშირის შესახებ „უნდა ვიგულისხმოთ ეყრდნობა რკინის ფაქტებს“; პ.იაშვილის მიერ მონათხრობის მსგავსად „საკითხის დასმა პოლიტიკური არ არის“. „იქ არის ნათქვამი ელიავა საფრანგეთს კონტრრევოლუციური დაზვერვის სახით მთელი წლების განმავლობაში აწარმოებდა ჯაშუშურ მუშაობას და აწყობდა დივერსიებს; ჩვენ გვაინტერესებდა ამ მხრივ ახსნა ამ ფაქტებისა. ის იყო ჯაშუში და სჩადიოდა მთელ რიგ პოლიტიკურ აქტებს. აი, ეს, ამხ. პაოლოს თავის პირველ გამოსვლებში და მე მგონია, მეორე გამოსვლაშიც არ უთქვამს“. „რატომ ვერ შესძელით მისგან ჩამოცილება, აი ყველაფერი ეს რაში გამოიხატება“. „ჯაშუში ელიავას მოქმედება არ განისაზღვრებოდა მხოლოდ ანეგდოტებით და ლაზღანდარობით. შეიძლება აქენდან დაიწყებოდა, მაგრამ შემდეგ

აუცილებლად გაღრმავდებოდა და ჩვენ გვინდა უფრო გარკვეულად და ნათლად ითქვას აქ ამის შესახებ. მე ვფიქრობ, როგორც პირველი გამოსვლა ამხანაგი პაოლო იაშვილის, ისე მეორე, ძალიან ზოგადი იყო და არ შეიცავდა პასუხს ახმანაგი ლავრენტი ბერიას დასმულ კითხვებზე... ანეგდოტებს კი ვინ არ ყვება... მაგრამ აქ ანეგდოტებზე მეტი არის... ამ პუნქტში თქვენი გამოსვლა დამაკმაყოფილებელი არ არის". „თქვენ ამბობდით აღნიაშვილი მოსკოვში ღოღობერიძესთან ცხოვრობდა, წარმოდგენილი გაქვთ, როგორც ისტორიული პიროვნება... საინტერესო იყო გეთქვათ თუ რა ხდებოდა მოსკოვში ღოღობერიძის ბინაზე იქ იყო ჟანგო ღოღობერიძე, იქ იყო პეტრე აღნიაშვილი, ჯიქია, იქ მიდიოდა ლომინაძე, ლომინაძის ცოლი, ტროცკისტი ქალი... აქ მარტო ანეგდოტები არ იქნებოდა, უსათუოდ ანეგდოტებზე მეტი იქნებოდა. თქვენ უნდა გეამბნათ ამ მეტის შესახებ". მაშასადამე, რაღა დარჩა, თუ არა სტალინისა და ბერიას ტერორის დანიშვნა, ან გ.ელიავას და მის „კლანჭებში ჩავარდნილის" მიერ ჯაშუშობისთვის ფულების აღება რომლის შესახებ მათი აზრით პაოლო იაშვილს უნდა ეთქვა.

ს.ეულმა პ.იაშვილს გაუკრიტიკა რუსის ჯარის შემოსვლის წინ თბილისში წესრიგის დამყარების დამსახურება: „დიდ როლს აკუთვნებთ თქვენს თავს, რა თქმა უნდა წესრიგი უთქვენოდაც იქნებოდა, ტფილისში, ყველაფერი თავის დროზე იქნებოდა". ბ.ლომინაძის და საკუთარი დამსახურების წინ წამოწევა „არის ძალიან დიდი ღრმა პოლიტიკური შეცდომა და არ გაგება იმ ღრმა ნათელი მითითებების, რომელიც მოცემული აქვს ლავრენტი ბერიას თავის მოხსენებაში... ასეთივე რომანტიულ ხაზებში მოგაქვთ ტროცკისტ ჯიქიას სახე. თქვენ ჯიქია გამოიყვანეთ, როგორც სამოქალაქო ომის გმირი"... და ბოლოს ს.ეულმა განაცხადა: „მე ვაყენებ ჩვენი აქტივის წინაშე, თუ ამხანაგი პავლე უნდა დარჩეს მწერალთა კავშირის რიგებში (და მაშასადამე ცოცხალი – გ.ც.), თუ მას უნდა იყოს წევრი ჩვენი ოჯახისა, მაშინ ბოლომდე უნდა თქვას იმ ამბების შესახებ, რომელიც იცის და ჩვენ არ გვითხრა. ეს საკითხი დგას მთელი სიმძაფრით. პრაქტიკულად, ჩვენ ასე მოვიქცევით: ამ საკითხს გავიტანთ პრეზიდიუმზე და თუ ბოლომდე

გახსნილი არ იქნება ეს ამბავი, ის რათქმაუნდა ჩვენს რიგებში ვერ დარჩება“ (იხ. ფ.83-89).

როგორც ვნახეთ პ.იაშვილისგან მოითხოვენ იმას, რასაც საკუთარი ფანტაზიით ეჭვობენ, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ მწერალთა კავშირის აქტივის, ამ ახირებულ ბრალდებებს, ზემდგომი ორგანოებიდან ბერიას აზრის სახით ჩეკისტი და კომუნისტი აქტივისტები ჩააგონებდნენ.

ვიდრე დისკუსიის შემდგომი გაგრძელების შესახებ ვისაუბრებთ, საჭიროდ მიმაჩნია 30 მაისის შემდგომი ზოგი მოვლენების გათვალისწინება-წარმოჩენა. მწერლებისა და მსჯარმდებლების დისკუსიის გაგრძელებამდე გაიმართა ბერიას მიერ დაკვალიანებული, მწერალთა პარტიული ორგანიზაციის სხდომა. 1 ივნისის სხდომაზე ითქვა: „გვეგონა, რომ ჩვენი მწერლები სერიოზულად დაფიქრდებოდნენ ცეკას პირველი მდივნის ლ.პ.ბერიას გაფრთხილების გამო, გულრწფელად აღიარებდნენ არსებულ დანაშაულებრივ საქმიანობას და კავშირს კონტრრევოლუციონერებთან. მწერალთა კავშირის სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ მწერლები: იაშვილი, მიწიშვილი, გამსახურდია, მაგრამ მათი გამოსვლებით ჩანდა, რომ ლავრენტი ბერიას მოხსენებიდან სათანადო დასკვნები ვერ გამოიტანეს. პაოლო იაშვილმა პირველ გამოსვლაში სამშობლოს მტრებთან კავშირი არ აღიარა და კიდევ უფრო დიდი პოლიტიკური შეცდომები დაუშვა. იგი ეცადა ლამის გმირებად წარმოეჩინა ლომინაძე, ღოღობერიძე, ჯიქია. როცა მას მწერლებმა სიტყვა შეაწყვეტინეს იძულებული გახდა მეორედ წარმსდგარიყო აუდიტორიის წინაშე, თუმცა არც მეორე გამოსვლაში გამოუსწორებია „შეცდომები“. მცირედ შეეხო სამშობლოს მტრებთან კავშირს, მაგრამ მანამდე არაფერი სთქვა და სრული სურათი არ წარმოადგინა. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ იაშვილმა იმის მეათედიც არა სთქვა, რაც რეალურად იცის. დუმილს განაგრძობენ კონსტანტინე გამსახურდია და ნიკო მიწიშვილიც... ცხადია, რომ მათი კავშირი სამშობლოს მტრებთან შემთხვევითი არ გახლდათ და მათთვის ცნობილი იყო მოღალატების შავბნელი საქმეები“.

კომუნისტმა მწერლებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს მათთვის „კიდევ ერთი შანსის“ მიცემა, ხოლო თუ სათანადოდ არ მოიქცევიან მათი „მწერალთა კავშირიდან გარიცხვის საკითხი უნდა დაისვასო“. პარტიული მწერლები მიიჩნევენ, რომ „ბერიას გაფრთხილება არა მხოლოდ ამ მწერლებს ეხებოდა, არამედ ტიციან ტაბიძეს, გიორგი ლეონიძეს, კონსტანტინე ჭიჭინაძეს... ასევე აუდიტორიის წინაშე უნდა წარსდგესო მიხეილ ჯავახიშვილი, რომელიც ამჟამად მოსკოვში იმყოფება... თუ იაშვილმა, რაც იცის იმის უმნიშვნელო ნაწილი თქვა, ლეონიძეს და ტაბიძეს სრულიად არაფერი უთქვამთო“. კომუნისტმა მწერლებმა ამოცანად დაისახეს „ლ.პ.ბერიას ანგარიში პოლიტიკური აღზრდისთვის“ გამოიყენონ. მათ ყურადღება დამატებით გაამახვილეს იმაზე, რომ „არც იაშვილს, არც ტაბიძეს და არც ლეონიძეს, სიტყვა არ დაუძრავთ ბუხარინ და კამენევთან კავშირზე, რომლებისგანაც ეს ადამიანები ათასობით რუბლს იღებდნენ რაღაც მოლაპარაკებებისა და ხელშეკრულების სანაცვლოდ, რაც არ შეუსრულებიათ.

ქართული დელეგაციის ერთ-ერთი წევრის გამოსვლის ანგარიში (1934წ. – გ.ც) ბუხარინის დასაცავად მომზადებული იყო არა მხოლოდ მოღალატე ტორიშელიძის, მიერ არამედ იაშვილისა და ლეონიძის ხელიც იგრძნობოდა“... (ნ.ყიფშიძე, რეპრესირებული ქართველი მწერლები, იხ. ჟურნ. „საარქივო მოამბე“, 2011, №10, გვ. 29-31). როგორც ჩანს კომუნისტი მწერლები წინასწარ ინფორმირებული იყვნენ და გავლენასაც ამის მიხედვით ახდენდნენ არა მარტო დიკუსიის შემდგომ მსველობაზე, არამედ პარტიის უზენაეს ხელმძღვანელსა და ჩეკას საძიებო ორგანოს ტაქტიკის შემდგომ განსაზღვრაზე. ამას გვიდასტურებს ის, რომ მწერალთა პარტორგანიზაციის სხდომაზე გამოთქმული საყურადღებო აზრები ჩეკას არქივში ილექებოდნენ. ეს კარგად ჩანს ნ.ყიფშიძის ზემოთ მითითებულ პუბლიკაციაშიც. ამასთანავე საყურადღებოა, რომ მწერალთა პრეზიდიუმის სტენოგრაფიული ოქმებიც მრავალ ეგზემპლიარად იბეჭდებოდა. აქედან ჩანს, რომ ზემდგომ და ადგილობრივ ორგანოებს შორის სისტემატიური და შეუფერხებელი ინფორმაციული კავშირი არ წყდებოდა.

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრთა მიერ ბერიას მითითებათა გამო გამართული მაისის დებატები ივნისში გაგრძელდა.

8 ივნისს გაიმართა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა, რომელზედაც ბერიას მიერ „ხალხის მტრებთან“ კავშირში მხილებულ სხვა მწერლებთან ერთად ყურადღება დაეთმო პ.იაშვილის დანაშაულობათა შემდგომ გამორკვევასაც. მან ამჯერად შვიდ გვერდზე დაწერილი ნაფიქრალი წარმოადგინა: „ბევრი ვიფიქრე რა უნდა დამემატებინა იმ განცხადებისთვის, რომელიც ორჯერ გავაკეთე ჩვენი აქტივის კრებაზეო“ და მის მიმართ დასმულ შეკითხვების მიხედვით შეურჩევია სათქმელი. მან კვლავ აღნიშნა, რომ ელიავასთან ფულადი ურთიერთობა არ მქონიაო. დატუსაღების წინა დღეს ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტის კრებაზე მითხრა, მე ყველაფერი ვიცი, რაც შენ გითქვამს ჩემს შესახებო. შემდეგ გავიგე მას ანონიმური წერილიც მიუღია, ფრთხილად იყავი გითვალთვალებენო. ჩემთვის აშკარაა, რადგან ჩემთან ცუდ განწყობილებაში იყო, თუ მოახერხებს არ მზოგავს. „მე ვიღებ ზომებს რათა ჩემი სიმართლე ამ საქმეში დამტკიცდესო“... პ.აღნიაშვილის შესახებ პ.იაშვილმა დამატებით გაიხსენა: მწერლების საქმე არ ეხებოდა, მაგრამ მასში ერეოდაო. ახმეტელის დროს რუსთაველის თეატრზე დიდი აზრის იყო. ღოღობერიძე და გ.ყურულოვი ყველაზე უფრო დაახლოებული მეგობრები იყვნენ. ოთახში დიდი ხნით ჩაიკეტებოდნენ ხოლმე. ირონიულად ახსენებდნენ ჩენი პარტიის ხელმძღვანელებს. ეს უნდა მეთქვა, მითუმეტეს, რომ ყურულოვი მწრალთა საქმეებში უფრო ერეოდა. ნაციონალ-უკლონისტები მდივანი, ოკუჯავა, ტოროშელიძე ძალიან მეგობრულად იყვნენ სომხეთის ისეთ ნაციონალისტებთან, როგორც იყვნენ ფირუმოვი, და სხვები. ლომინაძე ფირუმოვს ჭკვიან კაცად მიიჩნევდა. ჯიქიამ მიამბო ღოღობერიძემ გაგინაო. პაოლომ აუგად მოიხსენია აგრეთვე ბ.ლომინაძე და ვ.ჯიქია. „მე მაქვს შენახული დეპეშა, სადაც ჯიქია მწერს „ბეზ სამგორა ნე ვაზვრაშაისია“. არ ვიცოდი თუ ამიერკავკასიის ხელმძღვანელობა წინააღმდეგი იყო სამგორის დაჩქარებისაო.

პ.იაშვილმა გაიხსენა ბანკეტები და ვახშმები, რომელსაც ესწრებოდა „ათასი არამზადა“. თამადობდა დავით წერეთელი, რომელიც ისეთ დიდ პირთა სადღეგრძელოს წარმოთქვამდა ყალბი პათოსით, რომელთა სახელის ხსენების ღირსი არ იყო. მან ბოლოს

თავისი პოლიტიკური დასკვნები გაიხსენა და ბერიას მკაცრი გაკრიტკების პასუხად გარდაქმნის პირობა კიდევ ერთხელ განაცხადა. როგორც ვხედავთ, პ.იაშვილის თავის მართლების დროს ერთ წრეში წარმოჩნდნენ „ათასი არამზადა“ - ბუდუ მდივანი, მ.ტოროშელიძე, ფირუმოვი, გ.ელიავა, დ.წერეთელი, ლომინაძე, ღოღობერიძე, ჯიქია, აღნიაშვილი – ეს უკვე ის ჩეკას ძიების მიერ გამოვლენილი „ქართული ნაციონალური ცენტრი“ და მისი გარემოცვაა, რომელსაც ჩეკას ძიებამ „დაუმტკიცა“ კონტრრევოლუციური მიზნებიც, ტერორისტობაც, ჯაშუშობაც და ყველა სხვა, ამ დროისთვის ცნობილი დანაშაულობები. პ.იაშვილს აღარაფერი დარჩა სათქმელი, თუ არა „ხალხის მტრებთან “ თანამონაწილეობის კონკრეტული მაგალითები – სტალინსა და ბერიაზე არ არსებული მისი დამეგობრების ტერორისტული შეთქმულებიდან და უცხოელებისგან ჯაშუშობისთვის ფულის აღება.

პ.იაშვილის მიმართ ს.ეულმა დასვა კითხვები, მათ შორის ასეთი: „რატომ ფიქრობთ, რომ ელიავა თქვენ წინააღმდეგ ლაპარაკობს?” პ.იაშვილმა უპასუხა: „ხმა გავრცელდა თითქოს ელიავას მიერ წაკითხული ლექსის შესახებ მე ვთქვი, ის ფიქრობს, რომ მე დავაჭერინე და ჩემს წინააღმდეგ ჭორებსა თხზავსო“ (იქვე, ფ.17-18). ამ დროს პ.იაშვილმა თავისი პასუხები ასეთი განწყობილებითა და დაპირებებით დაამთავრა: „პოლიტიკური დასკვნები მე უკვე გავაკეთე უკანასკნელ გამოსვლებში... მე თუ მომეცა საშუალება, ამხანაგი ლ.ბერიას მკაცრი გაფრთხილების საპასუხოდ ისე გარდავქმნი ჩემს ცხოვრებას და შემოქმედებას, რომ საბჭოთა მწერლის დიდი და საპატიო სახელი ღირსეულად ვატარო“ (იქვე, ფ.21). პ.იაშვილის ამ ბოლო სიტყვებიდან ჩანს, რომ იგი კარგად გაერკვა სიტუაციაში. იგი იბრძვის, ცდილობს როგორმე თავი დააღწიოს „ხალხის მტრების“ სასიკვდილოდ „დანაშაულებრივ“ საქმიანობაში თანამონაწილეობის ბრლადებებს. მაშასადამე, აქ მისი სიცოცხლის გადარჩენის სრული უიმედოობა ჯერ კიდევ არა ჩანს. პ.იაშვილისათვის კიდევ უფრო რთული, ამჟამად უკვე უიმედო, აღმოჩნდა დისკუსიის გაგრძელება, რომელიც 9 ივნისს გაიმართა.

9 ივნისს გამართულ სხდომაზე სიტყვით გამოსულმა ბ.ჟღენტმა პ.იაშვილის „დიდი პოლიტიკური დანაშაული ჩვენი მწერლობის

წინაშე“ იმაში დაინახა, „რომ მან იცოდა ეს აუარებელი ფაქტები ხალხის მტრების შეკრების შესახებ და ამას მხოლოდ დღეს ლაპარაკობს“. მან პ.იაშვილის მონათხრობი თავისებურად ასახა: „თქვენ ლაპარაკონდით, რომ იქ იკრიბებოდნენ ხალხი მოსკოვში და შეთქმულებას აწარმოებდნენ ხალხის წინააღმდეგ“. ამის გამო იაშვილმა რეპლიკა ესროლა „მე შეთქმულება არ მითქვამსო“. ორატორმა კი თავისი დაიჟინა - „რათქმაუნდა შეთქმულებააო“ (იხ. იქვე, საქმე 35, ფ.44).აი ეს უკვე არსებითი სახის კიდევ ერთი ბრალდებაა.

განსაკუთრებით საყურადღებო აღმოჩნდა ს.ეულის წიაღსვლები მან განაცხადა: „ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, რა მოხდა ისეთი, რომ კაცი ჩავარდა ხალხის მტრის კლანჭებში ნებსით თუ უნებლიედ“ (იქვე, ფ.68). ამის გამო პ.იაშვილმა განაცხადა: „ელიავას შესახებ ჩემს მიმართ ორი კვირის ვადა მომეცით და ყველაფერს გამოვარკვევ. არის დაწესებულება, რომელსაც არ გამოეპარება ეს ამბავი“ (იქვე, ფ.71). როგორც ჩანს პ.იაშვილი კარგად ხვდება, რომ მის მიმართ პროვოკაცია სწორედ ამ დაწესებულებიდან მოდიოდა. პ.იაშვილის ერთ-ერთი რეპლიკიდან კარგად ჩანს, რომ მას ისიც კარგად ესმოდა, თუ ვინ აწვდიდა ჩეკას და დისპუტის ხელმძღვამელობას მის საწინააღდეგო ინფორმაციას. იგი ამის ხმამაღალ გამოთქმასაც არ მოერიდა და განაცხადა: „ვის მიქონდა ასეთი ამბები? პარტიულის გარდა“ (იქვე, ფ.85). მაშასადამე, მას კარგად ესმოდა, რომ მისი ბედის განსაზღვრაში საბოლოო ინსტანცია ჩეკა და მისი დამკვალიანებელი ლ.ბერია იყო, ხოლო მათთან ფოსტალიონის როლს კომუნისტი მწერალ-კრიტიკოსები და უპარტიო კომუნისტები ასრულებდნენ. პ.იაშვილის მიერ საკუთარი ბედის გარკვევის მიზანდასახულობის გამო ს.ეულმა განაცხადა: „ჩემი აზრით ეს ძალიან საინტერესო საკითხია“. ე.ი. გაამხნევა, სწორ კვალზე დამდგარხარო. ამით წაქეზებულმა პ.იაშვილმა განმარტა: „მე ვნახე წყარო, რომლითაც გამოვარკვევ სიმართლეს, მე ვამტკიცებ, რომ არავითარი საბუთი არ მომიცია არავისათვის, რათა ეთქვათ, რომ მე მის კლანჭებში ვიყავი. როდესაც ელიავა მიჰყავდათ იმ ღამეს ეთქვა (! – გ.ც.), რომ მე ვარ დამნაშავე მის დაპატიმრებში. ეს ვიცი მისი ნაცნობ-მეგობრებიდან (! – გ.ც.) და რა საკვირველია, ასეთი

განწყობილებით წასული კაცი ენკავედეში ყველაფერს გააკეთებს და ამას გამოვარკვევ“. მაგრამ რა იყო გამოსარკვევი, რისი გამორკვევა შეიძლებოდა, მაშინ როცა ჩეკას ყველაფერი „გამორკვეული“ ჰქონდა და არამარტო პ.იაშვილის შესახებ გავრცეწლებული ხმებიცა და დავალებებიც ჩეკადან მოდიოდა.

„თუ თქვენ ზედმეტ რამეს (! – გ.ც.) გამოარკვევთ ამისათვის ხელმძღვანელობაც დაგეხმარებათ – ამისათვის მზად ვართ დაგეხმაროთ“ - შეაგულიანა ს.ეულმა და სიმართლის მაძიებელი იმ მიმართულებით მყარად დააკვალიანა, რომ „მეტი მასალა წარმოეჩინა ვ.ჯიქიას შესახებ, რომ „ეს მავნებელი კაცი ემხილებინა“. აქ ორატორმა ხაზი გაუსვა მთავრობის მიერ უმაღლესი ორდენით დაჯილდოებული პ.იაშვილის მორალურ ვალდებულება-პასუხისმგებლობას.

ს.ეულმა სააშკარაოზე გამოიტანა პ.იაშვილის კიდევ ერთი დანაშაული. მას თურმე მოსკოვში ისეთი ლექსი შეუქმნია, რომლის პირველი სტრიქონიდან გამოდის რაღაც საშინლად აპოლიტიკური წინადადება „რომელიც ჩვენი ბელადების მიმართ არის თქმული არალეგალურად“. მას ისედაც წამოცდა, პროლეტერულ მწერალთაგან ვინ წაიკითხა ეს ლექსი და ვინ გაამახვილა მასზე ყურადღება. ამან დამსწრეთა შორის გამოიწვია მოუთმენლობა და ჩოჩქოლი.

დ.დემეტრაძემ ყურადღება იმ მიმართულებით გაამახვილა, რომ „...თუმცა იაშვილი ყოველ გამოსვლაში ახალ-ახალ შტრიხებს უმატებდა, მაგრამ ბერიას ფორმულა მაინც ვერ გახსნა... რომ მოსკოვში ღოღობერიძის ბინაზე იკრიბებოდა უკმაყოფილო ხალხი, კონტრრევოლუციურად განწყობილი ხალხი ჩვენი ხელისუფლებისადმი“, რომელიც რაღაცას ისეთს ბჭობდა, რომელიც ბოლომდე არ ითქვა: „მე მგონია ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველივე ზომები, რომ იაშვილამა გახსნას ეს ამბები ბოლომდე“. ჩემთვის გასაგებია, რომ დავალების მიხედვით ცდილობენ პ.იაშვილს გამოსძალონ აღიარებები სტალინის და ბერიას მკვლელობების დაგეგმვის დეტალებზე, ეს იქნებოდა მთელი იმ ჩეკისტური ხლაფორთის ფინალი – ანუ „ბერიას ფორმულის“ გადაფარვა, რომელიც ბერიას ძალისხმევით შითითხნა და როგორც ჩეკისტური

ძიების მასალებიდან გავიცანით, ჩეკას სამსახურის მიერ „დასაბუთდა“.

საყრადღებოა, რომ პ.იაშვილის შესახებ მოხმობილი ამონარიდები ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს მწერალთა სხდომებზე მხოლოდ მის შესახებ იყო კრიტიკული მსჯელობა. ბოლომდე გახსნის მოთხოვნა და ერთგავრი მუქარა. სინამდვილეში უპარტიო მწერალთა შორის თითქმის არავინ დარჩენილა კრიტიკული რეაგირების გარეშე. მაგრამ მომაკვდინებელი ბრალდებების ცეცხლი მაინც ნ.მიწიშვილს, მ.ჯავახიშვილს და ტ.ტაბიძეს გაუხსნეს. მთავარი ტენდენცია მაინც იმაში აისახა, რომ მწერლების ხელმძღვანელობა და პროლეტარული მწერლები გულმოდგინედ შეეცადნენ ამ საქვეყნო უბედურებისა და ორომტრიალის ვითარებაში ბერიას მითითებებიც შეესრულებინათ და საკუთარი სიცოცხლეც გადაერჩინათ. აშკარად ჩანს უაღრესად კრიტიკული დამოკიდებულება ბერიას მიერ „ქართველი ხალხის მტრებთან“ კავშირში ყოფნის გამო შემჩნეული და გაკიცხული მწერლების მიმართ. ეს, ჩემი აზრით, იყო იმ ჩეკისტური ინკვიზიციის გაგრძელების ანარეკლი, რომელსაც ქვეყნის მასშტაბით ჰქონდა გამოვლინება და რომელსაც საქართველოში ბერია მართავდა. მაგრამ პაოლო იაშვილის მიმართ ეს „კოლეგიალური“-„ამხანაგური“ „რჩევ ა-დარიგებები“ ნამდვილად იყო მისი ღირსების, სინდისისა და კაცური კაცობის გილიოტინაზე აყვანის პროცესის შემადგენელი ნაწილი.

მაშასადამე, როგორც ვნახეთ, პაოლო იაშვილი „ხალხის მტრების“ კლანჭებში იმ გზით მართლაც ჩავარდა, რომ ჩეკას კლანჭებში მოექცა და ბერიასთან მისვლის გარდაუვალი აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა. მას როგორც მისი განცხადება-დანაპირები მოწმობს სხვა გზა არ დაუტოვეს, გარდა იმისა, რომ თავისი სიმართლე ისევ ჩეკას „დახმარებით“ და მისი მეშვეობით გაერკვია. დახმარებასაც ხომ შეპირდნენ, ჰოდა, როგორც ჩანს, იძულებით კრიტიკანების და ჩეკას „დახმარებამაც“ თავი იმ მხრივ იჩინა, რომ მასთან დაკავშირებული ხალხის მტრებისთვის სასიკვდილო განაჩენის დამკვეთ, ბერიასთან შეახვედრა. ამ და შემდგომი ამბების შესახებ მომდევნო თავში გვექნება მსჯეოლობა.

აქ კი საჭიროა წარმოვაჩინოთ, დისპუტმა როგორ ასახა დაგვიანებით ჩართული მ.ჯავახიშვილის პიროვნება.

<u>მიხეილ ჯავახიშვილი</u> დისპუტის მაისის სხდომებს არ დასწრებია რადგან, როგორც საკავშირო საბჭოთა მწერლების პლენუმის საქარათველოს წარმომადგენელი წევრი, მოსკოვში იყო მივლინებული. ეს მის პოპულიარობისა და ავტორიტეტის გამოხატულება იყო. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ მისი უკვდავყოფის მიზნით მოქანდაკე დ.კანდელაკმა შექმნა მიხეილ ჯავახიშვილის ბიუსტი. სავარაუდოა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ხელოვანს მიაღებინა დიდი მწერლის მიერ მოპოებულმა სახალხო აღიარებამ. 1937 წლის 27 აპრილს საქართველოს მწერლების გამგეობის პლენუმმა „მოისმინა მოქანდაკე კანდელაკის განცხადება მ.ჯავახიშვილის ბიუსტის შეძენის შესახებ და დაადგინეს: სათანადო სახსრების უქონლობის გამო უარი ეთქვას“ (ლხცსა, ფონდი8, აღ.1, საქმე 661, ფურც.22). უარი, ჩემი აზრით იმით უნდა აიხსნას, რომ ამ დროს ჩეკას ძიებას უკვე მოპოვებული ჰქონდა ჩვენებები, რომლითაც მწერალი უკვე „მხილებულია“, როგორც „ფაშისტური“ და „ქართული ნაციონალური ცენტრის“ წევრი. მ.ჯავახიშვილის ბიუსტის გამოქანდაკების ინიციატივა, ვისგანაც უნდა მოდიოდეს, არის მწერლის მიმართ გამოვლენილი იმდროინდელი უნიკალური მოვლენა, რომელიც, ჩემთვის გასაგები მიზეზების, მათ შორის მ.ხომერიკისა და მისი დამქაშების ჩალიჩის გამო, დღემდე არ შესრულებულა.

რაც შეეხება X ყრილობაზე ბერიასა და შემდგომ მიმდინარე „დისპუტს“, მასზე მ.ჯავახიშვილის პიროვნების შესახებ, დახასიათება და მსჯელობა არა ჰქონიათ. დისპუტის ხელმძღვანელებსა და კრიტიკოსებს იგი ამ დროს არ გამოუყვიათ განსაკუთრებული ბრალეულობით.

მოსკოვიდან დაბრუნებული მ.ჯავახიშვილისათვის ცნობილი გახდა, რომ ბერიას მიერ ქართველი მწერლების კრიტიკას და მათდამი ხელისუფლების დამოკიდებულების გარანტიებს, მწერლების მწვავე ურთიერთობა, ხოლო ბერიას მიერ გაკიცხულების მიმართ დაუნდობელი კრიტიკა მოჰყვა. ამის გამო მოსკოვიდან დაბრუნებულმა მ.ჯავახიშვილმა 8 ივნისის სხდომაზე, მისი პირველი

გამოსვლის დროს განაცხადა: ჩემს მიმართ ბერიას „ბრალდებას კონკრეტობა არ ეძლევა, მაგრამ ბრალდება მაინც ბრალდებად რჩება. მე მივხვდი რომ იგი მე თვითონვე უნდა გავხსნაო“ (იხ. ლხცსა, იქვე, აღ.2, საქმე 33, ფ.7). არადა, მოსკოვსა და ლენინგრადში ყოფნის დროს დარწმუნდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებისა და ჩეკას გუთანი უკვე საკმაოდ ღრმად ხნავდა. ამიტომ მან მთელი რეგლამენტი ფაქტობრივად დაუთმო მის მიმართ გამოთქმული პრეტენზიების გაბათილებას: ხალხის მტრად გამოცხადებულ სახელგამის დირექტორის მოადგილე, ლიდა გასვიანთან კავშირი დამაბრალეს, მხოლოდ ერთხელ საქმის გამო ვესტუმე კაბინეტში, აქ კონსპირაციული ლაპარაკი არ შეიძლებოდა, ხახლის მტრად გამოცხადებულ, საქართველოს მწერალათა კავშირის ყოფილ თავმჯდომარე, ცნობილ ნაციონალ-უკლონისტ-ტროცკისტად გამჟღავნებულ, მალექია ტოროშელიძესთან ინტიმურ გარემოში კონტაქტი არა მქონიაო. მან ისეთი ცხოვრებისეული ეპიზოდიც დაიმოწმა, როცა საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე მონაწილეობისთვის მგზავრობის დროს, ილია ჭავჭავაძის ბატონყმობასთან ბრძოლის გაგების საკითხში მ.ტოროშელიძესთან ვერ შეთანხმებულა. მეორე შემთხვევად მ.ჯავახიშვილმა წარმოაჩინა მწერალთა გადამრჩევ კომისიაში მონაწილეობის უარის თქმის გამო, მის მიმართ ტოროშელიძის გაბრაზება. მან, მესამე მაგალითად მოიყვანა ასეთი ამბავი: მ.ტოროშელიძის მიერ მოწონებულად რეკომენდირებული ფხაკაძის პოემაში, რომ „ის დიდი ნიჭი ვერ აღმოვაჩინე, რომელიც ტოროშელიძეს ეპოვნა“, ამის გამო „საყვედურით ამავსოო“. აღნიშნულთა მეშვეობით მ.ჯავახიშვილმა განაცხადა: ჩემს მიმართ „ტოროშელიძის ერთგვარ პატივს გესლიც ახლდა ხოლმეო“. მან არგუმენტირებულად უარყო ტროცკისტებთან მისი შესაძლო კავშირის შესახებ მოარული ხმებისა და ვარაუდის საფუძვლიანობა. მ.ჯავახიშვილმა ხელისუფლების და მწერალ-კრიტიკოსთა რეპრესიებისგან თავის დაღწევის და საკუთარი პოლიტიკური პოზიციის გამო, მათი სავარაუდო შემოტევებისაგან მეხამრიდის შექმნის მიზნით, დასძინა: „14 წელია ერთად ვმუშაობთ, ყოველდღე ვხვდებით, ვსაუბრობთ. მაშასადამე, თქვენ საკმაოდ კარგად უნდა მიცნობდეთ. ალბათ ჩემი ხასიათიც გეცოდინებათ. მე

ანჩხლი კაცი ვარ. სულ უბრალოზე ნერვები ამეშლება და ჩემ წუთიერ გრძნობას ზოგჯერ მოურიდებლად გადმოვანთხევ ხოლმე. მაგალითად: ტრამვაიმ ათიოდე წუთით დაიგვიანა; რომელიმე საქონელი გაძვირდა; რომელიმე საქაონელი სულ აღარ იშოვება; დილის გაზეთი საღამოზე გამოვიდა, სადღაც გრძელი რიგი დავინახე და სხვა ამგვარი. ამის გამო მე ზოგჯერ მწვავე სიტყვას ვიტყვი ხოლმე, ვიღაცას წავნისლავ, ვიღაცას გავლანძღავ“. რათქმაუნდა ეს თითქოს წვრილმანია, მაგრამ ისიც მართალია, რომ ბლომად დაგროვილი წვრილმანი მოზრდილ სხვილმანად გადაიქცევა ხოლმე. აი სად არის ჩემი ბრალი. ენა ჩემი, მტერი ჩემი. ამან მე უკვე ძალიან დამაზარალა. მე ძალიან კარგად მესმის, რომ ჩემი გესლიანი ნათქვამი, ჩემი პოპულიარობის მეოხებით სწრაფად გაჟონავს ხოლმე ხალხში და ავ თესლსა თესავს, ამას მე გულრწფელად ვაღიარებ. მაგრამ... მათთვის ანტისაბჭოთა ხასიათი არ მიმიცია... ჩემი გუნება და აზრი ხელის გულზე დამაქვს (ასე გამიგია ზოგი ჩემი ამხანაგისგან) ამ მკვახე სიტყვების უკან არავითარ შავი საქმეს არ ვმალავ... ამ მკვახე სიტყვებს არსებული სისტემის მტრობა კი არ მალაპარაკებს ხოლმე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სურვილი უკეთესისა, ჩვენი სოციალისტური ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისა... რაც დრო გადის ჩემი კრიტიკული თვალიც თანდათან იხუჭება ვინაიდან ჩვენი ცხოვრება დღითიდღე უმჯობესდება... ამიტომ ჩემ შეგნებაშიც ზოგადი თანდათან მატულობს, ხოლო კერძო და წვრილმანი თანდათან კლებულობს და მტკიცე იმედი მაქვს, რომ ჩემ თავს ადვილად დავძლევ და იმ მესჩანურ ჭუჭყსაც ჩამოვიშორებ, რომელიც აქამდის შემომრჩა. მე ცაკ-ის წევრი და ორდენოსანი გახლავართ. ეს უმაღლესი ჯილდო სტალინმა და ბერიამ მიბოძეს...რომელიც ჩემის აზრით მაინც და მაინც არ შემიბღალავს, მაგრამ არც სავსებით გამიმართლებია... ეს გარემოება მე ძლიერ მაწუხებს და მაფიქრებს, ნუგეშად ისღა მრჩება, რომ ამ წუხილს მახლობელ მომავალში ჩემი შემოქმედების და ჩემი მოქალაქეობრივი ყოფა-ცხოვრების საბოლოო გარდაქმნით გავფანტავ. მე ისიც მჯერა, რომ ამ საქმეში ჩემი ამხანაგები წრფელის გულით დამეხმარებიანო“ (იხ. იქვე, ფ.7-12). როგორც ვხედავთ მ.ჯავახიშვილმა ალღო აუღო შექმნილ სიტუაციას,

ჩათრევას ჩაყოლა არჩია, მაგრამ გასაგებია, რომ თავისი ხასიათიდან გამომდინარე პოლიტიკური აქცენტი არ წამოსწია, მორალურად არ დაცემულა. როგორც ჩანს მან ბოლომდე ვერც მოსპობის საფრთხე განსჭვრიტა და საკუთარი მდგომარეობა არც მთლად გამართლებულად შეაფასა, მაგრამ გვიანდა...

ს.ეულმა კითხვა დაუსვა: „იყო თუ არა შემთხვევა, რომ ნიორაძესთან გქონდა მწვავე ლაპარაკი?“ მ.ჯავახიშვილმა ეს კითხვა კარგად ჩამოწოდებული პასის მსგავსად გამოიყენა და უპასუხა: „იყო ასეთი შემთხვევა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ყველაფერი გაირკვა“ (იქვე, ფურც.13-14). მე მგონი მან შეკითხვის მიზანი ვერ გაიგო...

მეორე, 9 ივნისის სხდომის მონაწილეები (დ.დემეტრაძე, კ.ლორთქიფანიძე, ბ.ჟღენტი) დაინტერესდნენ ლ.გასვიანთან მ.ჯავახიშვილის კონტაქტების გაღრმავებული წარმოჩენით. ისინი ლ.გასვიანს, როგორც ტროცკისტების ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, ოფიციალური აზრის გავლენით, საქმიან სამსახურებრივ შეკრებებს, საიდუმლო ანტისაბჭოტა ჯგუფის შექმნად, ხოლო განსაკუთრებით პოპულიარული მწერლების კრებულის გამოცემისათვის მეცადინეობას, დანაშაულებრივი ჯგუფის შემოკრებად უზვიადებდნენ. ამიტომ ამ ვითომ „ხალხის მტრებთან“ კავშირის ბრალდებისაგან თავის დაღწევა მ.ჯავახიშვილის ერთგვარი გამარჯვება იქნებოდა, მაგრამ თავის დაღწევა ჯერ შორს იყო ბრალდებები კი, გროვდებოდა.

9 ივნისის სხდომის დროს, ბ.ჟღენტი საბჭოთა ხელისუფლების ერთგულ დამცველად გამოსვლის დროს, მ.ჯავახიშვილს განსაკუთრებით საგნობრივად შეეხო. მან სთქვა: „როდესაც ჯავახიშვილის გვარი მოიხსენია ამხ. ბერიამ იმ ხალხთან, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ ხალხის მტრებთან, თავისთავად ცხადია უსაბუთოდ არაფერს მოიტანდა. მ.ჯავახიშვილმა, კი თავის მეხსიერებაში ვერ მონახა ვერცერთი ფაქტი, რომელიც ამის საფუძველს აძლევდა მას და გაგვაგებინოს თუ რა მოქმედება აქვს ისეთი, რომ ეს საბჭოთა მწერლის სახელს არ შეეფერება“ (იხ. იქვე, საქმე 35, ფურც.51).

ბ.ჟღენტმა მ.ჯავახიშვილს მეორე მომენტად დაუსახა ის რომ, რასაც მან „წვრილმანი“ დაარქვა, ანუ „საბჭოთა მწერლის

დაუფიქრებელი ლაპარაკი, ხშირად ისეთია, როგორსაც ჩვენი მტრები ლაპარაკობენ“, კაპიტალისტური გარემოცვის, აგენტების და დაზვერვის შემორტყმის დროს, „არ არის წვრილმანი საკითხი“. ამის საილუსტრაციოდ ბ.ჟღენტმა მოიტანა ასეთი მაგალითი: „ლაპარაკობდნენ: მიხეილ ჯავახიშვილი ლაპარაკობს, ა.ჟიდი კარგად აზროვნებსო და სხვ... თქვენ ლაპარაკობთ ხშირად იმ ენით, რომელიც შეიძლება გამოიყენოს ჩვენმა მოსისხლე მტერმა“. მან მ.ჯავახიშვილისა და აუდიტორიის ყურადღება იმაზე გაამახვილა, რომ სუბიექტი, რომელიც ხელისუფლების მიერ ცაკის წევრად იყო მიღებული და მთავრობის ორდენითაც იყო დაჯილდოვებული, „ლაპარაკობს ყოვლად არასაკადრის ამბებს“. ბ.ჟღენტმა გამოსთქვა რწმენა, რომ „როდესაც ჩვენ შემორტყმული ვართ კაპიტალისტურ-ფაშისტურ ყაჩაღებით... კრება გაწმენდს ჩვენ ლიტერატურულ ატმოსფეროს და ყველა ჩვენთაგანი წავალთ ამ კრებიდან იმ დასკვნით, რომ არავითარი ორჭოფობა... ვიქნებით უაღრესად გულრწფელი იმ ხაზის, რომელსაც გვაძლევს პარტია და ხელისუფლებაო“ (იქ, იქვე, გვ.52).

ბ.ჟღენტის მიმართ პ.იაშვილმა რეპლიკა ისროლა: „ასეთი გამძაფრებული კრიტიკა ახლა რომ არის მწერალთა კავშირში, სამი-ოთხი წლის წინათ რომ ყოფილიყო, ხომ მოახდენდა ეს მწერლებზე გავლენასო“. ამით მან საკუთარი კმაყოფილება გამოხატა, ბ.ჟღენტის მიერ კრიტიკის „ჰუმანური“ მიზანდასახულობით წარმართვის გამო. მაგრამ ამავე დროს ის გამოუვიდა, რომ დაგვიანებული დახმარების გამო ხელისუფლება, პირადად ბერიაც და კრიტიკოსიც დაადანაშაულა. შანშიაშვილმა კი ბ.ჟღენტს საწინააღმდეგოდ გადაჰკრა: „მე ვიცი როგორი დამოკიდებულება გქონდა შენ (მიმართავს ჟღენტს) ახმეტელთან. მაგრამ ერთი ამბავი გავიგე, რომ შენზე ძალმომრეობა იხმარაო. სად იყო ეს?“ ამის პასუხად ბ.ჟღენტმა მიუგო: „მე ეს განვაცხადე თავის დროზე პოლიტსამმართველოში და სათანადო ორგანომ ახმეტელი გახსნა როგორც ფაშისტი ბანდიტიო...“ (იხ. იქვე, ფ.53). ჩემი აზრით, აღნიშნული ინციდენტი არ შეიძლებოდა გამხდარიყო ს.ახმეტელის გაუბედურების მთავარი მიზეზი. მაგრამ ამით ის მაინც წარმოჩნდა, რომ „ინციდენტები“ ზოგჯერ ჩეკასთან ჩივილის მიზეზი ხდებოდა, ხოლო ბ.ჟღენტი, ისე

როგორც ზოგი სხვა, ფრიად მოსარიდებელი პიროვნება იყო. მას ამით უთუოდ მოსალოდნელი კრიტიკის აცილებაც უნდოდა. ასეა, თუ ისე, ბ.ჟღენტმა ნებსით თუ უნებლიედ დაადასტურა, რომ პარტიისადმი ერთგულების დასამტკიცებლად ისევე გაისარჯა, როგორც ზოგი სხვა, და როგორ მოთხოვნასაც პარტია და საბჭოთა მწერლის წინაშე დასახული ამოცანები მოითხოვდა.

ხელისუფლების მხრივ მ.ჯავახიშვილის დაფასებას და ამასთანავე მის გაუმართლებელ სიფიცხეს, თავის სიტყვაში ადგილი დაუთმო ს.ეულმა. მან მ.ჯავახიშვილს ურჩია „თითოეულ ჩვენს სიტყვას უნდა დაუკვირდეთო“ (იხ. იქვე, გვ.79).

დ.დემეტრაძემ მ.ჯავახიშვილი გააკრიტიკა ბოლომდე გაუხსნელობის გამო. მის მიერ ანდრეი ჟიდის აზროვნების შექების შესახებ საკითხი აქამდე, რომ არ დავაყენეთ, ჩვენი ბრალიაო. მაგრამ კარტის სათამაშოდ სისტემატიურად რომ იკრიბებით, „აქ მარტო კარტის თამაში არ იქნებაო...“ „იქ არის ერთგავარად განწყობილი წრე, მემარჯვენე ბანაკის მწერლებიდან... და უნდა ვიგულისხმოთ რომ აქ არის ერთგვარი ლაპარაკი ამა თუ იმ საკითხებზე. შემდეგ აქედან ეს განწყობილება ინერგება, მძლავრდება და სხვადასხვა. ამას მე გეუბნებით ერთგვარი სიგნალის სახით, რომ ასეთი ყოფითი მოვლენა რომელსაც აქვს ადგილი არ გამეორდეს, არა მარტო თქვენთან, არამედ სხვაგანაცო...“.

ჩემი აზრით, მ.ჯავახიშვილის მიმართ ხელისუფლების მთავარი დასაყრდენი მწერლების მხრიდან, პოლიტიკურ ბრალეულობათა წაყენების მისწრაფებასთან ერთად, ჩეკისტური ფაქტების წაყენება ჯერ კიდევ მკაფიოდ არა ჩანს. დ.დემეტრაძის სიტყვებში კი მართლაც ჩანს „სიგნალი“. ჩეკისტური ძიების უკვე არსებულ მასალებში, როგორც ადრე ითქვა, მართლაც იყო ჩვენებები მ.ჯავახიშვილის და სხვათა ბინებში, დ.შევადნაძის „მუზეუმში“, და საგურამოში მწერლების საეჭვო კონტრრევოლუციური მიზანდასახულობის შეხვედრების შესახებ.სავარაუდოა, რომ დ.დემეტრაძემ ამ „ჩვენებათა“ შესახებ, არსებითი მნიშვნელობის მართლა რაიმე იცოდა და ეს „სიგნალი“ ექნებოდა მხედველობაში. არა და, ხომ ცნობილია, რომ მწერლების შეკრებებს ესწრებოდა და მათ საუბრებს ისმენდა, მათ შორის, ჩეკას მიერ ჩანერგილი

ინფორმატორი. ჩეკასთვის მათი საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ესეც უნდა ყოფილიყო საბაბი მისი შემდგომი გაუბედურებისა. როგორც ცნობილია, აკ.თათარაშვილს შეათითხნინეს „ჩვენება“ დ.დემეტრაძის და სხვათა არალეგალურ-კონტრრევოლუციური საქმიანობის შესახებ. ამის შესახებ მომდევნო თავში შესაძლო სისრულით ავღნიშნავ. ახლა კი, მოწინააღმდეგე მხარემ მაინც ირონიით უპასუხა. პ.იაშვილმა ჰკითხა: „დათიკო ორ თვეში ერთხელ რომ ვითამაშოთ არაფერია?“ ჩემი აზრით, ეს იყო უადგილო და საზიანო ხუმრობა, მაგრამ ფსიქიკური გადატვირთვის შედეგი. მ.ჯავახიშვილმა კი უფრო ცუდად გაუგო და მიუგო. „ე.ი. თქვენ იმას ამბობთ, რომ ნუღარ იკრიბებიან მწერლები ერთადო?“ ამის გამი დ.დემეტრაძემ, თავის მხრივ, კიდევ უფრო ცუდად დააკონკრეტა: „ჩემი აზრი ასეთია, ამხანაგი მიხეილი არც ისე გულუბრყვილო მწერალია, როგორც შეიძლება მოეჩვენოს ზოგიერთს. მ.ჯავახიშვილს დიდი სტაჟი აქვს წარსულის პოლიტიკური ბრძოლების და სხვა“. მან ახლა გასვიანის ქალთან მ.ჯავახიშვილის შეხვედრის სამსახურებლივი წარმოსახვის გამოც ეჭვი გამოსთქვა და შეახსენა: „თქვნ გამობრძმედილი ბრძანდებით ამ ამბებში“, „ბევრი განგიცდიათ“, მაგრამ თქვენი გამოსვლით განცვიფრებული დავრჩი, საჭირო იყო გულახდილობაო. მ.ჯავახიშვილი, ჩემი აზრით, დ.დემეტრაძის ნათქვამს კვლავ კომფლიქტურად დაუპირისპირდა: „იმან განგაცვიფრათ, რომ მე კონტრრევოლუციონერებთან კავშირი არ მქონდა?“ - მე ჩემ გულრწფელობას სხვებთან დავამტკიცებ“; „ამდენი ხალხია და ვეკითხები ყველას დამისახელეთ ვინ რა იცით? მაგრამ თუ ზვარაკია, ეს სხვა არისო“. როგორც ჩანს, მ.ჯავახიშვილი კრიტიკაში ახალი აქცენტის წამოწევის საშიშროების გამო დ.დემეტრაძეს ზედმეტად დაუპირისპირდა. ამის გამო დ.დემეტრაძემ მიუგო: „არავითარი ზვარაკი არ არის და თავი დაანებეთ ასეთ ლაპარაკს“ (იხ. იქვე, ფ.84).

აქ, ჩემი აზრით, უაღრესად საყურადღებო მომენტები წარმოაჩინა დ.დემეტრაძემ, როგორც მწერალთა ერთ-ერთმა თავკაცმა და ხელისუფლებასთან დაახლოებულმა პირმა. მან უთუოდ რაღაც ისეთი იცოდა, რომელსაც მწერალთა კავშირსა და

პარტორგანიზაციის აქტივისტი ინფორმატორები აწვდიდნენ, ან რასაც ხელისუფლება თუ ჩეკა, მ.ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრე-მეგობრების მიმართ კრიტიკის გასაძლიერებლად სიმართლედ აწვდიდა და მომავალი რეპრესიების საფუძვლად ამზადებდა. იგი იქნებ იმასაც შეეცადა, რომ განწირულებს ეს ფარსაგი კარგად გაეცნობიერებინათ, იქნებ ნაწილობრივ მიაღწია კიდეც. მ.ჯავახიშვილმა უთუოდ სწორედ გაიგო, რომ ზვარაკის ძებნა ხდებოდა. მაგრამ ზვარაკის ძებნა ხდებოდა ხელისუფლების და არა დ.დემეტრაძის მიერ, რომელმაც მას საკუთარი სიმპათიები ჯერ კიდევ 1935 წელს დაუმტკიცა, როცა „სისხლის რასობრივი თეორიის“ შესახებ ი.ლისაშვილის საკმაოდ სახიფათო განცხადება, მასხრად აიგდო და შესაბამისი მსვლელობა არ მისცა (ამის შესახებ იხ. რ.კვერენჩხილაძე, მიხეილ ჯავახიშვილის „თაღლითი“ დამცველის ნაგვიანევი პასუხი, „მწერლის გაზეთში“, 2004, 1-5 ნომერი, №18), ახლა კი ხელმეორედ შეეცადა დახმარებას. მაგრამ უთუოდ ცუდად გაუგეს და კიდევ უფრო ცუდად გაუხმაურეს. იმ კონკრეტულ სიტუაციაში იქნებ არც იყო სხვა გზა. ამის გამო ეჭვი მებადება, ხომ არ შეიძლებოდა, რომ დ.დემეტრაძეს ეს კეთილი მიზანდასახულობა შემდგომში, ბერიას მხრივ დამატებითი სახის ხლაფორთად წასდგომოდა?

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის მაის-ივნისის სხდომები მრავალმხრივ საყურადღებო ფიქრის და აზრის განვითარების შესაძლებლობას იძლეოდა როგორც მ.ჯავახიშვილის, ისე მისი თანამოაზრე-მეგობრებისათვის. იგი ჩვენთვისაც იძლევა ფიქრისა და განსჯის საბაბს. როგორც ზემოთ ვთქვი, აქ დ.დემეტრაძის, როგორც მწერალთა კავშირის წევრთა თავკაცისა და კრიტიკანების მესაიდუმლეს მხრივ, დანდობას უფრო ვხედავ, ვიდრე ჩაძირვის მისწრაფებას. ამ სხდომაზე, აგრეთვე საყურადღებოა, ხარვეზების მხილებისას ზოგი მწერლის განსაკუთრებული თავშეკავება.

მ.ჯავახიშვილმა დასმულ კითხვებს დამაჯერებელი პასუხი გასცა, მაგრამ ისე როგორც პ.იაშვილს უპირატესად თავისი „შეცდომების“ გამო თავდაცვა გამოუვიდა. ასეა, თუ ისე დისკუსია მისთვის, ისევე როგორც პ.იაშვილისა და ტ.ტაბიძისათვის მაინც შედარებით მშვიდობიანად დამთავრდა, თუმცა უკვე, აქვე ჩაიდო

დამატებითი დაყოვნების ნაღმები, რადგან არსებული რეჟიმი მორჩილების გარდა „ჩისტკას“, ანუ საეჭვო ადამიანებისგან საზოგადოების გაწმენდა-გამოხშირვას მოითხოვდა. ამიტომ ბერია არა მარტო ოპოზიციურად განწყობილ ადამიანებში, არამედ „ნეიტრალურ“ ადამიანებშიც კი მოწინააღმდეგებს ხედავდა. ამიტომ იყო, რომ ამ დროს ჩადებული დაყოვნების ნაღმები ახლა და არც თუ დიდი ხნის შემდეგ ზემდგომთა მითითებებითა და ბერიას კარნახის მიხედვით, საჭირო დროს იდეურად ააფეთქეს მწერალმა კრიტიკოსებმა, პრაქტიკულად კი, გამოიყენეს ბერიამ და ჩეკისტმა ჯალათებმა.

<u>თავი IV. ბერიას მიერ შერისხული და მწერალთა სხდომების დროს ეჭვებითა და ბრალეულობებით დამძიმებული მწერლების შემდგომი ბედის შესახებ</u>

ბერიას მიერ შერისხული და დისკუსიის დროს ეჭვმიტანილი, და ბრალეულობებით დამძიმებული მწერლებისა და კერძოდ პ.იაშვილისა და მჯავახიშვილის შემდგომი ბედის განსაზღვრისთვის განსაკუთრებული როლი შეასრულა დიდი ტერორის შემდგომმა განვითარებამ. ამ ახალ ეტაპზე ზოგადმა და კონკრეტულად მათ შესახებ ჩეკისტურად მოპოვებულმა ახალმა „ჩვენებებმა“, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ჩეკისტურად გამოძალულ აღიარებათა „კონვეირი“ ანუ ესტაფეტა და რომლებსაც ძიება ერთგვარი მემკვიდრეობის მნიშვნელობით იყენებდა. ყოველ მომდევნო პატიმარს ისეთ აუტანელ მდგომარეობაში აგდებდნენ, რომ იძულებულს ხდიდნენ წინამორბედის ყალბი ჩვენებები დაედასტურებინა, ანუ გადაეფარა და თავის მხრივ ჩეკას ძიებისთვის სასურველი ახალი ინფორმაციით გაემდიდრებინა. ამასთანავე აღნიშნული ჩვენებების გამოძალვა ისე ინიღბებოდა, რომ „აღიარებაში“ ეჭვის შეტანა ვერ მომხდარიყო. მთელი ეს მექანიზმი ისე იყო შეკოწიწებულ-აწყობილი, რომ მისი გამოყენებით ნებისმიერი პატიმრის დადანაშაულება და მოსპობა შეიძლებოდა.

აღნიშნული თვალსაზრისით საყურადღებოა ევგენი დარჩიასგან 3-4 ივნისს გამოძალული „ჩვენება“, რომელიც „ადასტურებდა“, რომ „შეიარაღებული აჯანყება უნდა მომხდარიყო ერთობლივი მოქმედებით მენშევიკებისა ეროვნულ დემოკრატებთან და სხვა ანტისაბჭოთა პარტიებთან ერთად, რამდენადაც უახლოეს დროში მოსალოდნელი იყო ომი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოსთან...“ (საქმე №9997, ფურც.394).

<u>ა.ახმეტელის</u> 10 ივნისის ჩვენებაში, ჩეკას ძიების ახალ მონაპოვართა შესაბამისად იკითხება ახლებურად ტრანსფორმირებული ინფორმაცია. მის მიხედვით: „ქართულ ნაციონალურ ცენტრში” შედიოდნენ: 1. გიორგი კურულოვი; 2. ბესიკო ჭიჭინაძე; 3. ახმეტელი სანდრო; 4. ჯანდიერი; 5. მიხეილ ჯავახიშვლილი; 6. ბარათაშვილი; 7. ლეონიძე ლეონ; 8. ჯიქია ვლადიმერი (სხვა გვარები არ მახსოვსო).

ცენტრის წინაშე იდგა შემდეგი ამოცანები: 1. მავნებლობა; 2. ტერორი; 3. კ-რ კადრების მომზადება ინტერვენციისა და ხელისუფლების დაპყრობის დროისთვის; 4. სხვა რესპუბლიკებთან კავშირი (მითითებული სამუშაოების კონტაქტირებისათვის).

<u>მიხეილ ჯავახიშვილს დავალებული ჰქონდა კონტრრევოლუციური უჯრედების დანერგვა ხელოვნების მუშაკთა შორის, რომელსაც იგი ახორციელებდა კონსტანტინე გამსახურდიას, შალვა დადიანის, პაოლო იაშვილისა და პროფესორ შალვა ნუცუბიძის დახმარებით</u>"(! – გ.ც.).

<u>ნიკოლო მიწიშვილის</u> 1937 წლის 14 ივნისს „აღიარებათა" ოქმში წერია: „დიახ დამნაშავედ ვცნობ თავს იმაში, რომ ვიყავი უცხოეთის დაზვერვის აგენტი და აქტიურ ჯაშუშურ მუშაობას ვეწეოდი. ვაღიარებ"; „ჩვენი კონტრრევოლუციურ ფაშისტური ორგანიზაციის წევრები იყვნენ: მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, არჩილ მიქაძე, გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე გამსახურდია, პაოლო იაშვილი, იაკინთე ლისაშვილი, პეტრე სამსონიძე, ლევან ასათიანი, ლეო ქიაჩელი, დავით წერეთელი, ბარონ ბიბინეიშვილი, და მე – ნიკოლოზ მიწიშვილი... ჩვენი კონტრრევოლუციური ფაშისტური ორგანიზაციის ორგანიზატორები და ხელმძღვანელები იყვნენ: არჩილ მიქაძე, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, პაოლო იაშვილი, და მე – ნიკოლოზ მიწიშვილი"; „მითითება ტერორის შესახებ პირველად მივიღე ლიდა გასვიანისაგან... ამ განწყობილების მატარებელი და სულის ჩამდგმენლები იყვნენ მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და მე – ნიკოლოზ მიწიშვილი, ანუ ორგანიზაციის მთელი ხელმძღვანელობა"; „ჩვენი კონტრრევოლუციური ორგანიზაცია დაკავშირებული იყო აგრეთვე კონტრრევოლუციურ-ფაშისტურ ტერორისტულ ჯგუფთან, რომელიც რუსთაველის სახელობის თეატრში შექმნა ამ თეატრის ყოფილმა დირექტორმა, სანდრო ახმეტელმა". „ნ.მიწიშვილის ჩვენებაში" ჩამოთვლილი, ანუ გამეორებული არიან ამ ჯგუფის ტერორისტები (ხორავა, ვასაძე, აფხაიძე, პატარიძე). ასევე გადაფარებულნი არიან ტროცკისტული ორგანიზაციის თავმჯდომარე (ბ.მდივანი) და წევრები. „კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრები ერთმანეთს ხვდებოდნენ ტიციან ტაბიძის, არჩილ მიქაძის, პაოლო იაშვილის,

ლეონიძისა და ჩემს ბინებში, სადაც ეწყობოდა სისტემატური კონტრრევოლუციური თავყრილობები, ერთობლივი ნადიმებისა და ლიტერატურული საღამოების სახით“ (იხ. საქმე №9997, ფურც.102-119). არა და, კარგად ჩანს ამ „ჩვენებების“ აბსურდული ჩეკისტური წარმომავლობა. ამასთანავე კარგად არის ცნობილი, რომ ნ.მიწიშვილისგან, ზემოხსენებული „აღიარებები“ გამოძალვით მოიპოვეს ჩეკას ცნობილმა ფალსიფიკატორმა და ჯალათმა ჩეკისტებმა - ქობულოვმა, სავიცკიმ და კრიმიანმა (იქვე, ფურც. 119). ჩეკას სამძებროს ამ ასებმა აღნიშნული ჩვენება მოიპოვეს ბრალდებულის წამებით და მოიპოვეს იმის გამო, რომ მეგობთრებთან სერობაზე, ბერიას პოლიტიკითა და რეჟიმით უკმაყოფილო ქართველი პატრიოტი ინტელიგენციის განწყობილების გამოხატვის დროს, მან ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა, ბერია მკაცრად, მაგრამ სამართლიანად გააკრიტიკა და მას კიდეც შეაგინა, რაც ბერიას მყისვე აცნობა ვიღაცამ.

<u>მალაქია ტოროშელიძის</u> 1937 წლის 13-14 ივნისის დაკითხვის ოქმის ამონარიდში „აღიარებულია”: „ქართული ნაციონალური ცენტრის მიერ მე - მ.ტოროშელიძეს და ნ.ქარცივაძეს დავალებული გვქონდა პროფესორ ივანე ჯავახიშვილის კონტრრევოლუციურ ნაციონალურ ცენტრალურ ჯგუფთან (უნივერსიტეტის პროფესორებთან: ალექსანდრე წერეთელთან, გრიგოლ წერეთელთან, ხუნდაძესთან, კორნელი კეკელიძესთან, აკაკი შანიძესთან და გიორგი ჯავახიშვილთან) ერთად უნივერსიტეტის ნაციონალისტურად განწყობილ სტუდენტობაში ფაშისტური და ტერორისტული უჯრედების დანერგვა” (საქმე №17455, ფურც.485) აქ პაოლოს მეგობარი შალვა ნუცუბიძე ნახსენები არ არის, მაგრამ მიხეილ ჯავახიშვილის ფაშისტურ ცენტრთან დაკავშირებულ სხვათა, მათ შორის ალექსანდრე წერეთლისა და გრიგოლ წერეთლის, როგორც სტუდენტობაში ფაშისტური და ტერორისტული უჯრედების დამნერგავებად „დადასტურება“ ნათლად გვიჩვენებს, თუ ჩეკაში პ.იაშვილს რასთან შეიძლებოდა ჰქონოდა შეხება და რისი დადასტურება-გადაფარვა, თუ რა „ცენტრალური მიმართულების” შესრულება უნდა მოეთხოვა მისთვის ჩეკას ძიებას.

მ.ჯავახიშვილი და პაოლო იაშვილი, მ.ჯავახიშვილის სამძებრო საქმეში დართულ <u>დავით წერეთლის</u> 1937 წლის 20 ივნისის დაკითხვის ოქმში განსაკუთრებული ბრალდებით არიან მოხსენიებულნი „კონტრრევოლუციურ ფაშისტური ორგანიზაციის 25 წევრი“, ამ ოქმში ვკითხულობთ: „ორგანიზაციის კონტრრევოლუციურ საქმიანობას... მისდამი ხელმძღვანელობას ახორციელებდნენ მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია და პაოლო იაშვილი“, ხოლო „კონტრრევოლუციურ ფაშისტურ ორგანიზაციაში შედიან“: 1. მიხეილ ჯავახიშვილი, 2. კონსტანტინე გამსახურდია, 3. გერონტი ქიქოძე, 4. ილო მოსაშვილი, 5. კონსტანტინე ჭიჭინაძე, 6. კოკი აბაშიძე, 7. ნიკოლო მიწიშვილი, 8. არჩილ ჯაჯანაშვილი, 9. პავლე ინგოროყვა, 10. ტიციან ტაბიძე, 11. პაოლო იაშვილი, 12. გოგლა ლეონიძე, 13. დავით სულიაშვილი, 14. ალექსანდრე აბაშელი, 15. მიხეილ პატარიძე, 16. ლევან ასათიანი, 17. რაჟდენ გვეტაძე, 18. შალვა დემეტრაძე, 19. აკაკი გაწერელია, 20. თედო სახოკია, 21. იაკინთე ლისაშვილი, 22. აპოლონ წულაძე, 23. ალექსანდრე ქუთათელი, 24. არჩილ მიქაძე და 25-ე: მე – დავით კონსტანტინეს ძე წერეთელი...”ეს „ჩვენება“ უამრავ სხვა ჩეკისტურ ფანტაზიასაც აფიქსირებს: მწერალთა ფაშისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელებად დასახელებული არიან მ.ჯავახიშვილი და კ.გამსახურდია; ჩვენებაში დასახელებული არიან კონტრრევოლუციური სამხედრო ორგანიზაციის წევრები, მათ შორის პოლკოვნიკი ლევან გარსიაშვილი, აგრეთვე ქართველ მწერლებთან ანტისაბჭოური მიზანდასახულობა-განწყობილებით დაკავშირებული მოსკოვისა და სხვა ქალაქების მწერლები, რომელთა მიერ საქართველოში ჩამოსვლის და ღვინის სმის დროს გამოითქმებოდა ანტისაბჭოური სადღეგრძელოები.

დ.წერეთლის ჩვენებაში დადასტურებულია კონტრრევოლუციური მიზანდასახულობის კავშირები მენშევიკ კონტრრევოლუციონერებთან, საზღვარგარეთის ქართულ ემიგრაციასთან და სხვ. მაგრამ ჩემი კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით საყურადღებოა მ.ჯავახიშვილის ნათქვამად წარმოჩენილი, ჩვენება, რომლიდანაც ისე გამოდის თითქოს მიმდინარე წლის ზაფხულში ფაშისტური ორგანიზაცია

„იწყებს სპეციალურ მუშაობას“ წითელი არმიის ნაწილების გადასაბირებლად - „ამავე მიზნით საქართველოს მწერალთა კავშირთან იქმნება „სამხედრო სექცია“ (! – გ.ც.).

დაკითხვის ოქმში წერია: „როგორც მ.ჯავახიშვილმა მითხრა, საქართველოს კონტრრევოლუციური ორგანიზაციის შეიარაღებული გამოსვლის საქმეში ლევან ქორქაშვილს ევალება შეაკოწიწოს და უხელმძღვანელოს სამხედრო რაზმს. გამოსვლის მომენტისათვის მისმა რაზმმა ბინებში უნდა დააპატიმროს საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის მდივანი ლ.ბერია, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი გოგლიძე და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მთელი ხელმძღვანელი შემადგენლობა. ქორქაშვილთან მოლაპარაკებას ეწევა მ.ჯავახიშვილი“ (! – გ.ც.).

დ.წერეთლის დაკითხვის ოქმში „აღიარებულია“, რომ: მ.ჯავახიშვილის ნათქვამის მიხედვით საზღვარგარეთიდან მოელიან ემისარს; კონტრრევოლუციურ ორგანიზაციებს ფულით დააფინანსებენ (! – გ.ც.). „იგი“ ამ ნათქვამს ამაგრებს „კ.გამსახურდიას ნათქვამით“: „უახლოეს დროში საზღვარგარეთიდან უნდა მიიღონ ფულადი დახმარება კონტრრევოლუციური მუშაობის გასაშლელადო“. ეს ჩვენებაც ბ.ქობულოვისა და მისდამი დაქვემდებარებული IV განყოფილების ჩეკისტი ჯალათების აბაზოვისა და ფაჩულიას მიერ იქნა გამოძალული (იხ, საქმე №9997, ფურც.121-137). არა და, ცნობილია, რომ მას ასეთი „ჩვენების“ „მიცემის“ მიზეზად გაუხდა, შინაურ წრეში გაცხადებული პროგნოზი სოციალიზმის გარდაუვალი კრახისა და ფაშიზმის უცილოდ გამარჯვების აუცილებლობის შესახებ.

როგორც მომდევნო თავებში გავეცნობით, დ.წერეთლისგან გამოძალული ეს „აღიარებები“, გარკვეული იმპროვიზაციით, საფუძვლად დაუდეს ლ.ქორქაშვილისა და მ.ჯავახიშვილის მიმართ შეთითხნილ ბრალდებებს.

არჩილ მიქაძეს 1937 წლის 28 ივნისს დაკითხვის ოქმში დახასიათებულია კონტრრევოლუციურ მუშაობაში ჩაბმული პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე და მიწიშვილი ნიკოლო. პირადად პაოლოს შესახებ წერია: „1. პაოლო იაშვილი – დღემდე არსებული

სიმბოლისტ – ცისფერყანწელი მწერლების კონტრრევოლუციური ჯგუფის ხელმძღვანელი.

იაშვილი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბ.ლომინაძესთან და ლ.ღოღობერიძესთან და გახლდათ მათი ორგანიზაციის მთელი კონტრრევოლუციური მუშაობის კურსში. იაშვილს მჭიდრო და ორგანიზაციული კავშირი ჰქონდა აგრეთვე პ.აღნიაშვილთან და ვ.ჯიქიასთან... ჩემთვის ცნობილია, რომ იაშვილი ახლოს არის დაკავშირებული ლიტვიის ელჩთან სსრ კავშირში... <u>იაშვილი</u>, მაგალითად, <u>მეუბნებოდა</u>, რომ მან განაცხადა, <u>ბაქტერიოლოგი ელიავა საფრანგეთის ჯაშუშიაო</u>...“ (! – გ.ც.).

ბრალდებულების, <u>ა.ვ.ახმეტელისა და დ.ი.შევარდნაძის</u> „პირზე წაყენების 1937 წლის 25 ივნისის ოქმში“ წერია: „დ.ი შევარდნაძის ბინა იყო არა მარტო საქართველოს, არამედ სხვა რეპუბლიკის მთელი კონტრრევოლუციურ-ნაციონალური ინტელიგენციის საიდუმლო შეხვედრების, შეკრებებისა და თავყრილობის ადგილი. კონკრეტულად ამ თავყრილობებს... ესწრებოდნენ... მწერლებიდან: მიხეილ ჯავახიშვილი... პავლე იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ნიკოლოზ მიწიშვილი... და სხვები...“ აქვე, „საქართველოს ეროვნული ცენტრისა“ და კონტრრევოლუციური აქტივის წევრებიდან დასახელებული არიან: გიორგი კურულოვი, ვლადიმერ ჯიქია, აკაკი თათარაშვილი, პავლე იაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, ლიდა გასვიანი...” ანუ ბერიას მიერ მოსასპობად წინასწარვე განწირულევი.

ამავე ჩეკისტური დაკითხვის ოქმში ვკითხულობთ: „დაახლოებით 1933 წლის ზამთარში შევარდნაძის ბინაში ერთმანეთს შეხვდნენ გიორგი ყურულოვი, ვლადიმერ ჯიქია, აკაკი თათარაშვილი, დიმიტრი შევარდნაძე, პავლე იაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, და სხვები... ამ შეხვედრის დროს განიხილეს კონტრრევოლუციურ-მავნებლური მუშაობის საკითხები.

ანალოგიური შეხვედრები ეწყობოდა სხვადასხვა დროს... კონტრრევოლუციურად ვიხილავდით შემდეგ საკითხებს:

1. ინტერვენციის გარდაუვლობა და როგორც მისი შედეგი, საბჭოთა ხელისუფლების გარდაუვალი დაღუპვა.

2. ინტერვენციის შემთხვევაში კადრების დაუყოვნებელი მომზადების აუცილებლობა, კონტრრევოლუციური, ნაციონალისტური

და მავნმებლური იდეების პროპაგანდისა და აგიტაციის, დივერსიებისა და ტერორის გზით.

3. ემიგრაციასთან კონტრრევოლუციური მუშაობის დაკავშირება.

4. კულტურულ ფონზე „საქართველოს ეროვნული ცენტრის“ კონტრრევოლუციური მუშაობის მეთოდები...“(იხ.145-160).

„მუშაობის მეთოდებად ყურულოვი ასახელებდა მავნებლობას და დივერსიას, 1935 წელს კი, მან ბრძოლის მეთოდად გამოაცხადა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ ინდივიდუალური ტერორი.

პავლე იაშვილი მოახსენებდა შეკრებილთ სხვა რესპუბლიკების კონტრრევოლუციურ ნაციონალისტებთან კავშირ-ურთიერთობის შესახებ. მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული... სიმონ პირუმოვთან და სომხეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანთან ხანჯიანთან.

ის, რომ იაშვილს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ხანჯიასთან (რომელიც მოარული ხმების მიხედვით ბერიას შემოაკვდა – გ.ც.)... ცნობილია როგორც თვით იაშვილის, ისე ვლადიმერ ჯიქიასგან...“ ამ გამოძალულ ოქმს ხელს აწერს ჩეკას სამძებროს III განყოფილების უფროსის მოადგილე, უფროსი ლეიტენტანტი – ჟუკოვი (იქვე, ფურც.160).

მაშასადამე, ზემოთ მოყვანილი წყაროებიდან დამატებით და ძალიან კარგად ჩანს სხვათა, პ.იაშვილის და მ.ჯავახიშვილის მიმართ შემდეგი შეთითხნილი ის ბრალდებები, რომელთა შესახებ მომდევნო თავებში მოხმობილ ჩეკისტურ წყაროებში ვიხილავთ და აგრეთვე, დაგვეხმარება პ.იაშვილის თვითმკვლელობის მიზეზთა გარკვევაში - ვინ არის მართალი მისი ძმიშვილი, სხვები, თუ მ.ხომერიკი.

არ გამოვრიცხავ, რომ ბერიას თავდაპირველი მიზანდასახულობით, მწერალთა ფაშისტური „ცენტრის“ მეთაურად გამორჩეულ კ. გამსახურდიას, მ. ჯავახიშვილს, დ. წერეთელსა და სხვებს შორის, შერჩეული ჰყავდა პირადად პაოლო იაშვილიც, როგორც მწერალთაგან მის პირად მტრებად მიჩნეულებთან და საქართველოს ერთიანი „ნაციონალური ცენტრის” წევრებთან

ყველაზე უფრო მჭიდროდ დაკავშირებული და ბერიას მიერ ზოგ სხვაზე უფრო მოძულებული.

ზემოთ აღნიშნული და სხვა მსგავსი მეთოდებით მოპოებული ჩვენება-აღიარებების საფუძველზე, ბერიას უშუალო ხელმძღვანელობითა და გოგლიძის პრაქტიკული ზემოქმედებით, 1937 წლის 9-10 ივლისს ჩატარდა სპეციალური მიზანდასახულობით შეკოწიწებული საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სხდომად წოდებული ფარსი (იხ. გ.ციციშვილი, კურიოზები სუკის არქივშიც გვხვდება, გაზ.„ქომაგი“, 1991, №27, 4 ივლისი). სასამართლოს ორგანიზება ბერიამ მიანდო 1924 წლის აჯანყებულთა ყოფილ ჯალათს, პროკურორ ტალახაძეს, სასამართლოს თავმჯდომარეობა ბერიამ, პარტიის ცეკას სახელით, დაავალა პიროვნებას, რომელსაც მისივე ჩვენებით უმუშავია შინსახკომში, მაგრამ სასამართლოში ან პროკურატურაში მანმადე არ უმუშავია, და იურიდიული განათლებაც კი, არა ჰქონია. მან აღიარა: „ბერიამ მითხრა, რაკი დაგნიშნეს უნდა იმუშაო თორემ ჩამომერთმევა პარტბილეთი“ (იქვე, საქმე №5875, ტ. 1, ფ. 364). ამ „სასამართლოს” წევრად გამოყოფილ იქნა პიროვნება, რამელსაც მართალია ჰქონდა მუშაობის 7 თვის სტაჟი, მაგრამ არ იყო იურისტი, ხოლო სასამართლოს მდივნად დანიშნეს უნივერსიტეტის სტუდენტი (საქმე №2431, ტ.3, ფ.149). ეს ფაქტობრივად სხვა არაფერია, თუ არა „ტროიკა“ და მკვლელობათა წინასწარი განზრახვა.

ამ სასამართლოს თავმჯდომარემ 50-იანი წლების დაკითხვის დროს უჩვენა: „მიმახვედრეს რომ უნდა დაგვეხვრიტა, საქმეს გასაცნობად გვაძლევდნენ არა სასამართლოში, არამედ შინსახკომის საიდუმლო სამძებრო განყოფილებაში. საქმის სასამართლოში წაღება გოგლიძემ ამიკრძალა”... განსასჯელთა საბრალდებო დასკვნა შედგენილი იყო გამომძიებელ ხაზანის მიერ და დამტკიცდა ქობულოვის ხელმოწერით.

აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილებით სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს საერთო „ქართული ნაციონალური ცენტრის“ წევრებად, ჩეკისტური წამებითა და ჩვენება-აღიარებების ფალსიფიკაციით „დასაბუთბულ“ წევრებს: ბუდუ მდივანს, მიხეილ ოკუჯავას, მალაქია ტოროშელიძეს, გიორგი ყურულაშვილს, გიორგი

ჩიხლაძეს, გიორგი ელიავას და ნიკოლოზ ქარცივაძეს. ეს განაჩენი იმავე დღესვე შესრულდა. სასამართლომდე ეს პიროვნებები იქამდე იყვნენ ნაწამები, რომ როგორც ამ სასამართლოს თავმჯდომარის 1955 წლის 25 თებერვლის დაკითხვის ოქმიდან ჩანს, განსასჯელებმა პროტესტის გამოთქმაც კი, არ ისურვეს. „შეკითხვაზე ეწეოდა თუ არა ჯაშუშობას? მდივანმა უპასუხა: „თუ ებრძვი ადამიანს, რომელიც ხელისუფლების სათავეში დგას, ხელშეკრულებას დასდებ თუნდაც ეშმაკთან“ (იქვე, ფურც. 365; №პრ-5975, ტ.1, ფურც.362-371). 9-10 ივლისის სასამართლოს შესახებ ინფორმაცია 16 ივლისს გამოქვეყნდა პრესაში. მასში ნათქვამი იყო: „სასამართლომ გამოარკვია, რომ ბრალდებულნი შედიოდნენ საქართველოს ამჟამინდელ გამომჟღავნებულ ანტისაბჭოთა ორგანიზაციის შემადგენლობაში, რომელიც აერთიანებდა დამარცხებულ ანტისაბჭოთა პარტიების ნაშთებს, ეწეოდნენ გამცემლურ, ჯაშუშურ, მავნებლურ და დივერსიულ მუშაობას და ამზადებდნენ ტერორისტულ აქტებს პარტიისა და საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

ყველა ბრალდებულმა - ბ.მდივანმა, მ.ტოროშელიძემ, მ.ოკუჯავამ, გ.კურულოვმა, ს.ჩიხლაძემ, გ.ელიავამ და ნ.ქარცივაძემ დამნაშავედ სცნეს თავი სამშობლოს ღალატში, რაც გამოიხატა ჯაშუშობაში უცხოეთის ერთ-ერთი სახელმწიფოს ფაშისტური წრეების სასარგებლოდ, დივერსიულ და მავნებლურ აქტებში საქართველოს სახალხო მეურნეობის დარგებში...“ (გაზ. „კომუნისტი“, 1937, 16 ივლისი). მსგავსი შაბლონური ბრალდებები გამოიყენებოდა როგორც სტანდარტი. საქართველოში დახვრეტები კანტი-კუნტად ივლისამდეც ხდებოდა, მაგრამ ეს ინფორმაცია საზოგადოებისთვის შოკის მომგვრელი აღმოჩნდა.

ქართული ნაციონალური ცენრტის წევრების დახვრეტით საქართველოში დაიწყო მასობრივი დახვრეტები. მთელი ძალით აამოქმედეს დახვრეტების კონვეიერული მექანიზმი. 1937 წლის ზაფხულიდან გაშლილ, ამ ფორმალურ და ფაქტობრივად დაუსაბუთებელსა და უსამართლო მკვლელობას მოაყოლეს ასევე ფალსიფიცირებითა და ნაძალადევი მეთოდებით მოპოებული „ჩვენება“ - „აღიარებებით“ შეთითხნილი ბარალეულობების

საფუძველზე განხორციელებული კონვეირული დახვრეტა-გადასახლებები.

ზემოთ აღნიშნულ პროცესებთან ერთად, ივლისში ჩეკას ძიებამ კვლავ დიდი ტერორის მიზანდასახულობის შესაბამისად შეაკოწიწა, ანუ პატიმრებს გამოსძალა კონიუნქტურის ჩეკისტური მოთხოვნების შესაბამისი ჩვენებები. მათგან საჭიროდ მიმაჩნია გაგაცნოთ ჩემთვის ხელმისაწვდომი ის „აღიარებები“, რომელშიც ასახულია მოსასპობად განწირულთა, პ.იაშვილის, ტ.ტაბიძის, მ.ჯავახიშვილისა და სხვათა შესახებ გამოთქმული ე.წ. „აღიარებანი“.

1937 წლის 9-10 ივლისის ჩეკას სამეგბროს IV განყოფილების II ქვეგანყოფილების უფროსის ლეიტენანტ ლევან აბაშიძისა და III განყოფილების II ქვეგანყოფილების უფროსის ლეიტენანტ მღებრიშვილის ზემოქმედებით ცნობილ მენშევიკ დავით ონიაშვილს გამოსძალეს ჩვენებები კონკრეტულ პიროვნებათა კონკრეტული საქმიანობის შესახებ. ამ აღიარებათა მიხედვით დ.ონიაშვილმა უჩვენა თითქოს: იგი 1934 წლის ივნისში სეით დევდარიანმა, საზღვარგარეთის ბიუროს დავალებით, გადაიბირა მენშევიკების კონტრრევოლუციური ცენტრის წევრად. ამ ცენტრში შედიოდნენ ნ.ქარცივაძე, გ.ცინცაძე, გერასიმე მახარაძე, ს.დევდარიანი, კ.ნინიძე და გ.ელიავა. პირადად მე გადავიბირე და კონტრევოლუციურ მუშაობაში ჩავაბიო შ.ქართველიშვილი, კონსტანტინე (კოკი) აბაშიძე (საქართველოს საბჭოთა მწერლების იურისტი, ციციშვილი (უნდა იყოს მიწიშვილი – გ.ც.) ნიკოლოზ იოსებიძე – მწერალი, გორგაძე ვასილ ვასილის ძე, ვარდიაშვილი ხარიტონი „და კიდევ ერთი ახალგაზრდა მწერალთაგან, რომლის გვარი არ მახსოვსო“. მისი „აღიარებით“ მწერლებში ნაციონალისტურ მუშაობას აწარმოებდნენ ციციშვილი (უნდა იყოს მიწიშვილი – გ.ც.) ნიკოლოზის მეშვეობით. ჯგუფში ჩართული იყვნენ სხვა პოლიტიკური მიმართულების მწერლები. მათ შორის, „მწერალი გამსახურდია, რომელიც არის ფაშისტური და თავისი კონტრრევოლუციური ჯგუფი ჰყავდა მწერლებში.

„ჩვენების“ მიხედვით „დადასტურებულია“, რომ მან გადაიბირა მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ჟორჟოლიანი ალექსანდრე და ახალგაზრდა აქტიორი ანთაძე, აგრეთვე რუსთაველის თეატრის

რეჟისორი ალექსიძე დოდო, რომელსაც „დაავალა“ მუშაობა ხელოვანთა შორის. მანვე „აღიარა“, რომ ალექსიძემ ინფორმაცია მიაწოდა, იმის შესახებ, რომ კონტრრევოლუციურ მუშაობაში ჩააბა მარჯანიშვილის თეატრის მხატვრული ხელმძღვანელი დოდო ანთიძე, რომელსაც თავის მხრივ ყავს ჯგუფი სამი კაცის შემადგენლობით.

აბსურდული აღიარებების მიხედვით დ.ონიაშვილმა კონტრრევოლუციურ მუშაობაში ჩააბა სამხატვრო აკადემიის წევრები – მოქანდაკე ნიკოლაძე იაკობი, მან თავის მხრივ ჩააბა ირაკლი თოიძე, დავით კაკაბაძე და ლადო გუდიაშვილი, რომელთაც ი.ნიკოლაძის თქმით ყავთ, თითოეულს სამკაციანი ჯგუფი.

„დ.ონიაშვილის ჩვენებით“: უნივერსიტეტის კონტრრევოლუციურ მუშაობას ხელმძღვანელობდა ბიძინა რამიშვილი მისი თავმჯდომარეობით მოქმედ საუნივერსიტეტო ბიუროში შედიოდნენ ნამუჩეიშვილი (სინამდვილეში – ნანეიშვილი – გ.ც.) გიორგი (ზოზო), ახვლედიანი გიორგი, გოგიბერიძე მოსე, იმნაიშვილი ნიკიფორე; ს.დევდარიანის სიტყვების მიხედვით უნივერსიტეტში მუშაობდა 35-40 კაცი და 300-მდე სტუდენტი.

დ.ონიაშვილმა „აღიარა“: საზღვარგარეთის ბიუროს დავალებით მევალებოდა, რომ ჯაშუშური ცნობები მიმეწოდებინა პოლონეთის კონსულისთვის, კავშირი ხორციელდებოდა პროფ. ნანეიშვილის მეშვეობით, რომელიც ამ მიზნით იყენებდა პეტრე სურგულაძეს, შალვა დუგლაძეს და მიხელიძეს. <u>ჯაშუშურ ცნობებს საზღვარგარეთის ბიუროს გადავცემდი საკონსულოს მეშვეობით</u>, რომელშიც მიმქონდა <u>პირადად, ან დასახელებულ პირთა მეშვეობით</u>. ამან გამომძიებლებს „უჩვენა“, რომ სხვა (გერმანიის, იტალიის) <u>საკონსულოებთან კავშირი ხორციელდებოდა ევგენი დარჩიას მიერ</u> (! – გ.ც.).

დ.ონიაშვილს გამომძიებელმა აღიარებინეს აგრეთვე ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ-არალეგალური ფედერალისტებისა და ესერების ინტერპარტიული ჯგუფის არსებობა, რომელიც თითქოს ისახავდა შეიარაღებული აჯანყების ორგანიზებას. მასში შედიოდნენო ოსაკო ბარათაშვილი (თავმჯდომარე) ფედერალისტებიდან, ივანე ლორთქიფანიძე (ექიმი) – ესერებიდან და თავდგირიძე, თუ პართენ გოთუა – ეროვნული დემოკრატებიდან. იგი

მემარჯვენე ფედერალისტთა შორის ასახელებს შალვა შანიძეს და თედო ღლონტს. იმასაც უჩვენებს, რომ ევალებოდა ანტისაბჭოთა მუშაობა აღმოსავლეთ საქართველოში, ამ მიზნით ჩართო მიხეილ კლიმიაშვილი. გორის რაიონში მუშაობდაო ხუციშვილი, ხოლო ბორჯომის რაიონში მეტრეველი (იხ. მ.ჯავახიშვილის საქმე №9997, გვ.161-166).

დ.ონიაშვილის აღიარება-ჩვენებებიდან ჩანს, რომ იგი გამომძიებელმა ლ.აბაშიძემ და მღებრიშვილმა მაქსიმალურად გამოწურეს. ამასთანავე მას გააგრილებინეს ადრე სხვებისგან გამოძალული ჩვენებები და მნიშვნელოვნად „დამაჯერებელი“ გახადეს ქართული ინტელიგენციის ჯაშუშური კავშირის არსებობა პოლონეთის, გერმანიის და იტალიის საკონსულოებთან.

<u>13 ივლისს IV განყოფილების II ქვეგანყოფილების გამომძიებლებმა ლ.აბაშიძემ და მიხეილ ნაცვლიშვილმა</u> სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრის, მენშევიკური მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწის, პენსიონერ <u>გერასიმე მახარაძისგან</u> სამი თვის წინააღმდეგობის დაძლევით მოიპოვეს „აღიარება“ ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში ნ.ქარცივაძის, დ.ონიაშვილისა და პირადად მისი გაერთიანების შესახებ. მუშაობაში ჩავაბიო 10 კაცი, მათ შორის: სიო ჭანტურიშვილი, იოსებ მეგრელიძე, ბ.ჭიჭინაძე, დ.წერეთელი და სხვები; მოლაპარაკებას ვაწარმოებდიო ვექილთა საბჭოს წევრ გობეჩიასთან, რევოლუციის მუზეუმის დირექტორ ლეო შენგელიასთან; ნ.ქარცივაძემ დამავალა ტერორისტული აქტის განხორციელება ბერიას, კუდრიავცევისა და ბაქრაძის წინააღმდეგო (საქმე №9997, ფურც. 214-217). გასაგებია, რომ ეს ლეგენდა ლ.აბაშიძის დამსახურება იყო.

<u>აკაკი თათარაშვილის</u> 17 ივლისის დაკითხვის ოქმში ვკითხულობთ; დ.დემეტრაძემ როგორც „მომახსენა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში გადაიბირა მწერლები ბესო ჟღენტი, ილო მისაშვილი, და ქუთათელაძე (ამათგან არ დაუპატიმრებიათ არცერთი – გ.ც.).

დ.დემეტრაძემ აგრეთვე მითხრა, რომ კავშირი აქვს მემარჯვენეთა ორგანიზაციაში კონტრრევოლუციური მუშაობით <u>კოტე</u>

გორდელაძესთან... ეს მითხრა 1936 წელს ზაფხულში საქართველოს სამხედრო გზაზე მოგზაურობის დროს.

1936 წლის ზაფხულში ჩემთან, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარის ჩემს სამუშაო კაბინეტში დ.დემეტრაძე შემოვიდა და მითხრა, რომ მასთან კონტრრევოლუციურ მუშაობაში დაკავებულნი არიან მწერლები კონსტანრინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი და ალექსანდრე აბაშელი.

მწერლებთან კონტრრევოლუციური მუშაობით მე დაკავშირებული ვიყავი ბენიტო ბუაჩიძესთან, რომელიც და კავშირებული იყო დემეტრაძის კონტრრევოლუციურ ჯგუფთან.

ბენიტო ბუაჩიძე მე ჩავაბი მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში 1935 წელს...

მემარჯვენე კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში გადაბირებული, ყველა ჩემს მიერ ჩამოთვლილ მწერალთა შესახებ უნდა ვაღიარო, რომ ყველას ვეუბნებოდი, რომ მემარჯვენეთა ორგანიზაცია ბრძოლას ეწევა სკპ(ბ) და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მავნებლობის, დივერსიის, ტერორის და ჯაშუშობის გზით. ისინი ყველანი მთლიანად იზარებდნენ მემარჯვენეთა ორგანიზაციის მითითებებს ბრძოლის აღნიშნული მეთოდების შესახებ... (იხ. საქმე №9997, ფურც.200-203).

ბერიას მიერ შერისხული <u>აკ.თათარაშვილი</u> დაკითხეს უშიშროების სამმართველოს IV განყოფილების უფროსმა – ქობულოვმა და IV განყოფილების I ქვეგანყოფილების უფროსმა – ხაზანმა.

ჩემი აზრით ჩეკას ძიების მიერ გამოძალული და შეთითხნილი ბრალეულობები აკ.თათარაშვილის მიმართ ნასაზრდოები უნდა იყოს იმითაც, რომ იგი, ზოგი მაგალითის მიხედვით, ცხადად ავლენდა ლოიალურ დამოკიდებულებას ბერიას მიერ შერისხულთა მიმართ. დ.დემეტრაძეს შესაძლოა საბედისწეროდ გაუხდა მწერალთა ე.წ. დისპუტის დროს მკაფიოდ გამოვლენილი, ნართულად გამოთქმული სიგნალი მ.ჯავახიშვილის ბედისწერისა და მომავალი ჩეკისტურად განსაზღვრული ბედის გამო.

ბ.ბუაჩიძის მიმართ გამოთქმული ბრალდებები, ვფიქრობ, უშუალოდ უკავშირდება მის ძველ „დანაშაულობებს“, მწერალთა კავშირიდან გარიცხვასა და მისი მოსპობის მიზანდასახულობებს.

სოციალ ფედერალისტების ყოფილი პარტიის წევრის, 1921-1922 და 1924 წლებში პატიმრობაში ნამყოფი, დამცველთა კოლეგიის ყოფილი წევრის, <u>გ.ლაღიძის</u> 16 ივლისის დაკითხვის ოქმში დაფიქსირებულია, რომ იგი არალეგალურ კონტრრევოუციურ საქმიანობას ხელმძღვანელობდა აჭარაში. გ.ლაღიძის „აღიარების“ მიხედვით: იგი 1924 წელს ციხიდან განთავისუფლების შემდეგ პ.იაშვილისა და ტ.ტაბიძის რეკომენდაციით ბათუმში დაასაქმა იქ ახლად გადაყვანილმა აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა, ლევან ღოღობერიძემ; გ.ლაღიძემ ბათუმში გაიცნო თენგიზ ჟღენტი, როცა იგი 1927-28 წლებში იყო საოლქო კომიტეტის მდივანი. ამ დროს იგი ცხოვრობდა ერთ სახლში, ლევან ქორქაშვილთან ერთად; ლ.ლაღიძე აქ ხვდებოდა თ.ჟღენტსა და ლ.ქორქაშვილს. ლ.ლაღიძე აღიარებს: „ჟღენტი იყო პირწავარდნილი ნაციონალისტი, ქორქაშვილი – ყოფილი ფედერალისტი და ჩემი ახლო მეგობარი“ (იხ. იქვე, ფურც.194-195).

ლ.ლაღიძის 21 ივლისის დაკითხვის ოქმში „აღიარებულია“: ორგანიზაციულად დაკავშირებული ვარ „საქართველოს ეროვნული პარტიის“ (? – გ.ც.) ხელმძღვანელებთან ნიკოლოზ მერაბის ძე ლორთქიფანიძესთან და მიხეილ ჯავახიშვილთან, აგრეთვე სოცფედერალისტთა ლიდერთან <u>ოსიკო ბარათაშვილთან</u>, რომელთაგან ვიღებდი მითითებას შემექმნა არალეგალური კონტრრევოლუციური „ეროვნული პარტია“ აჭარაში, რაც მე შევასრულე.

ვითვლებოდი სოციალ-ფედერალისტთა ლიდერად დასავლეთ საქართველოში...

1934 წლის ზაფხულში, როცა თბილისში ვიყავი სამსახურებლივი მივლინებით... შევხვდი ცნობილ ნაციონალ-დემოკრატს ნ.მ.ლორთქიფანიძეს...

ყველანი წავედით სავახშმოდ რესტორან „ორიენტში“. ვახშამზე ლორთქიფანიძემ კონტრევოლუციური სიტყვა წარმოსთქვა „მომავალი განთავისუფლებული საქართველოს“ სადიდებლად... დაახლოებით

ღამის პირველი საათისათვის მე და ლორთქიფანიძე გამოვედით რესტორნიდან და რუსთაველის პროსპექტით წავედით ზემელისკენ. გზაში მან მითხრა, რომ თბილისში არსებობს ქართველი ერის განთავისუფლების ჯგუფი, „საქართველოს განმათავისუფლებელი ეროვნული ჯგუფი“. მან ჩამოთვალა ამ ჯგუფის წევრები... შემომთავაზა მონაწილეობა მიმეღო კონტრრევოლუციურ მუშაობაში და ასეთივე ჯგუფი შემექმნა ბათუმში ნაციონალისტურად განწყობილი ინტელიგენციისაგან. მე დავეთანხმე.

ამ საუბრიდან ორი-სამი დღის შემდეგ მწერალთა კავშირის სახლში შევხვდი მიხეილ ჯავახიშვილს, უკიდურეს ნაციონალ-შოვინისტს. მან გამომკითხა ბათუმის ქართველი ინტელიგენციის განწყობილების, აჭარელთა განწყობილების შესახებ, კერძოდ <u>მემედ ბეგ აბაშიძის</u> შესახებ. ამის შემდეგ ჯავახიშვილმა მითხრა, რომ თბილისში არსებობს საქართველოს განმანთავისუფლებელი ჯგუფი, მაგრამ არ უთქვამს ვინ შედიოდა ამ ჯგუფში მის გარდა და შემომთავაზა ამ მიმართულებით მემუშავა ბათუმში, შემექმნა ასეთივე ჯგუფი ნაციონალისტურად განწყობილ ინტელიგენციაში, დავკავშირებოდი მემედ ბეგ აბაშიძეს. მე დავთანხმდი...

1933 წლის ზაფხულის დამდეგს ბათუმში ქართველ მწერლებთან... ერთად ჩამოვიდა ნ.მ.ლორთქიფანიძე, რომელსაც შევხვდი... მან მითხრა, რომ საქართველოს განთავისუფლების ეროვნული ჯგუფი იმდენად გაიზარდა, რომ შეიქმნა „საქართველოს ეროვნული პარტიის“ ცენტრალური კომიტეტი... აქ ლორთქიფანიძეს ვუთხარი, რომ დავუკავშირდი მებედ ბეგ აბაშიძეს...

იმავე დღეს... აბაშიძე შეხვდა ნ.ლორთქიფანიძეს, რომლებმაც ისაუბრეს არალეგალურ-კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში მუშაობის თაობაზე, რაც მაცნობა მემედ ბეგ აბაშიძემ.

ბათუმში ლორთქიფანიძის ჩამოსვლიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ სამსახურებლივი მივლინებით წაველი თბილისში. მწერლის სახლში შევვდი მწერალ შანშიაშვილსა და გიორგი ლეონიძეს (რომელსაც ამ დროს ანტისაბჭითა კონტრრევოლუციური მუშაობის ბრალდებით დაპატიმრებული ჰყავდა ძმა ლეონი, რომელიც დახვრიტეს 1937 წელს – გ.ც.). საუბრის დროს შევეხე საკითხს, რომ ვაპირებ საცხოვრებლად თბილისში გადმოსვლას, რაზეც ლეონიძემ,

შანშიაშვილის თანდასწრებით მითხრა, რომ უმჯობესია ჯერჯერობით თავი შევიკავო ამისგან, რადგან მე მათ ვჭირდები ბათუმში კინტრრევოლუციური მუშაობის ორგანიზებისათვის. რადგან ვიცოდი მათი პოლიტიკური განწყობილება, რადგან მოვისმინე ეს საუბარი, გამოვიტანე დასკვნა, რომ ისისნი არალეგალურ კონტრრევოლუციურ მუშაობას ეწევიან ლორთქიფანიძესთან და ჯავახიშვილთან ერთად...

1936 წლის ზაფხულში, როცა თბილისში სამსახურებრივ მივლინებაში ვიყავი, საქართველოს უმაღლესი სასამართლოს შენობაში, დამცველთა კოლექტივის ოთახში შევხვდი საქართველოს სოცფედერალისტთა ლიდერს, მოხუც (! - გ.ც.) <u>ოსიკო ბარათაშვილს</u>... გზაში ჩემს კითხვაზე – როგორ ეკიდება საბჭოთა კავშირს, მან მიპასუხა, რომ სიბერეში არ აპირებს შეიცვალოს შეხედულებანი... მაშინ მას ვუთხარი, რომ ბათუმში ვეწევი კონტრრევოლუციურ არალეგალურ მუშაობას, მაქვს ორგნიზაცია, რომელშიც შედის ყველა ნაციონალისტურად განწყობლი პირი, პარტიულობის მიუხედავად... ჩემი ნათქვამით კმაყოფილმა ბარათაშვილმა მთხოვა განვაგრძო მუშაობა ამ მიმართულებით...“ დაკითხვის ოქმები გამოსძალეს ბ.ქობულოვმა და ხაზანმა (იქვე, ფურც.198-199).

გ.ლაღიძის დაკითხვის ოქმებში მკაფიოდ გამოსჭვივის საქართველოში განვითარებული ბერიას ჩეკისტური ტერორის პირდაპირი ანარეკლი. პ.იაშვილისა და ტ.ტაბიძის ბედისწერასთან ერტად ლ.ღოღობერიძის და თ.ჯღენტის დაკავშირებაც ჩეკისტური მიზანდასახულობით არის ლოგიკური. ამით ერთგვარი ჩეკსტური წრე იქმნება, რომლშიც გააერთიანეს ლ.ქორქაშვილი, რომელიც მეგობრობდა ლ.ღოღობერიძესთან, შემდეგ თ.ჟღენტთან, მაგრამ გასაგები მიზეზებით, ჩემთვის გაუგებარია ამ გარემოცვაში ნ.ლორთქიფანიძის, მ.აბაშიძის, ს.შანშიაშვილისა და გიორგი ლეონიძის ხსენება. სავარაუდოა, რომ ბრალდებული, როცა მას იძულებულს ხდიან ასახელებს მას ვისთანაც როდესმე საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა, ჩეკას ძიებას კი აქედან გამოჰყავს კონტრრევოლუციური განშტოებები. არც ის არის გამორიცხული, რომ მრავალგზის დაკითხულ და განწირულ გ.ლაღიძეს დაკითხვის ოქმებზე ხელს აწერინებდნენ, ან თვითონ აწერდა, წაკითხვის

გარეშე. ამას დამატებით და ნათლად ვნახვათ ქვემოთ მოთხრობლილი დაკითხვის ოქმების ამონარიდებითაც.

ყოფილი ესერის შემდეგ კი სოც ფედერალისტის, ხოლო დაპატიმრებამდე „თბილვაჭრობის“ დირექტორის (ბეგლარ ფაღავას ქვისლის – გ.ც.) ლევან ქორქაშვილის 15 ივლისის დაკითხვის ოქმში წერია, რომ იგი მთელი თვის მანძილზე უარყოფდა მისთვის წაყენებულ ბრალდებას მემარჯვენე სოცფედერალისტთა პარტიის არალეგალურ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობის შესახებ. ამის შემდეგ, მან დასმული კითხვების მიხედვით უპასუხა: პატირმობის ერთი თვის განმავლობაში მე მივედი გულრწფელ (? – გ.ც.) შეგნებამდე, რომ ძიებას გულრწფელად მოვუთხრო ჩემი დანაშაულებრივი კონტრრევოლუციური საქმიანობის შესახებ და გავცე ჩვენი პარტორგანიზაციის ყველა მონაწილე...

ლ.ქორქაშვილმა გამომძიებლის მიერ დასმული კითხვების მიხედვით „გულრწფელად“ აღიარა: „1936 წლის დეკემბერში მემარჯვენე სოცფედერალისტების პირტიის წევრთა სახით, გადამიბირა პლატონ ლევანის ძე გელოვანმა“.

მემარჯვენე სოცფედერალისტთა ცენტრის წევრები იყვნენ: ბარათაშვილი ოსიკო, დამცველთა კოლეგიის წევრი (თავმჯდომარე), გელოვანი პლატონ, ბოკერია ევგენი, რაჭველიშვილი ქრისტეფორე, დადიანი შოთა (ბეგლარ ფაღავას მეგობარი! – გ.ც.), ცაგარელი გიორგი და მე.

მემარჯვენე სოცფედერალისტთა ცენტრი შეიქმნა საზღვარგარეთ (პარიზში) მყოფი ლიდერების სოსიკო მდივანისა და სამსონ ფირცხალავას დავალებით. სოცფედერალისტთა არალეგალური შეკრებები ეწყობოდა პრეფერანსის თამაშის სახით, ევგენი ბოკერიას ბინაში (მისკოვის ქუჩის №10-ში), შ.დადიანთან, გ.ცაგარელთან და ჩემთან...

ვიხილავდით საკითხებს ესპანეთში ფაშიზმის შესაძლო გამარჯვების, და შემდგომში სსრ კავშირთან გერმანიის და იტალიის ომის შესახებ... მოპოვებულ მასალებს ცენტრი საზღვარგარეთ გადასცემდა ჩემთვის უცნობი არხებით...

ცენტრს ხელმძღვანელობდა ოსიკო ბართაშვილი...

ცენტრის მიზნები და ამოცანები ითვალისწინებდნენ:

1. მემარჯვენე სოცფედერალისტების იდეების პროპაგანდას, გადაბირებასა და თანამგრძნობთა ორგანიზებას.

2. საქართველოს სსრ კავშირიდან გამოყოფას და დამოუკიდებელი ბურჟუაზიულ დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნას, ომის შემთხვევაში შეიარაღებული აჯანყებით და სხვა ანტისაბჭოთა პარტიებთან კონტაქტში.

<u>ხელმძღვანელობას ეწეოდნენ ცენტრი და ცენტრის ხელმძღვანელობით პერიფერიული ორგანიზაციების რწმუნებულები ადგილებზე ცენტრის რწმუნებულთა სახით</u> ჩემთვის ცნობილია მხოლოდ აჭარის რწმუნებული <u>გრიგოლ ლაღიძე</u> – იურისტი; ბათუმში მცხოვრები; ქუთაისის მხრივ, ლაღიძე ალექსანდრე – იურისტი და სამტრედიის რაიონის, სამტრედიაში მცხოვრები ფარცვანია.

მე მევალებოდა გადაბირება ინტელიგენციისა და მათი შესწავლა კ.რ. მუშაობაში შემდგომი ჩაბმის მიზნით.

სხვადასხვა დროს, პირადად მე გადავიბირე:

1. სტურუა ისიდორე – ხე-ტყის დამამზადებელი არტელის ეკონომისტი.

2. <u>ცაგარელი გიორგი</u> – იურისტი (ბეგლარ ფაღავას მეგობარი! – გ.ც.).

3. აბესაძე ნიკოლოზ (ნიკოლიჩა)... (ბეგლარ ფაღავას მეგობარი! – გ.ც.).

4. ხუნდაძე ლევან.

პერიფერიებთან კავშირს ახორციელებდა პლატონ გელოვანი... პლატონ გელოვანის სიტყვებით იარაღის შოვნის მიზნით მიზიდულნი იყვნენ სამხედროები: მიხეილ შავდია – თბილისის კომენდანტი, ყოფილი სოცფედერალისტი; მამია ახვლედიანი – უნივერსიტეტის სამხედრო დისციპლინის მასწავლებელი.

პლატონ გელოვანის სიტყვებით ოსიკო ბართაშვილი მოლაპარაკებას აწარმოებდა საქართველოში არსებულ არალეგალურ მენშევიკური ცენტრის წარმომადგენელ – კირილე ნინიძესთან. პ.გელოვანის სიტყვებით, მენშევიკების ცენტრის წევრები იყვნენ:

ქარცივაძე ნიკოლოზი – ცენტრის თავმჯდომარე, ონიშვილი დავითი, ცინცაძე გიორგი, მახარაძე გერაისმე და ნინიძე კირილე.

1936 წლის აგვისტო-სექტემბერში ბლოკის შესახებ, ოსიკო ბარათაშვილი მოლაპარაკებას აწარმოებდა უნივერსიტეტის პროფესორ (? – გ.ც.) ჯავახიშვილი მიხეილთან, რომელიც არის საქართველოს ფაშისტური ცენტრის თავმჯდომრე. 1937 წლის თებერვალში ცენტრის დავალებით მეც დავუკავშირდი მიხეილ ჯავახიშვილს. უკანასკნელის სიტყვებით, საქართველოში ბოლო 2-3 წლის განმავლობაში არსებობს ფაშისტური ცენტრი, რომელიც ეწევა ფართო პროპაგანდულ მუშაობას ორგანიზაციაში ახლი წევრების გადაბირების მიზნით.

ფაშისტური ცენტრის შემადგენლობა ჩემთვის ცნობილი გახდა მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვებით. იგი შედგება: ცენტრის ხელმძღვანელის მიხეილ ჯავახიშვილის, გიორგი (ზოზო) ნანეიშვილის, ახმეტელი ალექსანდრეს (რეჟისორის), ცინცაძის (სახუნტის პროფესორის), დუმბაძე რაჟდენის (საქბანკის მუშაკის) და სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის წერეთელი ალექსანდრეს (ალიოშასგან).

ჯავახიშვილმა მიხეილმა ასევე შემატყობინა, რომ წერეთელ ალიოშას და ბერელაშვილი გარსევანის (შინსახკომის საგეგმო გამყოფილების მუშაკის) დაპატიმრებასა და გადასახლებასთან (1935წ. – გ.ც.) დაკავშირებით, ფაშისტური ცენტრის კავშირის ერთ-ერთი ხაზი ჩავარდა, მაგრამ ძირითადი ორგანიზაცია დარჩა რამდგან წერეთელმა იგი არ გასცა.

ფაშისტურ ცენტრის სტრუქტურასთან დაკავშირებით ჯავახიშვილი მიხეილისგან ჩემთვის ცნობილია, რომ ფაშისტურ ორგანიზაციას ცენტრის გარდა, აქვს თავისი განშტოებები საქართველოს რაიონებში, რომელბსაც ხელმძღვანელობენ ცენტრის რწმუნებულები (! – გ.ც.).

ფაშისტური ცენტრის გარშემო კონცენტრირებულია 50-60 აქტივისტი ფაშისტური ორგანიზაციისა, რომლებიც ხელმძღვანელობენ უჯრედებს და კავშირში იმყოფებიან ცენტრთან. ამის გარდა ფაშისტური ორგანიზაცია, უმაღლესი სასწავლებელების სტუდენტებს შორის 500-600 კაცამდე ითვლის...

ჯავახიშვილი მიხეილის სიტყვებით, ცენტრთან არსებობენ მებრძოლი რაზმები, რომელთა ხელმძღვანელები არიან: გედევანოვი კონსტანტინე – ყოფილი სამხედრი, ახმეტელი ალექსანდრე (საშა) – რუსთაველის თეატრის რეჟისორი, ქუთულაძე გიორგი – ჯარების სარდლის თანაშემწე.

ჯავახიშვილ მიხეილთან საუბრებიდან ჩემთვის ცნობილია, რომ მებრძოლი რაზმები შექმნილია შეიარაღებული ბრძოლისა და ტერორისტული აქტების განხორციელების მიზნით...“ (იქვე, ფ.198-199).

დაკითხვის ოქმს ხელს აწერს ნაბეჭდის ყოველი ფურცლის ბოლოს, ლ.ქორქაშვილი. ეს ტექსტი რომ მართლა ლ.ქორქაშვილისეული ყოფილიყო, მასში მიხეილ ჯავახიშვილის ვინაობა პროფესორად კი არა, მწერლად იქნებოდა დასახელებული, რადგან მან კარგად იცოდა, რომ მ.ჯავახიშვილი იყო არა პროფესორი, არამედ მწერალი. აქ გათვალისწინებულია, რომ ლ.ქორქაშვილს დაპატიმრებული ჰყავდა მეუღლეც. დაკითხვის ოქმს ხელს აწერენ უშიშროების სამმართველოს IV განყოფილების, II ქვეგანყოფილების უფროსი აბაშიძე, აგრეთვე ამავე ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებული – ჯიბლაძე, ამ შემთხვევაში, მათთვის მნიშვნელობა არა აქვს მ.ჯავახიშვილი მწერალია თუ პროფესორი. მათთვის მთავარი ის არის, რომ „აღიარებათა“ ესტაფეტა ცნობილი სოციალისტ-ფედერალისტებიდან ცნობილ ფაშისტ მწერალთა ლიდერთან, მ.ჯავახიშვილამდე მიიტანეს და ამით დაკისრებული დავალება შეასრულეს. როგორც ცნობილია, ლ.ქორქაშვილს „აღიარებები“ ამის შემდეგაც გამოსძალეს, არც ის არის გამორიცხული, რომ „აღიარებათა“ შემცველი ჩვენებები გამომძიებელმა ზემდგომთა დავალებით თუ არა მინიშნებით მაინც თვითონვე შეთითხნეს. მაგრამ ვიდრე მათ შესახებ ვისაუბრებთ, საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩეკას IV განყოფილების II ქვეგანყოფილების უფროსმა ლ.აბაშიძემ და მისმა თანაშემწე მიხეილ ნაცვლიშვილმა 21 ივლისს დაკითხეს ყოფილი ესერთა პარტიის წევრი, თბილისის საბჭოს საფინანსო განყოფილების იურისტკონსულტანტი ივანე გობეჩია, რომელიც კატეგორიულად უარყოფდა პარტიულ არალეგალურ მუშაობას. მაგრამ იგი იძულებული გახადეს „ეჩვენებინა“, რომ „გელოვანის თქმით ვიცი,

იოსებ ბარათაშვილი და პალატონ გელოვანი, რომლებიც იყვნენ ეროვნული კრების წარმომადგენლები, მოლაპარაკებას აწარმოებდნენ კონტრრევოლუციური მენშევიკური ცენტრის წევრებთან“. კირილე ნინიძეს მეშვეობით შეთანხმდნენ, რომ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ებრძოლათ ერთობლივი ინტერპარტიული კომიტეტის მეშვეობით. ოქმს ხელს აწერს სერჟიანტი ს.ხეჩუმოვის (იქვე, საქმე №9997, ფურც. 203-204/8). მაშასადამე ი.გობეჩიას მეშვეობით ფედერალისტები და ესერები მენშევიკებთან დააკავშირეს. ეს იყო მათ მიმართ წამოწყებული დიდი ტერორის აპოგეა...

კიდევ უფრო საყურადღებოა ბრალდებულ ლ.ქორქაშვილის 22 ივლისის დაკითხვის ოქმში შეტანილი ინფორმაცია. აქ გასათვალისწინებელია. რომ დაკითხვის ოქმის ცალკეულ გვერდებს და ასევე მათ ბოლო ფურცელს არ ახლავს დაკითხულის ხელმოწერა. ამ დაკითხვის ოქმის დასასრულს ხელს აწერენ მხოლოდ, კვლავ იგივე გამომძიებელი – აბაშიძე და ჯიბლაძე. ოღონდ ახლა ესენი უკვე არიან ამავე განყოფილების არა II, არამედ III ქვეგანყოფილების მუშაკები. ამ თითქოს შეუმჩნეველ ცვლილება-გადაადგილებაშია დამარხული „ძაღლის თავი“, როგორც ვხედავთ, იმავე დღეს, როდესაც პ.იაშვილმა განახორციელა ბერიას საჯაროდ მამხილებელი თვითმკვლელობა და როდესაც მ.ჯავახიშვილმა ეს აქტი ასევე საჯაროდ და მრავლისმეტყველი სიტყვებით შეაფასა ვაჟკაცობად, ჩეკას ხელმძღვანელობამ განახორციელა მყისიერი ოპერატიული ღონისძიება. მან უთუოდ ბერიას დავალებით შექმნა საგანგებო ოპერატიული საძიებო ჯგუფი, რომელიც საგანგებოდ იძიებს პ.იაშვილობა და მ.ჯავახიშვილის ბრალეულობებს. ეს ჯგუფი ბერიას უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით კიდეც მოიპოებს მ.ჯავახიშვილის ხელნაწერ იურიდიული ძალის აღიარება-ჩვენებებს, რომლითაც „დაადასტურებს“ მათ უამრავ ერთობლივ დანაშაულობებს, მათ შორის ჯაშუშობას, ჯაშუშობაში ძიებისთვის საინტერესო პიროვნებების ჩართვას, ჯაშუშობისთვის ფულების მიღებას და ამ აღებული ფულების არა მარტო მითვისებას, არამედ ერთმანეთისაგან მოტეხვას, ერთმანეთის გადაგდებას და სხვ... ამასთანავე ეს ყველაფერი მოიპოვა პირადად ბერიამ, როდესაც მისი ბრძანებით პატიმარ მოხუცზე განახორციელებენ ორჯერად ცემას...

რაც შეეხება ლ.ქორქაშვილის 22 ივლისის დაკითხვის ოქმს, რომელიც ახლად ორგანიზებული III ქვეგანყოფილების უფროსმა ლ.აბაშიძემ მოიპოვა, აქ საყურადღებოა ის, რომ ბრალდებულის ხელმოწერა არა ჩანს. ოქმის ასეთმა თავისებურებამ მაფიქრებინა, რომ იგი გაფორმებულია ჩეკას სამძებროსთვის დამახასიათებელი „ფუტლიარის“ შეთითხვნის მეთოდით, მაშასადამე ისე ჩანს, რომ ამჯერად გამომძიებლები კმაყოფილდებიან მათ მიერვე, ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე, მოხლაფორთებული დოკუმენტით. აღნიშნული თავისებურების მიუხედავად ეს, 22 ივლისის დაკითხვის ოქმი უთუოდ იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას.

გამომძიებლის მიერ დასმულ კითხვაზე „ლ.ქორქაშვილის პასუხში“ წერია: „წინამავალი დაკითხვების დროს, მე ძიებისგან დავმალე, რომ მემარჯვენე ფედერალისტების ცენტრის დავალებით წარმოვადგენდი ცენტრთან ორგანიზებული მემარჯვენე სოცფედერალისტების შეიარაღებული აჯანყების საორგანიზაციო შტაბის ხელმძღვანელს (! – გ.ც.). პლატონ გელოვანმა 1937 წლის იანვარში თუ თებერვალში... მაცნობა, რომ მსფ-ს გადაწყვეტილებით მე დამეკისრა (! – გ.ც.) საქართველოში შეიარაღებული აჯანყების ორგანიზება, რაზეც დავთანხმდი.

მან დამისახელა ამ შტაბის წევრები:

1. ახვლედიანი მამია – სახუნტში სამხედრო დისციპლინის მასწავლებელი.

2. შავდია მიხეილი – ქ.თბილისის კომენდანტი.

3. მდივანი სიმონ – კავალერიის პოლკის ყოფილი მეთაური, ახლა საქართველოს ცხენსაშენების მმართველის მოადგილე.

4. გედევანიშვილი სოსო – მეფის არმიის კაპიტანი, მენშევიკების მთავრობის გენერალი და

5. მე - ქორქაშვილი...

იარაღი უნდა მოგეპოვებინა ძალით ან ნებით – იმ პირებისგან, რომლებიც მუშაობდნენ საბჭოთა მეურნეობაში, ცხენსაშენებში და სხვა და რომლებსაც იგი გააჩნდათ სამსახურეობრივი მოვალეობის მიზნით... გამოდის, რომ იარაღის მარაგი ადგილზე არ იყო – ასევე ათქმევინეს მ.ჯავახიშვილს – გ.ც.).

შტაბის შეკრებები არ ტარდებოდა, რადგან... შტაბი თებერვალში შეიქმნა, ხოლო 1937 წლის აპრილში დაიწყო საქართველოს კონტრრევოლუციური პარტიების ხელმძღვანელთა დაპატიმრებები.

ამ მდგომარეობამ გვაიძულა მუშაობა შეგვეჩერებინა...

გელოვანის სიტყვებით პარტიათაშორის კომიტეტში შედიოდნენ... მენშევიკებისგან: 1. ქარცივაძე ნიკოლოზი და 2. ნინიძე კირილე. მემარჯვენე სოციალ-ფედერალისტებიდან 1. ბარათაშვილი იოსებ (ოსიკო) და 2. ფაშისტური ორგანიზაციიდან – მწერალი ჯავახიშვილი მიხეილი (აქ მ.ჯავახიშვილი დასახელებულია მისი ძველი, 1903-1917 წლების ფედერალისტის პარტიული კუთვნილების მიხედვით – გ.ც.)... დავძენ, რომ ჯავახიშვილი მიხეილის სიტყვებით ევროპის ქვეყნების სსრ კავშირთან ომის დროს – ფაშისტური ცენტრი, მიხეილ ჯავახიშვილის მეთაურობით, ისახავდა ეწარმოებინა დაპატიმრებები: საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის მდივანის <u>ლ.ბერიასი</u> და შინსახკომისარ – <u>გოგლოძისა</u> (!!! – გ.ც.).

ეს ამოცანები დავალებული ჰქონდა ახმეტელ ალექსანდრეს (საშას) რუსთაველის სახელობის ქართული თეატრის დირექტორს. თბილმრეწველობაში გადაბირებულ დუმბაძეს, ძნელაძეს, მიქაძეს. ამის გარდა, ანტისაბჭოთა საუბრებს ვუტარებდი დუდუჩავას, პეტრე მაჭავარიანს, ლეო ცაგარელს და ლევან ხუნდაძეს... (იქვე, ფურც.209-213).

ლ.ქორქაშვილის დაკითხვის ოქმის გაცნობის დროს, წყაროს სიღრმისეული შემეცნების მიზნით, საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ: ისე გამოდის, თითქოს მან გადაფარა მემარჯვენე ფედერალისტების კონტრრევოლუციური საქმიანობის შესახებ მოპოებული მთელი ადრინდელი ჩვენებების სიმართლე და „გახსნა“ ახალი საიდუმლოებებიც, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია, ისიც, რომ ლ.ქორქაშვილის დამორჩილების მიზნით!!! ჩეკამ დააპატიმრა აგრეთვე მისი მეუღლე – ბეგლარ ფაღავას ცოლის და. ლევანი იყო მხედრული წრთობის პიროვნება. მისი სამეგობროს სახით ვეცნობით პიროვნებებს, რომლებიც საბჭოურსა და ადრინდელ საქართველოში მის მსგავსად გამოირჩევიან უაღრესად მაღალი ავტორიტეტითა და ეროვნული პატრიოტიზმით. მათ შორის საკმარისია მოვიხსენიოთ

იოსებ ბარათაშვილი, რომელიც 1905-1906 წლებში იყო სოციელფედერალისტთა პარტიის მთავერი კომიტეტის წევრი და ამ პარტიის ერთ-ერთი წარმომადგენელი, მსფ-ების შემდგომი ლიდერი და ბერიას მოძულე, მისგან პატრიოტული ინტერესების გამო განწირული, პირადი ადამიანური ღირსებებით გამორჩეული პიროვნება. ცაკ-ის მდივანი – თენგიზ ჟღენტი ცნობილია, როგორც დაუმორჩილებელი ფიცხი პატრიოტი, რომელმაც ვერ აიტანა ბერიას ინტრიგები და თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე. ჩეკას ძიებამ ასეთი ძლიერი პიროვნების დამორჩილება, როგორიც ლ.ქორქაშვილი იყო, როგორც ჩანს შეძლო მხოლოდ მეუღლის სიცოცხლის შენარჩუნების გარანტის მიცემითა, თავისი გამოუვალი მდგომარეობის ბოლომდე გაცნობიერებით და „მისი ჩვენებების“ ფალსიფიცირებით.

ლ.ქორქაშვილთან დაკავშირებით საყურადღებოა ისიც, რომ იგი 15 ივლისის დაკითხვის ოქმს ხელს აწერს პატიმრობიდან მთელი ერთი თვისა და ხანგრძლივი წინააღმდეგობის შემდეგ. არ არის გამორიცხული, რომ ამ 22 ივლისის დაკითხვის ოქმში ნაწერი, არცა აქვს წაკითხული, ხოლო მისი ჩვენებები სხვა მრავალი მაგალითის მსგავსად არის მექანიკური, დაკითხვის ყველა ოქმი შეიძლებოდა ყოფილიყო ტრაფარეტული, ხოლო 22 ივლისის დაკითხვის ოქმი კი ნათლად ჩანს, რომ არის მისი ხელმოწერის გარეშე შეთითხნილი, მხოლოდ გამომძიებელის, კერძოდ III ქვეგანყოფილების უფროსის ლ.აბაშიძის მიერ გამოძალული და მის მიერ ხელმოწერილი „ფუტლიარი“.

ტრაფარეტული დაკითხვის ოქმებისა და მათში ჩადებული ვრცელი პასაჟების ჩეკისტური გამოყენების პრაქტიკის კონკრეტულ მაგალითს გვიჩვენებს ლ.ქოქრაშვილის 22 ივლისის დაკითხვის ოქმებში ჩადებული ვრცელი ტექსტების ზუსტი აქცენტები:

„<u>კითხვა:</u> ამა წლის 15/VII-ის დაკითხვაზე თქვენ მოგვეცით ჩვენება, რომ მოლაპარაკება გქონდათ ფაშისტურ ორგანიზაციასთან ბლოკის შექმნის თაობაზე. ადასტურებთ ამას?

<u>პასუხი:</u> უსათუოდ ვადასტურებ, და დავძენ, რომ როგორც მიხეილ <u>ჯავახიშვილმა მითხრა</u> – სსრ კავშირთან დასავლეთ ევროპის ქვეყნების ომის დროს ფაშისტური ცენტრი, რომელსაც

მიხეილ ჯავახიშვილი მეთაურობდა, აპირებდა დაეპატიმრებინა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ.ბერია და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი გოგლიძე.

კითხვა: ვის ქონდა დავალებული ამის შესრულება?

პასუხი: ალექსანდრე (საშა) ახმეტელს რუსთაველის სახელმწიფო ქართული თეატრის დირექტორს...“ (იქვე, ფურც.203-204).

აქედან ნათლად ჩანს, რომ ჩეკას სამძებროს დაკითხვის ოქმები არამარტო ნაძალადევია, არამედ, ამ შემთხვევაში, აგრეთვე ტიპიურად ფალსიფიცირებულია.

ჩემს მიერ ზემოთ მოყვანილი, ჩეკისტური ძიებით მოპოებული ამონარიდები მოწმობენ, რომ პ.იაშვილის, მ.ჯავახიშვილისა და ტ.ტაბიძის ბედი, ისე, როგორც ბევრ სხვა, ჯერ-ჯერობით დაუპატიმრებელისა, უკვე ჩეკისტურად გადაწყვეტილია. ამ ოქმებიდან ისიც ჩანს, რომ ზოგი ის ჩვენება, რომელიც შემდეგ, თავის დროზე გამოსძალეს მ.ჯავახიშვილსა და ტ.ტაბიძეს წინამორბედ პატიმრებს არა მარტო შინაარსობრივად, არამედ ზოგჯერ ტექსტობრივად მეორდება. ამ მხრივ განსაკუთრენით თვალსაჩინოა ნ.მიწიშვილის, დ.წერეთლისგ. მახარაძისა და ლ.ქორქაშვილის დაკითხვის ოქმების ტექსტები. მათი ურთიერთ შედარება ცხადყოფს, რომ სახეზეა ჩეკისტურად წოდებული „კონვეირი“, ანუ ჩეკისტური აღიარებების „გადაფარვა“ და ესტაფეტური განვითარება. მათ შორის განსხვავება ისაა, რომ მათი და ლ.ქორქაშვილის დაკითხვის ოქმების გაფორმების დროს ზოგი „დასახელებული ცოცხალია, მ.ჯავახიშვილისა და ტ.ტაბიძის დროს კი, უკვე დახვრეტილია.

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით საყურადრებო ცნობებს გვაწვდის მწერალთა რეპრესიების უამრავი საიდუმლობების წარმომჩენი რ.კვერენჩხილაძის ნაშრომში („წამების გზა“) დამოწმებული ცნობები: „1936 წ. მარტს“ ჩეკისტმა ქადაგიშვილმა „აგენტ კრიტიკოსის“ მოწოდებული ცნობის საფუძველზე საქართველოს ცკ-ის მდივანს ბაქრაძეს აცნობა: 1936 წელს პაოლომ კრებულში ქართველ ხელოვანთა და მწერალთა მიღებისას წაიკითხა ლექსი „სტალინი და სამშობლო“, რომელშიც სტალინის წინააღმდეგ შეფარული გამოხდომებიაო (რ.კვერენჩხილაძე, დასახელებლი წიგნი, I, 1999, გვ.147).

1937 წლის 3 ივლისს თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა ორაგველიძემ, შინაგან საქმეთა კომისარ, სერგო გოგლიძეს აცნობა: უნივერსიტეტის ზოგი კომკავშირელი და მეცნიერ-მუშაკი აცხადებს – ეს ლექსი ანტისაბჭოთააო. ორაგველიძე შინსახკომის ყურადღებას მიაქცევს ყოველი აბზაცის პირველი ბწკალის პირველად სიტყვებს (ლექსის მეორე ნაწილში). ისინი რომ შევკრიბოთ და წავიკითხოთ თანმიმდევრობით, მივიღებთ შემდეგს: შენი სამშობლო, რომელიც გაანადგურეს... გოგოლიძემ ეს საქმე ბახჩო ქობულოვს დააწერა... ამ უკანასკნელმა ქადაგიშვილს, თანაც ასეთი კომენტარით: გვიან გამოფხიზლდა ორაგველიძე თავისი „სიფხიზლით“ (იქვე).

<u>1937 წ. საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართელოს IV განყოფილების ოპერრწმუნებულმა აგრბამ საქმე – ფორმულარი გახსნა პ.იაშვილზე</u>, როგორც მეშვიდე კატეგორიის ანტისაბჭოთა ინტელიგენტზე“(იქვე).

1937 წლის 2 ივნისს ნ.მიწიშვილი დააპატიმრეს და დისკუსიის შემდეგ სხდომაზე თავის მართლების შესაძლებლობაც გამოურიცხეს. მწერალთა კავშირიდანაც 8 ივნისს გარიცხეს, ხოლო 13 ივლისს დახვრიტეს (ნ.ყიფშიძე, დასახელებული სტატია, გვ.132). ეს არის ბერიას შურისძიების გამოვლინების მკაფიო მაგალითი. ამ და ზოგ სხვა, საქართველოში, თუ საბჭოთა კავშირში ცნობილ პიროვნებათა დახვრეტის გადაწყვეტილებებს ბერია ფორმალური წესის დაცვით წინასწარ ათანხმებდა სტალინთან. ამას მოწმობს მოსკოვის საზოგადოება „მემორიალის“ მიერ ინტერნეტში განთავსებული სიები. იგი გამოავლინა და გაანალიზა საქართველოს საზოგადოება „მემორიალის“ ერთ-ერთმა დამფუძვნებელმა და წარსული, რამდენიმე წლის განმავლობაში მის თავმჯდომარედ ნამოღვაწარმა, ნ.მიწიშვილის ვაჟმა ილამაზ მიწიშვილმა. ამ დოკუმენტის მიხედვით ცხადი ხდება, რომ სტალინისა და სკპ(ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს ზოგ სხვა წევრების ხელმოწერით გადაწყდა დახვრეტა: 1937 წლის 31 მაისს ბ.ბიბინეიშვილის, ვ.ჯიქიას, ნ.ქარცივაძისა და ე.ლორთქიფანიძის; 2 ივნისს – ა.ახმეტელის; <u>26 ივნისს – მოსე ვარამაშვილის</u>, ნ.მიწიშვილისა და გ.ელიავას; 10 ივლისს – მ.აბაშიძის; <u>10 აგვისტოს – ლევან ქორქაშვილის</u>, იოსებ ბარათაშვილის შ.ცინცაძის, ბ.რამიშვილისა და დ.შევარდნაძის; <u>15</u>

<u>სექტემბერს – მ.ჯავახიშვილის</u> და ლ.ლეონიძის; 21 ოქტომბერს – ს.დევდარიანის, ზ.ელიავას, პ.საყვარელიძისა და ვ.კოტეტიშვილის; 22 ნოემბერს – ტ.ტაბიძის, ალ.ლუდუჩავას, ს.ამაღლობელის და გრ.გეგეჭკორის (ა.ქურხული...და რომ გვახსოვდეს, თბილისი 2004, გვ.317-448; რ.კვერენჩხილაძე, საბუთები ღაღადებენ, მეორე შევსებულ-გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2011, გვ.375). აქედან ჩანს, რომ მ.ჯავახიშვილის დახვრეტის სანქციას სტალინი ხელს აწერს ჯერ კიდევ მის შესახებ „დადგენილებისა“ და „საბრალდებო დასკვნის“ მომზადებამდე. ხოლო, <u>ლევან გარსიაშვილი</u>, რომლის მოსპობასაც მ.ხომერიკი მ.ჯავახიშვილს აბრალებს, <u>დააპატიმრეს ჯერ კიდევ მ.ჯავახიშვილის დაპატიმრებამდე ერთი თვით, ხოლო მის მის მიერ ხსენებამდე, ერთი კვირით ადრე, 14 ივლისს</u>, 29 სექტემბერს კი, დახვრიტეს (იხ. ყოფილ ჩეკას არქივში დაცული ოქმი №31). ჩეკას მიერ დაპირისპირებული ყოფილი ფედერალისტების სამძებროს სხვა წარმომადგენლებიდან ექიმი მიხეილ ჩხენკელი სამეულის გადაწყვეტილებით დახვრიტეს 28 ივლისს (იხ. ოქმი №77), შოთა პლატონიც ძე დადიანი დახვრიტეს 12 ნოემბერს (ოქმი №63), გრიგოლ მიქაშაკიძის დახვრეტა მოხდა 23 ოქტომბერს, გიორგი ცაგარელისა კი, 4 ოქტომბერს, ალექსანდრე მოსიძე დახვრიტეს – 12 ივლისს, არჩილ მიქაძე – 7 ნოემბერს. მათი მოსპობის ყველა ჩეკისტურ საიდუმლოებათა გამორკვევა, ჩემთვის ხელმისაწვდომი წყაროებით ვერ ხერხდება, მაგრამ ერთი რამ ცხადია – ყველა ისინი გადაბმული არიან ჩეკას სამძებროს გამომძიებელთა მიერ ნაჭედი ჯაჭვითა და ზემდგომთა მიზანდასახულობით არიან მოსპობილი.

ბერიას მიერ დასახელებულ პიროვნებათა, მათ შორის, ზოგი მწერლისა და მხატვრის დაპატიმრებამ, ხოლო ზოგი „ქართველი ხალხის მტრებად” გამოცხადებულის დახვრეტებმა ცხადი გახადა, რომ ბერიას მიერ X ყრილობაზე დასახელებულთა და ქართველი მწერლების თანამოზრე – მეგობართა შორის, მოსალოდნელი უბედურებებისგან დაზღვეული არ იყო არავინ.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩააყენეს პ.იაშვილი. მისი ეს ვითარება მრავალ პუბლიკაციაშია ასხული. ეს ცოდნა, უაღრესად საყურადრებოდ არის შეჯამებულ-გამდიდრებული რევაზ კვერენჩხილაძის წიგნის - „საბუთები ღაღადებენ...” მეორეშევსებულ-

გადამუშავებულ გამოცემაში (თბ. 2011, გვ.339-349, 594). მაგრამ როგორც ზემოთ ვნახეთ და სხვა დამატებითი ცნობებიც მოწმობენ, მაინც დარჩა ბევრი რამ დამატებით ამოსაცნობი და გასააზრებელი.

არსებობს დამაჯერებელი ცნობები, იმის შესახებ, რომ პ.იაშვილი თვითმკვლელობამდე თავისთან დაიბარა ბერიამ (იხ. ქ.ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება, თბ. 1991, გვ. 321; რ.ჩხეიძე, დაწყევლილი თაობა, თბ. 1992, გვ. 168; ი.აბაშიძე, ზარები ოცდაათიანი წლებიდან, ჟ. „მნათობი"; ნ.ყიფშიძე, რეპრესირებული ქართველი მწერლები, ჟურნ. „საარქივო მოამბე", 2011, №10, გვ.132, 135). მაგრამ ბერიას მიერ პ.იაშვილის დაბარების მიზეზი განსხვავებულად არის ახსნილი და ასახსნელი. ქეთევან ჯავახიშვილის გადმოცემით - „ბერიამ მას დაავალა მამას (მ.ჯავახიშვილსა – გ.ც.) და ტიციანის წინააღმდეგ ცრუ ბრალდება დაეწერა, რომელსაც ისინი შემდგომ საბუთად გამოიყენებდნენ". პ.იაშვილის ძმის შვილის, ნოდარ იაშვილის მიხედვით - „ბერიამ დაავალა, ვალოდია ჯიქიას უნდა დაადგე პირზეო"(იხ. იქვე). ეს აზრები მე ბერიასთან კონტაქტის მხოლოდ იმ ნაკლები სიმძიმის დეტალებად მესახება, რომელთა გამჟღავნევბაც პ.იაშვილმა თვითმკვლელობამდე ინება. მე მიმაჩნია, რომ სინამდვილეში სხვა უფრო მძიმე დავალებებზე უნდა ყოფილიყო საუბარი.

პ.იაშვილის ბერიასთან დაბარების ზემოთ აღნიშნულ ფაქტს იზიარებს მ.ჯავახიშვილის ცხოვრებისეული პერიპეტიების ცნობილი გამყალბებელი - მ.ხომერიკი. იგი ამასთანავე გამოთქმულ ვერისებს თავისი მორიგი სიყალბის გამართლებისთვის იყენებს და წერს: „დოკუმენტურად უფრო დასაბუთებული ის არის, რომ იმ დროისათვის ჩეკას უკვე ხელთ ჰქონდა მ.ჯავახიშვილის ჩვენება (ტყუილია – გ.ც.), რომელიც ცხადია, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა პაოლო იაშვილს". ეს არის აბსურდი, რადგან მას მოჰყავს ამონარიდი მ.ჯავახიშვილის მიერ პატიმრობაში დაწერილი, ბერიას მიერ დაკითხვებისას, ორჯერადი ცემით მოპოებული 21 აგვისტოს ავტოგრაფული ჩვენება-განცხადებიდან და წერს: „ამ ჩვენების დაწერიდან ერთი თვის შემდეგ, (?! – გ.ც.) პ.იაშვილი იძულებული გახდა თვითმკველობით დაესრულებინა სიცოცხლე"(მ.ხომერიკი, მიხეილ ჯავახიშვილი უნიკალური

დოკუმენტების ფონზე, გვ.84). მსგავსი შემთხვევებს ესადაგება რუსული გამოთქმა: ,,Кому война, кому мать родная”. აქედან კარგად ჩანს, რომ მ.ხომერიკს მ.ჯავახიშვილის ცხოვრებისეული პერიპეტიების პასკვილური ასახვის სიფუყის გამომჟღავნება ადარდებს და არა პ.იაშვილის თვითმკვლელობის, ან პ.იაშვილის თვითმკვლელობაში მ.ჯავახიშვილის სრული უდანაშაულობის ნამდვილი მიზეზის გარკვევა, მაგრამ აქ მთავარი მაინც ის არის, რომ პ.იაშვილის ბერიასთან დაბარებას ამ პერიოდის ჩეკისტური არქივის მასალების ეს მცოდნეც არ გამორიცხავს. ბერიასთან მისი პირადი მტრების და მასზე ტერორის განხორციელების თანამოაზრე-თანამებრძოლად გასაღებულის დაბარება კი, სხვა არაფერი იყო თუ არა გარდაუვალი უბედურების მომასწავებელი. ჩემი აზრით, აქ საჭიროა ისიც ითქვას, რომ ნ.ყიფშიძის ნარკვევში გამოთქმული აზრით <u>პ.იაშვილი ,,რამდენჯერმე დაიბარეს ჩეკაში“ (იხ. დასახელებული სტატია, გვ.132), ხოლო ამ მოვლენის თანამედროვე, ირაკლი აბაშიძე დაბეჯითებით ადასტურებს: ,,ისიც ვიცოდი, რომ იგი (პ.იაშვილი – გ.ც.) იმ წინა დღითაც (თვითმკვლელობამდე – გ.ც.) იყო გამოძახებული“ (ი.აბაშიძე, ზარები ოცდაათიანი წ;ებიდან, თბ.2003, გვ.114).</u>

ახლა აქ გამყალბებელზე საუბრის ადგილი არ არის. მთავარი კი ის არის, რომ არსებობს დამაჯერებელი გადმოცემები იმის შესახებ, რომ გაცილებით ადრე ბერიამ თავისთან დაიბარა პ.იაშვილი. მან პაოლო სასტიკად გააფრთხილა ჩამოშორებოდა სახელმწიფოებრივი პრობლემებით დასაქმებას. სინამდვილეში ეს იყო არა მხოლოდ მოთხოვნა კავშირი გაეწყვიტა ბერიას პირად მტრებთან, ლ.ღოღობერიძესთან, ვ.ჯიქიასან, და სხვებთან. არამედ გადაბირების მცდელობაც. არ არის გამორიცხული, რომ ბერიამ პირადი კონტაქტი პაოლოსთან თვითმკვლელობის წინა ხანებშიც განახორციელა, მაგრამ, ახლა უკვე მეგობრების სრული საჯარო მხილების მიზნით. ამას დამატებით ადასტურებს პ.იაშვილის წერილი მეუღლის მიმართ, რომელშიც ნათქვამია: ,,ჩემი სიკვდილის მიზეზია პოეტის სახელის შეუთავსებლობა იმ <u>შეურაცყოფასთან, რომელიც მე მომაყენეს ადამიანებმა, რომლებთანაც ვმეგობრობდი და რომლებიც სინამდვილეში</u> (ამაში სავსებით დარწმუნებული ვარ) <u>ქართველი</u>

ხალხის მტრები აღმოჩნდნენ.” ეს იყო ოფიციალურ წერილში იქნებ გულწრფელად და ამასთანავე მიზეზების ნართულად გამოთქმული ახსნა. მაგრამ, ჩვენთვის საყურადღებო აქ ისაა, რომ აქედან და მწერალთა პრეზიდიუმის ინკვიზიციური სხდომების, წიგნის წინა თავში გაცნობილი მასალიდან, კარგად ჩანს: - პ.იაშვილის თვითმკვლელობის მიზეზი გახდა მისი მეგობარ, ხალხის მტრად და ტერორისტებად გასაღებულთა ჩვენებები, რომელთა ჭეშმარიტებაზე პ.იაშვილთან საუბარი ჰქონდა ბერიას. არ არის გამორიცხული, რომ ბერიამ პ.იაშვილს ხალხის მტრად გასაღებული მეგობრების იმ ოქმების ჩვენებებიც გააცნო რომელშიც „აღიარებული” იყო ტროცკისტული, მემარჯვენე-მავნებლური, ფაშისტური და სხვა ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ – დივერსიულ - ამბოხებითი მიზანდასახულობები, ტერორისტული გეგმები სტალინის და სხვათა მოსპობას რომ ისახავდნენ და სხვა. არც ის არის გამორიცხული, რომ ბერიას, მსგავსად არაერთი ჩეკისტური მაგალითისა, პ.იაშვილისთვის მოეწყო შეხვედრა ვ.ჯიქიას, ლ.ღოღობერიძის ბ.მდივანის, მ.ორახელაშვილის, ვარძიელის, ქურდიანის და სხვა მსგავს, წინასწარ დამუშავებულ, მის რომელიმე ცოცხლად შემორჩენილ მეგობრებთან და ეცადა მყარად დაერწმუნებინა, რომ ისინი ნამდვილად ხალხის მტრები და სამშობლოს მოღალატეები არიან. პ.იაშვილი წერს საყვარელ მეუღლეს: „ჩემი სიკვდილის მიზეზია პოეტის სახელის შეუთავსებლობა იმ შეურაცყოფასთან, რომელიც მე მომაყენეს ადამიანებმა, რომლებთანაც ვმეგობრობდი და რომლებიც სინამდვილეში (ამაში სავსებით დარწმუნებული ვარ) ქართველი ხალხის მტრები აღმოჩნდნენ”. ესეც არის, მაგრამ საეჭვოა, რომ პაოლომ მისი მეგობარი „ხალხის მტრობა“ დაიჯერა, მაგრამ სხვაგვარად მას დაწერა არ შეეძლო, რადგან ნამდვილი მიზეზები წერილობით რომ ჩამოეყალიბებინა, იმ შემთხვევაში საკუთარი ოჯახის წევრებზე ბერიას შურისძიების გარდაუვალ აუცილებლობას შექმნიდა.

ჩემთვის მთავარია იმის გარკვევა, თუ რას შეეძლო იგი თვითმკვლელობის აუცილებლობის რწმენამდე მიეყვანა, თუ არა, ბერიას ფარული მიზანდასახულობით ორგანიზებული დისკუსიის დროს მასზე განსაკუთრებული ზემოქმედებით განხორციელებულ

ზემოქმედებას და ბერიასთან შეხვედრის დროს ამ უკანასკველის ფარისევლურ საუბარს. სათანადო წყაროების ანალოგიიდან გამომდინარე სხვა სავარაუდო შესაძლებლობა არა ჩანს.

მართალია პ.იაშვილი ჯერ კიდევ ადრე 1937 წლის 28 მაისს მწერალ-კრიტიკოსთაგან მხილების დროს აღიარებს - „მე უთუოდ ვიყავი დაკავშირებული ხალხის მტრებთან", მაგრამ იქვე განმარტავს: „არ ვიცოდი მათი ფარული ზრახვები". იგი თავის გამართლებას ცდილობს, ბ.ლომინაძეს, ვ.ჯიქიას და სხვა ხალხის მტრებად შეუცნობელობით, ეროვნულ-პატრიოტული ინტერესებით ვეხმარებოდიო. ახლა კი, როცა თავის მოკვლა მყარად გადაწყვიტა, დამატებით აცხადებს, რომ ვისთანაც ვმეგობრობდი ქართველი ხალხის მტრები აღმოჩნდნენ და „ამაში სავსებით დარწმუნებული ვარო". მსგავსი რწმენა ჩვენთვის ცნობილი მრავალი პატიმრებიდანაც კი, არავის შექმნია. მე მიმაჩნია, რომ რეალური სინამდვილე გაცნობიერებული ჰქონდათ პატიმრებს. ჩეკას იზოლიატორში ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობა იძლეოდა იმას, რომ ყველას კარგად გაეგო – მათი უბედურების მიზეზი ხალხის მტრობა კი არა, არამედ სახელმწიფოებრივ-ჩეკისტური დაკვეთა იყო და იგი სტალინის დონიდან სტიმულირდებოდა, ხოლო ბერია, მისი შემოქმედებითად შემსრულებელი იყო. ამის შესახებ, მითუმეტეს კარგად იყვნენ ინფორმირებული ჯერ კიდევ დაუპატიმრებლები, რომლებიც წინასწარ ინფორმირებულები იყვნენ და დღითი-დღე მოელოდნენ უბედურებას. მაშასადამე, პ.იაშვილი ბოლოს თვისობრივად სრულიად განსაკუთრებულ , ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდა, რომ თვითმკვლელობა ერთადერთ ყველაზე სწორ გადაწყვეტილებად დაისახა.

დაუჯერებელია, რომ პ.იაშვილმა წინასწარ მომზადებული, კარგად გააზრებული თვითმკვლელობა მხოლოდ იმიტომ ჩაიდინა, რომ „ვერ შეათავსა პოეტის სახელის შეუთავსებლობა" მეგობრების „ღალატთან". არა! ამაში მთავარი ის იყო, რომ ცოცხლად დარჩენა კიდევ უფრო დიდი უბედურებას უმზადებდა მის პიროვნებასა და ოჯახს, უსაყვარლეს ქალიშვილს. ხომ კიდეც უმხელს მას: „ჩემი სიკვდილი სჯობდა, შენ უფრო უბედური იქნებოდი, რომ მე დღეს თავი არ მომეკლა". რატომ?! უთუოდ იმიტომ. რომ ბერიასთან

შეხვედრამ, აგრეთვე ქართველ მწერალთა დისკუსიამ და ბ.მდივანის, მ.ტოროშელიძის და აგრეთვე სხვათა ოჯახების წევრების გაუბედურებამ მყარად დაარწმუნა, რომ ბერიას დავალების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოუწევდა არა მისი ფარისევლური ახსნა-განმარტებისა და რჩევა-დარიგების მოსმენა, არამედ საქმე ექნებოდა მისი მეგობარი „ქართველი ხალხის მტრებისაგან" – პ.ბ.ლომინაძის, პ.აღნიაშვილის, ვ.ჯიქიას, გ.ელიავას, ნ.მიწიშვილისა და სხვათაგან, უკიდურესად შემზარავი აღიარება-ჩვენებების გამომძალველ, კაცისმკვლელ ჯალათებთან (ქობულოვთან, კრიმიანთან, სავიცკისთან, ხაზანთან და მათ მსგავს ბერიას მონებად ქცეულ კაციჭამიებთან).

როგორც ჩანს, პ.იაშვილმა ბერიასთან შეხვედრის შემდეგ უკვე კარგად გაიცნობიერა, რომ ვერ ასცდებოდა არა მარტო იმ აღიარება-ჩვენებების მიცემას, რომელიც მძიმედ და სამუდამოდ შეურაცყოფდა მის პოეტურსა და ადამიანურ ღირსებებს, არამედ რეალურ საფრთხეს შეუქმნიდა მისი ოჯახის წევრების სიცოცხლესა და უსაყვარლესი ქალიშვილის არა მარტო თავმოყვარეობას... მისთვის ადვილი მისახვედრი უნდა ყოფლიყო, რომ, როცა ბერია ქართველ მწერლებს ყრილობის ტრიბუნიდან აფრთხილებდა და რჩევა-დარიგებებს აძლევდა, ფარისევლობდა და ზოგ მათგანს, მათ შორის დასახელებულებს, სასიკვდილო მახეს უგებდა. მაგრამ პაოლოს თვითმკვლელობის მიზეზთა შორის იყო კიდევ ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი მოტივი. მისთვის ცხადი გახდა, რომ მთელი ეს ბერიასეულ-ჩეკისტური ძალისხმევა ხალხის მტრების გამოვლენისა, იყო კონიუნქტურული სპექტაკლი ბერიას პირადი მტრების მოსპობის და რეალური ბოლშევიკური ტოტალიტარული რეჟიმის მიზანდასახულობებისა, რომელსაც მან საკუთარი პიროვნების, თავისი ოჯახის წევრებისა და ცოცხალი მეგობრების დაცვის მიზნით საქვეყნოდ გახმაურებული პროტესტით უპასუხა.

უთუოდ შემომედავებიან, პ.იაშვილმა მწერლების და ცოლ-შვილის მიმართ წერილებში ხომ აღიარა, რომ ირწმუნა მეგობრების მხრივ „ქართველი ხალხის მტრობაო". დიახ დაწერა, მაგრამ, ჩემი აზრით, აქ მთავარია პროტესტის კავშირი ობიექტურ რეალობასთან, ანუ მიმართება ობიექტური კონიუნქტურის მიმართ. მთავარი მარტო

ის კი არ იყო, რომ პ.იაშვილი სხვების მსგავსად ხალხის მტრად დასაბუთდებოდა, არამედ ის, რომ მას, როგორც ქართველი უპარტიო პატრიოტული ინტელიგენციის წარმომადგენელთაგან „ხალხის მტრებთან" ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულსა და ბერიას მტრებში „ფაშისტ" მწერალთაგან ყველაზე ახლო მეგობარს, უთუოდ მოუწევდა ჩეკას ძიებისათვის უკიდურესად საჭირო, ახალი „მთავარი მიმართულების" ჩვენებების მიმცემის ფუნქციის შესრულება.

როგორც 30-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიების ისტორიის გამოცდილების ცოდნამ დამარწმუნა, პ.იაშვილს, როგორც ახალი „მთავარი მიმართულების" კანდიდატსა და ამ მიზნით გამოყენებისათვის საუკეთესო სუბიექტს, ბერიას და ჩეკას ძიების მხრივ, უთუოდ დაევალებოდა მისი მეგობარი, თუ ნაცნობი „ხალხის მტრების" ყველა ადრინდელი ჩვენებების გადაფარვა-დადასტურებასთან ერთად, „ქართული ფაშიზმის", იმჟამად უკვე ჩეკისტურად აღმოცენებული ტენდენციის განვითარება და ამ ჩეკისტური ლეგენდის მიყვანა იმ ქართული ანტისაბჭოთა მწერლებიდან, ინტელიგენციის იმ მეცნიერ პედაგოგების მიმდინარეობამდე, რომელიც ჩეკას ვერსიით თავის ბელადად ივანე ჯავახიშვილს აღიარებდა.ამ აზრამდე მივყავარ ჯერ ერთი, იმის ცოდნას, რომ ბერია ანტისაბჭოთა ოპოზიციის მოსპობის მოსკოვის დაკვეთის შესრულებისათვის გულმოდგინედ მუშაობდა და ძალისხმევას არ იშურებდა. აგრეთვე დამარწმუნა იმის ცოდნამ, რომ ბერიას უკვე მოქმედებაში ჰქონდა მოყვანილი პაოლოს, მ.ჯავახიშვილის და მათი თანამოაზრე მეგობრების მოსპობის პროცესი და როგორც ზემოთ მოხმობილი ჩეკისტური წყაროებიდან ჩანს, იგი ეროვნულ-პატრიოტულად გამჟღავნებულ პროფესურის განადგურებებისკენ მიჰყავდა. ჩემი სხვა ნაშრომებიდანაც კარგად ჩანს, რომ ბერიამ 1937 წელს მოპოვებული „ჩვენებებით" ქართული პატრიოტული ინტელიგენციის გამოვლენა, დაპატიმრებისა და მოსპობის ტენდენცია 1938 წელს ივანე ჯავახიშვილსა და მის თანამოაზრეებამდე მიიყვანა.

პ.იაშვილმა საჯაროდ განხორციელებული თვითმკვლელობით, პოლიტიკური მოტივაციით თავგამეტებულთა შორის (ბ.ლომინაძე, თ.ღლონტი, ბ.რამიშვილი და სხვ.) ყველაზე მკაფიოდ და სახალხოდ

გამოავლინა პროტესტი არსებული, იმ უკიდურესად უსამართლო, ხელოვნურ-ჩეკისტურად შექმნილი რეპრესიული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის მიმართ, რომელსაც პირადად ხელმძღვანელობდა საქართველოს კომპარტიის ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სულით-ხორცამდე ფენომენალური ჩეკისტური თვისებების მქონე ბერია.

პ.იაშვილის მიმართ ბერიას საყვედურებს, მის დამქაშთა მუდმივ თავდასხმებსა და განსაკუთრებით ბერიასთან შეხვედრის დროს ამ უკანასკნელის ფარისევლურ საუბრებსა და დავალებებს, ნამდვილად შეეძლო თვითმკვლელობით გამოხატულ პროტესტის გარდაუვლობამდე მიეყვანა ფაქიზი პოეტურ-ადამიანური თვისებების თავმოყვარე, ვაჟკაცი.

როგორც ცნობილია პ.იაშვილმა წინასწარ განზრახულად, თვითმკვლელობისთვის წინასწარ მომზადებული და მიტანილი სანადირო თოფით თავი მოიკლა მწერალთა სასახლის შენობაში და თანაც იმ დროს, როცა იქ ბერიას დავალებით მიმდინარეობდა მწერალთა სხდომა ქართველი ხალხის მტრებისა და მათი დამქაშების გამოვლენის დემაგოგიური ლოზუნგით. ეს სინამდვილეში იყო ბერიას მიერ გამოწვეული მკვლელობა, ხოლო პაოლოს მხრივ ეს იყო არა ჩვეულებრივი, რიგითი ხასიათის პროტესტი, არამედ მანამდე არნახული დემონსტრაციულობისა და პოპულარულობის სახით, სახალხოდ გაწვნილი ზორბა ალიყური არსებული ხელისუფლების მიერ შექმნილი რეჟიმის, პირადად მისი უშუალო ინიციატორისა და ხელმძღვანელის, ბერიას მიმართ. დიდი ტერორის წლებში ამაზე დიდი დარტყმა ბერიას ავტორიტეტს არ განუცდია. ამასთანავე, პ.იაშვილის სახით თვითმკვლელობამ ბერიას გამოაცალა ფაშისტად გასაღებული პატრიოტი მწერლებისა და მეცნიერ პედაგოგების განადგურებისათვის საჭირო „ცენტრალური მიმართულების" ჩვენებათა გამოძალვისთვის საჭირო, ყველაზე საუკეთესო კანდიდატურა. აღნიშნულთა გამო, როგორც შემდგომ თავში ვნახავთ ბერიამ მოსასპობად განწირულ მწერლებს შორის ახალი კანდიდატი მ.ჯავახიშვილის სახით შეარჩია, პ.იაშვილზე კი, შური მისი ამ მეგობრის გამოყენებითა და მათი სპეტაკი ზნეობისა და სახალხოდ მოხვეჭილი მაღალი ავტორიტეტის შებღალვით

დაისახა. მ.ხომერიკი კი, ცდილობს პ.იაშვილის თვითმკვლელობა ხელოვნურად დააბრალოს მ.ჯავახიშვილს.

როგორც ცნობილია, 1937 წელი მ.ჯავახიშვილისთვის მრავალმხრივ მძიმე აღმოჩნდა. იგი უკვე ამ წლის გაზაფხულიდან სისტემატიურად განიცდიდა ბოლშევიკური იდეოლოგიის მესვეურ მწერალ-კრიტიკოსთა თავდასხმას. თავიდან განსაკუთრებული თავდასხმების თემა გახდა მწერლის ბოლოდროინდელი შემოქმედებითი პროდუქცია. აკ.თათარაშვილმა საქართველოს მწერალთა პრეზიდიუმის 1937 წლის 5 მაისის სხდომაზე მისი მისამართით განაცხადა: „ისეთი მწერლებიც კი, როგორც არის მიხეილ ჯავახიშვილი, რომელიც აღიარებული არის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძალად ჩვენი თანამდეროვე მწერლობის და რომელიც სარგებლობს პოპულიარობით მასებში, როცა ის შეეხო თანამდეროვე თემებს, განიცადა იდეური და მხატვრული მარცხი („რკინის საცერი“ - დამპატიჟეს გაგრძელება, 9 ქალწული) მაჩვენებელია იმის, რომ მწერალი ჩვენ თანამედროვეობასთან ვერ არის ორგანულად მისული“ (ლხცსა, ფონდ.8, აღ.1, ს.592, ფურც.21). განსაკუთრებული კრიტიკა წილად ხვდა მის „თანამედროვე“ თემაზე დაწერილ რომანს - „ქალის ტვირთს“, რომელიც ბერიას მიერ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ისტორიის დაკანონებული პოსტულატების საპირისპირო მეთოდოლოგიური საფუძვლების მქონე აპერცეფციულსა და ანტიპოდური ხედვით დაწერილი რომანის ნიმუშს წარმოადგენდა.

მ.ჯავახიშვილი თავისი ბოლოდროინდელი და შემდეგ უკვე მთელი მისი მწერლური შემოქმედების არასაბჭოურობის გამო განიცდიდა თავდასხმებს. ჩემი აზრით, ეს იმიტომ ხდებოდა, რომ: ჯერ ერთი, მ.ჯავახიშვილს საბჭოთა მწერლობის წინაშე 30-იან წლებში, განსაკუთრებით 1935 წელს ბერიას მიერ მოხლაფორთებულ სახელმძღვანელოში („ამიერკავკასიის ბოლშევიკების ისტორიის საკითხისთვის“) დასახული პარტიის ახალი მოთხოვნების შესაბამისად წერა არასდროს შეეძლო, მაგრამ ბოლშევიკური იდეოლოდიის გაძლიერება – განმტკიცებისა და ოპოზიციურად აზროვნების მიმართ შედარებით ლოიალობის ანდრინდელ პერიოდში მისსა და სხვათა სხვაგვარად აზროვნებას ხელისუფლება და პროლეტარული მწერლობა კომპრომისულად აღარ ურიგდებოდა;

მეორე, 30-იან წლებში, განსაკუთრებით ბერიას წიგნის („ამიერკავკასიის ბოლშევიკების ისტორიის საკითხისათვის“) გამოქვეყნების შემდეგ საქართველოში ოპოზიციური და სხვაგვარი აზროვნება, გარდა ბერიას აზრისა და პარტიის იდეოლოგიურის შესაბამისისა, გამოირიცხა; მესამე, უთუოდ იყო ისიც, რომ ანტისაბჭოთა ოპოზიციის „ხალხის მტრებად“ გამოცხადებამ და განსაკითრებით კი, მათ მიმართ გატარებულმა პოლიტიკურმა რეპრესიებმა, ჩეკისტური ვირუსი თანდათან ხელოვნურად, მთელი ოპოზიციური აზროვნების წარმომადგენლობაზე გაავრცელა. ამ ვირუსს ზოგი ეგუებოდა და ზოგი ეწირებოდა.

ქართული მწერლობის წინაშე 1937 წელს დაყენებული და მის ნაწარმოებებთა მიმართ გამოთქმული კრიტიკის გამო მ.ჯავახიშვილმა უაღრესად გულრწფელი და მრავლისმეტყველი ასეთი აზრი გამოსთქვა: „Это не вына наша, а беда наша“-ეს დანაშაული კი არ არის, არამედ ჩვენი უბედურებააო (ლხცსა, ფ.8, აღ.1, ს.592, ფურც.81). ეს იყო რეალური ვითარების ზედმიწევნით სწორი ფილოსოფიური ასახვა. ამის გარდა თვით დიდი მწერალიც აღიარებდა: „...უკვე აღარ შემიძლია წლოვანებისა და ავადმყოფობის გამო...“ (იქვე).

მას შემდეგ რაც მ.ჯავახიშვილმა ივნისში, დისკუსიის დროს განიცადა, ამას დაერთო დიდი ტერორით ნასაზრდოები შემდგომი საერთო მოვლენები. პაოლო იაშვილის თვითმკვლელობა. მ.ჯავახიშვილისათვის, როგორც მისთვის ხირსაში სიცოცხლის გადამრჩენელისა და უახლოესი მეგობრისათვის, განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა. ეს ი.აბაშიძის მოგონებიდანაც კარგად ჩანს, იგი, როგორც პ.იაშვილის ტრაგედიის თვითმხილველი და მსმენელი იხსენებს: პ.იაშვილის თვითმკვლელობის შემდეგ... „<u>სულ ხუთიოდე წუთში გაჩდნენ ადმინისტრაციული დაწესებულების წარმომადგენლები და სასახლის კარებიც დაიკეტა</u>. ისევ სამარისებული სიჩუმე... <u>გაისმა მიხეილ ჯავახიშვილის დაგუბული ხმა: - ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილა, გეთაყვათ“ და მე მხოლოდ ახლა მოვედი აზრზე: რას ნიშნავდა მისი (პაოლოს – გ.ც.) სიტყვები ნახევარი, სულ ნახევარი საათის წინ:-მე დავუმტკიცებ ყველას, რომ ვაჟკაცი ვარო“. ნახევარი საათის წინ კი პაოლომ თქვა: „მე ყველას დავუმტკიცებ, რომ ვაჟკაცი ვარ... იმათაც, იმათაც... რესპუბლიკის</u>

<u>თავკაცებს, რომლებსაც იგი იმ დღეებში იძულებით ხშირად ხვდებოდა, თუ უკვე რეპრესირებულ, უკვე დაღუპულ მის უახლოეს მეგობრებს</u>“ (ი.აბაშიძე, დასახელებული წიგნი, გვ.114-115). მ.ჯავახიშვილის ეს გულის ამონაფრქვევიც, უთუოდ დამატებით საბუთად უნდა წარდგომოდა მის კოლეგიალურ დაბეზღებას და ჩეკისტებისადმი შემდგომი დამორჩილების ახსნას.

ამას დაერთო დიდი ტერორის გამოვლინების უშუალოდ მ.ჯავახიშვილის ძმაზე გავრცელება: „1937 წლის ივლისის ბოლო რიცხვებში მ.ჯავახიშვილმა ძმის, ფრიდონის ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური არალეგალური მუშაობის მოტივით დაპატიმრების ამბავი შეიტყო. ამ დროს მას ბერიასთან მიღების შანსი გამორიცხული ჰქონდა, რადგან უფრო ადრე მის მიმართ გადაჭარბებული თავდასხმებისაგან თავის მართლების მიზნით პარტიის ცეკაში მისულს, ბერიამ წყალი გადაუწურა და მაშასადამე, ბერიამ მის მიერ განწირული, თავის მართლების შესაძლებლობის გამორიცხვის მიზნით არ მიიღო. ახლა მ.ჯავახიშვილმა ის გზა გამოძებნა, რომ ძმის დაცვის მიზნით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ გოგლიძეს განცხადებით მიმართა, მაგრამ ამითაც ვერაფერი გააწყო. ფრიდონს 13 ივლისს უკვე მისჯილი ჰქონდა სასჯელის უმაღლესი ზომა. მ.ჯავახიშვილი კი, რომელმაც ძმის დაპატიმრება დაგვიანებით გაიგო, 3 აგვისტოს წერდა: გთხოვთ ჩემი ძმის საქმეს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთო...“ (ქ.ჯავახიშვილი, მ.ჯავახიშვილის ცხოვრება, გვ.324-325).

ივნის-ივლისში მ.ჯავახიშვილის მიმართ განხორციელებული ჩეკისტური ძიების საზარელ და მომაკვდინებელ ბრალეულობათა ინტენსიური შეთითხნის მიუხედავად მშივიდობიანად წარიმართა 22 ივლისამდე, ანუ მ.ჯავახიშვილის მიერ პ.იაშვილის ვაჟკაცური თვითმკვლელობის საჯარო შეფასებამდე. 15 ივლისს საქართველოს მწერალთა პრეზიდიუმის სამდივნომ ცნობილ მწერლებსა და მათ შორის მ.ჯავახიშვილს დაავალა სიტყვებით გამოსვლა მაქსიმ გორკის გარდაცვალების დღის აღსანიშნავ მომავალ სხდომაზე (იხ. ლხცსა, ფ. 8, აღ. 1, ს. 601, ფურც. 30). 3 ივლისს მწერალთა კავშირის სამდივნომ იმის გამო, რომ ლიტფონდის დირექტორი ხალხის მტერი აღმოჩნდა“, გამოჰყო ლიტფონდის სალიკვიდაციო კომისია, რომლის

თავმჯდომარედ მ.ჯავახიშვილი დაასახელა (იქვე, ფურც. 41). 21 ივლისს სამდივნომ განიხილა მ.ჯავახიშვილის განცხადება შემოქმედებით შვებულებაში წასვლისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ და დაადგინა წარმოედგინა შემოქმედებითი მუშაობის გეგმა, ამასთანავე უახლოესი სხდომისათვის წარმოდგენილიყო შესაბამისი დასკვნა (იქვე, ფურც. 48). ამ დრომდე მ.ჯავახიშვილი არის რუსთაველის საიუბილეო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის მწერალთა პრეზიდიუმის წევრი და საყოველთაო პატივისცემით დაჯილდოვებული პიროვნება. მისი მწერლური შემოქმედების კრიტიკოსებიც კი (მ.შ. ცნობილი პარტ. მუშაკი ვალია ბახტაძე), იძულებულნი იყვნენ ეღიარებინათ, რომ მ.ჯავახიშვილი ყველაზე პოპულიარული მწერალი იყო (იხ. ქ.ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება, გვ. 93).

პ.იაშვილის თვითმკვლელობის მიზეზ-საბაბის მ.ჯავახიშვილისეული საჯარო შეფასების შემდეგ, იმავე დღეს, ამ პოპულიარული და საპატიო პიროვნების მიმართ დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა.

აგვისტოს დასაწყისში საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბიურომ იმსჯელა რუსთაველის საიუბილეო კომისიის საქმიანობის შესახებ. მან ჩატარებული მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა და საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, მ.ჯავახიშვილი გაანთავისუფლა (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი14, აღ.11, საქმე 146, ფ.38).

4 და 7 აგვისტოს ჩატარდა მ.ჯავახიშვილის „ქალის ტვირთის“ განხილვა. მიმდინარე მოვლენების სიტუაციების, პარტიული ორგანიზაციის თუ ბერიას ფარული ზეგავლნით განწყობილმა კრიტიკოსებმა საქართველოს 1905 წლის რევოლუციის მოვლენების თვითმხილველი ავტორი მწვავედ გააკრიტიკეს. მათ შორის ამხილეს იმის გამო, რომ: კომუნისტებისათვის მიწერილი ტერორის მაგალითი არარეალურად მიიჩნიეს - კომუნისტებისათვის ტერორი მიუღებელიაო; რევოლუციის რეალური სურათი სწორედ არ არის გაშუქებული; მწერლის პოზიცია ბერიას წიგნში მოცემულ სწორ საორიენტაციო აზრებს არ შეესაბამება; სტალინის როლი და ღვაწლი არა სჩანსო და სხვ. მ.ჯავახიშვილმა ზოგი შენიშვნა მიიღო,

ზოგის გამო თავი იმართლა, მაგრამ აზრი არ ჰქონდა, მისი ბედი გადაწყვეტილი იყო. ამას მოწმობს მოცემული პერიოდის ფხიზელი მეთვალყურის გერონტი ქიქოძის მოგონებაც.

გ.ქიქიძე წერს: „სანამ მიხეილ ჯავახიშვილს გაუსწორდებოდა, ბერიამ მწერალთა კავშირის იმდროინდელ თავმჯდომარეს, დავით დემეტრაძეს დაავალა მას მოლაპარაკებოდა და ასე ვთქვათ, წინასწარ გამოძიება დაიწყო. ამ გამოძიების თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ თვით გამომძიებელი დავით დემეტრაძე თურმე უკვე განწირული იყო... ჯავახიშვილის დაკითხვას მწერალთა კავშირში შემთხვევით (? – გ.ც.) ორიოდე მისი მეგობარი დაესწრო. ჯავახიშვილი სახტად დარჩენილიყო, როცა დემეტრაძეს მისთვის ეთქვა, ბრალად გედებათ, რომ უცხოეთის წყაროებიდან ფულს ღებულობდით, ამის დასამტკიცებლად სავსებით ურყევი საბუთები გვაქვსო (! – გ.ც.). ჯავახიშვილს თავისი ადამიანური ღირსების დამცირებად მიაჩნდა ამ ბრალდების უარყოფა, ხოლო თავისი წვრილი კისერი წინ წაეწია იმის ნიშნად, რომ მზად იყო ჯალათის დარტყმა მიეღო; მას ეთქვა, თუ მსხვერპლი გინდათ მზად ვარ თავი შევწიროო. ამის შემდეგ, ის ჯერ რუსთაველის საიუბილეო კომისიიდან გამოიყვანეს, ხოლო შემდეგ უკვე დაატუსაღეს“ (გ.ქიქოძე, თანამედროვის ჩანაწერები, ჟურნ. „მნათობი“, 1989, №1, გვ.41-42). სინამდვილეში მ.ჯავახიშვილის მიერ უცხოეთის წყაროებიდან ფულის მიღების, თუნდაც რომელიმე პატიმრებისგან ჩეკისტურად გამოძალული ჩვენება, მკვლევართაგან არავის უნახავს. სავარაუდოა, რომ ეს ბრალდება შეთითხნეს სხვა მსგავსი ჩვენებების იმპროვიზაციითა და მისი მ.ჯავახიშვილის მაგალითზე გამოყენების მიზნით.

დაპატიმრებამდე მ.ჯავახიშვილი ქვიშხეთში გაემგზავრა ცოლ-შვილთან ერთად. იგი როგორც ჩანს, ეჭვის ნიადაგზე უახლოეს დღეებში დაპატიმრებას უკვე, კიდეც მოელოდა. ამას მოწმობს არამარტო მ.ჯავახიშვილის მწერალთა კავშირში ჩატარებული დაკითხვა-გასაუბრება, არამედ თბილისსა და ქვიშხეთში პროლეტერულ-პარტიულსა და ბერიას ნდობით განწყობილ მწერლებში, თავისი პროსაბჭოური განწყობილების შესახებ აზრის დანერგავა-გავრცელების მცდელობა. მ.ჯავახიშვილის 21 აგვისტოს,

გოგლიძის სახელზე დაწერილ განცხადება-„ფუტლიარში“ ვკითხულობთ: ქვიშხეთში გამგზავრების წინ მე ვესაუბრე არჩილ ჯაჯანაშვილს და კოკი აბაშიძეს, ხოლო ქვიშხეთში პოეტ იონა ვაკელს, მგონი შანშიაშვილსა თუ ჭიჭინაძეს იმის შესახებ, რომ გააფთრებით უნდა გამოვიდეთ აგრესორის წინააღმდეგ, ჩვენს სამშობლოზე თავდასხმის შემთხვევაში“ (მ.ხომერიკი, დასახელებული წიგნი, გვ.101).

არსებობს ცნობები ქვიშხეთში „დასასვენებლად“ მყოფი მიხეილ ჯავახიშვილის დაუწყნარებელი ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ. „აკ.გაწერელია იხსენებს „ჩვენ (ქვიშხეთში – გ.ც.) ერთი სახლის აივანზე ვისვენებდით. ყველანი ვცდილობდით მიხეილ ჯავახიშვილისათვის გულიდან დარდი გადაგვეყარა. ერთ საღამოს, როცა უმრავლესობამ საძინებელ ოთახს მიაშურა, მიხეილმა მოისურვა ძველებური ჩვეულება – კარტის თამაში გაგვეხსენებინა. დაბნეულად თამაშობდა. უცნაურად გამოიყურებოდა ეს დინჯი კაცი, მისი თვალები ავის მაუწყებელ სიგნალს გამოსცემდა.

მალე შევწყვიტეთ კარტის თამაში, ჩანდა მწერალს ცუდი წინათგრძნობა ჰქონდა“ (ბ.არველაძე, წამება მიხეილ ჯავახიშვილისა, თბილისი 2001, გვ.17).

ბერიას როგორც ჩანს მ.ჯავახიშვილის დაპატიმრებაც გადაწყვეტილი ჰქონდა და მისი დაპატიმრების შემდგომი ბედისწერაც, ისიც, თუ მწერალს რა უნდა ეღიარებინა და „ეჩვენებინა“. ბერიამ მიზნად დაისახა შური ეძია არამარტო მ.ჯავახიშვილზე, არამედ აგრეთვე, მისი, როგორც მეგობრისა და ვაჟკაცური ღირსების საჯაროდ დამფასებლის, მის მამხილებელ პაოლო იაშვილზეც. ამის ნათელი დადასტურება მოცემული მაქვს წინამდებარე წიგნის მომდევნო თავებში.

<u>თავი V. მიხეილ ჯავახიშვილის დაპატიმრება და დამორჩილება, „უნიკალური წყაროების" სწორი ანალიზის შუქზე</u>

მას შემდეგ როცა უკვე გავეცანით 1930-იანი წლების საქართველოს დიდი ტერორის დაწყება-განვითარებასთან დაკავშირებულ ჩეკას სამძებროს წინაშე დასახულ მთავარ სახელმწიფოებრივ-ჩეკისტურ მიზანდასახულობებსა და ამოცანებს, აგრეთვე გასანადგურებლად თუ მოსასპობად განწირულთაგან აღიარება-ჩვენებების მოპოება-განვითარების ძირითად მეთოდებსა და პარტიის (ანუ იგივე კონკრეტულად ბერიას) მიერ საქართველოს მწერალთა კავშირის აქტივის წინაშე დასახული ამიცანების რეალიზაციის პროცესებს, შესაძლებლობა გვეძლევა სიღრმისეულად შევიმეცნოთ მოვლენათა შემდგომი განვითარების, აგრეთვე მიხეილ ჯავახიშვილის დაპატიმრება-დადანაშაულების ბერიასეული მეთოდიკა.

<u>§1. მ.ჯავახიშვილი ჩეკას სამძებროს ხაფანგში.</u>

1. მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილის დაპატიმრების ორდერი, ხელმოწერილი იქნა 1937 წლის 13 აგვისტოს. იგი მ.ჯავახიშვილს უყენებს <u>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 და 58/11 მუხლებით გათვალისწინებულ ანტისახელმწიფოებრივ-კონტრრევოლუციური ხასიათის ბრალდებებს, რომლებიც მოითხოვენ შემდგომ დასაბუთებას</u>. ამ შემთხვევაში იურიდიულ-სამართლებრივი მოთხოვნები დაცულია იმდენად, რამდენადაც მ.ჯავახიშვილის შესახებ არსებობდა წინამორბედი პატიმრების დაკითხვის ოქმებში შეტანილი მხილება-აღიარების შემცველი ჩვენებები.

აღნიშნულთაგან 58/10 მუხლი გულისხმობს დანაშაულს, რომელიც შეიცავს: „პროპაგანდას ან აგიტაციას, რაც მოუწოდებს საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად, შესასუსტებლად ან ძირის გამოსათხრელად... და გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას არანაკლებ ექვსი თვისა". ამას ნაწილობრივ მ.ჯავახიშვილიც აღიარებდა.

58/11 მუხლით გათვალისწინებულია „ყოველგვარი საორგანიზაციო მოქმედება, რაც მიმართულია სახელმწიფოებრივ და კონტრრევოლუციურ დანაშაულთა მოსამზადებლად ან ჩასადენად,

აგრეთვე მონაწილეობა ისეთ ორგანიზაციაში, რომელიც მოეწყო ერთ-ერთი ზემოაღნიშნულის მომზადებისა ან ჩადენისათვის, გამოიწვევს ამ კოდექსის სათანადო მუხლებში აღნიშნულ სოციალური დაცვის ღონისძიებებს (საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსი 1928წ. რედაქციით, გვ.50-57). მაგრამ მათ დადგენამდე ამ კონკრეტულ მუხლს არ ახლავს კვალიფიკაციის შესაბამისი სასჯელის ზომები. ამდენად მ.ს.ჯავახიშვილის დაპატიმრების დადგენილება გულისხმობს „სახელმწიფოებრივი" და „კონტრრევოლუციური" დანაშაულობების გამო 58/10 და 58/11 მყუხლების ბრალეულობებით, ინკრიმინირებული პატიმრების, ამ შემთხვევაში კი, მ.ჯავხიშვილის დაპატიმრებას. იგი ამასთანავე მოითხოვს ამა კოდექსის სათანადო მუხლებში აღნიშნული დანაშაულებების დასაბუთებას. მართალია არსებობს ბრალდებულთა მხოლოდ ამ მუხლებით მოსპობის მრავალი მაგალითი, მაგრამ ეს არის ჩეკისტური ძიების ლაფსუსი.

მ.ხომერიკს ეჩვენება, რომ თითქოს მ.ჯავახიშვილის მიმართ წინამორბედი პატიმრების „აღიარებებითა" და ჩვენებებით, დაპატიმრების ..დადგენილებით" ინკრიმინირებული ბრალეულობები უკვე დამატებითი სამძებრო სამუშაოების გარეშეც გულისხმობდნენ ბრალდებული მ.ჯავახიშვილის „ფიზიკურ განადგურებას". იგი წერს: „...მის დაპატიმრებამდე მოხდა ჩეკას მიერ მისთვის ბრალდებების ჩამოყალიბება" (მ.ხომერიკი, მ.ჯავახიშვილი უნიკალური დოკუმენტების ფონზე, გვ.109). ეს არ არის მართალი. <u>მ.ჯავახიშვილს ბრალდებები იურიდიულად ჩამოუყალიბდა მას შემდეგ, როცა მისგან ორჯერადი ჩეკისტური ცემით მოიპოვეს იურიდიული ძალის მქონე განმარტებითი „აღიარებები", მათი გამოყენებით და მ.ნაცვლიშვილის „დახმარებით" მოახლაფორთეს „ჩვენება"-„ჩვენებები", ანუ ორჯერადი ცემით მოპოებული მისი 34 ფურცლიანი ხელნაწერი</u>, „განმარტებები", რომლებიც დათარიღებულია არასწორად, დაპატიმრებამდელი „21/VI-37წ." თარიღით და რომელიც ერთად-ერთ იურიდიული ძალის მქონე საფუძვლად დაუდეს მის შესახებ 1937 წლის 19 სექტემბრის „დადგენილებას" და ამავე თარიღის მქონე „საბრალდებო დასკვნას" (იხ. მ.ჯავახიშვილის სამძებრო საქმე №9997, ფურც.246-251). ბერიას მიერ გამოძალული დედანი ხელნაწერის „განმარტებები" კი, გააქრეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ მ.ჯავახიშვილის დაპატიმრების შემდეგ საჭირო იყო მთელი რიგი სამართლებრივად გათვალისწინებული ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც დაადასტურებდნენ პატიმრობაში აყვანილის ადრინდელ ბრალდებებს. როგორც მ.ხომერიკი ამის შესახებ მართებულად წერს: „მ.ჯავახიშვილის საქმის ძიება 19 სექტემბერს დასრულდა" (იხ. მ.ხომერიკის დასახელებული 2008 წლის პასკვილში, გვ.107).

მაშასადამე, მ.ხომერიკის მიერ მტკიცება იმისა, რომ თითქოს: უკვე 17 აგვისტოს, მწერლების მიერ მ.ჯავახიშვილის ჩეკისტური ბრალეულობების შესახებ მსჯელობამდე, მისი დაპატიმრების ორდერით იყო განსაზღვრული და იძლეოდა მათ სხდომაზე მიღებული დადგენილების, თუნდაც მორალურ უფლებას, სიმართლეს არ წარმოადგენს. მ.ხომერიკი წერს: მწერლებმა 17 აგვისტოს დაადგინეს: „მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც ხალხის მტერი, ჯაშუში და დივერსანტი გარიცხულ იქნას მწერალთა კავშირიდან (ეს გასაგებია – გ.ც.) და ფიზიკურად განადგურებული" (ეს კი უკვე უზომოდ გადაჭარბებულია – გ.ც.). ამ შემთხვევაში მ.ხომერიკის ადვოკატობა მ.ჯავახიშვილის ფიზიკური განადგურების გამომტანთა მიმართ, მიზნობრივია და ჩემი მეცნიერული აზრის დამცირების მცდელობის მამხილებელია.

2. სინამდვილეში საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის 1937 წლის 17 აგვისტოს სხდომა, რომელიც ძირითადად ხელისუფლების და ჩეკას მიმართ თანამშრომლობით გამჟღავნებული და ხელისუფლების მიმართ ლოიალური პიროვნებებისგან შესდგებოდა და რომელმაც პერსონალურად ჩეკას ორგანოების მიერ „ხალხის მტრად, ჯაშუშად და დივერსანტად" გასაღებული მ.ჯავახიშვილის ბედის გადაწყვეტის მიზნით, ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური შეფასება მისცა მ.ჯავახიშვილის მწერლურ შემოქმედებას, მ.ჯავახიშვილის საჯარო ბრალეულობათა სახით, პირველ საყურადღებო მოვლენას წარმოადგენდა. პრეზიდიუმის სხდომის მონაწილეებმა საერთო სოლიდარული აზრის გამოხატვით, ერთხმად დაადგინეს: - „მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც ხალხის მტერი ჯაშუში და დივერსანტი გარიცხული იქნას მწერალთა

<u>კავშირიდან და ფიზიკურად განადგურებული”</u> (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 8, ანაწერი 1, საქმე 600, ფურც.7, 11). <u>მათ ასეთი დადგენილების მისაღებად არ გააჩნდათ მორალური და მითუმეტეს არც იურიდიული უფლება.</u>

ჩემი აზრით ზოგი მკითხველისათვის უაღრესად საინტერესოა შედარებით სრული სახით იცნობდეს მითითებულ დოკუმენტს, ამიტომ შესაძლებლობას ვაძლევ თავადაც გაარკვიოს, თუ როგორი ტყუილ-მართალით შეასრულეს ბერიას დავალება მის მიერ დაკვალიანებულმა კრიტიკოსებმა:

„ო ქ მ ი №5

საქარ. საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სხდომისა

მწერ. აქტივთან ერთად. 1937წ. 17 აგვისტო

მოისმინეს I – ინფორმაცია გამომჟღავნებულ ხალხის მტერ მიხეილ ჯავახიშვილის შესახებ (ამხ. დ.დემეტრაძე).

მ.ჯავახიშვილი ჩვენი სამშობლოს და საბჭოთა ხალხის მოღალატეთა ბანდის, ჯაშუშებისა და დივერსანტების, გარეწარი ხროვის მონაწილე აღმოჩნდა. ეს ურყევი ფაქტებით იქნა დადასტურებული. ეს არავის არ გააკვირვებს, რადგან მ.ჯავახიშვილის მთელი მოქალაქეობრივი და სამწერლო ბიოგრაფია მკაფიოდ ახასიათებს მას, როგორც მუხანათურად შენიღბულ და უაღრესი თვალთმაქცობით შეიარაღებულ კლასობრივ მტერს უსაზღვროდ გაცოფებულს პროლეტარული რევოლუციის მიღწევებისადმი მტრობით და სიძულვილით. ცნობილია, რომ მ.ჯავახიშვილს საკმაოდ დიდი სტაჟი აქვს მოღალატური და კონტრრევოლუციური „მოღვაწეობისა“. ქართველი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური წიაღში აღზრდილი იგი მტრულად დაუხვდა საქართველოში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებას და საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველსავე წლებში აქტიური მონაწილეობა მიიღო კონტრრევოლუციური კლასების ბატონობის რესტავრაციისათვის წარმოებულ ბრძოლაში. ის იყო პარიტეტული კომიტეტის წევრი (? – გ.ც.), მაგრამ როდესაც ბრძოლის ამ გზაზე იგი პირისპირ შეხვდა საბჭოთა ხალხის ურყევ ძლევამოსილებას, მან

განიზრახა შეეცვალა გამარჯვებულ მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმები და საშუალებანი. მან გაიხსენა თავისი დიდი ხნით მივიწყებული და უკუგდებული სამწერლო საშუალებანი. როცა ახლად ფეხადგმული საბჭოთა ქართული ლიტერატურა იბრძოდა იმისთვის, რომ მწერლობაში დაემკვიდრებინა სოციალისტური თანამედროვეობის თემატიკა, მხატვრული სიტყვა გადაექცია სოციალიზმის დიადი იდეების პროპაგანდის საშუალებად,მიხეილ ჯავახიშვილმა საბჭოთა მწერლობის ამ ტენდენციას დაუპირისპირა ტიპიური ბურჟუაზიული ყაიდის ავანტიურისტული „რომანი“ ბულვარული მანერით დაწერილი „კვაჭი ჯვაჭანტირაძე“. ეს ნაწარმოები ავანტიურიზმის, თაღლითობის, მატყუარობისა და თვალთმაქცობის გაშიშვლებული აპოლოგიაა.

„კვაჭი კვაჭანტირაძეს“ მოყვა „ჯაყოს ხიზნები“ რომელშიაც სავსებით ყალბად და დამახინჯებულად არის გამოსახული საქართველოში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების პირველი წლების საზოგადოებრივი ვითარება. „ჯაყოს ხისნებში“ მოქმედი პერსონაჟი დახატულია პროფესიონალი ცილისმწამებლის და გამყალბებლის ხელით. რად ღირს მარტო თეიმურაზ ხევისთავის ფიგურა. რომლითაც აღმაშფოთებლად და ცილისწამებლურად გაბიაბრუებულია და მიწასთან გასწორებული პროლეტარული რევოლუციის წინადროინდელი მთელი ქართული ინტელიგენცია! მ.ჯავახიშვილმა თეიმურაზ ხევისთავში სცადა განეზოგადებინა მთელი ქართული რევოლუციის წინადროინდელი ინტელიგენციის ვითარება. ეს იყო შეგნებული პროვოკაციული მანევრი, მტრული ცილისწამება პროლეტარულ რევოლუციაზე, რომლის გარემოცვაშიაც ავტროის კონტრრევოლუციური თვალსაზრისით, თითქოს ასე განადგურებულიყოს და გათახსირებულიყოს ქართველი ინტელიგენციის ძველი თაობა. თეიმურაზ ხევისთავის სახით ავტორმა შექმნა არა ძველი ქართველი ინტელიგენციის ტიპი, არამედ ჯავახიშვილისებური, სასიკვდილოდ განწირული რეაქციული ერთი მუჭა ინტელიგენტების განმასახიერებელი ფიგურა.

ამავე რომანში თეიმურაზ ხევისთავს ავტორმა დაუპირისპირა ჯაყო, რომელიც თავს ამ რომანის მიხედვით, განახლებული ცხოვრების ბატონპატრონად გრძნობს. აქ კიდევ უფრო მეტად

აღმაშფოთებელია მ.ჯავახიშვილის ცილისწამებლური და სინამდვილის უხეშად გამყალბებელი განზრახვა. ჯაყო, ეს ნამდვილი პარაზიტი, ეგოისტური ინსტიქტით შეპყრობილი ცხოველი. ველური სტიქიის ყოვლად ტლანქი ჭურჭელი, „მწერალმა“ წარმოგვიდგინა ისეთ ძალად, რომელიც თითქოს წინ წამოსწია და განახლებული ცხოვრების საჭესთან დააყენა პროლეტარულმა რევოლუციამ. შეუძლებელია ამაზე შორს წასულიყო გაცოფებული კაცობრივი მტრის ცინიზმი, მისი საზიზღარი ცილისწამება პროლეტარული რევოლუციის მამოძრავებელ ძალაზე.

ამგვარად ცილისმწამებლური, დამახინჯებული და გამყალბებელი „ნაწარმოებებიდან“ მ.ჯავახიშვილი გადავიდა ვულგარულ პორნოგრაფიული ხასიათის პატარა მოთხრობებზე, როგორიცა „მუსუსი“, „პატარა დედაკაცი“, „ოქროს კბილი“, და სხვა. ამ „ნაწარმოებთა“ ერთად-ერთ „დანიშნულებას“ შეადგენდა საბჭოთა ხალხის მორალური შეგნების შებღალვა. ამ „მოთხრობებით“ მწერლის ნიღაბში დამალული კლასობრივი მტერი ცდილობდა, გამოეთიშა მკითხველის აზრი და გრძნობა ჯანსაღი სოციალისტური იდეების სფეროდან და მოედუნებინა მისი შემოქმედებითი უნარიანობა.

მ.ჯავახიშვილის „თეთრი საყელო“ თავისი იდეური შინაარსით კულტურისა და ცივილიზაციის წინააღმდეგ მებრძოლ ნაწარმოებს წარმოადგენს.

როგორც კი ჩვენს ქვეყანაში გაიშალა ბრძოლა სოფლის სოციალიცტური გარდაქმნისათვის – საკოლმეურნეო მშენებლობისათვის, მ.ჯავახიშვილმა, როგორც კონტრევოლუციური კლასების ლიტერატურულმა აგენტმა სასწრაფოდ შეთითხნა ცილისწამებლური პასკვილური „მოთხრობა“ „დავპატიჟე“.

როდესაც ჯავახიშვილისათვის აშკარა გახდა, რომ პირდაპირი ბრძოლის გაგრძელება საბჭოთა ხალხისა და მისი იდეოლოგიური ფრონტის წინააღმდეგ შეუძლებელი იყო, მან განიზრახა შეენიღბა თავისი შავბნელი კონტრრევოლუციური ბუნება, ამოფარებოდა საბჭოთა მწერელის სახელსა და ავტორიტეტს.

ჯავახიშვილმა თემატიკურად უკან დაიხია და დაწერა ისტორიული ხასიათის რომანი „არსენა მარაბდელი“, რომელშიაც მძაფრად მოჩანს ნაციონალიზმი.

უნდა ითქვას, რომ ჯავახიშვილისათვის საბჭოთა მწერლის რეპუტაციის შექმნაში განსაკუთრებული „ღვაწლი“ მიუძღვის ჩვენი ხალხის დღეს უკვე საბოლოოდ ნიღაბახდილ და განადგურებულ მტრებს მ.ტოროშელიძეს, ბ.ბუაჩიძეს და სხვებს.

საბჭოთა მწერლის ნიღაბ ქვეშ დამალული მ.ჯავახიშვილი უკვე ახალი გაბედულებით უბრუნდება ჩვენი სოციალისტური სინამდვილისადმი ცილისწამებლური და გამყალბებელი „მოთხრობების“ წერას. იგი წერს „მოთხრობებს“ - „რკინის საცერი“, რომელიც არსებითად „დამპატიჟეს“ გაგრძელებას წარმოადგენს. შემდეგ იგი აქვეყნებს მოთხრობას - „ცხრა ქალწულს“, რომელიც აგრეთვე საზიზღარ ცილისწამებას წარმოადგენს საბჭოთა ადამიანის მორალზე და ოჯახურ საყოფაცხოვრებო ურთიერთობის იმ სისტემაზე, რომელიც ყალიბდება სოციალისტური საზოგადოების წიაღში. უკანასკნელად მ.ჯავახიშვილმა შემოგვთავაზა „ქალის ტვირთი“ - ეს ღირსეული აპოთეოზი მისი კონტრრევოლუციური – მოღალატური ლიტერატურულ მოღალატური „მოღვაწეობისა“.

ამავე დროს მ.ჯავახიშვილი არ ერიდებოდა აშკარა კონტრრევოლუციურ ლაყბობას და ხშირად მოურიდებლად გამოსთქვამდა კლასობრივი მტრის ცილისმწამებლურ შეხედულებებს ჩვენი რევოლუციური სინამდვილის მთელ რიგ ძირითად საკითხებზე. ასეთია ღია საბჭოთა მწერლის ნიღაბში თვალთმაქცურად დამალული ჯავახიშვილის კონტრრევოლუციური სამწერლო და მოქალაქეობრივი გზა, რომელმაც იგი ლოგიკურად მიიყვანა უკვე საბოლოოდ განადგურებულ ჯაშუშ-დივერსანტთა საზიზღარ ბანდაში. მ.ჯავახიშვილის მსგავს თვალთმაქც დივერსანტების გამომჟღავნება და განადგურება მხოლოდ აჯანსაღებს საბჭოთა ლიტერეტურის ფრონტს. საბჭოთა მწერლობა სწმენდს რა თავის რიგებს მუხანათურად შენიღბულ ამგვარ მავნებლობისაგან, უფრო მეტის ერთგულებით და ერათსულოვნებით ირაზმება ლენინ-სტალინის დიადი პარტიის გარშემო და გაძლიერებული

შემოქმედებითი ენერგიით აგრძელებს ბრძოლას სოციალისტური ეპოქის შესაფერისი ახალი მხატვრული მიღწევებისათვის.

სიტყვით გამოსულმა მწერლებმა, ამხ. კ.ლორთქიფანიძემ, ი.მოსაშვილმა, ბ.ჟღენტმა, ნ.ლორთქიფანიძემ, პ.საყვარელიძემ, ი.ლისაშვილმა, ს.ჩიქოვანმა, კ.ბობოხიძემ, ს.კლდიაშვილმა და დ.დემეტრაძემ, ილაპარაკეს, რომ მ.ჯავახიშვილი საბჭოთა მწერალი არასოდეს არ ყოფილა. ის, როგორც მოქალაქე და ადამიანი მიუღებელი პიროვნებაა. მას ხალხის მტერმა ტოროშელიძემ და სხვებმა შეუქმნეს დიდი მწერლის სახელი. ჯავახიშვილის ანგარება ყველასათვის ცნობილი იყო. შენიღბულ ჯაშუშებსა და ხალხის მტერს ბოლომდე არ ჰყოფნიდა ჭკუა დაეფარა თავისი ბნელი ზრახვები, ის იცავდა ფაშისტურ სისხლის თეორიას, წინააღმდეგი იყო საბჭოთა მეურნეობებისა და დიდი ფაბრიკა-ქარხნების ორგანიზაციის. კულუარებში იმეორებდა ანდრე ჟიდის ცილისწამებას საბჭოთა ხალხზე. მ.ჯავახიშვილის ლიტერატურული ჩავარდნები შემთხვევითი ხასიათის არ ყოფილა, ეს იყო მისი მუშაობის სისტემა. მ.ჯავახიშვილი, როგორც ხალხის მტერი ჯაშუში და დივერსანტი გარიცხულ უნდა იქნას მწერალთა კავშირის რიგებიდან და აღგვილი დედამიწის ზურგიდან.

დაადგინეს –მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც ხალხის მტერი, ჯაშუში და დივერსანტი გარიცხულ იქნას მწერალთა კავშირიდან და ფიზიკურად განადგურებული. (ლხცსა, ფონდი8, აღ.1, საქმე №600, ფურც.7-10).

ეჭვ გარეშეა, რომ აღნიშნული მოხსენება და ოქმი კომუნისტ-კრიტიკოსტთა კოლექტიური ნააზრევ-ნაჩორკნია. მოხსენება არსებული წესის მიხედვით მწერალთა ოფიციალურ თავკაცს უნდა წაეკითხა. დადგენილება ასახავს მ.ჯავახიშვილის მიმართ ბერიას დამოკიდებულებას. დამსწრეთა წარმომადგენლობაც, მეტ-ნაკლებად, საერთო და კონკრეტულ გარემოებათა მძევალია. მაგრამ ამასთანავე, ისიც უნდა ითქვას, რომ დამსწრე მწერალ-კრიტიკოსებიდან ზოგი იძულებითი მონაწილეა, ზოგი ბერიას მძევალია, ზოგი კი, მისი „შტატიანი“ აგენტი, ან ინფორმატორ-ჩამშვებია. ამასთანავე, ამ ოფიციალური დაკვეთით დაწერილი დოკუმენტში კარგად იკითხება დიდი მწერლის ეროვნულ-პატრიოტული ღირსებები.

ბერიას მძევალი ქართველი მწერლების მიერ მოხლაფორთებულ ამ ოქმში მართალია ის, რომ: მ.ჯავახიშვილი ბოლშევიკური იდეოლოგიისა და პრაქტიკის „კლასობრივი“ მტერია; უკმაყოფილოა ბოლშევიზმის ანტიეროვნული პოლიტიკის, რასაც ავლენს (ანუ „ვერ მალავს“) თავის მწერლურ შემოქმედებაში; მასში „მოღალატური“ არის მკაფიო ანტიბოლშევიკური და ეროვნულ-პატრიოტული; იგი მართლაც მტრულად დაუხვდა საქართველოში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებას; მონაწილეობდა ბოლშევიკურ-ტოტალიტარული, მისი სიტყვებით, გადაჭარბებული „ცენტრალიზებული“, რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც არალეგალური ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცკ-ის პრეზიდიუმის წევრი და მისი არაექსტრემისტული მიმდინარეობის ტიპიური წარმომადგენელი. რაც შეეხება მისი პარიტეტული კომიტეტის წევრობას – ეს არის მის დანაშაულობათა გაზვიადების მიზნით შეტანილი ერთ-ერთი ტყუილი; მან მწერლობის ბოლშევიკურ-პარტიულ მოთხოვნებს, მართლაც დაუპირისპირა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, ანუ ეროვნულ-პატრიოტული ტენდენციების ნაწარმოებები და სწორედ ეს იყო მისი პოპულიარობის მიზეზი; მ.ტოროშელიძე და ბ.ბუაჩიძე მ.ჯავახიშვილთან ასოცირებული არიან როგორც „ხალხის მტრები“; მ.ჯავახიშვილის უკანასკნელი დროის ნაწარმოებები, მართლაც არის აშკარად ნაციონალისტური, ანუ ანტიბოლშევიკური; ისიც მართალია, რომ მ.ჯავახიშვილს, მისი პიროვნული ხასიათიდან გამომდინარე, ახასიათებდა არსებული რეალობის მანკიერებათა შესახებ „ლაყბობად“ შეფასებული, მოურიდებელი გამოთქმები; მ.ჯავახიშვილის განადგურება-მოსპობა, ისე როგორც სხვაგვარად მოაზროვნე – განწირულებისა, ძლიერ გავლენას ახდენდა დიდი ტერორის დროინდელი მწერლობის დამორჩილება-„მოთვინიერებაზე“ და ამდენად, ერთობლიობაში იქმნებოდა ბოლშევიკური დიდი ტერორის რეჟიმის შესაბამისი კანონიერებითა და მორალის დაუწერელი მოთხოვნებიდან გამომდინარე მ.ჯავახიშვილის ფიზიკური განადგურების ბოლშევიკურ-ჩეკისტური აუცილებლობაც. მაგრამ ეს იყო საბჭოთა ადამიანის სხვაგვარად, კრიტიკულ-ოპოზიციურად აზროვნების უფლების ხელყოფა, რომელიც ასახავდა ამდროინდელ ბოლშევიკურ-

ტერორისტული მიზანდასახულობების შესაბამისი სახელმწიფოებრივ-ჩეკისტური მორალის ლოგიკას - „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია“.

მკაფიოდ ჩანს ისიც, რომ მ.ჯავახიშვილის „ფიზიკური განადგურების“ დამკვეთსა და მისი იდეური აღსრულების დადგენილების შემქმნელებს ჯერ-ჯერობით არ მოეპოებათ ზოგი, მათ, შორის, მ.ჯავახიშვილის და პ.იაშვილის დამამცირებელი ბრალეულობები, რომლებიც ჩეკას ძიებამ ბერიას პირადი ბრძანებით მიყენებული ორჯერადი, დიახ ორჯერადი ცემითა და ხელნაწერი განცხადების სახით მოიპოვა.

ზემოთ მოყვანილი მწერალთა პრეზიდიუმის დამსწრეთა დადგენილება ადვილად მისახვედრია, რომ იძულებით გამოხატავდა ტოტალიტარული სახელმწიფოს ხელისუფალთა (სავარაუდოდ ბერიას) დირექტივის პირშეუბრუნებელ აღსრულებას. ამის გათვალისწინებით, თვით მწერალთა დადგენილებაც წარმოადგენდა დიდი მწერლის შემოქმედების მორალურ-პატრიოტული სულისკვეთების ბოლშევიკური შეფასებიდან გამომდინარე, საერთაშორისო სამათლის ნორმებით გათვალისწინებული, მოქალაქისა და პიროვნების უდანაშაულობის პრეზუმციის უხეშ დარღვევას. იგი ამასთანავე, ობიექტურად, იდეურ-პოლიტიკურ ნიადაგს უმზადებდა დაპატიმრებული კოლეგების შემდგომ ჩეკისტურ გაყალბებასა და მოსპობას. მაგრამ ეს, ამ დროისათვის უკვე იყო პტაქტიკაში დამკვიდრებული მდგომარეობა, რომელიც ვრცელდებოდა არა მარტო მ.ჯავახიშვილზე, არამედ საერთოდ ყველა, არსებული რეალობისა და რეჟიმის მოწინააღმდეგმ, ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილო, კომპრომისული ტაქტიკით თანამშრომელ და იმავდროულად სხვაგვარად მოაზროვნე, ანუ მებრძოლ ეროვნულ-პატრიოტზე. თუმცა ამავე დროს მწერალთა პრეზიდიუმის დადგენილებას არ გააჩნდა იურიდიული ძალა. ამის იურიდიული დასაბუთება ჩეკას სამძებროს დაეკისრა.

რამდენადაც ზემოთ მოყვანილი მწერალთა პრეზიდიუმის დადგენილება მიღებული იქნა აზრთა ყოველგვარი განსხვავებულობისა და წინააღმდეგობის გარეშე – ერთხმად, ამდენად კარგად ჩანს, რომ პარტიის X ყრილობის შემდგომ ბერიას

ჩეკისტურმა ხელმძღვანელობამ მიაღწია არა მარტო პოლიტიკური ოპოზიციის სრულ დათრგუნვას, არამედ ფაქტობრივად უკვე განახორციელა მწერლების დამორჩილება და მათ შორის ერთგვაროვანი, პირშეუბრუნებელი მორჩილების დამკვიდრება.

მსგავსი დამოკიდებულების ვითარებაში, სხვადასხვა დროს საქართველოს მწერალთა კავშირიდან გამოირიცხნენ: მ.ჯავახიშვილი, ნ.მიწიშვილი, პ.იაშვილი, ტ.ტაბიძე, პ.საყვარელიძე, დ.დემეტრაძე, დუდუჩავა, ვ.კოტეტიშვილი, გრ.მუშიშვილი, ნ.ზომლეთელი, ბ.ბუაჩიძე, მ.ტოროშელიძე, ბ.ბიბინეიშვილი, მ.გვასალია, რ.კალაძე, გ.შატბერაშვილი, პ.ქიქოძე, ს.თალაკვაძე, დ.ჩიანელი, მ.ასათიანი, მ.აბაშიძე, ლ.ძიმისტარაშვილი, ლაშა ტბაური, ვლ.გრიგორიევი, ივ.პერებეინი, შ.წვიჟბა, მ.ეხვაია, ემ.მიცაფიდი, ს.ჯანაშია, დარბინიანი, ოგანიან-მელიქიანი, ვარდანიანი, კარაპეტიანი, ხაჩატურიანი (ლხცსა, ფ.8, აღ.2, ს. 45[ს], ფურც.1). საარქივო საქმის სათანადო ფურცელზე მათი უმრავლესობა ჩამოთვლილია როგორც „ხალხის მტერი“ (იხ. იქვე, ფურც.11-12).

3. როგორც ცნობილია მ.ჯავახიშვილის, ისე როგორც ზოგი სხვა პატრიოტი მწერლის მიმართ, ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე, საქართველოს კომპარტიის (ბ) X ყრილობის ტრიბუნიდან ბერიას მხრივ გამოითქვა მძიმე ბრალდების შემცველი „გამაფრთხილებელი” საყვედურები. ამის შემდეგ მწერალთა სპეციალურ ფორუმზე არა ერთხელ აღინიშნა, რომ მ.ჯავახიშვილი და ზოგი სხვა ნაციონალისტი მწერლები შენიშნული და მხილებული იყვნენ ანტისაბჭოურ-კონტრრევოლუციურ დანაშაულებებში და სახელმწიფოებრივი უშიშროების ორგანოების წარდგინებით სასამართლოს გადაწყვეტილებით სამშობლოს და ხალხის მტრის ბრალდებით, სასჯელის უმაღლესი ზომით დასჯილებთან დანაშაულებრივ კავშირში. ამ ბრალდებით, როგორც გ.ქიქოძემ გვამცნო, მ.ჯავახიშვილს ანტისაბჭოთა დანაშაულობების გამო ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე, მწერალთა თავკაცის მეშვეობით მოუწყეს ერთგვარი „კოლეგიალური” მხილება.

ზემოთ აღნიშნული ინციდენტი, ჩემი აზრით იყო ჩეკას ძიების მიერ ამ დროისათვის უკვე „გამოვლენილი“ ფაშისტური ორგანიზაციის მეთაურად და საქართველოს ანტისაბჭოთა

პოლიტიკური პარტიების ე.წ. „ქართული ნაციონალური ცენტრის” წევრად „აღიარებული” მ. ჯავახიშვილის შემდგომი გაფორმების დაწყების ერთგვარი მოსინჯვა და ჩეკისტურად შეთითხნილი ამ აზრის, ანუ „ლეგენდის“ საზოგადოებაში მწერლების გამოყენებით გავრცელების ბერიასეული მცდელობა. მაშასადამე, მ.ჯავახიშვილის პატივისმცემელი მწერლებიც მოამზადეს მისი მომავალი დაპატიმრებისადმი შესაგუებლად. ბერიას მიერ დავალება მიცემულ დ.დემეტრაძეზეც არსებობდა „მამხილებელი“ ჩვენება და ეს პიროვნებაც გასწირეს დასახვრეტად. როგორც მ.ჯავახიშვილის „საბრალდებო დასკვნიდანაც” ნათლად ჩანს, მ.ჯავახიშვილის და თვით დ.დემეტრაძის დაპატიმრებამდე, ჩეკას ძიებას ჰქონდა გაწამებული პატიმრებისგან მათ შესახებ ნაძალადევად მოპოვებული „ჩვენება“-„აღიარებები“. მ.ჯავახიშვილი კი, უკვე დიდი ხნით ადრე იყო ჩეკისტურად გაყალბებული ჯაშუშად და ქართველი ფაშისტების მეთაურად. მაგრამ ამის დამამტკიცებელი კონკრეტული ფაქტი, ჯერ-ჯერობით, არამც თუ „დ.დემეტრაძემ“ ვერ მოიყვანა, არამედ მ.ჯავახიშვილის ბრალდების საფუძველთა მაგალითებად მობილიზებულ, მის საქმეს დართულ უამრავ ჩვენება-აღიარებებშიც არა ჩანს. სავსებით ნათელია, რომ, ასეთი მძიმე ბრალდება დ.დემეტრაძეს არ შეეძლო თვითონ, საკუთარი ინიციატივით მოეგონა. როგორც ჩანს არსებობს დავალება და შეიძლება არსებული წყაროც, მაგრამ ჩეკისტური ძიების ეს წყარო ჯერ-ჯერობით არსებობს მხოლოდ თეორიულად. სიმართლე კი, როგორც ქვემოთ, დამატებითი ფაქტების საფუძველზე დავრწმუნდებით, უფრო იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომელიც გვაფიქრებს, რომ მ.ჯავახიშვილისა და პ.იაშვილის მიერ უცხოელთაგან ფულის აღების კონკრეტული მტკიცებულებები, თუ მაინც ვინმეს „ჩვენების” სახით არსებობს, იგი თავიდან ბოლომდე ჩეკას ძიების, ან მათი შეფის მიერ არის გამოგონილი და ბოლოს ბრალდებულის ცემითა და წამებით არის „დასაბუთებული”.

§2. მიხეილ ჯავახიშვილი 19 აგვისტოს დაკითხვა დაპირისპირების, შემდგომი დაკითხვის და 21 აგვისტოს ფუტლიარის ფონზე

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მ.ჯავახიშვილი 1937 წლის 13 აგვისტოს ორდერის მოთხოვნით დააპატიმრეს ქვიშხეთში, აგარაკზე ყოფნის დროს. იგი 15 აგვისტოს მოათავსეს შინსახკომის იზოლიატორის საკანში.

პატიმრობის დროს, მ.ჯავახიშვილს პირველი დაკითხვა, მისი სამძებრო საქმის მასალების მიხედვით ჩეკაში მოუწყვეს 1937 წლის 19 აგვისტოს. ამ დაკითხვის ოქმს, რომელიც ამავე დროს არის დაკითხვა-დაპირისპირების ოქმიც, მისი განსაკუთრებული ღირებულებებისა და ბრალდებული მწერლის ადამიანური სიმტკიცისა და ღირსებათა შემეცნების მიზნით, სრული სახით გთავაზობთ:

„ბრალდებულ მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილის
დაკითხვის ოქმი
1937 წლის 19 აგვისტო

კითხვა: - თქვენ ბრალად გედებათ, რომ ეწეოდით აქტიურ კონტრრევოლუციურ მუშაობას. თუ აღიარებთ ამას?

პასუხი: - კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში არ ვყოფილვარ. მაგრამ პირებთან საუბრის დროს ჩემს მიერ გამოთქმული ცალკეული მოსაზრება კონტრრევოლუციური ხასიათისა იყო.

კითხვა: - ძიება თქვენ გეკითხებათ არა თქვენი ცალკეული კონტრრევოლუციური გამოთქმების შესახებ, არამედ არალეგალურ ორგანიზაციაში თქვენი კონტრრევოლუციური მუშაობის შესახებ. არსებითად გვიპასუხეთ.

პასუხი: - ასეთი ორგანიზაციის არსებობა ჩემთვის უცნობია და კონტრრევოლუციურ მუშაობას არ ვეწეოდი.

კითხვა: - მართალი არ არის, ძიებამ დაადგინა, რომ თქვენ საქართველოში არსებული კონტრრევოლუციური არალეგალური ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ხართ.

პასუხი: - არა, არანაირ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში არ ვირიცხები.

კითხვა: - გაფრთხილებთ, რომ მხილებული იქნებით ძიების მასალებით და პირების მიერ, რომლებიც თქვენთან ერთად ეწეოდნენ კონტრრევოლუციურ მუშაობას.

პასუხი: - თანახმა ვარ.

კითხვა: - ჩვენ პირზე გაყენებთ ლევან ვასილის ძე ქოქრაშვილს. შემოჰყავთ ბრალდებული და მას შემდეგ, რაც ქორქაშვილმა და ჯავახიშვილმა დაადასტურეს, რომ იცნობენ ერთმანეთს და არავითარი პირადი ანგარიშები არა აქვთ, მათ მისცეს შემდეგი კითხვები:

კითხვა ქორქაშვილს: - ადასტურებთ თქვენს ჩვენებას?

პასუხი: - დიახ, ვადასტურებ – სავსებით.

კითხვა ქორქაშვილს: - გვითხარით, რა იცით მიხეილ ჯავახიშვილის კონტრრევოლუციური საქმიანობის შესახებ.

პასუხი: - 1937 წლის იანვრის დამლევს თუ თებერვლის დამდეგს ლიტფონდში შევხვდი მიხეილ ჯავახიშვილს. <u>მან მითხრა, ჩემთვის ცნობილია, რომ მე მწერალთა ფაშისტური კავშირის იატაკქვეშა ცენტრის წევრი ვარ</u>. ამაზე უარი არ მითქვამს და ამის შემდეგ <u>ჯავახიშვილმა</u> უფრო გულახდილად დამიწყო ლაპარაკი და <u>გადმომცა შემდეგი: საქართველოში არსებობს კონტრრევოლუციური ფაშისტური ცენტრი, რომლის შემადგენლობაში შედიან იგი –ჯავახიშვილი და სხვები, რომელთა დასახელების უფლებას ძიება არ იძლევა. მანვე მაცნობა, რომ ალიოშა წერეთლისა და გარსევან ბერელაშვილის დაპატიმრებასა და გასახლებასთან დაკავშირებით, ფაშისტური ცენტრის კავშირის ერთ-ერთი ხაზი ჩავარდა, მაგრამ ძირითადი ორგანიზაცია დარჩა, რამდენადაც წერეთელმა იგი არ გასცა. მისივე სიტყვებით ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ კონტრრევოლუციურ ფაშისტურ ცენტრთან არსებობს სამხედრო შტაბი, რომელიც ამზადებს შეიარაღებულ აჯანყებას.</u>

დასასრულს ჯავახიშვილმა შემომთავაზა მემარჯვენე სოც. ფედერალისტების (ПСФ) ცენტრის თავმჯდომარის იოსებ ბარათაშვილისათვის გადამეცა, რომ უფრო ინტენსიურად ეწარმოებინათ მუშაობა ყველა პრაქტიკულ საკითხში და კერძოდ, შეიარაღებული აჯანყების მზადებისთვის, რადგან ინტერპარტიულ კომიტეტში შემავალი პარტიების ძალთა

თანაფარდობის შესახებ ცნობების უქონლობა აფერხებს დასახულ ღონისძიებათა პრაქტიკულ განხორციელებას.

კითხვა ჯავახიშვილს: - ადასტურებთ ლევან ქორქაშვილის ჩვენებას?

პასუხი: - <u>არ ვადასტურებ და კატეგორიულად უარვყოფ, რადგან არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა</u> (! – გ.ც.).

კითხვა: - მაშასადამე ქორქაშვილი ცილს გწამებთ?

პასუხი: - <u>დიახ, ცილს მწამებს</u> (! – გ.ც.).

კითხვა: - რატომ უნდა გწამებდეთ ცილს?

პასუხი: - <u>მიზეზი არ ვიცი, მაგრამ ვიმეორებ, რომ ქორქაშვილი ცილს მწამებს</u> (! – გ.ც.).

კითხვა ქორქაშვილს: - თქვენ მას ცილს სწამებთ?

პასუხი: - არა. ჩემთვის არავითარი აზრი არა აქვს ცილი დავწამო მიხეილ ჯავახიშვილს. მე სავსებით ზუსტად ვაცხადებ, რომ საუბარი, რომლის შესახებ ზემოთ მოგახსენეთ, ნამდვილად მქონდა.

კითხვა ჯავახიშვილს: - თქვენ კვლავ აგრძელებთ ჩაკეტვას?

პასუხი: - <u>მე ვადასტურებ ჩემს ჩვენებებს იმის შესახებ, რომ არანაირი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი არ ვარ, და ასეთი ორგანიზაციის არსებობის შესახებ არაფერი ვიცი</u> (! – გ.ც.).

კითხვა ქორქაშვილს: - ადასტურებთ თქვენს ჩვენებებს?

პასუხი: - სავსებით ვადასტურებ.

ოქმი წავიკითხეთ პირდად

ვადასტურებთ:

ქორქაშვილი ჯავახიშვილი

პირზე წაყენება მოაწყვეს:

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს მე-4 განყოფილების <u>მე-3 ქვეგანყოფილების უფროსი</u>, სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტი – <u>აბაშიძე</u>.

სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს მე4 განყოფილების <u>მესამე ქვეგანყოფილების უფროსის თანაშემწე</u>, სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტი – <u>ნაცვლიშვილი</u>" (მ.ჯავახიშვილის სამძებრო საქმე №9997, ფურც.258-260, ხაზგასმები ჩემია – გ.ც.).

აქ საჭიროა ამთავითვე ითქვას, რომ მ.ჯავახიშვილი გულახდილი და გულრწფელია. ლ.ქოქრაშვილი კი იძულებული გახადეს დაედასტურებინა მისგან ადრე მოპოვებული ჩვენებები.

ახლა დავიწყოთ იმის გარკვევით, თუ ძიება რისი და ვისი დასახელების უფლებას უკრძალავს ლ.ქორქაშვილს. ლ.ქორქაშვილმა

ჯერ კიდევ 15 ივლისს, როცა მის საქმეს იკვლევდა შინსახკომის IV განყოფილების II ქვეგანყოფილება და მისი დაკითხვის ოქმს ხელს აწერენ II ქვეგანყოფილების უფროსი ლევან აბაშიძე და ჯიბლაძე გამომძიებელ ლ.აბაშიძეს „უჩვენა“. უფრო სწორად იძულებული გახადეს ეღიარებინა, რომ: „1936 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ოსიკო ბარათაშვილი ბლოკის შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებდა <u>უნივერსიტეტის პროფესორ</u> (?! – გ.ც.) ჯავახიშვილ მიხეილთან, რომელიც არის საქართველოს ფაშისტური ცენტრის ხელმძღვანელი. 1937 წლის თებერვლის თვეში (ფედერალისტების – გ.ც.) ცენტრის დავალებით დავუკავშირდი ჯავახიშვილ მიხეილს (აქ საყურადღებოა, რომ ლ.ქორქაშვილი აღიარებს, რომ ფედერალისტების ცენტრის დავალებით დაუკავშირდა მ.ჯავახიშვილს – გ.ც.).

უკანასკნელის სიტყვებით... ფაშისტური ცენტრი შედგება: ჯავახიშვილი მიხეილის – ცენტრის ხელმძღვანელის, ნანეიშვილი გიორგის (ზოზოს), ახმეტელი ალექსანდრეს (რეჟისორის), ცინცაძის (სახუნტის პროფესორის), დუმბაძე რაჟდენის (საქკომერციული ბანკის მუშაკის) და სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ წერეთელი ალექსანდრესაგან (ალიოშასაგან)“. იგი „უნივერსიტეტის პროფესსორ“ (?! – გ.ც.) მ.ჯავახიშვილის ნათქვამის მიხედვით, ფაშისტური ცენტრის წევრად ასახელებს. რუსთაველის თეატრის მსახიობს – ქორელს, ლიტერატორ კონსტანტინე კაპანელს და პედაგოგ ილარიონ ჟღენტს. მისი „აღიარებით“ „ჯავახიშვილის ნათქვამით ცენტრთან არსებობს სამხედრო რაზმები, რომელთა ხელმძღვანელები არიან – კონსტანტინე გედევანოვი – ყოფილი სამხედრო, ალექსანდრე (საშა) ახმეტელი – რუსთაველის თეატრის რეჟისორი, გიორგი ქუთათელაძე – ჯარების სარდლის თანაშემწე...“ (იხ. საქმ №9997, ფურც.188-193). მაგრამ შარი უფრო შორიდან მოდის, ამასთანავე, როგორც ჩანს, „თსუ პროფესორ მ.ჯავახიშვილის“ ინიციატივით კი არა, არამედ ფედერალისტყების „აღიარებით“ ცენტრის დავალებით, თვით ფედერალისტებიც სხვებმა კიდევ უფრო ადრე „გამოავლინეს“ და ა.შ. მაგრამ აქ ისიც საყურადღებოა, რომ ლ.ქორქაშვილმა, უფრო სწორედ ძიებამ, უკიდურესი საიდუმლოებები „იცის“, მაგრამ 15 ივლისსაც კი, ჯერ ის არ იცის, რომ მ.ჯავახიშვილი მწერალია და არა პროფესორი. ჩემი აზრით, აქ

შეინიშნება ის, რომ ძიებამ ლ.ქორქაშვილს ხელი მოაწერინა წაუკითხავად სხვა შემთხვევაში გაუგებარია როგორ შეეძლო მას უნივერსიტეტის პროფესორად მ.ჯავახიშვილის დასახელება, რომელსაც იგი კარგად იცნობდა და იცოდა, რომ იყო არა პროფესორი, არამედ მწერალი.

როგორც ვნახეთ, ამ 19 აგვისტოს დაკითხვის დროს მ. ჯავახიშვილმა კატეგორიულად უარყო წაყენებული ბრალდებები „აქტიური კონტრრევოლუციური მუშაობის“ შესახებ. იგი აცხადებს: „კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში არ ვყოფილვარ. მაგრამ პირებთან საუბრის დროს ჩემ მიერ გამოთქმული ცალკეული მოსაზრება კონტრრევოლუციური ხასიათისა იყო“. ამის გამო გამომძიებელმა მიაგება – „ძიებას თქვენი ცალკეული კონტრრევოლუციური გამონათქვამები კი არ აინტერესებს, არამედ, არალეგალურ ორგანიზაციაში თქვენი კონტრრევოლუციური მუშაობა. არსებითად გვიპასუხეთ... ძიებამ დაადგინა (და არა მ.ჯავახიშვილის 21 „ივნისის“ „დასმენამ“ - გ.ც.), რომ თქვენ საქართველოში არსებული კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ხართ... გამხელენ ძიების მასალები („და არა საკუთარი „აღიარებები“ - გ.ც.) და პირები, რომლებიც თქვენთან ერთად ეწეოდნენ კონტრრევოლუციურ მუშაობას... ჩვენ პირზე წაგაყენებთ ლ.ვ.ქორქაშვილს“. როგორც ვხედავთ, აქ ჯაშუშობისთვის ფულის მიღებაზე არაფერი თქმულა. ამის შემდეგ, გამომძიებელმა მ.ჯავახიშვილს დაუპირისპირა „მოწმე“. რომელიც, ბოლომდე ამოუხსნელ მიზეზთა გამო დარწმუნებულია, რომ იგი მ.ჯავახიშვილის საუბრების საფუძველზე გააუბედურეს. ამის დამადასტურებელია თუდნაც ის ფაქტი, რომელიც მოწმობს, რომ ლ.ქორქაშვილი ჯერ კიდევ მ.ჯავახიშვილის დაპატიმრება-დაკითხვების ჩატარებამდე, 15 ივლისს ჩვენებაში აღიარებს: „მიხეილ ჯავახიშვილისგან ვიცი, რომ ცენტრის გარდა ფაშისტურ ორგანიზაციას ცენტრის რწმუნებულის მიერ ნამართავი თავისი განშტოებები აქვს საქართველოს რაიონებში”;საქართველოს ანტისაბჭოთა ბლოკის დასახელების მოთხოვნის დროს, კი ამბობს: „ბარათაშვილი ოსიკო ბლოკის შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებდა... მიხეილ ჯავახიშვილთან, რომელიც არის

საქართველოს ფაშისტური ცენტრის თავმჯდომარე. 1937 წლის თებერვალში მე ცენრტის დავალებით... დავუკავშირდი ჯავახიშვილ მიხეილს". როგორც ვხედავთ, ლ.ქორქაშვილი საკუთარ თავზე და ფედერალისტების ცენტრის დავალებით იღებს მ.ჯავახიშვილთან კონტრრევოლუციური მიზნებით დაკავშირების გადაწყვეტილებას.

ლ.ქორქაშვილი თავისავე, მომდევნო 22 ივლისის დაკითხვის ოქმში კი „აღიარებს": „პლატონ გელოვანის სიტყვებიდან ვიცი, რომ ინტერპარტიულ კომიტეტში შედიან... ფაშისტური ორგანიზაციიდან – მწერალი (! – გ.ც.) ჯავახიშვილი მიხეილი... ჯავახიშვილის სიტყვებით – დასავლეთ ევროპის ქვეყნების სსრ კავშირთან ომის დროს – ფაშისტური ცენტრი, მიხეილ ჯავახიშვილის მეთაურობით, აპირებდა ჩაეტარებინა დაპატიმრებები: „საქართველოს კპ(ბ) ცკ მდივან ბერიასი და შინსახკომისარ – გოგლიძისა". საყურადღებოა, რომ ამ დაკითხვის ოქმს ხელს აწერენ არა II ქვეგანყოფილების უფროსი ლ.აბაშიძე და მისი დამხმარე ოპერრწმუნებული ჯიბლაძე, არამედ IV განყოფილების III ქვეგანყოფილების იმავე თანამდებობაზე გადაყვანილი, იგივე პიროვნებები – ლ.აბაშიძე და ჯიბლაძე. მათ 15 ივლისის ფედერალისტი არალეგალური, კონტრრევოლუციური ცენტრი ო.ბარათაშვილის დავალებით და ლ.ქორქაშვილის სახით გაიყვანეს ფაშისტური ცენტრის თავმჯდომარე „პროფესორ" მ.ჯავახიშვილიდან უკვე, ინტერპარტიული ცენტრის თავმჯდომარე „მწერალ ჯავახიშვილზე და ახლა უკვე ისიც „აღმოაჩინეს", რომ იგი „დასავლეთ ევროპის ქვეყნების სსრ კავშირთან ომის დროს, აპირაბდა ჩაეტარებინა დაპატიმრებები: ...ბერიასი და... გოგლიძისა".

შემთხვევითი არ არის, რომ 22 ივლისს ქვეგანყოფილების უფროსად გადაყვანილმა და ამ დღიდანვე, უკვე მ.ჯავახიშვილის ფაშისტური ცენტრის ანტისაბჭოთა არალეგალური განშტოებების საქმიანობის გამოკვლევის ფრიადმნიშვნელოვანი საძიებო საქმეს აწარმოებინებენ მესამე ქვეგანყოფილების უფროს ლ.აბაშიძეს, რომელსაც ჯიბლაძის ნაცვლად, თანაშემწედ და მ.ჯავახიშვილის დაკითხვის ჩვენებათა გამფორმებლად შეუწყვილეს პატიმრების დოკუმენტების ფალსიფიკატორი გამფორმებელი, ლეიტენენტი მიხეილ ნაცვლიშვილი. ამ ოპერატიულ გადაადგილებაში მკაფიოდ

ჩანს ჩეკას ძიების გონებრივი ცენტრის მიზანდასახულობა. ეს ხდება იმავე დღეს, როცა მოხდა პ.იაშვილის თვითმკვლელობით ბერიას ფაქტობრივი, უჩვეულო პოლიტიკური მხილება და მ.ჯავახიშვილის მიერ, ამ პოლიტიკური მნიშვნელობის აქტის მყისიერი საჯარო პოლიტიკური დაფასება-ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილაო!

ზემოთ წარმოჩენილი, ურთიერთ დამაკავშირებელი ფაქტების მიგნება და გაცნობიერება ცხადყოფს, რომ ჩეკას ძიების მხრივ მ.ჯავახიშვილის პიროვნების მიმართ გამოჩენილი განსაკუთრებული ყურადღება 22 ივლისს უკავშირდება, როცა საკუთარი თავი საჯაროდ „გამოავლინეს“ ორივე მეგობარმა – პ.იაშვილმა და მ.ჯავახიშვილმა, განსაკუთრებით პ.იაშვილთან, რომელმაც თვითმკვლელობით საქვეყნოდ ამხილა ჩეკას შეფი და იმავდროულად საქართველოს კომპარტიის ჩეკისტი მდივანი – ბერია.

გასათვალისწინებელია, რომ ლ.ქორქაშვილის ყველა ამ ჩვენებებს, მ.ჯავახიშვილი დაადასტურებს მხოლოდ ჩეკას ძიების მიერ 21 აგვისტოს ე.წ. განცხადება-ფუტლიარის მოპოების შემდეგ და ბერიას მონაწილეობით ჩატარებული დაკითხვის დროს განხორციელებული ორჯერადი ცემით, რომელიც მცდარად თარიღდება „21/VI-37წ.”-ით, სინამდვილეში კი, ჩეკას გამომძიებელთა მიერ „საბრალდებო დასკვნაში“ შეტანილი სწორი თარიღით, 21 აგვისტოთი.

19 აგვისტოს მოწმემ და ბრალდებულმა დაადასტურეს ნაცნობობა და ერთმანეთის მიმართ პირადი ანგარიშების უქონლობა. ამის შემდეგ ლ. ქორქაშვილმა განაცხადა: „1937 წლის იანვრის ბოლოს თუ თებერვალში ლიტფონდში შევხვდი მ. ჯავახიშვილს, უკანასკნელმა განმიცხადა... მე ვირიცხები მწერალ ფაშისტთა იატაკქვეშა ცენტრში... გადმომცა შემდეგი: საქართველოში არსებობს კ.რ. ფაშისტური ცენტრი რომლის შემადგენლობაში შედის იგი და სხვები... ალიოშა წერეთლის, გარსევან ბერელაშვილის დაპატიმრებასა და გადასახლებასთან დაკავშირებით ფაშისტური ცენტრის კავშირის ერთი ხაზი ჩაიშალა, მაგრამ ძირითადი ორგანიზაცია შემორჩა რამდენადაც წერეთელმა იგი არ გასცა. მისივე სიტყვებით ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ კ.რ. ფაშისტურ

ცენტრთან არსებობს სამხედრო შტაბი რომელიც ეწევა შეიარაღებული აჯანყების მომზადებას.

ბოლოს ჯავახიშვილმა შემომთავაზა გადავცე მემარჯვენე ფედერალისტების ცენტრის თავჯდომარე იოსებ (ოსიკო – გ. ც.) ბარათაშვილს, რომ ყველა პრაქტიკულ საკითხში უფრო ინტენსიურად წარმართონ მუშაობა და კერძოდ შეიარაღებული აჯანყების მომზადება...“ როგორც ვხედავთ, ლ.ქორქაშვილმა მთლიანად დაადასტურა „თავისი“ ადრინდელი აღიარება-ჩვენებები, რომელთა ძირითადი ნაწილი უფრო ადრე, როგორც სათანადო წყაროებიდან ჩანს, მ.ჯავახიშვილისადმი დაბრალებულის სახით, სხვადასხვა ვარიანტით სხვებსაც ჰქონდათ აღიარებული. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამას მოწმობს თუნდაც მ.ჯავახიშვილის „საბრალდებო დასკვნაში” დამოწმებული ჩეკისტური ძიების მიერ ლ.გასვიანის, ი.დარჩიას, ნ.მიწიშვილის, დ.წერეთლის, გ.მახარაძის და ა.მიქაძის 1937 წლის მარტიდან ივნისის ჩათვლით მოპოვებული და სხვათა შემდგომი „აღიარებები”. მაგრამ ჩამოთვლილ პატიმართა დაკითხვის ოქმებში მათ, ან მ.ჯავახიშვილის მიერ უცხოელთა კონსულებისგან, თუ უცხოელთა წყაროებიდან ფულის მიღებაზე ჯერ არაფერია ნათქვამი, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ ეს საზარელი ბრალდება, ჩეკას ინტელექტუალური ტვინების მიერ ჯერ კიდევ არ არის გამოგონილი.

ზემოთ აღნიშნული ბრალდების გამო მ.ჯავახიშვილმა, როგორც ვნახეთ, ქორქაშვილთან დაპირისპირების დროს განაცხადა: „არ ვადასტურებ და კატეგორიულად უარვყოფ, რამდენადაც მსგავსი არაფერი არ ყოფილა... მე ვადასტურებ ჩემს ჩვენებებს იმის შესახებ, რომ არავითარ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში არ ვირიცხები და ასეთი ორგანიზაციის არსებობის შესახებ მე არაფერი ვიცი...“ ოქმს ხელს აწერენ ქორქაშვილი და ჯავახიშვილი. დოკუმენტს ადასტურებენ სიცრუის კონვეირის, თუ ესტაფეტის მ.ჯავახიშვილამდე მომყვანები, ადრე II ქვეგანყოფილების. ახლა კი, უკვე IV განყოფილების III ქვეგანყოფილების უფროსი აბაშიძე და მისი თანაშემწე მ.ნაცვლიშვილი.

კარგად ჩანს, რომ ამ დროს მ.ჯავახიშვილისთვის ჯერ არ უკადრებიათ ფიზიკური ზემოქმედება და ისიც ნიშანდობლივია, რომ

მ.ჯავახიშვილის საპროტესტო განცხადება-ჩვენებებიდან არც ერთი სიტყვა არ შეუტანიათ „საბრალდებო დასკვნაში“. ეს იმას გვიჩვენებს, რომ მ.ჯავახიშვილის სიმართლე ჩეკას ძიებას არ აინტერესებს და პირიქით, ჩეკას სამძებრო დაინტერესებულია მ.ჯავახიშვილს მუქარით აღიარებინოს არალეგალურ-ფაშისტური კრ. ორგანიზაციის პრაქტიკულ-ორგანიზაციული ხელმძღვანელობა, და პარტიათაშორისი ცენტრის წევრობა, რომელიც უკვე ხელთა აქვს იმ პირებისაგან მოპოებული ჩვენებებით, რომელიც მათგან გამოძალული ჰქონდათ ჩეკისტური ძიების სასტიკი მეთოდებით. ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა ითქვას, ისიც, რომ ძიებას მ.ჯავახიშვილისთვის, ჯერ-ჯერობით, არ მოუთხოვია მისი, პ.იაშვილის და სხვათა ჯაშუშობის, აგრეთვე ამ ორის მიერ ჯაშუშობისათვის ქრთამის აღებისა, თუ მისი მითვისების აღიარება. აქედან ჩანს, რომ ჩეკისტური ძიების ინტელექტუალური ცენტრი არ ჩქარობს, მუშაობს მეთოდურად და ამასთანავე ბრალდებულის ჩვენებათა ლოგიკური განვითარებისთვის.

ისიც ცნობილია, რომ: <u>მთელი რიგ</u> სხვათა და მათ შორის მ.ჯავახიშვილის საქმეში დაცული ა.ახმეტელისა და დ.შევარდნაძის 1937 წლის 25 ივნისს (ფურც. 138-144), აგრეთვე, ი.გობეჩიას და გ.მახარაძის ა.წ. 21 ივლისის (ფურც. 203-204), და ზოგი სხვა <u>დაკითხვა-დაპირისპირების ოქმები, ნათლად მეტყველებენ, რომ დაპირისპირებულ, ანუ პირზე წაყენებულთა ერთობლივი ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური საქმიანობა, მათ მიერ აღიარებული იქნა მათი იძულების, სრული დამორჩილების, პროტესტისა და შესაბამისი ფიზიკური ზემოქმედების გარეშე, მათი ჩვენებების ერთობლივი დადასტურებით, რაიმე უთანხმოებისა და კონფლიქტის გამოვლინების გამორიცხვით – მაშასადამე, სრული მორჩილების შედეგად</u>. აქედან ჩანს, რომ მ.ჯავახიშვილს 19 აგვისტოს, მისი პირველი დაკითხვისა და ლ.ქორქაშვილის დაპირისპირების დროს, ისე, როგორც შემდგომ 21 აგვისტოს პირველი განცხადების საფუძველ-ჩვენებათა გამოძალვის დროს, ჩეკას ძიებისთვის სასურველი ჩვენება-აღიარებების მისაცემად, სათანადო ჩეკისტური „რეჟიმის” გამოყენებით ჯერ არ ყოფილა მომზადებული. მაგრამ ისიც ჩანს, რომ მ.ჯავახიშვილმა შეიგნო ის,

თუ რაოდენ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მისი ანტისაბჭოური თუ ანტიბოლშევიკური სულისკვეთების შემცველი მწერლური შემოქმედებისა და პატრიოტული საუბრების, თუ რეჟიმით ნასაზრდოები საერთო უკმაყოფილებით გამოწვეული აზრების გამო. მაგრამ, როგორც ჩანს, მ.ჯავახიშვილს მრავალ სხვათაგან და მათ შორის ლ.ქორქაშვილისგან განსხვავებით, ჯერ კიდევ ბოლომდე არ განუცდია ე.წ. ჩეკისტური ზემოქმედების „რეჟიმი“. ამიტომ მას, როგორც ჩანს, ამ პირველი დაკითხვა-დაპირისპირების დროს, ჯერ კარგად არ ჰქონდა გაცნობიერებული ინკრიმინირებული ჩვენებებით მოსალოდნელი ჩეკისტური რეჟიმის უარყოფითი პერსპექტივა. მაგრამ ამ დაკითხვა-დაპირისპირების შემდეგ ჩატარებული დაკითხვის დროს, როცა დათარიღდა 21 აგვისტოს მ.ჯავახიშვილისეულად გასაღებული „ფუტლიარი“ რომლის ნიუანსების მამხილებელი წყაროებზე ხელი არ მიგვიწვდა, მ.ჯავახიშვილმა უმძიმეს ბრალდებათა უარყოფასთან ერთად საჭიროდ ცნო ინკრიმინირებული სასიკვდილო ბრალეულობის გამორიცხვით, სიმართლითა და ნაკლებად მძიმე, ნამდვილად არსებული დანაშაულობების სახის ჩვენება-აღიარების მიცემა. ამ მიზნით მან, როგორც ჩანს, გამომძიებელ ლ.აბაშიძეს, დაკითხვის პროცესში დასმული კითხვების მიხდვით უჩვენა პასუხი თავისი და თანამოაზრე მეგობართა, ანუ „პირებთან საუბრის დროს გამოთქმული ცალკეული კონტრრევოლუციური საუბრების“ შესახებ. მათ საფუძველზე გამძიებელმა, თუ განყოფილებამ მის შეიარაღებაზე მქონე მეთოდით, მომაზადა „ფუტლიარი“, რომელზეც ჩეკისტური ძიების ცნობილი წესის მიხედვით ხელი უნდა მოეწერინებინათ ავტორისთვის. მ.ჯავახიშვილის საქმეში დაცული შესაბამისი <u>წყარო ადასტურებს, რომ გამომძიებელმა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს მიაწოდა მ.ჯავახიშვილის ხელმოწერილი მის მიერ აღიარებული „პირებთან საუბრის დროს” „გამოთქმული ცალკეული მოსაზრების, ანუ პასიური კონტრრევოლუციური ხასიათის” განმარტების,საკუთრივ გადაკეთებული ვარიანტი</u> ე.ი. ბრალდებულის მიერ აღიარებულის საფუძველზე გამომძიებლის თანაშემწე მ.ნაცვლიშვილმა მოამზადა მ.ჯავახიშვილისეულად გასაღებული, გოგლიძის სახელზე გაფორმებული პირველი, 21 აგვისტოს განცხადება, ანუ „ფუტლიარი”. ამას მოწმობს მწერლის სამძებრო

საქმეში დაცული საქართველოს შინსახკომ გოგლიძის სახელზე დაწერილი 1937 წლის 21 აგვისტოთი დათარიღებული ნაბეჭდი განცხადება, რომელიც მ.ჯავახიშვილის ხელმოწერით არ არის დადასტურებული. ამასთანავე იგი ხელის საბეჭდი მანქანით, თვით გამომძიებლის, ან ჩეკას სამძებროს მიერ არის შედგენილი, მაგრამ მისი შინაარსობრივი ინფორმაცია მოწმობს, რომ ძირითადად მ.ჯავახიშვილის დაკითხვის საფუძველზეა დაწერილი, ანუ იმ ჩვენება-აღიარებათა საფუძველზეა შედგენილი, რომელიც უთუოდ ჩეკას სამძებროსთვის დამახასიათებელი წესით „ფუტლიარ" განცხადებად იქნა გაფორმებული, ამის მერე კი, განადგურებული. ამიტომ მისი ხსენება „მ.ჯავახიშვილის განცხადებად" არის არაზუსტი და პირობითი.

საძიებო დოკუმენტების გაფორმების ჩეკისტური მეთოდი გვარწმუნებს, რომ 21 აგვისტოს მ.ჯავახიშვილისეულად გასაღებული ფუტლიარი უნდა მომზადებულიყო წინასწარი დაკითხვის დროს გამომძიებლის მიერ დასმულ კითხვებზე მ.ჯავახიშვილის მიერ გაცემული უმტკივნეულო ზოგადი იმფორმაციით, რომელიც მან აღიარა ჯერ კიდევ 19 აგვისტოს დაკითხვის დროს, რაც შემდეგ გამფორმებელმა გადააკეთა ძიების ინტერესებისათვის სასურველი ფუტლიარის სახით. „ფუტლიარ" განცხადებაში ზოგი რამ ჩეკას გამომძიებლების მიერ იყო იმპროვიზირებულად შეტანილი, მაგრამ ამის მიუხედავად, მისი ინფორმაციებიდან ზოგს, ჩვენი კვლევისა და ჭეშმარიტების ძიებისათვის, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ნამდვილად აქვს უაღრესად მნიშვნელოვანი შემეცნებითი ღირებულებები. ეს მნიშვნელობა მდგომარეობს უმთავრესად იმაში, რომ ვიცით როგორ ხდებოდა პატიმრის მიერ დაწერილი ბიოგრაფიების გადაკეთება „აღიარებად", თუ ჩვენებად. ამდენად სავარაუდოა, რომ იგი შემდეგ, ჩეკას სამძებროს მიერ გამოყენებული იქნა, როგორც ბრალდებული პატიმრის, მ.ჯავახიშვილისაგან გამოძალული მომდევნო ხელნაწერი განცხადების ჩვენება-აღიარებათა შემდგომი ლოგიკური განვითარებით გამოძალულ „აღიარებათა" ძირითადი საყრდენი.. ამიტომ აღნიშნულ განცხადებას გთავაზობთ ქართულ ენაზე და სრული სახით.

„საქართველოს შინსახკომს
გოგლიძეს

მიხეილ საბას ძე
ჯავახიშვილის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბოლო წლებში სულ უფრო ნათლად გამოიკვეთა ჩემს ნაცნობთა შორის რამდენიმე მიმდინარეობა ფაშისტებიდან მოყოლებული და უკლონისტებით დამთავრებული. გადაჯგუფებანი საბოლოო ანგარიშით იძლეოდა ორ პოლუსს – მარჯვენას და მარცხენას. მემარჯვენე ჯგუფი განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც გერმანიაში ფაშიზმმა გაიმარჯვა და გამწვავდა წინააღმდეგობა საბჭოთა კავშირსა და ფაშისტურ ქვეყნებს შორის. მათთან საუბრების დროს ისინი (ალექსი წერეთელი, დავით წერეთელი, ისიდორე ვარაზაშვილი, სანდრო ახმეტელი, კონსტანტინე გამსახურდია) იმეორებდნენ (! – გ.ც.) ჩვეულებრივ ფაშისტურ თეზისებს ზოგიერთი ნიუანსებით.

ფედერალისტებისა და ნაცდემოკრატების საპროგრამო პოზიციები იმდენად დაახლოვდა, რომ ზოგჯერ ძნელი იყო მათი ერთმანეთისგან გარჩევა. საერთოდ კი ფედერალისტები ნაცდემოკრატებზე გაცილებით მარცხნივ რჩებოდნენ.

ფედერალისტებიდან სხვადასხვა დროს შევხვდი და ვესაუბრე არჩილ ჯაჯანაშვილს, კოკი აბაშიძეს, ქრისტეფორე რაჭველიშვილს, მიხეილ საყვარელიძეს, ევგენი ბოკერიას, შალვა ნუცუბიძეს.

ნაცდემოკრატებიდან ვასახელებ გერონტი ქიქოძეს, კონსტანტინე ჭიჭინაძეს, ილო მოსაშვილს, პავლე იაშვილს, ტიციან ტაბიძეს, იოსებ მაჭავარიანს, სერგო დანელიას, ნიკოლოზ მიწიშვილსა და სხვებს.

მენშევიკებიდან შევხვდი და ვესაუბრე კ.ნინიძეს, სოლომონ თავაძეს, ფირცხალაიშვილს/იურისტი/, ნიკო ელიავას, შალვა ჭუმბურიძეს და სხვაბს.

როცა ვლაპარაკობ ფედერალისტებისა და ნაცდემოკრატების პროგრამულ სიახლოვეზე, საჭიროდ მიმაჩნია მოკლედ ჩამოვაყალიბო მათი ძირითადი თეზისები.

ჩვენ არ წარმოგვედგინა საქართველოსთვის სხვაგვარი პოლიტიკური ფორმა გარდა დემოკრატიული რესპუბლიკისა. მონარქია საერთოდ გამორიცხული იყო. მის შესახებ არავის ულაპარაკია. რაც შეეხება ფაშისტურ წყობილებას, ჩვენთვის იგი სრულიად მიუღებელი იყო

როგორც იდეოლოგიური, ისე პოლიტიკურ-სოციალური თვალსაზრისით. გარდა ამისა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ფაშიზმს ჩვენს პირობებში არა აქვს მყარი სოციალური ბაზა, ვინაიდან საქართველოში თითქმის მოსპობილია აზნაურული და კულაკური ელემენტები, ძველი ოფიცრობა და ჩინოვნიკობა. რაც შეეხება მენშევიკებს, მათი პროგრამა ძველი რჩებოდა, მაგრამ ჩვენ ძალიან გვეშინოდა მათი წინანდელი დიქტატურული ამბიციებისა და დემაგოგიისა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აუცილებლად ვთვლიდით მათთან მჭიდრო სიახლოვეს, რათა გაგვეძლიერებინა დაპირისპირება ფაშისტებისადმი, რომლებსაც გაძლიერება შეეძლოთ, და მოგვეხდინა დემოკრატიული წყობილების რეალიზაცია.

ვუბრუნდები ნაცდემოკრატიული ჯგუფის საპროგრამო საკითხს.

ჩვენი დებულებები ორი ნაწილისგან შედგებოდა: 1/ საბჭოთა წყობილების ურყევობის პირობებში და 2/ სსრ კავშირისაგან საქართველოს გამოყოფის დროს პროგრამული ომის შემთხვევაში. პირველ შემთხვევაში ჩვენ გვსურდა წვრილი კერძო საკუთრებისა და კერძო და სახელმწიფო კაპიტალს შორის თავისუფალი კონკურენციის თანდათანობით აღდგენა, რასაც უნდა მოჰყოლოდა ერთი მხრივ ქვეყნის საწარმოო ძალების მოღონიერება, ხოლო მეორე მხრივ – კერძო მეწარმეთა ხელში წვრილი და საშუალო საწარმოების თანდათანობითი გადასვლა, ისე რომ სახელმწიფოს დარჩენოდა წარმმართველი სიმაღლეები /მძიმე მრეწველობა და უმსხვილესი საბჭოთა მეურნეობები/. რაც შეეხება... სახელმწიფო სალარო გადასახადების სისტემის მეშვეობით, და ქვეყნის საწარმოო ძალების ზრდის გათვალისწინებით, მოგებულიც კი დარჩებოდა. რაც შეეხება მეორე შემთხვევას – საქართველოს გამოყოფას, ამის თაობაზე სხვადასხვანაირი პროექტები იყო, მაგრამ მათზე ლაპარაკი არ ღირს, ვინაიდან, ვისაც უნდა „გაეთავისუფლებინა" საქართველო, იგი არ შეგვეკითხებოდა ჩვენი პროექტების შესახებ, როგორც ეს მენშევიკების დროს მოხდა. როგორ ველოდით ჩვენი გეგმების – უფრო კი სურვილების – ასრულებას საბჭოთა კავშირში? ჩვენთვის ანბანური ჭეშმარიტება იყო ის, რომ ეს ძირითადი საკითხები შეიძლებოდა გადაეწყვიტა უწინარეს ყოვლისა რუს ხალხს, როგორც წყვეტდა იგი ყოველთვის მთელი რუსეთის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, მათ შორის ოქტომბრის რევოლუციას. აქედან გამომდინარეობდა ჩვენი ჯგუფის მთელი ტაქტიკა – ჩრდილოეთიდან მოვლენების პასიური მოლოდინი. ჩვენ რომ საერთო საკავშირო ორგანიზაცია გვქონოდა ტროცკისტების მსგავსად, ალბათ გაცილებით მეტ აქტიურობას გამოვიჩენდით.

მე შეგნებულად ვუწოდებ ნაცდემოკრატიულ მიმდინარეობას ჯგუფს, და არა ორგანიზაციას, ვინაიდან იგი მოკლებული იყო პოლიტიკური ორგანიზაციის ყველაზე აუცილებელ ატირბუტებს: არჩევით ცენტრალურ კომიტეტს, წევრთა აღრიცხვას, პროვინციულ განყოფილებებს, ფუნქციების განაწილებას და ა.შ. ჩვენ არ ვცდილობდით რიცხობრივ გაზრდას ჩავარდნის შიშით – ეს ერთი, და მეორე – იმედი გვქონდა, რომ საჭიროებისას წინასწარი ღონისძიებების გარეშეც სწრაფად მოვუყრიდით თავს დიდი ხნის დაფანტულ კადრებს. საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნოთ, რომ ნაცდემოკრატების ძალების შესახებ ყოველთვის დადიოდა მეტისმეტად გაზვიადებული ხმები. სინამდვილეზე კი შეგვიძლია ვიმსჯელოთ თუნდაც იმით, რომ ამ პარტიამ დამფუძნებელ კრებაში გაიყვანა სულ 5-6 დეპუტატი საერთო რიცხვიდან. 1924 წლის სავალალო აჯანყების შემდეგ, პარტია... არასოდეს მსმენია, რომ ვინმე ცდილიყო მის აღდგენას.

1927 წელს შეიქმნა ჩანაფიქრით ნაცდემოკრატიული ლიტერატურული კორპორაცია (? – გ.ც.) „არიფიონი" 14 მწერლის შემადგენლობით, მაგრამ იგი მალე დაიშალა შემადგენლობის სიჭრელის გამო. დარჩენილი რამდენიმე წევრი იშვიათად ხვდებოდნენ ერთმანეთს შემთხვევით. ძალიან დიდხანს ვერ ხერხდებოდა ყოფილი ნაცდემოკრატების „ცისფერყანწელების" მოზიდვა, ვინაიდან ჩვენ ცხარე ლიტერატურული ბრძოლა გვთიშავდა.

შეუძლებელია იმის თქმა, თუ სახელდობრ როდის შეიკრიბა საბოლოოდ ნაცდემოკრატების ჯგუფი. იგი თანდათან ჩამოყალიბდა. გამომჟღავნების შიშით ჯგუფი ერთხელაც კი არ შეკრებილა მნიშვნელოვანი შემადგენლობით. ზოგჯერ იკრიბებოდა 3-4 კაცი, ზოგჯერ რამდენიმე თვის მანძილზე არ ვიკრიბებოდით ხოლმე. საბოლოო ბირთვი /ცენტრალური კომიტეტი/ ჯგუფისა გასული წლის ზაფხულში ჩამოყალიბდა. პავლე იაშვილმა მიგვიწვია თავისთან არგვეთში მე, გ.ქიქოძე და ილო მოსაშვილი. ჩვენ იქ 4 დღე გავატარეთ და საბოლოოდ დავმეგობრდით. მას შემდეგ დროდადრო ერთმანეთთან ვიკრიბებოდით და ბანქოს თამაშის დროს განვიხილავდით მიმდინარე საკითხებს. იაშვილმა როგორღაც განგვიცხადა, რომ მას ჰყავს „საკუთარი ფრაქცია" მიწიშვილის, ტ.ტაბიძის, შ.ნუცუბიძის, ზ.ნანეიშვილისა და ერთი მსხვილი პარტიელის შემადგენლობით, რომლის გვარი მას არ დაუსახელებია. ჩვენ მივხვდით, რომ ლაპარაკი იყო ჯიქიაზე. ისინი ყველანი ძალზე ახლო ურთიერთობაში იყვნენ იაშვილთან, მაგრამ მე ვერასოდეს გავიგე, რა მიზნები აახლოვებდა მას ჯიქიასთან და ნანეიშვილთან.

ზევით დავასახელე პირები ფაშისტური და სხვა ბანაკებიდან (? – გ.ც.). იბადება კითხვა: რომელი მათგანი იყო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან ხელმძღვანელთაგანი. გულრწფელად და კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ეს არ ვიცოდი და არ ვიცი. მათ შესახებ ვმსჯელობდი... მაგალითად: ალ.წერეთლის ვესაუბრე სახელმწიფო არქივში 1928/29 წწ. მასთან მივედი ჩემი რომანისათვის ზოგიერთი მასალის მისაღებად, კატეგორიულად ვამტკიცებ, რომ მას შემდეგ აღარ მინახავს.

დავით წერეთელმა დაპატიმრებამდე რამდენიმე დღით ადრე წამოისროლა ფრაზა: „დემოკრატიზმი და კომუნიზმი განწირულია. დგება ჰიტლერისა და მუსოლინის ეპოქა".

ი.ვარაზაშვილთან, ს.ახმეტელთან, კ.გამსახურდიასთან მისაუბრია, უფრო სწორად, მიკამათია რამდენჯერმე. ამას იმიტომ ვწერ, რომ ბრალად მდებენ (?! – გ.ც.) ფაშისტური ორგანიზაციის წევრობას. გადაჭრით უარვყოფ ამგვარ ბრალდებას და მომყავს სულ ახლი ფაქტი, რომლის შემოწმება ძალიან ადვილია: ქვიშხეთში გამგზავრებამდე ვესაუბე არ.ჯაჯანიშვილსა და კოკი აბაშიძეს, ხოლო ქვიშხეთში პოეტებს იონა ვაკელსა და მე მგონი, შანშიაშვილსა თუ ჭიჭინაძეს იმის თაობაზე, თუ რა გააფთრებით უნდა გავილაშქროთ აგრესორების წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენს მამულზე თავდასხმას გაბედავენ.

საზღვარგარეთთან არავითარი კავშირი არ ყოფილა.

ბლოკის შესახებ ლაპარაკი არ გვქონდა, რადგან გარემოებანი სულაც არ მოითხოვდნენ ამას და არც არავინ გვთავაზობდა მას.

ზევით უკვე ვთქვი, რომ ჩვენ არ ვცდილობდით გაზრდას, ჯგუფში არავის ვიბირებდით და წევრთა სიაც არ გვქონდა. მაგრამ ჩვენ გვყავდნენ თანამგრძნობელები, რომლებიც იზიარებდნენ ჩვენს დებულებებს, მაგალითად: ევსევი ბარამიძე, არისტო ჭუმბაძე, შალვა ქართველიშვილი, ალექსანდრე სიმონის ძე მაისურაძე და სხვები, რომლებიც ახლა აღარ მახსენდებიან.

რწმუნებული პროვინციაში არ გვყოლია იმ მიზეზით, რომ საერთოდ ორგანიზაციულ მუშაობას არ ვეწეოდით... ორი წლის წინათ ერთხანს დუშეთში ვცხოვრობდი. იქ გამეცნო პედაგოგი დავით კობიაშვილი, რომელმაც ნაცდემოკრატად წარმომიდგინა თავი და განმიცხადა, რამდენიმეკაციანი ჯგუფი მყავსო.

საკითხავია, რა საშუალებით ვაპირებდით მიზნის მიღწევას? შეიარაღებული ბრძოლა პირწმინდად გამორიცხული იყო. ეს საკითხი ჩვენს ჯგუფში არც კი წამოჭრილა. ეს შეიძლება გულუბრყვილოდ გაისმას, მაგრამ ფაქტია: ჩვენ მხოლოდ პროპაგანდას ვუწევდით ჩვენს

<u>იდეებს ნაცნობებში და ველოდით „შესაფერის შემთხვევას", სხვაგვარად რომ ვთქვათ, პასიურ, და არა აქტიურ პოლიტიკას ვეწეოდით.</u>

<u>მე გულრწფელად ვთქვი, რასაც ვშვრებოდი და რაც ვიცოდი. რა თქმა უნდა მესმის, რომ ანტისაბჭოთა საქმე ვაკეთებდი და უდრტვინველად მივიღებ სასჯელს, მაგრამ მისი ზომის განსაზღვრისას გთხოვთ თქვენ, მოქალაქე კომისარო, მხედველობაში მიიღოთ ჩემი 35-წლიანი საზოგადოებრივ-ლიტერატურული მუშაობა, და, თუ ვიმსახურებ, ლმობიერება გამოიჩინოთ ჩემს მიმართ.</u>

1937 წლის 21 აგვისტო /მ.ჯავახიშვილი/"

(იხ. მ.ჯავახიშვილის სამძებრო საქმე №9997, ფურც.10-15 ნაბეჭდი განცხადება ხელმოუწერელი „ფუტლიარია". ხაზგასმები ყველა ჩემია და უაღრესად საყურადღებოა – გ.ც.).

ამ დოკუმენტში ყურადღებას იპყრობს „ფუტლიარის" გამფორმებელის ტერმინოლოგია და აქცენტები, აგრეთვე ძიების მიერ ფაშისტებად დასახელებულების „ჩვენებათა" ავტორის მიერ მოგერიების მცდელობა; მ.ჯავახიშვილის ზოგ „განმარტება-აღიარებათა"უტყუარობა. ჩვენთვის ცნობილი უამრავი წყარო ნათლად მოწმობს, რომ ქართული პატრიოტული ინტელიგენციის მეგობრული საუბრები, ხშირ შემთხვევაში მართლაც ოპოზიციური და ზოგჯერ კონტრრევოლუციურიც იყო. იმდროინდელ საქართველოში ხშირი იყო სტალინისა თუ ბერიას საქმიანობის და სტალინური პოლიტიკის ლანძღვა; უკმაყოფილების გამოთქმა ძველი კადრების განთავისუფლებისა და ჩეკისტი ბერიას დაწინაურების გამო, აგრეთვე პოლიტიკური ანეგდოტების მოყოლა, პროდასავლურ-პროგერმანული განწყობილებისა და ანტისაკოლმეურნეო პროტესტის გამოვლინება...ეს საკითხი ისტორიოგრაფიის მიერ სადღეისოდ უყურადღებოდ მიტოვებულია, ისტორიოგრაფიულად კი, უაღრესად საყურადღებოა. სავარაუდოა, რომ მსგავსი საუბრები მ.ჯავახიშვილის გარემოცვაში და მის მიერაც გამოითქმებოდა, ბოლოს კი ბერიამდე მიდიოდა. ამდენად შეიძლება დავუშვათ, რომ „ფუტლიარი" მ.ჯავახიშვილისა და მისი გარემოცვის ნააზრევს ძირითადად სწორად ასახავს.

რაც შეეხება მ.ჯავახიშვილის ზემოთ მოყვანილი, 1937 წლის 21 აგვისტოს დაკითხვის საფუძველზე გაფორმებულ გოგლიძის მიმართ შედგენილ ამ „ფუტლიარ“-განცხადებას, მასში ზოგი დანაშაულებრივი ხასიათისა და კონტრრევოლუციური ნიუანსებით გაჯერებული სიტყვები უთუოდ გამომძიებლის შემოქმედების შედეგია, მაგრამ ამასთანავე მკაფიოდ ჩანს, რომ იგი გაფორმებულია მ.ჯავახიშვილის წინამორბედთა და პირადად მის მიერ აღიარებული კონტრრევლუციური საუბარ-გამონათქვამების სტილში. როგორც ვნახეთ მისი ბოლო დასკვნითი სიტყვები ასეთია: „მე გულწრფელად ვთქვი რასაც ვშვრებოდი და რაც ვიცოდი. რა თქმა უნდა მესმის, რომ ანტისაბჭოთა საქმეს ვაკეთებდი და პროტესტის გარეშე მივიღებ სასჯელს, მაგრამ მისი ზომის განსაზღვრისას გთხოვთ თქვენ, მოქალაქე კომისარო, მხედველობაში მიიღოთ ჩემი 35 წლიანი საზოგადოებრივ-ლიტერატურული მუშაობა, და თუ ვიმსახურებ, ლმობიერება გამოიჩინოთ ჩემს მიმართ“. აქედან ისიც ჩანს, რომ მ.ჯავახიშვილმა „კონტრრევოლუციური“ ხასიათის გამონათქვამები ახლა უკვე ვერ დამალა და აღიარა, მაგრამ შეეცადა ისინი მეგობრებს შორის საუბრების სახით წარმოეჩინა. მან კარგად იცის, რომ ლაყბობისა და ანეგდოტებისათვის ბევრი დასჯილა, მაგრამ სულ სხვა იყო მის მიმართ პირზე წაყენებული ორგანიზაციულ-პრაქტიკული ანტისაბჭოთა არალეგალური მუშაობის, ანუ ხელისუფლების წინააღმდეგ პრაქტიკული, არალეგალური ბრძოლის ბრალდება, რომელიც მის წინამორბედთა, ლ.ქორქაშვილის პირზე წაყენების, თუ ზოგ სხვათა ჩვენებების სახით, როგორც ჩანს, ნაწილობრივ მაინც გააცნეს და რომელიც მ.ჯავახციშვილმაც კარგად იცის, რომ სასჯელის უმაღლესი ზომით არ კვალიფიცირდება. აქედან ჩანს, რომ, მან უკვე ნაწილობრივ მაინც გაიგო, თუ რაოდენ საზარელ პერსპექტივას უმზადებენ და ცდილობს საკუთარი სიცოცხლე გადაირჩინოს. მაგრამ რატომღაც იმას ვერ ხვდება, რომ მისი ბედისწერის გადაწყვეტა დამოკიდებული სულაც არ იყო ამ „გულწრფელობაზე“, ან შინსახკომისარ გოგლიძეზე, არამედ დაფიქსირებული იყო ჯერ კიდევ წინამორბედ პატიმართა უამრავ ჩვენებებში, შემდეგ 17 აგვისტოს, მწერალთა პრეზიდიუმის სხდომის ოქმის დადგენილებაში, და მერე, 19 აგვისტოს დაკითხვა-

დაპირისპირების ოქმის ქორქაშვილისეული სიტყვების სახით და ახლა უკვე, ნაწილობრივ საკუთარ 21 აგვისტოს განცხადების დედან „აღიარებაშიც“. მაგრამ, როგორც ჩანს, გამომძიებლის რჩევას ასრულებს. უფრო მეტიც, განცხადების აღნიშნული ტექსტის გაცნობა ნათლად მეტყველებს, რომ მ.ჯავახიშვილი, რამდენადაც მის მიმართ ინკრიმინირებულ ჩვენებებს ჯერ კიდევ სრული სახით არ იცნობს და არც აღიარებს, ამდენად, გამოდის, რომ იგი თავის აღიარებათა, ანუ ამ „ფუტლიარის“ დედანში, ფაქტობრივად, ფაშისტური ორგანიზაციის თავმჯდომარეობასა და ქართული ნაციონალური ცენტრის წევრობაზე, არა მარტო უარს, არამედ პროტესტსაც აცხადებს და უნებლიედ, ჩეკას, აგრეთვე მისი IV განყოფილების, კონკრეტულად კი, მისი უშუალო გამომძიებლის, ლ.აბაშიძისა და მის ხელქვეითთა მთელი ადრინდელი სამძებრო „ღვაწლის“ გაბიაბრუებასაც ახდენს. ამას მოწმობს ისიც, რომ: მ.ჯავახიშვილი გოგლიძის მიმართ გათვალისწინებულ 21 აგვისტოს ამ პირველ განცხადების, ანუ „ფუტლიარის“ საფუძველ ჩვენებაში ამბობს, შეიძლება კიდეც წერს: „მემარჯვენე ჯგუფი ალექსი (ალიოშა) წერეთელი, დავით წერეთელი, ისიდორე ვარაზაშვილი, სანდრო ახმეტელი, კონსტ. გამსახურდია <u>იმეორებდნენ ჩვეულებრივ ფაშისტურ თეზისებს ზოგიერთი ნიუანსით“</u>, ჩეკას ძიების მასალებით, მათგან და მათ შორის ქოქრაშვილისგან გამომძიებლური აღიარება-ჩვენებებით კი, ისინი კი არ ლაყბობენ ფაშისტური თეზისების ზოგი ნიუანსებით, არამედ ისინი და მ.ჯავახიშვილი, უკვე „გამომჟღავნებული“ არიან, როგორც პრაქტიკული ფაშისტური ორგანიზაციული მუშაობით გამოვლენილი ფაშისტები. ოღონდ ეგ არის, რომ ჩეკას ძიებას ჯერ-ჯერობით არ მოეპოება მ.ჯავახიშვილის მიმართ, „მათ“ მიერ ინკრიმინირებული ბრალდებების დამადასტურებელი კონკრეტული ფაქტები, ანუ იურიდიული ძალის მქონე, მათ შორის, ბრალდებული მ.ჯავახიშვილის პირადი ჩვენებებით დადასტურებული „აღიარებები”. ამდენად, იგი იმხილება მხოლოდ ადრე დაპატიმრებულთა „აღიარება”-ჩვენებით, მათ შორის ლ.ქორქაშვილის „პირადი” ბრალდებებით, რომლებსაც სჭირდებათ ბრალდებულის პირადი ხელნაწერი აღიარება-ჩვენებები.

მ.ჯავახიშვილი 21 აგვისტოს ამ პირველ განცხადებაში, ფედერალისტებს და ეროვნულ დემოკრატებს ახასიათებს როგორც „დემოკრატიული რესპუბლიკის“ მოტრფიალეებს. იგი წერს: „რაც შეეხება ფაშისტურ წყობილებას, ჩვენთვის იგი სრულიად მიუღებელი იყო, როგორც იდეოლოგიური, ისე პოლიტიკურ-სოციალური თვალსაზრისით... ჩვენ მიგვაჩნდა, რომ ფაშიზმს ჩვენს პირობებში არა აქვს მყარი სოციალური ბაზა“. მ.ჯავახიშვილს მენშევიკებთან კავშირიც ისე აქვს გაშუქებული, თითქოს იგი ითვალისწინებდა საქართველოს ფაშისტების მოსალოდნელი გაძლიერების მოგერიებას. მაგრამ ეს აზრები პრინციპულად ეწინააღმდეგებიან მასთან დაპირისპირებულ ლ.ქორქაშვილის მხილებებს, რომ აღარაფერი ითქვას ადრე დაპატიმრებულთა მიერ „აღიარებულ“ მხილებებსა და უამრავ სხვა საწინააღმდეგო, უმძიმეს ჩვენებებზე.

საკუთრივ ეროვნულ დემოკრატების საპროგრამო საკითხების გაშუქებისას მ.ჯავახიშვილმა თეორიული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული „სურვილების“ სახით იმსჯელა. იგი წერს: „მე შეგნებულად ვუწოდებ ერ. დემოკრატიულ მიმდინარეობას ჯგუფს და არა ორგანიზაციას, ვინაიდან იგი მოკლებული იყო პოლიტიკურ ორგანიზაციის ყველაზე აუცილებელ ატრიბუტებს არჩევითს ცენტრალურ კომიტეტს... პროვინციულ განყოფილებებს, ფუნქციების განაწილებას და ა.შ. ჩვენ არ ვცდილობდით რიცხობრივ გაზრდას... პარტია... არასოდეს მსმენია, რომ ვინმე ცდილიყო მის აღდგენას... ჯგუფი ერთხელაც არ შეკრებილა მნიშვნელოვანი შემადგენლობით“.

მ.ჯავახიშვილმა ვერ დამალა ზოგი საყოველთაოდ ცნობილი ამბავი, მაგალითად ის, რომ პაოლო იაშვილმა 1936 წელს არაგვეთში მიიწვია იგი, გ. ქიქოძე და ილო მოსაშვილი, მაგრამ ცდილობს იქ გატარებული 4 დღე მხოლოდ „დამეგობრებად“ წარმოადგინოს. ამასთან დაკავშირებით მ.ჯავახიშვილი წერს: „მას შემდეგ დროდადრო ერთმანეთთან ვიკრიბებოდით და ვახშმისა თუ ბანქოს თამაშის დროს განვიხილავდით მიმდინარე საკითხებს“. ეს ხომ ყველა ქართულ მეგობრულ სუფრებზე ხდება?! მას არც პაოლო იაშვილის, მიწიშვილის, ტ.ტაბიძის, შ.ნუცუბიძის, ზ.ნანეიშვილის და ვ.ჯიქიას ხსენებისთვის შეეძლო გვერდის ავლა, რადგან პაოლოს თვითმკვლელობამ შეძრა არა მარტო მთელი ქართველი

საზოგადოება, არამედ აგრეთვე ხელისუფლება და პირადად ბერია, ხოლო სხვა „ჩვენებებში" მასთან ერთად ჩამოთვლილები ხომ „ყველანი ძალზე ახლო ურთიერთობაში იყვნენ იაშვილთან" და მ.ჯავახიშვილთან, რაც ქვეყანამ იცოდა. როგორც ჩანს, მათი დასახელება, ისე, როგორც ზოგი სხვა ამბებისა, დედანში უნდა ასახულიყო გამომძიებლის მიერ დასმული კითხვების პასუხად, მაგრამ რამდენადაც დედანი შეგნებულად გააქრეს, ჩემი ეს და მსგავსი სხვა მოსაზრებები, ვარაუდის სახეს იძენს. ამდენად მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა თავად განსაჯოს ჩემი ვარაუდები რამდენად დამაჯერებელია. მ.ჯავახიშვილი თავს იმართლებდა - „მე ვერასოდეს გავიგე, რა მიზნები აახლოებდა მას (პ.იაშვილს – გ.ც.) ჯიქიასთან და ნანეიშვილთანო". „ზემოთ დავასახელე პირები ფაშისტური და სხვა ბანაკიდან. – წერს მ. ჯავახიშვილი და დასძენს – იბადება კითხვა: რომელი მათგანი იყო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან ხელმძღვანელთაგანი. გულწრფელად და კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ეს არ ვიცოდი და არ ვიცი... ი.ვარაზაშვილთან, ა.ახმეტელთან და კ.გამსახურდიასთან (მ.ჯავახიშვილთან ერთად ფაშისტური აზრებით „მოსაუბრეებთან" - გ.ც. იხ. მ.ხომერიკი, მიხეილ ჯავახიშვილი უნიკალური დოკუმენტების ფონზე, გვ. 99) მისაუბრია, უფრო ხშირად მიკამათია რამდენჯერმე. <u>ამას იმიტომ ვწერ (! – გ.ც.), რომ ბრალად მდებენ (! – გ.ც.) ფაშისტური ორგანიზაციის წევრობას (? – გ.ც.). გადაჭრით ვუარყოფ ამგვარ ბრალდებას</u> (რომელსაც თქვენგან გავეცანიო – გ.ც.) და მომყავს სულ ახალი ფაქტი, რომლის შემოწმება ძალიან ადვილია: ქვიშხეთში გამგზავრებამდე ვესაუბრე არ. ჯაჯანაშვილსა და კოკი აბაშიძეს, ხოლო ქვიშხეთში პოეტებს იონა ვაკელის და, მე მგონი შანშიაშვილს თუ ჭიჭინაძეს იმის თაობაზე, თუ რა გააფთრებით უნდა გავილაშქროთ აგრესორების წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენს მამულზე თავდასხმას გაბედავენ" (მ.ხომერიკი, მიხეილ ჯავახიშვილი უნიკალური დოკუმენტების ფონზე, გვ.101). როგორც ვხედავთ, ამ ნათქვამით მ.ჯავახიშვილი არა მარტო ჩეკას ძიების მიერ მისთვის ინკრიმინირებული ზოგი ფაშისტად გასაღებულის ბრალდებას, ანუ „ჩვენებების" ავტორების ნათქვამს, ანუ „აღიარებებს" იგერიებს, არამედ კატეგორიულად უარყოფს ამათგან ვიღაცების მიერ

დადასტურებულ „ჩვენებებს“ მათთან ერთად ფაშისტური საქმიანობის შესახებ.

მ.ჯავახიშვილი ეხება პირადად ბერიასთვის მტკივნეულ საკითხებსა და ზოგ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ არალეგალური ორგანიზაციულ-პრაქტიკული მუშაობით გამჟღავნებულ-დამტკიცებულ და უკვე დახვრეტილ ხელისუფლების „მტრებს“ კიდეც იცავს, რადგან მათს ჩეკისტურად უკვე გამჟღავნებულ ორგანიზაციულ-პრაქტიკულ, არალეგალურ ფაშისტურ საქმიანობას კი არ ადასტურებს, არამედ მათ საუბრებში ასახულ და ძიების მიერ ინკრიმინირებულ კონტრრევოლუციურ გამოთქმების მხოლოდ ნიუანსებს, ანუ მცირე ელფერის გამოთქმების არსებობას ადასტურებს და ძიების მიერ ნაძალადევად მათ ფაშისტობას, მხოლოდ ლაყბობის დონეზე აღიარებს. ამასთანავე მ.ჯავახიშვილმა ძიების მიერ ფაშისტებად მხილებულებისგან თავი განზეც დაიჭირა და ისე წარმოაჩინა, თითქოს ამათგან ზოგს, აგრესიის შემთხვევაში, ფაშიზმის წინააღმდეგ გალაშქრებასაც კი სთავაზობდა.

გოგლიძის სახელზე დაწერილი ამ ვითომ მ.ჯავახიშვილის განცხადებიდან კარგად ჩანს, რომ მისთვის ჯერ კიდევ ქვიშხეთში გამგზავრებამდე და დ.დემეტრაძეს მიერ დაკითხვისას დაბრალებულის გარდა, <u>პირველი დაკითხვის შემდეგაც წაუყენებიათ არამარტო მისი</u> ანტისაბჭოთა გამოთქმების შესახებ არსებული, არამედ <u>ზოგი ის წერილობითი თუ სიტყვიერი ჩვენებები, რომლებშიც იგი „მხილებული“ და „ბრალდებული“ იყო ა.წერეთლის, ვარაზიშვილის, ა.ახმეტელის, კ.გამსახურდიას და სხვათა მსგავსად, ფაშისტად და აგრეთვე ფშისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელად</u>.

მ.ჯავახიშვილის მიერ თბილისსა და ქვიშხეთში პროსაბჭური განცხადების ფაქტი ადვილი ასახსნელია. იგი შექმნილი სიტუაციისა და უკვე განცდილი ბრალდებების გამო, შეეცადა თავის დაზღვევას. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ზემოთ ფაშისტებად დასახელებულ პირთა ჩეკისტურად გამოყენების და მათ მიერ მ.ჯავახიშვილის ფაშისტად მოხსენიების დროს, აღნიშნული პიროვნებებიდან ზოგი თავიანთ თანამონაწილეობასაც აღიარებდნენ, ისინი მართლაც მ.ჯავახიშვილთან ერთად არიან დასახელებული ფაშისტებად. როგორც ჩანს, მას გამომძიებელმა დაკითხვის დროს მის სამძებრო

საქმეში მობილიზებული ზოგ სხვათა, მათ შორის, ფაშისტობის ბრალდებით დაპატიმრებულების ნაძალადევი აღიარებები ისე გააცნო, როგორც მისი მამხილებელი ჩვენებები. მაშასადამე, სავარაუდოა, რომ მ.ჯავახიშვილს გამომძიებელმა მიზნობრივად წაუყენა პირადად მის ფაშისტად გამსაღებელთა იმპროვიზირებული ბრალდებები.

მ.ჯავახიშვილის მიერ დაფიქსირებული მოგერიებითი ხასიათის განცხადების ზემოთ აღნიშნული ფაქტი, დასახელებული მწერლებიდან ცოცხლად მყოფ იონა ვაკელთან გადაამოწმა მკვლევარმა ბონდო არველაძემ – „იონა ვაკელმა ეს საუბარი გაიხსენა, მაგრამ ისიც დასძინა, რომ... ამ საუბრის შესახებ მისთვის არავის არაფერი უკითხავს“. ამის გამო ბ. არველაძემ სწორად დაასკვნა: „აქედანაც ჩანს, რომ ჩეკა სულაც არ იყო მიხეილ ჯავახიშვილის გამამართლებელ მასალის მოძიებით“ დაინტერესებულიო (იხ. არველაძე, წამება მიხეილ ჯავახიშვილისა, თბ. 2001, გვ.77). აქედან ისიც კარგად ჩანს, რომ ხელისუფლების მიმართ ლოიალურობის ჩვენების მცდელობით დაწერილი ამ დოკუმენტის, ძირითადი, ნაკლები საშიშროების ჩვენებები მართლა მ. ჯავახიშვილს ეკუთვნის, მაგრამ ამგვარ ლოიალურიბას მისთვის უბედურების მოტანა უფრო შეეძლო ვიდრე ლმობიერებისა, რადგან იგი, როგორც ზემოთ ვთქვი, ნებით თუ უნებლიედ, არა მარტო უპირისპირდებოდა ჩეკას სამძებროს მთელი ადრინდელი მუშაობის მეთოდიკას, კონცეფციასა და ფაქტოლოგიას, არამედ შეიძლება ითქვას, რომ მის მიერ გამოთქმული მოგერიებითი ხასიათის აღიარებათა სახით, თავისებურ დაცინვასაც ავლენდა. ამას კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ცხადყოფს „მ.ჯავახიშვილის“ 21 აგისტოს ამ პირველ განცხადებაში შეტანილი სიტყვები: „საზღვარგარეთთან არავითარი კავშირი არ ყოფილა“; „ბლოკის შესახებ ლაპარაკი არ გვქონია, რადგან გარემოებანი სულაც არ მოითხოვდნენ ამას და არც არავინ გვთავაზობდა მას;“ „ჩვენ არ ვცდილობდით გაზრდას, ჯგუფში არავის ვიბირებდით“; „რწმუნებულები პროვინციაში არ გვყოლია“; „საერთოდ ორგანიზაციულ მუშაობას არ ვეწეოდით; „პასიურ და არა აქტიურ პოლიტიკას ვეწეოდით“ და სხვ. ამ სიტყვებს თუ გავიზიარებთ პ.იაშვილისა და მ.ჯავახიშვილის მიმართ

ბერიას, ანუ ჩეკას ძიების მიზანდასახულობებიდან, ადვილად დავრწმუნდებით, რომ მ.ჯავახიშვილმა საკუთარი თავი საცემად და სიცოცხლე „თავადაც“ გასწირა.

მოხმობილი ამონარიდი ტექსტების განმეორაბა იმისთვის გვჭირდება, რომ მკითხველმა მეტი ყურადღება დაუთმოს ერთი მხრივ, ამ 21 აგვისტოს „ფუტლიარში“ ასახულ აღიარებებს, ხოლო მეორე მხრივ, მეტი ყურადღება მიაქციოს ჩემი მიგნებების მართებულობის გაკონტროლებას და ქვემოთ სათანადო ყურადღებით მოეკიდოს მ.ჯავახიშვილის ხელნაწერი განცხადების იმ ჩვენებების ლოგიკურ-კონვეირულ წარმომავლობას, რომლებსაც უნიკალური ღირებულებები აქვთ მ.ჯავახიშვილის გოგლიძის სახელზე დაწერილი ავტოგრაფული განცხადებების აღიარებათა მიმართების და ნამდვილი თარიღის გამოსარკვევად. <u>კიდევ ერთხელ ავღნიშნავ, რომ მ.ჯავახიშვილისეულ</u> ამ 21 აგვისტოთი დათარიღებულ „ფუტლიარის“ „ჩვენებებს“ არსებითი მნიშვნელობა ეიჭება მომდევნო მ.ჯავახიშვილის ხელნაწერ დოკუმენტის შინაარსთან.

საყურადღებოა, რომ მ.ჯავახიშვილის ეს მოგერიებითი ჩვენებები პრინციპულად ეწინააღმდეგება მ.ჯავახიშვილის „საბრალდებო დასკვნაში” ჩადებულ ადრე დაპატიმრებულთაგან გამოძალულ სასიკვდილო „აღიარება”-ჩვენებებს. ამიტომ იგი არ აწყობდა ჩეკას ძიებას და სავსებით ლოგიკურად მასზე ხელი არც მ.ჯავახიშვილს მოაწერინეს. ისინი არც „საბრალდებო დასკვნაში“ ასახეს, ავტორს კი, მის გამო, და ამის შემდეგ, დიდი უბედურება დაატეხეს.

<u>§3 მიხეილ ჯავახიშვილისგან იურიდიული ძალის მქონე 1937 წლის 21 აგვისტოს აღიარება-ჩვენებათა ჩეკისტური გამოძალვა ბერიას მიერ.</u>

აღნიშნული, 1937 წლის 21 აგვისტოს პირველი განცხადების შინაარსი, როგორც მოსალოდნელი იყო, ხელისუფლებისა და ჩეკას ძიების უზენაესმა ლიდერებმა გაიაზრეს ერთი მხრივ, გამომძიებლის სისუსტედ, ხოლო მეორე მხრივ, მათი მიზანდასახულობისადმი ავტორის ჯიუტ წინააღმდეგობად და მასზე შურისძიების

განხორციელების და სასურველი ჩვენებების გამოძალვის საბაბად. ამის გამო ერთი შეხედვით ადვილად დასამორჩილებელი, ჩია მოხუცის, მაგრამ საკმაოდ ჯიუტის დასათრგუნავად და დასამორჩილებლად, ახლა უკვე პირადად მოიცალეს არა მარტო ჩეკას სამძებროს მთავარმა ბოსმა, ბახჩო ქობულოვმა, არამედ თვით ჩეკას შეფმა, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცკ-ის მდივანმა ლავრენტი ბერიამ. საყურადღებოა, რომ ეს არის განსაკუთრებული მდგომარეობის ამსახველი ფაქტი. ძიების პროცესში ბერიას მონაწილეობა იყო არაორდინალური, საგანგებო ვითარებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მოვლენა და იგი ყოველთვის მთავრდებოდა ჩეკას სამძებროს წინაშე დაყენებული განსაკითრებული მიზანდასახულობას ამოცანის შესრულებით. ამის ნათელ ილუსტრაციას ქმნის „მკვლევარ“ მ.ხომერიკის მცდელობა, მიერ თავისი წიგნის 90-98 გვერდებზე გამოქვეყნებული, მ.ჯავახიშვილისეულად, მის დაპატიმრებამდელ დაწერილად და მისი ნებით შესრულებულად გასაღებული მართლაც შემზარავი ხელნაწერი, რომელიც დათარიღებულია მცდარად - „21/VI-37წ.“.

როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამ ხელნაწერიდან კარგად ჩანს, რომ იგი მ.ჯავახიშვილისეული ნების ასახვა კი არა, არამედ მისგან გამოძალული აბსურდების შემცველია, მაგრამ მ.ჯავახიშვილის ჩეკისტური ბედისწერის ეს „მკვლევარი“, ამ დემაგოგიურ აბსურდებს მიზნობრივად გვერდს უვლის, ზოგ საყურადღებო ინფორმაციას მკითხველს შეგნებულად უმალავს და მის ნაცვლად მრავალწერტილს სთავაზობს. იგი ამით, დაუკვირვებელ და ზერელე მკითხველებს უმალავს, რომ <u>ხელნაწერის დედანი განმარტებები ბერიამ გამოსძალა დაუმორჩილებელ ავტორზე განხორციელებული სასიკვდილო ცემით, ხოლო ამ ბერიას მიერ მოპოებული განმარტებების საფუძველზე გამომძიებლის თანაშემწემ მ.ნაცვლიშვილმა გატეხილსა და დამორჩილებულ ბრალდებულს გააფორმებინა ბერიას და ძიებისთვის სასურველი აღიარებებისა და ჩვენებების შემცველი, შინაგან საქმეთა კომისრის, გოგლიძისათვის წარსადგენი განცხადების სახით</u>. მ.ხოერიკი ცდილობს მკითხველს დაუმალოს, რომ სიკვდილის ზღვარზე მიყვანილი, დამორჩილებული მ.ჯავახიშვილი მაინც ცდილობს, რომ მისგან ბერიას მიერ

მოპოებული აღიარებების გაფორმების დროს ზოგი ადრე „აღიარებული“ უარყოს, მაგრამ თავზე მდგომი ჩეკისტი გამომძიებელ-გამფორმებელი ამის შესაძლებლობას არ აძლევს, იგი სკურპიულიოზურად ასრულებს ზემდგომთა მიზანდასახულობას, რომ მას დამორჩილებულთა ჩვენებები დაადასტურებინოს ბერიას მიზანდასახულობით წარმოებული ტყუილების შესაბამისად. მ.ხომერიკმა იცის რომ მთელი ეს ჩეკისტური ოპერაცია მიზნად ისახავდა, ადრე დაუმორჩილებელი ბრალდებულისგან, იურიდიული ძალის მქონე ხელნაწერის გამოძალვას, მაგრამ ამაზე მიზნობრივად სდუმს.

ჩემს მიერ მიგნებულის საილუსტრაციოდ საჭიროა გავიცნოთ მ.ხომერიკის წიგნში მკითხველისათვის ფარული მიზანდასახულობით მიჩეჩებულ, „მიხეილ ჯავახიშვილის მიერ 1937 წლის 21 ივნისს“, სინამდვილეში პატიმრობის დროს, საკუთარი ხელით და ბერიას მიზანდასახულობით დაკვალიანებული გამომძიებელ-„გამფორმებლის“, მ.ნაცვლიშვილის ზედამხედველობა-„დახმარებით“ დაწერილ და ხელმოწერილ განცხადებას. ამ დოკუმენტს მ.ხომერიკისეული ვერსიის გამოსავლენად, მისსავე წიგნში გამოქვეყნებულის ქსეროკოპირებულის სახით გთავაზობთ:

„Наркому вну дел ССР Гр.

Михаила Саввича Джавахишвили

Заявление

По мере роста фашистских сил заграницей у нас начали проявляться фашистские тенденции. Особенно это проявилось после победы фашизма в Германии (1934 г.), но с 1935 г. рост легкой индустрии в СССР, устранение очередей, создание все более сытной жизни явились той силой, которая мешала сильному росту фашизма. Тем не менее он наблюдался среди интеллигенции, в том числе – радикально левой. Многие из них – в том числе я – постепенно разочаровывались в европейской демократии, которая шаг за шагом теряла свои позиции (победа консерваторов в Англии, поражение радикалов во Франции и т.д.). С другой стороны на перемену настроений среди интеллигенции оказывала сильное влияние более твердая внутренняя политика в СССР. В частности писатели чувствовали это в том, что постоянно стал суживаться его тематический круг и все строже и строже начали относиться к нам Главлит и редакторы. Неустойчивые элементы начали шататься, и одним из таких неустойчивых оказался я.

Медленно всасывала меня фашистская грязь. Больше всего своих единомышленников я обнаружил среди писателей (Геронтий Кикодзе, Ило Мосашвили, Константин Гамсахурдия, Константин Чичинадзе, Аристо Чумбадзе, Павле Иашвили, Тициан Табидзе). Нужно и в дальнейшем иметь в виду, что я все время вращался среди писателей, с другими же знакомыми встречался случайно на улице, где я показывался все реже и реже.

До 1935 г и впоследствии группа писателей и не писателей часто встречалась за карточным столом – играли в преферанс, потом ужинали. Беседы за столом открывали души людей. Чаще всех за этим развлечением я встречался с Кикодзе, Мосашвили и Чичинадзе, которого с осени прошлого года заменил Иашвили. В августе прошлого же года Иашвили пригласил меня, Мосашвили и Кикодзе к себе в Аргвети, где мы провели 4 дня. Здесь и зародилась мысль о превращении нас четырех в ядро будущей фашистской организации. Идеологию мы имели готовую. Несмотря на то, что Гитлер шумел чаще и громче чем Мусолини, мы отдали предпочтение итальянскому фашизму потому, что он умереннее и

"культурнее". Кроме того, мы не разделяли теории крови вообще и в частности потому, что грузины обладают кровью разных групп, что не мешает им принадлежать к единой расе, и еще потому, что мы решительно отвергали национальную нетерпимость германского фашизма, который по средневековому обращается с евреями, тогда как, насколько было нам известно в Италии не преследуют не итальянцев. Мы ни в коем случае не могли упустить из виду, что в Грузии проживает 30% не грузин и поэтому пришли к мысли принять в основном те формы нац. вопроса, которые выработала у нас советская власть. Это, конечно, не значит, будто мы приняли большевистский интернационализм. В основном мы приняли программу итальянского фашизма (корпоральный строй и.д.), решив приноровить её к нашей действительности.

Цели мы предполагали достигнуть в результате неудачной для СССР войны или путем внутреннего восстания в мирное время. Было ясно, что местное восстание могло рассчитывать на успех только в случае решительного поражения СССР или в случае всеобщего восстания в большей части европейского СССР. Отсюда проистекала вся наша тактика – выжидательное ожидание с севера, активное выступление РСФСР, который всегда решал и решил бы основные вопросы всего СССР. Повторение 1924 года считалось безумием. Здесь может возникнуть вопрос, не были ли мы в связи с аналогичными русскими или украинскими организациями. Нет, не были, и нам неизвестно было даже о существовании таковых.

Мы распределили между собой роли. Я – руководитель центра и зав. финансами. Г.Кикодзе поручили информацию установления связи с другими антисоветскими группами и организациями. Переговоры с иностранцами взял на себя Яшвили, а организационное дело поручили Мосашвили. Крайняя конспирация заставила нас принять (…) афианские методы. Например: каждый член мог завербовать только двух, каждый член центра имел право не выносить некоторые вопросы на заседание центра, но сообщал мне.

С самого же начала Иашвили повел собственную линию. Однажды он заявил, что у него имеется своя фракция, и просил нас не связываться с Мицишвили, Т.Табидзе, Ш.Нуцубидзе, З.Нанеишвили и одним крупным партийцем, фамилии которого он не назвал. Мы догадались что он подразумевал В.Джикиа, с которым его связывала очень тесная дружба. Он также дружил с профессорами Ш.Нуцубидзе, З.Нанеишвили и отчасти С.Данелиа. Как то он сказал вскользь: "Нанеишвили и Нуцубидзе мои друзья и не стоит ни обращаться к ним, ни переходить за верийский овраг" иначе говоря, - не суйтесь к профессорам и студентам. Я согласился с ним тем более, что это отвечало нашей тактике максимальной децентрализации, о чем речь будет ниже. Я категорически заявляю, что ни я, ни кто либо из профессоров не обращались друг к другу. Я назвал так много друзей и знакомых, что с моей стороны было бы бесцельно и бессмысленно утаивать какого то профессора или группу профессоров. Если же кто-нибудь утверждает обратное, очень прошу еще раз строго проверить и дать мне с ним очную ставку. Я убежден, что неизвестный, назвав меня, тем самым скрыл кого то другого.

Цель Яшвили была ясна. Он заручался поддержкой профессоров, а через них активной массой студентов. Он сам вызвался установить связь с иностранцами и через них получить информацию от наших эмигрантов единомышленников. Долгое время спустя Яшвили сообщил мне, что польский консул или его представитель сказал ему: вы готовьтесь, а когда нужно будет, мы окажем вам помощь. Этот ответ ничего нам не говорил, информацию от эмигрантов мы так и не получили. Говорят что какой то эмиссар приезжал из заграницы и виделся со мной. Такого случая не было. Признав связь с польским консульством, я не скрыл бы имя уехавшего эмиссара. Снявший голову по волосам не плачут.

Я уже сказал о системе вербовки членов и о крайней децентрализации. Существование отдельных маленьких групп предохраняло от провала всей организации. Исходя из этого, решили иметь примерно в каждом из уездов, крупных центрах по одному представителю, который сам от себя составил бы тройку.

Организациями ведал Мосашвили, но Яшвили пользуясь длительной поездкой в Имеретию, назначил уполномоченных в Чиатурах, Кутаисе, Поти и Батуми. Я допустил неточность . . . уполномоченных в Душети я уже имел - Давида Кобиашвили, который в прошлом году два раза приезжал в Тбилиси и виделся со мной. Он повторил, что у него давно имеется несколько (человек) и ждет только оружия и сигнала.

Д.Церетели и Н.Мицишвили я сказал, что они зачислены в кандидаты центра. В самом центре я о них не ставил вопроса, т.к. знал, что к их приему отнеслись бы отрицательно. Я очень опасался болтливости Церетели и избегал втягивать его, что же касается Мицишвили, его выбор был вызван бездеятельностью Мосашвили. Об этом я говорил с Мицишвили в конце апреля – в мае. Я уехал в Москву и вернувшись узнал об его аресте. Я рекомендовал ему использовать Шалву Чумбуридзе… Рекомендовал поработать среди писателей, артистов и работников кино, но он боялся или бездействовал и я решил заменить его Мицишвили (арест Церетели, Мицишвили и многих других напугал меня сильно и я притих).

Говоря о работе с профессорами я не досказал всего. Я связался еще в прошлом году с проф-ми Панейшвили и Ш.Нуцубидзе. Было условлено, что они продолжат работу в университете, введя еще кого нибудь в свою тройку. С тех пор я несколько раз виделся с ними. Они говорили, что работа идет удовлетворительно, вербовка продолжается, что профессора кроме профессоров вербуют доцентов, те - ассистентов, ассистенты студентов. Я не помню точно кого они пригласили третьего, упоминалось несколько фамилий: В.Беридзе, М.Гогиберидзе, С.Данелия.

Я дошел до самого тайного и страшного признания. Речь идет о связи с польским консульством. Не доверяя Иашвили, я попросил его связать меня с консулом, иначе – сказал я – мне придется лично сходить к нему, а это очень опасно. Спустя некоторое время, в выходной день, утром ко мне пришел неизвестный, который отрекомендовался помощником польского консула. Сперва мы поговорили о посторонних вещах, потом он спросил:

- Поэта Иашвили вы хорошо знаете?
- Знаю хорошо.
- Лживый и жадный человек, неправда ли?
- Я с вами согласен.
- Он передал вам нашу помощь?
- Да, передал – солгал я, догадавшись, что Яшвили присвоил какую-то сумму.
- Некчему иметь посредников, неправда ли?

Я согласился. Потом он долго восхвалял меня как писателя. Он читал по-русски мои рассказы "Белый воротник", "Арсена из Марабды" и назвав меня грузинским Сенкевичем, перешел к политике. Он сказал, что СССР разваливается изнутри, что теперь самое подходящее время для удара, но они – Польша, Германия и Япония – не готовы еще политически т.к. тылы у них не обеспечены. Он знает, что контрреволюционеры пытаются покончить с большевизмом внутренними силами, но это рискованно. – В случае неудачи мы растеряем всех наших союзников внутри СССР. Положение Грузии и Кавказа особенное. Только вашими силами вы не добьетесь ничего. Все решится в Москве. Но надо готовиться, все время готовиться.

Затем он описал мне внешность одного штатного офицера – высокий очень худой. Я знал только одного высокого, худого. Консул делал вид, что не припоминает фамилии. Я ему подсказал:

- Гарсиашвили Леван, полковник, работает в штабе ККА.

- Да, он самый. Он знает вас. В одном обществе он отзывался о вас с самой лучшей стороны. Вы не военный, поэтому не можете быть нам полезны, но оказать услугу можете.

- А именно?

- Дайте мне записку к нему всего в одну строчку.

Я колебался, но он настоял, говоря, что рука руку моет. Я почувствовал ужас, но понял, что выбора не было. В это время он проронил вскользь:

- Советую Вам беречься. У большевиков прекрасно поставлена контрразведка.

Он угрожал выдать меня. Надо было оборвать разговор и позвонить по телефону в ГПУ. Я может быть сделал бы это, если бы рисковал только лишь я, но предать так много друзей и знакомых – это было выше моих сил и я написал: "Леван, крайне необходимо сделать это, иначе погибнут многие твои друзья, в том числе я". Консул положил записку в карман и сказав что он сам будет навещать меня ушел пешком. На другой же день он прислал иудиных 3.000 р. Но Иуда оказался смелее меня: он повесился, а я еще живу.

Связь с консулом я не осмелился рассказать своим друзьям, но Яшвили предупредил, чтобы он навсегда оборвал связь с польским консульством. Я забыл сказать, что перед уходом консула я просил его установить связь между нами и эмигрантами. Он обещал, но ответа я не успел получить. Спустя некоторое время после встречи с польским консулом, я встретил на улице Гарсиашвили. Он прошел мимо, кивнув несколько раз головой, что означало: согласился, дело сделано.

Второй раз консул позвонил в час ночи и предупредил, что скоро явится. Пришел через полчаса. Он был взволнован: какие события! Всех арестуют. Слежка за консульствами и известными гражданами невероятная. "Мы консулы и наши сотрудники настоящие арестанты, зачумленные". Затем он положил на стол пачку денег (опять 3.000 р.) и пожаловался на то, что очень многие его информаторы арестованы и некем их заменить. Не могу ли я достать для него секретные бумаги, или рекомендовать кого либо из заведующих секретной частью? Я не имел ни секретных бумаг, ни знакомых зав. секретной частью. Тогда консул сказал:

Вы могли бы его поискать, но мы слишком спешим: рекомендуйте какого нибудь служащего совнаркома. Он уже не стеснялся, вымогал, угрожал, терзал. Я опять сдался и дал записку к Беглару Нагава, с которым с тех пор не встречался. Консула я тоже больше не видел. Я надеялся использовать консула, на самом же деле оказался в роли его пособника. Благодаря мне, он за 6.000 р. нашел двух шпионов.

Однажды в мае поздно ночью, когда все спали, в дверь тихо постучались. Я открыл дверь. Передо мною в полутьме стоял неизвестный мужчина. "Не узнаешь?" - "Нет" - "Тем лучше". Он сам прошел в комнату, Только по улыбке я узнал Шалву Карумидзе. После приветствия он сам прикрыл ставни и заговорил. Светлый шатен превратился в брюнета, оброс густой бородой. Пока он рассказывал о себе, его перебросили через нашу границу поляки. Показал несколько советских удостоверений и паспорт. Приехал через Сочи-Батум. Обследовал побережье с точки зрения выгрузки оружия. Он был поражен разницей между 1905 г. и теперешним. "Тогда "Сириус" легко выгрузил 500 ружей, которые расхватило население, а теперь не подступиться. Если даже сами погрузим оружие, некому будет его разгружать. Народ запуган и расчитывать на него очень рискованно". Он был мрачно настроен. Он был неправильно информирован заграницей. Там ему сказали будто Россия

накалена до красна и не сегодня – завтра произойдет взрыв, и он поспешил сюда. Чуть было на аэроплане не вылетел из Румынии, но все же предпочел проехать через Украину и там он убедился в обратном. Народ воспринял расстрел Тухачевского и массовый арест с удивлением, которое заграницей превратится в возмущение. "Даже консулы врут, и не хуже журналистов". Затем он стал расспрашивать меня. Я рассказал ему последние новости. Оказалось, что он знал их не хуже меня. На мой вопрос, давно ли он в Тбилиси, с кем виделся, он ответил, что здесь он три дня, а с кем он виделся, это мне излишне знать. Из дальнейшего я вынес впечатление, что из активно работающих политических деятелей он вряд ли уже виделся с кем нибудь. Больше всего его огорчал арест старых офицеров. Об этом он выразился так: "Сталин сразу схватил контрреволюцию за горло. Он задушил ее. Моя поездка дала мне материал на пару фельетонов, но наши (фашистские) газеты не напечатают." Затем выяснилось, что он посетил в Тбилиси польского и германского консулов, которых выругал за то, что они способны черное показать за белое и наоборот. Они, может быть, имеют приблизительно правильные сведения о количестве войск и экономике СССР, но о настроениях масс судят через розовые очки.

Затем он расспросил меня о работе, признал правильной систему троек, советовал крайнюю осторожность и особенно настаивал на том, чтобы не повторился 1924 год. Иметь всегда готовым руководящий орган, а массу созвать будет не трудно. Далее он заговорил об оружии. Он сказал, что помимо чрезвычайных трудностей по выгрузке и хранению оружия, опасно им заранее снабдить Грузию во первых потому, что "каждый большевик имеет 10 агентов и 100 пар глаз" и поэтому оружие наверное будет найдено, во вторых – может вспыхнуть стихийное восстание и Грузия может остаться без грузин. Но в случае войны оружие наверно подвезут и тогда придется поднять всех на партизанскую войну. На мой вопрос, неужели достаточно получить оружие чтобы немедленно восстать, он ответил: - Нет, и в этом случае Грузия может остаться без грузин. Германия и Польша, конечно, будут провоцировать нас на преждевременное выступление, но мы должны дождаться решительного поражения русских и выхода противника в район Дона, после чего нетрудно будет поднять весь Кавказ, но и в этом случае мы можем оказаться перед смертельной опасностью: воюющие могут заключить мир, Кавказ может опять достаться Москве и тогда начнется страшная расправа. Я согласился с ним и спросил, разделяют ли его мнения все влиятельные эмигранты? Он ответил утвердительно, но выразил опасение, что мы не сможем выдержать. Немцы нажмут и заставят нас преждевременно выступить. Он с горечью отметил также тот факт, что в последнее время в Германии упал интерес к Грузии и Кавказу, что ввиду непримиримой позиции Франции Германия еще на многие годы может оказаться связанной и даже возможно, что она вновь сблизится с Россией. В этом случае даже я на коленях буду умолять советскую власть разрешить мне умереть на родине.

- "А тоска по родине всех мучает?"- Спросил я.

- "Плачут в тихомолку и группами"

- А далеко ли война?

- Гораздо дальше чем предсказывают ваши газеты. Правда испанская война еще может затечь в европейскую войну, но скоро она будет ликвидирована.

Разговор коснулся Турции. Карумидзе выразил уверенность, что Турция нападет на Россию и оторвет Закавказье.

- И вы поддержите Турцию?

- Обязательно, лучше турки, чем большевики.

В этом вопросе мы разошлись радикально. На мои возражения, что Турция разграбит нас до ниточки, что сама ничего не сможет нам дать и что наш народ по вековой традиции

ненавидит турок, он ответил, что я тоже заражен суеверным крестьянским страхом перед турками, которых мы вовсе не знаем. Он был очень удивлен моим словом о том, что таким же "суеверием" заражена вся интеллигенция, что мы будем бороться за возвращение в общую грузинскую семью оторванных от нас наших соплеменников, тогда как в случае победы Турции, от нас оторвут Аджарию, Месхетию, Борчало, Джавахетию, все побережье и даже железную дорогу. Карумидзе заявил, что его мнение разделяет меньшинство, но в случае войны и оно по всей вероятности, не осмелиться активно выступить на стороне Турции. Я, конечно не поверил этому и сказал ему, что народ сам будет истреблять туркофилов. Он был явно смущен и заявил, что в случае победы России над Турцией, он и многие грузины были бы не прочь вернуться на родину, но их наверное не примут. О меньшевиках он отозвался по старому с презрением.

Народный фронт его раздражал. Далее он пожаловался на разрозненность эмиграции, которую, по его мнению, может объединить только война. Между прочим он был очень доволен результатами советской политики в Аджарии и вскользь заметил, что Мемед Абашидзе очень состарился. Я понял, что он виделся с Абашидзе или – видел его на улице. Карумидзе злорадствовал по поводу судьбы постигшей грузин-троцкистов, также уклонистов и советовал ни в коем случае не иметь с ними чего либо общего. "Немцы их руками делают свое дело, но при чем тут мы?" Беседа длилась очень долго. Наконец, уходя он обещался перед отъездом еще раз повидаться со мной, строжайше запретил упоминать его фамилию где бы ни было, "иначе пострадайте вы сами и многие ни в чем неповинные."

Приблизительно через неделю меня неожиданно вызвали в Москву на Пленум правления Союза писателей. Я вернулся в июне – через 15-17 дней.

Карумидзе больше не заходил ко мне. Очевидно он уехал не дождавшись моего возвращения. Я сказал, что Г.Кикодзе было поручено установить связь с другими организациями. Он отнесся к этому весьма скептически, утверждая что кроме меньшевиков вряд ли кто либо работает. О том, чтобы войти в контакт с троцкистами и другими антипартийными группами, не было и быть не могло речи. Кикодзе сообщил мне как то, что он беседовал с Нинидзе (в январе или декабре) и получил впечатление, что тот находится в удрученном настроении и скептически относится к будущему. Вопрос этот заглох тогда, но в мае возник совсем с другой стороны.

Однажды ночью М.Ниорадзе по телефону вызвал меня к себе для переговоров по возбужденному литфондом, перед ЦК и горсоветом делу о двух тбилисских домах И.Чавчавадзе. Эти дома давно были переданы нам формально, но город не освобождал их. Вместо того, чтобы увеличить жилплощадь писателей, литфонд прочно управлял им. Не добившись освобождения, мы просили горсовет принять их обратно, но ответа не получили. Я приехал к Ниорадзе. Была поздняя ночь. Он был один. Бумаги об этих домах лежали у него на столе. Нужно сказать, что отношения между нами были натянутые. В 1906 г. в делегатском вагоне из Москвы между нами произошло очень неприятное столкновение, в конце которого Ниорадзе протянул мне стакан вина и просил примириться. Мы примирились. С тех пор я с ним не встречался.

Ниорадзе начал беседу издалека: восхвалял меня до крайности, описывал бедственное положение масс и заявил, что говорит со мной по поручению более сильного лица чем он, что за этим лицом идут массы, что он возглавляет сильную организацию, что я и это лицо очень уважаем друг друга, и т.д. Я был более чем поражен и молчал, Ниорадзе продолжал: нам известно о вашей работе. Мы и вы преследуем одну и ту же цель – свержение существующего порядка и наши дороги проходят очень близко друг от друга. Восстановление частной собственности объединяет нас и разделяют нас мелочи, так почему

же не объединить наши силы? Мы сохраним внутреннюю самостоятельность, но пойдем вместе. Далее он говорил что можно достигнуть внутренними силами, но события могут повернуться и в другую сторону. "Мы пришли к выводу, что мы ничего не добьемся одними лишь антипартийными силами", провал группы Мдивани дал им тяжелый урок и они пришли к решению связаться со всеми активными силами.

- У меня нет организации – сказал я. Ниорадзе усмехнулся и ответил, что организацию я могу создать очень быстро, что все поклонники моего таланта пойдут за мной, что я из близких моих друзей в 2-3 дня смогу организовать центр и что при наступлении решительного момента мое имя, моя подпись под воззванием принесет общему делу огромную пользу. Я ответил, что не могу дать своего имени неизвестному мне лицу, имени которого он не хотел назвать. А Ниорадзе настаивал на обратном: сперва мое принципиальное согласие, потом он сведет меня с руководителями из организации. Я был чрезвычайно смущен и подумал, не провоцирует ли меня Ниорадзе? Далее Ниорадзе разъяснил, что к блоку привлечены также меньшевики и что в объединенный центр войдут четверо: 2 от них, 1 от меньшевиков и 1 от нац.демов (он называл нас нац. демами), но председатель должен иметь решающий голос. Он допускал и другие комбинации, но с непременным условием сохранить за собой решающий голос, ибо, говорил он, у них самая мощная организация, у них уже собраны все нити для нанесения удара и они понесут больше жертв чем другие. Но пока его интересовало мое "да", а меня смущал и пугал этот неестественный союз. Через день-два я намеревался выехать в Москву и не желая форсировать ответ я просил дать мне дня 3 на размышление, но Ниорадзе настаивал на своем и я согласился начать переговоры. Тогда он повез меня к Г.Мгалоблишвили. У него сидел Герасим Махарадзе. Мгалоблишвили справился: "Цель известна вам?" - "Известна". "Итак, речь идет о том, чтобы получше приготовиться к огромным событиям. - сказал он. - Разногласий между нами не должно быть. Наша организация сильнее ваших двух. Мы имеем все необходимые связи, крепкие кадры и т.д. Первый удар предотвращен. В результате – испуг и растерянность. Если аресты будут усиливаться, вновь я соберу вас только после минования грозы". Затем он потребовал сохранения абсолютной тайны. О блоке и встрече пока не должны знать даже наши центры. Затем он сообщил, что к следующей встрече мы должны доставить сведения о наших силах. Это необходимо для составления плана восстания. Далее он говорил о необходимости расширения "дела" до Баку, Эревана и далее на север, и заявил, что в этом отношении кое что уже сделано. При этом он предупредил, что нет нужды в данный момент расширить работу. Наоборот нужно количественно съежится, а качественно укрепиться. Затем он разъяснил мне цель междупартийного комитета: это не оперативный, а объединяющий и направляющий орган, а оперативный орган мы создадим тогда, когда настанет время действовать.

На мой вопрос, можем ли рассчитывать на помощь извне, он ответил, что кое какие силы (Троцкисты? II интернационал?) помогут, но главная надежда – это внутренние силы, что же касается вмешательства иност. держав, то это может кончиться плачевно для всех. Затем он заявил , что в случае же ареста или долгого отсутствия его заменит Ниорадзе, и просил нас назвать наших заместителей. Махарадзе назвал Пинидзе, я – Нуцубидзе. Махарадзе молчал. По-видимому, они успели поговорить до моего прихода. На мой вопрос о будущей форме социально-политического строя, он ответил: "Бухарина читали?" – "Читал" – "Это наша общая платформа, правильно ли я выразился? Об иной платформе пока не могло быть и речи и я ответил: "Правильно". Мгалоблишвили встал и мы разошлись. Через день я уехал в Москву, успев сообщить Нуцубидзе о вышеизложенном.

В Москву я уехал в тяжелом раздумии. Передо мною было несколько неизвестных: кто они в действительности? Каковы их скрытые замыслы? Какие силы могут всплыть за ними? Не сыграли ли мы роль лакея для неизвестных нам сил и лиц? Бухарин и Рыков трупы, троцкизм совершенно раздавлен, значит или они поведут наш народ к анархии, или к Цезарю. Говоря совершенно искренне, постепенно я решил отклонить предложение Ниоралзе. В этом решении я постепенно укрепился в Москве и Ленинграде. Там я узнал о том, как глубоко пашет плуг ГПУ, выкорчевывая все вражеские корни. Вернувшись в Тбилиси в июне, я узнал, что и здесь плуг ГПУ вспахал и пашет также глубоко. Ежедневно арестовывались по несколько известных лиц. Паника в городе росла. Естественно, что я и мои друзья также поддались ей и избегали даже личных встреч. Каждый из нас ежечасно ожидал ареста, ввиду чего мы перестали встречаться.

Опасаясь легкомыслия Иашвили, ... мы стали постепенно отстранять его под предлогом, что мы больше не собираемся, что работа приостановилась. Вместо него мы пригласили в центр Шалву Нуцубидзе и Зозо Нанейшвили и перераспределили роли:

Я вновь взял на себя общее руководство и финансы;

Ш.Нуцубидзе – связь с военными кругами и создание интерпартийного комитета;

З.Нанейшвили – связь с заграницей, вопросы внешней политики;

Г.Кикодзе – информация;

И.Мосашвили – вопросы организации.

Ввиду того, что Нуцубидзе уже работал среди профессуры и студентов, он и теперь оставил за собой общее руководство организациями в ВУЗ-ах.

Некоторое время спустя Нуцубидзе сообщил , что ему удалось связаться с военными кругами, что они сочувствуют идее восстания, что они разделяют нашу идеологию, что они давно уже спаялись в единую касту с единой целью и что они соответственно уже сорганизованы. "Я не нашел нужным – говорил Нуцубидзе – расспрашивать их о подробностях, но мне дали понять, что они готовы к выступлению как только выступят в Москве.

Я запомнил фамилии Тухарели, Гедеванова, Мосидзе, Кутателадзе, Буачидзе. Нуцубидзе просил нас держать этот факт в величайшем секрете.

О плане восстания не было речи: "Рано говорить о плане" – сказал Нуцубидзе.

Г.Кикодзе давал нам информацию. Думаю, что он черпал его у Г.Мгалоблишвили, с которым находился в дружеских отношениях. Он очень пассивный человека и поэтому более активной роли мы ему не предоставили.

Нанейшвили я предупредил о шантажных приемах представителя польского консульства и посоветовал ожидать связи, которую обещал установить Карумидзе. Мосашвили почти бездействовал. Потом я его не подгонял, так как начались массовые аресты.

Наш центр возник по моему почину. Наезжая иногда в Москву, я щупал почву среди писателей, но нарывался на глухую стену. Все мы знали правых писателей (Пастернак, Пильняк и др.), но я не верил, чтобы они участвовали в правой организации. Кроме того, ввиду частых нападок на них, они замкнулись до крайности, а в последнее время бесполезно было к ним подойти. Я имел намерение установить связь с горцами, с Эриванью и Баку, но не успел реализовать это намерение.

Кто из центра на каких заседаниях присутствовал – не могу восстановить. т.к. протоколы не велись. Структура организации была очень проста: каждый член центра нес определенную функцию, так как разных комиссий и т.п. не было.

Я еще раз подчеркиваю, что наш центр практически работал с октября 1936 г. по июнь 1937 г., т.е. 8-9 месяцев. Кроме того, я повторяю: мы боялись расширить работу. Это объясняет тот факт, что работа в провинции велась очень слабо. Организациями и связью с

провинцией ведал Мосашвили, который ни одной фамилии мне не называл. Помня мою просьбу, чтобы он и моей фамилии не упоминал, иначе моя популярность могла очень скоро провалить нас.

Наш центр собирался по очереди у меня, у Киколзе, у Мосашвили, у Яшвили.

Я лично завербовал К.Чичинадзе (зимой 1936 г. у меня на квартире), К.Гамсахурдиа (в январе, в Литфонде) и Д.Церетели (там же в январе же) и Мицишвили осенью 1936 г. у меня на квартире. Я поручил им завербовать по два члена. Согласно нашей системе, я не должен был знать завербованных ими членов и поэтому не расспрашивал их. Церетели любил болтать и я особенно опасался его. Карумидзе, навестив меня как руководителя фашистской организации в Грузии, мог узнать о моей роли или в Тбилиси у польского консула, как я писал об этом выше (стр. 15), или у германского, которые как союзники информируют друг друга.

Кроме Карумидзе эмиссаром из заграницы никто не приезжал и отсюда мы никого не посылали. Связь с Москвой, закреспубликами и горцами представлялась мне крайне необходимой. Но пока я не нашел пути и думал, что скорее москвичи отыщут нас, чем мы москвичей.

Оружие на месте не существует, это мы знали хорошо. Его можно было найти только в арсенале, но для этого нужно было предварительно переманить на свою сторону часть Красной армии, на что и возлагалась некоторая надежда. Запасов оружия мы не делали и об этом даже не помышляли.

47 Стало необходимым сказать несколько слов об ориентации. Подпадение под власть Турции мы считали несчастьем, приход какой либо европейской державы маловероятной, учитывая все реальные силы и выгоды мы попрежнему отдавали предпочтение России. Экономическая выгода, привычка общие культурные навыки, взаимное понимание и т.д.

3/28 Гр. комиссар, я чистосердечно сказал все что сделал и все что знаю. Трагично то, что я служил делу, в успех которого сам не верил. Я полностью сознаю всю огромность моего преступления. Один раз 14 лет тому назад за подобное же преступление Советская власть простила меня, вырастила меня как писателя и дала больше того чем я заслуживал. Тем чудовищнее моя вторичная измена. Но если вы примете во внимание мою 35 летнюю общественно-литературную работу, мое семейное положение и кое какие другие обстоятельства, то не найдете ли возможность оказать мне какое либо снисхождение.

21.VI.1937 г.

М.С.Джавахишвили"[109].

(მ.ხომერიკი, მიხეილ ჯავახიშვილი უნიკალური დოკუმენტების ფონზე, გვ.90-98).

კონკრეტულად მოცემული შემთხვევის შესახებ საყურადღებო ცნობებს შეიცვავს მ.ჯავახიშვილის ერთ-ერთი გამომძიებლის, ანუ უფრო სწორად გამომძიებლის თანაშემწისა და მისი დაკითხვების გამფორმებელის, მიხეილ ნაცვლიშვილის 1953 წლის 20 ნოემბრის „მოწმის დაკითხვის ოქმის“ შესაბამისი ამონარიდი. მასში ნათქვამია, რომ:

მ.ჯავახიშვილს „...ბრალი ედებოდა იატაკქვეშა ანტისაბჭოთა მუშაობაში, პირველი (? – გ.ც.) დაკითხვა ჯავახიშვილს მოუწყო ბერიამ ქობულოვისა და ქვეგანყოფილების უფროსის ლ.კ.აბაშიძის მონაწილეობით. ამ დაკითხვაზე ჯავახიშვილმა საკუთარი ხელით დაწერა ჩვენება თავისი ანტისაბჭოთა საქმიანობის შესახებ. მეორე დღეს (! – გ.ც.) აბაშიძემ ჯავახიშვილის დაწერილი ჩვენებები გადმომცა მე, რათა გამეფორმებინა დაკითხვის ოქმად“. მე გავეცანი ჯავახიშვილის დაწერილ ჩვენებებს და ეჭვი გამიჩნდა ამ ჩვენებების უტყუარობის მიმართ, ვინაიდან მათში მოყვანილი იყო ფაქტები, რომლებიც სინამდვილეს არ შეესაბამებოდნენ.

მაშინ მივმართე აბაშიძეს, რომელიც ჯავახიშვილის დაკითხვაში მონაწილეობდა, და ვკითხე, რაში იყო საქმე? აბაშიძემ მიპასუხა რამდენიმე თანამშრომლის თანდასწრებით, რომელთაგან ახლა მარტო საიდუმლო პოლიტიკური განყოფიილების უფროსი აივაზოვი მახსოვს, რომ „მე რომ ასე ვეცემე, ვაღიარებდი, რომ სიამის ჯაშუში ვარ“ და დაამატა: „დაწერეთ როგორც არის“. ამის შემდეგ გამოვიძახე დაპატიმრებული ჯავახიშვილი, რომელიც ორმა მეთვალყურემ მოიყვანა რადგან დამოუკიდებლად სიარული არ შეეძლო. მარჯვენა ლოყაზე ყურის არე ჩალურჯებული და შეშუპებული ჰქონდა. ჯავახიშვიილს ცემის შესახებ აბაშიძემ მიამბო, რომ ბერიას ბრძანებით ჯავახიშვილს მუშტი დაარტყა ყურის არეში, რისგანაც ჯავახიშვილი სკამიდან დაეცა იატაკზე და გონება დაკარგა, ხოლო ბერია იცინოდა ამაზე. შემდეგ მას წყალი გადაასხეს და გრძნობაზე მოიყვანეს, ქობულოვმა კი გააფრთხილა აბაშიძე, რომ ჯავახიშვილისთვის სახეში აღარ დაერტყა. ხელმეორე (!!! – გ.ც.) ცემის შემდეგ, როგორც აბაშიძემ მითხრა, ჯავახიშვილი დათანხმდა წერილობითი ჩვენების მიცემას.

ჩემს მიერ ჯავახიშვილის დაკითხვის დროს მან მთლიანად დაადასტურა ის, რაც საკუთარი ხელით დაწერილ განმარტებაში (! – გ.ც.) უჩვენა ბერიასთან და ქობულოვთან (! – გ.ც.) დაკითხვის დროს. მიუხედავად იმისა, რომ მისი ჩვენებები აშკარად გამოგონილი იყო, ჯავახიშვილს უარი არ უთქვამს მათზე ჩემთან დაკითხვის დროს და ერთი სიტყვითაც არ მიუნიშნებია, რომ ქობულოვისა და ბერიას (! – გ.ც.) მიერ დაკითხვის დროს მას სცემდნენ.

ჯავახიშვილის ანტისაბჭოთა საქმიანობის შესახებ არავითარი კონკრეტული მასალა არ ყოფილა(!!! – გ.ც.). როგორც მახსოვს, გამოძიებას აბაშიძე ამთავრებდა. ჯავახიშვილის ბრალდებას საფუძვლად დაუდეს მის მიერ საკუთარი ხელით დაწერილი ჩვენებები“ (ანუ შინაგან საქმეთა

სახალხო კომისრის გოგლიძის მისამართით განკუთვნილი მ.ჯავახიშვილის მეორე, ხელნაწერი „21/VI-37Წ"-ით მცდარად დათარიღებული, განცხადების დედანი-იძულებით აღიარებული „განმარტება" - ჩვენებები – გ.ც.). ვინ განიხილავდა ჯავახიშვილის საქმეს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სამხედრო კოლეგიის გამსვლელი სესია თუ სამეული, ახლა აღარ მახსოვს.

ჯავახიშვილის დახვრეტის შემდეგ მალე დააპატიმრეს და დახვრიტეს საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი ლევან კონსტანტინეს ძე აბაშიძე, რომელიც ბერიასთან და ქობულოვთან ერთად მონაწილეობდა ჯავახიშვილის დაკითხვაში. რა ედებოდა ბრალად აბაშიძეს არ ვიცი. მის საქმეს სავიცკი იძიებდა. ჩემი აზრი აბაშიძის დაპატიმრებაზე იმაში მდგომარეობს, რომ იგი, როგორც ჩანს, დააპატიმრეს და დახვრიტეს იმისთვის, რომ ბევრი თანამშრომლის თანდასწრებით ლაპარაკობდა ქობულოვის და ბერიას მიერ დაკითხვის დროს ჯავახიშვილის ცემის შესახებ. სავსებით შესაძლებელია, რომ თანამშრომელთაგან ამის შესახებ აცნობა ქობულოვს ან ბერიას, რაც გახდა მისი დაპატიმრების ძირითადი მიზეზი..." („სუკ"-ის არქივი №9997, ფურც.258-260. ხაზგასმები ყველგან ჩემია).

აქ უპირველესად საჭიროა ითქვას, რომ ეს დოკუმენტი მრავალმხრივ საყურადღებოა. ჯერ ერთი იგი მოპოებულია იმ დროს როცა ძიება წარმოებდა ბერიას და ქობულოვის მონაწილეობით, მ.ჯავახიშვილის და მის უახლეს თანამოსაქმეთა დანაშაულებების „ძიების" მიზნით. ამიტომაც იგი მრავალწერტილით იწყება. მაშასადამე, ეს მოწმობს, რომ მ.ნაცვლიშვილის დაკითხვის ოქმის ამონარიდი მ.ჯავახიშვილის ბრალეულობებს სპეციალურად და მთელი სიზუსტით არ ასახავს. მეორე, ამ ჩვენებაში მ.ჯავახიშვილთან დაკავშირებული, ჩვენთვის უაღრესად საჭირო ზოგი ინფორმაცია არ ჩანს, ის კი კარგად შეინიშნება, რომ მისი ავტორი ზოგ ამბავს შეგნებულად გვერდს უვლის, ხოლო ზოგს კი, ძიებისთვის შეუმჩნევლად აყალბებს. მ.ნაცვლიშვილის ჩვენებიდან ისიც ჩანს, რომ მ.ჯავახიშვილის დაკითხვას ვიდრე დამოუკიდებლად ატარებდა მისი მთავარი გამომძიებელი ლ.აბაშიძე, მას ორდენოსანი დიდი მწერლისათვის ფიზიკური ზემოქმედება არ განუხორციელებია იმდენად, რამდენედაც კარგად ესმოდა უაღრესად პოპულიარული, ორდენოსანი მწერლის ჩეკისტური „აღიარებების" ესტაფეტისა და ნაწამები პატიმრების ჩვენებების გამო პასუხისმგებლობის

მორალური დატვირთვა და მის მიმართ მომაკვდინებელი ბრალეულობების პირადი ინიციატივით შეთითხვნის განუზომელი პასუხისმგებლობის არსი. ამასთანავე, როგორც ჩანს, იგი იყო მ.ჯავახიშვილისგან აღიარებათა ჩეკისტურ-ბერიასეული მეთოდებით მოპოების მოწინააღმდეგეთა წარმომადგენელი. ისიც ცნობილია, რომ იგი ადრე, სავიცკისთან ერთად იყო დინამოს ფეხბურთელთა გუნდის საუკეთესო მოთამაშე, მ.ჯავახიშვილის მიმართ მისი შემდგომი სადისტური ქმედება კი გამოწვეული იყო ერთი მხრივ, ბერიას ბრძანებით, ხოლო მეორე მხრივ, მის მიერ ადრე სხვათა და ლ.ქორქაშვილისგან ჯავახიშვილის შესახებ მოპოებული ჩვენების უარყოფის გამო პასუხისმგებლობის შიშით და არა პირადი ინიციატივით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მისი დაპატიმრება უკავშირდება ჩეკას ორგანოებში დამკვიდრებული დაუწერელი კანონის დარღვევას, რაც მართლაც იყო მოსაკვდინებელი. ჩეკას არქივმა შემოგვინახა მისი და სხვათა, ურჩი ჩეკისტების დაპატიმრება-დახვრეტის მიზეზთა მწირი ცნობები... მომხსენებელი ჯალათი პარამონოვის ინფორმაციით, ლ.აბაშიძე დაბადებული ყოფილა 1908 წელს ოჩამჩირეში, ადრე ანტისაბჭოური განწყობილების გამო გარიცხულიც ყოფილა კომკავშირიდან. მის მიმართ მთავარი ბრალდების სახით წაუყენებიათ ის, რომ „ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური მუშაობის საქმის კურსში იყო და თვითონაც მონაწილეობდა კონტრრევოლუციურ საქმიანობაში" ამიტომ მის მიმართ გამოტანილი იქნა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა, რომელიც განხორციელდა 1938 წლის 14 მარტს (საქმე №14268).

მ.ჯავახიშვილის მთავარი გამომძიებლის ლ.აბაშიძის თანაშემწისა და მისი უფროსის მიერ მოპოებული ჩვენებების გამფორმებელი, მ.ნაცვლიშვილის 1953 წლის „მოწმის დაკითხვის ჩვენებიდან" კარგად ჩანს, რომ იგი ჩქმალავს მ.ჯავახიშვილის ჩეკისტურ ძიებასთან დაკავშირებულ საყურადღებო საკითხებს, კიდეც ტყუის - „პირველი დაკითხვა მ.ჯავახიშვილს მოუწყო ბერიამ"... და გაურბის საკუთარ პასუხისმგებლობას. ჩვენ კი ვნახეთ, რომ ბერიას და ქობულოვის მონაწილეობითა და ბერიას მითითებებით ჩატარებული დაკითხვა, რომლის დროსაც მ.ჯავახიშვილისაგან ორჯერადი ცემით მოიპოვეს

ძიებისთვის სასურველი, მომაკვდინებელი აღიარება-ჩვენებები და ავტოგრაფული ხასიათის განცხადების დაწერის თანხმობა, იყო არა პირველი, არამედ მესამე. მაშასადამე, მ.ნაცვლიშვილი ტყუის და ამასთანავე იგი ცდილობს ბრალდებული მწერლის ყალბი აღიარებებისა და მოსპობის გამო პასუხისმგებლობა მთლიანად დააკისროს ბერიას. უთუოდ ცხადია, რომ ისე, როგორც მთავარი გამომძიებელი ლ.აბაშიძე, მისი თანაშემწე მ.ნაცვლიშვილი, თავიანთი ქმედებით უშუალო მსხვერპლი არიან ბოლშევიკური რეჟიმის, ბერიას და ჩეკას სამძებროს ჯალათების მიერ დამკვიდრებული წესებისა. მაგრამ აქ მთავარი ის არის, რომ იგი აღიარებს: მ.ჯავახიშვილის პირადი ხელნაწერით აღიარებული ჩვენებების „ფაქტები, სინამდვილეს არ შეესაბამებიან". ამასთანავე მისი განმარტებით მ.ჯავახიშვილის ხელნაწერი „განმარტება"-ჩვენება ფაქტობრივად მოპოებული იქნა არა პირველი – 19 აგვისტოს დაკითხვის დროს და არც 21 აგვისტოს პირველი, ცემის გარეშე, არამედ 21 აგვისტოს „ფუტლიარის" მოპოების შემდეგი დაკითხვის დროს, რომელიც ჩატარდა მ.ჯავახიშვილის 1937 წლის 21 აგვისტოთი დათარიღებული, ნაკლებად მძიმე დანაშაულობათა შემცველი, გოგლიძის მიმართ განკუთვნილი პირველი განცხადების საფუძველი ჩვენების დაწერის შემდეგ. ამასთანავე ეს მ.ჯავახიშვილის მცდარად დათარიღებული ხელნაწერი განცხადების დედანი „განმარტებები" მოპოებული იქნა ბერიას და ქობულოვის მონაწილეობითა და ორჯერადი ცემით, მაგრამ მ.ნაცვლიშვილს გადაეცა მოგვიანებით – დაკითხვებისა და ორჯერადი ცემის „მეორე დღეს". ამის მერე, როცა მ.ნაცვლიშვილმა მოისურვა ხელნაწერის მისეულ განცხადება-ჩვენებებად გაფორმება და მისი ჩეკას ძიების, თუ ბერიას მიზანდასახულობებთან შესაბამისობაში მოყვანა ბერიას ბრძანებით შეთითხნილი დაუჯერებლის სასურველად, მ.ჯავახიშვილის ხელით გაფორმება და მისი შემდგომი დაზუსტება-გაკონტროლების მიზნით მ.ჯავახიშვილთან გასაუბრება, იგი იმდენად იყო ნაცემი, რომ „ორმა მეთვალყურემ" მიიყვანა. საეჭვოა, რომ ეს პროცედურა მართლაც ერთ, ან ორ დღეში განხორციელდა, მაგრამ მთავარი არის ის, რომ როგორც მომდევნო თავში ვნახავთ, მ.ჯავახიშვილის ხელნაწერიდან კარგად ჩანს – მ.ჯავახიშვილის დამორჩილება კონტრრევოლუციურ-

ორგანიზაციული ხასიათის დანაშაულობათა აღიარების თვალსაზრისით და მისგან ასეთი მტკიცებულობების ჩვენებათა სახით გამოძალვა, ანუ მათზე თანხმობა, მოპოებული იქნა ბერიას მიერ, მისი ბრძანებითა და ორჯერადი ცემით. ამის მერე მ.ნაცვლიშვილთან გასაუბრების დროს კი, მ.ჯავახიშვილს მის მიერ დაწერილ დაუჯერებელი ფაქტების გამო პროტესტი არ გამოუთქვამს...

მ.ნაცვლიშვილის ჩვენებებიდან მთელი სიზუსტით არა ჩანს, როდის ჩატარდა მ.ჯავახიშვილის დაკითხვა ბერიას და ქობულოვის მონაწილეობითა და მისგან როდის მოიპოვეს ის დაუჯერებელი ხელნაწერი ჩვენებები, ანუ „განმარტებები“, რომლებიც მან დამორჩილებულს უკვე საფუძვლად გამოაყენებინა მისი დახმარებით შექმნილ ხელნაწერ განცხადებაში. აქ არც ის ჩანს ბერიამ ამ დროს ცემის გარდა, ჩეკისტური ძიების დროს სხვათა მიმართ ადრე გამოყენებული და ჩეკისტური ძიების მიერ გამოყენებაში ხშირად ნახმარი რა მეთოდები და დაპირებები გამოიყენა; რატომ გახდა საჭირო ორჯერადი ცემა; ბრალდებული როგორ რეაგირებდა წაყენებულ კითხვებზე, ან პასუხებზე; რომლებიც „სინამდვილეს არ შეესაბამებოდნენ”, „აშკარად გამოგონილი იყო” და მ.ნაცვლიშვილს მეორე დღეს გადასცა გამომძიებელმა აბაშიძემ. არც ის ჩანს, თუ რატომ გააქრეს მ.ჯავახიშვილის ხელნაწერი „განმარტებები“, რომელიც უთუოდ ზედმიწევნით ასახავდა მისი ავტორის ფსიქიკურ მდგომარეობას. მ.ნაცვლიშვილი გაურკვეველს სტოვებს როგორ მოხერხდა უგონო მდგომარეობამდე მიყვანილი მ.ჯავახიშვილის მოსულიერების შემდეგ, მისგან „აშკარად გამოგონილი“ ამბების საფუძველი „განმარტებების“ გამოძალვა, რატომ გახდა საჭირო მეორედ ცემა და შემდეგ „განმარტებების“ 34 ნაწვალებ ხელნაწერ გვერდზე განცხადების სახით ასახვა. მაგრამ მათი ახსნის მიახლოებით შესაძლებლობას გვაძლევენ ბრალდებულის სამძებრო საქმეში და სხვათა საქმეებში დაცული დოკუმენტები. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა მ.ჯავახიშვილის ხელნაწერი. იგი სრულის სახით, მიზნობრივად და საჭირო მეცნიერული კომენტარების გარეშე, როგორც უკვე ვნახეთ, გამოქვეყნებულია მ.ხომერიკის მიერ ბეჭდვური სახითა და მრავალწერტილთა

გამოყენებით. მე კი, გამოვიყენე ამ შემზარავი „აღიარების“ დედანის ის ამონარიდები, რომლებიც შესაძლებლობას მაძლევენ დავადგინო მისი მეცნიერული შემეცნების შესაძლებლობები და ნამდვილი არსი. მე საჭიროდ მიმაჩნია იმის ჩვენება, რომ ხომერიკის მიერ გამოქვეყნებული ეს ხელნაწერი დოკუმენტის ნაბეჭდი პირი პოეტი-აკადემიკოსის, გიორგი ლეონიძის სახელობის მუზეუმის ხელმძღვანელობის კეთილი ნებითა და დახმარებით, მისი დედნის ქსეროკოპირებული ასლის გამოყენებით გადავამოწმე და იმ აზრამდე მივედი, რომ ნაბეჭდი არის არაადეკვატური. იგი არის მთელი რიგი აბსურდების შემცველი, ბერიას მიერ მოპოებული აღიარებითი ახსნა-განმარტებების საფუძველზე შეთითხნილი და მ.ნაცვლიშვილის „დახმარებით“ არის დაწერილ-გაფორმებული, ამასთანავე ჩანს, რომ არის მ.ჯავახიშვილის მრწამსისა და ზნეობის სრული ანტიპოტი.

როგორც ჩანს, 21 აგვისტოს მ.ჯავახიშვილისგან გამომძიებელმა მოიპივა ის ჩვენებები, რომელიც საფუძვლად დაედო მის პირველ, „ფუტლიარ“-განცხადებას და რომელმაც არ დააკმაყოფილა ბერია, ამის გამო პატიმარი იმავე დღეს ცემეს, დაიმორჩილეს და „განმარტებებიც“ დააწერინეს. ხოლო ხელნაწერი შემდეგ შეაქმნევინეს. ისინი იმასაც ადასტურებენ, რომ მ.ჯავახიშვილის მიერ მიცემული ჩვენებების დაუჯერებელ ფაქტებში იგულისხმება არა მხოლოდ ის, რაც შესულია მის <u>19 აგვისტოს ჩვენებათა ოქმიდან და მის შემდგომ დაკითხვის ჩვენებათა საფუძველზე გაფორმებულ გოგლიძის სახელზე დაწერილსა და მ.ჯავახიშვილის მიერ ხელმოუწერელ 21 აგვისტოს „ფუტლიარ“ განცხადებაში</u>, <u>არამედ სხვა, სრულიად გაზვიადებული</u> და საზარელი, ცემით მოპოებული დაუჯერებელი ჩვენებების სახით, რომელთა „აღიარების” მოსაპოებლად საჭირო გახდა არა მხოლოდ ძიების პროცესში ისედაც საქმით გადატვირთული ბერიას ჩართვა, ან გამომძიებლის ერთი ძლიერი დარტყმა სახეში, რომელმაც მ.ჯავახიშვილის იატაკზე დანარცხება, გონების დაკარგვა და მოსულიერება გამოიწვია, არამედ რაღაც სხვა, რამაც ამ გაწამებული მოხუცის განმეორებული ცემის აუცილებლობაც მოითხოვა. ასეთი აღიარებები კი, პირველად მხოლოდ მ.ჯავახიშვილის სრული დამორჩილება – განიარაღების მაჩვენებელ, გოგლიძის სახელზე მცდარად „21/VI-37”-ით,

დათარიღებული, მის სამძებრო საქმეში კი, მკაცრი ქრონოლოგიით ჩაკერებულ და დაცულ ერთადერთ, მ.ნაცვლიშვილის მიერ გაფორმებულ ავტოგრაფულ, ანუ მეორე, ხელნაწერ განცხადებაშია აღწერილი, თანაც ავტოგრაფულად და უკიდურესად გაზვიადებულად. ამის შესახებ საუბარი გვაქვს მომდევნო თავში, როდესაც შემოგთავაზებთ მ.ჯავახიშვილის ამ ხელნაწერი განცხადების დედნისეულ ფურცლებს და მათ ანალიზს.

მოცემულ თავში ნათლად ვნახეთ, რომ: 1. პ.იაშვილისა და მ.ჯავახიშვილის მიერ ბერიას საჯაროდ მხლილებამ, ბერიას და ჩეკას მხრივ გამოიწვია მყისიერი ოპერატიული კონტრდონისძიება. ჩეკას IV განყოფილების II ქვეგანყოფილების საძიებო ჯგუფს გამოეყო სპეციალური შემადგენლობა. იგი გადაკეთდა III ქვეგანყოფილებად და ამ ჯგუფის წევრებს სპეციალურად დაევალათ ამ ორი მამხილებელის გაბათილების მიზნით მათივე დადანაშაულება; 2. მ.ჯავახიშვილის დაპატიმრების შემდეგ III ქვეგანყოფილების გამომძიებლებმა, მისგან მოიპოვეს აღიარებები, რომლებიც არ აკმაყოფილებდა სასჯელის უმაღლესი ზომით კვალიფიკაცირებას, ამიტომ გამოძალვის პროცესში ჩაერთო ბერია. მან მ.ჯავახიშვილის ორჯერადი სასტიკი ცემით და სავარაუდოდ სხვა მეთოდების გამოყენებით მიაღწია ავადმყოფი ჩია მოხუცის სრულ დამორჩილებას, მისგან „ხელნაწერი განმარტებების“ გამოძალვასა და მის საფუძველზე ხელნაწერის გაფორმებას...

<u>თავი VI. მიხეილ ჯავახიშვილი მისთვის ჩეკას ძიების მიერ დაბრალებული აბსურდების და მის ხელნაწერ განცხადება-ჩვენებაში ჩადებული ანომალიური „აღიარებების“ და აბსურდების შუქზე</u>

მ.ხომერიკის მიმართ, მ.ჯავახიშვილის ცხოვრებისეული პერიპეტიების გაყალბების გამო ჩემ მიერ, ჯერ კიდევ ადრე არაერთხელ გამოითქვა, დამაჯერებელი სწავლება თუ არა, ახსნა-განმარტება მაინც (იხ. გ.ციციშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებისა და ეროვნული მოძრაობის ისტორიის პრობლემების გაუკუღმართებულად გაგება-გაშუქების წინააღმდეგ“, თბ. 2005, გვ 62-66; გ.ციციშვილი, მანანა ხომერიკის 25-ზე მეტი ბოროტი ტყუილი...“, თბ. 2005, გვ. 13, „სიცრუე XVI“ და სხვა მრავალი). ამის მიუხედავად, მის მიერ 2008 წელს გამოქვეყნებული პასკვალის 89-90 გვერდებზე, იგი მაინც უსირცხვილოდ წერს: „... როგორ შეიძლება მკვლევარი ეწოდოს გ.ციციშვილს მისი შემდეგი ნაბოდვარის შემდეგ (რომელიც მხოლოდ ერთია მის მრავალ ნაბოდვარს შორის). „მკვლევარი ასე აყალიბებს ჩემს მე-16 „ტყუილს“: „XVI სიცრუე: მ.ჯავახიშვილის მიერ დაპატიმრებამდე (ანუ 13-14 აგვისტომდე), ორი თვით ადრე, „1937 წლის 21 ივნისს, ჩეკას სახელზე დაწერილი 36 გვერდიანი“ ინფორმაცია არ არსებობს (ადრე იგი ამ ხელნაწერს შეცდომით „36 გვერდით” ასახელებდა – გ.ც.).

გ.ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში დაცული, მისი დირექტორის, ქ-ნ იზა ორჯონიკიძის მიერ ქსეროკოპირებული მ.ჯავახიშვილის სამძებრო საქმის შესწავლით დავადგინე, რომ მ.ხომერიკი სარგებლობს ჩეკას გამომძიებელთა მიერ 1937 წელს აგვისტოს 21-ში, პატიმრობის დროს, არაადამიანური წამებით მოპოებულ მ.ჯავახიშვილის 34 გვერდიან ხელნაწერზე დატანილი ადვილად მისახვედრი, მცდარი თარიღით („21/VI-37“). იგი მ.ჯავახიშვილს მიზნობრივად აცხადებს ჩეკას აგენტ - „არსენად“. ეს არის არა მხოლოდ თაღლითობა ისტორიკოსის ვითომ უვიცობით, არამედ ხალხის მოტყუება და მიზნობრივად გამოწვეული დანაშაული. მაგრამ შუბი ხალათაში დიდხან არ დაიმალება”... არა და, საკუთარი თავი აიგდო მასხრად. რატომ არ ეხება(?! – მ.ხ.) 21 აგვისტოთი დათარიღებულ განცხადებას, რომელიც 21 ივნისის

განცხადებიდან განსხვავდება, როგორც შინაარსით, ისე ზომით, ან სად ვაცხადებ მ.ჯავახიშვილს ჩეკას აგენტ „არსენად“? გ.ციციშვილს თუ აკვიატებული აზრები აწუხებს ეს ჩემი პრობლემა არ არის...“ (იხ. მ.ხომერიკის დემაგოგიური სახელწოდების პასკვალი - „მ.ჯავახიშვილი უნიკალური დოკუმენტების ფონზე“, გვ. 89-90).

დიახ, მ.ხომერიკის მიერ აღწერილი ჩემი აზრისა ვიყავი და როგორც წინა თავში ჩემს მიერ გაშუქებული რეალური სიმართლე მოწმობს, ამ აზრზე ვდგავარ იმიტომ, რომ სიმართლეს ვამტკიცებ და მ.ხომერიკისეულ სიყალბეს ვააშკარავებ. მ.ხომერიკმაც კარგად იცის, რომ მ.ჯავახიშვილის საქმეში დაცული, მცდარად, „21/VI-37“-ით დათარიღებული, ერთად-ერთი ხელნაწერი განცხადება, სინამდვილეში 21 აგვისტოს თარიღით, პატიმრობის დროს დაწერილი პირველი განცხადების შემდეგ, ორი გზის ცემის მერე, ბერიას მიერ ნაძალადევად გამოძალული, გამომძიებელ აბაშიძის მიერ თანაშემწე მ.ნაცვლიშვილისათვის გასაფორმებლად გადაცემული იმ ახსნა-„<u>განმარტებების</u>“ საფუძველზე დაიწერა, „<u>რომლებიც სინამდვილეს არ შეესაბამებოდნენ“ და ნაცემმა „საკუთარი ხელით დაწერილ განცხადებაში უჩვენა ბერიასთან და ქობულოვთან დაკითხვის დროს</u>“ (ციტატები გამომძიებელ მ.ნაცვლიშვილისაა). დიახ, ეს მ.ჯავახიშვილის ავტოგრაფი-განცხადება, როგორც მისი გამომძიებელი ლ.აბაშიძე და მ.ნაცვლიშვილი გვიხსნიან, სინამდვილეში არის ბრალდებულისგან ჩეკისტური ძალადობით და 21 აგვისტოს პირველი განცხადების შემდეგ მოპოვებული, გაზვიადებული „განმარტების“ საფუძველზე დაწერილი „განცხადება“-„ჩვენება“, რომელიც იმდენად აბსურდული ჩვენებების შემცველია, რომ მისი უბრალო გაცნობა დაგარწმუნებთ, იგი გამორიცხავს აზრის ლოგიკურ თანმიმდევრობას და აშკარას ხდის, რომ გამომძიებლის მიერ გამოძალულია დამორჩილებული პატიმრისგან და იგი ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად დაუდეს მისი, როგორც დაუმორჩულებელი, ანტისაბჭოთა მამულიშვილისა და მწერლის მოსპობის მიზნით შეთითხნილ, მის „საბრალდებო დასკვნას“. მ.ხომერიკი საქმის რეალურ ვითარებაში ბოლომდე გაურკვეველ მკითხველს 2008 წელს გამოქვეყნებულ პასკვილშიც ატყუებს, როცა იგი მკითხველს ამ ნაძალადევად გამოძალული

განცხადების სრულ ტექსტს სთავაზობს, მისი მიზნობრივი დემაგოგიური შეფასებით უამრავ სიყალბეს აწვდის და ჩემს შესახებ შეურაცმყოფელად წერს: „არა და, საკუთარი თავი აიგდო მასხრად, რატომ არ ეხება 21 აგვისტოთი დათარიღებულ განცხადებას, რომელიც 21 ივნისის განცხადებისგან განსხვავდება, როგორც შინაარსით, ისე ზომით, ან სად ვაცხადებ მ.ჯავახიშვილის ჩეკას აგენტ „არსენად"? გ.ციციშვილს თუ აკვიატებული აზრები აწუხებს ეს ჩემი პრობლემა არ არის" (გვ.90).

ჯერ ერთი, სწორედ მის მიერ მითითებულ 21 ივნისის განცხადებას ვეხები, როცა ვსაუბრობ „36 გვერდიან" განცხადებაზე, რომლითაც მ.ხომერიკს იმასაც ვახსენებ, რომ ფურცლების რაოდენობას (34-ის ნაცვლად „36"-ად) მცდარად მიუთითებს თავის ადრინდელ პასკვილში (იხ. მ.ხომერიკი, მიხეილ ჯავახიშვილის თაღლითი დამცველები დათვურ სამსახურს უწევენ, „მწერლის გაზეთი", 2004, №21, 17-31 დეკემბერი, გვ.15). ამასთანავე აქ ამ განცხადებას მისი შექმნის ნამდვილი თარიღით, 21/VIII-37წ-ითა და გვერდების ზუსტი რაოდენობით („34") მოვიხსენიებ. აქ ჩემს იმ მიგნებასაც ავღნიშნავ, რადგან იგი დათარიღებულია მცდარად („21/VI-37წ."), ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მ.ჯავახიშვილის დაპატიმრებამდე, ორი თვით ადრე დაწერილის სახით „არ არსებობს" (იხ. გ.ციციშვილი, მანანა ხომერიკის 25-ზე მეტი ბოროტი ტყუილი... თბ.2005, გვ.13). რაც შეეხება 21 აგვისტოს იმ პირველ განცხადებას, რომელსაც მ.ხომერიკი ახსენებს, მართლაც იქ არ ვეხები, იმიტომ რომ ამის აუცილებლობა იქ არ იყო. მაგრამ ხომერიკს მისი 2008 წლის პასკვილის გამოქვეყნებამდე სხვა ნაშრომითაც შევუქმენი იმის შესაძლებლობა ეს რომ კარგად გაეგო. ამის მერე აი, აქ (იხ. გ.ციციშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებისა და ეროვნული მოძრაობის ისტორიის პრობლემების გაუკუღმართებლად გაგება-გაშუქების წინააღმდეგ, თბ.2005, გვ.61-62). კი, ავუხსენი, რომ 21 აგვისტოს თარიღით არსებობს ორი მ.ჯავახიშვილისეული განცხადება, მათ შორის 34 გვერდიანი ხელნაწერი, რომელსაც მ.ხომერიკი მიზნობრივად მცდარად მ.ჯავახიშვილის დაპატიმრებამდე, ორი თვით ადრინდელად აცხადებს და არის მასზე ადრინდელი, პირველი, 21 აგვისტოთი დათარიღებული, 7 გვერდიანი ჩვენება, თუ

„აღიარება“, რომელიც აბსოლუტურად გამორიცხავს წაყენებულ ბრალდებას.

მომყავს თითოეული განცხადების დამახასიათებელი არგუმენტები და ვწერ: „34 გვერდიანი განცხადება ანვითარებს, ანუ აზვიადებს და ამძიმებს მ.ჯავახიშვილისავე 21 აგვისტოს პირველ განცხადებაში ჩამოყალიბებულ ზოგ გაცილებით ნაკლებ დანაშაულებრივ ფაქტს...“ ამ „ფუტლიარი“ და „ხელნაწერი“ განცხადების არსთა გარკვევას ეთმობა დასახელებული წიგნის, ანუ მ.ხომერიკის ტყუილების გაშუქების მიზნით შესრულებული 6 გვერდი (გვ. 60-65). იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ მ.ხომერიკმა მართლა ვერ გაიგო? გაიგო მაგრამ... მისი ჭკუით, ასეა საჭირო. იგი ამ მხრივ მარტო არ არის... და ამას აქვს თავისი ყოველმხრივ გაუმართლებელი, სავალალო საფუძველი.

ჩემი კვლევისა და რწმენის დამაჯერებელ წყაროს და საფუძველს, დამატებით ქმნის ამ ხელნაწერ-ჩვენებაში, დიახ პატიმრის ხელნაწერ ჩვენებაში, ორჯერადი ცემის მერე ჩადებული და ნებისმიერი დაინტერესებული მკითხველისათვის არც თუ შეუმჩნეველი ერთგვარი კოდი – სისტემა სიგნალებისა, ანუ აბსურდული აღიარება-ჩვენებები.

ამ კოდს, ანუ სიგნალების სისტემას ახლავე აგიხსნით, ხოლო ამის შემდეგ დაგარწმუნებთ, რომ მ.ჯავახიშვილის ხელნაწერი ისეთი აბსურდების შემცველია, რომელთაც დაპატიმრებამდე ჯანმრთელი, ჭკუაზე მყოფი დამსმენი, თავისი ნებით არავითარ შემთხვევაში არ დაწერდა, ხოლო მ.ხომერიკის დემაგოგიურ მსჯელობას ასაზრდოებს მის მიერ ჩეკისტური კონცეფციის გადამღერება და მ.ჯავახიშვილის „ბრალეულობების“ შესახებ არსებული წყაროების ამ კონცეფციის შესაბამისი ინტერპრეტაცია, ჩანს, ამ „სინამდვილის“ მიმართ მისი აშკარა თუ ფარული დამქაშების მხარდაჭერაც. ჩემს ამ მეცნიერულ მიგნებას წარმოვაჩენ ჯერ მ.ხომერიკის მიერ გამოქვეყნებული ხელნაწერის ნაბეჭდი ვარიანტის, ამის შემდეგ კი, მის მიერ გამოქვეყნებული დედნის საყურადღებო ქსეროკოპირებული ფურცლების ანალიზით. ამ გზით ადვილი გასაგები გახდება, რომ მ.ხომერიკი მ.ჯავახიშვილის ხელნაწერის ბეჭდვურად გამოქვეყნების დროს დედანთან ზუსტ შესაბამისობას მიზნობრივად

არღვევს და ამასთანავე ზოგ საყურადღებო ინფორმაციას მისი ყალბი კონცეპციის შესაბამისად გულმოდგინედ მალავს.

I. მ.ჯავახიშვილის პატიმრის დროინდელი ჩეკისტური ბედისწერის გასაგებად ჩემს მიერ ადრე გამოქვეყნებულის გარდა არსებობს სხვა, კიდევ უფრო დამაჯერებელი ნიუანსები, რომელსაც მიზნობრივად ვერ ხედავენ არა მარტო მ.ხომერიკი, არამედ აგრეთვე, მისი დამქაში, ჩემი მოწინააღმდეგე ის ისტორიკოსები, რომელთაც გასაგები „დიპლომატიური“ მისწრაფებების გამო რიყეზე ქვის დანახვაც არ უნდათ ხოლმე. ასე მაგალითად:

ა) მ.ჯავახიშვილის, როგორც ბერიას მიერ დაკითხულის მრავალ ჩვენებაში, ანუ ან იგივე ჩეკას ძიების მიერ 1937 წლის 21 აგვისტოს დაკითხვის დროს ორჯერადი ცემით მოპოვებულში, რომელიც შეცდომით, თუ მიზნობრივად, დათარიღებული არის ასე "21/VI-37 г.", წერია: "Мы распределили между собой роли... Крайная конспирация заставила нас принять (...) афианские методы. Например: каждый член мог завербовать(! – Г.Ц.) только двух...

С самого же начала Иашвили повел собственную линию...

Я уже сказал о системе вербовки членов... Иашвили, пользуясь длительной поездкой в Имеретию, назначил уполномоченных в Чиатурах, Кутаисе, Поти и Батуми... (! – Г.Ц.)... Я допустил неточность написав, что назначеные(! – Г.Ц.) уполномоченных в Душети я уже имел (! – Г.Ц.) Давида Кобиашвили, который в прошлом году два раза приезжал в Тбилиси и виделся со мной. Он повторил, что у него давно имеется несколько человек и ждет только оружия и сигнала." (მ. ხომერიკი, მ.ჯავახიშვილი უნიკალური დოკუმენტების ფონზე, თბ. 208, გვ.91-92).

ამ ტექსტთან დაკავშირებით უპირველესად უნდა ითქვას, რომ ავტორის ხელნაწერში წერია არა „афианские“, არამედ „мафианские“. ამ ამონარიდიდან კარგად ჩანს, რომ მ.ჯავახიშვილი საკუთარ ხელნაწერ ,,განცხადებაში“, ყველა ადრინდელი და მათ შორის, გოგლიძის სახელზე დაწერილი, ჩემს მიერ წინა თავში სრულად წარმოჩენილი, 21 აგვისტოს პირველი განცხადებისგან განსხვავებით იბრალებს და სრულად „აღიარებს“: ე.ი. დ.კობიაშვილმა მეორე შეხვედრის დროს კი არ სთქვა, არამედ გაიმეორა, რომ მას დიდი ხანია ჰყავს რამდენიმე კაცი და ელოდება მხოლოდ იარაღსა და სიგნალს (იხ. იქვე, გვ.92), ანუ „აღიარებს“: ანტისაბჭოთა არალეგალური

ამბოხებითი, ფაშისტური ორგანიზაციის არსებობას; მისი კონსპირაციის „მაფიანურ“ მეთოდს; ორგანიზაციის წევრების (იაშვილის) მხრივ რწმუნებულების დანიშვნას დასავლეთ საქართველოს ქალაქებში. იგი ამასთანავე აღიარებს რომ დუშეთში მასაც ჰყავდა რწმუნებული, კერძოდ დავით კობიაშვილის სახით, იმასაც უმატებს რომ დ. კობიაშვილი 1936 წელს ორჯერ ჩამოსულა მასთან თბილისში და გაუმეორებია, რომ ჰყავს მებრძოლ მეამბოხეთა ჯგუფი და ელოდება იარაღსა და მოქმედების დაწყების სიგნალს. ე.ი. მ.ჯავახიშვილს 21 აგვისტოს პირველ განცხადებისგან განსხვავებით, მეორე ხელნაწერ განცხადებაში უკვე ისე გამოჰყავს, რომ თითქოს იგი და მის დაქვემდებარებაში მყოფი ფაშისტები ეწევიან პრაქტიკულ–ორგანიზაციულ მზადებას ბოლშევიკური ხელისუფლების დამხობის და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით ორგანიზებული აჯანყებისათვის. როგორც ვიცით ეს მან აღიარა ორჯერადი ცემის ზემოქმედებით...

მაგრამ აქ მთავარი მაინც ის არის, რომ, პირადად მის მიერ გადაბირებულ რწმუნებულზე საუბრის დაწყებამდე, მ. ჯავახიშვილი „აღიარებს“: „მე დავუშვი უზუსტობა“. ობიექტური მკვლევარისთვის ეს და მომდევნო სიტყვები აუცილებლად ხელჩასაჭიდია - საკითხავია: ავტორმა სად დაუშვა ,,უზუსტობა“, ანუ შეცდომა მის მიერ დუშეთში რწმუნებულ კობიაშვილის დანიშვნის, ანუ გადაბირებისა და კობიაშვილისგან საბრძოლო ამბოხებითი რაზმისთვის იარაღის და სიგნალის მოლოდინზე ჩვენების მიცემის, ანუ ხელნაწერ განცხადებაში, ავტოგრაფულად დაფიქსირების დროს?! მ.ჯავახიშვილის ხელნაწერი განცხადების მ.ხომერიკისეული პუბლიკაციიდან ჩანს, რომ სადღაც უფრო ადრედაუშვია უზუსტობა და ახლა ასწორებს. აქედან ხომ ნათლად ისიც ჩანს, რომ მ.ჯავახიშვილს აქამდე, ანუ ფსევდო ”21 ივნისით“ მცდარად დათარიღებულ ხელნაწერში მოცემული, ამ უზუსტობის დაშვებამდე, სადღაც საწინააღმდეგო, ,,უზუსტოდ“ ნაწერი აზრი, ადრე უკვე გამოუთქვამს, ანუ „უჩვენებია“.

ზემოთ აღნიშნული ხელნაწერი ჩვენება ობიექტური მკვლევარისგან მოითხოვდა იგი გაეკონტროლებინა ისტორიის კვლევის რეტროსპექტული და დედუქციური მეთოდით, ანუ იმ აზრით, რომ გაეგო მ.ჯავახიშვილმა ამაზე ადრე სად დაუშვა ,,უზუსტობა“ და რა უზუსტობაზე მიუთითებს?! მაგრამ ამ მიზნის მიმართულების ძიებით, ჩემს გარდა არავინ დაინტერესდა. მ.ხომერიკის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტის მიხედვით

გამოდის, რომ თითქოს მ.ჯავახიშვილს ამ ,,21/VI-37წ.“ ხელნაწერ განცხადება–დასმენაზე ადრე სადღაც უკვე აქვს ნათქვამი თუ დაწერილი საწინააღმდეგო აზრები, რომლებსაც აქ ასწორებს. თუ პირობითად დავუშვებთ, რომ მ.ხომერიკის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტებისა და მისი მცდარი ნააზრევის მიხედვით მ.ჯავახიშვილის ხელნაწერი განცხადება დაწერილია მასზე დატანილი თარიღით, მაშინ გამოდის, რომ ბრალდებულს 21 ივნისზე ადრე ჰქონდა ჩეკაში ვიზიტი, რომლის დროსაც მოუხდ, ჩვენების დაწერა და „უზუსტობის“ დაშვება, მაგრამ ეს არის აბსურდი. მ.ხომერიკის მიზნობრივად ყალბი „მტკიცებითაც“ მ.ჯავახიშვილის „21/VI-37წ“ ხელნაწერი განცხადება არის მისი პირველი, დაპატიმრებამდე ორი თვით ადრე დაწერილი დასმენა. მ.ხომერიკმა 2008 წელს გამოქვეყნებულ თავის წიგნ–პასკვილში, სწორედ ამიტომ გამოაქვეყნა ჯერ ეს „21/VI-37წ“–ით დათარიღებული ხელნაწერი მეორე განცხადება (იხ. გვ.90-98), ხოლო ამის მერე, პირველი 21 აგვიტოს განცხადება (იხ. გვ.99-108) და სწორედ ამიტომ დაარღვია მ.ჯავახიშვილის საქმეში სწორი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ჩაკერებული „მწერლის“ განცხადებების რიგითობა. საქმეში ჯერ ჩაკერებულია 21 აგვისტოს, ხოლო შემდეგ 21 ივნისით დათარიღებული განცხადება (იხ. საქმე #9997, ფურც.10-15 და 16-49). მაშასადამე, საქმეში სკურპულოზურად არის დაცული ამ დოკუმენტების თანმიმდევრობა. მ.ხომერიკი კი, ახდენს მათ მიზნობრივ გადაადგილებას. ეს არის ფანდი, რომელიც მიზნად ისახავს მკითხველის მოტყუებასა და მისი ყალბი კვლევა–ძიების გამართლებას.

მ.ჯავახიშვილის თარიღის („21/VI–37წ.“) ,,უზუსტობა“ მე მის მიერ ჩადებულ კოდად მივიჩნიე, რადგან წამებული პატიმრის მიერ მიცემულ აღიარება–ჩვენებაში სხვაგანაც შემხვედრია თავისი სიმართლის მამხილებელი „კოდის“ ჩადების მაგალითი... ამიტომ ყველა სხვა დაინტერესებულთაგან განსხვავებით, მე ყურადღება მივაქციე ამ ,,კოდად“ მიჩნეულის ამოცნობას და ამ მიზნით ბრალდებულის მიერ გამოქვეყნებულის მიდევნებით გაკონტროლებას. ამ გზით მე მივაგენი, რომ: ამ ხელნაწერი ჩვენება - განცხადების ტექსტის ზედა ნაწილში არსად არ არის ნახსენების შესაბამისი „უზუსტობა“. მაშასადამე იგი საძებნელი იყო მანამდე, ანუ ძიების მიერ 21 აგვისტოს, იგივე ფსევდო 21 ივნისის ჩვენება–განცხადების წინ, ანუ ფუტლიარით აღიარებული მწერლის ,,უზუსტობის“ სახით. მისი ძებნა 1937 წლის 21 ივნისამდელი აღიარების სახით აბსურდიცაა და მ.ჯავახიშვილის

ჩვენებაში კი არა, რომელიმე სხვათა ადრინდელ ნაწერშიც არ იძებნება. ზემოთ მოხმობილი ”აღიარების“ საწინააღმდეგო, დასაზუსტებელი და ჩასასწორებელი, ანუ საწინააღმდეგო ”აღიარება“, კი, მ.ჯავახიშვილის სამძებრო საქმეში დაცული მისთვის მიწერილი აღიარებებიდან ერთში მართლაც აღმოჩნდა. იგი ნათქვამია და მაშასადამე დაფიქსირებულია, მხოლოდ პატიმარ მ.ჯავახიშვილის მიერ გოგლიძის სახელზე დაწერილ პირველ, 1937 წლის 21 აგვისტოთი დათარიღებულ ფუტლიარ „ჩვენება–განცხადება-აღიარებაში“. ეს კარგად ჩანს წინამდებარე წიგნის წინა თავში შეტანილ 21 აგვისტოს მ.ჯავახიშვილისეულ განცხადებაში. ასე მაგალითად:

მ.ჯავახიშვილის აზრის მიხედვით დაწერილ და გამომძიებლის მიერ შინაგან საქმეთა კომისარ გოგლიძის მიმართ წარდგენილ 21 აგვისტოს პირველ განცხადებაში, ანუ ფუტლიარის დედანის დაწერის დროს ბრალდებული იძულებული გახადეს ეთქვა თავისი და სხვათა ნაკლები სიმძიმის დანაშაულობათა შესახებ. იგი უარყოფს იმას რაც ცემის შემდეგ აისახა ხელნაწერ–განცხადებაში. ასე მაგალითად, ფუტლიარში წერია, რომ რაიონებში რწმუნებული არ ჰყავდათ... ამასთანავე, უარყოფს ორგანიზაციულ-პრაქტიკულ ფაშისტურ საქმიანობას, ფაშისტობას და აგრეთვე რაიონებში რწმუნებულებისა და მათი ხელმძღვანელობით დარაზმული მეამბოხეების არსებობას. 21 აგვისტოს, „ფუტლიარში“ ვკითხულობთ: "... Мы не пытались численно расти...

Выше я сказал, что мы не пытались расшириться, в группу никого не вербовали... Но у нас были сочувствующие и сочувствовавшие, разделявшие наши установки...

Уполномоченных в провинциях не было(! – Г.Ц.) по той причине, что мы вообще организационной работы не вели(! – Г.Ц.). Это не значит, что кое где самостоятельно не возникали(! – Г.Ц.) нацдемовские группы. Я имел случай лично убедиться в этом; два года тому назад я жил в Душети некоторое время. Со мной познакомился педагог Давид Кобиашвили, который назвался нацдемом и заявил, что у него имеется группа в несколько человек“.

ეს ერთი, მეორე იქვე გაგრძელებაში მ.ჯავახიშვილი წერს:

Спрашивается, какими средствами мы намеревались достигнуть цели? Вооруженная борьба вовсе исключалась(! – Г.Ц.). Этот вопрос в нашей группе даже не ставился(! – Г.Ц.). Это может показаться наивным, но факт: мы только пропагандировали наши идеи среди наших знакомых (! – Г.Ц.) и ждали "подходящего случая", иначе говоря, мы занимались пассивной а не активной политикой (! – Г.Ц.)." (მ.ხომერიკი, მიხეილ ჯავახიშვილი უნიკალური დოკუმენტების ფონზე, გვ. 101-102, ხაზგასმა ყველგან ჩემია). როგორც ვხედავთ ხელნაწერში სახეზე გვაქვს ჩეკისტური აზრის ლოგიკური განვითარება, რომელიც ეკუთვნის არა მიხეილ ჯავახიშვილს, არამედ მისგან განმარტებების ცემით მომპოვებელ ბერიას და ამ აღიარებათა ხელნაწერ განცხადებად გამფორმებელს მიხეილ ნაცვლიშვილს.

ბ) როგორც ზემოთ ციტირებული ამონარიდში და წინა თავში ვიხილეთ, მ.ჯავახიშვილი 21 აგვისტოს განცხადებად გაფორმებულ „ფუტლიარ“ ჩვენებაში წერია: „საზღვარგარეთთან არავითარი კავშირი არ ყოფილა, ბლოკის შესახებ ლაპარაკი არ გვქონდა, რადგან გარემოებანი სულაც არ მოითხოვდნენ ამას და არც არავინ გვთავაზობდა“. ბერიას ინიციატივით განხორციელებული ორჯერადი ცემისა და დამორჩილების შემდეგ კი, იგი ვრცლად ყვება საზღვარგარეთიდან მისიონერ შალვა ქარუმიძის სტუმრობასა და მასთან საუბარს. იგი დაწვრილებით აღწერს საქართველოს მწერალთა ანტისაბჭოთა კ/რ არალეგალური პრაქტიკულ ორგანიზაციული ფაშისტური ორგანიზაციის ანტისაბჭოთა მოქმედების შესახებ (იხ. მ.ხომერიკი, მიხეილ ჯავახიშვილი უნიკალური დოკუმენტების ფონზე, გვ.93-95). მაშასადამე, სახეზეა იგივე ჩეკისტური მაქინაცია.

გ) ჩეკისტი გამფორმებელ–ფალსიფიკატორი მჟღავნდება, აგრეთვე მიხეილ ჯავახიშვილის უნივერსიტეტის პროფესორებთან ურთიერთობის თხრობის მაგალითზეც. მ.ჯავახიშვილის ხელნაწერი განცხადების დასაწყისიდან კარგად ჩანს, რომ მ.ჯავახიშვილი კატეგორიულად უარყოფს კავშირს უნივერსიტეტის პროფესურასთან (იხ. მ.ხომერიკი დასახელებული წიგნი, გვ.91) და გადადის სხვა ამბების გადმოცემაზე (იქვე, გვ.91-92). მაგრამ გამომძიებელი ნაცვლიშვილი მას აიძულებს ამავე საკითხს დაუბრუნდეს ახლებურად და მის მიერ კატეგორიულად უარყოფილი შეცვალოს დანაშაულად და იგი მთლიანად აიღოს საკუთარ თავზე. ხელნაწერის მომდევნო გვერდებზე

ვკითხულობთ: „Говоря о работе с профессорами я не досказал всего“... და ისეთ აბსურდებს წერს (ანუ ნაცვლიშვილი აწერინებს), რომელიც ადრე სხვა გამომძიებლებისაგან და თვით ლ.აბაშიძე–მ.ნაცვიშვილის მიერ იყო გამოძალული მ.ჯავახიშვილის წინამორბედი პატიმრებისგან და აგრეთვე იმას რაც ორჯერადი ცემით გამოსძალა ბერიამ (იხ. იქვე, გვ.92, 95-96, 96, 96-97).

დ) ორჯერადი ცემის შემდეგ დაწერილ თუ გადაწერილ ხელნაწერში, მ.ჯავახიშვილი „აღიარებს“ მოლაპარაკებებს ანტისაბჭოთა ბლოკში გაერთიანებული ჯგუფების წევრებთან (ნიორაძე, მგალობლიშვილი, მახარაძე; სამხედრო მეამბოხე განწყობილებების წარმომადგენლებთან – თუხარელი, გედევანოვი, მოსიძე, ქუთათელაძე, ბუაჩიაძე) და სხვ. (იხ. იქვე, გვ.95-97).

ზემოთ მოყვანილი და ზოგი სხვა მსგავსი ნიუანსებიდან კარგად ჩანს, რომ მ.ჯავახიშვილის 21 ივნისით დათარიღებულ ხელნაწერი ტექსტით ,,აზუსტებს“, ანუ ორჯერადი ცემის შემდეგ ავითარებს ადრე, 21 აგვისტოს, განცხადებაში შეტანილ ტექსტს. ამ განვითარების დამადასტურებელი სხვა მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ მთავარი, ალიბი ნაპოვნია. ამიტომ იქნებ აღარ ღირს წიგნისა და მკითხველის გადატვირთვა. მაშასადამე, პრობლემა გრაკვეულია. მ.ჯავახიშვილი 21 აგვისტოს პირველ განცხადებაში რომ უარყოფს, იმას ბერიას მონაწილეობით დაკითხვისა და მისი პირადად ბერიას ბრძანიებით ჩადენილი ორჯერადი ცემის შემდეგ ადასტურებს, ანუ აზვიადებს იმად, რასაც ცემამდე მისგან მოითხოვდა ჩეკას ძიება, ჯერ ლ.აბაშიძე და შემდეგ ბერია. ამ დროს იგივე ამბავი ხდება რაც ზოგიერთის პირველადი დაკითხვის და წამების შემდეგ –პატიმარს ცემდნენ, სანამ საწადელს ბოლომდე მიაღწევდნენ. ისინიც ჯერ უარყოფდნენ, მაგრამ ჩეკას ძიების მხრივ სასტიკი ზემოქმედების მერე ,,აღიარებდნენ“.

1937 წლის 21 აგვისტოს გოგლიძის სახელზე დაწერილი მ.ჯავახიშვილის პირველი, პასიური პოლიტიკის წარმოების აღიარებათა შემცველი და ამის მერე 21 ივნისით, მცდარად დათარიღებული მწერლის ხელნაწერი ჩვენებების სწორი შეპირისპირებით ირკვევა მათი თანმიმდევრობა. ცხადი ხდება, რომ პატიმარს გამომძიებელმა ლ.აბაშიძემ ჯერ გამოსძალა ჩვენება და მის საფუძველზე შექმნა1937 წლის 21 აგვისტოს „ფუტლიარი“ განცხადება, ხოლო ამის მერე ბერიას ჩარევით დააწერინეს გაზვიადებულ ჩვენებათა შემცველი ,,21/VI–37წ.“ თარიღის მქონე მეორე, ხელნაწერი განცხადება, რომელსაც ჯერ

კიდევ ბოლომდე გაუგებარი მიზეზით მიწერილი აქვს არასწორი თარიღი – „21/VI-37წ“.

ეს ჩემი მიგნება არის უაღრესად დამაჯერებელი და ადვილად შესამჩნევი, იგი ამტკიცებს, რომ სახეზეა ორი ურთიერთ გამომრიცხავი განცხადება ანუ ბრალდების „აღიარებათა“ შემცველი ჩვენებბი. ეს ტექსტები, ანუ შესაბამისი გოგლიძის სახელზე დაწერილი განცხადებები მ.ხომერიკის წიგნში, როგორც სათანადო გვერდები მოწმობენ, მკითხველის მოტყუების მიზნით, მიზნობრივად არის დროში მცდარი თარიღის გამოყენებით გადაადგილებული.

მ.ჯავახიშვილის ხელნაწერი განცხადების პირველი ფურცელი საქმეში დანომრილია 16–ით და ასე შემდეგ. ეს კარგად ჩანს თვით მ.ხომერიკის წიგნში, გამოქვეყნებული დოკუმენტების დანომრვით და ირკვევა, რომ მ.ხომერიკის წიგნში ადგილი აქვს განცხადებათა მიზნობრივად გადაადგილებას მ.ჯავახიშვილის საქმეში დოკუმენტები ჩაკერებულია ასე: ფურც. 10-15 – მ.ჯავახიშვილის ხელმოუწერელი, მისი დაკითხვის საფუძველზე ნაბეჭდი განცხადება – ფუტლიარი; ფურც.16-49 – პატიმარ მ.ჯავახიშვილისაგან ბერიას მონაწილეობითა და ორჯერადი ცემით გამოძალული აფსურდული აღიარებების შემცველი ხელნაწერი განცხადება, რომლიდანაც ამოკრეფილია მის საბრალდებო დასკვნაში შეტანილი, 21 აგვისტოთი დათარიღებული ხუთი ჩვენება, რომლებიც ხელნაწერის მიხედვით დათარიღბულია მცადარად – „21/VI–37წ.“; ფურც.50-54 – მ.ჯავახიშვილისეულად გასაღებული 31 აგვისტოს ნაბეჭდი და ხელმოუწერელი განცხადებან – ანუ კვლავ „ფუტლიარი“.

მ.ხომერიკის წიგნში კი, მიზნობრივად ჯერ გამოქვეყნებულია მ.ჯავახიშვილის ხელნაწერი განცხადება – გვ.90-98, ხოლო ამის მერე 21 აგვისტოს ფუტლიარი განცხადება – გვ.99-102. ეს არის თაღლითობა. მას ამ ყალბ საფუძველზე აქვს აგებული მოაზრებული ყალბი კონცეფცია, მისი არგუმენტაცია და მთელი მსჯელობა, მ.ჯავახიშვილის მიმართ გამოთქმული სხვა უმძიმესი ბრალდებები და ზოგი ბრიყვი მკითხველი, თუ თაყვანისმცემელი მეორადი „ექსპერტი“, თუ რეცენზენტი, კიდეც დააჯერა თავის ასეთი დანაშაულებრივი მტკიცებულებით.

ე) მ.ხომერიკმა კარგად იცის, რომ დოკუმენტის არსის ამოცნობა ზოგჯერ მარტო თარიღით არ შეიძლება. დათარიღების დროს დაშვებული შეცდომა

სხვა დროსაც გვხვდება, ამ შემთხვევაში მთავარია მისი შინაარსობრივი ინფორმაცია. ასე მაგალითად:

მ.ხომერიკი 2008 წელს გამოქვეყნებულ პასკვილში წერს: „1996 წელს... ანდრე ჟიდი წერდა...“ (გვ.64), ამ ტექსტის სქოლიოს მიხედვით კი, ეს წიგნი გამოქვეყნდა 1990 წელს (იქვე, გვ.154); იგი იმავე წიგნის 95-ე გვერდზე წერს, რომ თითქოს მ.ჯავახიშვილსა და მ.ნიორაძეს შორის მოსკოვიდან მომავალ ვაგონში ინციდენტი მოხდა „1906 წელს“; მან ისიც იცის, რომ მისი ბაბუის მიერ საქართველოს მწერალთა კავშირის პარტიული ორგანიზაციისადმი 1937 წლის 27 ივნისს წარდგენილი, დასმენა–საჩივრის განცხადებას, რომლითაც იგი მ.ჯავახიშვილსაც ამხელს და კიდეც ემუქრება, რომ სათქმელს მომავალში ბოლომდე იტყვის; პარტორგანიზაციის მდივანმა, ს.ეულმა დაადო რეზოლუცია: „ამხ. პ.ჩხიკვაძეს. გთხოვთ დაუყოვნებლივ გამოიკვლიოთ. ორი დღის განმავლობაში და შედეგი განვიხილოთ პარტორგანიზაციაში“, ის რეზოლუცია დათარიღებული და ხელმოწერილია ასე – „27/V ს.ეული“ (იხ. აკად გ.ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის არქივი, საქმე #25510/25, ფურც.186). მაშასადამე, სწორ თარიღს აკლია ერთი ხაზი. მსგავსი მექანიკური შეცდომა შეიძლება იყოს დაშვებული მ.ჯავახიშვილის პატიმრობის დროინდელ ორჯერადი ცემით მოპოვებული ხელნაწერის დათარიღების დროსაც. მაგრამ როგორც ვხედავთ მ.ხომერიკმა მ.ჯავახიშვილის საქმეში დაცული, აბსურდული აღიარებების შემცველი ხელნაწერის დათარიღებისა და მითუმეტეს მისი კონცეპტუალური აზრების საფუძვლად გამოყენებისას, შინაარსის სწორად გააზრების ნაცვლად მისი თარიღის მიხედვით გადაადგილება და ყალბი, მიზნობრივად სენსაციური, გაგება შემოგვთავაზა. მაგრამ უშედეგოდ – შუბი ხალათაში ვერ დაიმალა.

ვ) როგორც ვნახეთ, მ.ხომერიკი გულმოდგინედ ცდილობს მკითხველი დაარწმუნოს, რომ მ.ჯავახიშვილისაგან პატიმრობის დროს ბერიას მონაწილეობითა და მისი ბრძანებით განხორციელებული ორჯერადი ცემით, გამოძალული, გოგლიძის სახელზე დაწერილი, მცდარად დათარიღებული ხელნაწერი განცხადება მკითხველს მიასაღოს როგორც მის დაპატიმრეამდე ორი თვით ადრე მიწოდებული თანამოაზრე-მეგობრების დასმენა „ჩეკას თუ ბერიას“ წინაშე. ამ შემთხვევაში ჩეკასა და ბერიას შორის განსხვავება არ არის. ბერიას გადაწყვეტილი აქვს მ.ჯავახიშვილის

გამოყენება, მისი ხელნაწერის, ანუ იურიდიული ძალის მქონე აღიარებების მოპოვება და მოსპობა. ამ ამოცანის შესრულება დაევალა ჩეკას გამომძიებელ ლ.აბაშიძეს, რომელმაც დავალებას თავი ვერ, თუ არ გაართვა. მაგრამ მთავარია ის, რომ მ.ხომერიკი მ.ჯავახიშვილის ჩეკას დამსმენ-აგენტად გასაღებას ცდილობს, რაც დიდი მწერლის მიმართ მისი მთავარი მისწრაფებაა. ამ მიზნის მიღწევას მ.ხომერიკი მრავალი ფანდით ცდილობს. მათ შორის, როგორც ვამხილეთ იყო მწერლის ხელნაწერის მცდარი თარიღის გამოყენება და მკითხველებისათვის იმ აზრის ჩაგონება, რომ თითქოს ნაცემი, 34 გვერდიან ხელნაწერს ვერ დაწერდა. ამასთანავე მ.ხომერიკის ერთ-ერთი მთავარი ფანდია აღნიშნული ხელნაწერი განცხადების აბსურდული შინაარსის წაყრუება. მას მ.ჯავახიშვილის ხელნაწერ განცხადებაში აშკარად შესამჩნევი ჩეკას ძების მიერ ჩადებული, მათ შორის „საბრალდებო დასკვნაში“ გატანილი „აღიარება ჩვენებები“ მიზნობრივად გაგებული და მკითხველისთვის მიწოდებული აქვს კრიტიკული ანალიზის გარეშე, ანუ როგორც სიმართლე. მ.ხომერიკი გვერდს უვლის იმასაც, რომ მ.ჯავახიშვილის ხელნაწერი განცხადების სწორი გაგებისთვის არსებობს მისგან ამოღებული „ჩვენება-აღიარებების“ სწორი დათარიღებები. ისინი „საბრალდებო დასკვნაში“ შეტანილია არა დედნისეული აღიარების მცდარი თარიღით, არამედ პატიმრობის დროინდელი, სწორი თარიღით - „21 აგვისტოთი“.

ზ) ასეთივე წაყრუების ფანდით, მ.ხომერიკი მკითხველის ყურადღებას არიდებს მ.ჯავახიშვილის ხელნაწერში ჩადებულ აშკარა აბსურდებს. ასე მაგალითად:

1. მ.ჯავახიშვილი ორგანიზაციულად არსებული, მოქმედი, პრაქტიკული მუშაობით „დადასტურებული“, საქართველოს უკვე გამომჟღავნებულ-დახვრეტილ „გაერთიანებულ ნაციონალურ ცენტრთან“ დაკავშირებული, მისი ორგანიზაციულ-პრაქტიკულად მებრძოლი, არალეგალური ანტისაბჭოთა ფაშისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელად და ხელმძღვანელ მონაწილეებად ასახელებს ცოცხლად გადარჩენილებსაც. მაგრამ მათგან ზოგი არც დაუპატიმრებიათ, არც დაუკითხავთ და არც ოდესმე ჩეკისტური ზემოქმედებით შეუწუხებიათ. კონსტანტინე ჭიჭინაძე ნ.მიწიშვილის

ჩვენებასთან დაკავშირებით 1956 წელს დაკითხეს. მან აღიარა, რომ 1938 წლის თებერვალში პირადი პრეტენზიის გარკვევის მიზნით ესტუმრა ბერიას. ამ დროს ბერიას მისთვის ნიშანი მიუგია: „თქვენ ბრალი გედებოდათ ჯავახიშვილთან და ტოროშელიძესთან კავშირში, შემდეგ დაუმატებია „ორგანიზაციულ კავშირში“. კ.ჭიჭინაძეს დაუფიცია - „არავითარი ორგანიზაციული კავშირი არ მქონდა“. ბერიას უთქვამს: „აქ ბევრი იფიცებოდა, მაგრამ სხვა ადგილას აღიარებდნენ“. ამის გამო კ.ჭიჭინაძეს გაუბედავს: „ცუდია, თუ ადამიანს უხდება აღიაროს დანაშაული, რომელიც მას არ ჩაუდენია“. ამის პასუხად ბერიას უთქვამს: „ყველაფერმა ამან ჩაიარა და ახლა აღარ იშფოთოთ“ (რ.კვერენჩხილაძე, საბუთები ღაღადებენ, თბ. 2011, გვ.381) ეს იმას მეტყველებს, რომ არავითარი ორგანიზაციული კავშირი არ არსებობდა.

მართალია მ.ჯავახიშვილის მიერ დასახელებულებიდან ზოგი სხვაც 1930-40-იან წლებშივე დააპატიმრეს და დაკითხეს კიდეც, მაგრამ არა ფაშისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელობის გამო. ზოგი მათგანი კი, 1950-იანი წლების სარეაბილიტაციო პროცესის დროს, მოწმის სახით და სისხლის სამართლის სათანადო მუხლების პასუხისმგებლობით გამოკითხეს, მაგრამ არა მ.ჯავახიშვილთან ფაშისტურ ორგანიზაციაში მუშაობის გამო.

2. მ.ჯავახიშვილის ხელნაწერი განცხადების ჩვენებების მიხევით, ხსენებული ფაშისტურ ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ გადაბირებულ თანამოაზრეებად დასახელებული არიან – კონსტანტინე ჭიჭინაძე, გერონტი ქიქოძე, კონსტანტინე გამსახურდია, ილო მოსაშვილი და შალვა ნუცუბიძე; არც ერთი მათგანის მხრივ მ.ჯავახიშვილის ფაშისტური ორგანიზაციის შესახებ ცნობები არ გაგვაჩნია.

3. მ.ჯავახიშვილს აღიარებინეს და დააწერინეს: როდესაც ფაშისტური ორგანიზაცია ჩამოყალიბდა, როლები ასე განაწილდა: <u>მ.ჯავახიშვილს</u> დაევალა საერთო ხელმძღვანელობა და ფინანსები. მან ფაშისტურ ორგანიზაციაში გადაიბირა კ.გამსახურდია, მას დაავალა სამეულის შექმნა და ამ მიზნით ორი კაცის გადაბირება. მ.ჯავახიშვილმა კავშირი დაამყარა „მემარჯვენეების“ ანტისაბჭოთა დივერსიულ-მავნებლურ ორგანიზაციასთან და საერთო

პლატფორმაზე შეთანხმებით უზრუნველყო გაერთიანებული ცენტრის შექმნა. მან, როგორც ზემოთ უკვე გავეცანით, დუშეთში დანიშნა პროვინციული მეამბოხე ჯგუფის რწმუნებული. ამას გარდა <u>გ.ქიქოძეს</u> დაევალა ინფორმაცია და სხვა ანტისაბჭოთა ჯგუფებთან და ორგანიზაციებთან კავშირის დამყარება. მან მ.ჯავახიშვილი დააკავშირა „მემარჯვენეების“ ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური და მავნებლური არალეგალური ორგანიზაციის აქტიურ წევრებთან – ნინიძესთან და მახარაძესთან, მათი მეშვეობით კი ხელმძღვანელ მონაწილე მ.ნიორაძესთან, ხოლო ამან „მემარჯვენეთა“ ერთ-ერთ ლიდერთან და გაერთიანებული „ნაციონალური ცენტრის“ წევრ გერმანე მგალობლიშვილთან. ამ გზით შეიქმნა „ფაშისტებისა“ და „მემარჯვენეების“ საერთო პლატფორმა. რადგან ბ.მდივანის ცენტრი ჩავარდა, ახალი ცენტრი იქმნება. გ.ქიქოძეს ფაშისტური ცენტრის ხელმძღვანელობა აწვდიდა ინფორმაციას, რომელსაც სავარაუდოდ მისი მეგობრის გ.მგალობლიშვილისგან იძენდა. ფაშისტური ცენტრი გ.ქიქოძის ბინაშიც იკრიბებოდა.

<u>ი.მოსაშვილს</u> დაევალა ორგანიზაციული მუშაობა პროვინციებთან და ორგანიზაციებთან. ფაშისტური ცენტრი მასთან ბინაზეც იკრიბებოდა. <u>შ.ნუცუბიძე</u> თავიდან მეგობრობდა ფაშისტური ორგანიზაციის წევრებთან. შემდეგ მ.ჯავახიშვილთან შეთანხმებით მუშაობას აწარმოებდა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან და მათი მეშვეობით სტუდენტობასთან. მან იკისრა, აგრეთვე სამხედრო წევრებთან კავშირის დამყარება და „ინტერპარტიული კომიტეტის“ შექმნა. სამხედროებთან შ.ნუცუბიძეს კავშირი ჰქონდა: მეამბოხური მიზნებით გაერთიანებულ, ცნობილ სამხედრო მეთაურებთან – თუხარელთან, გედევანოვთან, მოსიძესთან, ქუთათელაძესთან, ბუაჩიძესთან.ფაშისტური ცენტრი „პრაქტიკულად მუშაობდა“ 1936 წლის ოქტომბრიდან 1937 წლის ივნისამდე (იხ. მ.ხომერიკის 2008 წელს გამოქვეყნებული პასკვილი,, გვ.94).

დაუკვირვებელ და ნაკლებად ინფორმირებულ მკითხველს, ზემოთ ასახული, მ.ჯავახიშვილის 21 ივნისით დათარიღებული და მ.ხომერიკის მიერ მიწოდებული აბსურდული ინფორმაცია უთუოდ დამაჯერებლად მოეჩვენება თუ არ იცის რომ იგი ჩეკისტური ძიების მეთოდოლოგიური პრინციპებითა და ამოცანებით პატიმარ

მ.ჯავახიშვილისგან, ორჯერადი სასტიკი ცემით გამოძალული აბსურდია. მკითხველს მითუმეტეს, დააბნევს ის, რადგან მ.ხომერიკს მისი ობიექტური ანალიზი მისთვის მიზნობრივად არ მიუწოდებია და პირიქით, ყოველმხრივ ცდილობს მკითხველმა აზრი ზუსტად ისე გაიგოს, როგორც ჩეკას ძიებამ მის ავტორს გამოსძალა.

არა და ამ ხელნაწერ განცხადებაში ჩადებული აღნიშნული „ჩვენებების“ აბსურდულობას ამტკიცებს ისიც, რომ:

1. კონსტანტინე ჭიჭინაძე, რომელიც მ.ჯავახიშვილმა ფაშისტურ ორგანიზაციაში გადაიბირა, ბერიამ შეიწყალა, მაშინ როცა სხვა მრავალი და მათ შორის, ტ.ტაბიძე დახვრიტა. აქიდან კარგად ჩანს, რომ მისი გადაბირების შესახებ მ.ჯავახიშვილის ჩვენება და თვით ფაშისტ მწერალთა არსებობის შესახებ მ.ჯავახიშვილის ჩვენების აბსურდულობის შესახებ კარგად იცის ბერიამ. მას ისიც ახსოვს, რომ მ.ჯავახიშვილის ხელნაწერი მის მიერ გამოძალული და აბსურდულია.

2. გ.ქიქოძე, როგორც „ფაშისტური ორგანიზაციის აქტიური ხელმძღვანელი წევრი“, დახვრეტილ „მემარჯვენეების“ წევრებთან და მის ხელმძღვანელებთან „ფაშისტების“ მეთაური, მ.ჯავახიშვილის ერთობლივი კონტრრევოლუციური კავშირების მიზნით დამაკავშირებელი, ამ საქმის გამო არც დაუკითხავთ და არც დაუპატიმრებიათ. იგი, რამდენადაც ცნობილია ამ მძიმე დანაშაულის გამო არასდროს შეუწუხებიათ. არა და, ასეთ დანაშაულს ბერია და ჩეკა არავის პატიობდა. როგორ გადარჩა ქიქოძე? ბერიამ და ჩეკას ძიებამ იცის სიმართლე და ამიტომ იგი არ სჭირდებათ...

3. ი.მოსაშვილის შესახებ მიცემული ჩვენება მრავალმხრივ არის აბსურდული. იგი, როგორც იოსებ მეგრელიძე, ქ.ჯავახიშვილი და როდიონ ქორქია გადმოგვცემენ ჩეკასთან თანამშრომლობით გამჟღავნებული პიროვნება ყოფილა (იხ. „მნათობი“, 1981, №10; ქ.ჯავახიშვილი, დასახელებული წიგნი, გვ.451-452, გაზ. „საქართველო“, 1991, №16). არსებობს ქეთევან ჯავახიშვილის მიერ მკითხველისთვის მიწოდებული ასეთი ცნობა: „სოსო მეგრელიძემ რომ მიამბო. მამას თვითონ უამბია მისთვის ეს ამბავი 1936 თუ 1937 წელს, მამა კახეთში მიიპატიჟეს. ილო მოსაშვილს იგი თავის სოფელში წაუყვანია. მამას გარდა, კიდევ რამდენიმე მწერლი

ყოფილა... როგორც შემდეგ გამოირკვა, წინასწარ ყოფილა შემზადებული მამას მკვლელობა. ხოლო ყველაფერი ისე უნდა მომხდარიყო, რომ მათ ბოროტ განსაზღვრაში არავის ეჭვი არ შეჰპარვოდა. მისთვის ტყვია ილო მოსაშვილს უნდა ესროლა. ასე ყოფილა გადაწყვეტილი. ბერიამ თურმე ილოს დაავალა ეს საქმე.

მწერლები ქვევრთან მჯდარან, როცა ილოს, უკვე კარგად შეზარხოშებულს, ჯიბიდან რევოლვერი ამოუღია და მხიარული კილოთი უთქვამს: აბა, ასე ვიცით ჩვენ ქეიფიო და იარაღი პირდაპირ მამასთვის დაუმიზნებია. ვიღაცა მიმხვდარა, რომ აქ საქმე სხვანაირად იყო და მისთვის დროზე უკრავთ ხელი, ტყვია კედელს მოხვედრია. მამაც რაღაცას მიმხვდარა და ამის შემდეგ იქ გაჩერება აღარ სნდომებია. სუფრა აიშალა. გაბოროტებული მამა ილოს მივარდნია და ყველას წინაშე უთქვამს: „შენ ჩემი მოკვლა გინდაო...“ (ქ.ჯავახიშვილის დასახელენული წიგნი, გვ.251-252)ეს „ვიღაცა“, ი.მეგრელიძის და რ.ქორქიას, აგრეთვე ბ.არველაძისა და რ.კვერენჩხილაძის ცნობებით, პაოლო იაშვილი ყოფილა.

ჯავახიშვილის რეაბილიტაციის დროინდელი და მისი მომდევნო ორი კვირის დროინდელი ი.მოსაშვილის მიერ გამოვლენილი ამბების გადმოცემის დროს ქ.ჯავახიშვილი გვარწმუნებს, რომ მისი განწყობილება მ.ჯავახაიშვილის მიმართ კეთილი არ იყო (იქვე, გვ.431). ეს ამბები მთლად ზუსტიც რომ არ იყო, იმას მაინც გვაფიქრებინებს, რომ მ.ჯავახიშვილს ი.მოსაშვილი არ შეიძლებოდა საიდუმლოებით დაცულ თავის ანტისაბჭოთა არალეგალურ ორგანიზაციაში მიეწვია და თანაც მისთვის ფრიად მნიშვნელოვანი ფაშისტური ცენტრის, თუ ფაშისტური ორგანიზაციის საპასუხისმგებლო თანამდებობა დაევალებინა.

4. შ.ნუცუბიძე ბერიას ინტერესებით მართალია 1938 წელს დააპატიმრეს და არაერთხელ დაკითხეს, მაგრადაც გააწამეს, შემდეგ გარკვეული პირობითა და ვალდებულებებით გაათავისუფლეს, მაგრამ არა მ.ჯავახიშვილის ფაშისტურ ორგანიზაციაში თანამშრომლობის გამო, არამედ სხვა ასევე შეთითხნილი ბრალდებების საფუძველზე. მას 1950-იან წლებში ახალი უსიამოვნებები დაატეხეს ჩეკისტებმა, კიდეც დაკითხეს, მაგრამ მ.ჯავახიშვილის ფაშისტურ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა არც

ახლა უხსენებიათ (იხ. გ.ციციშვილი, ჩეკისტური ბრალდებები შალვა ნუცუბიძის მიმართ და მათი ანალიტიკური კომენტარები, თბ.1996). მის შესახებ მ.ჯავახიშვილის ხელნაწერ განცხადებაში ნათქვამი აბსურდი, რომ ტყუილი და ნაძალადევი არ ყოფილიყო, შ.ნუცუბიძეს თუ 1937 წელს არ დახვრეტდნენ, მეორე მსოფლიო ომისა და ფაშისტური გერმანიის წარმატების დროს მაინც გაასაღებდნენ. არა და სინამდვილეში, იგი ამ დროს უნივერსიტეტის ყველაზე პოპულიარული პროფესორია, 1943 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსადაც აირჩიეს. არავის ეგონოს, რომ იმ, ან სხვა დროს, ასეთი ამბები ბერიას და ჩეკას ყურადღების გარეშე ხდებოდა.

5. ვინც მ.ჯავახიშვილისა და კ.გამსახურდიას მწერლურ დაჯგუფებას, მათ ხასიათსა და ურთიერთობებს იცნობს, მან ისიც იცის, რომ ისინი შემოქმედებითი მოწინააღმდეგეები, ანუ სხვადასხვა ლიტერარუტული გაერთიანებების - „არიფიონისა“ და „აკადემიური მწერლების კავშირის“ შემოქმედთა მოქიშპე ლიდერები იყვნენ. მ.ჯავახიშვილის მიერ ფაშისტურ ორგანიზაციებში თანამშრომლობა და მითუმეტეს მ.ჯავახიშვილის მიერ „ფაშისტურ ორგანიზაციაში“ კ.გამსახურდიას გადაბირება კი, ისევე წარმოუდგენელი და აბსურდია, როგორც თვით ამ „ფაშისტური ორგანიზაციის“ არსებობა და მ.ჯავახიშვილის მხრივ, ამ ჩეკისტურად შეთითხნილი, ვითომ ორგანიზაციული-პრაქტიკულად მოქმედი მწერალთა ფაშისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, მისი და პ.იაშვილის მიერ თანამოაზრე-თანამებრძოლების მიერ ჯაშუშობით მოპოვებული დოკუმენტების სანაცვლოდ ფინანსების, ერთმანეთისგან და ორგანიზაციისგან მოტეხვა-მითვისება.

თ) საყურადღებო და ადვილად შესამჩნევი აბსურდია ისიც, რომ ფაშისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელი და მისი ფინანსების გამგებელის ხელნაწერი- ჩვენების მიხედვით მან ლ.გარსიაშვილის და ბ.ფაღავას მიერ პოლონეთის კონსულისთვის გადაცემული ჯაშუშური ცნობებისათვის ორჯერ 3000 მანეთი მიიღო. მის საბრალმდებო დასკვნაში კი მხოლოდ 3000 მანეთის „აღიარებაა“ დაფიქსირებული. სამაგიეროდ „საბრალმდებო დასკვნაში“ მითითებულია მ.ჯავახიშვილის კიდევ ერთი, 31 აგვისტოთი

დათარიღებული 6000 მანეთის მიღების ფაქტი, რომელიც არც კი არის ასახული ძიების მიერ შეთითხნილ, მისთვის მიწერილ 31 აგვისტოს „ფუტლიარში“.

მაშასადამე, ცხადი გახდა: ბერიას მიერ ნასაზრდოებ ჩეკისტი გამომძიებლის ფანტაზიებისა და ჩეკისტურად დასაბუთებულ პრაქტიკას არა აქვს საზღვრი. ეს იცის მ.ხომერიკმა, მაგრამ იგი ასეთ დირეს ვერ ამჩნევს, მაშინ როცა თავისი მოწინააღმდეგეების თვალში, მათი უნებლიე შეცდომების გამო, შეუმჩნევლად ბეწვსაც არ ტოვებს. ეს იმიტომ, რომ მ.ხომერიკს თავისი ბოროტი მიზანი ამოძარავებს და ამ მიზნის მისაღწევად იმ სხვასაც ითრევს, რომლებსაც მისი გამოაშკარავება არ უნდათ. მას ისე გამოყავს, თითქოს ეს მიზნობრივი ჩეკისტური აბსურდები კი არ არის, არამედ ისინი მ.ჯავახიშვილმა დაპატიმრებამდე ორი თვით ადრე მიაწოდა ჩეკას თუ ბერიას. <u>ეს არის ბერიას მიერ დახვრეტილი დიდი მწერლისა და საუკეთესო მამულიშვილის მეორედ დახვრეტა მკითხველის გამოთაყვანების მცდელობის გზით.</u>

როცა ისინი მ.ხომერიკის პასკვილს ეცნობოდნენ, თუ მისი 2003 წელს გამოქვეყნებული პასკვილის (მ.ხომერიკი, სიმართლის გამრუდება ისტორიკოს გიორგი ციციშვილის მიერ...) რეცენზიას წერდნენ და მხარს უჭერდნენ და კონიუნქტურის შესაბამისად, მ.ხომერიკის სასარგებლოს „დიპლომატობდნენ“. მათ მ.ხომერიკის საზარელ ბრალდებას, მ.ჯავახიშვილის ჩეკას თუ ბერიას დამსმენად გამოცხადებას (იხ. გვ.55), „დელეკატურობით“ მიზნობრივად აუარეს გვერდი და იგი საგნობრივად არ უარჰყვეს, ანუ არ უარჰყვეს და არ ამხილეს მ.ხომერიკის მიერ მ.ჯავახიშვილის ხელნაწერის მცდარი თარიღის გამოყენებით, დიდი მწერლის გაყალბება ჩეკას თუ ბერიას წინაშე თანამოაზრე-მეგობრების დამსმენად... შეიძლება იცრუონ ვერ შევამჩნიეთო, მაგრამ ჩემი წინასწარი, შემდგომი (2003-2007წწ.) და ამჟამინდელი განმარტებით ხომ ხედავენ, რომ იძულებული გამხადეს მათი არაობიექტური „ექსპერტობის“ გამო სამართლიანი საყვედური მკვახედ დამებრუნებინა, არა მარტო მ.ხომერიკის როყიო გამონათქვამებისთვის, არამედ მათთვისაც. ისინი ახლა ხომ ხედავენ, რომ ერთმა, მათ მიერ დაკვალიანებულმა მათმა თანამოაზრე ამფსონმა, პროფესორმა, ვ.გურულმა თავის აღსაზრდელ,

წინდაუხედავ დოქტორანტს 2011 წელსაც გაამეორებინა „ექსპერტი“ „მასწავლებლების” მიერ ჯერ კიდევ ადრე (2003 და 2004 წლებში) არაობიექტური შეფასებით გამოწვეული მზაკვრობა (იხ. ლ.ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, თ.XIV, გვ.504-520) და მათი მხილებისკენ ხელახლა მიბიძგა (იხ. გ.ციციშვილი, კმარა ისტორიის პროფანაცია, გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 2013, 12). მაშასადამე იძულებული გამხადეს, რომ ახლა, ამ წინამდებარე წიგნში მ.ხომერიკი, მისი დამქაში ექსპერტები და მათი დამკვალიანებელი, ჩემი მეცნიერული ღვაწლის გაბიაბრუების მცდელობისა და მ.ჯავახიშვილის დაკნინება-გაყალბების გამო, დამატებით მემხილებინა? ხომ შეეძლოთ მ.ჯავახიშვილის გამყალბებლის მიმართ თავიანთი „უნებლიე“ სამსახურისა და თუნდაც „უნებლიე“ წამქეზებლობის გამო ბოდიში მაინც მოეხადათ?! მაგრამ არა!

მეორადი, ფინაჩი „ექსპერტები“ თავიანთ „რეცენზიაში“ მიზნობრივად არ აფიქსირებენ, ვითომ ვერ ხედავენ, რომ მ.ხომერიკი მ.ჯავახიშვილსა და მის მეუღლეს შეურაცხყოფას აყენებს (იხ. მ.ხომერიკის „რეცენზია“, გვ.4-5 და წიგნის გარეკანი). მ.ხომერიკი საუკეთესო მამულიშვილს, მ.ჯავახიშვილს აყალბებს: „მეგობრების და სამშობლოს მოღალატედ”, „ჩეკას თუ ბერიას დამსმენად”, მეგობრის, პ.იაშვილის, თვითმკვლელობის უპირატეს მიზეზად და „ჩეკას აგენტ-არსენად“. „ექსპერტების“ მხრივ ამის გვერდის ავლა, ისინი თუ მართლა ექსპერტები არიან, სხვა არაფერი იყო თუ არა, სარეცენზიო პასკვილური წიგნის ავტორის, მ.ხომერიკის მიერ გამოთქმული აზრების მიმართ სრული სოლიდარობა.

II. მას შემდეგ რაც საფუძვლიანად გავაბათილე მ.ხომერიკის მიერ მიზნობრივად გაყალბებული მ.ჯავახიშვილის ცხოვრებისეული პერიპეტიების მთავარი ატრიბუტები, საჭირო ხდება გაბათილდეს მთავარი სიყალბის გამაგრების მიზნით მ.ხომერიკის მიერ, ასევე მიზნობრივად შეთითხნილი ზოგი სხვა, მამხილებელი, დამატებითი, მთავარი და დამხმარე ატრიბუტები. ამ მიზნით შემომყავს მ.ჯავახიშვილის ხელნაწერი განცხადების დედნის ქსეროკოპირებული ფურცლები, რომლებიც დამატებით ცხადყოფენ, რომ იგი დამორჩილებული პატიმრისაგან გამოძალულია ძიებისათვის სასურველი ჩვენებებით და არა რეალური სიმართლის ინტერესებით.

მ.ჯავახიშვილის ანტისაბჭოთა ფაშისტურ-კონტრრევოლუციური ბრალდების მიზნით, მისგან გამოძალული, გოგლიძის სახელზე დაწერილი ავტოგრაფიული განცხადება, ეს არის მისი ბრალდების ერთად-ერთი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი. იგი, როგორც ზემოთ ავღნიშნე, მ.ჯავახიშვილის ჩეკისტური ბიოგრაფიის გამყალბებელ მ.ხომერიკს გამოქვეყნებული აქვს ბეჭდურად და მეცნიერული კომენტარების მიზნობრივად გვერდის ავლით. იგი ამ ხელნაწერს, ამასთანავე ზოგი იმ დოკუმენტური მახასიათებლებისა და ტესტების გამოტოვებით გვაწვდის რომელთაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭებათ მისი ჩეკისტური და არა ავტორისეულად გაფორმების საიდუმლოებათა ამოცნობისთვის. ამდენად, მ.ჯავახიშვილის ხელნაწერის მ.ხომერიკისეული ბეჭდვური ვარიანტი ჩქმალავს, რომ იგი შექმნილია ბერიას უშუალო მონაწილეობითა და მისივე ბრძანებით განხორციელებული ორჯერადი ცემით. მოპოვებული „განმარტებების“ შემდგომი, ჩეკისტური ძიების და ბერიას მხრივ მ.ჯავახიშვილისა და მის მიერ დასახელებულთა მიმართ დასახული მიზნით. ამასთანავე ხელნაწერის ბეჭდური ვარიანტიდან არა ჩანს მისი ავტორის ორჯერადი ცემის შემდგომი ფსიქიკური მდგომარეობა. ამ ხარვეზის დაძლევის მიზნით მკითხველს ვთავაზობ მ.ჯავახიშვილის ხელნაწერის დედნისეული, ვრცელი ქსეროკოპირებული ხელნაწერის იმ ფურცლებს, რომლებიც დამატებით ადასტურებენ, რომ იგი შექმნილია მძიმე ფსიქოლოგიური ზემოქმედებით და ორჯერადი ცემით, ანუ ბრალდებული პატიმრის ნებისყოფის სრული დამორჩილებით, მისგან მოპოვებული „განმარტებების“ შემდგომი ჩეკისტური მიზანდასახულობის 34 ფურცლიან განცხადებად გამფორმებელის, იგივე მთავარი გამომძიებლის (ლ.აბაშიძის) თანაშემწის, მ.ნაცვლიშვილის მხრივ „დახმარებისა“ და ფალსიფიცირების ხერხით:

Наркому внудел СССР.

16

Михаила Саввича

Джа[illegible]нвили

Заявление

~~По мере наблюдения~~ По мере роста фашистских сил ~~в мире~~ заграницей и у нас могли проявляться фашистские тенденции. Особенно это проявилось после победы фашизма в Германии (1934 г.). Но с 1935 г. ~~у нас~~ в СССР, рост легкой индустрии, устранение очередей и создавание все более сытой жизни явились той силой, которая мешала сильному росту фашизма. Тем не менее он наблюдался среди интеллигенции, в том числе – радикально левой. ~~Во представителях~~ Многие из них – в том числе я – постепенно разочаровывались в европейской демократии, которая шаг за шагом теряла свои позиции (победа консерваторов в Англии, поражение радикалов во Франции и т. д.). С другой стороны и перемену настроений среди интеллигенции оказывала сильное влияние внутренняя более твердая политика СССР. В частности [illegible]

выработала у нас советская власть. Это, конечно, не значит, будто мы приняли большевистский интернационализм. ~~В общем мы принимали [illegible] корпоративной [illegible] к нашей [illegible] действительности (география, [illegible], экономика, быт и пр.~~ См. на об.

См. на об.

Цели мы предполагали достигнуть в результате неудачной для СССР войны или путем ~~восстания~~ внутреннего восстания в мирное время. ~~Сперва о первом~~ Было ясно, что ~~на СССР могли напасть только фашистские государства~~ Германия, Польша и Франция. ~~Если бы СССР ожидали~~ местное восстание могло рассчитывать на успех только в ~~том~~ случае решительного поражения СССР или в случае всеобщего восстания в большей части европейского СССР. Отсюда проистекала наша тактика выжидательное ожидание с севера, активное выступление РСФСР, который всегда решал и ~~мог бы реш~~ решил бы ~~за решать~~ основные вопросы всего СССР. Повторение 1924 года считалось безумием. Здесь может возникнуть вопрос, не были ли мы в связи аналогичными русскими или украинскими

В основном мы приняли программу итальянскаго фашизма (корпоративный строй и т.д.), решив приноровить ее к нашей действительности.

меня, тем самим скрыл кого то другого. Цель Яшвили была ясна. Он гарантировался поддержкой профессоров, а через них активной массой студентов. Он сам вызвался установить связь с иностранцами и через них получить информацию от наших эмигрантов единомышленников. Долгое время спустя Яшвили сообщил мне, что польский консул или представитель сказал ему: вы подождите, а когда нужно будет, мы окажем вам помощь. Этот ответ ничего нам не говорил, а информацию от эмигрантов мы так и не получили. Говорят будто какой то эмиссар приехал из заграницы и виделся со мной. такого случая не было. Признав связь с польским консульством, я не скрыл бы имя уехавшего эмиссара. Снявши голову, по волосам не плачут.

Я уже сказал о искусстве вербовки членов и крайней децентрализации. Существование маленьких групп предохраняло от

вала всей организации. Исходя из этого
решили иметь примерно в каждом уез-
и в крупных центрах по одному предсе-
телю, который сам от себя составил бы тройку
Организациями ведал Мосашвили, но Ящви-
вернувшись длительной поездкой в Имеретию,
назначил уполномоченных в ~~Имеретии~~ Ка-
тураях, Кутаисе, Поти и Батуми. ~~Я ошиб-~~
~~ся Д. Церетели~~ Я допустил неточность на-
исав, что назначение уполномоченных в Душе-
ти и Гори я предоставил Д. Церетели. В Душе-
ти я уже имел Давида Кобиашвили, кото-
рый в прошлом году два раза приезжал в Тби-
лиси и виделся со мной. Он ~~говорил~~ повторил, что у
него давно имеется несколько и ждет только
оружия и сигнала.

Д. Церетели и Н. Мицишвили я сказал,
что они зачислены в Кандидаты центра. В са-
ном центре я о них не ставил вопроса, т. к
знал, что к их приему отнесется бы отрица-
тельно. Я очень опасался болтливости Цере-
телли и избегал вмешивать его, что при поса-

-9-

ся Мицишвили, его выбор был вызван бдите-

тельностью Мосашвили. Об этом я говорил с Мицишвили. В конце апреля, в мае я уехал в Москву и вернувшись нашел ~~[illegible]~~ его арест. Я рекомендовал ему использовать [illegible] чтобы [illegible] ~~[illegible]~~ ~~[illegible]~~ ~~[illegible]~~

Затем он описал мне внешность одного штабного офицера – высокий, очень худой. Я знал только одного высокого, худого. Консул делал вид, но не припоминал фамилии. Я ему подсказал:

– Гарсиашвили Левван, помощник начальника разведки в штабе ККА.

– Да, он самый. Он знает вас. В одном обществе. Он отзывался о вас с самой лучшей стороны. Вы не военный, поэтому не можете быть нам полезны, но оказать услугу можете.

– А именно?

– Дайте мне записку к нему всего в одну строчку.

Я колебался, но он настоял, говоря, что рука руку моет. Я почувствовал ужас, но понял, что выбора не было. В это время он проронил вскользь:

– Советую вам беречься. У большевиков прекрасно поставлена контрразведка.

Он угрожал выдать меня. Надо было оборвать разговор и позвонить по телефону в ПП У, и я может быть сделал бы это, если бы ~~вы одни~~ рисковал только лишь я, но предать так много друзей и знакомых – это было выше моих сил, и я написал:

„Левван, крайне необходимо сделать это, иначе погибнут многие твои друзья, в том числе я".

– Сказав, что он сам будет навещать меня, ушел пешком. Консул положил записку в карман, ~~и скоро ушел~~. На другой день он прислал людей

а я ~~еще жив до сих пор~~. Связь с консулом я не осмелился рассказать своим друзьям, но Ягвили предупредил, чтобы он навсегда оборвал связь с польским консульством. Я забыл сказать, что перед уходом консула я просил его установить связь между нами и эмигрантами. Он обещал, но ответа я не успел получить. Спустя некоторое время после моей встречи с польским консулом, я встретил на улице Гарсиашвили. Он прошел мимо, кивнув несколько раз головой, что означало: согласился, дело сделано.

Второй раз консул позвонил в час ночи и предупредил, что скоро явится. Пришел через полчаса. Он был взволнован: какие события! Всех арестуют. Слежка за консульствами и известными гражданами невероятная. „Мы, консулы и наши сотрудники, настоящие арестанты, запуганные." Затем он положил на стол пачку денег (опять 3000 р.) и пожаловался на то, что очень многие его информаторы арестованы и некем их заменить. Не могу ли я ~~по~~ доставать для него секретные бумаги, или рекомендовать кого либо из заведующих секретной частью? Я не имел ни секретных бумаг, ни знакомых секретной частью. Тогда консул сказал:

— Вы могли бы его поискать, но мы слишком спешим. Рекомендуйте какого нибудь служащего

наших соплеменников, тогда как в случае победы турции от нас оторвут Адрианию, Месхетию, Боргало, Джавахетию, все побережье и даже железную дорогу. Карумидзе заявил, что его мнение разделяет меньшинство, но ~~оно~~ ~~в~~ ~~случае~~ ~~войны~~ ~~и~~ ~~оно~~ ~~не~~ ~~в~~ ~~случае~~ ~~войны~~ и оно, по всей вероятности, не осмелится активно выступить на стороне турции. Я, конечно, не поверил этому и сказал ему, что народ сам будет истреблять туркофилов. Он был явно смущен и заявил, что в случае победы России над турцией многие грузины (он) были бы непрочь вернуться на родину, но их наверное не примут. О меньшевиках отозвался по старому – с презрением. ~~Бол~~ Народный фронт его раздражал. Далее он пожаловался на разрозненность эмиграции, которую, по его мнению, может объединить только война.

Между прочим, он был очень доволен разуме-

[illegible] [illegible] в Аджарии [illegible]

Я сказал, что Г. Кикодзе было поручено уста-
новить связи с другими организациями. Он отнес-
ся к этому весьма скептически, утверждая
что кроме меньшевиков вряд ли кто либо
работает. О том, чтобы войти в контакт
с троцкистами и другими антипартийными
группами, не было и быть не могло речи.
Кикодзе сообщил мне как-то, что он бесе-
довал с Нинидзе (в январе или декабре) и полу-
чил впечатление, что тот находится в удрученном нас-
троении и скептически относится к буду-
щему. Вопрос этот зашел тогда, но в мае
~~[illegible]~~ ~~другой стороны~~
возник совсем с другой стороны. Однажды
ночью М. Ниорадзе ~~позвон~~ по телефону вызвал
меня к себе для переговоров по возбужден-
ному митрофаном перед ЦК и горсоветом
делу о двух тбилисских домах И. Чавча-
вадзе. Эти дома давно были переданы нам
формально, но город не освобождал их.
Вместо того, чтобы увеличить жилпло-
щадь писателей, митрофан просто управлял
ими. Не добившись освобождения, мы про-
[illegible] приняться их обратно, но

22
37

была поздняя ночь. Он был один. Бума-
ги об этих домах лежали у него на столе.
Нужно сказать, что отношения между нами
были натянутые. В 1906 г. в делегатском ва-
гоне из Москвы в Тбилиси между нами про-
изошло очень неприятное столкновение,
в конце которого Ниорадзе протянул мне ста-
кан вина и просил примириться. Мы
примирились. С тех пор я с ним не встре-
тился.

Ниорадзе начал беседу издалека:
восхвалял меня до крайности, описывал бедственное положе-
ние масс и заявил, что говорит со
мной по поручению ~~лица~~ ~~большого~~ более
сильного лица чем он, что за этим
лицом идут массы, что он возглавля-
ет сильную организацию, что я и это
лицо ~~вы~~ очень уважаем друг друга, и
т.д. Я был более чем поражен и молчал,
Ниорадзе продолжал: нам известно о
вашей работе. Мы и вы, преследуем одну
и ту же цель (свержение существующего порядка) и наши дороги проходят
очень близко друг от друга. Восстановле

ния ораншорской организации в Грузии, могли узнать о моей роли или в Тбилиси у польского консула, как я писал об этом выше (стр. 15), или у германского, которые как союзники, информируют друг друга.

Кроме Карумидзе эмиссаром из заграницы никто не приезжал и отсюда мы никого не посылали.

Связь с Москвой, закреспубликами и странами представлялась мне крайне необходимой, но пока я не нашел путей и думал, что скорее москвичи отыщут нас, чем мы москвичей.

~~Оружие здесь не могло быть~~

Оружие на месте не существует, это мы знали хорошо. Его можно было найти только в арсенале. Но для этого ~~требовалось~~ нужно было предварительно ~~побе-дить~~ переманить на свою сторону часть красной армии, на что и возлагалась некоторая надежда. Запасов оружия мы не делали и об этом даже не помышляли.

Считаю необходимым сказать несколько слов об ориентации. ~~Власть~~ Подпадение под власть турции мы счи-

европейской державы мало вероятной, 33/48-
и учитывая все реальные силы и выго-
ды, мы всякнемч отдавали предпочтение России
(экономическая выгода, привычка, ~~уже~~
общие культурные навыки, взаим-
ное понимание и т.д.).

Чистосердечно

Гр-ин комиссар, я сказал все что сде-
лал и все что знаю. Я полностью соз-
наю всю ~~в непро~~ ~~моей~~ ~~непростительности~~ огром-
ность ~~моей вины~~ моего преступления. Один раз, 14 ~~назад~~
лет тому назад, за подобное же преступление
~~перед совет~~ Советская власть простила
меня, ~~вернула меня к со~~ выпустила меня как писателя и дала
мне больше того, ~~что~~ чем я заслуживал.
~~меня~~ Тем чудовищнее ~~моя~~ моя вторич-
ная измена. ~~Но принять во внимание~~ ~~35 летнюю~~
~~общественно-литературную деятельность~~,
~~не найдете ли вы~~
~~быть может вы найдете~~ Но если вы при-
мете во внимание мою 35 летнюю
общественно-литературную работу, мое семей-
ное положение и кое какие другие обсто-
ятельства, то ~~не~~ не найдете ли возможным
оказать мне какое либо снисхождение.

21.VI-37 г. М. С. Дтавахишвили

(ხელნაწერის დედანი იხ. პოეტი აკად. გიორგი ლეონიძის სახელობის მუზეუმის ფონდი №25510, ფურც. 16/1-49/33; მიხეილ ჯავახიშვილის საძიებო საქმე №99-97, ფურც.16-49; მ.ხომერიკი, მიხეილ ჯავახიშვილი უნიკალური დოკუმენტების ფონზე, თბ.2008, გვ.90-98. ხელნაწერის ქსეროკოპიებისა და გამოქვეყნების უფლებისათვის მადლობას ვუხდი აღნიშნული მუზეუმის ხელმძღვანელობას).

მოხმობილი ხელნაწერის ანალიზი შესაძლებლობას გვაძლებს დავრწმუნდეთ, რომ იგი არა ჰგავს რუსულის ზედმიწევნით მცოდნე დიდი მწერლის მიერ საკუთარი გულის კარნახითა და ნებით, დაპატიმრებამდე დაწერილ დამოუკიდებელ განცხადებას. ხელნაწერის შესრულების სტილის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ მისი ავტორი „აღიარება“-ჩვენებების სახით ამჯერად უკვე აღიარებს იმას, რასაც ადრე ყოველთვის კატეგორიულად უარყოფდა, მათ შორის იმას რაც მ.ჯავახიშვილის შესახებ ჩეკას ძიებას უკვე მოპოვებული ჰქონდა ადრე დაპატიმრებულ-დაკითხული ბრალდებულებისგან და იმას რაც შეტანილია პატიმარი მწერლის, „საბრალდებო დასკვნის” არგუმენტირებულ ნაწილში. მათი დამატებითი ანალიტიკური გააზრება მოცემული მაქვს სათანადო, სპეციალურ მომდევნო თავებში. აქ კი, შეიძლება განვაცხადო, რომ ეს უნდა ყოფილიყო პირადად მისი ხელნაწერის გამფორმებლის და აგრეთვე, განსაკუთრებით ბერიას ჩეკისტური ძალმომრეობის გამოვლინებას მსხვერპლად შეწირული მ.ჯავახიშვილისა და თვითმკვლელი რაინდის, პაოლო იაშვილის, ზნედაცემულ პოლიტიკანებად წარმოჩენის მოთხოვნა.

მიხეილ ჯავახიშვილის 34 ფურცლიანი ხელნაწერი განცხადების დედნის შესწავლა-გაანალიზებითა და მ.ხომერიკის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტთან შედარებით. აღმოჩნდა, რომ:

ა) მ.ჯავახიშვილის ყველაზე მძიმე ბრალდება-დანაშაულებათა შემცველი ხელნაწერის გამოქვეყნებულ ვარიანტში შეტანილი მრავალწერტილით მ.ხომერიკს დანაშაული ჩაუდენია. მისი მკითხველის დეზინფორმაციისა და თავისი კონცეფციის დაუჯერობლობის დაფარვისათვის მრავალწერტილით მიზნობრივად გამოუტოვებია ბრალდებულის უაღრესად მნიშვნელოვანი

ინფორმაციის შემცველი ასეთი წინადადება: „Я допустил неточность написав (!!! – Г.Ц.), что назначение уполномоченных в Душети и гори я предоставил (! – Г.Ц) Д.Церетели“ (იხ. ხელნაწერის გვ 8/23 მ.ხომერიკის პასკვილში, იხ. გვ.92). მრავალწერტილის შემდეგ კი, გრძელდება ისე როგორც მ.ხომერიკს აქვს. გამოქვეყნებულ, ანუ მ.ჯავახიშვილის ხელნაწერში ვკითხულობთ, რომ იგი ამ „ნაწერს“ უზუსტობად აღიარებს და „ასწორებს“, იმად რომ მას თავად ჰყავდა მეამბოხე ჯგუფი, რომლებიც ანტისაბჭოთა აჯანყებისთვის საჭიროებენ და მოელიან მხოლოდ იარაღსა და სიგნალს.

მ.ხომერიკის მიერ ამ, ზემოთ მოყვანილი წინადადების ამოღებით კარგად ჩანს, რომ:

ჯერ ერთი, მ.ხომერიკმა დამალა, რომ მ.ჯავახიშვილმა ადრე სულ სხვა ამბავი აღიარა ახლა კი სულ სხვა ამბავს „აღიარებს“.აქედან ჩანს, რომ მ.ნაცვლიშვილმა აღიარებინა, რადგან ჩეკისტურ ძიებას ასე სჭირდება.

მეორე, მ.ხომერიკმა დამალა რომ მ.ჯავახიშვილს ადრე კი არ უთქვამს, არამედ აღიარების სახით „დაუწერია“.

მესამე, ისე ჩანს თითქოს ადრინდელ ნაწერში მ.ჯავახიშვილს დ.წერეთელისთვის „მიუნდვია“ რწმუნებულების დანიშვნა დუშეთსა და გორში, მაგრამ არა ჩანს ეს ნდობა მან შეასრულა თუ არა. ძიებამ არც ის იცის დ.წერეთელი დეუშეთსა და გორში ნამყოფი არის თუ არა, ის კი უთუოდ ეცოდინებოდა, რომ მას მსგავსი აღიარება არ გააჩნდა. ეს ჩანს დ.წერეთლის 1937 წლის 20 ივნისის დაკითხვის ოქმიდან, რომელიც დაცულია მ.ჯავახიშვილის საძიებო საქმეში. აქ უამრავი ბრალდებაა დაფიქსირებული როგორც საკუთარი თავის, ისე „მ.ჯავახიშვილის“ და სხვათა შესახებ. მაგრამ რწმუნებულების დანიშვნასთან დაკავშირებით არაფერი წერია. სინამდვილეში საქართველოს რაიონებში რწმუნებულების დანიშვნის ჩვენება 1937 წლის 15 ივლისს დაკითხვის დროს გამოსძალეს ლ.ქორქაშვილს, რომელსაც დააწერინეს, რომ ეს მ.ჯავახიშვილისგან იცოდა (იხ. მ.ჯავახიშვილის საძიებო საქმე №9997, ფურც.192). ამდენად გამოდის, რომ მ.ჯავახიშვილის მიერ დ.წერეთელზე ნათქვამს და მ.ხომერიკის მიერ ამოღებულ წინადადებას ჩეკისტურ მიზანდასახულობაში დისონანსი შეაქვს. ამიტომ მ.ნაცვლიშვილმა

გაასწორებინა, როგორც უზუსტობა და ლოგიკურ ჰარმონიაში მოიყვანა მ.ჯავახიშვილსავე პირველ „ფუტლიარ“-განცხადებაში ნაწერთან, სადაც „აღიარებულია“ მ.ჯავახიშვილის ნაცნობობა დუშელი ეროვნულ დემოკრატების ჯგუფის ხელმძღვანელ დ.კობიაშვილთან. აქედან კარგად ჩანს, რომ ლ.აბაშიძემ მის თანაშემწე მ.ნაცვლიშვილს ბერიას ბრძანებითა და ორჯერადი ცემით მოპოებული თეზისური აღიარება-„განმარტებები“ რომ გადასცა, ვითომ დაკითხვის ოქმად გასაფორმებლად, რომელიც ერთად-ერთ იურიდიული ძალის მქონე ბრალდებად შეუთითხნეს და 34 ნაჯღაბნ-ნაწვალებ ფურცელს მოიცავს, სინამდვილეში იმისთვის გადასცა, რომ ჩეკისტური ვერსიის შესაბამისად დაეწერინებინა. რაც შეეხება მ.ნაცვლიშვილის მიერ გაფორმებულ მ.ჯავახიშვილის დაკითხვის ოქმს, ასეთი არ არსებობს და არც გაფორმებულა. მ.ჯავახიშვილისგან ბერიას მიერ მოპოებულ „განცხადებებს ოქმად გაფორმებას გადაადგილების უნარმოკლებული, ბერიას მიერ დამორჩილებული მ.ჯავახიშვილის გამოძახება მხოლოდ გასაუბრებისთვის, არამედ საჭირო იყო თეზისური განმარტებების მ.ჯავახიშვილის ხელით ჩასწორება და გავრცობა-განვითარება. ბრალდებულის ხელნაწერის მოპოვების საიდუმლოება კი, იმაში მდგომარეობს, რომ მისი კანონიერების თვალსაზრისით უცილოდ საღდება. აი ეს ამოცანა შეასრულებინა მ.ნაცვლიშვილმა მასთან ორი მცველის მიერ მიყვანილ, თუ მითრეულ მ.ჯავახიშვილს. ამავე მიზანს ემსახურება მ.ჯავახიშვილის ხელნაწერ განცხადებაში მრავალი სხვა ნაჯღაბნ-ნასწორები და ისეთი გადაშლილი ადგილი, რომელიც არ იკითხება. აქედანაც ჩანს, რომ მწერალს მ.ნაცვლიშვილი „ეხმარებოდა“.

აქ არის ერთი გადაშლილი (ფურც.13/23) საიდანაც ჩანს, რომ პ.იაშვილის მიერ რწმუნებულების დანიშვნაზე საუბრის შემდეგ მ.ჯავახიშვილს დაუწერია „Я просил Д.Церетели“. იგი გადაშლილია მხოლოდ ერთი ხაზით, ამდენად იკითხება. ეს არ არის შემთხვევითი, არამედ ესადაგება მომევნო, მ.ხომერიკის მიერ ამოღებული წინადადების სიტყვებს „Я предоставил Д.Церетели...“ ასეთი ჩასწორება მ.ჯავახიშვილს კი არ სჭირდებოდა, არამედ მ.ნაცვლიშვილს აწყობდა. ამით მან მ.ჯავახიშვილის ხელნაწერი

თეზისური „განმარტება“ მის წინა, 19 აგვისტოს ფუტლიარ განცხადების ტექსტან შესაბამისობასა და ლოგიკურ კავშირში მოიყვანა. ამით მკაფიოდ ჩანს, რომ მ.ჯავახიშვილი მეამბოხეთა დუშეთის ჯგუფის რწმუნებულის ყოლას ადრე რომ უარყოფდა ისე, როგორც უამრავ სხვა ორგანიზაციულ-პრაქტიკული ხასიათის დანაშაულს, ავტოგრაფიულ განცხადებაში უკვე აღიარებს, დუშეთში მეამბოხეთა ჯგუფის რწმუნებულის, ჯერ დ.წერეთლის, ხოლო, როცა ჩაასწორებინეს - დ.კობიაშვილის ყოლას. ამით მ.ნაცვლიშვილმა მ.ჯავახიშვილის პირველი განცხადება-ფუტლიარისა და მეორე, ცემის შემდგომი ავტოგრაფული განცხადების ინფორმაციები, ისე, როგორც სხვა მათში არსებული წინააღმდეგობები ერთგვარ ლოგიკურ ჰარმონიაში მოიყვანა. ამასთანავე მ.ნაცვლიშვილმა ცხადად წარმოაჩინა, რომ მეორე ამოცანაც შეასრულა – მ.ჯავახიშვილის ორჯერადი ცემის შემდეგ დაწერილი ახსნა-განმარტების ალოგიკური წინადადების ერთი ნაწილის ასახვა გადახაზა, ხოლო მეორე ნაწილის ტექსტი, ანუ ალოგიკური წინადადება, რომლითაც მ.ჯავახიშვილმა ჩვენებაში დ.წერეთელი შემოიყვანა, არა მარტო ბერიას და ჩეკას ძიების ინტერესების შესაბამისად ჩაასწორებინა, არამედ მისი ზემოქმედებით ჩასწორებული მწერლის ხელნაწერ განცხადებაში შესამჩნევად წარმოაჩინა მ.ჯავახიშვილის ავტოგრაფული აღიარებით დაინტერესებული თავისი ზემდგომი ხელმძღვანელების დასანახად. ამით მან თავისი, როგორც ფალსიფიკატორი გამფორმებლის დამსახურება წარმოაჩინა. მ.ნაცვლიშვილის მხრივ, მ.ჯავახიშვილის მიმართ „დახმარების“ სხვა მაგალითებიც ჩანს (იხ. ფურც. 1/16, 2/17, 3/8, 4/19).

ბ) ხელნაწერში ხშირია აზრის დაზუსტება-შესწორების მიზნით შეტანილი სიტყვები და ტექსტები (ფ. 5/20, 6/21, 7/22, 8/23, 9/24, 10/25, 11/26, 18/33, 19/34, 20/35, 21/36, 22/37, 24/29, 25/30, 27/42, 28/43, 19/84).

გ) ხელნაწერში გვხვდება ისე გადაშვილი ბრწკალები, რომელთაგან ზოგის წაკითხვა შეუძლებელია (ფ. 9/24, 9/34, 21/36, 24/39, 27/42, 48/43)

დ) ორ შემთხვევაში ხელნაწერში უკანა გვერდზეა შეტანილი ვრცელი დამატება (ფ. 4/19, 28/43), ეს იმიტომ, რომ ასე იყო საჭირო დისონანსის დასამალად.

ე) 9/24 ფურცელზე გადაშლილია ავტორის ერთი სიტყვა და მის ნაცვლად ჩამატებულია რამდენიმე სიტყვა რომლებიც მეტყველებენ, რომ მ.ჯავახიშვილი სახავს კონტრრევოლუციურ მუშაობას „მწერლებში, არტისტებში და კინოს მუშაკებში“.

3) 11/26 ფურცელზე მ.ჯავახიშვილის მიერ ვითომ პოლონეთის კონსულისათვის პოლკოვნიკ ლ.გარსიაშვილთან დასაკავშირებელი წერილის გადაცემის შემდეგ, მის შესახებ წერია - „скороуехал“, მაგრამ იგი გადაშლილია და ჩასწორებულია სიტყვით „ушел пешком (ფურც. 12/27) На другой же день он прислали удиных 3000 р. Но иуда оказался смелее меня он повесился, а я еше живу досихпор“. სიტყვები „досихпор“ გადაშლილია. როგორც ჩანს ნაცვლიშვილმა გაამხნევა და გადააშლევინა.

32/47 ფურცელზე წერია „Оружие здес же можно било“ ესეც გადაშლილია და აბზაცით წერია: „ Оружие на месте не сушествует, это ми знали хорошо. Его можно было найти толко в арсенале. Но для этого нужно было (გადაშლილია სიტყვა „требовалось“) предварително (გადაშლილია „победить“) переманить на свою сторону част красной армии, на что и возлагалась некоторая надежда“ და ა.შ.

ზ) 4/49 და სხვა ფურცელს უკანა გვერდზე მიმატებული აქვს საყურადღებო პასაჟები.

თ) 33/48 ბოლოს წინა ფურცელი რატომდაც მხოლოდ ექვსი არასრული სტროფისგან შედგება, ხოლო მომდევნო 34/49 არასრული ფურცელი ისეა გადაშლილ-ჩამატებული, რომ ნორმალურ მდგომარეეობაში მყოფი რუსულის მცოდნე ადამიანის ნაწერს არ ჰგავს. ეტყობა ნაცემ-ნაწამებ ავტორს წინადადების დალაგება გაუჭირდა. სამაგიეროდ ბოლო 5 სტროფის თარიღი („21.VI-37“) და ხელმოწერა კარგად ჩანს. კარგად ჩანს, რომ თარიღი მიზნობრივი, ან მექანიკურიშეცდომაა.

ი) ალოგიკურია ისიც, რომ მ.ჯავახიშვილი წერს: „Говорят что какой то эмирас приезжал из заграницы и виделся со мной. Такого случая небило. Признав свиаз с польским консулом, я ке скрыл бы имя уехавшего эмиссара. Снявший голову по волосам не плачут“ (იხ. ხელნაწერისფურც. 7/22). მაშასადამე მ.ჯავახიშვილი ემისრის ჩამოსვლას უარყოფს და

გადადის სხვა ამბებზე, საუბრებსკერძოდ იაშვილისა და მის მიერ შესრულებულ ჯაშუშობაზე და ამისთვის ფულის აღებაზე. მაგრამ ამ ვრცელი აღიარების მერე იგი უჩვენებს შ.ქარუმიძის მხრივ მის მონახულებას და მასთან ვრცელ საუბარს (მ.ხომერიკის დასახელებული წიგნი, გვ.92-93). როგორც ჩანს მ.ნაცვლიშვილს ამ შეუსაბამობის გასწორებინება არ გამორჩა.

კ) მ.ხომერიკს მ.ჯავახიშვილის ხელნაწერიდან მრავალ წერტილის გარეშე ამოუღია აგრეთვე შემდეგ ასეთი მამხილებელი ნაწერი წინადადებები: „Я забил добавит, что он (Карумидзе – Г.Ц.) твердо обешал установить из заграницей с нами постоянную связ“ ჩემს ხელთ არსებულ ქსერო პირში დანარჩენი ორი სტროფი არ იკითხება. აბზაცით კი, ნაწერია ის, რაც მ.ხომერიკის პუბლიკაციიდან ჩანს. მაშასადამე, შ.ქარუმიძე როგორც პოლონეთის, ისე ემიგრანტული მთავრობის ემისარია. რომელიც სინამდვილეში არავინ იცის მართლა ჩამოვიდა თუ არა, წინამდებარე წიგნის ბოლო XII თავში კი ვნახავთ, რომ ჩეკას ძიების მიხედვით მისი ვიზიტი გამორიცხულია. მაშასადამე, სავარაუდოა, რომ ეს ვრცელი პასაჟი. ნაცვლიშვილის მიერ „გაფორმებული“ შემოქმედებაა.

ლ) მ.ჯავახიშვილის ხელნაწერის დამათარიღებელ ციფრებსა და რომაულ მაჩვენებელს თუ დავაკვირდებით, შევნიშნავთ რომ იგი ხელნაწერის ავტორის ციფრებს მიმსგავსებულია, მაგრამ განსხვავდება ზემოთ და მოხაზულობით. ამასთანავე მ.ჯავახიშვილი თარიღს ყოველთვის გაშლილად წერს და არა შემოკლებული სახით. ამდენად სავარაუდოა, რომ მცდარი თარიღი ხელნაწერზე დატანილი იყო გამფორმებლის მიერ.

მ) და ბოლოს: ხელნაწერი განცხადების ტექსტში, მ.ჯავახიშვილი მცდარად, 1906 წლით ათარიღებს მოსკოვიდან დელეგატების ვაგონით მგზავრობის დროს მ.ნიორაძესთან წაკინკლავების 1936 წლის ამბავს (იხ. ხელნაწერის დედანი, მ.ჯავახიშვილის საქმე №9997 გვ.22/37; მ.ხომერიკი, მიხეილ ჯავახიშვილი უნიკალური დოკუმენტების ფონზე, გვ.95). რატომ ისიც არ შეიძლება, რომ ხელნაწერი განცხადების დათარიღება თუ მისია. ამ შემთხვევაშიც დაეშვა შეცდომა?! ამით ნათელი ხდება, რომ ხელნაწერ განცხადებაზე გადატანილ თარიღს მისი ავტორის ჩეკას

დამსმენად, თუ აგენტ არსენად გასაღების მინიშნების თუ მტკიცებისათვის არავითარი მტკიცების მნიშვნელობა ღირებულება, თუ მნიშვნელობა არა აქვს.

მაშასადამე, ყოველივე ზემოთ მითითებულის საფუძველზე გამოირკვა, რომ ბერიამ მ.ჯავახიშვილის მიმართ თავისი დამოკიდებულება და მიზანდასახულობის რეალიზაციის მიზნით დაუმორჩილებელი ორდენოსანი, დიდი და პოპულიარული მწერლის საქმე დააკისრა ადრე კონტრრევოლუციური დანაშაულის მქონე, მის მიერ გადაბირებულ ლევან აბაშიძეს, რომელსაც ჩეკას IV განყოფილების II ქვეგანყოფილების უფროსის თანამდებობა ეკავა. ლ.აბაშიძემ მ.ჯავახიშვილის მიმართ ადრე ჩეკას ძიების მიერ გაუბედურებული პატიმრების მიერ გამოძალული კონტრრევოლუციურ-პრაქტიკულ-ორგანიზაციული ბრალდების შემცველი აღიარება-ჩვენებები დამატებით გაამაგრა და განავითარა მის მიერ დაკითხული ლ.ქორქაშვილის აღიარება-ჩვენებით. მაშასადამე, გამომძიებელმა შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა.

მას შემდეგ როცა გამოვლინდა ბერიას დამადანაშაულებელი პაოლო იაშვილის თვითმკვლელობა და ამის გამო მიხეილ ჯავახიშვილის მხრივ თავგანწირულის ვაჟკაცად გამოცხადება, ბერიამ განახორციელა თავის მართლებისათვის საჭირო ოპერატიული ღონისძიებები: ლ.აბაშიძე ჯავახიშვილის საქმის ძიებისთვის გადაიყვანეს შექმნილი იმავე განყოფილების III ქვეგანყოფილების უფროსად; თანაშემწე „გამფორმებლად“ მას მიუჩნიეს მ.ნაცვლიშვილი; მ.ჯავახიშვილი გაათავისუფლეს რუსთაველის საიუბილეო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის საპატიო თანამდებობიდან; დაგმეს მისი პოლიტიკური ხასიათის მქონე რომანი „ქალისტვირთი“; მ.ჯავახიშვილს მოუხლაფორთეს კონტრრევოლუციურ ხასიათის ბრალდების შემცველი დადგენილება და დააპატიმრეს.

მ.ჯავახიშვილის დაპატიმრების და მისი მომავალი ბედის მიზეზთა ახსნის მიზნით საქართველოს მწერალთა პრესიდიუმს მიაღებინეს მომაკვდინებელი, უდანაშაულობის პრეზუმციის

დამრღვევი, დადგენილება. აღნიშნულ ღონისძიებათა შემდეგ იწყება იყო მ.ჯავახიშვილის ბრალეულობათა ძიება-დასაბუთება.

ბერიას მიერ გადაბირებულმა ყოფილმა დამნაშავემ, მ.ჯავახიშვილის სპეციალურად დანიშნულმა მთავარმა გამომძიებელმა ლ.აბაშიძემ, ბრალდებულის პირველი (19/VIII-37) დაკითხვა-დაპირისპირებითა და მეორე (21/VIII-37) დაკითხვების შედეგებით, მხოლოდ ის მოახერხა, რომ ბრალდებულს აღიარებინა მის მიერ კონტრრევოლუციური ხასიათის საუბრების წარმოება, რომელსაც იგი მწერალთა პრეზიდიუმის ივნისის სხდომაზეც არ მალავდა, მაგრამ თავისი გულუბრყვილო-ანჩხლი ხასიათით ამართლებდა, ამის შემდეგ კი, 19 აგვისტოს დაკითხვის დროსაც აღიარა. მაგრამ იგი გამორიცხავდა მისთვის სასჯელის უმაღლესი ზომის მისადაგებას, ანუ მისი დანაშაილობების დახვრეტითა და ფიზიკური განადგურებით კვალიფიცირებას.

ამრიგად, ცხადი გახდა, რომ ბერიას მიერ გადაბირებულმა, აღზევებულმა და სპეციალურ დავალებით აღჭურვილმა გამომძიებელმა ლ.აბაშიძემ გამოავლინა დაუმორჩილებლობა, არ გამოიყენა კრიმიანისეული ჩეკისტური მეთოდები და არ მოიპოვა დიდი მწერლის მიმართ მომაკვდინებელი ბრალდება-აღიარება-ჩვენებები. ეს იყო დანაშაული არა მარტო ჩეკისტური ძიების წესით, არამედ ბერიას მიზანდასახულობის შეუსრულებლობის თვალსაზრისით. ამიტომ მ.ჯავახიშვილისგან სასურველ ბრალეულობათა გამოვლენის პროცესში იძულებული გახდა, რომ თვითონ საქართველოს კომპარტიის მდივანი და საქართველოს ჩეკას შეფი, აგრეთვე IV განყოფილობის უფროსი ჩართულიყვნენ.

ბერიამ, მ.ჯავახიშვილისგან სასურველი აღიარება-ჩვენების მოპოების დროს, ორმაგი მზაკვრობა და ჯალათობა გამოავლინა. სასურველი ჩვენების მიცემაზე უარის გამო მ.ჯავახიშვილის ცემის ბრძანება გასცა და ამით ლ.აბაშიძეს ჩია მოხუცის მიმართ ისეთი დარტყმა განახორციელებინა, რომ იგი ძირს სკამიდან უგრძნობლად დაეცა, ამის გამო მ.ჯავახიშვილი წყლის დასხმით გრძნობაზე მოსაყვანი გახდა. მის შემდეგ მ.ჯავახიშვილს სხვა გზა არ დაუტოვეს გარდა მომაკვდინებელი დანაშაულობების აღიარებისა. მაგრამ მათ შორის აღმოჩნდა ისეთი ბრალდებაც, რომლის

აღიარებაზე ნაცემი მ.ჯავახიშვილი არ თანხმდებოდა, ამიტომ საჭირო გახდა ლ.აბაშიძის მიერ მისი განმეორებითი ცემა, როგორც წყარო მოწმობს ბერია კი იცინოდა. მ.ჯავახიშვილი ცემეს იმ ზომამდე, რომ დამოუკიდებლად გადაადგილება იმ დროსაც არ შეეძლო, როცა იგი ლ.აბაშიძის თანაშემწე მ.ნაცვლიშვილმა თავისთან „განმარტებების“ „გასაფორმებლად“ ორ ზედამხედველს მიათრევინა. მ.ნაცვლიშვილი თავის ჩვენებაში არ აფიქსირებს ცემის გარდა, ჩეკისტური წესის მიხედვით სიცოცხლის შენარჩუნებას და ოჯახისწევრთა ხელშეუხებლობას ხომ არ პირდებოდნენ, ან როდის ინება მ.ჯავახიშვილის „განმარტებების“ 34 ფურცელზე შესრულებულ, გოგლიძის სახელზე დაწერილ ავტოგრაფულ განცხადებად „გაფორმება“, იმავე მეორე დღეს, როცა ბრალდებულის განმარტებები გადასცეს, თუ ამ წამებას არაერთი გამოძახება მოანდომა. მაგრამ იგი აღიარებს, რომ მ.ჯავახიშვილის „განმარტებების“ სახით მოხლაფორთებული აღიარება-ჩვენებები მისთვის დაუჯერებელი იყო. მ.ჯავახიშვილის აღიარება ჩვენებები დაუჯერებელი იყო იმდენად, რამდენადაც ისინი 19 და 21 აგვისტოს პირველი განცხადება-ფუტლიარით გამოძალული ჩვენებების საწინააღმდეგოდ, მომაკვდინებელ ბრალეულობამდე იყო გაზვიადებული. მაგრამ მათი „გაფორმების“ დროს მ.ჯავახიშვილს პროტესტი არ გამოუთქვამს. მაშასადამე, მ.ჯავახიშვილი დარწმუნდა, რომ დაუმორჩილებლობის განმეორების შემთხვევაში მოკლავდნენ, მას ასეთი ინფორმაცია შეიძლებოდა თანამესაკნეებისგან, ბერიასგან, ქობულოვისგან, ან თუნდაც „გამფორმებელ“ მ.ნაცვლიშვილისგან მიეღო. ამიტომ ბრალდებული მისი „განმარტებების“ „გამფორმებელს“ მიენდო და იმედების ანაბარა დარჩა. მის მიმართ მიჩენილმა „გამფორმებელმა“ კი, საქმე საჭიროების მიხედვით წარმართა. ამით ბერიამ მ.ჯავახიშვილის მიმართ დასახული ამოცანა შეასრულა. მან ამასთანავე, იმის მერე, რაც ადრე შეწყალებულ-გადაბირებულ და ქვეგანყოფილების უფროსად აღზევებულ ურჩ გამომძიებელს, ლ.აბაშიძეს მ.ჯავახიშვილი აცემინა, ესეც უკიდურესად სასტიკად დასაჯა იმით, რომ მის მიერ დაზოგილი დიდი მწერალი ცემით სიკვდილის პირამდე მიაყვანინა. ბერია უთუოდ ამ გამარჯვებით კმაყოფილების გამო იცინოდა.

მ.ნაცვლიშვილმა აღიარა, რომ თითქოს მისმა უშუალო უფროსმა მეორე დღეს, მ.ჯავახიშვილის განმარტებები „დაკითხვის ოქმად გაფორმებისთვის გადასცა“. ეს არის ტყუილი. სინამდვილეში მას ევალებოდა მ.ჯავახიშვილის მოხლაფორთებული განმარტებები პატიმრის მიერ გოგლიძის სახელზე შესრულებული ავტოგრაფული განცხადების, ანუ იურიდიული ძალის მქონე ჩვენება-აღიარების სახით გაეფორმებინა.

„დაკითხვის ოქმი“ არც გაფორმებულად არსებობს. ლ.აბაშიძის თანაშემწე მ.ნაცვლიშვილმა შეასრულა არა მ.ჯავახიშვილის დაკითხვის ოქმად გამფორმებლის, არამედ ძიებისთვის სასურველ დოკუმენტად, ანუ ცემით მოპოებული „განმართებების“ დედნად გამფორმებლის როლი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ანუ მ.ნაცვლიშვილს დაევალა ბრალდებულის განმარტებების ავტოგრაფულ განცხადებად გაფორმება, რაც მ.ჯავახიშვილის გარეშე ვერ მოხერხდებოდა. იმიტომ მიაყვანინა მ.ნაცვლიშვილმა კაბინეტში გადაადგილების უნარწართმეული მ.ჯავახიშვილი და დავალებაც წარმატებით შეასრულა.

მ.ნაცვლიშვილმა ბერიას მიერ მოპოვებული მ.ჯავახიშვილის განმარტებები, მისსივე ავტორის გამოყენებით, ისე „გააფორმა“, ანუ მოაკვარახჭინა, რომ ბერიას, ანუ ჩეკას დავალებას და სულისკვეთებას მიუსადაგა, დაამთხვია ადრე გაუბედურებულთაგან გამოძალულ მ.ჯავახიშვილის მომაკვდინებელ ბრალეულობასა და საქართველოს მწერალთა პრეზიდიუმის 17 აგვისტოს დადგენილების მოთხოვნას. მან, ამასთანავე, მ.ჯავახიშვილის აღიარება-ჩვენების ნაცოდვილარი განმარტებები ისე გამოიყვანა და განავითარა, რომ ლოგიკურად დაუკავშირა ბერიას მონაპოვრამდელს. ისინი დიამეტრალურად საწინააღმდეგოდ გარდაქმნა და მ.ჯავახიშვილის ხელით ის ჩვენებები მოახლაფორთა გაფორმებულ აღიარებებს, რომლებიც ბრალდებულის 34 არასრულ ფურცლების შემცველ გოგლიძისადმი წარდგენილ ავტოგრაფულ, ანუ ხელნაწერ-განცხადებად ჩამოაყალიბა, ხოლო მისი ყველაზე მძიმე ამონარიდები საფუძვლად დაუდო მ.ჯავახიშვილის 1937 წლის 19 სექტემბრის „საბრალდებო დასკვნას“ და ამავე თარიღის „დადგენილებას“. მათში მ.ნაცვლიშვილმა ლოგიკურად ასახა მ.ჯავახიშვილის მიერ ბერიას

„დამსახურებით“, 21 აგვისტოსვე მოპოვებული ჩვენებების შესაბამისი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული, ახალი მომაკვდინებელი მუხლები 58/1ª და 58/8, რომლებიც მოითხოვდნენ სასჯელის უმაღლეს ზომას, დახვრეტას ანუ „ფიზიკურ განადგურებას“.

არც ის არის გამორიცხული, რომ მ.ნაცვლიშვილმა ის რაც მ.ჯავახიშვილის ხელნაწერ განცხადებაში გადახაზულია, მაგრამ წაკითხვის შესაძლებლობას მაინც იძლევა, თავისი დამსახურების ილუსტრირების მიზნით დატოვა, ბევრი სხვა ბრწკალი კი ისე გადახაზა, რომ რაღაცა ალოგიკური სამუდამოდ დაემალა. არ არის გამორიცხული, რომ მათ შორის ერთ-ერთი, რომელმაც ბერიამდე მის მიერ შეურაცყოფილი ლ.აბაშიძის „ლაყბობა“ მიიტანა, იყო თვითონ ლ.აბაშიძის თანაშემწე. ერთი რამ ცხადია, მ.ნაცვლიშვილმა ლაზათიანად გაართვა თავი ბერიას მიზანდასახულობათა შესრულებას. ამიტომ მოხდა ის, რომ ბერიას მოსკოვში გადაყვანის შემდეგ მან თავის სხვა ერთგული შემსრულებელი ჩეკისტების მსგავსად მ.ნაცვლიშვილიც საბჭოთა დედაქალაქის შედარებით კომფორტულ სამუშაოზე დაასაქმა და ბინაც პრესტიჟულ ფრუნზეს სახელობის სანაპიროზე მოუგვარა. ლ.აბაშიძე კი, ბერიას დავალებათა შეუსრულებლობის მცდელობას გადაყვა. ლ.აბაშიძის ბედისწერის შესახებ არსებობს განსხვავებული ვერსიები, მაგრამ ერთი საერთო არსის შემცველი ინფორმაციები: ქ.ჯავახიშვილი ადასტურებს, რომ 1955 წლის ცნობილი სასამართლოს სხდომაზე, სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა რუდენკომ აღნიშნა: აბაშიძეს „ვერ გაუძლია მამას წამებისათვის და ფანჯრიდან გადამხტარა. უთქვამს მე მიხეილის წამებას ვერ ავიტანო...“ (დასახელებული მონოგრაფია, გვ.460); რ.კვერენჩხილაძის თხოვნით, რეპრესირებული ელენე ვისრასაძისა და აკად. შალვა ხიდაშელის ქალიშვილს, მანანას მისთვის მიუწოდებია დედის მონაყოლზე დამყარებული ასეთი ცნობა: „ერთხელ პარტიულ კრებაზე გამოსულა, უთქვამს რას ვაკეთებთ, ხომ არ ვცდებითო. აბაშიძე იქვე დერეფანში დაუხვრეტიათ...“ (რ.კვერენჩხილაძე, საბუთები ღაღადებენ... თბ.2011, გვ.391). მე კი, ჩეკას ყოფილი არქივის მასალებში დაფიქსირებული ცნობა მომაწოდეს, საიდანაც ჩანს, რომ ეს არაორდინალური ჩეკისტი

1938 წლის დასაწყისში დახვრიეს. არ არის გამორიცხული, რომ იგი საკუთარმა დაუმორჩილებლობამ და ცოდვებმა შეიწირა. საკუთარ ცოდვებს შეეწირნენ ზაკჩეკას უფროსი – მოგილევსკი, საქჩეკას უფროსები ეპ.კვანტალიანი და ტ.ლორთქიფანიძე – მრავალნი სხვანიც... ცოდვილებმა უნდა აღიარონ და ილოცონ შენდობის მიზნით... ისინი კი, ცოდვებს ამრავლებენ... აი როგორ მომზადდა მ.ჯავახიშვილის მიერ გოგლიძის სახელზე დაწერილი-განცხადება, ანუ აღიარება-ჩვენებების შემცველი 34 ფურცლიანი ხელნაწერი, რომელიც ძირითად საფუძვლად დაედო მ.ჯავახიშვილის დახვრეტას და რომელსაც მ.ხომერიკი მიზნობრივად აცხადებს მწერლის დაპატიმრებამდე ორი თვით ადრე დაწერილ, თანამოაზრე-მეგობართა ჩეკისტურ დასმენად.

მ.ჯავახიშვილის ხელნაწერი განცხადება, რომ ბერიას და ჩეკას ძიების მიერ შეთითხნილი, ანუ 21 აგვისტოს მოპოვებული განმარტებების მიზნობრივი განვითარებაა, ამას მოწმობენ მისი საქმის ჩეკისტური ძიების საფუძველზე გაფორმებული 1937 წლის 19 სექტემბრის „საბრალდებო დასკვნა“, „დადგენილება“ და აგრეთვე ა.წ. 30 სექტემბრის სასამართლოს განაჩენი მის მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომის, დახვრეტის, ანუ ფიზიკური განადგურების შესახებ. ამ დოკუმენტების შესახებ მომდევნო თავში გვაქვს ანალიტიკური მსჯელობა.

მაშასადამე ნათლად ჩანს, რომ მ.ჯავახიშვილმა 19 აგვისტოს დაკითხვა დაპირისპირების და 21 აგვისტოს პირველ ცემის გარეშე ჩამორთმეულ ჩვენებებში, რომელიც აისახა ე.წ. „ფუტლიარად“ წარმოჩენილ „განცხადებაში“, დანაშაული აღიარა კონტრრევოლუციური საუბარ-გამოთქმების სახით, რომელსაც ადგილი ჰქონდა შინაურულ, მეგობრულ ვიწრო გარემოში, ხოლო ბერიას უშუალო ჩარევისა და და მისი ბრძანებით ჩატარებული ორჯერადი ცემის შემდეგ კი, გოგლიძის სახელზე დაწერილ მეორე (21 აგვისტოს პირველი განცხადების შემდგომ) ხელნაწერ განცხადებაში ნათლად ჩანს, რომ მ.ჯავახიშვილი პირველი დარტყმის შემდგომი მოსულიერების შემდეგაც შეეცადა წინააღმდეგობის გაწევას, რომლის გამო დაიმსახურა განმეორებითი ცემა. მხოლოდ ამის შემდეგ იგი დაარწმუნეს იმაში, რომ თუ არ

დაემორჩილებოდა და წინააღმდეგობას გააგრძელებდა, ცემით მოკლავდნენ. დაიკარგებოდა გადარჩენის ყოველგვარი შანსი და იმედი. ამიტომ მ.ჯავახიშვილი იძულებული გახდა დანებებულიყო და ჯერ საკუთარი ხელნაწერი „განმარტებებით“, შემდეგ ხელნაწერი განცხადებით საგნობრივად ეღიარებინა, ანუ საკუთარი პიროვნებისთვის დაებრალებინა პრაქტიკულ ორგანიზაციული ანტისაბჭოთა არალეგალური კონტრრევოლუციურ-ფაშისტური მუშაობაც და ზნედაცემულობაც. არ არის გამორიცხული, რომ სხვათა მაგალითების მსგავსად, თან ემუქრებოდნენ და სცემდნენ და თანაც, ცნობილი ჩეკისტური მეთოდებით, აღიარების შემთხვევაში, წამებისა, თუ ცემისგან თავის დაღწევას ურჩევდნენ, ან სულაც სიცოცხლის შენარჩუნებას პირდებოდნენ. სხვა შემთხვევაში გაუგებარია 21 აგვისტოს, დიამეტრიულად საწინააღმდეგო, ალტერნატიული ორივე განცხადების ბოლოში დართული, ერთმანეთის მსგავსი თხოვნა შესაძლო შეწყალების შესახებ.

მაშასადამე მ.ჯავახიშვილის ხელმოუწერელი განცხადება, რომელიც „21/VI-37”-ით არის დათარიღებული, სინამდვილეში დაწერილია გოგლიძის მიმართ განკუთვნილი, მისივე 21 აგვისტოს პირველი, გოგლიძის სახელზე დაწერილი ნაბეჭდი და ხელმოუწერელი მცირე მოცულობის (საქმე №9997, ფურც.10-15) „ფუტლიარ“-განცხადების შემდეგ. მისი დაწერის დრო თარიღდება არა მასზე დატანილი, მ.ჯავახიშვილის დაპატიმრებამდე ორი თვით ადრეული რიცხვით, არამედ პატიმრობაში, და მასზე დატანილი თარიღის ნაცვლად, ორჯერადი აუტანელი ცემით განცდილი იძულების გზით, მისი წინამორბედი პატიმრების ჩვენებების „დადასტურებით“ და უფრო ადრინდელი მისივე აღიარებების საფუძველზე, ძიების მიერ მოხლაფორთებული თეზისური ახსნა - განმარტებების განვითარებით.

მაშასადამე, თარიღის თვის აღმნიშვნელ რომაულ ციფრს აკლია ორი ხაზი. არც ის არის გამორიცხული, რომ მცდარი თარიღი მითითებულია ხელნაწერის ჩეკისტური წარმოშობის მიმართ ყურადღების გამახვილებისათვის, ან სულაც მიწერილია ჩეკისტი ფალსიფიკატორის მიერ მოგვიანებითა და თანაც დიდი მწერლის ჩეკისტური ბედით დაინტერესებულთა დაბნევის მიზნით. ამას

გვაფიქრებინებს ისიც, რომ არსებობს წყარო, რომლის მიხედვით 1954 წელს, როცა აღიძრა საკითხი მ.ჯავახიშვილისა და სხვათა რეაბილიტაციის თხოვნით, სსრ კავშირის სარეაბილიტაციო უწყებამ ვერ ამოიცნო ამ თარიღის მცდარობა და ამის გამო გააკეთა შესაბამისი განმარტება, ხოლო სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს კომპარტიის იმდროინდელ მდივანს, ვასილ მჟავანაძეს გამოუგზავნა მოთხოვნა გამოეძია მ.ჯავახიშვილის დახვრეტის გარემოებები, მიეღო სათანადო ზომები და მათთვის ეცნობებინა შედეგები. ვ.მჟავანაძემ კი, მიაწოდა მწერლის გამამართლებელი აზრები, მაგრამ ამავე დროს მ.ჯავახიშვილის დაპატიმრების დედნისეული, მცდარი თარიღი – 1937 წლის ივნისი. მას არ შეეძლო ეს თარიღი პირადად განესაზღვრა. მაშასადამე უნდა ეკითხა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, ან მწერალთა კავშირისათვის. გამოდის, რომ ამ დაწესებულებებიდან ერთ-ერთშია მცდარი ინფორმაციის მიმწოდებელი, ან უნებლიე „ფალსიფიკატორი“. ამის შესახებ დამატებითი საუბარი გვექნება წინამდებარე წიგნის სათანადო, XII თავებში. აქ კი, საჭიროდ მიმაჩნია გამოვთქვა ვარაუდი: მ.ჯავახიშვილის განმეორებული ცემა გამოიწვია ბერიას ინიციატივით მოპოვებულ მწერლის აბსურდულ განცხადებაში იმ ტესტების ჩადების მოთხოვნამ, რომლის მიხედვით „მ.ჯავახიშვილის ჩვენებით“, ავტორის და ბერიას მტრების უახლოესი მეგობარი, პ.იაშვილი მიზნობრივად გამოყვანილნი არიან, როგორც ჯაშუშები, ფულის მიმთვისებელი უაღრესად დაბალი ზნეობის ადამიანები.

ამ ზემოთ ჩამოყალიბებულ მიგნებასთან ერთად საყურადღებოა და გასათვალისწინებელია ისიც, რომ როგორც „საბრალმდებო დასკვნიდან“ ჩანს, მ.ჯავახიშვილის საქმეში დაცული ამ ერთადერთი ხელნაწერის და არა რომელიმე ადრინდელი დაკითხვის ჩვენება-აღიარებები, დაედო საფუძვლად მისი „საბრალდებო დასკვნის” ხუთ დებულებას, რომლებიც თავის მხრივ შესდგებიან პატიმარ მ.ჯავახიშვილის მცდარად დათარიღებული ხელნაწერი განცხადებიდან დამოწმებული ტექსტებიდან, რომლებსაც მითითებული აქვს არა დედნის თარიღი, არამედ მ.ჯავახიშვილისაგან

„აღიარების“ ბერიას მონაწილეობით გამოძალვის დრო - „21/VIII-37წ.“.

მაშასადამე, „ჩეკას თუ ბერიას მიერ” მ.ჯავახიშვილის დაბარებისა და მის მიერ გოგლიძის სახელზე დაწერილი მ.ჯავახიშვილის 1937 წლის 21 ივნისის 34 ფურცლიანი განცხადება, რომელიც შეთითხნილია ჩეკისტურად და მიზნობრივად მართლაც წარმოადგენს მისი თანამოაზრე-თანამებრძოლი მეგობრების დასმენა-დაბეზღებას, დაპატიმრებამდე და ორჯერად ცემამდე, არ არსებობს. იგი მართლაც გავაქრე, მაგრამ არა იმ გზით, რომ თითქოს 21 აგვისტოს „მ.ჯავახიშვილის პირველი განცხადებისგან“ „ზომითა და შინაარსით“ ვერ გავარჩიე, როგორც ამას მ.ხომერიკი მაბრალებს, არამედ იმით, რომ მისი შექმნის ნამდვილი დრო დავადგინე და აგრეთვე, რომ გავარკვიე მ.ჯავახიშვილის ეს „21/VI-37”-ით დათარიღებული, გოგლიძის სახელზე დაწერილი ხელნაწერი შეიქმნა არა 21 ივნისსა და ავტორის დაპატიმრებამდე ორი თვით ადრე, არამედ მისი პატიმრობის დროს, 21 აგვისტოს „ფუტლიარ“-განცხადების დაწერისა და მისი ავტორის ორჯერადი ცემის შემდეგ. ამ სინამდვილეში მკითხველის კიდევ უფრო მეტად დარწმუნდება როდესაც იგი გაეცნობა წინამდებარე წიგნის მომდევნო თავს.

ჩემი მიგნების მიხედვით, „მ.ჯავახიშვილის“ 21 აგვისტოს განცხადების შემდეგ დაწერილი, თუ ჩეკას სამძებროს IV განყოფილების ფალსიფიკატორთა მიერ „განმარტების“ გამოძალვა-იმპროვიზაციით შედგენილი, თუ გადაწერილი ეს განცხადება, მისივე ადრეული ჩვენება-განცხადებისგან არა მარტო იმით განსხვავდება, რომ ფურცლების განსხვავებულ რაოდენობას (34-ს) მოიცავს და მწერლის სამძებრო საქმეში ჩაკერებულია მისივე პირველი განცხადების (ფურც.10-15) მომდევნო 16-49 გვერდების სახითა და ალტერნატიული შინაარსით, არამედ რაც მთავარია, იმით, რომ მისი ავტორი ამ ხელნაწერში უკვე მთლიანად, მაგრამ პირველად და ბერიას ბრძანებით სანქცირებული ორჯერადი ცემის შემდეგ „აღიარებს”: თავისი და თანამოაზრე-თანამებრძოლების არა მხოლოდ ანტისაბჭოთა გამოთქმებს, არამედ უკვე კონტრრევოლუციურ-ფაშისტურ პრაქტიკულ-ორგანიზაციულ მუშაობას; ფაშისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელად ყოფნას; საერთო „ქართული

ნაციონალური ცენტრის” წევრობას და მრავალ სხვა აბსურდულ დანაშაულებრივ ქმედებებს. ამასთანავე, ცხადი გავხადე, რომ ეს მოხდა არა მ.ჯავახიშვილის დაპატიმრებამდე ორო თვით ადრე და მისი ინიციატივით, არამედ ისე, როგორც მასზე ადრე დაპატიმრებულების აბსოლუტური უმრავლესობისა, ძიების მიერ განხორციელებული ცემით, ანუ ამჯერად, სასტიკი და ორჯერადი ფიზიკური ზემოქმედებით და სავარაუდოდ სიცოცხლის შენარჩუნების დაპირებით.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ფიზიკური ზემოქმედებით შექმნილ, მ.ჯავახიშვილის ამ ხელნაწერ განცხადება-აღიარებაში შეტანილია რომელიც მ.ხომერიკისა და სხვა მრავალთა მიერ გაგებულია როგორც დაპატიმრებამდე ორი თვით ადრე დაწერილი ხელნაწერი, არა მარტო მისი წინამორბედი პატიმრების მიერ აღიარებული მისი ბრალეულობების ჩვენებები, არამედ საკუთარი და პაოლო იაშვილის ზოგი ისეთი ზნეობრივი სიმდაბლეების და დამამცირებელი ამბების ამსახველი მდგომარეობები, როგორც არის მ.ჯავახიშვილისა და პ.იაშვილის ურთიერთ მოტყუებისა, თუ სხვა, უკიდურესად მდაბიო ზნეობრივი დონის მამხილებელი ფაქტებიც. მ.ჯავახიშვილის ხელნაწერ განცხადებაში სამშობლოს განთავისუფლებისათვის მებრძოლი მწერალთა ორგანიზაციისა და სრულიად საქართველოს ნაციონალური ცენტრის მიზანდასახულობით მებრძოლთა სახით წარმოჩენილი ეს ორი ლიდერი, მხილებულია საზიზღრად, როგორც: უცხოეთის კონსულებისგან ჯაშუშური დოკუმენტების მიწოდების სანაცვლოდ მიღებული ფულის მიმთვისებლები; მათთვის საიდუმლო ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების მომპოებელთა, პოლკოვნიკ ლევან გარსიაშვილის, სახკომსაბჭოს მდივანის ბეგლარ ფაღავას და სხვა თანამებრძოლი მეგობრების გადამგდებები და მათგან ფულის მომტეხავი. აქედან ცხადი ხდება, რომ ჩეკას ძიებამ ბერიას ინტერესების გათვალისწინებითა და მისდამი მაამებლობის მისწაფებებით, აღნიშნული ორი მაღალი ზნეობის ქართველი მამულიშვილის ჯაშუშობისა და ზნეობრივი სიმდაბლის დამაჯერებლობის საილუსტრაციოდ გამოიყენა საკუთარი, ანუ ჯალათ გამომძიებელთა და საერთოდ ჩეკისტებისათვის

დამახასიათებელი ზნეობრივი ხრიკი. მაგრამ მის წამკითხველთაგან, როგორც ჩანს ვიღაცა მიხვდა და გამოირიცხა ამ ადვილად შესამჩნევი ზოგი აბსურდების მ.ჯავახიშვილის „საბრალდებო დასკვნაში" შეტანის საჭიროება. ეს პიროვნება, ჩემი აზრით, შეიძლებოდა ყოფილიყო ისევ ბერია, რომელსაც, როგორც ცნობილია, საჭიროების შემთხვევაში, ჩეკისტების შენათითხნი, ფრიად საყურადღებო, დოკუმენტების გაკონტროლებაც წესად ჰქონდა და მზაკვრული საჭიროების შემთხვევაში წინდახედული ზომიერების გრძნობაც გააჩნდა. ზემოთ აღწერილი ამბავი იმასაც გვიჩვენებს თუ როგორ ჩვენება-აღიარებებს შეათითხნინებდნენ, ან მიაწერდნენ პ.იაშვილს იმ შემთხვევაში თუ იგი საკუთარ სიცოცხლეს თვითმკვლელობით არ დაამთავრებდა.

მ.ჯავახიშვილისა და მისი წინამორბედი პატიმრების დაკითხვის ოქმებში ჩეკას გამომძიებელთა მიერ ჩადებული აბსურდული „აღიარება-ჩვენებები" მართალი რომ ყოფილიყო, მაშინ ვისაც ეს „აღიარება-ჩვენებები" მიეწერა, ერთდროულად გამოდიან სამშობლოს განთავისუფლებისთვის მებრძოლი ორგანიზაციის თავგანწირული მესვეურებიც და ამავე დროს, უზნეო ადამიანებიც. მაგრამ ისინი, როგორც ირკვევა იყვნენ, სტალინისა და ბერიას პოლიტიკის მძევალი ადამიანები... ხოლო მ.ჯავახიშვილის მ.ხომერიკისეულ გაგებას თუ განვაზოგადებთ, მ.ჯავახიშვილი და 1930-იანი წლების რეპრესიების მსხვერპლნი ყოფილან მხოლოდ დამბეზღებლები და ბოროტების გამოვლინებანი.

დაინტერესებული მკითხველი წინამდებარე წიგნის ამ დოკუმენტურ-ანალიტიკური თავების ლოგიკური წარმოჩენითაც დარწმუნდებოდა ჩემი გამოკვლევის ღირსებასა და მოწინააღმდეგეთა საწინააღმდეგო ნააზრევთა დემაგოგიურობის, ანუ აზრის მცდარობის ცხადყოფაში, მაგრამ ამ მიზნით მომდევნო თავში მომაქვს საყურადღებო დამატებითი კონკრეტული მტკიცებულებები.

<u>თავი VII. მიხეილ ჯავახიშვილი, მის შესახებ ჩეკისტურად შეთითხნილი 19 სექტემბრის „საბრალდებო დასკვნისა“ და „დადგენილების“, აგრეთვე 30 სექტემბრის „განაჩენის“ შუქზე</u>

ჩეკას ძიების მთელი აღწერილობა, მათ შორის მ.ჯავახიშვილის ხელნაწერი განცხადების შინაარსი, მისი და 31 აგვისტოს მისდამი მიწერილი განცხადებების სტილი, გამომძიებლის თანაშემწის მ.ნაცვლიშვილის მიერ შედგენილი პატიმარ მ.ჯავახიშვილის შესახებ მიხლაფორთებულს 19 სექტემბრის „დადგენილებასა“ და „საბრალდებო დასკვნაში” შეტანილი სისხლის სამართლის მუხლები, ნათლად მეტყველებენ იმას, თუ მიხეილ ჯავახიშვილის დაკითხვის და მისგან ხელნაწერი განცხადება-ჩვენების გამოძალვისთვის რატომ გაისარჯა პირადად ბერია. ჩემი აზრით, მას ან ჩეკას ძიებას უკვე 21 ივნისს, რომ ჰქონოდათ მიწოდებული მ.ჯავახიშვილის ხელნაწერი განცხადება-ჩვენება, როგორც ამას მ.ხომერიკი გვასაღებს, მაშინ არც თვითონ ბრალდებული გაჯიუტდებოდა, ხოლო თუ მაინც გაჯუტდებოდა წინ დაუდებდნენ თავისსავე ხელნაწერ დასმენას. ამის მერე რისთვისდა გახდებოდა საჭირო ან ბერიას „შეწუხება” ან მისი ის ბრძანება, რომლის გამოც მოხდა მ.ჯავახიშვილის დასამოჩილებელი ორჯერადი ცემა?! პატიმრის ადრინდელი მამხილებელი ხელნაწერის დადასტურებისთვის ცემა თუ გახდებოდა საჭირო, ამას ბერია არ დასჭირდებოდა, ამ საქმის ოსტატები ბ.ქობულოვის განყოფილებას, როგორც ადრე ვნახეთ, საკმაო რაოდენობით ყავდა. მათი ძალისხმევით, ამ შემთხვევაში მ.ჯავახიშვილის ხელნაწერი ზედმეტი ფორმალობის გარეშე, სსრკ გენერალური პროკურორის, ვიშინსკის დირექტივის საფუძვლზე მიეკერებოდა მის საქმეს და გამოირიცხებოდა მ.ჯავახიშვილის ბრალეულობათა დასაბუთების გახანგრძლივებული და საგანგებო ჩეკისტური ძიება.

ამას ცხადყოფს მ.ჯავახიშვილის საბრალდებო დასკვნის მოყვანა და მისი ანალიტიკური შემეცნება. ამ აუცილებლობას მ.ხომერიკმა თავი აარიდა შეგნებულად და მიზნობრივად. მან არ ისურვა მისი გამოქვეყნება იმ მარტივი გასაგები მიზეზით, რომ იგი დაინტერესებულ მკითხველს შესაძლებლობას აძლევს მთლიანობაში

და სწორად აღიქვას მ.ჯავახიშვილისგან ბერიას მიზანდასახულობითა და ძიების ხრიკებით გამოძალული „აღიარება-ჩვენებები“, აგრეთვე, მათი ხელოვნური კომპოზიცია. მ.ჯავახიშვილის გამყალბებელთა „ჩვენებებიდან“. მე კი აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია მკითხველისათვის ამ მართლაც უნიკალური დოკუმენტების სრული ტექსტის გაცნობა.

მ.ჯავახიშვილის „საბრალდებო დასკვნა“, ეს არის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომელშიც მიზნობრივად არის დაჯგუფებული დასახვრეტი ბრალდებულის „დანაშაულობათა” მამტკიცებელი მთავარი არგუმენტები. ისინი ამასთანავე გვევლინებიან ჯერ კიდევ ბოლომდე შეუცნობელი, საბჭოთა ბოლშევიკურ, ჩეკისტური ისტორიის საკითხების მეცნიერული გაგებისა და შემეცნების ერთგვარ გასაღებად. ამიტომ, ამ უაღრესად საყურადღებო დოკუმენტით ჯამდება ჩემი წინამდებარე დოკუმენტურ-ანალიტიკური ნარკვევის ერთი მთავარი ნაწილის გაშუქება. დოკუმენტის თარგმანი მომყავს სრულიად:

„ვამტკიცებ“
საქართველოს სსრ შინსახკომის
სახ. უშიშროების 2 რანგის
კომისარი გოგლიძე
„19“ სექტემბერი-37წ.
(ხელმოწერილია – გ.ც.)

„ვამტკიცებ“
სსრკ პროკურორის უფ.
თანაშემწე (როზოვსკი)
„19“ სექტემბერი-37წ.
(ხელმოწერილია-გ.ც.)

საბრალდებო დასკვნა

მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილის სამძებრო საქმე №9997 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1ა, 58,8 და 58-11 მუხლებით ბრალდების გამო

საქართველოს სსრ შინსახკომის მიერ გამოვლენილ და ლიკვიდირებულ იქნა კონტრრევოლუციურ-ტერორისტული დივერსიულ-მავნებლური და ჯაშუშური ორგანიზაციები მენშევიკების, სოც. ფედერალისტების, ესერების, ეროვნულ-დემოკრატების, ფაშისტებისა და

სხვ., რომელთაც თავიანთ მიზნად დასახული ჰქონდათ ინტერვენციისა და შეიარაღებული აჯანყების გზით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა ბურჟუაზიულ დემოკრატიულ საფუძვლებზე ერთ-ერთი კაპიტალისტური სახელმწიფოს პროტექტორატის ქვეშ.

ძიების პროცესში დადგენილი იქნა, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კონტრრევოლუციური ორგანიზაცია გაერთიანდა და მოქმედებენ ე.წ. ინტერპარტიული კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელიც შედგენილი იყო ზემოთ დასახელებული კონტრრევ. ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან.

<u>ბრალდებული მ.ს. ჯავახიშვილი წარმოადგენს ფაშისტურ-ტერორისტულ, დივერსიულ-მავნებლური და ჯაშუშური ორგანიზაციის ხელმძღვანელს და შედიოდა ინტერპარტიული კომიტეტის შემადგენლობაში</u>:

I. „...ჩვენ დავინაწილეთ როლები. მე ფაშისტური ცენტრის ხელმძღვანელი და ფინანსების გამგე. ქიქოძეს დავავალეთ კავშირის დამყარება ანტისაბჭოთა ორგანიზაციებთან, ხოლო იაშვილმა ივალდებულა მოლაპარაკებები უცხოელ საკონსულოებთან...
(<u>ჯავახიშვილის 21/VIII-37წ. ჩვენებიდან</u>)

„...მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვებიდან ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ კონტრ. ფაშისტური ცენტრი შედგება მიხეილ ჯავახიშვილის (თავჯდომარე)... და ალექსანდრე წერეთელისგან...“

„...მიხეილ ჯავახიშვილისგან ჩემთვის ცნობილია, რომ ცენტრის გარდა ფაშისტურ ორგანიზაციას თავისი განშტოებები აქვს საქართველოს რაიონებში, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ცენტრის რწმუნებულები...“

(ქოქრაშვილის 15/VII-37წ. ჩვენებიდან)

„...ჩვენი კონტრრევოლუციურ ფაშისტური ორგანიზაციის ორგანიზატორებს და ხელმძღვანელებს წამოადგენენ... მიხეილ ჯავახიშვილი...“

(მიწიშვილის 14/VI-37. ჩვენებიდან)

„...კ-რ. ფაშისტურ ორგანიზაციაში შედიან მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, გერონტი ქიქოძე... დასახელებულ შეკრებაზე ესწრებოდნენ: მიხეილ ჯავახიშვილი... და მე – დავით წერეთელი...“

(დ.წერეთლის 20/VI-37წ. ჩვენებიდან)

„... ქართული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურად განწყობილი ქსელიდან ჩემთვის ცნობილი არიან... მიხეილ ჯავახიშვილი...“

(ა.მიქაძის 28/VI-37 წ. ჩვენებიდან)

„...ჯავახიშვილმა მაცნობა, რომ თბილისში არსებობს საქართველოს განთავისუფლების ჯგუფი... და შემომთავაზა მემუშავა ამ მიმართულებით ქ. ბათუმში...“

(ლაღიძე-ს 21/VII-37წ. ჩვენებიდან)

<u>ძიების მიერ დადგენილია, რომ მ. ჯავახიშვილი არის საქართველოში ყველა ანტისაბჭოთა ძალთა კონტრრევოლუციური მუშაობის ხელმძღვანელი იტერპარტიული კომიტეტის აქტიური წევრი</u>:

„... ჩემთვის ცნობილია, რომ ინტერპარტიულ კომიტეტში შედიოდნენ საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების შემდეგი წამომადგენლები... ფაშისტებისგან მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი...“

(ქოქრაშვილის 22/VII-37წ. ჩვენებიდან)

„... მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვებიდან ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ თბილისში შექმნილია კონტრრევოლუციური ორგანიზაციების გაერთიანებული ცენტრი, შემადგენლობით... და მიხეილ ჯავახიშვილისა...“

(დ.წერეთლის 20/VI-37წ. ჩვენებიდან)

II. „...ერთი დღის შემდეგ მე გავემგზავრე მოსკოვს მოვასწარი შეტყობინება ნუცუბიძისადმი მემარჯვენეთა ლიდერ გერმანე მგალობლიშვილთან შემდგარი მოლაპარაკების შესახებ...“

<u>(ჯავახიშვილის 21/VIII-37წ</u>. ჩვენებიდან)

შემდეგ: „...ისახავდა რა ისეთ უზარმაზარ პოლიტიკურ ამოცანას, როგორიცაა საბჭოთა კავშირისგან საქართველოს ინტერვეციითა და შეიარაღებული აჯანყებით ჩამოცილება და მისი გარდაქმნა ინგლისის პროტექტორატის ქვეშ მყოფ ე.წ. დემოკრატიულ სახელწიფოდ, ცენტრს ბუნებრივია უაღრესად სერიოზულად უნდა ეზრუნვა, რომ ამ ამოცანის განხორციელებაში მიეზიდა ქვეყანაში არსებული ყველა ანტისაბჭოთა პარტიები და ამრიგად შეექმნა ერთიანი ანტისაბჭოთა ფრონტი. ასეთი ერთიანი ფრონტის აუცილებლობას დაბეჯითებით მიუთითებდნენ ამიერკავკასიის ბიუროს დირექტივები როგორც წერილობითი, ისე ზეპირი...“

(ქარცივაძის 4-5/ VII-37წ. ჩვენებიდან)

„...საქართველოს ყველა კონტრრევოლუციურ ძალათა კონსოლიდაციისთვის მენშევიკების საზღვარგარეთის ბიუროს 1934 წ. შემოთავაზების თანახმად ჩემს მიერ მოგვარდა ბლოკი სოცფედერალისტებისა და ესერების პარტიების წარმომადგენლებისგან, რის შედეგად შეიქმნა ინტერპარტიული კომიტეტი, რომელიც სათავეში უნდა ჩადგომოდა საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მომზადებას...“

(ონიაშვილის 9-10/VII-37წ. ჩვენებიდან)

„...1936 წლის შემოდგომაზე ცეტრის დავალებით მე დაუკავშირდი ფაშისტ მიხეილ ჯავახიშვილს..., მე მას ინფორმაცია მივაწოდე მენშევიკური ცენტრის საქმიანობის შესახებ... ჯავახიშვილმა თავის მხრივ შემატყობინა ფაშისტების ცენტრის არსებობის შესახებ, რომლის შემადგენლობაში შედიან... და მწერალი მიწიშვილი...“

(ნინიძეს 21-22/VIII-37წ. ჩვენებიდან)

<u>ბრალდებულ მ.ჯავახიშვილს რეგულარული კავშირი ჰქონდა ემიგრაციასთან – საზღვარგარეთის ფაშისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან</u>:

III. „... 1937წ. მაისში გვიან ღამით ჩემს ბინაზე გამოცხადდა ცნობილი ფაშისტი – ემიგრანტი შალვა ქარუმიძე... მისი შეტყობინებით ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ იგი საქართველოში ჩამოვიდა არალეგალურად პოლონეთის საზღვრის გზით... ქარუმიძემ დარწმუნებით განმიცხადა, რომ თურქეთი დაესხმება სსრ კავშირს და ჩამოაშორებს ამიერკავკასიას...“

(<u>ჯავახიშვილის 21/VIII-37წ. ჩვენებიდან</u>)

„...საქართველოში სხვადასხვა დროს წვეულ ემისართაგან ჩემთვის ცნობილია ამირეჯიბი, მდივანი, წერეთელი და გობეჩია... ემისარ წერეთლის შესახებ მე მაცნობა ჯავახიშვილმა... მისივე სიტყვებიდან ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ფაშისტურ ცენტრს საზღვარგარეთთან კავშირი აქვს ფაშისტური ორგანიზაციის წევრთაგან შიკრიკების გაგზავნისა და აგრეთვე იტალიისა და პოლონეთის საკონსულოების საშუალებით ინფორმაციის გაგზავნით...“

(ნინიძის 21/-22/VIII-37წ. ჩვენებიდან)

<u>საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით კ-რ ფაშისტურ-ტერორისტული ორგანიზაცია ამზადებდა შეიარაღებულ აჯანყებას</u>:

„...შეიარაღებული აჯანყება უნდა მომხდარიყო მენშევიკების, ერ.დემოკრატებთან და სხვა ანტისაბჭოთა პარტიებთან ერთობლივი მოქმედებით. აჯანყება მზადდებოდა ინტენსიურად, რამდენადაც უახლოეს დროში მოსალოდნელი იყო ომი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან...“

(დარჩიას 3-4 ივნისის-1937წ. ჩვენებიდან)

IV. „...მიზნის მიღწევას ჩვენ ვვარაუდობდით სსრ კავშირისათვის წარუმატებელი ომისა და შინაგანი შეიარაღებული აჯანყების გზით...“

(<u>ჯავახიშვილის 21/VIII-37წ. ჩვენებიდან</u>)

V. „...ნუცუბიძემ მაცნობა, რომ მან მოახერხა დაკავშირებოდა სამხედრო წრეებს, რომლებიც თანაუგრძნობენ აჯანყების იდეას და

იზიარებენ ჩვენს იდეოლოგიას, დიდი ხანია შეკავშირდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობის ერთიანი მიზნის მქონე ერთიან კასტად...“

(ჯავახიშვილის 21/VIII-37წ. ჩვენებიდან)

„...მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვებით ფაშისტურ ცენტრთან არსებობს საბრძოლო რაზმები, ჯარების სარდლის თანაშემწე გიორგი ქუთათელაძისა და სხვ. ხელმძღვანელობით...“

(ქორქაშვილის 15/VII-37წ. ჩვენებიდან)

„...მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვებით – სსრკსთან დასავლეთ ევროპის ქვეყნების ომის დროს, ფაშისტური ცენტრი მიხეილ ჯავახიშვილის მეთაურობით ისახავდა ეწარმოებინა საქართველოს კპ(ბ) ცკ მდივნის ლავრენტი ბერიას და შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის გოგლიძის დაპატიმრებები...“

(ქორქაშვილის 22/VII-37წ. ჩვენებიდან)

„...ჯავახიშვილის სიტყვებით თბილისში არსებობს კონტრრევოლუციური სამხედრო ორგანიზაცია, რომელშიც შედიან ჯარების სარდლის თანაშემწე გიორგი ქუთათელაძე, დივიზიის უფროსი თუხარელი, პოლკოვნიკი მოსიძე და სხვ...“ (! – გ.ც.)

„...ამომწურავი ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ ცენტრი მიზნად ისახავს შეიარაღებული აჯანყების გზით საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, მე მივიღე მხოლოდ მიხეილ ჯავახიშვილისგან...“

„...ჯავახიშვილის სიტყვებით ჩემთვის ცნობილია, რომ ომის დროისთვის საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად, ფაშისტური ორგანიზაცია წითელი არმიის ქართულ ნაწილებში აწარმოებს სპეციალურ სამუშაოს იმ მიმართულებით, რომ ეს ნაწილები საჭირო მომენტში გადავიდნენ აჯანყებულთა მხარეზე... შეიარაღებული აჯანყება საქართველოში გათვალისწინებულია, ომის დაწყების რამდენიმე ხნის შემდეგ, საბჭოთა კავშირში გართულებათა და შინაგან ძალთა ზოგიერთი დამასუსტებული მომენტის მოლოდინის გათვალისწინებით...“

(წერეთელის 20/VI-37წ. ჩვენებიდან)

ინტერპარტიული კომიტეტი და კერძოდ კონტრრევოლუციური ფაშისტური ცენტრი ამზადებდა ტერორისტულ აქტებს სკპ(ბ) და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების წინააღმდეგ:

„... ჩემს მიერ გადაბირებულ პირებს ვაძლევდი მითითებებს სკპ(ბ) და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ ინდივიდუალური ტერორის გამოყენების, მავნებლობისა და დივერსიის შესახებ... მოქმედი კონტრრევოლუციურ-ნაციონალისტური ორგანიზაციის სახელით მე,

ზემოთ აღნიშნული მიზანდასახულობები გადავეცი შემდეგ პირებს:... და მიხეილ ჯავახიშვილს...“

(ლიდა გასვიანის 27/III-37 ჩვენებიდან)

„... ტერორის მიზანდასახულობა პირველად მივიღეთ ლიდა გასვიანისგან, მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ ტერორისტული განწყობილება ჩვენი ორგანიზაციის წევრებს გაცილებით ადრე გაუჩნდათ, ანუ მაგალითად 1932 წლის დასაწყისისათვის...“

(მიწიშვილის 14/VI-37წ. ჩვენებიდან)

„... ინტერპარტიულ კომიტეტში ჩვენმა წამომადგენელმა ლორთქიფანიძემ რეკომენდაცია გაგვიწია ინტერპარტიული კომიტეტთან ტერორისტული ჯგუფის შექმნისა და ამ ტერორისტული ჯგუფში ჩვენი ესერული ორგანიზაციის ერთი წევრის წარდგენის აუცილებლობის შესახებ...“

(გობეჩიას 1-2/IX-37 ჩვენებიდან)

„... ტერორი გათვალისწინდა საქართველოს კომპარგიის ცკ-ის მდივნის ლავრენტი ბერიას, კუდრიავცევის... და ბაქრაძის წინააღმდეგ...“

(მახარაძეს 25/VI-37წ. ჩვენებიდან)

<u>ბრალდებულ მიხეილ ჯავახიშვილის მეთაურობით ორგანიზაცია ეწეოდა ფართო ჯაშუშურ-სადაზვერვო მუშაობას</u>:

VI. „... იაშვილმა მაცნობა, რომ პოლონეთის კონსულმა შეგვთავაზა ვემზადოთ, ხოლო როცა საჭირო იქნება ისინი აღმოგვიჩენენ დახმარებას...“

„... იაშვილს ვთხოვე დავეკავშირებინე პოლონეთის კონსულთან... ერთ-ერთი უქმე დღის დილით, ჩემთან გამოცხადდა უცნობი, გამეცნო პოლონეთის <u>კონსულის თანაშემწედ</u>... მან განმიცხადა, რომ სსრკ შინაგანად ინგრევა, რომ ახლა დარტყმისათვის ყველაზე ხელსაყრელი დროა, მაგრამ პოლონეთი, გერმანია და იაპონია, პოლიტიკურად ჯერ კიდევ მზად არ არიან, რადგან მათ ზურგი არა აქვთ უზრუნველყოფილი, ამასთანავე დასძინა, რომ კონტრრევოლუციური ორგანიზაციების მხრივ ბოლშევიკებისათვის შინაგანი ძალებით ბოლოსმოღების გარისკვა არ ღირს... „კავკასიის წითელი არმიის შტაბის მოსამსახურე პოლკოვნიკი ლევან გარსიაშვილი თქვენს მიმართ საუკეთესო გამოხმაურებას გამოსთქვამს, მომეცით მის მიმართ წერილი“ და მეც დავწერე – „ლევან, უკიდურესად აუცილებელია რომ ეს გააკეთო, თორემ დაიღუპება ბევრი შენი მეგობარი, მათ შორის მე“... მეორე დღეს კონსულმა გამომიგზავნა 3 ათასი მანეთი...“

„...მეორედ კონსული გამომეცხადა ღამის პირველ საათზე, იგი აღელვებული იყო, ყველას აპატიმრებენ, თვალთვალია კონსულების მიმართ... რეკომენდაცია გამიწიეთ ვინმე სახკომსაბჭოს მოსამსახურესთანო. მე მას მივეცი წერილი ბეგლარ ფაღავასათვის გადასაცემად...“

(ჯავახიშვილის 21/VIII-37წ. ჩვენებიდან)

„... რამდენიმე დღის შემდეგ იაშვილი მოვიდა ჩემთან და მაგიდაზე ნაბეჭდი ფურცლების შეკვრის დადების შემდეგ შემომთავაზა თითო ასლი გადამეცა იტალიის და პოლონეთის კონსულებისათვის...“

„... გერმანიის კონსულმა მყისვე მიმიღო. მასთან იჯდა იტალიის კონსული... ამ დოკუმენტებისთვის კონსულებმა გამომიგზავნეს 6 ათასი მანეთი...“

(ჯავახიშვილის 31/VIII-37წ. ჩვენებიდან)

„... პირუმოვის დავალებით შევთავაზე სახლში შეევლო პირუმოვთან... პირუმოვთან ჯაშუშურ-სადაზვერვო მუშაობით დაკავშირებული იყვნენ ჩვენი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრები... და მიხეილ ჯავახიშვილი...“

(მიწიშვილის 14/VI-37წ. ჩვენებიდან)

<u>გადმოცემულის საფუძველზე – ბრალი ედება:</u>

მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილი, დაბადებული 1980წ. მემარჯვენეთა სოც. ფედერაციული პარტიის წევრი 1903-დან 1907 წ. და 1917 წ-დან ერ.დემოკრატიული პარტიის წევრი. დაპატიმრებული იყო 1923 წ. კ-რ საქმიანობისთვის. –

<u>მასზედ, რომ</u>:

1. არის კონტრრევოლუციური ფაშისტური ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური და ჯაშუშური ცენტრის თავჯდომარე;

2. აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს ყველა ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური ძალების ხელმძღვანელი იტერპარტიული კომიტეტის მუშაობაში;

3. ეწეოდა აქტიურ ჯაშუშურ-სადაზვერვო მუშაობას უცხოეთის სახელმწიფოების სასარგებლოდ, ე.ი. დანაშაულობებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1ა, 58-8 და 58-11 მუხლებით.

<u>საკუთარი თავი დამნაშავედ ცნო ნაწილობრივ. სრულად იმხილება წერეთლის, მიწიშვილის, გასვიანის და სხვ. ჩვენებებით.</u>

წინამდებარე საქმე ექვემდებარება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მიერ განხილვას 1934 წლის 1 დეკემბრის კანონის წესით.

სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს IV განყოფილების III ქვეგანყოფილების უფროსის თანაშემწე. უშიშროების ლეიტენანტი, ნაცვლიშვილი (დადასტურებულია პირადი ხელმოწერით – გ.ც.).

სახ. უშიშროების სამმ. IV განყოფილების III ქვეგანყოფილების უფროსი, სახ. უშიშროების ლეიტენანტი. აბაშიძე (დადასტურებულია ხელმოწერით – გ.ც.).

თანახმა ვარ – სახ. უშიშროების სამსახურის IV განყოფილების უფროსი მაიორი“ ქობულოვი (დადასტურებულია ქომულოვის თანაშემწის ხელმოწერითა– გ.ც.).

(იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ანუ ე.წ. „სუკის“ არქივის საქმე №9997, ფურცელი 241-251. თარგმანი, მ.ჯავახიშვილის 21 აგვისტოს, ანუ ფსევდო 21 ივნისის ჩვენებების რომაული ციფრებით მინიშნება და ხაზგასმები ჩემია – გ.ც.).

მ.ჯავახიშვილის „საბრალდებო დასკვნა“ და საერთოდ მ.ჯავახიშვილის სამძებრო საქმის მასალები ამჟამად ინახება აკადემიკოს გ.ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის არქივში (საქმე №3479-2).

მ.ჯავახიშვილის „საბრალდებო დასკვნა” ცხადყოფს, რომ ჩეკისტურმა ძიებამ ბრალდებულს „დაუმტკიცა” ის, რომ იგი:

1. „არის კონტრრევოლუციური ფაშისტური ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური და ჯაშუშური ცენტრის თავმჯდომარე.

2. აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს ყველა ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური ძალების ხელმძღვანელი ინტერპარტიული კომიტეტის მუშაობაში.

3. ეწეოდა აქტიურ ჯაშიშურ-სადაზვერვო მუშაობას უცხოეთის სახელმწიფოების სასარგებლოდ...

მთელი ეს ჩეკისტურად შეთითხნილი და გამოძალული „მტკიცებულებები”, მნიშვნელოვან წილად ეფუძვნება

მ.ჯავახიშვილისგან ჩეკას ძიების მიერ ნაძალადევად, ორჯერ განხორციელებული ცემით მოპოებულ ერთ ხელნაწერ აღიარებას, დათარიღებულს 1937 წლის 21 აგვისტოთი, რომელიც აგრეთვე მოიხსენიება „ჩვენებების" სახით და დათარიღებულია მცდარად - „21/VI-37წ."-ით. ეს განცხადება 21 ივნისის „დასმენა" რომ ყოფილიყო მ.ჯავახიშვილის საბრალდებო დასკვნაში 21 აგვისტოს „ჩვენებებად", ან არ ვერ შეიტანდნენ.

მ.ჯავახიშვილის „საბრალდებო დასკვნა" ჩეკას ძიებას ფორმულირებული აქვს ერთი მხრივ, მ.ჯავახიშვილზე ადრე დაპატიმრებულთაგან ასევე ძალმომრეობითი ზემოქმედებით გამოძალული „ჩვენებების" წაყენებით და მათი შემდგომი განვითარება – დასაბუთებით, ხოლო მეორე მხრივ, ძირითადად 1937 წლის 21 ივნისით, მცდარად დათარიღებული და საბრალდებო დასკვნაში სწორი, 21 აგვისტოს თარიღით შეტანილი ჩვენებებით.

ზემოთ მოყვანილი სამი მთავარი ბრალდება ჩეკისტურ სამძებროს გამოყვანილი აქვს მ.ჯავახიშვილის ექვსი კონკრეტული და წყაროებით გამაგრებული ბრალდებიდან:

<u>პირველი</u> „ამტკიცებს", რომ „მ.ჯავახიშვილი არის ფაშისტურ-ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის წევრი. იგი ეყრდნობა: ნ.მიწიშვილის 14 ივნისის, დ.წერეთლის 20 ივნისის, აკ.მიქაძის 28 ივნისის, ლ.ქორქაშვილის 15 ივლისის და ა.ლაღიძის 26 ივლისის „ჩვენებებს" და თვით ბრალდებული პატიმრის მ.ჯავახიშვილის 21 აგვისტოთი დათარიღებული ორგზის ცემით მოპოებულ პირველ „ჩვენებას".

<u>მეორე „</u>ამტკიცებს", რომ „მ.ჯავახიშვილი არის საქართველოს ყველა კრ. პარტიების ხელმძღვანელი ინტერპარტიული კომიტეტის აქტიური წევრი". ეს ეყრდნობა: დ.წერეთელის 20 ივნისის, ნ.ქარცივაძის 4-5 ივლისის, დ.ონიაშვილის 9-10 ივლისის, ლ.ქორქაშვილის 22 ივლისის, კ.ნინიძის 21-22 აგვისტოს „ჩვენებებს" და აგრეთვე, თვით მ.ჯავახიშვილის 21 აგვისტოს II „აღიარებას";

<u>მესამე:</u> ამხელს, რომ „მ.ჯავახიშვილს რეგულიარული კავშირი ჰქონდა უცხოეთის ემიგრაციასთან და ფაშისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან" ამას „ამაგრებს": ნინიძის 21-22 აგვისტოს და მ.ჯავახიშვილის 21 აგვისტოს III ჩვენებები; დარჩიას 3-4 ივნისის,

დ.წერეთლის 20 ივნისის, ლ.ქორქაშვილის 15 და 22 ივლისის, კ.ნინიძის 21-22 აგვისტოს „ჩვენებებით” <u>მეოთხე</u> ბრალდებას, ანუ საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით შეიარაღებული აჯანყების მზადებას ამაგრებენ მ.ჯავახიშვილის 21 აგვისტოს ამონარიდით.

<u>მეხუთე</u> - ბრალდებას, ანუ მ.ჯავახიშვილის ჯაშუშურ საქმიანობას მიმატებული აქვს, არაფრით დამოწმებული „სადაზვერვო“ მუშაობა. იგი „დამტკიცებული“ აქვთ ნ.მიწიშვილის 14 ივნისის, მ.ჯავახიშვილის 21 აგვისტოს V ჩვენების ოთხი ციტატის კომბინაციით, აგრეთვე, მ.ჯავახიშვილის 31 აგვისტოს „ფუტლიარი“ განცხადების აშკარად აბსურდული „აღიარებით“, თითქოს დოკუმენტის გადაცემის მიზნით მართლა ესტუმრა გერმანიის და იტალიის კონსულებს, რისთვისაც მათ გამოუგზავნეს ექვსი ათასი მანეთი. ე.ი. ერთი ჯაშუშობის ტაქსა კონსულებისა და მათი შეფების მიერ განსაზღვრული ყოფილა სამი ათასი მანეთით. არა აქვს მნიშვნელობა, როდის რას „მიიტანენ“...

ზემოთ ნახსენები მ.ჯავახიშვილის „მამხილებელი” წინამორბედი პატიმრების და პირადად მისი ჩვენება-აღიარებები, სინამდვილეში გამოძალულია, ძირითადად პატიმართა გულნადების და უახლოეს მეგობართა შორის გამოთქმულ-გამხელილის, ჩეკას გამომძიებელთა მხრივ სახელმწიფოებრივი და კერძოდ ჩეკისტური დირექტივების აღქმის შესაბამისად. ისინი მოპოებულია ჩეკას აგენტ-ინფორმატორის მიერ მიწოდებული ინფორმაციით, ცემითა და ჩეკისტური ძიებისათვის დამახასიათებელი სხვა მეთოდებით. ზოგი პატიმრის „აღიარება” თვით გამომძიებელთა მიერ, მიზნობრივად არის შეთითხნილი და პატიმრისგან მოპოვებულად გასაღებული. ამის გარდა ჩეკას სამძებროს მთავარ IV, ბ.ქობულოვის და სხვა განყოფილებებთან არსებობდა სპეციალური, ჩეკისტი ფალსიფიკატორების ჯგუფი, რომელიც პატიმრისგან გამოძალულ ბიოგრაფიას, თუ რეალურ-არაკრიმინალურ, ან ნაკლებად დანაშაულებრივ (მაგალითად ვარაუდის) ამბავს გადააკეთებდა ჩეკისტური ძიებისთვის შემუშავებული კონცეფციისა და დირექტივების შესაბამისად, დაწერილ ამბავად და ხდებოდა მისი ინკრიმინირება – ხელმოწერა სხვადასხვა ნაძალადევი ჩეკისტური

მეთოდებით – უმთავრესდ ცემითა და წამებით, აგრეთვე სიცოცხლის შენარჩუნების დაპირებით. აღნიშნულ მაგალითებს, სათანადო, II თავში უკვე გაეცნო მკითხველი.

მ.ჯავახიშვილის „საბრალდებო დასკვნა“ ინფორმაციული აზრითა და მნიშვნელობით არის მ.ჯავახიშვილის ჩეკისტური ხედვის სიღრმისეულად შემეცნების ერთგვარი კომპასი. იგი მ.ხომერიკმა მ.ჯავახიშვილის შესახებ გამოქვეყნებულ მის ბოლო პასკვილში გამოტოვა მიზნობრივად. ეს მან ჩაიდინა მკითხველთა მიერ წყაროების ურთიერთ კავშირში აღქმის შესაძლებლობათა გამორიცხვის, მოვლენების საერთო, ზოგადი სურათის სრული სიმართლით აღქმის გართულების და გამორიცხვის, დაინტერესებული მკითხველის დაბნევის, საკუთარი ყალბი ვერსიისა და შესაბამისი ფაქტების თავისებური ყალბი ინტერპრეტაციებისა და კონცეფციის დამაჯერებლობის გაძლიერების დანაშაულებრივი მიზნით. ამ უმნიშვნელოვანესი წყაროს სრული გამოქვეყნებით, მისი სხვა წყაროებთან შეჯერებით, და ჩემი ანალიტიკური კომენტარებით, მკითხველი დამატებით დარწმუნდება, რომ სათანადო წყაროების საფუძველზე დამაჯერებლად შუქდება როგორც საერთოდ შემზარავი, სახელმწიფოებრივ - ჩეკისტური „სიმართლე“, ისე მ.ხომერიკის სამ წიგნში მ.ჯავახიშვილს მიმართ მიზნობრივად მიკერებული სიყალბეები.

მ.ჯავახიშვილის „საბრალდებო დასკვნა“ და მის „საქმეს“ დართული მასალები, კვალიფიციურ მკითხველს, ერთად აღებული, სათანადო კომენტარების გარეშეც ახვედრბს, რომ ბრალდებულმა ჩეკას გამომძიებელს უჩვენა ძირითადად ის, რაც მას პატიმრობის დროს, ცემით გამოსძალეს და აგრეთვე მის შესახებ „უჩვენეს“ წინამორბედმა პატიმრებმა, ანუ მ.ჯავახიშვილის დაპატიმრებამდე და მისი პატიმრობის დროს დაპატიმრებულ-დაკითხულებმა. მაგრამ მთელი ამ მასალის გამოქვეყნება ჩემთვის არის შეუძლებელი. ამიტომ, აქ იძულებული ვხდები მ.ჯავახიშვილის საბრალდებო ინფორმაციას მიუსადაგო მხოლოდ მისივე და სხვათა კუთვნილი, განსაკუთრებით საჭირო ინფორმაციის შემცველი ამონარიდები. ჩემი მიზანდასახულობაა იმის დასაბუთება და გარკვევა, თუ როდის, როგორ და რატომ შეიქმნა მ.ჯავახიშვილის საქმეში დაცული,

ერთად-ერთი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი – ხელნაწერი განცხადება და მასში შეტანილი ის ჩვენება-აღიარებები, რომლებიც ძირითად საფუძვლად დაედო მ.ჯავახიშვილის „საბრალდებო დასკვნასა“ და მავანთაგან ამ საუკეთესო მამულიშვილის ადამიანური ღირსებების გაყალბებას. ამის საილუსტრაციოდ როგორც ვნახეთ, არსებობს უამრავი წყარო, მათ შორის არის თვით მ.ჯავახიშვილის საქმეს დართული, მასზე ადრე დაპატიმრებულთა (ლ.გასვიანის, ნ.მიწიშვილის, დ.წერეთლის, ა.ახმეტელის, დ.შევარდნაძის, ა.მიქაძის, დ.ონიაშვილის, გ.ლაღიძის, გ.მახარაძის, ლ.ქორქაშვილის, აკ.თათარაშვილისა და ი.გობეჩიას) დაკითხვის ოქმებში ჩადებული, მათგან ჩეკისტური მეთოდებით მოპოვებული „ჩვენებები“. აგრეთვე გავითვალისწინო განუკითხავი 30-იანი წლების ჩეკისტური ძიების პერიოდში სხვა პატიმრებისგან მოპოვებული „ჩვენებები”, თუ აღიარებები, რომლებიც სანიმუშოა არა მარტო მ.ჯავახიშვილის გარშემო შექმნილი ჩეკისტური ატმოსფეროს ზოგად კანონზომიერებათა გააზრება-გაგებისათვის. ისინი საერთო ჯამში გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან დიდი ტერორის არსის, მაგრამ არა მხოლოდ კერძოდ მ.ჯავახიშვილის და საბრალდებო დასკვნაში ციტირებულთა ნაწილის შესახებ. მკითხველმა საჭიროა გაითვალისწინოს, რომ აღნიშნული და სხვა ჩვენებებიდან, წინამდებარე ნარკვევში მე შემომაქვს – მხოლოდ მიზანდასახული მტკიცებულობებისთვის აუცილებელი ნაწილი.

როგორც უკვე ითქვა, მ.ჯავახიშვილის „საბრალდებო დასკვნა“ მ.ხომერიკმა მწერლის შესახებ გამოქვეყნებულ თავის ბოლო პასკვილში მიზნობრივად გამოტოვა, მის ჩეკისტურ სამძებრო საქმეში დაცული ყველა მისი ყალბი კონცეფციებისთვის საჭირო დოკუმენტი კი გამოაქვეყნა. ამის მიზეზი როგორც მე დავადგინე, ის არის, რომ, მ.ჯავახიშვილის „საბრალდებო დასკვნა“, მ.ხომერიკის საწინააღმდეგოდ, საგნობრივად და დამატებით ამტკიცებს, რომ მის სამძებრო საქმეში დაცული, მწერლის ერთად-ერთი, „21/VI-37წ”-ით დათარიღებული, გოგლიძის სახელზე დაწერილი ხელნაწერი განცხადება, არის მის „საბრალდებო დასკვნაში” შეტანილი 21 აგვისტოთი დათარიღებულ ჩვენებათა ამონარიდების თვალსაჩინო საფუძველი და ეს პატიმარ მ.ჯავახიშვილის განცხადება - ჩვენება,

მისთვის მიწერილი მცდარი თარიღის („21/VI-37“) მიხედვით, კი არ აისახა „საბრალდებო დასკვნაში”, არამედ მისი დედნისეული გენეზისის თარიღით, ანუ ბერიას მონაწილეობითა და მის მიერ ნაბრძანები მ.ჯავახიშვილის ორჯერადი ცემის დროინდელი, ანუ მწერლის სრული დამორჩილების დროინდელი თარიღით, 1937 წლის 21 აგვისტოთი. გასაგებია, რომ მისი დაწერა შეიძლებოდა მომხდარიყო არა აცილებლად 21 აგვისტოს, არამედ შემდგომ დღეებშიც. მაგრამ თარიღის შეცვლა არ მოხერხდებოდა, რადგან სხვა რიცხვით ბერიას და ქობულოვის მონაწილეობის ფაქტი გაყალბდებოდა. ამის უფლებას საკუთარ თავს, არამც თუ გამფორმებელი მ.ნაცვლიშვილი, არამედ შინაგან საქმეთა კომისარი გოგლიძეც ვერ მისცემდა.

მაშასადამე, „საბრალდებო დასკვნის” 21 აგვისტოთი დათარიღებული ამონარიდის შედარება მ.ჯავახიშვილის, 1937 წლის 21 ივნისით დათარიღებულ, მის საქმეში დაცულ და მ.ხომერიკის მიერ გამოქვეყნებულ (გვ. 90-98) დოკუმენტთან, კიდევ ერთხელ და დამაჯერებლობის მნიშვნელოვანი გაძლიერებით ამტკიცებს, რომ მასზე დატანილი თარიღი მცდარია. იგი მ.ჯავახიშვილის დაპატიმრებამდე ორი თვით ადრე, დაბეზღების სახით კი არ დაიწერა და გადაეცა ჩეკას, თუ ბერიას, არამედ პატიმრობის დროს, 21 აგვისტოს ორჯერადი ცემით და სრული დამორჩილებით გამოსძალეს ბერიამ და გამომძიებლებმა. მაშასადამე, ზემოთ მოყვანილი „საბრალდებო დასკვნა“, ნათელს ხდის, რომ მ.ჯავახიშვილის 1937 წლის 21 ივნისით დათარიღებული, გოგლიძის სახელზე დაწერილი და მ. ხომერიკის მიერ მკითხველისათვის ჩეკას თუ ბერიასათვის გადაცემული თანამოაზრეთა დაბეზღებად მისაღებული ხელნაწერი, სინამდვილეში არის, დიდი მწერლისა და საუკეთესო მამულიშვილისგან გაუსაძლისი ჩეკისტური მეთოდებით გამოძალული <u>ჩვენება, დიახ ჩვენება.</u> ამავე დროს „საბრალდებო დასკვნაში” შესული ეს პატიმრისგან გამოძალული <u>ჩვენება ფაქტობრივად და შინაარსობრივად თარიღდება არა მასზე დატანილი თარიღით, არამედ 1937 წლის 21 აგვისტოთი</u>, ანუ მ.ჯავახიშვილის სასტიკი და ორგზის ცემის და დამორჩილების რიცხვით. ეს მიგნება არ არის ლოკალური მნიშვნელობის. ამ

მიგნების საფუძველზე შესაძლებელი ხდება დამატებითი სიმართლით გაშუქდეს როგორც მ.ჯავახიშვილის, ისე მის ბედქვეშ მყოფთა ჩეკისტურად გაყალბებული ბედისწერა, ასევე მისი „ბიოგრაფიის“ მ.ხომერიკისეული ვერსიის მტკიცებულობებისა და კონცეფციის აგრეთვე მის მხარდამჭერთა ქმედებებისა, თუ დასკვნების მცდარობა.

მიხეილ ჯავახიშვილის მ.ნაცვლიშვილის და სხვათა მიერ შეთითხნილი 1937 წლის 19 სექტემბრის „საბრალდებო დასკვნა”, უაღრესად საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ნათელს ხდის, თუ რატომ გახდა საჭირო მ.ჯავახიშვილის მოსპობის მიზნით გატარებული ხანგრძლივი ჩეკისტური ძიება.

მ.ჯავახიშვილის საქმის მნიშვნელოვანი დოკუმენტებიდან საყურადღებოა მ.ჯავახიშვილის 1937 წლის 19 სექტემბრის „დადგენილება”. იგი დამატებით მოწმობს იმას, თუ რისთვის გახდა საჭირო მ.ჯავახიშვილის მიმართ ძიების მიერ განხორციელებული მთელი ჩეკისტური პროცედურა და მათ შორის ბერიას ჩართვა და მ.ჯავახიშვილის სასტიკი ორჯერადი ცემა. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია მ.ჯავახიშვილის სამძებრო საქმეში დაცული ამ დოკუმენტის წარმოჩენა სრულად:

„დადგენილება

1937 წლის 19 სექტემბერი, თბილისი

მე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს მე-4 განყოფილების მე-3 ქვეგანყოფილების უფროსის თანაშემწე, სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტმა მ.ნაცვლიშვილმა განვიხილე ამ რიცხვში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 და 58/11 მუხლით მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილისადმი წაყენებული ბრალდების №9997 საგამომძიებო საქმე (! – გ.ც.).

აღმოვაჩინე:

ბრალდებული მ.ჯავახიშვილი გამოძიების მასალებით მთლიანად მხილებულია, რომ ამზადებდა შეიარაღებულ აჯანყებას და ჯაშუშობდა უცხოეთის სახელმწიფოების სასარგებლოდ, ეწეოდა მავნებლობას, აწყობდა დივერსიულ აქტებს და ამზადებდა ტერორისტულ აქტებს. ანუ მხილებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის 58-1 ა, 58-8 და 58 - 11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში, მას წაყენებული ჰქონდა ბრალდება 58/10 და 58/11 მუხლებით.

<u>დავადგინე:</u>

ბრალდებულ მ.ჯავახიშვილს წაყენებულ ექნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-Iა და 58-8 მუხლებით გათვალისწინებული <u>ბრალდება, რაც გამოეცხადოს ბრალდებულს</u>.

სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს მე-4 განყოფილების მე-3 ქვეგანყოფილების უფროსის თანაშემწე, სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტი – ნაცვლიშვილი.

სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს მე-4 განყოფილების მე-3 ქვეგანყოფილების უფროსი, სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტი – აბაშიძე.

ვეთანხმები: სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს მე-4 განყოფილების უფროსი სახელმწიფო უშიშროების მაიორი – ქობულოვი" (სახ. უშიშროების არქივი №9997, ფურც.243, ხაზგასმები ყველგან ჩემია – გ.ც.).

ზემოთ მოყვანილი „დადგენილებიდან" ნათლად ჩანს, ჩეკას ძიებას რატომ დასჭირდა მ.ჯავახიშვილის ის გულწრფელი და ყალბი აღიარებები, რომლებიც შეითითხნა მისი პატიმრობის დროს და საფუძვლად დაედო მისსივე ამ ბრალდებას. კარგად ჩანს, რომ ამ 19 სექტემბრის, ძიების დამთავრების შესახებ შეთითხნილ „დადგენილებას", სჭირდებოდა ხანგრძლივი პროცესუალური ჩეკისტური სამუშაოების შესრულება, მათ შორის ბერიას, ქობულოვის და სხვათა გამოყენება და არა მწერლების მსგავსად დადგენილებების მხოლოდ გამოცხადება. სწორედ ამან აიძულა მ.ჯავახიშვილი, რომ მიეცა ჩვენებები თავისი კონტრრევოლუციური <u>საუბრების, აგრეთვე, კონტრრევოლუციური და ფაშისტური ორგანიზაციულ-პრაქტიკული მუშაობის შესახებ</u> და სწორედ <u>ამიტომ გახდა საჭირო ბერიას ჩარევა და მ.ჯავახიშვილის ორჯერადი ცემა ბერიასავე მოთხოვნით.</u>

19 სექტემბრის დამატებით შეტანილი ახალი, სისხლის სამართლის 58/1<u>ა</u>, ანუ 58 პრიმა მუხლით ბრალდება კვალიფიცირდება, როგორც: „სამშობლოს ღალატი... როგორიც არის ჯაშუშობა... დაისჯება: სისხლის სამართლის უმაღლესი სასჯელით – დახვრეტით"... მუხლი 58/8 კვალიფიცირებულია ასე: „პროპაგანდა ან აგიტაცია, რაც მოუწოდებს საბჭოთა ხელისუფლების

დასამხობად”...(იხ. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი (1928 წლის რედაქციით, 1934წ. ივლისის 9 (კან. კრ. 1934წ. №21 მუხ.188, საქ.სსრ სისხლის სამართლის კოდექსი 1928 წ. რედაქციით, თბ.1944, გვ.48-49, 56). იგივე მუხლებია მ.ჯავახიშვილის „საბრალდებო დასკვნაშიც”. მაშასადამე, ბერიას და მისი მითითებებით მოქმედი ჩეკას სამძებროს დამოკიდებულება პატიმარ მ.ჯავახიშვილის მიმართ, ემსახურებოდა მისი გარდაუვალი მოსპობის ჩეკისტური სამუშაოების უზრუნველყოფას. ამას მოწმობს საქართველოს კომპარტიის X ყრილობაზე ბერიას მოხსენებაში ქართველი მწერლებისა და კულტურის მუშაკების წინაშე დასახული ამოცანების განხორციელების მიზნით ა.წ. მაის-ივნისში ჩატარებული საქართველოს მწერლების დისკუსიის შედეგები; მწერალთა პრეზიდიუმის 17 აგვისტოს დადგენილება; და აგრეთვე მ.ჯავახიშვილის ცემით და ბრალეულობათა ჩეკისტური „გამოძიებით“ და მ.ჯავახიშვილის მიერ გაფორმებულ-შეთითხნილი მ.ჯავახიშვილის ფსევდო 21 ივნისის, სინამდვილეში 21 აგვისტოს, მ.ჯავახიშვილის საქმეში არსებული ერთად-ერთი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, ანუ ბრალდებულის ხელნაწერი განცხადება; 31 აგვისტოს გამომძიებლის მიერ შეთითხნილი, მ.ჯავახიშვილის ჩვენებად გასაღებული განცხადება; 1937 წლის 19 სექტემბრის „საბრალდებო დასკვნა“ და „დადგენილება“.

ბრალდებულთა ზემოთ აღწერილის მსგავსი ძალმომრეობით მოსპობა, როგორც ჩეკას ძიების მეთოდების გაცნობის დროს ვნახავთ, ხდებოდა არა მარტო ცემით, არამედ აგრეთვე სიცოცხლის შენარჩუნების დაპირებით. არ არის გამორიცხული, რომ მ.ჯავახიშვილის მიმართ გამოიყენეს მსგავსი დაპირება და იგი „საბრალდებო დასკვნის” ჩამოყალიბების შემდეგაც ამ გზით გამოიყენეს სხვა მოსასპობად განწირულთა, მათ შორის ლ.გარსიაშვილისა და ბ.ფაღავას მიმართ. გამოყენების ეს ხერხი თავისთავად შემზარავია, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მთავარი დამნაშავე დამკვეთია. არც ის არის გამორიცხული, რომ მ.ჯავახიშვილს ბერიას პირდაპირი, თუ ირიბი მითითებით, დაუდეს მისი ორჯერადი ცემისა და დამორჩილების შემდეგ გამოძალულ ჩვენებათა საფუძველზე ქობულოვის განყოფილების ჩეკისტების,

კრიმიანისა და ხაზინის მიერ შეთითხნილი ტექსტი და აიძულეს მისი იმპროვიზირებული გადაწერა. ასეა თუ ისე, ერთი რამ ფაქტია, მ.ჯავახიშვილის გოგლიძის სახელზე დაწერილი, „21/VI-37”-ით დათარიღებული ხელნაწერი ჩვენება, რომელსაც მ.ხომერიკი იყენებს დიდი მამულიშვილისა და ხელისუფლების მიმართ დაუმორჩილებელი მწერლის 1937 წლის ცხოვრებისეული პერიპეტიის გასაყალბებელ კოზირად, შეიქმნა მ.ჯავახიშვილის პატიმრობის დროს, სასტიკი ფიზიკური ზემოქმედებით და არა დაპატიმრებამდე ორი თვით ადრე და თანაც არა მისი ავტორის ინიციატივით. იგი დაპატიმრებამდე ორი თვით ადრე, 21 ივნისის დასმენის სახით რომ შექმნილიყო მ.ჯავახიშვილის ძიებას არ ექნებოდა ბრალდებულის დახვრეტის იურიდიული ძალის მქონე არც ერთი დოკუმენტი. ამ შემთხვევაში მ.ჯავახიშვილს ვერ მიუყენებდნენ სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სასჯელის უმაღლესი ზომის მუხლებს – 58/1ª და 58/8-ს.

ამ ჩეკისტურად შეთითხნილ, ყალბ საფუძველზე, ჩატარებული სასამართლოს განაჩენით, მ.ჯავახიშვილი 1937 წლის 30 სექტემბერს დახვრიტეს. არის საწინააღმდეგო ცნობებიც. ერთ-ერთ საფაკულტეტო კონფერენციაზე, ჩემი მოხსენების გამო აზრის გამოთქმის დროს, უხუცესმა პროფესორმა, გივი ჟორდანიამ განაცხადა: „ქალაქში ჯერ კიდევ იმ დროს გავრცელდა ხმები, რომ გაწამებულმა და უიმედო მ.ჯავახიშვილმა ბეტონის კიბეებზე დანარცხებით მოიკლა თავი“, ამ ხმების გავრცელების შესახებ, აზრი აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემაც დაადასტურა. ამ ვერსიის სრული უარყოფაც არ შეიძლება, იმ დროს ხომ დოკუმენტები ხშირად ისე იქმნებოდა, როგორც ჩეკის ძიებას სჭირდებოდა. ჩემს 1998 წელს გამოქვეყნებულ წიგნში შეტანილი მაქვს შ.ნუცუბიძის დაპატიმრების პირველი დღეების დროინდელი განმარტება:

„მე თითქმის არ მეძინა. ჩემს მოსვლამდე ჩამოიხრჩო თავი პატიმარმა. ყვებოდნენ ჩემთვის ცნიბილ პირებზე, რომელიც წამების დროს მოკლეს: ბუაჩიძეზე, ლეჟავაზე, მწერალ ჯავახიშვილზე და სხვ.”. (იხ. გ.ციციშვილი, ჩეკისტური ბრალდებები შალვა ნუცუბიძის მიმართ და მათი დოკუმენტურ-ანალიტიკური კომენტარები, გვ.161) არ

არის გამორიცხული, რომ სხვების შესახებაც შეგვხვდეს ცდომილება.

მ.ჯავახიშვილის მოსპობასთან დაკავშირებით არსებობს საქართველოს კომოარტიის ცკ-ის მდივნის, კანდიტ ჩარკვიანის გადმოცემა ი.სტალინის მიერ დავით ონიაშვილისა და მიხეილ ჯავახიშვილის „დაღუპვის“ გამო ბერიასთან მწყრალი საუბრის შესახებ. კ.ჩარკვიანი იგონებს: „ერთი შეხვედრისას, რომელსაც პოლიტბიუროს წევრებიც ესწრწბოდნენ“ სტალინს ბერიასათვის უკითხავს: “მიხეილ ჯავახიშვილი ჯაშუშად მონათლეთ, არა? თუ მოინდომებდით, ყველაფერს გააკეთებდით”. ბერიამ უპასუხა: „ჯავახიშვილი პოლონეთის საელჩომ მოისყიდა, თვითონ აღიარა“.

- და თქვენ ეს გჯერათ? მეტი დაფიქრება იყო საჭირო, ბრალიც რომ ჰქონოდათ, უნდა დაგებარათ, გაგებრთხილებინათ. საქმის გამოძიებაც, ალბათ, რიგით გამომძიებელს ჩააბარეთ, კონტროლსაც არ უწევდით. იცოდეთ, მარტო ამ ორი მოღვაწის განუკითხავად დაღუპვით თქვენ დიდი დანაშაული ჩაიდინეთ ქართველი ხალხის წინაშე” – უთქვამს სტალინს.

კ.ჩარკვიანი დასძენს: „მთელი ამ დიალოგის დროს ბერია ფერწასული იდგა და, ალბათ, მეტ წყრომას მოელოდა, მაგრამ მსუბუქი დატუქსვით გადარჩა”. (კ.ჩარკვიანი, განცდილი და ნააზრევი 1906-1994, თბ. 2004, გვ. 665).

დიდ პოლიტიკას დიდი თამაში ახლავს. ამიტომ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ საწინააღმდეგოდ მეტყველი ცნობაც არსებობს. საქართველოს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთა საზოგადოება „მემორიალის“ ერთ-ერთმა დამფუძვნებელმა და ყოფილმა თავმჯდომარემ, ილამაზ მიწიშვილმა, მოსკოვის საზოგადოება „მემორიალის“ მიერ ინტერნეტში განთავსებული დახვრეტილთა სიები მოიძია და გაანალიზა. ამ სიებიდან ჩანს, 1937-1938 წლებში დახვრეტილი ჩვენი თანამემამულე, ცნობილი მოღვაწეების ბედისწერაც. მათ შორის მოიხსენიება ჯავახიშვილი მიხეილ საბას ძე, რომლის დახვრეტის რეზოლუციას თანხმობას აძლევენ სტალინი და მოლოტოვი (იხ. რ.კვერენჩხილაძე, საბუთები ღაღადებენ, თბ. 2011, გვ. 375). არა და, ის ცნობაც არსებობს, რომელიც მეტყველებს, რომ მ.ჯავახიშვილს პატიმრობისა და სიცოცხლის ბოლომდე შემორჩა

სტალინის იმედი - „ამბობდა მან არაფერი იცის ჩემს შესახებ, თორემ დარწმუნებული ვარ მიშველიდაო...“ (ქ.ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება, თბ. 1991, გვ. 451). აქედან ისიც ჩანს, რომ იმედი ზოგჯერ სიცოცხლის ბოლომდე მიჰყვება გაჭირვებულებსა და განწირულებს.

რაც შეეხება მ.ჯავახიშვილის „<u>განაჩენს</u>“, იგი მწერლის ჩეკისტურად შეთითხნილი 1937 წლის 19 სექტემბრის „საბრალდებო დასკვნის“ ამავე თარიღის მქონე „დადგენილების“ ყალბ საფუძველზე ა.წ. 30 სექტემბერს, ვითომ „წინასწარი და სასამართლო ძიებით“ დადგენილი ბრალეულობების, სინამდვილეში „საბრალდებო დასკვნის“ იმპროვიზირებული გადამღერება-განვითარებით გამოიტანა 1937 წლის 30 საქტემბრის „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გამსვლელმა სესიამ“. მან მ.ჯავახიშვილის „საბრალდებო დასკვნაში“ შეტანილი საქართველოს ჩეკას სამძებროს მიერ სხვა პატიმრებისგან გამოძალულ ჩვენებათა იმპროვიზაციის საფუძველზე დაყრდნობით, დამატებით „აღმოაჩინა“, რომ მ.ჯავახიშვილი „<u>მონაწილეობას იღებდა შეიარაღებული ჯგუფების შექმნაში</u>“; „<u>ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილებში... სამხედრო ფაშისტური ორგანიზაიების გაშლაში“;„ტერორისტული აქტების მომზადებაში სკპ (ბ) და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობის წინააღმდეგ და დიდ ჯაშუშურ მუშაობას აწარმოებდა</u> ზოგი უცხოეთის სახელმწიფოთა სასარგებლოდ, რისთვისაც <u>ღებულობდა ფულად დაჯილდოებებს“.</u> თუნდაც მხოლოდ ამ ახალი, აბსურდული ხელნაწერიდანაც კარგად ჩანს, რომ ამდროინდელი უზენაესი სამხედრო სასამართლო „ტროიკების“ მსგავსი გილიოტინა იყო. არა და, ბევრი ჩეკას მიერ სასიკვდილოდ განწირული, მათ შორის მ.ჯავახიშვილი, ჩანს, რომ სტალინის, ან სასამართლოს ობიექტურობის იმედზეც იყო.

აღნიშნულ და სათანადო სისხლის სამართლებრივი მუხლების საფუძველზე... სამხედრო კოლეგიამ მ.ს.ჯავახიშვილს გამოუტანა სასჯელის უმაღლესი ზომა, მთელი მისთვის კუთვნილი პირადი ქონების კონფისკაციით. ამასთანავე დაადგინა, რომ განაჩენი საბოლოოა, გასაჩივრებას არ ექვემდებარება და... შესრულებაში მოიყვანება დაუყოვნებლივ“ (სუკის არქივი №9997, ფურც.255-256).

ამასთან დაკავშირებით საჭიროა ითქვას, რომ მ.ჯავახიშვილისთვის მთელი ქონების კონფისკაცია არ ჩაუტარებიათ. მისი ოჯახის წევრებს ერთი ოთახი და ზოგი უმნიშვნელო ნივთები მაინც დაუტოვეს და ზოგი რეპრესირებულის ოჯახის წევრების მსგავსად, ქუჩაში არ გაუყრიათ, არც მისი ცოლ-შვილი დაუპატიმრებიათ. ეს იმიტომ, რომ ყველა გადარჩენილმა კარგად იცოდა დიდი მამულიშვილისა და რეჟიმის მიმართ დაუმორჩილებელი მწერლის ნამდვილი ბედისწერის შესახებ. ამიტომ მის ღვაწლს დამფასებელი, იშვიათი გამონაკლისების გარდა, არ მოჰკლებია.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ მ.ჯავახიშვილს სიცოცლის შენარჩუნების იმედი სასამართლომდე არ დაუკარგავს. როგორც მისი ცოცხლად გადარჩენილი თანამესაკნეები ამბობენ, მ.ჯავახიშვილი ბოლოს უკვე სასოწარკვეთილი ამბობდა: სტალინმა არ იცის ჩემი ამბავი თორემ მიშველიდა, საკანში შემოსულ ჩეკას ზედამხედველებს სთხოვდა სტალინს მიაწვდინეთ ჩემი მდგომარეობის შესახებო. არა და, ამ დროს სტალინისა და მოლოტოვის 1937 წლის 15 სექტემბრის მხარდამჭერი რეზოლუციით, მისი დახვრეტა წინასწარ იყო გადაწყვეტილი (რ.კვერენჩხილაძე, საბუთები ღაღადებენ... 2011, გვ.375). ეს ყველაფერი გაფორმდა „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით“...

უაღრესად საინტერესოა სტალინისადმი მიწოდებულ ინფორმაციაში მ.ჯავახიშვილის დაპატიმრების თარიღისა და მისი კონტრრევოლუციური დანაშაულობების სახით რა იყო ნათქვამი, მაგრამ მოვლენათა შემდგომი განვითარების მიხედვით ასეთი განმარტება არ არის შემორჩენილი. კანდიდ ჩარკვიანის მიერ, შვილისათვის მიცემულ „ინტერვიუში“ კი, ისეა აღწერილი, თითქოს სტალინს ბერიასთვის საჯაროდ გამოეთქვას საყვედური მწერლის დახვრეტის გამო. ეს არის გაუგებარი და დაუჯერებელი.

დაინტერესებული მკითხველისთვის, რომელმაც დაახლოებით მაინც იცის საბჭოთა დიდი ტერორის ისტორია, გაუგებარი უთუოდ არ დარჩებოდა, თუ რატომ მოხდა ჩემს მიერ აღწერილი და სხვა ათასის, მეტ-ნაკლებად მსგავსი უბედურება. მაგრამ მივიჩნიე, რომ საქმის ვითარებაში ნაკლებად გარკვეულ, დაინტერესებულ მკითხველს, წინამდებარე ნარკვევის მოცემულ და შემდგომ თავში,

ჩემი შესაბამისი პუბლიკაციებიდან და ჩემს ხელთ არსებული, ჩეკას არქივში მოპოებული დოკუმენტებიდან, მიმეწოდებინა, საჭირო დამატებითი განმარტებები, რომელიც დამატებით ცხადყოფს, რომ მ.ჯავახიშვილის ხელნაწერი განცხადება, ანუ ორჯერადი ცემით გამოძალული „ჩვენება“, ნათლად გვიდასტურებს, რომ მისი ძირითადი დებულებები მწერლის პატიმრობის დროს ჩეკისტურად და „საბრალდებო დასკვნაში“ შესატანად არის გამოძალული და ნაწარმოებიც. მ.ჯავახიშვილის ფსევდო 21 ივნისის, ანუ სინამდვილეში 21 აგვისტოს თარიღით ბერიას დამსახურებით გამოძალული ხელნაწერი გნცხადება-აღიარება არის მ.ჯავახიშვილის დახვრეტისთვის საჭირო იურიდიული ძალის მქონე ერთად-ერთი მ.ჯავახიშვილისეული „აღიარება“ და სწორედ ამის მოსაპოებლად მოიცალა ბერიამ, რომელმაც ამასთანავე, მ.ჯავახიშვილის იძულებითი გამოყენებით პ.იაშვილსაც სამაგიერო გადაუხადა. ბერიამ მ.ჯავახიშვილის ცემით ორივე უზნეო ჯაშუშ მექრთამეებად და უცხოელებისაგან ჯაშუშობისთვის ვითომ მიღებული ფულის მიმთვისებლად გააყალბა. ბერიამ ამ სიბილწით ერთი მხრივ, პ.იაშვილის თვითმკვლელობის „დამაჯერებელი“ მოტივი შექმნა და მეორე მხრივ, მ.ჯავახიშვილის დახვრეტის გამართლება და კანონიერება „დაასაბუთა“. მ.ხომერიკმა კი, იგი მ.ჯავახიშვილს დააბრალა. ზოგმა სხვამ კი, მ.ხომერიკს კვერი დაუკრა...

<u>თავი VIII. მ.ხომერიკის მიერ მ.ჯავახიშვილის გაყალბების დროს, შალვა რადიანის, გერონტი ქიქოძის, სხვათა და მათ შორის თვით ბერიას გაყალბების შესახებ</u>

მ.ხომერიკი, იმ მიზნით, რომ მ.ჯავახიშვილის 1937 წლის 21 აგვისტოს, ჩეკას პატიმრობაში, ორჯერადი ცემით მოპოვებული გოგლიძის სახელზე დაწერილი ხელნაწერი განცხადება-<u>ჩვენება,</u> მწერლის დაპატიმრებამდელ, აგრეთვე მწერალთა 17 აგვისტოს შეკრებამდელ, 19 აგვისტოს პირველ დაკითხვამდელ, 21 აგვისტოს ცემამდელ და 21 აგვისტოს ორჯერადი ცემის დაკითხვებამდელ დასმენა-<u>დაბეზღებად</u> მოგვასაღოს და მისი ყალბი ვერსიები გაამართლოს, ამიტომ წერს: „სანამ მწერლები 17 აგვისტოს სხდომას ჩაატარებდნენ მათ უკვე უჩვენა ბერიამ მ.ჯავახიშვილის (ხელნაწერი – გ.ც.) აღიარება პოლონეთის კონსულისაგან 3000 მანეთის მიღების შესახებ.“ (იხ. მ.ხომერიკი, პასუხად მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფებს („საიდუმლო არქივებიდან“... 1996, გვ. 77); იგი, იგივე სიყალბეს იმეორებს ჩემი ივანე ჯავახიშვილის პრემიის მოსაპოვებლად 2003 წელს წარდგენილი წიგნის („სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკურ ცხოვრების შესახებ“) ჩასაგდებად მოხლაფორთებულ პასკვილურ რეცენზიაში (მ.ხომერიკი, სიმართლის გამრუდება ისტორიკოს გიორგი ციციშვილის მიერ, 2003, გვ.55, 63). ეს წიგნი მის მიერ „ეროვნულ ნიადაგზე“ მდგომად შექებულმა რეცენზენტებმა (დ.შველიძემ, ნ.ჯავახიშვილმა და ბ.კუპატაძემ) მიზნობრივად გაასაღეს „მეცნიერულ ნაშრომად“ და „მეცნიერულ გამოკვლევად“. მხომერიკი იგივეს იმეორებს 2008 წლის გამოქვეყნებულ წიგნში – „მ.ჯავახიშვილი უნიკალური დოკუმენტების ფონზე“ (იხ. გვ. 84-85). მაგრამ იმას არ უწევს ანგარიშს, რომ მწერალთა პრეზიდიუმის არც ერთ ოქმშიც კი, ამ ვითომ ნაადრევად დადგმული სპექტაკლის და ბერიას მიერ ნათქვამის ანარეკლი არა ჩანს. ეს ფაქტი მ.ჯავახიშვილის დაკითხვამდელი რომ ყოფილიყო იგი ოქმშიც უნდა აუცილებლად ასევე ასახულიყო, მაგრამ ასე არ არის.

მ.ხომერიკი ამ სიცრუით ადვოკატურად ესარჩლება მწერალთა პრეზიდიუმის წევრებს და მათ შორის, მ.ჯავახიშვილის ერთ-ერთ

ჩამშვებ, 17 აგვისტოს მწერალთა პრეზიდიუმის აქტიურ მონაწილესა და საკუთარ ბაბუას – იაკინთე ლისაშვილს. მაგრამ დაინტერესებული მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ამ ყალბი ნააზრევის დამაჯერებლობისათვის მ.ხომერიკი მიზნობრივად ამახინჯებს ამ ფაქტის თარიღს, გ.ქიქოძის მოგონებას მ.ჯავახიშვილისა და პავლე საყვარელიძის შესახებ და იმეორებს ბესო ჟღენტის დაუთარიღებელ თხრობას, ბერიას მიერ მწერლის მხრივ პოლონეთის კონსულისაგან ჯაშუშური ინფორმაციის სანაცვლოდ „3000 მანეთის მიღების შესახებ...“ აღნიშნული წყაროების ახლებური, მაგრამ კვლავ ყალბი ინერპრეტაციის მიზნით, მ.ხომერიკი არგუმენტად იყენებს, მ.ჯავახიშვილის გასაყალბებლად და ჩემს გასამტყუნებლად მობილიზებულ სიცრუეს, რომელსაც ისე აჩალიჩებს, რომ, როცა მე ამ სიცრუეზე წავასწარი და ვამხილე, ამის მერე, დაინტერესებული მკითხველის დაბნევის მიზნით და მეორადი „ექსპერტების“ გასამართლებლად, შეეცადა ისევ მე გავემტყუნებინე.

მ.ხომერიკი აცხადებს: „ჩემი უსაფუძვლო კრიტიკით შეპყრობილი გ.ციციშვილი წერს: „მ.ხომერიკს აღნიშნული განცხადების „21/VI-37“-ით დათარიღების „გამართლების“ მიზნით მოჰყავს დამატებითი „არგუმენტი“: თითქოს მ.ჯავახიშვილის დაპატიმრების შემდეგვე, 17 აგვისტოს, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი მიიწვია ბერიამ და ეს „მიხეილ ჯავახიშვილის ხელით დაწერილი აღსარება წაუკითხა“... მაგრამ ეს თეორი ძაფით შეკერილი ამბავი, როგორც მე მივაკვლიე, სინამდვილეში მ.ჯავახიშვილის გაუბედურების შემდეგ მოხდა. აქ ისიც მჟღავნდება, რომ აღნიშნული ამბის თარიღის გადმოწევით, მ.ხომერიკი ცილს სწამებს არა მარტო მ.ჯავახიშვილს, არამედ ბ.ჟღენტს, მის სიძეს ა.წულუკიძეს, გ.ქიქოძეს, თვით ბერიასაც და სხვებსაც“ (ციტირებული აქვს ჩემი წიგნიდან „მიხეილ ჯავახიშვილი...” და მითითებული აქვს შესაბამისი გვერდი 62). მ.ხომერიკი აქვე დასძენს „არ ვიცი რა ცილისწამება მოეჩვენა გ.ციციშვილს? გერონტი ქიქოძის მოგონებები მე არ გადამიკეთებია (არა და, ტყუის. გადაკეთებული აქვს – გ.ც.), ბ.ჟღენტის მონაყოლის დადასტურება შეუძლია მის ქალიშვილსა და ანტონ წულუკიძის ქვრივს – ქ-ნ ნინო ჟღენტს“... (იხ. მ.ხომერიკი, მიხეილ ჯავახიშვილი უნიკალური დოკუმენტების ფონზე, გვ.

85).დავიჯეროთ რომ ბ.ჟღენტს, მის ქალიშვილსა და ანტონ წულუკიძის ქვრივს, მ.ხომერიკის დაკვალიანების დროს, ამ მომხდარი ამბის თარიღი მიახლოებით, საორიენტაციოდ მაინც არ მიუთითებიათ? – საწინააღმდეგო წყარო ხელში მიჭირავს. ამიტომ მე ვერ დავიჯერებ!

როგორც ვნახავთ მ.ხომერიკი ისევ ტყუის. ჯერ ერთი, საქმეც იმაშია, რომ მას გ.ქიქოძის მოგონება, როგორც ქვემოთ ვნახავთ, არა მარტო „გადაუკეთებია“, არამედ, ავტორის საყურადღებო აზრთან შედარებით,სრულიად საწინააღმდეგოდ გაუყალბებია. მეორეც, ზემოთ ნახსენებ სხვა პიროვნებებს მხოლოდ ამბავი აქვთ აღნიშნული, ჩემთვისა და მ.ხომერიკისთვის, აგრეთვე, ყველა სიმართლით დაინტერესებულისთვის კი, ამ შემთხვევაში, მთავარი მნიშვნელობა აქვს არა იმდენად მათ მონათხრობ ამბავს, რამდენადაც თარიღს. მხოლოდ თარიღით შეიძლება დამატებით გაირკვეს კონკრეტული სადაო საკითხი – როდის დაიწერა მ.ჯავახიშვილის ჩეკისტურ სამძებრო საქმეში, 16-49 გვერდებზე დართული, პატიმარი მწერლის ორთოგრაფიულად და შინაარსობრივად ნაწვალები, ერთად-ერთი ხელნაწერი განცხადება, რომელიც დათარიღებულია 1937 წლის 21 ივნისით? იგი დაწერილი იყო„მოხალისე დამსმენი“ მწერლის მიერ დაპატიმრებამდე 2 თვით ადრე? თუ ბერიას მსგავსი საბუთი ხელთ ეპყრა მხოლოდ პატიმარი მწერლის ორჯერადი ცემით მოპოების შემდეგ?! ამას აქვს უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა, რადგან მე, სათანადო თავებში დავასაბუთე, რომ მ.ჯავახიშვილის 21 ივნისით, ანუ დაპატიმრებამდე ხელნაწერი განცხადეება არ არსებობს და იგი მცდარი თარიღის დატანის დროსაც კი, კარგად იშიფრება, რომ დაწერილია პატიმრობაში და თანაც ორჯერადი ცემის მერე. ახლა ამ საკითხზე დამატებით კვლევას ის აზრი აქვს, რომ ნათლად გაჩვენოთ: მ.ხომერიკის ყალბი კონცეფციის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი არგუმენტი, ანუ ბერიას მიერ მწერლების დასარწმუნებლად, მ.ჯავახიშვილის მიერ უცხოური წყაროებიდან ჯაშუშობის სანაცვლოდ ფულის მიღების „დამტკიცების“ სცენარის გათამაშება მოხდა 21 ივნისის (არ არსებული) დოკუმენტით, ანუ განმარტებებით, თუ ბერიას ბრძანებით განხორციელებული ორჯერადი ცემით

გამოძალული „განმარტებების“ გამოყენებით, ფალსიფიკატორ მ.ნაცვლიშვილის „დახმარებით“ „გაფორმებული“ მწერლის ხელნაწერი განცხადება-ჩვენების მოპოვების შემდეგ?!

მე ვამტკიცებ, რომ მ.ხომერიკის არგუმენტი მიზნობრივად ყალბია და იგი მე ამ სიყალბეზე დაყრდნობით მაკრიტიკებს. ეს მეორადი ექსპერტის წევრებს „შეუმჩნეველი“ დარჩათ ისევე, როგორც ის, რომ მ.ხომერიკის წიგნი არამეცნიერულია, იგი დიდ მწერალსა და პატრიოტს, აგრეთვე მის მეუღლესა და შთამომავლობას შეურაცხყოფას აყენებს, მ.ჯავახიშვილს კი, თანამოაზრე-თანამებრძოლების დამსმენად გვასაღებს.

მ.ხომერიკმა, როგორც მ.ჯავახიშვილის საქმის გაყალბებით სისხლ-ხორცეულად დაინტერესებულმა, კარგად იცის, რომ მ.ჯავახიშვილის ბიოგრაფ ქალიშვილს, ქეთევან ჯავახიშვილს, წიგნში „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება” (თბ.1991, გვ.387-388) მოყვანილი აქვს შალვა რადიანის მეუღლის, ქალბატონი ქეთევანის უაღრესად საყურადღებო და აუცილებლივ გასათვალისწინებელი ასეთი ცნობა:

„ერთხელ ქეთომ (შ.რადიანის მეუღლემ – გ.ც.) საიდუმლოდ მიამბო რომ შალვას მისთვის ეამბა მამაზე, მამა რომ დააპატიმრეს რამდენიმე დღის შემდეგ (? – გ.ც.) ბერიამ თურმე თავისთან დაიბარა მწერლები. ის მათგან ცოტა მოშორებით მაგიდასთან მჯდარა. მას მამაზე დაუწყია ლაპარაკი, თქვენ თუ იცით, უთქვამს მას რატომ დავიჭირეთ (? – გ.ც.) მიხეილი? ჩვენი მწერლები სულგანაბულნი უსმენდნენ. ბერიამ განაგრძო: მიხეილი ჯაშუში და ხალხის მოღალატე გამოდგა. მან 3000 მანეთად გაყიდა საქართველო, პოლონეთის სახელმწიფო ჯაშუში იყო და მათგან მიიღო ეს თანხა... <u>მან დაკითხვის დროს (!!! – გ.ც.) თვითონ აღიარა ყველაფერი</u> (მაგრამ ეს მ.ჯავახიშვილმა 17 აგვისტომდე კი არა, არამედ 21 აგვისტოს გოგლიძის სახელზე დაწერილი პირველი განცხადების მერე, მეორე, ბერიას უშუალო მონაწილეობით ჩატარებული „დაკითხვის დროს“ და ორჯერადი ცემის შემდგომ ხელნაწერ განცხადებაში„აღიარა“ – გ.ც.) ბერიამ უჯრა გამოსწია, ქაღალდის ფურცელი ამოიღო, ზევით ასწია და მწერლებს შორიდან დაანახა. შემდეგ ეს ქაღალდი კვლავ უჯრაში ჩადო. ქეთომ სთქვა: შალვამ მითხრა, ჩვენ შევამჩნიეთ, რომ

ქაღალდის ის ფურცელი, რომელიც ბერიამ ამოიღო და ჰაერში ააფრიალა, ხელით არ იყო ნაწერი, მანქანაზე დაბეჭდილი (! – გ.ც.) იყო, ყველაფერი ეს ბერიამ სწრაფად გააკეთა, ახლოს არ გვიჩვენა, რომ სიმართლეში დავრწმუნებულიყავით. ამიტომ ბევრს ეჭვი შეგვეპარა".

მაშასადამე, აქ კარგად ჩანს, რომ მ.ჯავახიშვილმა „დაკითხვის დროს", ანუ გოგლიძის სახელზე დაწერილი პირველი, 1937 წლის 21 აგვისტოს ფუტლიარი განცხადების მერმინდელი, ბერიას და ქობულოვის მონაწილეობით ჩატარებული დაკითხვის და ორჯერადი ცემის შემდეგი „დაკითხვის დროს" „აღიარა" საკუთარი ხელით დაწერილი და მ.ნაცვლიშვილის მიერ „გაფორმებული" „ჩვენება"- „აღიარებების" სახით, რომელსაც ახლავს მცდარი თარიღი „21/VI-37წ." ხოლო თუ ნაბეჭდი ფურცელი მართლა მ.ჯავახიშვილის „აღიარება" იყო, იგი მისი ჩეკისტურად შეთითხნილი 19 სექტემბრის „საბრალდებო დასკვნის", „დადგენილების", ან სასამართლოს გადაწყვეტილების ფურცელი უნდა ყოფილიყო. მ.ხომერიკმა ამ ფაქტს წაუყრუა, იმის მიუხედავად, რომ შ.რადიანი უაღრესად საყურადღებო წყაროა. იგი არის ამ მწერალთა პრეზიდიუმის დამსწრე, 5 ნოემბრიდან გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორი და მაშასადამე უაღრესად კომპეტენტური პიროვნებაა. ამდენად მის ნათქვამს მეტი ყურადღება სჭირდება. ამასთანავე ისიც გასათვალისწინებელია, რომ 1937 წელს კ.გამსახურდია როცა მას იხსენებს მწერალთა კავშირში 1931 წელს ჩატარებულ წმენდასთან და საკუთარი პიროვნების გარიცხვასთან დაკავშირებით, ამდროინდელი ქართველი ლიტერეტორ-კრიტიკოსთა შორის, თავისი „ობიექტურობით და კეთილშობილებით" გამორჩეულ პიროვნებად ასახელებს: „მე უნდა ვთქვა, რომ რადიანი... მაშინაც უფრო კეთილშობილად იქცეოდა ვიდრე ზოგიერთი სხვა" (ლხცსა, ფონდი 8, აღ.1, საქმე №661, ფურც.11). მაგრამ, მ.ხომერიკმა არ იცის, რომ არსებობს კიდევ ერთი საყურადღებო ცნობა: შ.რადიანი პირადი თხოვნითა და მწერალთა სამდივნოს 29 ივლისის სხდომის გადაწყვეტილებით 1 აგვისტოდან გაუშვეს შემოქმედებით შვებულებაში (იხ. ლხცსა, ფონდი 8, აღ.1, საქმე №601, ფურც.53) ამის შემდეგ იგი მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის აგვისტოს სხდომებს

არ დასწრებია. მაშასადამე, რამდენადაც შ.რადიანი არის მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის იმ სხდომის მონაწილე, რომელზედაც ბერია მ.ჯავახიშვილის მიერ პოლონეთის კონსულისაგან 3000მანეთის მიღებაზე საუბრობს და ამასთანავე იგი იყო თვითმხილველი ბერიას მიერ მტკიცებულების სახით მწერლის „მამხილებელი“ ნაბეჭდი ფურცლის აფრიალებისა, ამდენად გამოდის რომ ეს ფაქტი აგვისტოში არ მომხდარა.

მ.ჯავახიშვილის შესახებ ზემოთ მოხმობილ წყაროსა და მტკიცებულებას მნიშვნელოვნად, თუმცა არაზუსტად იმეორებს, მოცემული ამბების ფხიზელი მეთვალყურე, გერონტი ქიქოძე.

მ.ჯავახიშვილის ჩეკისტური ბედის სიმართლით გაშუქების სურვილით დაინტერესებული, დიდი მწერლის თანამოაზრე-თანამებრძოლი, გ.ქიქოძე წერს: „ბერიას მიერ დასჯილ ქართველ ინტელიგენტებს შორის ყველაზე პოპულარული მიხეილ ჯავახიშვილი იყო“ („თანამედროვის ჩანაწერები...“, გვ. 40); „რადგან მიხეილ ჯავახიშვილი დიდად პოპულარული მწერალი იყო, ბერიამ საჭიროდ სცნო, საზოგადოების თვალში გაემართლებინა მისი დასჯა. (! – გ.ც.). ამ მიზნით თავის კაბინეტში მოიწვია მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სრული შემადგენლობა. როდესაც წვეულნი მასთან შესულიყვნენ... შემდეგ ბერიას რამდენიმე გულის შემაღონებელი შენიშვნა მიეცა თავისი სტუმრებისათვის და ბოლოს მიხეილ ჯავახიშვილის ხელით დაწერილი აღსარება (ანუ გოგლიძის სახელზე დაწერილი მცდარად, „21/VI-37”-ით დათარიღებული განცხადება, - გ.ც.) წაეკითხა. ბრალდებული თურმე აღიარებდა, რომ უცხოეთის აგენტებისაგან სისტემურად ღებულობდა ვალუტას (! – გ.ც.), ხოლო ბოლო დროს პოლონეთის კონსულისაგან სამი ათასი მანეთი ჰქონდა მიღებული. რასაკვირველია თუ ყველა დამსწრესათვის არა, ყოველ შემთხვევაში, დიდი უმრავლესობისათვის ნათელი იყო, რა ღონისძიებებით ღებულობდა ბერიას მიერ შექმნილი ტრიუმვირატი (ბერია, ბ.ქობულოვი, ლ.აბაშიძე – გ.ც.) ასეთ აღსარებას. მაგრამ ვინ გაბედავდა მაშინ ეჭვი შეეტანა მის სინამდვილეში.

ამავე დღეს (!!! – გ.ც.) ბერიას კაბინეტში მეორე მწერლის პავლე საყვარელიძის ბედი გადაწყდა... ბერია უკვე გადაჩვეული იყო

რაიმე წინააღმდეგობის დანახვას. ამიტომ საშინლად გააფთრებულა როდესაც მისი მოულოდნელი თავდასხმის საპასუხოდ საყვარელიძეს გაებედნა და ეთქვა მე ხელისუფლების წინაშე არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის, თუ დანაშაულად არ ჩამეთვლება ის, რომ ძველი პარტიული მუშაკი ვარო. როგორც ეტყობა, ბერიას ამ სიტყვებში თავისი თავის შეურაცმყოფელი ნართული აზრი დაენახა. მას წამოეყვირა, ეს პროვოკაციაა, ჩვენ არავის ვსჯით ხანგრძლივი პარტიული მოღვაწეობისათვის (ალბათ მისი იდეური ხელმძღვანელობით და მოთხოვნით დახვრეტილი ძველი პარტიული მუშაკებთან აღეძრა ასოციაციები – გ.ც.).

როდესაც მეორე დღეს (! – გ.ც.) პავლე საყვარელიძე მწერალთა კავშირის გამომცემლობაში მოსულიყო, სადაც დირექტორის ვალდებულებას ასრულებდა, თან საცვალი მოეტანა ხელჩანთით... მალე მის დასაპატიმრებლად ჩეკისტები მოსულიყნენ.

ასე დაიღუპა ორი ხანში შესული ქართველი მწერალი...“ (იქვე, გვ. 42-43).

არა და, ცნობილია, რომ მწერალი „პავლე მიხეილის ძე საყვარელიძე ტ.ტაბიძესთან ერთად 8 ოქტომბერს გარიცხეს მწერალთა კავშირიდან... პ.საყვარელიძის დაპატიმრება და დახვრეტა 1937 წლის ნოემბრის დასაწყისში მოხდა, ხოლო ტ.ტაბიძე 9 ოქტომბერს დააპატიმრეს და 15 დეკემბერს დახვრეტა მიუსაჯეს (რ.კვერენჩხილაძე, საბუთები ღაღადებენ... თბ.2001, გვ.402, 403, 405).

როგორც ვნახეთ, მ.ხომერიკს,შ.რადიანის მონათხრობის იგნორირებასთან ერთად გ.ქიქოძის ნაწერი მაგრად გადაუკეთებია და საყურადღებო თარიღიც მიუჩქმალია. მას ამასთანავე, ყველა თავის სასარგებლოდ დამოწმებული წყაროს ავტორიც გაუყალბებია. ამის შემდეგ როცა გავარკვიე, რომ მ.ჯავახიშვილის შასახებ ბერიას სპექტაკლი 21 აგვისტოს მერე მოხდა, მატყუარა „მკვლევარის“, მ.ხომერიკის მხილების გაგრძელების აუცილებლობაც იხსნება. მაგრამ სათქმელი მაინც რჩება. აქ ისიც სათქმელია, რომ გერონტი ქიქოძე „თანამედროვის ჩანაწერებში“ გაცილებით ვრცლად და დამაჯერებლად მოგვითხრობს მ.ჯავახიშვილის შესახებ მწერალთა პრეზიდიუმის სრული შემადგენლობის წინაშე მიხეილ ჯავახიშვილის „დასჯის“, დიახ „დასჯის“ ე.ი. დაპატიმრების კარგა ხნის შემდგომ

ამბავს და არა დაპატიმრებისთანავე მომხდარის შესახებ. იგი, ამასთანავე გვამცნობს, რომ ბერიას განუცხადებია მ.ჯავახიშვილი „უცხოეთის აგენტებისაგან“ „სისტემატურად ღებულობდა ვალუტას“, ხოლო „ბოლო დროს პოლონეთის კონსულისაგან სამი ათასი მანეთი ჰქონდა მიღებულიო“. ამის მსგავსი ცნობა, მ.ხომერიკის მიერ მკითხველის დასაბნევად გამოქვეყნებული წყაროების მიხედვით, მხოლოდ მ.ჯავახიშვილის მეორე, 21 აგვისტოს „ფუტლიარი“-განცხადების შემდგომი დაკითხვის და ორჯერადი ცემით მოპოებულ ხელნაწერ ჩვენებაში წერია. მაშასადამე, როგორც მე ადრე ვწერდი, მ.ჯავახიშვილის მიერ პოლონეთის კონსულისგან 3 ათასი მანეთის მიღების ფაქტი ყველაზე ადრინდელი წყაროებით ჩაწერილია მხოლოდ „21/VIII-37“-წლით დათარიღებული ფუტლიარი განცხადების შემდგომ ხელნაწერ „ჩვენებაში“ და დაფიქსირებულია მწერლის 19 სექტემბრის „საბრალდებო დასკვნაში”. მაგრამ ესეც არ არის ობოლი ორიენტირი, რადგან სხვა ცნობით ბერიას, მწერლების დასარწმუნებლად აუფრიალებია არა „ხელნაწერი“, არამედ ხელის მანქანაზე დაბეჭდილი ფურცელი. ამის გამო შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბერიას აუფრიალებია პატიმარ მ.ჯავახიშვილის შესახებ ჩეკას მუშაკ-გამომძიებელთა მიერ შეთითხნილი „საბრალდებო დასკვნის“ ნაბეჭდი ფურცელი, რომლის ერთ-ერთ გვერდზე მართლაც მოტანილია და დამოწმებულია ერთ-ერთი მსგავსი ამონარიდი. მაგრამ აქ დამოწმებულია პატიმარი მწერლის მიერ ვითომ მართლა მიღებული, მეორე 3 ათასი მანეთიც. აგრეთვე არსებობს ამ ხელნაწერის გარდა სხვა მსგავსი 31 აგვისტოს, გამომძიებელთა მიერ შეთითხნილი, მ.ჯავახიშვილის მიერ ხელმოუწერელი „ფუტლიარი“„ჩვენებაც“, რომლის მონაცემებით „ირკვევა“, რომ მ.ჯავახიშვილს, სხვა დროს, იტალიის და გერმანიის კონსულებისაგან ვითომ ორჯერ მიუღია 3000-3000 მანეთი, ე.ი. მათგან სულ მიუღია კიდევ „6 ათასი მანეთი“. აი, ახლა უკვე „გამართლდა“ ბერიას და მ.ხომერიკის ნათქვამი მ.ჯავახიშვილი „სისტემატურად“ ღებულობდა,ე.ი. მ.ჯავახიშვილს აუღია 12 ათასი მანეთი და ისე გამოდის თითქოს მას ჯაშუშობით წამოუწყია ბიზნესი, ამ „სიმართლისა” მ.ხომერიკს სჯერა. მე კი არა მჯერა და აი კიდევ რატომ: თუ ბერიამ მ.ჯავახიშვილის „საბრალდებო დასკვნა“

ააფრიალა, ამ შემთხვევაში ისმება კითხვა: ბერიამ აქ აღნიშნული პოლონეთის კონსულის თანაშემწის მიერ მიცემული პირველი, ან იტალიისა და გერმანიის კონსულებისგან მ.ჯავახიშვილის მიერ განმეორებით, მესამედმიღებული ქრთამის შესახებ ინფორმაციას რატომ დამალავდა? მაშასადამე უნდა ვიფიქროთ რომ ბერიამ სულ სხვა ქაღალდი ან ნაბეჭდი „საბრალდებო დასკვნა“ ააფრიალა, მაგრამ მწერლების წინაშე მ.ჯავახიშვილის ავტოგრაფი განცხადებით, ან „საბრალდებო დასკვნით“ მიღებული ინფორმაცია კი არ გაახმოვანა, არამედ ალბათ გაიმეორა ის რაც ჯერ კიდევ მ.ჯავახიშვილის დაპატიმრებამდე ჩააგონა მისთვის პირზე წაყენებულ მწერალ კოლეგებს.

მეორე, მ.ჯავახიშვილის 21 აგვისტოს აღიარებად დასაბუთებულ ხელნაწერ განცხადებაში საუბარია პოლონეთის კონსულის „პომოშნიკ“-ზე და არა კონსულზე. ამავე დროს, დედანში, ანუ ხელნაწერში, მითითებულია, რომ მეორე შემთხვევში მ.ჯავახიშვილმა კიდევ ერთი 3000 მანეთი მიიღო, მაგრამ არა პოლონეთის კონსულის თანაშემწის, არამედ მ.ჯავახიშვილის ვერის დაღმართზე მდებარე ბინაზე, პირადად კონსულის სტუმრობის დროს და თანაც ღამის პირველის ნახევარზე (იხ. მ.ხომერიკი, მიხეილ ჯავახიშვილი უნიკალური დოკუმენტების ფონზე, გვ. 92-93). განა შეიძლება ამის დაჯერება?! მ.ჯავახიშვილის ჯაშუშად საჯაროდ გამოცხადების ეს ფაქტი შეიძლებოდა მიგვეჩნია ბერიას მიერ მწერლებისათვის სიტყვიერად გამოცხადებულის დამაჯერებელ წყაროდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვივარაუდებთ, რომ ბერიამ მართლაც ნაბეჭდი მ.ჯავახიშვილის „საბრალდებო დასკვნის“ ფურცელი ააფრიალა, მაგრამ ჩეკისტურად გადამლაშებული დიდი ქრთამების აღების, დაუჯერებელი დიდი ოდენობის დასახელებას მოერიდა და ამიტომ, საჭიროდ, მხოლოდ ადრე, მ.ჯავახიშვილის კოლეგა-მწერლების მიერ გახმოვანებული ან ზემოთ დასახელებულ დოკუმენტებში დამოწმებული, იმპროვიზირებულად გამოთქმული, ქრთამის აღების მხოლოდ ერთი, იმ ფაქტის დასახელება მიიჩნია, რომლებზეც საუბარი ადრეც გვქონდა გ.ქიქოძის ერთი მოგონებით. მაგრამ ახლა ბერიას, მ.ჯავახიშვილის მიერ ქრთამის სისტემატიური მიღებაზეც მიუნიშნებია და მხოლოდ „<u>ბოლო</u>“ შემთხვევა უხსენებია, რადგან იგი

ამ დროს ჩეკისტური გონიერებით მოქმედებდა. ბერიას, რომ ის სიტყვა-სიტყვით გაემეორებინა, რაც ბერიამ და დერჟიმორდა ჩეკისტებმა, ნაცემ-ნაბეგვ მ.ჯავახიშვილს გამოსძალეს და დააწერინეს, თუ გადააწერინეს, მაშინ კრიტიკული გონების მქონე მწერლებში, თვითონაც კიდევ უფრო საეჭვოდ და არადამაჯერებლად, ანუ დაუჯერებლად წარმოჩნდებოდა. მაგრამ ეს შედარებით მოკრძალებული გასამრჯელო და შესაბამისი სამუშაოს შესრულებაც კი, როგორც გ.ქიქოძე წერს, მწერალთა უმრავლესობისთვის მაინც დაუჯერებელი გახდა. მაშასადამე, ყველა მწერლისთვის იმ დროშიც არა ბნელოდა.

ამ შემთხვევაში, მთავარი მაინც ის არის, ზუსტად როდის მოხდა ბერიას მიერ მ.ჯავახიშვილის ჯაშუშობის მამხილებელი ამბავი? მწერალთა იმ პრეზიდიუმის სხდომაზე (17.VII.1937წ.), რომელზეც მიიღეს მ.ჯავახიშვილის ფიზიკური განადგურების დადგენილება, მანამდე, თუ მისგან ჩვენებათა გამოძალვის მერე? ამას აქვს დიდი მნიშვნელობა. თუ ბერიამ 17 აგვისტომდე ააფრიალა მ.ჯავახიშვილის ჯაშუშობის დამადასტურებელი დოკუმენტი, გამოდის რომ მ.ხომერიკი მართალია – ბერია სარგებლობს „ჯაშუში ბრალდებულის“ 21 ივნისის ხელნაწერი ჩვენების არსებობით. ეს თუ პატიმრობის დროს მოპოვებული არგუმენტია – გამოდის, რომ მ.ჯავახიშვილი მართალია, ხოლო მ.ხომერიკი მატყუარაა. ეს ფაქტი მე მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, დიდხანს ვეძებე, აგრეთვე მწერალთა პრეზიდიუმისა და პარტიული ორგანიზაციის ოქმებში ჩანდა, რომ იგი საგანგებოდ იჩქმალებოდა... ზემოთ ჩემს მიერ მოხმობილი, მათ შორის მ.ხომერიკის მიერ დამოწმებული წყაროდანაც მკაფიოდ ირეკლებოდა, რომ იგი მკითხველს სიმართლეს შეგნებულად უმალავდა და ატყუებდა. მაგრამ უშედეგოდ. მივაგენი ნიშნებს, რომლებიც მეტყველებენ, რომ მწერლის არქივში იგი მიზნობრივად ამოიღეს. ამის გამო საჭიროდ მივიჩნიე მისი ძებნა პარტიულ არქივში. ამის გამო იგი შემდეგ პარტიულ არქივში ვეძიე და კიდეც პარტიულ არქივში გამოვავლინე და ამ მართლაც უნიკალური დოკუმენტით მ.ხომერიკს მხრივ მკითხველისათვის მ.ჯავახიშვილის „დამსმენად“ და ჩეკას „აგენტად“ გაყალბების მიზნით შემოთავაზებული, ანუ ზემოთ მითითებული

არგუმენტიც გავუბათილე. ეს მოგნება უაღრესად მნიშვნელოვანია და ფაქტიც უნიკალურია იმ მხრივ, რომ სხვა მსგავსი ინფორმაციის შემცველ არქივებში, ან გაზეთებში არ იძებნება. ამასთანავე იგი ადასტურებს გ.ქიქოძის მიერ თქმულის სიმართლესაც. ეს არის საქართველოს საბჭოთა მწერლების პარტიული ორგანიზციის არტიული ჯგუფისა და კომკავშირის ორგანიზაციის 1937 წლის 2 ოქტომბრის გაერთიანებული სხდომის ოქმი №10, რომელიც დაცულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის (1) ფონდებში.

აქ ნათქვამია:

დაესწრნენ: ამხ. კ.ჩარკვიანი, ს.ეული, დ.დემეტრაძე, პ.ჩხიკვაძე, კ.ბობოხიძე, ირ.აბაშიძე, ალ.გომიაშვილი, პ.სამსონიძე, დ.ბენაშვილი, გ.ნატროშვილი, ალ.მაშაშვილი, <u>შ.რადიანი</u>, გ.ბუხნიკაშვილი, <u>ი.ლისაშვილი</u> და ს.ხიდისთაველი. მოისმინეს: 1. ამხ. <u>კ.ჩარკვიანის ინფორმაცია მწერალთა კავშირის პრეზდიუმის იმ თათბირის შესახებ, რომელიც ა/წ 26 სექტემბერს (!!! – გ.ც.) ამხ. ლავრენტი მერიას მოწვევით</u> (ჩატარდა – გ.ც.) <u>და ეხებოდა მწერალთა კავშირის რიგებში აღმოჩენილ ხლხის მტრების მავნებლობას და კავშირის მუშაობის გარდაქმნას.</u>

ამხ. კ.ჩარკვინის ინფორმაციის შესახებ სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები: ი.ლისაშვილი... დემეტრაძე და ეული.

გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის არასაკმაო სიფხიზლეს, რის შედეგადაც თავის დროზე ვერ იქნა გამომჟღავნებული მწერალთა კავშირის რიგებში მყოფი ხალხის მტრები: ტოროშელიძე, (პ. – გ.ც.) ქიქოძე, ნაროუშვილი, თათრაშვილი, მიწიშვილი, იაშვილი, ჯავახიშვილი, გვასალია, თალაკვაძე, ბიბინეიშვილი, საყვარელიძე, ბუაჩიძე და სხვ.

ზოგი ამხანაგი (სამსონიძე – ლისაშვილი) უარყოფენ იმას, თითქოს მათ სიფხიზლე აკლდეთ...

ამხანაგების გამოსვლის შემდეგ ლაპარაკობს ამხ. კ.ჩარკვიანი... აღნიშნავს მწერალთა კავშირში ბოლშევიკურ სიფხიზლის მოდუნების ფაქტს. ის არ თანმხდება იმ ამხანაგებს, რომელბიც ფიქრობენ, რომ მათ გამოჩენილ სიფხიზლეს გასავალი არ ჰქონდა, თითქოს იმიტომ, რომ აქა-იქ მავნებლები ისხდნენ...

მისივე წინადადებით უნდა იქნას დასმული საკითხი პრეზიდიუმის სხდომაზე ტ.ტაბიძის კავშირიდან გარიცხვის შესახებ, სომელსაც არ სურს აღიაროს თავისი კავშირი ხალხის მტრებთან, აგრეთვე პრეზიდიუმზე უნდა დაისვას საკითხი უკვე გამომჟღავნებული ხალხის მტრების პავლე საყვარელიძის გამორიცხვის შესახებ.

დაადგინეს:

1. ამხ. ლ.ბერიას მითითებები მიღებული იქნას სახელმძღვანელოდ და განუხრელად გასატარებლად ცხოვრებაში მწერალთა კავშირის მთელი შემდგომ მუშაობაში.

2. 8 ოქტომბრისათვის მოწვეული იქნას პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც სხვა საკითხებთან ერთად დაისვას საკითხი საყვარელიძისა და ტ.ტაბიძის კავშირიდან გარიცხვის შესახებ. თავმჯდომარე კ.ჩარკვიანი, მდივანი კ.კომახიძე (ორივე პიროვნების ხელმოწერა დადასტურებულია. ხაზგასმები ჩემია. იხ. საქ. მწერალთა პარტიული ორგანიზაციის ოქმები – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (I), ფონდი 897, აღ.1, საქმე 1, ფურც.88-90).

მაშასადამე, როგორც დარწმუნდით, ბერიას მიერ მწერლების მიწვევა და მათ წინაშე დოკუმენტის ყასიდი ჟესტის გამოყენებით მ.ჯავახიშვილის მიერ ჯაშუშებისათვის ფულის უცხო წყაროებიდან მიღების ასევე ყასიდი განცხადება და ამის დამამტკიცებელი ნაბეჭდი ფურცლის აფრიალება 26 სექტემბერს მოხდა, მაგრამ არა მწერლის დაკითხვამდე, არამედ მ.ჯავახიშვილის პატიმრობის დროს და მისი ჩეკისტური ძიების დამთავრების შემდეგ. ახლა ხომ კიდევ ერთი მიგნებასა და მყარ არგუმენტს ვხედავთ, რომელიც გვისაბითებს, რომ მ.ჯავახიშვილს უცხოეთის საკონსულოებთან თავისი და პ.იაშვილის ჯაშუშური თანამშრომლობა და მათგან ფულის აღება პირველად აღიარებინეს მხოლოდ მას შემდეგ როცა ჩეკას სამძებრომ, პირადად ბერიას და ბ.ქობულოვის მონაწილეობითა და ბერიას ბრძანებით განხორციელებული ორჯერადი, აუტანელი ცემის შედეგად და სავარაუდოდ სიცოცხლის შენარჩუნების დაპირებით, გასტეხა მოხუცი, რომელიც მუდმივად რჩებოდა სტალინის მიერ მისი ამბის შეტყობისა და შველის იმედით. ბერიას მიერ მ.ჯავახიშვილის ჯაშუშობის საჯაროდ გაყალბების ეს ფაქტი

მოხდა 21 აგვისტოს, ან მის შემდეგ, როცა მოიპოვეს ნაცემი პატიმრის ხელნაწერი განცხადების შესაბამისი „ჩვენება“, მაგრამ არავითარ შემთხვევაში დაპატიმრებამდე, ან მწერალთა პრეზიდიუმის 1937 წლის 17 აგვისტოს სხდომამდე.

როგორც ხედავთ, მ.ხომერიკს, ახლა უკვე, კიდევ ერთხელ და ახალი წყაროების გამოყენებით გავუბათილე მ.ჯავახიშვილის გაყალბების მცდელობით, მკითხველისა და ჩემი მოსატყუებლად 1996 წელს მოხლაფორთებული მნიშვნელოვანი არგუმენტი (იხ. მისი, პასუხად მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფებს... გვ.77), რომელიც მთელი 19 წელიწადია, მისი სხვა ყალბი არგუმენტების მსგავსად ბოგინობდა და მ.ჯავახიშვილის სიმართლეს აყალბებდა, ხოლო ბერიას ამართლებდა.

<u>თავი IX. დამატებითი სიმართლე მიხეილ ჯავახიშვილის, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის და ზოგ სხვათა შესახებ</u>

მ.ხომერიკმა მიაგნო და კიდეც დროშასავით ააფრიალა ის ამბავი, რომელიც ცხადყოფს, რომ მ.ჯავახიშვილის ხელნაწერი განცხადებიდან ამოკრებილ ჩვენებებს შორის, დილეტანტი მკითხველისათვის ყველაზე შემაშფოთებელი ეს არის „ჩვენება“- „აღიარებები“ ბერიას მიერ გაუბედურებული პოეტ პაოლო იაშვილის პოლკოვნიკ ლევან გარსიაშვილისა და ბეგლარ ფაღავას შესახებ.

მ.ხომერიკის პუბლიკაციების მიხედვით პ.იაშვილის, თვითმკვლელობა განაპირობა უმთავრესად, ვითომ მართლა არსებულმა, მ.ჯავახიშვილის 1937 წლის 21 ივნისის ჩეკას თუ ბერიას მიმართ გადაცემულმა, მის სამძებრო საქმეში დაცული ხელნაწერის შესაბამისმა ჩვენებებმა. არადა ხომ დავრწმუნდით, რომ ეს ხელნაწერი ბერიამ და ჩეკისტებმა პ.იაშვილის თვითმკვლელობის ერთი თვის შემდეგ გამოსძალეს მ.ჯავახიშვილს. მაშასადამე, მ.ხომერიკი თავისი აზრის სახით გვთავაზობს იგივე ლუარსაბის ლოგიკას, როცა იგი ცდილობს გაფრენილი ბუზების არგუმენტით გაამართლოს თავისი „სიმართლე“... ეს არის პროვოკაცია.

მ.ხომერიკის პასკვილურ წიგნებში გამოთქმული ყველა სიყალბის სიმართლითა და შესაბამის წყაროებზე დაყრდნობით გაშუქება, დიდი საგამომცემლო ხარჯების გამო, შეუძლებელია. ამიტომ იძულებული ვხდები, რომ წინამდებარე თავში მის ზოგ აუცილებელ სიყალბეს შევეხო. რაც, მთავარია მ.ხომერიკი ანგარიშს არ უწევს, რომ ჩეკისტური დაკითხვების დროს გამოძალული ჩვენებები, მათზე დატანილი ხელმოწერის მიუხედავად, მაინც არის ჩეკას ძიებისა და კონკრეტული გამომძიებლის მიერ იმპროვიზირებული ლეგენდა. მ.ჯავახიშვილის საძიებო საქმეში დაცულ 250 გვერდზე მეტი მოცულობის დოკუმნტაციაში კი, პატიმრისეული, იურიდიული ძალის მქონეა, მხოლოდ მის მიერ შევსებული ანკეტა და გოგლიძის სახელზე დაწერილი, მცდაერად („21/VI-37წ“) დათარიღებული ხელნაწერი განცხადება.

ადვილი მისახვედრია, რომ ჩეკას ძიება გულმოდგინედ შეეცადა მ.ჯავახიშვილის მეშვეობით, ბერიას წინაშე თავისებურად გაემართლებინა მისი საჯაროდ მამხილებლის, პ.იაშვილის

თვითმკვლელობის მიზეზ-საბაბი. ამიტომ იყო, რომ საქართველოს მწერალთა პარტიულმა ჯგუფმა და პარტიულმა ორგანიზაციამ 1937 წლის 28 ივლისს პ.იაშვილის თვითმკვლელობის გამო საგანგებოდ აღნიშნა, „რომ გამომჟღავნებული ხალხის მტერი პაოლო იაშვილი გაექცა პოლიტიკურ მართლმსაჯულებას“. ამასთანავე გამოითქვა დაპირება: „მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა გააძლიერებს მუშაობას რათა ბოლომდე გამომჟღავნებულ იქნას პ.იაშვილის მსგავსი გაიძვერები, რომლებიც შესაძლებელია საბჭოთა მწერლის ნიღბით ჯერ კიდევ იმყოფებოდნენ ჩვენს რიგებში (იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II) №897, აღ.1, ს.1, ფურც.73). ეს ვალდებულება მწერალთა პარტიულმა ორგანიზაციამ და მწერალთა პრეზიდიუმმა შემდგომში, უპირატესად იმ მიმართულებით წარმართეს, რომ მ.ჯავახიშვილი „ხალხის მტრად“ გაასაღეს, მისი განადგურება მოითხოვეს 17 აგვისტოს მწერალთა პრეზიდიუმის სხდომაზე, შემდგომ ბერიას მიერ ორგანიზებულ სპეციალურ 26 სექტემბრის თათბირზე და სხვ. პ.იაშვილისა და მ.ჯავახიშვილის მიმართ კიდევ უფრო მკაცრი ღონისძიებები გაატარა ჩეკას სამძებრო სამსახურმა. მათ შორის განსაკუთრებით თვალსაჩინოა ის, რომ პ.იაშვილსა და მ.ჯავახიშვილს მან არ აკმარა „ხალხის მტრის“ იარლიყის მიკერება და მათ მიუსადაგა ყველაზე დამამცირებელი ბრალეულობები, რომლის დროსაც ზოგჯერ მოუვიდათ იმდენად გადამლაშებული, რომ იგი საბრალმდებო დასკვნაშიც კი არ შეიტანეს, რადგან წარსადგენი სასამართლოს წევრებსა და სხვა წამკითხველებს უთუოდ შეუქმნიდნენ ისეთ ირონიულ განწყობილებას, როგორც ჩეკისტი ვინერის „აღმოჩენები“ იწვევდა. ამიტომ იგი ბერიას არც მწერალთა აქტივისთვის გაუმხელია, რადგან იმათაც კი უთუოდ, დააფრთხობდა, რომლებმაც სიამოვნებით მოისმინეს მ.ჯავახიშვილის მიერ პოლონეთის კონსულისაგან ჯაშუშობისათვის სისტემატიურად, ბოლოს კი, 3000 მანეთის მიღება. მ.ჯავახიშვილის გაყალბებით დაინტერესებული მ.ხომერიკი კი წერს: „1937 წლის ივნისში მ.ჯავახიშვილი, როგორც ჩანს, პირადად ბერიასთან თუ არა, ჩეკაში მაინც დაიბარეს, რასაც ის ფაქტი მაფიქრებინებს, რომ მის მიერ დაწერილი 34-გვერდიანი განცხადება

1937 წლის 21 ივნისით არის დათარიღებული. დოკუმენტში 50-ზე მეტი ადამიანია დასახელებული...

1937 წლის 21 ივნისს დაწერილ განცხადებაში მ.ჯავახიშვილმა ჩეკას გაუმჟღავნა... პაოლო იაშვილს, თითქოს, თავის თავზე აუღია უცხოელებთან დაკავშირება და მათი მეშვეობით ქართველ ემიგრანტ თანამოაზრეთა შესახებ ინფორმაციის მიღება... მ.ჯავახიშვილმა თავისი „დანაშაული" კიდევაც აღიარა, კიდევაც მოინანია და 50-ზე მეტი ადამიანი დაასახელა... ისინი... დიდი მწერლები არ ყოფილან, მაგრამ „სული აღმოაჩნდათ ფოლადის, გაუბზარავი, მონოლითი..." ყოველ მათგანს თავის მხრივ 50-50 კაცი რომ დაესახელებინა, გაწყდებოდა ქართველობა...

უნდა ითქვას, რომ 1937 წლის 21 ივნისს, თავისი ხელით დაწერილ განხცადებაში, მ.ჯავახიშვილმა ყველაზე მეტად პაოლო იაშვილი გალანძღა... (მ.ჯავახიშვილმა გალანძღა...?! – გ.ც.).

ამ ჩვენების დაწერიდან ერთი თვის შემდეგ, პ.იაშვილი იძულებული გახდა თვითმკვლელობით დაესრულებინა სიცოცხლე... (იძულებული მ.ჯავახიშვილის ჩვენების გამო გახდა...?! – გ.ც.).

პაოლო იაშვილის შესახებ მისი ძმიშვილი, ნოდარ იაშვილი იხსენებს: „ბერიამ დაავალა, ვალოდია ჯიქიას უნდა დაადგე პირზეო"... დოკუმენტურად უფრო დასაბუთებული კი ის არის, რომ იმ დროისათვის ჩეკას უკვე ხელთ ჰქონდა მ.ჯავახიშვილის ჩვენება, რომელიც ცხადია, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა პაოლო იაშვილს... (ამ სიმართლით შორს ვერ წახვედი! – გ.ც.).

მ.ჯავახიშვილი 1937 წლის 14 აგვისტოს ქვიშხეთში დააპატიმრეს..." (ციტატის დასასრული. იხ. მ.ხომერიკი, პასუხად მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფებს (საიდუმლო არქივიდან), თბ. 1996, გვ. 60-65, ხაზგასმები ჩემია – გ.ც.). ამ და სხვა ყალბ აზრებს მ.ხომერიკი მკითხველებს თავის სხვა პასკვილურ წიგნებშიც აჩეჩებს (იხ. მ.ხომერიკი, სიმართლის გამრუდება ისტორიკოს გიორგი ციციშვილის მიერ... თბ. 2003, გვ. 7-13, 55, 63-67; მ.ხომერიკი, მიხეილ ჯავახიშვილი უნიკალური დოკუმენტების ფონზე, თბ. 2008, გვ. 82-85, 88-90). მის მიერ „ეროვნულ ნიადაგზე მდგომად" შექებულმა „ექსპერტებმა" კი, ეს „ვერ დაინახეს". ახლა კი, იგი თავისი სიყალბის მეტი „დამაჯერებლობის" მიზნით მ.ჯავახიშვილის

ხელნაწერ განცხადებას აქვეყენბს და ამით პატიმრის მიერ (? – გ.ც.) პ.იაშვილის „გალანძღვის“ მტკიცებულობასაც ეჭვის გარეშე ასაჯაროებს (იხ. მ.ხომერიკის მიერ 2008 წელს გამოქვეყნებული პასკვილი, გვ.92-93). ამ ხერხით, ჯერ ერთი, ჩემი აზრით, მ.ხომერიკი მ.ჯავახიშვილს არა ნაკლებ შეურაცმყოფელად ახასიათებს, ვიდრე ჩეკას ძიება, რადგან მან სხვებზე არა ნაკლები დამაჯერებლობით იცის მ.ჯავახიშვილის ჩეკისტურად ნამართავი ბედის სიმართლე. დიახ, მან კარგად იცის, რომ პ.იაშვილის თვითმკვლელობის გადაწყვეტილებაში მ.ჯავახიშვილი არაფერ შუაშია. მაგრამ მას ამ უკანასკნელ წიგნში მ.ჯავახიშვილის სამძებრო საქმიდან წყაროები ამოკრეფილი და გააზრებულ-გამოქვეყნებული აქვს თავისი იმ მიზნობრივად გაყალბებული შემზარავი კონცეფციის შესაბამისად, რომელიც მიზნად ისახავს მ.ჯავახიშვილის ჩეკას დამსმენ-ინფორმატორად გასაღებას. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ, როგორც უკვე ვთქვი, მ.ხომერიკს მ.ჯავახიშვილის საძიებო საქმიდან ჯერ მოჰყავს მე-16-49-ე ფურცლებზე დატანილი მწერლის ხელნაწერი განცხადების ტექსტი, რომელიც დათარიღებულია მცდარი თარიღით (21/VI-37), ხოლო ამის მერე გამოქვეყნებული აქვს საქმეში წინა - მე-10-15-ე ფურცლებად ჩაკერებული მ.ჯავახიშვილის 21 აგვისტოს განცხადების ნაბეჭდი ტექსტი, რომელიც სინამდვილეში არის ხელნაწერ ტექსტზე ადრინდელი (იხ. გვ. 90-98, 99-102). ეს არის მისი მიზნობრივად ყალბი კონცეფციის გამართლების მიზნით შესრულებული ბოროტი მანევრი. ასეთი სიყალბე ჩეკას ძიებამაც კი გამორიცხა. მან ჯავახიშვილის ჩეკისტურ საქმეში ეს საბუთები ჩააკერა სწორი თანმიმდევრობით: ჯერ 21 აგვისტოს განცხადება, მერე 21 ხელნაწერი განცხადება, შემდეგ კი, მომდევნო 31 აგვისტოს განცხადება და საბრალდებო დასკვნაშიც (21 აგვისტოს განცხადების) ამონარიდები შეიტანა არა გოგლიძის სახელზე დაწერილი პირველი 21 აგვისტოს „ფუტლიარიდან“, არამედ მომდევნოდ ჩაკერებული ფსევდო - „21/VI-37წ.“ მ.ჯავახიშვილის ხელნაწერი განცხადებიდან, მაგრამ სწორი, 21 აგვისტოს თარიღით. მ.ხომერიკი კი, ამ წყაროებს მიზნობრივად, თავისებურად ალაგებს და აქვეყნებს. რა არის ეს თუ არა ჩეკისტური ძიების ზოგი მეთოდების გამეორება?!

სინამდვილეში პ.იაშვილის „დანაშაული“, როგორც III და IV თავებში გავეცანით, იყო მისი მეგობრობა ბერიას მიერ ყველაზე საძულველ, პირად მტრებად ცნობილ, ვითომ კრ. ტერორისტ და უაღრესად პოპულარულ პიროვნებებთან – საქართველოს და ამიერკავკასიის პარტიულ ლიდერებთან: ბ.ლომინაძესთან, ლ.ღოღობერიძესთან, გიორგი კურულოვთან (ყურულაშვილთან), ვლადიმერ ჯიქიასთან, საქართველოს კომპარტიის და ხელისუფლების ერთ-ერთ თვალსაჩინო მუშაკთან; ბაქტერიოლოგ - პროფესორ გიორგი ელიავასთან და სხვებთან.

პ.იაშვილის უმეტეს მეგობრებს, ბერიას მიერ ნამართავი მოთხოვნების პასუხად, ჩეკას ძიების მიერ გამოძალულ სასიკვდილო ბრალეულობები, ტერორისტობა და „ხალხის მტერის“ წოდება უკვე 1937 წლის დასაწყისიდან ჰქონდათ შეთითხნილი. როგორც წინამდებარე წიგნის სათანადო III და IV თავებში წარმოჩენილი „ჩვენებით“ დავრწმუნდით, პაოლოს შესახებ, სხვა პატიმრებსაც მრავლად გამოსძალეს მისი კონტრრევოლუციურ-ფაშისტური საქმიანობის შესახებ. ამიტომ იყო, რომ ბერიამ, ჯერ კიდევ X ყრილობაზე, მწერლების დამუშავების დროს პ.იაშვილს ყველაზე მძიმე და განსაკუთრებული ბრალდებები და მოთხოვნები წაუყენა, და იგი უკვე გამომჟღავნებულ ხალხის მტრებთან მჭიდროდ დააკავშირა.

ამის შემდეგ პაოლოს ხალხის მტრებთან კავშირის შესახებ განსაკუთრებით ჭარბად გაუხსენეს სპეციალურ სხდომაზე გამოსულმა ბერიას მაამებელმა კომუნისტმა და უპარტიო კრიტიკოსმა კომუნისტმა მწერლებმა. პ.იაშვილი იქამდე მიიყვანეს, რომ მწერალთა დისკუსიის დროს იძულებული გახდა მწერალთა 28 მაისის სხდომაზე საჯაროდ განეცხადებინა: „მე უთუოდ ვიყავი დაკავშირებული ხალხის მტრებთან, არ ვიცოდი მათი ფარული ზრახვები... ვგმობ ჩემს კავშირს ხალხის მტრებთან... სავსებით ვიღებ ბერიას მკაცრ გაფრთხილებას და გარდავიქმნებიო”. ამის მიუხედავად ბერიას მიერ დაკვალიანებული კრიტიკოსები და ჩეკისტები როდი შეეშვნენ. მათ მიერ, ბერიას აზრისა და ნამდვილი მიზნის გათვალისწინებით, თანდათან, პაოლოს წინააღმდეგ სულ უფრო მეტი „სამხილი” ითითხნებოდა.

აღნიშნულთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ პ.იაშვილმა ბერიასთან წინასწარი გასაუბრების დროს, მარტივად და სრულად გაიცნობიერა, რომ უახლოეს დღეებში პატიმრობაში მოუწევდა ჩეკას მიერ გამოვლენილი თავისი თანამოაზრე-მეგობრების შესახებ მოპოვებული „ჩვენებების“, მათ შორის სტალინსა და ბერიაზე ტერორის მოწყობის იმ მიზანდასახულობების დადასტურება, რომელიც უკვე ჰქონდა მოპოებული მოსკოვის და თბილისის ჩეკას სამძებროებს. პ.იაშვილს უთუოდ მოუწევდა მათი ჩვენებების იძულებითი გადაფარვა-განვითარება. არა და, ამ და სხვა მასალებში, ანუ პატიმართა აღიარებებში, ჩემს მიერ პ.იაშვილის და მ.ჯავახიშვილის შესახებ ზემოთ მოყვანილ ბრალდებების გარდა, ჯაშუშობაზეც მრავალი ინფორმაცია იყო შეთითხნილი. ძიების ინტერესებით, ისინიც საჭიროებდნენ ჩეკისტურ განვითარებასა და გადაფარვას, ანუ შემდგომ დადასტურებას. ამას მოითხოვდა დიდი ტერორის ჩეკისტური განვითარების ამოცანა და ლოგიკა.

არა და, ეს დასახელებული ცნობილი მწერლები და პარტიული და სახელმწიფო მუშაკები, ლ.გასვიანის და სხვათა „ჩვენებებით“ თითქოს იყვნენ კონტრრევოლუციონერები, ხოლო გ.კურულოვი, ვ.ჯიქია და მ.ჯავახიშვილი კი, საქართველოს ერთიანი ნაციონალური ცენტრის წევრები. სინამდვილეში ისინი იყვნენ მხოლოდ ლ.ბერიას ჩეკისტური მმართველობის უკიდურესად უკმაყოფილონი და ლ.ბერიას მიერ გაუბედურებულები. პ.იაშვილი კი, იყო მწერლებიდან, ამ ვითომ კონტრრევოლუციონერ-ტერორისტებთან, ყველაზე დაახლოებული – მათი მეგობარი.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, კარგად ჩანს, რომ პ.იაშვილმა ბერიას მხრივ მოსალოდნელ შურისძიებასა და ჩეკას მიერ გათვალისწინებული, მოსალოდნელი როლის შესრულებას დემონსტრაციული თვითმკვლელობა არჩია. მან მწერალთა კავშირის სასახლეში საკუთარი სანადირო თოფის გასროლით თვითმკვლელობა იმ დორს ჩაიდინა, როცა მისი და თანამოაზრე-მეგობარი მწერლების გაუხამსებული იდეოლოგიურ-პარტიული დამუშავება მიმდინარეობდა. ეჭვის გარეშეა, რომ ამ სხდომაზე მოხდებოდა მწერალთა კავშირის რიგებიდან პ.იაშვილის გარიცხვაც. მას ისეთივე ბედისწერა შეუქმნეს, როგორც უდანაშაულო

ნ.მიწიშვილს და ზოგ სხვას. ამ ვითარებაში პაოლოს თვითმკვლელობა გარკვეული აზრით, იძულებითი, მაგრამ ყველაზე გონივრული გამოსავალი ჩანს. ამით მან ეს თვითმკვლელობის ფაქტი პროტესტის მანამდე არნახული ფორმის საჯარო გამოვლინებად და გმირობად წარმოაჩინა. ეს იყო საკუთარი სიცოცხლის გაწირვით მიყენებული, ერთგვარი სამაგიერო, ზორბა ალიყური ხელისუფლების, ჩეკას ორგანოებისა და პირადად ბერიას მიმართ. ამასთანავე პ.იაშვილმა, წინასწარ ისეთი სამი წერილი დატოვა, რომლებიც მისი ოჯახის წევრების გადარჩენის გარანტიებს ქმნიდა. მათ შორის ერთი, როგორც ვნახავთ, პირადად ბერიათვის იყო გათვალისწინებული, საბჭოთა ბოლშევიკური ხელისუფლების მიმართ, მისი ერთგულების ეჭვების გამორიცხვას ემსახურებოდა და ამით ჩეკისტური შურისძიების მეხამრიდის შექმნას ითვალისწინებდა. ეს მიგნება რომ მართალია, ქვემოთ დამატებით დაგარწმუნებთ. ამის გაგებას ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და პროფესორობის პრეტენზიები არა სჭირდება. თუმცა ისიც არ არის გამორიცხული, რომ ბერიასადმი გაგზავნილი პაოლოს წერილი ჩეკას სამძებროს მიერ იყოს შეთითხნილი.

მოთხრობილ ამბავთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ ზოგმა პ.იაშვილის თვითმკვლელობა მისი და მ.ჯავახიშვილის ბრალეულდებების აღიარებად მიიღო. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც მისი ქმედება არა მარტო სწორად გააცნობიერეს, არამედ საკუთარი აზრიც ვერ დამალეს. ასეთად გამოვლინდა მ.ჯავახიშვილი და ეს მას გაუხდა საბედისწეროდ. როგორც ცნობილია, მეგობრის თვითმკვლელობის გამო, თავისი აფექტური განწყობილების დროს, მ.ჯავახიშვილმა ამ ფაქტის მყისიერი შეფასება ვერ დამალა და სხვების გასაგონადაც გამოთქვა „ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილაო“. ბერიას კი, როგორც ამბობენ მწერალთა კავშირში თავისი ინფორმატორები საჭირო ოდენობაზე მეტი ჰყავდა და ამავე დროს მას „სარეცელზე შეყვარებულთა ინტიმური გრძნობების ამოსუნთქვაც ესმოდა“ (გ.ქიქოძე). ამიტომ, პაოლოს თვითმკვლელობის გამო ბერიას რისხვა და შურისძიება მნიშვნელეოვან წილად, სწორედ მ.ჯავახიშვილს დაატეხეს. მ.ჯავახიშვილის მიერ პაოლოს მოქმედებების მყისიერი შეფასება

იდეალურია, თუ იმსაც გავითვალისწინებთ, რომ ამ დროს მისი ნათესავი და უმცროსი მეგობარი ირ.აბაშიძე, მხოლოდ ტირილის გამო კინაღამ გააუბედურეს და იგი მხოლოდ მისმა „ცრუმოწმეებმა“ იხსნეს...

მ.ჯავახიშვილის და სხვათა ხელნაწერ განცხადებასა და შემდგომ -„ჩვენებაში“ პ.იაშვილის შესახებ ჩეკას მუშაკთა, თუ გამომძიებლების ინიციატივით, გაუგონრად დამამძიმებელი და დამამცირებელი ბრალდებები რომ არის შეტანილი, ვიდრე სხვა ადრე გაუბედურებულთაგან გამოძალულ „ჩვენება”-„აღიარებებში”, და „საბრალდებო დასკვნებში“. ეს სწორედ იმითაც იყო გამოწვეული, რომ მან პ.იაშვილის პროტესტი მყისიერად, საჯაროდ და იდეალურად შეაფასა.

ზემოთ ნათქვამის მეტი დამაჯერებლობის შექმნის მიზნით, საჭიროდ მიმაჩნია მოვიხმო მ.ჯავახიშვილის მიმართ წაყენებული ის ზოგი, უკიდურესად გაწამებულ-გაყალბებული პატიმრებისგან გამოძალული ჩვენება-ბრალეულობები, რომლებიც შემდგომი მოქმედების მიზნით ხელთ ჰქონდა ჩეკისტურ ძიებას. ამის შემდეგ კიდევ უფრო თვალსაჩინო და ცხადი გავხადო ის რაც პაოლოზე შურისძიების მიზნით, ბერიას თანამონაწილეობით, მოთხოვნითა და ორჯერადი აუტანელი ცემით მ.ჯავახიშვილს დააწერინეს გამომძიებლებმა. ამ ხერხით ნათელი გახდება ჩეკისტური ძალმომრეობით მოპოვებული ის დამამცირებელი აღიარებები, რომლებიც შეტანილია მ.ჯავახიშვილის ხელნაწერსა და მომდევნო 1937 წლის 31 აგვისტოს და 20 სექტემბრის ფუტლიარ-განცხადებებში და რომლებზე დაყრდნობით მ.ხომერიკი თავს უფლებას აძლევს დაწეროს: „<u>თავისი ხელით დაწერილ განცხადებაში მ.ჯავახიშვილმა ყველაზე მეტად პ.იაშვილი გალანძღა</u>“ (მ.ხომერიკი, მ.ჯავახიშვილი უნიკალური დოკუმნტების ფონზე, გვ.84, ხაზგასმა ჩემია – გ.ც.); „1937 წლის 31 აგვისტოს... მ.ჯავახიშვილი წერს კიდევ ერთ განცხადებას, რომელშიც ახალ ფაქტებს ამატებს“ (იქვე, გვ.103); „მ.ჯავახიშვილის საქმის ძიება 1937 წლის 19 სექტემბეტრს დასრულდა, მაგრამ <u>მან მეორე დღეს თავის გადარჩენის მიზნით, კიდევ ერთი განცხადება დაწერა, რომელიც მას არაფერში გამოადგა, მაგრამ დამღუპველი აღმოჩნდა ლ.გარსიაშვილისა და ბ.ფაღავასათვის</u>“ (იქვე, გვ.107). არა

და, მ.ხომერიკმა იცის, რომ ამ განცხადებას მისი შემთითხნელის ხელმოწერა აქვს (იქვე, გვ.108) და მ.ჯავახიშვილს ისინი გამომძიებლებმა შეაწერეს.

რაც შეეხება მ.ჯავახიშვილისა და პ.იაშვილის „ჯაშუშობას“ იგი ჩეკისტური ძიების მიერ გამოძალული ჩვენებებიდან მოდის. ამის მაჩვენებელია თუნდაც ჩეკას გამომძიებელთა მიერ გამოძალული შემდეგი მსგავსი „აღიარებები“:

<u>ბუდუ მდივანის</u> საბრალდებო დასკვნაში ნათქვამია: „იგი... მოლაპარაკებას აწარმოებდა ნოე ჟორდანიასთან... ერთობლივი ბლოკის შესახებ... 1926 წელს გადაბირებული იქნა კაპიტალისტური ქვეყნების დაზვერვის მიერ ჯაშუშობისათვის... მდივანმა ელიავასაგან მიიღო ჯაშუშური დავალებებისათვის 5000 მანეთი საბჭოთა ვალუტით სხვადასხვა დროს... ამას ადასტურებს ელიავას ჩვენებებიც“ - ხელს აწერენ ჩეკას ინტელექტუალური ცენტრის სადისტი ჯალათები - კრიმიანი, სავიცკი, ქობულოვი (საქმე №5875, ტ.1, ფურც.29, 33).

<u>თედო ღლონტის</u> 1937 წლის 18-19 ივნისის ჩვენება: „...ორახელაშვილის დავალებით მე 1930 წელს შეხვედრა მქონდა... ნ.ჟორდანიასთან... მივიღე ჟორდანიასგან და გადავეცი მამია ორახელაშვილს დირექტივები... ჯაშუშობის შესახებ. ორახელაშვილის დავალებით გერმანიის დაზვერვის სასარგებლოდ ვმუშაობდი. ჯაშუშობით გერმანიის დაზვერვის რეზიდენტ რიხარდ ციულკესთან ვიყავი დაკავშირებული და ტბილისში გერმანიის კონსულ დიტსმანთან...“ (საქმე №2431, ფურც.3018-3019).

<u>შ.მათიკაშვილის</u> საქმეში ჩართულ მისსავე 15-16 ივნისის ჩვენებაში ნათქვამი: „...ჯაშუშურ მუშაობისათვის 1929 წლეს ბერლინში გადამიბირა ჩემი ყოფილი ცოლის ერნა რიხარდ ციულკეს მამამ, რომელიც არის გერმანიის დაზვერვის აგენტი... ინფორმაციებს ვღებულობდი სვანიძე ალიოშასგან... მამია ორახელაშვილისგან, შალვა ელიავასგან, ბ.ჭიჭინაძისგან და კარპე მოდებაძისგან (საქმე №2431, ფურც.259). ალიოშა სვანიძე სტალინის პირველი ცოლის და იმ ქალბატონის ძმაა, რომელმაც სტალინს უფროსი, თოთო ვაჟიშვილი იაკობი, აშკარად მოსალოდნელი სიკვდილისგან იხსნა და რომელიც სტალინმა და ბერიამ დასახვრეტად გაიმეტეს.

ნიკოლოზ ელიავას 6-7 ივლისის ჩვენებაში საზღვარგარეთის დაზვერვასთან დაკავშირებულების სახით დასახელებულია ბ.ჭიჭინაძე, მ.ყაუხჩიშვილი, ლადო ახმეტელი, კარპე მოდებაძე და სხვა. მისი „აღიარებითი“ ჩვენების მიხედვით ინგლისის დიპლომატთაგან გადმოგზავნილი დირექტივები ჩამოიტანა ბ.ჭიჭინაძემ. გადმოცემული დირექტივების შეთავაზება გადავწყვიტეთ „ნაციონალური ცენტრის“ სამხედრო ამბოხებითი ჯგუფის წევრებისათვის – აღნიაშვილის, მახარაძის, თ.ჟღენტის და ვარაზაშვილისათვის, რათა მათ მიიღონ პრაქტიკული და ქმედითი ზომები აჯანყების მომზადებისათვის (საქმე №2431, ფურც.223).

ბ.ჭიჭინაძის ჯაშუშური „ჩვენების“ გამო დაკითხულმა გერმანიის რეზიდენტმა ერინტ ლამპარტერმა უარჰყო დაბრალებული ჯაშუშობა. მისი ჯანმრთელობა 27 ივლისს მკვეთრად გაუარესდა, 2 აგვისტოს კი ციხეში გარდაიცვალა. მისი გვამის შემოწმება არ მომხდარა. ანკეტაში კი მითითებულ იქნა „მოკვდა გულის პარალიჩით“ (საქმე №2431, ფურც.180).

დ.წერეთელმა 20 ივნისის დაკითხვის დროს „აღიარა“: „დარჩიას და გიორგი ცინცაძისგან ვიცი, რომ საზღვარგარეთიდან საქართველოში უნდა ჩამოვიდეს ემისარი... ევგენი გეგეჭკორი და კონსტანტინე კანდელაკი. მოგვიანებით მ.ჯავახიშვილმა დამიდასტურა, რომ ემისრის ჩამოსვლას ნამდვილად მოელიან. მ.ჯავახიშვილმა საუბრის დრო ასევე აცნობა, რომ კრ. ორგანიზაციებს ფულით დააფინანსებენ საზღვარგარეთიდან (საქმე №9997, ფურც.137). ამ „აღიარებების“ დაკითხვის ოქმს ხელს აწერენ ბ.ქობულოვი, აბაზოვი და ფაჩულია.

მ.ჯავახიშვილის ჩეკისტური ბედის გასაგებად, ჩემთვის ხელმისაწვდომი დოკუმენტებიდან, განსაკუთრებით საყურადღებოა ქართველი ანტისაბჭოთა არალეგალურ „მემარჯვენე“ კონტრრევოლუციონერთა... მეთაურად, აგრეთვე ქართული ნაციონალური ცენტრის წევრად, ჩეკას ძიების მიერ „დასახელებული“, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის, გერმანე მგალობლიშვილის 1937 წლის 7 ივლისის დაკითხვის მასალა. იგი მოწმობს, რომ გ.მგალობლიშვილს პირველი დაკითხვა ჩაუტარდა 7 მაისს. ამ მისი ჩვენებიდან ირკვევა,

რომ: გ.კურულოვის მეშვეობით 1937 წელს ჩაუდგა სათავეში „მემარჯვენეების“ ორგანიზაციის ცენტრს; ჯაშუშობას ეწეოდა გერმანიის, იაპონიის და ინგლისის დაზვერვის სასარგებლოდ; ტერორისტული ჯგუფის ხელმძღანელობა დავალებული ჰქონდა თ.ჟღენტს; ტერორისტული აქტი მზადდებოდა პირველ რიგში სტალინზე და ბერიაზე.

10-11 ივლისის დაკითხვის ოქმის მიხედვით, მის მიერ გადაბირებულთა შორის დასახელებულია მიხეილ ნიორაძე – თბილისის საბჭოს თავმჯდომარე... იგი სისტემატურად გამოთქვამდა უკმაყოფილებას ბერიას გამო... მ.ნიორაძე გ.მგალობლიშვილმა მიამაგრა თ.ჟღენტის ტერორისტულ ჯგუფს. ნიორაძემ ბერიაზე ტერაქტის განხორციელებისათვის შექმნა თავისი მებრძოლების („ბოევიკების“) ჯგუფი.

14 ივლისს „მგალობლიშვილმა უჩვენა“: საქართველოს მემარჯვენეთა ორგანიზაციის შექმნის ორგანიზატორები იყვნენ: გ.ორახელაშვილი, შ.ელიავა, გ.ყურულოვი, ს.ჯუღელი, თ.ჟღენტი, და თვითონ; 1933 წელს გ.მგალობლიშვილს შეხვედრა ჰქონდა ლ.ქართველიშვილთან, რომელმაც მოიწონა მემარჯვენეობა და ჩამოთვალა ლავრენტიევის (ლ.ღოღობერიძის) მიერ გადაბირებული 18 კაცი, მათ შორის ს.მამულია, გ.დევდარიანი და ხანჯიანი...

გ.მგალობლიშვილმა უჩვენა, რომ ინგლისის დაზვერვასთან კავშირი დაამყარა 1918 წელს, შემდეგ კი, 1925-28 წლებში. ჯაშუშობის მიზნით გადაიბირა გ.ყურულაშვილი, შ.მათიკაშვილი და სხვა.

18 ივლისის დაკითხვის დროს „გ.მგალობლიშილმა განაცხადა“, რომ: მ.ორახელაშილი და მისი ცოლი მარიამი ინგლისის აგენტები იყვნენ 1918 წლიდან. მან აქვე ჩამოთვალა ინგლისის დაზვერვასთან დაკავშირებულები...

19 და 23 ივლისის დაკითხვის დროს გ.მგალობლიშვილმა დაასახელა ახალი ფაქტები ჯაშუშობის, მავნებლობისა და ტერორისტული საქმიანობის შესახებ.

9 აგვისტოს „გ.მგალობლიშვილმა ჩვენება მისცა“: გერმანიის დაზვერვის სასარგებლოდ ჩავრთე მ.ნიორაძე. იგი გადასცემდა ცნობებს თბილისის საქალაქო მეურნეობის შესახებ.

10 აგვისტოს გ.მგალობლიშვილმა უჩვენა საქართველოს რაიონებში კრ. ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელების შესახებ (სამეგრლოში – დ.ქუჩულორია, ქართლში – ვ.ქურდაძე...).

3 სექტემბერს გ.მგალობლიშვილმა ჩეკას გამომძიებლებს „დაუსახელა“ იარაღის საწყობების ადგილსამყოფები: „საქართველოს სასკომსაბჭოს შენობაში, მისი ყოფილი კაბინეტის ქვეშ და ბუდუ მდივნის კაბინეტის ქვეშ, „ოსავიახიმის“ საწყობში, აკ. სახკომსაბჭოს ყოფილი საწყობის ქვეშ, აეროდრომში, თბილისის საბჭოს შენობაში, სამტრესტის საწყობში, ვაგზალში, ცეკავშირის საწყობში, „პრომტორგის“ საწყობში, წინანდლის საწყობში, დამზადების კომიტეტის საწყობებში, დიდუბეში, ნავთლუღში და სხვაგან. მან „აღიარა“: საწყობების სრული სია გააჩნია თენგიზ ჟღენტს, მაგრამ მან თვითმკვლელობის წინ სია გადასცა ნიორაძეს. ეს სია უნდა გადაეცა მემარჯვენეთა სარეზერვო ცენტრის წევრის – გიორგი სტურუასთვის“.

13 სექტემბერს გ.მგალობლიშვილის შესახებ შეიქმნა „საბრალდებო დასკვნა“ და საქმე განსახილველად გადაეცა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას. მას 3 ოქტომბერს გადასცეს საბრალმდებო დასკვნის ასლი. 4 ოქტომბერს მისი საქმე განიხილა სსრკ უმაღლესი სასამართლოს გამსვლელმა კოლეგიამ. სასამართლოს დასკვნის გამოტანას, სასამართლოს კოლეგიამ მოანდომა 15 წუთი. იგი დაწერილია ორ გვერდზე 13 არასრული ბრწკალის მოცულობით, მან თავისი ჩვენებები მთლიანად აღიარა, მათ შორის ისიც აღიარა, რომ ჯაშუშობას ეწეოდა ინგლისი და გერმანიის დაზვერვის სასარგებლოდ, და ისიც აღიარა, რომ თავიდან ამ მუშაობისათვის იღებდა ანაზღაურებას... მიესაჯა დახრეტა“.

ამავე 4 ოქტომბერს გ.მგალობლიშვილი კვლავ იქნა დაკითხული, დაკითხვის ეს ოქმი დაბეჭდილია 37 გვერდზე და ხელმოწერილია გ.მგალობლიშვილისა და მისი დამკითხველი გამომძიებლების ხაზანისა და თვალჭრელიძის მიერ. ამ დაკითხვის დროს გ.მგალობლიშვილმა „„მისცა“ ახალი ჩვენება, როგორც მემარჯვენეთა ორგანიზაციის კრ. საქმიანობის, ისე ახლა 32 პიროვნებაზე, რომელთა შორის 5 კაცი კრ. ორგანიზაციის წევრებად

სხვათა მიერ დასახელებულნი არ არიან... 16 ნოემბერი 1955 წელი“ (საქმე №17928 და 18967, ფურც.225-227).

გ.მგალობლიშვილისა და სხვათაგან, ჩეკისტური მეთოდებით გამოძალული აღიარება ჩვენებების ლოგიკა ზედმიწევნით წააგავს მ.ჯავახიშვილისგან მოპოებულ „აღიარება-ჩვენებების“ მეთოდიკას. ამ მეთოდების კანონზომიერებათა შემეცნება შესაძლებლობას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ბერიას და ჩეკას საბძებროს მიზანდასახულებით (რაც ერთი და იგივეა), ისე, როგორც ზემოთ აღნიშნულ, მოსასპობად განწირულ პიროვნებებს დაბრალდათ უცხოეთის ჯაშუშობა და ზოგს ჯაშუშობისათვის გასამრჯელოს სახით ქრთამის, თუ მარტივად გასამრჯელოს მიღება. როგორც ჩანს, ასეთივე დანაშაული კიდევ უფრო მუქ ფერებში ბრალდებოდათ მ.ჯავახიშვილს, პ.იაშვილს, ლ.გარსიაშვილს და ბ.ფაღავას. ამიტომ ეს მიზანდასახულობა ბერიამ 21 აგვისტოს კიდეც შეასრულებინა მ.ჯავახიშვილს, ხოლო ამის მერე, როგორც ვნახეთ, გამომძიებლის თანაშემწე მ.ნაცვლიშვილმა ბერიას მონაპოვარი მისივე სულისკვეთების შესაბამისად ორჯერ სიკვდილამდე ნაცემ და სერიოზული წინააღმდეგობის უნარწართმეულ, მასთან ორი მუტრუკის მიერ მითრეულ, დაუძლურებულ მ.ჯავახიშვილს საკუთარი ხელით ისე დააწერინა, ანუ გააფორმებინა, რომ გამორიცხულიყო მის ავტორისეულ დამაჯერებლობაში ეჭვის შეტანა.

ბერიას სულისკვეთებასა და მიზანდასახულობას კი, ამჟღავნებს მის მიერ 1937 წლის 10 დეკემბერს წინასაარჩევნო სიტყვარში გამოთქმული შემაჯამებელი აზრი, რომლის მიხედვით - „ფაშისტური ოხრანკის აგენტები და გამცემლები აღმოჩნდნენ პროფესორები: გიორგი ელიავა, გრიგოლ წერეთელი, ჯანდიერი, ალ.წერეთელი, ლეონიძე (ლეონი – გ.ც.); ინჟინერი ჭიჭინაძე (ბესარიონი – გ.ც.)... ახმეტელი; მწერლები მ.ჯავახიშვილი, ტ.ტაბიძე, ცნობილი მენშევიკი გაიძვერა ნ.ქარცივაძე, ს.დევდარიანი, გ.მახარაძე და სხვა.

ისინი ამზადებდნენ ტერორისტულ აქტებს. ისინი ყველანი უკლებლივ ეწეოდნენ ჯაშუშობას. მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული უცხოეთის დაზვერვასთან. აგროვებდნენ და მათი მეშვეობით საზღვარგარეთ აგზავნიდნენ ჯაშუშური ხასიათის ცნობებს“... ბერიამ და მისმა დამქაშებმა ამ სიმართლით იარეს და დაგვიანებით მაგრამ

მაინც, დამსახურებულ სასჯელს მოეწიენ. ეს და ჩემს მიერ მოყვანილი სხვა უამრავი მიგნებები, ნათლად მოწმობს, რომ მ.ჯავახიშვილის „ჩვენებები“ ითითხნებოდა ბერიას ინტერესებით, ჩეკისტური ძიების საერთო მიზანდასახულობითა და საერთო მეთოდიკის შესაბამისად.

იმდენად, რამდენადაც აღნიშნული საკითხი მ.ხომერიკის წიგნში გამოქვეყნებულ ჩეკისტურად გაგებული დოკუმენტითა და მკითხველისთვის პ.იაშვილისა და მ.ჯავახიშვილის ადამიანურ ღირსებათა უკიდურესი დამცირებით და ამასთანავე გამამართლებული კომენტარების გარეშე არის წარმოჩენილი, ჩემი აზრით საჭიროა ამ პრობლემის დამატებითი, საფუძვლიანი გამორკვევა და სწორად გაშუქება.

<u>მ.ჯავახიშვილს</u>, მისი ბერიას და ქობულოვის მონაწილეობით ჩატარებული დაკითხვის დროს გოგლიძის სახელზე შედგენილ, აგვისტოს პატიმრობისდროინდელ, ორჯერადი ცემით მოპოებულ, ავტოგრაფულ განცხადებაში, მისი და პ.იაშვილის შესახებ აწერინებენ: „...მე მივედი ყველაზე საიდუმლო და საშიშ აღიარებამდე... იაშვილის მიმართ უნდობლობის გამო მას მოვთხოვე დავეკავშირებინე კონსულთან, წინააღმდეგ შემთხვევაში მე თვითონ მივალ მასთან... რამდენიმე ხნის შემდეგ... დილით ჩემთან მოვიდა უცნობი, რომელმაც თავი წარმომიდგინა პოლონეთის კონსულის თანაშმწედ... მან მკითხა:

- პოეტ იაშვილს კარგად იცნობთ?... მატყუარა და ძუნწი ადამიანია ხომ მართალია?

- მე გეთანხმებით.

- მან გადმოგცათ ჩემი დახმარება?

- კი, გადმომცა – ვიცრუე, მივხვდი, რომ იაშვილმა მიითვისა რაღაცა ოდენობის თანხა.

- არ არის საჭორო შუამავლის ყოლა, ხომ მართალია?

- მე დავეთანხმე...”

ამის ქვემოთ მ.ჯავახიშვილს დააწერინეს თითქოს მას ამ უცნობმა კონსულის თანაშემწემ, შეფარებული მუქარით და ადრესატის მითითებით, ნდობის წერილი გამოსძალა კავკასიის წითელი არმიის პოლკოვნიკ ლევან გარსიაშვილისგან ჯაშუშური

ცნობების მიღების მიზნით. მ.ჯავახიშვილმა „უჩვენა", რომ ამ ჯაშუშობისათვის გამოუგზავნეს 3000 მანეთი.

ამის შემდეგ მ.ჯავახიშვილმა, ხელნაწერის მიხედვით, პ.იაშვილს მოსთხოვა პოლონეთის კონსულთან კავშირი გაეწყვიტა. რამდენიმე დღის შემდეგ ქუჩაში გარსიაშვილთან შეხვედრის დროს კი, მისი მინიშნებით გაიგო, რომ „საქმე გაკეთდა".

მ.ჯავახიშვილის ხელნაწერში აბსურდი ასე გაგრძელდა როგორც დეტექტიურ ნაწარმოებსა და ფილმებშია: „მეორედ კონსულმა (და არა თანაშემწემ – გ.ც.) დამირეკა ღამით პირველ საათზე, გამაფრთხილა, რომ მალე გამოცხადდება. ნახევარ საათში მოვიდა... შემდეგ მან მაგიდაზე დასდო... კვლავ 3000 მანეთი" და მთხოვა „საიდუმლო ქაღალდები" ან რეკომენდაცია ვინმე სახკომსაბჭოს თანამშრომელ საიდუმლო ნაწილის უფროსთან. მ.ჯავახიშვილის ხელნაწერში ვკითხულობთ: „მე კვლავ დავნებდი და მივეცი წერილი ბეგლარ ფაღავას მიმართ... მე ვცდილობდი კონსულის გამოყენებას, სინამდვილეში მისი ხელშემწყობი აღმოვჩნდი. ჩემი წყალობით მან 6000 მანეთად ორი ჯაშუში იპოვა" (მ.ხომერიკი, მიხეილ ჯავახიშვილი უნიკალური დოკუმენტების ფონზე, გვ.92-93). დავუშვათ, რომ ეს ხელნაწერი მივიღეთ არა განმეორებული ცემით მიღებულ ჩეკისტურად გამოძალულად, არამედ მ.ჯავახიშვილისეულ სიმართლედ და დავიჯერეთ, რომ პოლონეთოს კონსულის თანაშემწის და კონსულთან ჯაშუშური გარიგებისა, თუ 6000 მანეთის საფასურად მ.ჯავახიშვილმა მართლაც შეასრულა ჯაშუშობა, ან ჯაშუშობის ხელშემწყობის ფუნქცია, მაგრამ განა დასაჯერებელია, რომ პოლონეთის კონსული ბევრი ფულით, ღამით პირველი საათისთვის თავისი ფეხით ჩადის ვერის დაღმართზე და მ.ჯავახიშვილთან ბეგლარ ფაღავას ჯაშუშად გახდომის საქმეს ადვილად აგვარებს. ამასთან, პოლონეთის კონსულმა 6000 მანეთად ორი ჯაშუში როგორ იშოვა, როცა ძიებას ჯაშუშებად შერაცხული ჰყავდა გარდა პ.იაშვილისა და მ.ჯავახიშვილისა, კიდევ ორი, მათთვის ჯაშუშური ინფორმაციის მიმწოდებელი: ლ.გარსიაშვილი და ბ.ფაღავა. საყურადღებოა ისიც, რომ ძიება უზომოდ ამცირებინებს არა მარტო მ.ჯავახიშვილს, არამედ აგრეთვე, განსაკუთრებით პ.იაშვილის ადამიანურ ღირსებას. ისე გამოჰყავთ, თითქოს პ.იაშვილი

ჯაშუშობისათვის მიღებულ თანხას მ.ჯავახიშვილს უტეხავს, ეს კი, თან პ.იაშვილის სიხარბეს ადასტურებს და თანაც თანხის მწერალთა ფაშისტური ორგანიზაციისათვის გადაცემის და სამშობლოსათვის მოხმარების ნაცვლად, მას პ.იაშვილის მსგავსად თვითონ ითვისებს. განა არა ჩანს, რომ გამომძიებლები ისე მართავენ ჩვენებას, რომ თითქოს მ.ჯავახიშვილისა და პ.იაშვილის სახით საქმე აქვთ უზნეო თაღლითებთან. მაშასადამე, ჩეკისტები ოქმს მათზე, თავიანთი ღირსების მიხედვით აფორმებინებენ და ამ მამულიშვილებს თავიანთი ღირსებებისათვის დამახასიათებელი ზნეობრივი სიმდაბლით ახასიათებენ. ასეთი უნამუსობა ხომ ვნახეთ, რომ ბერიას და ჩეკას სამძებროს IV განყოფილების ჯალათების, მათი უფროსის ქობულოვის, გამომძიებლების - კრიმიანის, ხაზანის, სავიცკისა და სხვათა ხელობის გამოვლინებები იყო. ხომ ვნახეთ, რომ უფრო ადრე სხვებსაც ასევე გამოსძალეს ჯაშუშობის „აღიარებები“. ისიც ხომ ვნახეთ, რომ მწერლები და გაწამებული პატიმრები, როცა აბსურდებს აღიარებინებენ, თავს კი არ იმართლებენ, არამედ საკუთარ პიროვნებასაც სხვასთან ერთად მოიხსენიებენ. მ.ჯავახიშვილისა და პაოლოს შემთხვევაშიც იგივე მეორდება. მ.ჯავახიშვილი მართლა მხოლოდ საკუთარი აზრითა და გონებით რომ მოქმედებდეს და ყველაფერს მხოლოდ პაოლოს მიაწერდეს მაშინ მ.ხომერიკი რაღაცით მართალი იქნებოდა. მაგრამ საკუთარი თავი წარმოიდგინოს მ.ჯავახიშვილის ადგილას. ამის მერე როგორ შეიძლება მ.ჯავახიშვილსა და სხვა ღირსეულ პიროვნებათა ჩვენება-განცხაებაში შეთითხნილი სიბინძურის ავტორისეულად გასაღება და სიმართლედ მიღება. მაგრამ ეს ჯერ კიდევ ცოტაა.

უფრო ალოგიკურია მ.ჯავახიშვილისადმი მიწერილი 1937 წლის 31 აგვისტოთი დათარიღებული ნაბეჭდი „ფუტლიარი“-განცხადება, რომელსაც არ ერთვის მ.ჯავახიშვილის ხელმოწერა. აქ კიდევ უფრო მითიური ახალი ამბები წერია და ამის მიზეზიც ადვილი მისახვედრია. მ.ჯავახიშვილისეულად გასაღებულ, მის მიერ ხელმოუწერელ, ნაბეჭდ, 31 აგვისტოს განცხადებაში წერია: „პოლონეთის კონსულისგან ჩემთვის აუცილებელი ინფორმაციის მიუღებლობის გამო, მე პ.იაშვილს ვთხოვე დავეკავშირებინე გერმანიის და იტალიის კონსულებთან. იგი უკიდურესად შეცბა და

მთხოვა ეს არ მექნა. მისი ულოგიკო განმარტებებიდან მივხვდი, რომ მათთან ცუდი ურთიერთობა აქვს. მან მთხოვა გამოვსარჩლებოდი და მითხრა, რომ დაიბნა და მათ ამ დღეებში მიაწოდებს თავის გულრწფელობის მტკიცებულებას. იგი თითქმის ტიროდა (!? – გ.ც.). მე ვურჩიე ჩემთვის ყველაფერი ეთქვა, მაგრამ უარჰყო, მითხრა, რომ ეს სრულიად უსარგებლოა. რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა და მაგიდაზე დამიწყო ნაბეჭდი ქაღალდების შეკვრა, მითხრა: „დღეს შუაღამეს გერმანიის (? – გ.ც.) კონსული გელოდება. გადაეცი მას თითო ასლი ამ ქაღალდებიდან, ხოლო სხვები გადაეცი იტალიისა და პოლონეთის კონსულებს (? – გ.ც.). ერთი ან ორი დღის შემდეგ შეგახვედრებ იტალიის კონსულს, მაგრამ გევედრები მოალბე ისინი, თუ არა დავიღუპეთ ყველა. საჭიროა ისინი დაარწმუნო, რომ დღეიდან მე ვიმუშავებ მათთვის ჩვენი (ფაშიატური) ორგანიზაციის სახელით”.

მე მივხვდი: აქამდე იგი თავისი სახელით მუშაობდა და მიღებულ გასამრჯელოს ითვისებდა (!? – გ.ც.). მე ვმერყეობდი, მაგრამ გავიგე, რომ კონსულებთან კავშირი ადრე თუ გვიან ჯაშუშობამდე მიგვიყვანს (? – გ.ც.). თვალი გადავავლე დოკუმენტებს... პირველი ეხებოდა ამიერკავკასიის რკინიგზის სამხედრო გადაზიდვის გეგმას, მეორეში კი ჩამოთვლილი იყო სასაზღვრო პიკეტები, სასაზღვრო ჯარების შემადგენლობა, ამიერკავკასიის ყველა ჯარებისა, მათი მეთაურების შემადგენლობა და ა.შ.” (საქმე №9997, ფურც.50-54).

როგორც ადრე ვნახეთ 21 აგვისტოს მეორე, ორჯერადი ცემით გამოძალული ხელნაწერ განცხადებაში, მ.ჯავახიშვილი არ აპროტესტებდა და არ გამორიცხავდა ამ აბსურდებს, ახლა უკვე კვლავ „აღიარებს” აბსურდულსა და დაუჯერებელ კონტაქტებს პოლონელებთან, ახლა კი, პოლონეთის კონსულთან ერთად „აღიარებაში” შემოჰყავთ გერმანიის და იტალიის კონსულები. თანაც მ.ჯავახიშვილი, რომელმაც 21 აგვისტოს დაკითხვის დროს ავტოგრაფით აღიარა ჯაშუშობა, ახლა რამდენიმე დღის მერე თითქმის იმავე დამამცირებელ ჩეკისტურ სტილში სრულად ახალად ისე იხსნება, თითქოს აქამდე მსგავსი არაფერი უჩვენებია. იგი ახლა „აღიარებს: „გავიგე, რომ კონსულებთან კავშირი ადრე თუ გვიან ჯაშუშობამდე მიგვიყვანდა”-ო და სხვ (მ.ხომერიკი, დასახელებული

პასკვილი, გვ.103).ეს ხომ „მან“ ადრე გაიცნობიერა, მაგრამ ძიებამ ამის ლოგიკური განვითარების ნაცვლად, იგი სიახლესავით შემოიტანა.

როგორც ცნობილია დაკითხვის ოქმების ჩეკისტური კონცეფცია და ფაქტოლოგია არა მარტო ბრალდებულის წამებითა და ცემით იქმნებოდა, არამედ ძიებას პრაქტიკაში ჰქონდა წამებით მოპოებული „აღიარება”-„ჩვენების” იმპროვიზაციის თავისებური წესი. მაგრამ გამომძიებლებს იმდენად ბევრი თავსაყრელი საქმე ჰქონდათ, რომ, როგორც ვხედავთ, ვეღარ ახერხებენ „აღიარებათა“ ლოგიკური შესაბამისობის დაცვას. ამის მსგავს მიზეზთა შესახებ 1955 წლის 7 ივნისის დაკითხვის დროს უჩვენა ჩეკას ყოფილმა რწმუნებულმა, სვიმონიშვილმა. მისი ჩვენების მიხედვით: „პატიმართა წინასწარი სატიკი დამუშავების შემდეგ, როცა პატიმარი ვეღარ უძლებდა და იწყებდა ჩვენების მიცემას, გამომძიებელი ფურცელზე ჩანაწერს აკეთებდა. ამის შემდეგ ეს ჩანაწერი, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ - „ფუტლიარი” გადაეცემოდა ქობულოვის მდივანს, მილოვას. „ფუტლიარი” იქ მუშავდებოდა და სამი-ოთხი დღის შემდეგ პატიმარს წარუდგენდნენ დაბეჭდილ ოქმს ხელის მოსაწერად. ხელმოწერის შემდეგ დაკითხვის ოქმი იწოდებოდა დედნად” (საქმე №12636, ფურც.230). ამჯერად ეს მეთოდიც კი, გამორიცხეს.

როგორც ადრე ვნახეთ, მ.ჯავახიშვილის მიმართ, ბერიას და ქობულოვის მიერ დაკითხვის დროს, ის გამონაკლისი გამოიყენეს, რომ მეტი დამაჯერებლობის მიზნით, ბრალდებულს ხელნაწერი „განმარტებები“ და განცხადება შეაქმნევინეს, მისი საყრდენი ჩვენებები კი გააქრეს. სავარაუდოა, რომ ქობულოვის განყოფილების მიერ შექმნილი მ.ჯავახიშვილის „ფუტლიარის“ გამოყენებით შეთითხნილი ნაწერი მ.ჯავახიშვილს საკუთარი ხელით გადააწერინეს. ამის შემდეგ კი, 31 აგვისტოს, როგორც ვხედავთ, მისი ხელმოწერისათვის აღარ იზრუნეს, მის საქმეს ახლა უკვე გამომძიებლებმა და არა სამძებროს ტვინებმა, უშუალოდ მისივე „განმარტებების“ საფუძველზე შეთითხნილი იმპროვიზირებული ვარიანტი მიუსადაგეს. უთუოდ ამიტომ ირღვევა ლოგიკურობა მ.ჯავახიშვილისეულად გასაღებულ განცხადებაში. ამ ახალ 31 აგვისტოს განცხადება-ფუტლიარში ახალი მხილებები შეიტანეს,

გერმანიის კონსულთან მიყვანილ მ.ჯავახიშვილს, პაოლოს დანაპირების მიხედვით, ერთი-ორი დღის ხანდაზმულობის ნაცვლად, იტალიის კონსულიც იქვე გერმანიის საკონსულოში შეახვედრეს... პოლონეთის კონსულისათვის მისაცემი ჯაშუშური დოკუმენტების გადაცემის ლოგიკური თხრობის საჭიროება კი, მიივიწყეს. მთავარია, რომ ამ აბსურდულ „ფუტლიარში“ ჩადებული საფუძველი -ფაქტი, ანუ საჭირო ამონარიდი, „საბრალმდებო დასკვნაში“ შეიტანეს. ამის შემდგომ კი, 19 სექტემბერს „დადგენილება” და „საბრალდებო დასკვნა” შეუდგინეს, რომელშიც 21 და 31 აგვისტოთი დათარიღებული „აღიარება-ჩვენებების“ ამონარიდების გამოყენებით მომაკვდინებელი მუხლები და ბრალეულობები მოუხლაფორთეს, მაგრამ ესეც არ აკმარეს. როგორც რუდენკოს მიერ 50-იან წლებში შედგენილი დასკვნა მოწმობს, მ.ჯავახიშვილს „საბრალდებო დასკვნაც” არ გააცნეს” (საქმე №9997, ფურც. ...) ახლა იგი კვლავ ბეგლარ ფაღავას და სხვათა წინააღმდეგ გამოიყენეს და 20 სექტემბერს უკვე, კვლავ ახალი მხილებები შეუთითხნეს, თუ შეათითხნინეს.

მაგრამ მ.ჯავახიშვილისეულად გასაღებულ 20 სექტემბრის ჩვენებაში, რომელიც ხელმოწერილია გ.ნაცვლიშვილის მიერ (იხ. მ.ხომერიკი, მიხეილ ჯავახიშვილი უნიკალური დოკუმენტების ფონზე, გვ.108), გამომძიებლებმა კიდევ უფრო მეტი ალოგიკურობა და აბსურდი დაუშვეს. ამ განცხადებაში ვკითხულობთ, რომ მ.ჯავახიშვილს გამომძიებელ ლ.აბაშიძისთვის ბერიას და ქობულოვის წინაშე ორჯერადი ცემით მიცემული „განმარტებების“ და 31 აგვისტოს „ფუტლიარის“ შეთითხვნის დიდი ხნის მერე, ანუ საკუთარი ხელით დაწერილი აღიარების ერთი თვის შემდეგ („наднях”), გამომძიებელ ლ.აბაშიძისთვის სიტყვიერად განუცხადებია: „უარს ვამბობ ჩემს ადრინდელ ჩვენებაზე”, მაგრამ გააზრების მერე იმ რწმენამდე მისულა, რომ „სიმართლე განიარაღების ყველაზე საუკეთესო საშუალებად” მიუჩნევია. ამიტომ განუცხადებია გადავწყვიტე ამ სულისკვეთებით გავაგრძელო ჩვენებების მოცემაო. თითქოს მ.ჯავახიშვილმა დასძინა: „მე ვნანობ, რომ ვცდილობდი ძიების დაბნევას და გამართლების შესაძლებლობას ვერ ვნახულობო” (მ.ხომერიკი, მიხეილ ჯავახიშვილის უნიკალური

დოკუმენტების ფონზე, გვ.107). სინამდვილეში აქედან ჩანს, რომ მ.ჯავახიშვილს თავისი ძველი ჩვენებების გამო მართლაც სხვათა გასაგონად 20 სექტემბრის წინა დღეებში გამოუთქვამს პროტესტი. სხვა შემთხვევაში უკვე განიარაღებულის, ხელმეორედ განიარაღების დაფიქსირება გამომძიებელ მ.ნაცვლიშვილის თუ სხვის მიერ, ჩემი აზრით, ახლა უკვე საქვეყნოდ გამჟღავნებულ სადისტ გამომძიებელს, ნიკიტა კრიმიანის მიერ, საჭირო არ გახდებოდა. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოდ მესახება ქართველ რეპრესირებულთა ისტორიის ცნობილი მკვლევარის, ბატონ რევაზ კვერენჩხილაძის 2014 წელს გამოქვეყნებულ წიგნში („წამების გზა“, წიგნი I, გვ.365), სუხომლინოვის მოგონებაზე დაყრდნობით, მოხმობილი, მოწმე ხეჩუმოვის ასეთი ჩვენება: „მე მეხსიერებაში შემომრჩა ორი შემთხვევა, როცა კრიმიანმა თითქმის სიკვდილამდე სცემა ორ პატიმარს, რომელთაგან ერთი იყო მწერალი ჯავახიშვილი“. როგორც დავადგინე მ.ჯავახიშვილის ძიებაში ეს სისასტიკით გამორჩეული ჯალათი ადრე მონაწილეობას არ ღებულობდა. ეს საქმე ლ.აბაშიძეს ევალა. მან კი, დიდ მწერალს ცემა ვერ აკადრა, ვიდრე დაკითხვაში ბერიამ და მისმა უშუალო უფროსმა ბ.ქობულოვმა არ მიიღეს მონაწილეობა და სანამ ბერიამ არ მოითხოვა მ.ჯავახიშვილის ცემა. კრიმიანს კი, შეიძლებოდა მ.ჯავახიშვილის ცემაში მონაწილეობა მიეღო მის შემდეგ, როცა მისი ძიების ინტერესებით გამოიკვეთა, უკვე დასახვრეტად განწირულის და მითუმეტეს საბოლოო ბრალდების გაცნობის გარეშე დატოვებულის გამოყენება მის სამძებრო კომპეტენციაში შემავალ პოლკოვნიკ ლ.გარსიაშვილის, ბ.ფაღავას, ტ.ტაბიძისა და სხვათა მიმართ. ამის დამაჯერებლობის ფაქტს გვაწვდის ბ.ფაღავას ქალიშვილის მონათხრობი, რომლის შემდეგ საუბარი მომდევნო თავში გვექნება და კიდეც დავრწმუნდებით, რომ მ.ჯავახიშვილი აწამეს მას შემდეგ, რაც მოუხლაფორთეს სასჯელის უმაღლესი კვალიფიკაციით გათვალისწინებული მუხლები და მომაკვდინებელი დადგენილება. როგორც ჩანს, ახლა ეს მისი სიკვდილამდე მიმყვანი არის ჯალათი კრიმიანი. მას მ.ჯავახიშვილის ცემა იმისთვის უნდა დასჭირვებოდა, რომ იგი სხვა მისთვის დავალებულთა, მათ შორის ტ.ტაბიძის

მამხილებელს ეძებს. მ.ჯავახიშვილის პროტესტიც ამას უნდა უკავშირდებოდეს, მაგრამ „ძალა აღმართსა ხნავს“.

ზემოთ დაწერილი, ვითომ მ.ჯავახიშვილის ხელახალი განიარაღებისა და „გულრწფელი“ აღიარების შემდეგ, იმავე განცხადებაში ვკითხულობთ: იმ ახალი „აღიარებების” შესახებ, რომელიც ჩეკას ძიებისათვის საჭირო დამატებითი პიროვნებების მოსპობისთვის საჭირო მამხილებელ ჩვენებებს შეიცავს. მაგრამ აქედან ახლა ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოდ გვევლინება მ.ჯავახიშვილის მიერ საკუთარი და პ.იაშვილის ჯაშუშობის ამსახველი შემდეგი დამატებითი აბსურდული, სინამდვილეში გამომძიებლისეული ჩვენებები:

მ.ჯავახიშვილისეულად გასაღებულ 20 სექტემბრის ჩვენებაში წერია: „გერმანიის კონსულთან მე კიდევ ერთხელ ვიყავი”... აქ მეტი სიზუსტისათვის მითითებული აქვს მისვლის დრო დაგერმანიის საკონსულოს ადგილმდებარეობა. მ.ჯავახიშვილი განაგრძობს: საკონსულოში „შევედი... ორი-სამი ოთახის გავლის მერე მიმიყვანეს მის კაბინეტში”. ამას მოსდევს კაბინეტის ორი ფანჯარისა და კედელზე ჰიტლერის პორტრეტის არსებობის „გახსენება“. შემდეგ კი, კვლავ დამატებითი აბსურდული ჩვენება გრძელდება: „მეორედ მე კვლავ სამხედრო ცნობები მივუტანე, რომლებიც გარსიშვილმა მწერალთა კავშირში გადმომცა... არ წამიკითხავს, მაგრამ სწრაფად გადავათვალიერე, როგორც გავიგე ეს იყო სამობილიზაციო გეგმები და ცნობები სანაპირო სიმაგრეების შესახებ. მე ვიჩქარე მათი კონსულისთვის საღამოს გადაცემა...

მე კიდევ ერთხელ მთელი გულრწფელობით ვიმეორებ... მე დამავიწყდა დამემატებინა, რომ გარსიაშვილისგან მასალების მიღებამდე რამდენიმე დღით ადრე ბეგლარ ფაღავა თავის მხრივ შემპირდა რაღაც მასალებს. კავშირიდან დავრეკე და მან მიპასუხა „მზად არის”. მაშინ მე მასთან სასახლეში მივედი (?! – გ.ც.) და მან გადმომცა ეკონომიკური ხასითის ქაღალდების შეკვრა. ეს ქაღალდები სამხედრო ცნობებთან ერთად მე გადავეცი გერმანიის კონსულს“. ამ ე.წ. აღიარება-ჩვენებებიდან კარგად ჩანს, რომ ჩეკას ძიება მისთვის დამახასიათებელი და შეიარაღებაზე მქონე მეთოდით მოქმედებს და მ.ჯავახიშილის გამოყენებით, კერძოდ „მისი“ ახალ-

ახალი „აღიარებების“ თავმოყრით, ახალ უბედურებებს ამზადებს. ამჯერად მიზანში ამოღებულნი არიან კვლავ პოლკოვნიკი ლ.გასრიშვილი, რომელიც ჯერ კიდევ დ.წერეთლის „ჩვენებაშია” დასახელებული ქართველ მეამბოხე სამხედრო მაღალჩინოსანთა შორის და 14 აგვისტოდან იმყოფება პატიმრობაში, აგრეთვე ბეგლარ ფაღავა, რომელიც ანტისაბჭოთა ბრძოლის ბრალდებით დაპატიმრებული იყო 1923 წელს, ამასთანავე ისე როგორც მრავალი მათი მეგობარი და მათთან დაახლოებული პიროვნება, მხილებულნი არიან, როგორც ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ-არალეგალური გაერთიანებების წევრები, მაგრამ დახვრეტას აქამდე ჩამორჩნენ. ისინი ამიტომ სამხელად ახლა კრიმიანის მიერ გატეხილსა და დამორჩილებულ მ.ჯავახიშვილს მიაწერს და ცემით კრიმიანსვე გადააფარინეს.

მსგავსი მიზანდასახულობა ჩანს 20 სექტემბრის „ჩვენების” მომდევნო ნაწილშიც. ამ ნაწილში მ.ჯავახიშვილი ასახელებს ფაშისტურ ორგანიზაციაში მის მიერ „გადაბირებულებს“, მათ შორის კ.გამსახურდიას, კონ. ჭიჭინაძეს და სხვებს, აგრეთვე ადრე დასახელებულებს, რომლებიც „თანაგვიგრძნობდნენ” ან „სხვათა მიერ იყვნენ გადაბირებულიო”. მათ შორის დასახელებულნი არიან ევსეი ბარამიძე, არისტო ჭუმბაძე, შალვა ქართველიშვილი, ალექსანდრე მაისურაძე, ტიციან ტაბიძე. „რაც შეეხება ტ.ტაბიძეს იგი მოიხსენია (ანუ ახსენებინეს – გ.ც.) პ.იაშვილის სიტყვების მიხედვით”... როგორც ხედავთ პაოლოს ყველაზე უახლოესი მეგობრის, ტიციანის „ჩაშვება”, ისევ პ.იაშვილთან არის დაკავშირებული. აი რატომ იყო, რომ მწერალთა პარტიული ორგანიზაციის ბიუროს 1937 წლის 2 ოქტომბრის სხდომაზე ტ.ტაბიძისგან პ.იაშვილის მხილებას ძალუმად მოითხოვდნენ. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ერთი მიზნით მუშაობენ კომუნისტები და ჩეკა, ჩეკა და კომუნისტები და ბოლოს, ისევ ისე, კომუნისტები და ჩეკა...ადვილი მისახვედრია, რომ ესეც არ არის შემთხვევითი. ჩეკას ძიება შესაძლებლობას ეძებს, რომ პ.იაშვილი რაც შეიძლება მეტად გააშავოს, მ.ჯავახიშვილის „ჩვენებით“ პ.იაშვილი ტ.ტაბიძესაც დაადანაშაულებინოს, მერე პარტიულ ბიუროს მეშვეობით

აღიარებინოს, ბოლოს კი, დახვრეტის ბრალდება შეუთითხნოს და ამით ბერიას ასიამოვნოს.

შემდეგი „აღიარებები" ეხება რაჭველიშვილსა და ს.დადიანს. თითქოს მათ ისაუბრეს მომდგარი „დიდი ამბების, ძალთა გაერთიანების", „ფედერალისტების მხრივ მუშაობის განახლებისა" და მომავალი შეიარაღებული აჯანყების მზადების შესახებ. აქ ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ჩეკას სამძებროს „მიგნებების" მიხედვით, მ.ჯავახიშვილი, როგორც ფაშისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელი და ფედერალისტების დასახელებული ლიდერები, იმ საერთო აზრამდე მიდიან, რომ გააძლიერებენ მუშაობას და თანხმდებიან მომავალი შეიარაღებული აჯანყებისთვის ძალთა გაერთიანების აუცილებლობაზე.

აქედან კარგად ჩანს, რომ ძიებას უკვე მოსპობილი და მოსასპობად მიჩნეულის გარდა, ტ.ტაბიძისა და ზოგი ფედერალისტისთვის მტკიცებულობათა დამატებითი გამაგრება დაუსახავს მიზნად და ამისათვის დასახვრეტად უკვე განწირული მ.ჯავახიშვილისთვის მიწერილი „გულრწფელი" და დამატებითი, „ახლად გახსენებული" ფაქტები წამოუწევია. ამასთანავე ისიც გასათვალისწინებელია, რომ ისე, როგორც მ.ჯავახიშვილისეულად გასაღებულ სხვა ჩეკისტურ პროდუქციაში, ამ ჩვენებაშიც მოხსენიებული არიან პიროვნებები, რომლებიც საერთო ჩეკისტური ძიების ლოგიკის მიხედვით, სხვათა ჩვენებებით ადრე დასახელებულთა შორის არიან, მაგრამ არამც თუ არ დაუპატიმრებიათ, არამედ არც სხვა ჩეკისტური ზემოქმედებით შეუწუხებიათ. სავარაუდოა, რომ ესენი ბერიას და ჩეკას ძიებას მიზეზთა გამო, გამორჩათ, ან მოსასპობად თუ გასაუბედურებლად აღარ დასჭირდათ.

მ.ჯავახიშვილის 21, 31 აგვისტოს და 20 სექტემბრის ჩვენებებში ჩამოთვლილ ჩეკისტურად გასაწირთა შესახებ, ცნობების გამომზიურება უთუოდ გვარწმუნებს, რომ მ.ჯავახიშვილი ჩეკას მიზანდასახულობაში მხოლოდ განტევების ვაცია. ეს შემდგომი კვლევის და მომავალი თავის დამატებითი გაშუქების, ამოცანაა. წინამდებარე ნაშრომის მომდევნო გვერდებით შესაძლებლობა მაქვს ბ.ფაღავს და ქართველი მხედრების, მათ შორის პოლკოვნიკ

ლ.გარსიშვილისა და ლ.ქორქაშვილის ბედისწერის მაგალითზე დამატებით გიჩვენოთ, რომ ის რასაც მ.ხომერიკი მ.ჯავახიშვილს აბრალებს, სინამდვილეში ჩეკას შემოქმედებაა და გამორიცხული არ არის, რომ აქედან ბევრი ამბავი, თვით მ.ჯავახიშვილისთვისაც კი, უთქმელად, ძიების მიერ შეითითხნა და გაფორმდა.

ჩემი აზრით, ზემოთ ასახული, დაუჯერებელი ამბები მისი, პ.იაშვილის, და აგრეთვე, სხვათა შესახებ უფრო იმით აიხსნება, რომ მ. ჯავახიშვილისა და მისი ფაშისტური „ცენტრის“ ჩეკისტური „მხილებები“ მომავალში (1938წ.), „უტყუარ საფუძვლად“ უნდა დასდებოდა ჩეკისტურ ესტაფეტას. კერძოდ 1937 წლის ჩეკისტური ძიებით მოპოვებულზე დაყრდნობით, მეცნიერ-პედაგოგთა და სხვა „ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ, დივერსიულ-ტერორისტულ 121 კაცისგან შემდგარი, იმ ფაშისტური ორგანიზაციის წევრების შემდგომ გამოვლენა-განადგურებას, რომელსაც ცალკეული წარმომადგენლობის სახით, ჩეკას ძიება „ფაშისტურ ცენტრთან” აკავშირებდა და 1938 წელს საბოლოოდ კიდეც შეაკოწიწა. მის იდეურ და პრაქტიკულ მეთაურად გამოცხადებული იქნა ივანე ჯავახიშვილი. როგორც მე გამოვავლინე, ჩეკას სამძებროს მიერ შეთითხნილ – შეკოწიწებული ეს ფაშისტური ორგანიზაცია ძირითადად 1937 წლის ჩეკისტური მონაპოვრებით ჩაისახა, ხოლო 1938 წელს კიდეც ისე „დადასტურდა“, რომ ვითომ იგი უნივერსიტეტთან და ივ.ჯავახიშვილთან იყო თავმოყრილი.

შემთხვევითი არ იყო, რომ ივანე ჯავახიშვილის და ვითომ მისი ფაშისტური ორგანიზაციის წევრების „მამხილებელთა“ შორის დასახელებული იყვნენ იგივე მ.ჯავახიშვილის „ფაშისტური“ ჯგუფის „მამხილებლები“: ლ.გასვიანი, ნ.მიწიშვილი, დ.წერეთელი, ა.ახვლედიანი და სხვ. ამასთანავე, მ.ჯავახიშვილის „ფაშისტური“ ჯგუფის ჩეკისტურად დასაბუთებულები: თვითონ მ.ჯავახიშვილი, შ.ნუცუბიძე, ტ.ტაბიძე, დ.წერეთელი, ნ.მიწიშვილი და სხვ. ისინი ნიკოლოზ ელიავას 1937 წლის 10-12 ივნისის დაკითხვის ოქმში „აღიარებული” ჩვენების მიხედვით, „გამჟღავნებული“ არიან ასე: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფაშისტების ხელმძღვანელთა სახით „ქართულმა ნაციონალურმა ცენტრმა” გამოყო: 1) ნუცუბიძე შალვა; 2) ჯავახიშვილი ივანე; 3) (მისი ძმა –

გ.ც.) ჯავახიშვილი (გიორგი – გ.ც.) – პროფესორი ბუნებათმცოდნე; 4) წერეთელი გრიგოლი – ისტორიკოსი, ფილოლოგი და მთელი რიგი პირები, რომლებიც ახლა არ მახსოვს". გასათვალისწინებელია, რომ ნ.ელიავასგან „აღიარებები" მოიპოვა ცნობილმა ფალსიფიკატორმა გამომძიებელმა – ვინერმა (საქმე №621963, ტ.1, ფურც. 340-342; №12363).

ვისაც მეხსიერება არ ღალატობს, მისთვის ადვილი გასახსენებელი, დასანახი და მისახვედრია, რომ ყველა სხვა გამომძიებელი, სინამდვილეში, ამ ვინერის გამეორება და ბერიას ჩეკისტურ მიზანდასახულობათა ხორცშემსხმელია. როგორც ცნობილია პიროვნებათა პოლიტიკურ მრწამსს ბერია საზღვრავდა და არა მხოლოდ მათი იურიდიული ძალის მქონე ჩვენებებით, არამედ აგრეთვე, მათი მოსალოდნელი ქმედებების მისეული პერსპექტიული ჭვრეტით ადგენდა. იგი 1928 წელს ჯერ კიდევ საქართველოს ჩეკას უფროსის თანამდებობაზე ყოფნის დროს აფრთხილებდა იმდროინდელ საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივან ლ.ღოღობერიძეს: „მიუხედავად ჩეკას მიერ გატარებული ღონისძიებებისა უნივერსიტეტის სტუდენტთა კარგა ნახევარი მიჰყვება ნაციონალურად განწყობილ პროფესორ ჯავახიშვილს" და ამავე დროს აფრთხილებდა, რომ სტუდენტობაში ივ.ჯავახიშვილის პოპულიარობას ხელისუფლებისათვის საშიში გამოვლინება შეიძლება მოჰყოლოდა მოსალოდნელი პოლიტიკური გართულებების შემთხვევაში (ეს ვ.გურულის მონაპოვარია, იხ. გაზ. СвободнаяГрузия, 1998, 17 თებერვალი).

პერსპექტივაში, ბოლშევიზმის მიმართ მოსალოდნელი საშიშროებით განიხილებოდა „ხალხის მტრებისა" და მათი თანამოაზრეების წარსული გამონათქვამები და ქმედებები. მაგალითად: დანაშაულებრივად ფასდებოდა მ.ჯავახიშვილის ნათქვამი „ჩვენს პირობებში მწერლობაც პოლიტიკაა" და მისი შემოქმედება; ნ.მიწიშვილს მტრობად ჩაეთვალა საჯარო განცხადება 1937 წლის 5 მაისის სხდომაზე, იმის შესახებ, რომ მწერლობის მიმართ 1931 წელს გატარდა „მორალური ტერორი", „წამება", „ტრიალებდა დუბინა", ახლა კი „ბერიას პირადი თაოსნობით იქმნებოდა და იწერებოდა" ლიტერატურული ნაწარმოებები, რომ

ხელმძღვანელობა დაინტერესებული იყო მწერლების ურთიერთ დაპირისპირებით და სხვ. (ლხცსა, ფ.8, აღ.1, ს.592, ფურც.35-36, 46) ეს იყო საქვეყნოდ გამოთქმული სიმართლე, რომელიც ბერიას და მის გარემოცვას თვალებსა სთხრიდა. ტ.ტაბიძეს უამრავ აპოლიტიკურ გამოვლინება გააჩნდა. მარტო ისიც საკმარისი იყო, რომ კომპარტიის მონოპოლიური უფლების საწინააღმდეგოდ ასხივებდა მისი აზრი: „ერის სული მწერლობაში ლაპარაკობს, სხვა არავის აქვს ერის სახელით ლაპარაკის უფლება და თუ ვინმეს საქართველოს მოკვლა სურს, ჯერ მწერალს უნდა ესროლოს“ (ნ.ხურცილავა, ინტერვიუ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილთან, „ახალი თაობა“, 2005, 28 ნოემბერი). სინამდვილეში მწერლებს მართლაც დიდი უბედურობები დაატეხეს. პარტიულ-პოლიტიკური და ჩეკისტურ-პერსპექტიული ჭვრეტის თვალსაზრისითაც დასახელებული პიროვნებების არსებობა რეჟიმის მიმართ საშიშროებას ქმნიდა. ამიტომაც მათ და თანამოაზრეთა მიმართ ჩეკისტური ბრალდებებიც ჭარბად ითითხნებოდა.

ივანე ჯავახიშვილის ფაშისტურ-კონტრრევოლუციური ჯგუფის წევრებს შორის ჩამოთვლილი არიან „მ.ჯავახიშვილის ფაშისტური ჯგუფის“ ცოცხლად გადარჩენილი წევრები: შ.ნუცუბიძე, ალ.აბაშელი, კ.გამსახურდია, გ.ქიქოძე, გ.ლეონიძე, კ.ჭიჭინაძე, პ.ინგოროყვა, ლ.ქიაჩელი, ი.მოსაშვილი, ს.დანელია, დ.კობიაშვილი, ლ.გარსიაშვილი, შ.მესხიშვილი, ფ.გოგიჩაიშვილი, ი.გრიშაშვილი, კ.ჭიჭინაძე და სხვა 121 კაცი, მათ შორის ნახსენებია აგრეთვე, პოლკოვნიკი ლევან გარსიაშვილი.

საქართველოს შინსახკომის სამძებროს მასალებს შორის გამოვავლინე 1938 წლის სექტემბრის საყურადღებო დოკუმენტი, რომელიც ჩემი აზრის საგნობრივად დასაბუთების შესაძლებლობს გვაძლევს:

„НАРОДНЫЙ КОМИССАРИАТ ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГРУЗИНСКОЙ ССР

(4-Й ОТДЕЛ УГБ)

Сов.скретно.

НАРОДНОМУ КОМИССАРУ ВНУТРЕННИХ ДЕЛ СОЮЗА ССР

ГЕНЕРАЛЬНОМУ КОМИССАРУ ГОСУДАРСТВЕННОЙ БЕЗОПАСНОСТИ

тов.Н.И.ЕЖОВУ.

ЗАМ НАРКОМВНУДЕЛ СОЮЗА ССР

КОМИССАРУ ГОСУДАРСТВЕННОЙ БЕЗОПАСНОСТИ I РАНГА

тов.Л.П.БЕРИЯ.

ДОКЛАДНАЯ ЗАПИСКА

О к-р фашистской
организации

Еше в процессе следствия по делу к-р троцкиского террористического центра Грузии, бил получен ряд материалов о сушествовании к-р фашистского формирования, сосредоточившего основую свою антисоветскую работу в Тбилисском Государственном Университете.

Показаниями руководителей троцкистского подполия в Грузии – Буду МДИВАНИ, Малакия ТОРОШЕЛИДЗЕ, Семена ЧИХЛАДЗЕ, Лидии ГАСВИАНИ и др. Установлено что это к-р фашистцкая организация ставило своей зодачей, в блоке с другими антисоветскими формированиями, добиться свержения Советской власти, с образованием „самостоятельного" Грузинского государства, под протекторатом фашистской Германии.

Аналогическые показания дали также ряд орестованныхранее НКВД ГССР членов этой к-р организации (ЦЕРЕТЕЛИ Давид, МИЦИШВИЛИ Никола и др.).

На основании этих данных и целого ряд других материалов, были арестованы руководяшие участники к-р организации професора: НУЦУБИДЗЕ Шалва, в прошлом член партии сов.федералистов,АБАКЕЛИЯ Иосиф – б.эсер и др.,которые дали, в процессе следствия, развернутые показания о целях и задачах, составе и практической антисоветской работе к-р фашистской организации в Грузии.

Показаниями этих лиц устанавливается, что к-р организация сформировалась в Тбилиском Государственном Университете с первых же дней установления Советской власти в Грузии. Участниками ее являлись националистически настроенная Грузинская интеллигенция, враждебно воспринявшая Советский строй.

Идеологом и руководителем к-р фашистской организации, на протяжении всей ее антисоветской деятельности являлся профессор Тбилиского Госунта Иван ДЖАВАХИШВИЛИ, сколотивший вокруг себя наиболее реакционно настроенную

националистическую часть грузинской интеллигенции…“ (საქ. სახ. უშიშროების არქივი №31221, ტ. 4, ფ. 1-2).

მაშასადამე ქართველი ე.წ. ფაშისტებისა და იგივე ფაშისტ-მწერლების ჩეკისტური ხაზი და მისი ხელმძღვანელების, მათ შორის მ.ჯავახიშვილისა და პ.იაშვილის ბრალეულობების შესახებ შეთითხნილი ჩეკისტური ვერსია, ბ.ქობულოვის განყოფილების მიერ კოწიწდებოდა არა მხოლოდ შ.ნუცუბიძის, ზ.ნანეიშვილის და აბაკელიასადმი მიწერილი აღიარებებით, არამედ მრავალ სხვებისა და გაცილებით ადრე გამოვლენილთა მიერ, თანაც ეს კონვეირის მსგავსი, გამოძალული და შეთითხნილ-მოპოებული ესტაფეტურ-ჩეკისტური „მტკიცებულობები“, მოდიოდა მოსკოვიდან-ეჟოვ-ზინოკიევ-კამენევ-პიატაკოვიდან და ვითარდებოდა ბერიას მითითებით ბ.მდივანის, გასვიანის და სხვათაგან გამოძალული, 1937 წლის იანვრის შემდგომი „ჩვენებებით“. იგი სულ უფრო მრავლდებოდა და ძლიერდებოდა მთელი 1937 წლის განმავლობაში. როდესღაც უნდა გამოკვეთილიყო ამ ვერსიის დამაგვირგვინებელი ერთპიროვნული ხელმძღვანელი და მთელი შემადგენლობა. ამასთანავე ეს მიზანდასახულობა სავსებით შეესაბამებოდა საქართველოს უზენაესი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის მიერ მემარჯვენე პროფესურისა და ივანე ჯავახიშვილის მიმართ დასახულ პოლიტიკას. და აი, ბოლოს ბერიას ხელმძღვანელობით წარმოებულმა ბ.ქობულოვის ჩეკისტურმა ძიებამ 1937 წელს კიდეც „აღმოაჩინა” ჯერ მწერლებში ჩამალული ფაშისტები მ.ჯავახიშვილის მეთაურობით, მერე 1938 წელს თანდათან „მოძებნა“ უნივერსიტეტში დაჯგუფებული ფაშისტური ორგანიზაციაც და მისი სულიერი და ორგანიზაციული საქმიანობის ლიდერიც, რომლებიც ვითომ დაკავშირებული იყვნენ საერთო ქართული ნაციონალური ცენტრის ლიდერებთან. ადრე, ასეთი „მთავარი მიმართულების” ჩვენებების მიმცემად, როგორც ჩანს, შეიძლებოდა გაესაღებინათ სხვა და პაოლო იაშვილიც, მაგრამ მისი თვითმკველობის შემდეგ მიზნობრივად წამოსწიეს მიხეილ ჯავახიშვილის პიროვნება. ამიტომ, ამ ორის დანაშაულობათა შეთითხნისთვის განსაკუთრებით იზრუნეს. მ.ჯავახიშვილის მოსპობის შემდეგ ქართველი ფაშისტების ხელმძღვანელის ჩეკისტური ესტაფეტა, ჩეკისტური სამძებროს ტვინებმა გადასცეს ივანე

ჯავახიშვილს. ამის შესახებ მოპოებული ცნობების გამოქვეყნება გათვალისწინებული მაქვს ჩემს მიერ გამოსაქვეყნებლად გათვალისწინებულ ერთ-ერთ მომდევნო წიგნში, რომელიც აშუქებს „ივანე ჯავახიშვილისა და მისი „გვერდის დამამშვენებელი, საუკეთესო სულისკვეთების მუშაკი“ უნივერსიტეტელი მეცნიერ-პედაგოგების სახელმწიფოებრივ-ჩეკისტური დევნის საზარელ ისტორიას. მანამდე შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი ჩეკისტური წერილი, რომელიც საქართველოს შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მონაპოვართა საფუძველზე, 1938 წელს მომზადდა, და რესპუბლიკის შინსახკომის უფროსის მოადგილის, ზოდელავას ხელმოწერით, სსრ კავშირის შინსახკომის უზენაეს ხელმძღვანელობას გადაეგზავნა, მოითხოვდა: „სანქცირებული ჰყავით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის <u>ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილის დაპატიმრება</u>“... ამის გარდა, წერილში მოთხოვნილია: „გთხოვთ დააჩქაროთ საკითხის გადაწყვეტა ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ ფაშისტური ორგანიზაციის იმ აქტიური მონაწილეების მიმართ, რომელთა დაპატიმრების სანქცია გთხოვეთ ჩვენი 1938 წლის 1 ოქტომბრის №47298 მოხსენებით (იქვე, ფურც. 77-78). არა და, ამ ე.წ. „ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ-ფაშისტური ორგანიზაციის აქტიური მონაწილეების“ სახით ჩამოთვლილია 121 პიროვნება. მათ შორის ლიდერი-პროფესორი ივ.ჯავახიშვილი - „საქართველოს ფაშისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელი“; უნივერსიტეტის პროფესორები: გ.ჩუბინაშვილი, გ.ახვლედიანი, ალ.ალადაშვილი, ლ.ანდრონიკაშვილი, მ.გოგიბერიძე, გ.გეხტმანი, ფ.გოგიჩაიშვილი, გ.ჯავახიშვილი, მ.ზანდუკელი, კ.კეკელიძე, ს.ყაუხჩიშვილი, კ.მოდებაძე, ლ.მუსხელიშვილი, დ.უზნაძე, აკ.შანიძე; მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილე, ნ.მუსხელიშვილი; მწერლები: კ.გამსახურდია, პ.ინგოროყვა, ლ.ქიაჩელი და საქართველოს მეცნიერების, კულტურის, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები, რომლებიც თითქოს თავმოყრილი იყვნენ უნივერსიტეტთან არსებულ ფაშისტურ ორგანიზაციაში და რომლებიც თითქოს მხილებული იყვნენ დაკითხული პატიმრების ჩვენებებით (იქვე, ფურც. 2-24).

ყოველივე ეს ზემოთ აღწერილი და სათანადო წყაროებით გადმოცემული ამბავი, როგორც ვნახეთ, არის დიდი ტერორის დროს სახელმწიფოებრივ-ჩეკისტური დაკვეთით ნასაზრდოები შემოქმედების შედეგი, მაგრამ არა გაწამებულ-გაუბედურებული ადამიანების, მათ შორის მ.ჯავახიშვილისა, თუ სხვა მსგავსთა სუბიექტური თვისებების მახასიათებელი. ჩეკას ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი მოთხოვნა და კიდევ უფრო დიდი ეროვნული უბედურება, როგორც მე გამოვიკვლიე და დავადგინე მოვლენათა შემდგომი განვითარების გამო გამოირიცხა, მაგრამ ეს იყო ფაშისტურ გერმანიასთან სსრ კავშირის დროებითი დაახლოების პოლიტიკა და რიბენტროპ-მოლოტოვის ხელმოწერით დადასტურებული ცნობილი ხელშეკრულების დადებით გამოწვეული შედეგი. იგი ახალ კონიუნქტურულ სიტუაციაში გამორიცხავდა ფაშიზმის ბრალდებით შეკოწიწებული და ვითომ მართლა ფაშისტური საქმიანობით გამოვლენილი, ეროვნული წარმომადგენლობის მასობრივ დაპირისპირება-დახვრეტასა და მათი მეშვეობით დასახელებულთა რეპრესიების ესკალაციას. (ეს საკითხები ნაწილობრივ გარკვეული მაქვს ჩემს მონოგრაფიაში - „ჩეკისტური ბრალდებები შელავა ნუცუბიძის მიმართ და მათი დოკუმენტურ-ანალიტიკური კომენტარები“, თბ.2003, თავი XI და გვ.187-188). ასეთი გარემოებების შედეგებით იყო ნასაზრდოები პ.იაშვილისა და ზემოთ დასახელებულ ზოგ სხვათა ჩეკისტურად ნამართავი, გაყალბებული ისტორია. იგი დაიწყო ბერიას მიერ განვითარებული სტალინური პროგნოზებით „გამოვლენილი“ ნაციონალ-უკლონისტ-ტროცკისტებით და მივიდა ე.წ. ივანე ჯავახიშვილის იდეურ და ორგანიზაციული მეთაურობით, ვითომ მართლა არსებულ და მოქმედ, თბილისი უნივერსიტეტთან დაჯგუფებულ არალეგალურ, კონტრრევოლუციურ, რეაქციულ ნაციონალისტურ, ფაშისტურ ორგანიზაციამდე.

მას შემდეგ რაც უკვე გავარკვიეთ ბერიას ბრძანებით და უშუალო მონაწილეობით პატიმარ მ.ჯავახიშვილის 1937 წლის მეორე, 21 ივნისის დათარიღებული განცხადებისა და მასში ნაძალადევად ჩადებული დამამცირებებლი „ჩვენებების“ მოპოვების მიზეზები, საჭიროა მოვიხმოთ ტ.ტაბიძისა და პ.იაშვილის შესახებ არსებული დამატებითი ცნობები. ისინი დამატებით ცხადყოფენ, რომ მათი

გაუბედურება და მოსპობა გამოწვეული იყო ბერიას და მისი ჩეკისტი მარიონეტების მიერ. ეს არის მ.ჯავახიშვილის, ტ.ტაბიძის და პ.იაშვილიდ სარეაბილიტაციო მასალები და დოკუმენტები.

მკვლევარმა ნ.ყიფშიძემ ჟურნალ „საარქივო მოამბის“, 2011 წლის №10-ის სათანადო გვერდზე გამოაქვეყნა საქათველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (I), ყოფილ სკკპ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივის „საგანგებო საქაღალდეში“ დაცული ადრე უცბობი სრულიად საიდუმლო“ უნიკალური დოკუმენტები – საქართველოს კომპარტიის ცეკას ბიუროს 1954 წლის 4 მისის დადგენილება და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ.პ.მჟავანაძის მიერ მოსკოვის მოთხოვნის პასუხად, სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი გაგზავნილი 1954 წლის 18 მაისის წერილი-წარდგინება.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ საქართველოს კომპარტიის ცეკამ, მის მიერ ჩატარებული გამოკვლევის საფუძველზე დაადგინა: საქართველოს კომტარტიის ცკ-ის ბიუროს სხდომამ გადახედა და შეისწავლა რა 1937 წელს დაპატიმრებული და დახვრეტა მისჯილი მწერლის მ.ჯავახიშვილის და ტ.ტაბიძის საქმეები. აგრეთვე მწერალ პაოლო იაშვილის თვითმკვლელობის ფაქტი, დაადგინა, რომ მიხეილ ჯავახიშვილი და ტიციან ტანბიძე დაუსაბუთებლად, სისხლის სამართლის საქმეების პროცესუალური ნორმების უხეშად დარღვევით იქნენ დაპატიმრებულნი. ურთიერთ გამომრიცხველია, როგორც ბრალდებულების, ასევე ამ საქმესთან დაკავშირებით დაკითხული მოწმეების ჩვენებები. ისინი გოგლიძის, ქობულოვის, კრიმიანის და სხვების მიერ იქნენ დაპატიმრებულები...

პაოლო იაშვილმა თავი მოიკლა მას შემდეგ რაც, ის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტში ლ.ბერიამ დაიბარა (! – გ.ც.), მანამდე კი წერილი დატოვა. წერილში საკუთარ უდანაშაულობაზე და იმ სიცრუეზე საუბრობდა, რომელიც სამშობლოს მტრებმა მის სახელთან დაკავშირებით შეთითხნეს... მათი ნაწარმოებები 1937 წელს აიკრძალა როგორც სამშობლოს მტრების შემოქმედება... ბიუროს სხდომა ადგენს გადაწყვეტილი

იქნას... მ.ს.ჯავახიშვილის, ტ.ტაბიძის და პ.იაშვილის რეაბილიტაციის საკითხი, ამ მწერლების ნაწარმოებების გამოცემა.

განსაკუთრებით საურადღებოა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის წარდგინება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართ. მასში ტ.ტაბიესთან დაკავშირებით ნათქვამია: „საარქივო საგამოძიებო საქმიდან (№8046) ჩანს, რომ... მწერალი ტიციან ტაბიძე ქობლოვის მიერ ხელმოწერილი ცნობის საფუძველზე, 1937 წელს სამშობლოს მტრების – გოგლიძის, ქობულოვის, კრიმიანის მიერ იქნა დაპატიმრებული.

ტიციან ტაბიძის საქმის ანალიზიდან ვიგებთ, რომ უხეშად დაირღვა სისხლის სამართლებრივი საქმეების პროცესიალური ნორმები, რადგან ტიციან ტაბიძე 58/10 და 58/11 მუხლებით გათვალისწინებული ბრალდების საფუძველზე დააპატიმრეს; დაპატიმრებიდან ორი თვის განმავლობაში, მხოლოდ ერთხელ დაიკითხა; მისთვის დამატებითი ბრალდება არ წაუყენებიათ; თუმცა საბრალმდებო დასკვნაში ზემოთ ჩამოთვლილი მუხლების გარადა, 58/6, 58/7 და 58/11 მუხლები აქვს წაყენებული. არ მომხდარა მოწმეებისა და ტაბიძის დაპირისპირება, რისი საფუძველიც ნამდვილად არსებობდა.

ამის გარდა, ტაბიძის საქმეში არსებული დაკითხვის ოქმები არადამაჯერებელია. მოწმეების ჩვენებებიდან ირკვევა, რომ ტიციან ტაბიძე ერთსა და იმავე დროს, სხვადასხვა პიროვნებების მიერ რამდენიმე კონტრრევოლუციურ ორგანიზაციებში იყო გადაბირებული, რაც რეალობაში წარმოუდგენელია.

1937 წლის 15 დეკემბერს „სამეულის გადაწყვეტილებით, ტიციან ტაბიძეს სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა მიესაჯა.

მწერალ ტიციან ტაბიძეს მეუღლე განცხადებაში წერს, რომ ტიციან ტაბიძე 1937 წლის ოქტომბერში ლავრენტი ბერიას პირადი განკარგულებით იქნა დაპატიმრებული. ბერიამ თავისთან დაიბარა ტაბიძე. ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ რუს მწერლებთან მეგობრობა დააბრალა და მოსთხოვა, ცილი დაეწამა პოეტ პაოლო იაშვილისათვის, რომელიც ორი თვით ადრე სწორედ ბერიამ მიიყვანა თვითმკვლელობამდე. როცა ტიციან ტაბიძემ უარი განაცხადა

მეგობრის ხსოვნის შეურაცყოფაზე, ბერიამ მისი დაპატიმრების განკარგულება გასცა.

1937 წლის 22 ივლისს თავი მოიკლა ერთ-ერთმა გამოჩენილმა მწერალმა პაოლო იაშვილმა.

როგორც იმ პერიოდში დაპატიმრებულ პირთაგან გამოძალული ჩვენებებიდან და ასევე სხვა საქმეებიდან ირკვევა, <u>პაოლო იაშვილი, ვითომც საქართველოში რამდენიმე წლის განმავლობაში მოქმედი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო.</u> თუმცა ყველა ეს მასალა ურთიერთ გამომრიცხავი და არაფრის დამამტკიცებელია.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მწერლების – მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის სიკვდილის შემდგომ რეაბილიტაციას ითხოვს. ასევე ითხოვს, აკრძალავა მოიხსნას ამ მწერლების ნაწარმოებებზე, რათა მომავალში მაინც დაიბეჭდოს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი (ვ.მჟავანაძე). 18 მაისი 1954 წ. ქ.თბილისი“ (ნ.ყიფშიძის მითითებული პუბლიკაცია, ჟურნ. „საარიქვო მაოამბე“, გვ.134-138).

ნ.ყიფშიძის გამოქვეყნებული ეს დოკუმენტი არის უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიების მაუწყებელი და საყურადრებო ინფორმაციის შემცველი. იგი მოწმობს, რომ საქართველოს კომპარტიის ცეკას ბიუროს დადგენილება და ასეთივე მნიშვნელობის საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივნის ვ.მჟავანაძის წარდგინება ასახავენ პოლიტიკური ხასიათის პოზიციას. მართალია ამ დოკუმენტებით კვლავ გაურკვეველი რჩება ჩვენთვის საინტერესო ზოგი საკითხები, რომელთა შესახებ მომდევნო თავებში გვექნება საუბარი. მაგრამ ამ დოკუმნტებიდან ნათლად ჩანს, რომ ზემოთ აღნიშნული გამოკვლევისა და მოწმეთა ინფორმაციის შესწავლის საფუძველზე საქართველოს კომპარტიის ცკ-ს სადაოდ არ მიაჩნია მითითებულ მწერალთა უსამართლოდ, ბერიას და მისი ჩეკისტური დასაყრდენის დანაშაულებრივი და კანონსაწინააღმდეგო დახვრეტის ფაქტი. ამავე დროს, დასტურდება მათ უსამართლო მოსპობაში ბერიას პირადი ბრალი. ამ ინფორმაციიდან ისიც დამატებით დასტურდება, რომ ტ.ტაბიძის დაპატიმრების, შემდეგ გამოირკა, რომ

მისი დახვრეტის საბაბი გახდა მეგობრის, პ.იაშვილის, ბრალეულობათა გადაფარვის ბერიასეულ-ჩეკისტურ მოთხოვნაზე უარის თქმა. ამასთანავე დამატებით შუქდება ისიც, რომ პ.იაშვილს თვითმკვლელობამდე, პირადი კონტაქტი ჰქონია ბერიასთან და მისი თვითმკვლელობა გამოუწვევია ამ უკანასკნელთან საბედისწერო შეხვედრას (იხ. გვ.135), მაგრამ არა მ.ჯავახიშვილის ხელნაწერ ჩვენებას.

მ.ჯავახიშვილის, ტ.ტაბიძის და პ.იაშვილის სარეაბილიტაციო წინასწარი ძიების დროს, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, ა.ინაურის მიერ გამოვლინდა, რომ: „როგორც საარქივო საქმე <u>ფორმულარ</u> №971-დან ჩანს, მწერალი იაშვილი პავლე ჯიბრაილის ძე, თვითმკვლელობამდე ცენტრალურ კომიტეტში გამოძახენული იქნა, ამჟამად გამოვლენილი ხალხის მტრის ბერიას მიერ, რამდენიმე ხნის შემდეგ მწერალმა ილო მოსაშვილთან შეხვედრის დროს მას უთხრა, რომ მიდის სოფელში სამუშაოდ და თუ რამე დაემართა, იცოდნენ, რომ იგი არაფერშია დამნაშავე (მაშასადამე სიკვდილს მოელოდა და ილოს მეშვეობით საკუთარ ცოლშვილს შესაძლო უბედურობისგან აზღვევდა – გ.ც.).

პ.იაშვილი სიკვდილის წინა წერილში უარყოფდა თავის მტრულ დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი, წერდა:

„მივდივარ ამ ქვეყნიდან და მიმაქვს უსაზღვრო სიძულვილი ხალხისადმი, რომლებიც შეეცადნენ საქართველოს დაღუპვას და სასტიკად ვნებდნენ მის ბედნიერ აყვავებას... ვკვდები ერთი რწმენით: დაე სჯეროდეს ქართველ ინტელიგენციას და მთელს ქართველ ხალხს, რომ სტალინის და მისი სქმის გარეშე ადამიანის, ჩვენი ქვეყნის და მთელი კაცობრიობის ხსნა არ იქნება“ (დასახელებული არქივი №31, ფურც.34). როგორც პირველი ამონარიდიდან ჩანს, პ.იაშვილი მოელოდა მკვლელობას და ი.მოსაშვილის გზით შეეცადა გაეფრთხილებინა და დაეტოვებინა ცნობა მისი სრული უდანაშაულობის შესახებ. ხოლო მეორე ამონარიდიდან, ანუ პირადად ბერიასადმი მიწერილი ბარათიდან ჩანს, რომ მას უკვე გადაწყვეტილი აქვს თვითმკვლელობა და, როგორც ადრე ვწერდი, საჭიროდ უცვნია იგი დაერწმუნებინა, რომ საბჭოთა ხელისუფლბის უსაზღვროდ ერთგული იყო. იგი ბერიას არწმუნებდა, რომ

სტალინისადმი ტერორისტულად განწყობილთა მიმართ უსაზღვრო სიძულვილი გააჩნია. ცხადია, რომ ამით პ.იაშვილი ოჯახისა და უსაზღვროდ საყვარელი ქალიშვილის ბედს იზღვევდა. არც ის არის გამორიცხული, რომ სტალინი საქართველოს სიკეთის გარანტიად მიაჩნდა. ეს წერილი თუ ჩეკისტური ნასიბრძნი არ არის, მაშინ იგი, იმის კიდევ ერთი დასტურია, რომ პ.იაშვილის ხელნაწერი ჩვენება თავიდან ბოლომდე ჩეკისტურად გამოძალული აბსურდული დოკუმენტია. ხოლო იგი თუ ჩეკას ნათითხნია, იმას მოწმობს, რომ პ.იაშვილის ბრალეულობები ჩეკასვე გაუბათილებია.

<u>თავი X. ქართველი თვალსაჩინო სამხედრო სპეციალისტების, პოლკოვნიკ, ლ.გარსიაშვილისა და სახკომსაბჭოს მუშაკის ბეგლარ ფაღავს ჩეკისტური ბედის მ.ხომერიკისეული ახსნის გამო</u>

თვალსაჩინო ქართველი მხედრობის და ზოგ სხვა წარმომადგენელთა შესახებ მ.ხომერიკის მსჯელობაც მიზნობრივად არის ჰიპერტროფირებული. იგი წერს: პოლკოვნიკ „ლევან გარსიაშვილს და ბეგლარ ფაღავას მხოლოდ მ.ჯავახიშვილის ჩვენების საფუძველზე დაბრალდათ ჯაშუშობა“ (მ.ხომერიკი, პასუხად მიხეილ ჯავახიშვილს ბიოგრაფებს... გვ. 62); „მ.ჯავახიშვილმა... 50-ზე მეტი ადამიანი დაასახელა, რომელთაგან ზოგმა გმირობა გამოიჩინა, მაგ. გიორგი ქუთათელაძემ, იოსებ მაჭავარიანმა, ლევან გარსიაშვილმა...“ მართლაც იყვნენ ისეთები, რომლებმაც წაყენებული ბრალდება არ აღიარეს სიცოცხლის ბოლომდე. ავტორისეული აქცენტების მზაკვრული მიზანდასახულობა სამწუხაროდ წასაკითხი, მაგრამ სავსებით გასაგებია... მათ ხელი არ მოუწერიათ ჩვენებებზე, რომლებსაც ჩვეულებრივ გამომძიებელები თხზავდნენ... მ.ჯავახიშვილმა კი მ.ხომერიკის მიხედვით 50-ზე მეტი ადამიანი „დაასახელა”... მ.ხომერიკის ლოგიკითა და მიზანდასახულობით ვინც ძიების მიერ წაყენებული ბრალდება არ აღიარა გმირია, ხოლო ვინც აღიარა იმან ადამიანები გაწირა, საფრთხე შეუქმნა საქართველოს. სინამდვილეში ასე არ იყო. ზუგდიდის რაიკომის მდივანი იუსტინე გვასალია ვაჟკაცობით გამორჩეული პიროვნება იყო. მან პირველი დაკითხვის დროს, ყალბი ბრალდების გამო, შინსახკომის 3-4 მუშაკი გალახა, მაგრამ ბოლოს იძულებული გახადეს ბევრი უდანაშაულო „დაესახელებინა“ (ჩეკას არქივი, საქმე №12636, ფურც.332 და №17988, ფურც.251-252).

მ.ხომერიკი მალავს, რომ მ.ჯავახიშვილის ჩვენებები მოპოებული იქნა სასტიკი ცემით, ხოლო ლ.გარსიაშვილი, ბ.ფაღავა, გ.ქუთათელაძე, ი.მაჭავარიანი არ იცის მსგავს მდგომარეობაში ჩააგდეს თუ არა. იგი არც იმას ამჟღავნებს, მათგან ჩვენებების გამოძალვა პირადად ბერიამ ან კრიმიანმა ხომ არ იტვირთა. მ.ხომერიკი ანგარიშს არ უწევს დაკითხვის დროს, ვინ როგორ მდგომარეობაში აღმოჩნდა და „გმირობის“ გამოსავლენად რა შესაძლებლობა ჰქონდათ. ამის მიუხედავად მ.ხომერიკი დასძენს:

„...საარქივო მასალების გაცნობის შემდეგ, შევხვდი ლ.გარსიაშვილის ოჯახის წევრებს და მოუყევი მათ მისი გმირობის შესახებ, აგრეთვე ისიც ვაცნობე, ვინ დააბრალა მას ჯაშუშობა. ამ ცნობამ ისინი ძლიერ შეაშფოთა. მიხეილ ჯავახიშვილს ხომ შვილები და შვილიშვილები ჰყავსო, - მითხარა ლ.გარსიაშვილის ქალიშვილმა...“ (იქვე, გვ. 64). მ.ხომერიკმა, როგორც თვითონ წერს, პარიზში ყოფნის დროს ნოე ხომერიკის ვაჟს, ვიქტორს შეატყობინა, რომ მამამისი მ.ჯავახიშვილმა გაწირა. მაგრამ ვერ მოატყუა. კომენტარები ზედმეტია.

როგორც ვხედავთ თხრობა უაღრესად დრამატიული და მიზანი ღრმად დამაფიქრებელია. მ.ხომერიკმა კარგად იცის, რომ დასახელება, თუ აღიარება ვაჟკაცობასა და გმირობაზე როდი იყო დამოკიდებული. მან ისიც იცის, რომ პატიმრების მიერ ხელმოწერილ ჩვენებებს გამომძიებლები თღზავდნენ. მ.ხომერიკმა ისიც კარგად იცის, რომ: პიროვნებათა ბედს ბერია და მისი ჩეკისტი მსახურები მართავდნენ; ჩეკისტი გამომძიებლები პატიმარს რასაც მოსთხოვდნენ აღიარების მოსაპოებლად, საჭიროების შემთხვევაში, იმას კიდეც აღიარებინებდნენ; წინააღმდეგობის შემთხვევაში,ბუდუ მდივანივით ოჯახის ყველა მამაკაცს დაგიპატიმრებდნენ და დახვრეტდნენ; მალაქია ტოროშელიძის მსგავსად შვილთან ერთად დაგაპატიმრებდნენ და შემდეგ მასთან საუბრის შესაძლებლობას ეზოში გამავალი ფანჯრების საშუალებით შეგიქმნიდნენ, მაგრამ შვილს არ დაგანახვებდნენ და ისე დაგხვრეტდნენ; ცოლშვილის დაპატიმრებით დაგემუქრებოდნენ და სამსონ მამულიას მსგავსად, ცალ თვალსაც ამოგიგდებდნენ და მეუღლეს ჩვილ ბავშვთან ერთად გადაგისახლებდნენ; გალაქტიონ ტაბიძის და სხვა მრავალთა მსგავსად საყვარელ მეუღლეს გადასახლებაში დაღუპავდნენ; თუ საჭიროდ მიიჩნევდნენ ჩეკისტები პ.იაშვილის, თ.ჟღენტის და ზოგ დაპატიმრებულთა, თუ თავისუფლებაში მყოფთა მსგავსად თვითმკვლელობამდე მიგიყვანდნენ; მ.ხომერიკმა ისიც იცის, რომ XXI საუკუნის ჩვენების გამოძალვის მეთოდები ყველა ახლა როდი გამოიგონეს...

ისიც კარგია, თუ ინფორმატორმა ქალბატონმა, ლ.გარსიაშვილის და ნ.ხომერიკის შვილების გარდა, მსგავსი

ცნობებით, სხვა ოჯახებსაც არ დაუარა და საზღვარგარეთთან ნ.ხომერიკის ვაჟის გარდა, სხვა რეპრესირებულთა ემიგრანტი შვილებიც, ლ.გარსიაშვილის ქალიშვილივით არ შეაცდინა. ამასთანავე, მ.ხომერიკს როცა თავი 30-იანი წლების რეპრესიების ისტორიის მცოდნედ მოაქვს, იმასაც არ უნდა მალავდეს, თუ რატომ და როგორ ხდებოდა ინფორმაციის გამოძალვა, ან სულაც დაბრალება, ან პატიმრის ბრალეულობათა შეთითხვნა და მისი ნაძალადევი დადასტურება. მაგრამ ფაქტია, რომ ამ შემთხვევაში მ.ხომერიკმა ადამიანების გაუბედურება მ.ჯავახიშვილს დააბრალა და არა ჩეკას გამომძიებელს. ეს მისი „კვლევის" მიზანდასახულობასა და სულისკვეთებას კიდევ ერთხელ და უაღრესად საგნობრივად აშიშვლებს. ხომ ცნობილია, რომ ეს გამომძიებლები ყოველთვის და ყველას მიმართ არ იყვნენ „ჩვეულებრივი" და როცა „საჭიროება" მოითხოვდა, ისინი ნამდვილი ჯალათობის გამოვლინებით ყოველთვის აღწევდნენ დასახულ მიზანს. ამის შესახებ სხვათა და წინამდებარე ავტორის წიგნებში იმდენი ცნობა გამოქვეყნდა, რომ აღარ ღირს ნარკვევისა და მკითხველის დამატებით გადატვირთვა. საკმარისად მიმაჩნია ამ წიგნის წინა თავებში მოხმობილი და სათანადოდ ინტერპრეტირებული ლ.გასვიანის, ა.ახმეტელის, ნ.მიწიშვილის, დ.წერეთლის, მ.ტოროშელიძის, აკ.მიქაძის, აკ.თათარაშვილის, ლ.ლაღიძის, ლ.ქორქაშვილისა და სხვათა დაკითხვის ოქმებში ამოკითხული ამონარიდები, თუ „ჩვენებები". ისინი მეტყველებენ, რომ მ.ჯავახიშვილის გარეშეც, არსებობდა დიდი ტერორის დროს განადგურებული და მოსპობილი ცნობილი ქართველი მხედრების, მათ შორის ლ.გარსიაშვილის, ლ.ქორქაშვილის, ა.ქუთათელაძისა და თვით დიდი მწერლის „მამხილებელი" ჩეკისტურ-მიზნობრივად შეთითხნილი „აღიარება-ჩვენებები". აქ სასურველად მესახება მოგაწოდოთ მხოლოდ ზოგი განსაკუთვრებით მეტყველი ამონარიდები, რომლებიც დაბეჯითებით გვისაბუთებენ, რომ მ.ჯავახიშვილი ჩეკას ძიებამ გაახვია შარში და არა, ზოგი კომუნისტივით, მხოლოდ პირადმა პარტიულ-პოლიტიკურმა მრწამსმა და სულისკვეთებამ.

მაგალითად მ.ჯავახიშვილის ფაშისტური ჯგუფის წევრად და ფაშისტური იდეების პროპაგანდისტად ნამდვილი ჯალათების,

ქობულოვის, აბაზოვისა და ფაჩულიას მიერ გასაღებული დავით წერეთელისგან, 1937 წლის20 ივნისს (! – გ.ც.) მოიპოვეს „ჩვენებები“, რომლებიც აღიარებდნენ საკუთარი, მ.ჯავახიშვილის და სხვათა არალეგალურ-ორგანიზაციული ანტისაბჭოთა პრაქტიკულ საქმიანობას. იგი „უჩვენებს“: „ჩემთვის აგრეთვე ცნობილია, რომ თბილისში არსებობს კონტრრევოლუციური სამხედრო ორგანიზაცია, რომელშიც შედიან: გიორგი ქუთათელიძე, თუხარელი – დივიზიის მეთაური, მოსიძე – პოლკოვნიკი, მიროტაძე – ბრიგადის კომისარი, გედევანიშვილი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე, გიორგაძე ვალიკო – დივიზიის მეთაური, ახვლედიანი მამია – დივიზიის მეთაური... შავდია – ქ. თბილისის კომენდანტი, გარსიაშვილი – პოლკოვნიკი“(! – გ.ც.)... - ლევანი; „როგორც ჯავახიშვილმა მითხრა, საქართველოს კონტრრევოლუციური ორგანიზაციის შეიარაღებული გამოსვლის საქმეში ლევან ქორქაშვილს ევალება შეადგინოს და უხელმძღვანელოს საბრძოლო რაზმს. გამოსვლის მომენტისთვის მისმა რაზმმა ბინაში უნდა დააპატიმროს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ.ბერია, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი გოგლიძე და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მთელი ხელმძღვანელი შემადგენლობა. ლ.ქორქაშვილთან მოლაპარაკებას ეწევა მ.ჯავახიშვილი“.ობიექტური მკითხველისთვის გასაგებია, რომ დამსახელებელი სხვა არავინაა, თუ არა დამკვეთი, მაგრამ არა ჩეკას ძიების ზემოქმედებით მართული ჩვენებების მიმცემი და მითუმეტეს, არა მ.ჯავახიშვილი. პოლკოვნიკი ლ.გარსიაშვილი, ყოფილი ჩეკას არქივის მონაცემებით, მთელი მისი სამეგობროს დაპატიმრების შემდეგ, 1937 წლის 14 ივლისს დააპატიმრეს, მაშასადამე, მის გაუგებრობაში მ.ჯავახიშვილისათვის განსაკუთრებული როლის მინიჭება მიზნობრივია, რადგან მიხეილი ჩეკას იზოლიატორში 15 აგვისტოს, ანუ ერთი თვის მერე მოათავსეს, ხოლო ლ.გარსიაშვილის „დანაშაულის“ შესახებ მას „აღიარება“ 21 აგვისტოს გამოსძალეს.

ცნობილი პოლკოვნიკის, ბეგლარ ფაღავას ქვისლის, ლ.ქორქაშვილის 15 ივლისის დაკითხვის ოქმში, როგორც ადრეც გავეცანით, ვკითხულობთ ჩეკას IV განყოფილების, II ქვეგანყოფილების უფროსის ლ.აბაშიძისა და მისი თანაშემწის

ჯიბლაძის მიერ გამოძალუ უამრავ საზარელ ამბავსა და მათ შორის ასეთ „აღიარებას“ თუ „ჩვენებას”: „...ბარათაშვილი ოსიკო ბლოკის შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებდა სახუნივერსიტეტის პროფესორ ჯავახიშვილ მიხეილთან, საქართველოს ფაშისტური ცენტრის წარმომადგენელთან... 1937 წლის თებერვალში, ცენტრის დავალებით ასევე დავუკავშირდი ჯავახიშვილ მიხეილს... ჯავახიშვილის სიტყვების მიხედვით ჩემთვის ცნობილი გახდა, ფაშისტური ცენტრი შედგება: მ.ჯავახიშვილის, გ.ნანეიშვილის, ა.ახმეტელის, რ.დუმბაძის, და სახუნტის პროფესორის წერეთელი ალექსანდრეს (ალიოშასგან)“; „ჯავახიშვილი მიხეილისგან ვიცი, რომ ფაშისტური ორგანიზაციის ცენტრის გარდა, ფაშისტურ ორგანიზაციას თავისი განშტოებები აქვს საქართველოს რაიონებში, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ცენტრის რწმუნებულები“... ჯავახიშვილი მიხეილის სიტყვებით, ცენტრთან არსებობენ საბრძოლო რაზმები, რომელთა ხელმძღვანელები არიან გედევანოვი კონსტანტინე, ყოფილი სამხედრო, ახმეტელი ალექსანდრე (საშა)... ქუთათელაძე გიორგი – ჯარების სარდლის თანაშემწე“; „მიხეილ ჯავახიშვილთან საუბრიდან ვიცი, რომ საბრძოლო რაზმები ორგანიზებულია შეიარაღებული ბრძოლისა და ტერორისტული აქტებისათვის“.

<u>ლ.ქორქაშვილის</u> 1937 წლის 22 ივლისის დაკითხვის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს უშიშროების IV განყოფილების III ქვეგანყოფილების უფროსი <u>აბაშიძე</u> და ამავე განყოფილების ოპერ რწმუნებული ჯიბლაძე, ვკითხულობთ: „<u>უპირობოდ ვადასტურებ და ვუმატებ, რომ მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვებით – დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან სსრკ-ს ომის შემთხვევაში – ფაშისტური ცენტრი, მიხეილ ჯავახიშვილის მეთაურობით, აპირებდა ჩაეტარებინა დაპატიმრებები: საქართველოს კომპარტიის მდივან ბერიასი და შინსახკომისარის – გოგლიძისა</u>“. ამ ამბების დამჯერე, მას შემდეგ რაც გაეცნო ტოტალიტალური სახელმწიფოს მესვეურთა მიზანდასახულობებსა და ჩეკისტური ძიების მეთოდებს, შეიძლება იყოს ობიექტური? არა არ შეიძლება. მაგრამ, ხომ შეიქმნა ჩეკისტური ჩვენებების ესტაფეტა, რომელიც მ.ჯავახიშვილს და სხვა პიროვნებებს გადაეცა!

არსებობს ქართველი მხედრობის განადგურება-მოსპობის მიზანთა მამხილებებლი სხვათა ჩეკისტური წყაროებიც. ასე მაგალითად:

ბ.მდივნის 1937 წლის 9, 17 და 27 აპრილის „ჩვენებებით“ ჩეკას ძიებისთვის „ცხადი გახადა“, რომ ქართული ეროვნული დივიზიის მეთაური, ს.ბუაჩიძე მისთვის ცნობილი იყო, როგორც ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრი. მდივანმა ბოლო დაკითხვის დროს „უჩვენა“ - ორგანიზაცია, რომელშიც შედიოდა ბუაჩიძე, მიზნად ისახავდა ტერორისტულ აქტებს.

ჩეკას IV განყოფილების ჯალათებმა სავიცკიმ, კრიმიანმა და ქობულოვმა 1937 წლის 11 აპრილს ს.ბუაჩიძისგან მოიპოვეს ჩვენება, რომლის თანახმად მისთვის ცნობილი გახდა კონტრრევოლუციურ საქმიანობაში საქართველოს ცაკ-ის ყოფილი მდივნის, თენგიზ ჟღენტის კავშირი დივიზიის უფროს ბუაჩიძესთან.

14 ივლისს ქობულოვმა და ხაზანმა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის, გერმანე მგალობლიშვილისგან მოიპოვეს ჩვენება, რომლის მიხედვით პირადად მან „მემარჯვენეების კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში გადაიბირა სოსო ბუაჩიძე. ამ და სხვა „ჩვენებათა“ საფუძველზე ს.ბუაჩიძე 1937 წლის 30 ივლისს დააპატიმრეს, არაადამიანური წამების შემდეგ იგი, 6 აგვისტოს, საავადმყოფოში გარდაიცვალა (იხ. საქ. სახელმწიფო უშიშროების არქივი №4221, ფურც. 395-396).

ჯერ კიდევ 1936 წლის 16 დეკემბერს დაპატიმრებულმა, ქართული წითელი სამხედრო შენაერთების ყოფილმა ორგანიზატორმა და სარდალმა, ხოლო დაპატიმრებამდე ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ, პეტრე აღნიაშვილმა, რომელმაც ჩეკისტური წამების ყველა ზემოქმედება განიცადა, სისხლის სამართლის 58-1ᲐᲐ, 58-7 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებული, მათ შორის სამხედრო დანაშაულობები „აღიარა“. მას ბრალად დაედო „კონტრრევოლუციური მუშაობა წითელ არმიაში და სამხედრო ამბოხებითი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. მისი დაკითხვის ოქმში ნათქვამია, რომ შ.მათიკაშვილთან, ვ.ჯიქიასთან და ლ.აღნიაშვილთან ერთად ახორციელებდა კავშირს ქართულ ტროცკისტულ – ტერორისტულ

ცენტრთან, რომელსაც ბუდუ მდივანი ხელმძღვანელობდა (იხ. იქვე, საქმე №2431, ფურც. 317).

<u>თედო ღლონტის</u> 18-19 ივნისის აღიარება-ჩვენებების მიხედვით დამატებით „დადასტურდა“, რომ სკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ყოფილი მდივნის, მამია ორიხელაშვილის და ქართველი „მემარჯვენეების“ კონტრრევოლუციური ცენტრის თავმჯდომარის, გერმანე მგალობლიშვილის სიტყვებით, პირადად იგი და პ.აღნიაშვილი არიან ქართველი მემარჯვენეების კონტრევოლუციური, ტერორისტულ-ჯაშუშური და დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის წევრები“(იქვე, ფ. 315-316).

<u>ნიკოლოზ ელიავამ</u> 1937 წლის 6-7 ივლისის დაკითხვის დროს „უჩვენა“: „ქართული ნაციონალური ცენტრის ამბოხებით ჯგუფს, პ.აღნიაშვილს, გ.მახარაძეს, თ.ჟღენტს, ვარაზაშვილს, შევთავაზეთ მიიღონ პრაქტიკული ზომები აჯანყების მომზადებისათვის (იქვე, ფ. 323). მისივე „ჩვენებით“, 1934-1937 წლებში, გერმანე მახარაძის ნათქვამის მიხედვით, სამხედრო პირები მუშაობდნენ რაიონებშიც, შეიქმნა სააჯანყებო ორგანიზაციები, გამოსვლისათვის მზად არის ათასამდე კაცი, ძირითადად გურიაში, სამეგრელოში და კახეთში. საკითხი იდგა საზღვრიდან იარაღის შემოტანისა და რესპუბლიკის ხელმძღვანელობაზე ტერორის განხორციელების შესახებ. ამ მიზნით გათვალიწინებული იყვნენ ახალგაზრდა ფაშისტები, რომლებიც „თეთრი გიორგის“ ფაშისტურმა ორგანიზაციამ გადმოიბირა საზღვარგარეთ” (იქვე, ფ. 328).

მსგავსი აღიარების მოყვანა უფრო მრავლად შეიძლებოდა, მაგრამ მოხმობილი ფაქტებიც საკმაოდ მოწმიბენ თუ როგორი ჩეკისტურ- სახელმწიფოებრივი ტენდენცია- ესტაფეტით ხდებოდა ზემოთ დასახელებულ პირთა – ლ.გარსიაშვილის, გ.ქუთათელაძის, ლ.ქორქაშვილის და მათ შორის ამ ესტაფეტა-კონვეირის გამგრძელებელის, ქართველ ფაშისტთა ორგანიზაციის ხელმძღვანელად, ჩეკისტურად გასაღებული, მიხეილ ჯავახიშვილის მომსპობი „ჩვენება-აღიარებების“ მოპვოება.

საყურადღებოა, რომ მ. ჯავახიშვილის 1937 წლის 21 აგვისტოს ხელნაწერ გაცხადება-„ჩვენება“-„აღიარებაში“, ჩამოთვლილი 50 ათეულზე მეტი, ვითომ „მ.ჯავახიშვილის მიერ გაუბედურებულ“

პიროვნებათა შორის დიდი უმრავლესობა, მ.ჯავახიშვილზე უფრო ადრე, მათ შორის ლ.გარსიაშვილი, ჯერ კიდევ 21 ივნისამდე იყო ჩართული ჩეკისტური ძიების მიერ„აღმოჩენილ" ესტაფეტაში, ხოლო ზოგი არამც თუ არ დაუპატიმრებიათ, არამედ არც შეუწუხებიათ. ამასთან დაკავშირებით საჭიროა ითქვას, რომ საერთოდ დაპატიმრებულ-დაკითხულთა ოქმებში დასახელებულ და ნახსენებ პიროვნებათა შორის იყვნენ სრულიად უდანაშაულო ადამიანებიც, ჩეკას აგენტებიც, დამსმენ-ჩამშვები ინფორმატორებიც, რომელთა მხილებაც ჩეკისტურ ძიებას მხედველობაში არ მიუღია. მაგალითად 1920 წლიდან ბოლშევიკური პარტიის წევრი, მ.ხომერიკის ბაბუა იაკინთე ლისაშვილი (ხომერიკი), დასახელებულებს შორის გვხვდება ორ სხვადასხვა დოკუმენტში, მაგრამ იგი არ ყოფილა არც დაპატიმრებული და არც ჩეკას მიერ შეწუხებული. პირიქით, იგი მისი უფროსის, დ.წერეთლის „ხალხის მტრად" გამოცხადებისა და დახვრეტის (11/VII-37წ.) შემდეგ მის თანამდებობაზე დააწინაურეს. მაშასადამე, ზოგს მიზნობრივად არ უნდა გაიგოს, რომ ტოტალიტარული რეჟიმისა და განსაკუთრებით დიდი ტერორის დროს ხდებოდა დასახელებული და დაპატიმრებული ადამიანების ჩეკისტური სელექცია, ხოლო ამ საქმის ყველაზე დიდი და მთავარი სელექციონერი საქართველოში იყო ბერია. მ.ხომერიკმა ეს ამბავი იცის, მაგრამ მაინც ეჭვ ქვეშ აყენებს მ.ჯავახიშვილს და წერს მასსავით ყველას 50 პიროვნება, რომ დაესახელებინა, გაწყდებოდა საქართველოო. ესეც არის მისეული ინტერპრეტაციების კიდევ ერთი მახასიათებელი.

იმ მიზნით, რომ კარგად გავიგოთ ბერიასეული სელექციის არსი, საჭიროდ მიმაჩნია წარმოვაჩინო კიდევ ერთი ასეთი მაგალითი: ივანე პავლეს ძე გობეჩია 1937 წლის დაკითხვისა და ჯერ კიდევ 13 ივლისს, აბაშიძე-ნაცვლიშვილის მიერ ბოლომდე გახსნილ პენსიონერ გერასიმე მახარაძესთან დააპირისპირეს. მისი გერასიმე მახარაძესთან დაპირისპირების, 21 ივლისის ოქმიდან ჩანს, რომ მას ადრე ანტისაბჭოთა ბრძოლის კონკრეტული მაგალითები ვერ გამოძალეს. ამიტომ ახლა იგი უკვე გახსნილ გ.მახარაძესთან დააპირისპირეს. მათ „დაადასტურეს, რომ ერთმანეთს იცნობდნენ და განაცხადეს, რომ ერთმანეთის მიმართ არა აქვთ რაიმე პირადი ინტერესები".

შემდეგ გ.მახარაძე ეუბნება გობეჩიას - „მე ვაღიარე მენშევიკური ცენტრი. ამის მერე აზრი არა აქვს დამალვას, ძიებამ ყველაფერი იცის“. ამის შემდეგ „ი.გობეჩია ამბობს“; ვითხოვ დაპირისპირების შეწყვეტას“ (საქმე №9997, გვ.205-506)...

ივ.გობეჩიამ 31 ივლისს „აღიარა“: „1933 წელს, ესერების ყოფილი ლიდერის, შენგელაია ლეოს ბინაზე ყოფნის დროს მან გამიმხილა და შემომთავაზა არალეგალური ორგანიზაციის აღდგენა. მე გასაბჭოების მერე არ განვიარაღებულვარ, დავეთანხმე ესერთა იატაკქვეშეთის აღდგენაში. შეიქმნა 5 კაციანი ჯგუფი: შენგელაია (თავმჯდომარე), ლორთქიფანიძე ივანე, ბახტაძე ივანე, გოგიბერიძე შალვა და მე... თბილისის ესერთა ორგანიზაცია აერთიანებდა 30 კაცს... ხელმძღვანელობდა შენგელაია. შენგელაიასგან ვიცი ესერთა იატაკქვეშა ორგანიზაციის არსებობა ქუთაისის, ზუგდიდის, სენაკის მაზრებში. მიზანი: ...გაერთიანება, შეიარაღებული აჯანყება სხვა ანტისაბჭოთა პარტიებტან კონტაქტში, საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად... სხდომები ერთი თვის განმავლობაში ტარდებოდა შენგელაიას ბინაზე. შენგელაიასგან გავიგე ინტერპარტიული კომიტეტის შემადგენლობა: 1. ლორთქიფანიძე ივანე – ესერი; 2. მახარაძე გერასიმე – მენშევიკი; 3. ბარათაშვილი იოსებ – სოცფედერალისტი; 5/. მაჭავარიანი იოსებ – ეროვნული დემოკრატი; დამისახელა 5 ტროცკისტებისა და 6 ფაშისტების ორგანიზაციიდანაც, რომლებიც არ მახსოვს...“. დაკითხვის ოქმს ხელს აწერენ: გობეჩია, <u>აბაშიძე</u>, <u>ნაცვლიშვილი</u> და ვიდაც. ოქმის სისწორეს ადასტურებს ნაცვლიშვილი (იქვე, ფურც.206-208). გობეჩიამ 1-2 სექტემბრის დაკითხვის ოქმის მიხედვით აღიარა: „...ჩემი ძმის იოსებთან კავშირისთვის 1934 წელს გამოგზავნეს ემისარი, ცნობილი ვაჭარი, ვლადიმერ ბაქრაძე, რომელიც თბილისში შეხვდა ლეო შენგელაიას. ინფორმაცია მოგვაწოდა საზღვარგარეთის ბიუროსგან. კავშირი დამყარდა ყველა პარტიებთან...“ . დაკითხვის ოქმს ხელს აწერენ <u>აბაშიძე</u>, <u>ნაცვლიშვილი</u>, <u>ქობულოვი</u> (იქვე, ფურც.233-239). რამდენადაც ვიცი უმრავლესობა დახვრიტეს. ლეო შენგელაია ამ სიყალბეში არ გარიეს და როგორც ცნობილია ამ დროს კიდეც გაბრწყინდა პარტიისთვის სანდო პიროვნებად და სახელოვან მწერლად. ესეც ვერ მოხდებოდა ბერიას ჩარევის გარეშე.

მ.ხომერიკის მიერ მ.ჯავახიშვილთან დაპირისპირებით გაუბედურებულად, მის მიერ სამაგალითოდ გამოყენებული, „მ.ჯავახიშვილის მიერ გაუბედურებულად დასახელებული“ საქართველოს სახკომსაბჭოს მუშაკის, ბეგლარ ფაღავას, იგივე ლ.ქორქაშვილის ქვისლის შესახებ მისმა ქალიშვილმა, ქალბატონმა ნათელა ფაღავა-მეშველიანისამ მომითხრო: „მამაჩემი ბეგლარ ფაღავა 1937 წლის 4 სექტემბერს დააპატიმრეს... მამა კიდევ 1921წელს... დააპატიმრეს. შემდეგ 1923 წელს ბათუმში დააპატიმრეს და თბილისში გადმოიყვანეს. მეტეხის ციხეში იჯდა და დასახვრეტთა სიაში იყო. საშა გეგეჭკორი, რუსეთში წასვლამდე, ბათუმში მამას თანამშრომელი იყო. დედამ მოახერხა მასთან შესვლა და მეორე დილას, რომ უნდა დაეხვრიტათ, გეგეჭკორმა მამა ციხიდან გამოიყვანა და სახკომსაბჭოში საქმეთა მმართველის მოადგილედ დანიშნა. მაგრამ იქ 1937 წლის ივნისამდე იმუშავა... დაპატიმრებამდე ორი თვით ადრე მოხსნეს სახკომსაბჭოდან (! – გ.ც.)...

დაპატიმრებამდე 3 დღით ადრე (! – გ.ც.) ტელეფონი გამოგვირთეს და ვიღაც... კაცი... სახლის წინ დაგვიყენეს.

1935 თუ 36 წელს მამა და დედა სადღაც საზოგადოებაში იყვნენ და იქ შეხვედრიათ, ვინმე, დავით ბაგრატიონი, რომელსაც შინსახკომში დაუწყია მუშაობა. მან მამას ხელი გამოუწოდა და მამამ კი, ხელი არ ჩამოართვა. დედა მერე ძალიან წუხდა, ვინ იცის როგორ გადაუხადაო.

დაჭერამდე კიკეთში ვიყავით და მამას დედასთვის უთქვამს, რომ მაშინ დაიძინებს მშვიდად, როდესაც დააპატიმრებენ. უამრავი მისი თანამშრომელი და მეგობარი უკვე დაპატიმრებული იყო“ (ხაზგასმა ყველგან ჩემია – გ.ც.).

დედის გადმოცემით, „ვიდრე მამას დააპატიმრებდნენ, უკვე დაპატიმრებული იყო თითქმის ყველა მისი თანამშრომელი და მეგობარი“. სათანადო, ჩემთვის არც თუ საეჭვოდ მისაღები ცნობებით, ქალბატონმა ნათელამ იცის, რომ როცა მამას მ. ჯავახიშვილი დაუპირისპირეს, მას ამ დროს სახე ქონდა დასახიჩრებული... ბ.ფაღავას ერთ თანამესაკნეს მისი ოჯახისთვის მიუწოდებია ასეთი ცნობა: „ერთხელ, დაკითხვის შემდეგ ის (ბ.ფაღავა – გ.ც.) გამოვიდა და თქვა, რომ მიხეილ ჯავახიშვილი

პირზე დამაყენესო. თითქოს ის და მე ერთად საზღვარგარეთ რაღაც ცნობებს გადავცემდით. მაგრამ ვერ გავამტყუნებო, უთქვამს მამას და სახეზე ხელი რამდენჯერმე მიუდვია (ე.ი. ნაცემი იყოო). შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მამა მიხეილ ჯავახიშვილს ეხმარებოდა... იმ დროს პატიმრებს, მოგეხსენებათ, რასაც უნდოდათ იმას ათქმევინებდნენ. დედაც ორჯერ გადარჩა დაპატიმრებას... მამას მეგობრები იყვნენ (დაპატიმრებულთაგან – გ.ც.): გრიშა მიქაშავიძე, გიორგი ცაგარელი, ალექსანდრე ჩხეიძე, შოთა დადიანი, მიხეილ ჩხენკელი (ექიმი), ნაცვლიშვილი (სახელი არ მახსოვს)... ნიკოლიჩა აბესაძე, ნიკოლოზ უზნაძე (იურისტი), მინა ბერიძე (იურისტი). ამ მეგობრების გარდა 37-ში დააპატიმრეს ჩემი ორი ბიძა: ერასტო ფაღავა და ლევან ქორქაშვილი მეუღლესთან ერთად. ნ.ფაღავა."

ხაზგასმულად გამოყოფილი პიროვნებები ადრეც შეგვხვდნენ, როგორც სხვების მიერ დასახელებულები. მიტომ არ არის გამორიცხული, რომ ამათგან ბ.ფაღავა ადრე რომელიმე მათგანს დაესახელებინა. მაგრამ მისი დაპატიმრებისთვის სამხილის შესათითხნად, ზემოთ მოყვანილი ცნობებიც საკმარისი იყო, რადგან მისი მეგობარი ექიმი მიხეილ ჩხენკელი გახლდათ ღვიძლი ძმა კარგად ცნობილი მენშევიკი პოლიტიკური მოღვაწე და ემიგრაციაში გახიზნული მთავრობის წევრის, აკაკი ჩხენკელისა, რომელსაც ჩეკას სამძებროს IV განყოფილებამ ბრალად წაუყენა ის, რომ „ეწევა ცილისწამებას საბჭოთა ხელისუფლების, სკპ (ბ) და მთავრობის წევრებზე". ჩეკას ყოფილი არქივის ძუნწი ცნობებით მას საქართველოს სამეულმა 1937 წლის 28 ივლისს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა (იხ. საქმე №1347, ოქმი №47). დაპატიმრებული იყო ნიკოლიჩა აბესაძეც, რომელსაც სკპ (ბ) პოლიტბიუროს კომისიამ (15/IX-37წ.) დაუდასტურა პირველი კატეგორია (ა.ქურხელი,... და რომ გვახსოვდეს, გვ.352). შოთა დადიანი შვილია არალეგალური ფედერალისტების თავმჯდომარედ ჩეკისტურად გასაღებული ანტისაბჭოთა ფედერალისტების ლიდერებისა (იხ. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II) ოქმი №63)...

მაშასადამე საჭიროა ყველამ გავიგოთ, რომ როცა „ჩეკას პატიმრის „ჩვენებებზეა“ ლაპარაკი, აქ უმთავრესად იგულისხმება ჩეკისტური მიზანდასახულობიდან და კონცეფციიდან მომდინარე ინტერესი, ანუ ჩეკისტურად მოპოებული ინფორმაციული ველის გავლენები. ამიტომ ამ „ჩვენება“-„აღიარებებით“ ირკვევა, არა დამსახელებელის ბრალი, არამედ უპირველესად, რეჟიმის და მისი მესვეურების ბოროტება. როგორც ვნახეთ ეს კარგად ესმის ქალბატონ ნათელას. მას მ.ჯავახიშვილის მიმართ ანტიპათია არ გამოუვლენია, პირიქით მითხრა, და დამიწერა კიდეც რომ, როცა ჩეკისტი ბინაში ჩხრეკას ატარებდა, მ.ჯავახიშვილის წიგნს წასწყდომია, აუღია და ფურცლებს ხევდა. ამის გამო მამას ცრემლები წასკდომია და შეუყვირია: „ბიჭო დათიკო რას შვები!“ მაგრამ გმირი პოლკოვნიკის ლ.გარსიაშვილის ქალიშვილმა, როგორც მ.ხომერიკი ცხადყოფს, სამწუხაროდ ალღო ვერ აუღო პროვოკაციას და მისი წამქეზებლის განწყობილება კიდეც გაიზიარა.

აქვე მინდა დავძინო ჩეკისტურ წყაროებზე დაყრდნობით შექმნილი ჩემი შთაბეჭდილება: არ არის მართალი, რომ თითქოს ჩეკისტურ „რეჟიმს“ მხდალები ემორჩილებოდნენ, ხოლო სურვილის შემთხვევაში, ჩეკას ძიების შეთითხნილ და წაყენებულ ჩვენება–აღიარებებს ძლიერი, გმირი სუბიექტები, უარყოფდნენ და არ აღიარებდნენ. დიახ, ერთეულების სახით იყვნენ ასეთებიც, მაგრამ ეს არ არის ზოგად ადამიანური შესაძლებლობიდან გამომდინარე კანონზომიერი გამოვლინება. აქ გასათვალისწინებელია ის, თუ რამდენად დაინტერესებული იყო ძიება კონკრეტული პატიმრის „ჩვენებებით“. ამასთანავე ესენი ბრალდებულთა იმ ნაწილის წარმომადგენლებიც იყვნენ, რომელთაც მიაჩნდათ, რომ თითქოს ძიების მიერ, ან დაპირისპირებული პატიმრებისგან გამოთქმულ „ჩვენების“ უარყოფას შეეძლო მათი ხვედრის შემსუბუქება, თუ აცილება. სინამდვილეში ზოგჯერ გამომძიებლები თავს არ იწუხებდნენ მათ მიერ შეთითხნილი ყალბი „აღიარების“ მიმღები კონკრეტული პიროვნებისგან დამატებითი ცნობების მოპოვებით რადგან ეს სერიოზულ „სამუშაოებთან“ იყო დაკავშირებული, და შედარებით დიდი დოზის წამების გამძლე ადამიანებს მაინც ხვრეტდნენ. ამიტომ ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს ვისი დაკითხვის ოქმითაც სხვათა დასახელება არა ჩანს, უთუოდ გმირები არიან, ხოლო ვინც წამებას ვერ გაუძლო და თავის მსგავსი უდანაშაულო ნაცნობები დაასახელებინეს, ისინი

ლაჩრები, თუ სხვათა გამაუბედურებელი ყოფილან. გაიგეთ, რომ „ჩვენებებს“ განსაზღვრავს ძიების ინტერესები და წამების დოზა...

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, საქართველოს ჩეკას ფაქტობრივ ხელმძღვანელმ, ბერიას მიაწერენ სიტყვებს: "Молодец Кримян... из камня выжмет!"... ეს სიტყვები ძალიან ბევრის მთქმელია. ისიც ცნობილია, რომ პირადად ბერია ხელმძღვანელობდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თანამდებობის მქონე პიროვნებების დაპატიმრებასა და მათ მიმართ ძალისმიერი მეთოდების წაქეზებას, ხოლო ზოგის მიმართ პირადადაც არ ერიდებოდა ფიზიკურ მოქმედებას. არ შემხვედრია მაგალითი, რომელიც ცხადყოფს, რომ ბერიას მიერ, თუ მისი მონაწილეობით, ან მის მიერ განწირულ დაკითხულს ბოლომდე გაეძლო და აბსურდული ჩვენებები არ მიეცა. ბერიასი იყო სცენარიცა და რეჟისურაც. ბერია კრემლის დაკვეთას, თავის პირად ინტერესებს უხამებდა და მისთვის სასურველ შემთხვევაში განწირულს ყველაზე სასტიკ ჯალათად ევლინდებოდა. იგი ამით არა მარტო შურს იძიებდა, არამედ რაც მთავარია, თავის მხრივ განხორციელებული ამ ქმედებებით მაგალითს აძლევდა თავის ხელქვეით ბობოლა ჩეკისტებსა და რიგით შემსრულებლებს. ამით ბერია აღწევდა დაუსჯელობის რწმენითა და განსაკუთრებული სიმკაცრით განემსჭვალა მის მიერ სახელმწიფოებრივ–პოლოტიკური მიზანდასახულობებით დაკვალიანებული სადისტი ჯალათები. ისინიც, ზოგი ერთეულების პასიურობითა, თუ აშკარა ურჩობის მიუხედავად, აბსოლუტური უმრავლესობის სახით, ერთგულად ემსახურებოდნენ ბერიას მიერ დასახულ, პარტიის, ხელისუფლებისა და საბჭოთა საზოგადოების „ჩისტკის“ ამოცანებს, მასობრივად ანადგურებენ და სპობდნენ ხელისუფლებისა და ბერიას პირად პოტენციურ მტრებს. აი როგორ, რატომ, რა მიზანდასახულობით შეითითხნა 1937 წელს გაუბედურებულთა და მოსპობილთა, მათ შორის, ქართველი ერის დიდი პატრიოტისა და ტოტალიტარული რეჟიმის მიმართ დაუმორჩილებელი დიდი მწერლის, მიხეილ ჯავახიშვილის ბრალეულობები. ამიტომ, მ.ხომერიკის აზრებისა და კონცეფციის მომხრეებმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნონ, რომ გაუბედურებულთა და მოსპობილთა მიზნობრივად გაყალბების მაქინაციების გამოყენებით ბაბუის თუ საკუთარი სირცხვილის ჩამორეცხვა და თუნდაც საკუთარი მიხვედრილობით შესრულებული დაკვეთის გამართლება და მყარი

ფაქტების წაყრუება არც ხერხდება და ამასთანავე, ისტორიკოსთაგან ამის თავგამოდებული მცდელობა დანაშაულად ფასდება.

<u>თავი XI. ჩემი მიგნებები ბერიას მიერ 1937 წელს დახვრეტილებისა და მათი საფლავების ადგილმდებარეობის შესახებ</u>

ვიდრე მ.ჯავახიშვილის რეაბილიტაციის სიმართლით გაშუქებას შევუდგებოდეთ, მიზანშეწონილია ორიოდე ტიპიური მაგალითის შუქზე გავიცნოთ 1937 წელს ჩეკისტურად ნამართავი პროცესების დროს უკიდურესად გაწამებული და „ტროცკისტული ცენტრის“ ვითომ წევრების და სხვა, უსამართლოდ დახვრეტილების დროინდელი სიმართლე, ანუ ტიპიური ოფიციალური ვერსიების მაგალითები. ისინი ნათლად გვიჩვენებენ იმ საერთო კანონზომიერებას, რომელშიც მოაქციეს დიდი ტერორის დროს, ცემით, უკიდურესი წამებით ნატანჯი და ბრალეულობათა ფალსიფიცირებით განწირული უდანაშაულო ადამიანების ხვედრი.

როგორც უკვე გავეცანით 1953 წლის ბერიას და მისი დანაშაულებრივი თანამშრომლების საძიებო პროცესის დროს და კერძოდ სასამართლოს წინაშე ბ.ქობულოვმა უჩვენა: „... ბერია თავად მოდიოდა დაკითხვაზე, დაკითხვებს ატარებდა, დაკითხულთა ცემას მიბრძანებდა და მეც ვცემდი. გამომძიებელს ეშინოდა ბერიას მითითებების შეუსრულებლობის, რადგან შეიძლებოდა თვითონვე მოხვედრილიყვნენ ნაცემი პატიმრების მდგომარეობაში“. ამ გზით, ჩეკას სამძებროში დამკვიდრდა სასურველ აღიარება-ჩვენებათა გამოძალვის საერთო სავალდებულო წესი. ეს კარგად ჩანს მთელი რიგი მაგალითების შუქზე. მაგრამ მოცემულ თავში საჭიროდ მივიჩნიე წარმომეჩინა რამდენიმე დამატებითი, მძაფრი, მთავარი მიმართულების მაჩვენებელი მაგალითი:

საქართველოს ყოფილი სოფლის მეურნეობის კომისრის, ნაციონალ-უკლონისტისა და ვითომ მართლა არსებული ქართული კონტრრევოლუციური ქართული „ნაციონალური ცენტრის“ წევრად უსამართლოდ გასაღებული, შალვა მათიკაშვილის მაგალითზე, მის მიმართ ჩეკას ძიების დამოკიდებულების შესახებ უჩვენა ჩეკას IV სამმართველოს უფროსმა, ბერიას რეპრესირებულ-ტერორისტული პოლიტიკის ერთ-ერთმა პრაქტიკულმა ორგანიზატორმა და ხელმძღვანელმა - ბოგდან ქობულოვმა: „მე ვცემდი მათიკაშვილს... ერთხელ თუ ორჯერ დავარტყი მას, მერე კი, დაუმატა

გამომძიებელმა. ვალდებული ვარ ვთქვა, რომ გამომძიებლებს ეშინოდათ მითითებების შეუსრულებლობა იმდენად, რამდენადაც ეშინოდათ მსგავს მდგომარეობაში მოხვედრა“.

სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვაზე ბერიას მიზანდასახულობათა აღმსრულებელმა - შინაგან საქმეთა კომისარმა გოგლიძემ უპასუხა: „მათიკაშვილს პირველი დარტყმები მიაყენა ბერიამ, შემდეგ მას ურტყა ქობულოვმა. ბ.ქობულოვმა გოგლიძის ეს ჩვენება დაადასტურა (შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), საქმე №12636. ПР-4281-55, ფურც.147).

კ.ს.სავიცკიმ 1959 წლის29 იანვარის დაკითხვის დროს, უჩვენა, რომ: „ძიების დროს მათიკაშვილს ეცვა ძალიან ვიწრო ფეხსაცმლები, რომლებიც მას ძლიერ უჭერდა, ამიტომ დაკითხვების დროს იგი ფეხების ტკივილს უჩიოდა და გახდას ითხოვდა, მაგრამ ამის ნება არ მისცეს“. სავიცკიმ ისიც უჩვენა, რომ იგი მათიკაშვილის დაკითხვას აწარმოებდა თავგამოდებით და ხანგრძლივად, რის შემდეგ მათიკაშვილმა დაიწყო აღიარებითი ჩვენებების მოცემა (იქვე, ფურც.148).

ჯალათმა გამომძიებელმა ნ.ა.კრიმიანმა 1954 წლის 29 იანვრის დაკითხვის დროს განაცხადა, რომ მას ახლა არ ახსოვს მათიკაშვილისგან რა გზით იქნა მიღებული აღიარებითი ჩვენებები, შეიძლება მაშინ მას სცემდნენო.

„ძიებამ დაადგინა, რომ მათიკაშვილის და (მისი ცოლის) ანა ბრეიტმანის ჩვენებები მიღებული იქნა ნაძალადევად, ხალხის მტრების – ბერიას, მერქულოვის, გოგლიძის, ქობულოვის და სხვათა მიერ“.

მათიკაშვილის საქმის შეწყვეტასთან დაკავშირებული 1955 წლის სექტემბრით დათარიღებული მასალებიდან ჩანს, რომ მისმა „მამხილებელმა“ ჩიხლაძემ თავისი 1936 წ. აგვისტოდან 1937 წ. ივნისამდე, მიცემული აღიარებები რამდენჯერმე უარყო. ამის გარდა სამძებროს მუშაკებმა ქობულოვმა, ხაზანმა და სხვამ გამოსთქვეს შემდეგი შინაარსის განცხადება, შ.მათიკაშვილს უთქვამს: „თქვენ ფაშისტებზე უარესი ხართ, თქვენი საგაზეთო ცნობებით ფაშისტები მაგიდაზე აწვენენ და რეზინის ჯოხებით სცემენ, თქვენ კი, ადამიანებს აწამებთ უფრო დახვეწილი ხერხებით, მაგალითად,

როგორც მე: აშიმშილებთ, უკრძალავთ ამანათის მიღებას... თქვენ ჩემს წინააღმდეგ ქმნით საქმეს, მაგრამ ნამდვილი კონტრრევოლუცია გამოგეპარებათ... სრული გულრწფელობით ვამბობ, რომ მოთმინების ძალა აღარ მაქვს. მთავარი რაც გამაჩნდა დავკარგე – პარტია. ერთად-ერთი რაც შემრჩენია სინდისია და ახლა სიკვდილის წინ, როცა სინდისის ქენჯნას განვიცდი, მთელი პირდაპირობით უნდა ვაღიარო რომ, მე მთელი ძიების განმავლობაში განსაკუთრებით 1937 წლის იანვარ-თებერვალში ვიძლეოდი არასწორ, დანაშაულებრივ ჩვენებებს და განცხადებებს. ამრიგად, მე ჩავიდინე უამრავი დანაშაული, რისთვისაც მკაცრად უნდა დავისაჯო. ერთად-ერთი სიმართლე გადმოცემული და აღწერილი მაქვს ჩემს, 1936 წლის 20 სექტემბრის განცხადებაში. ძიებას ყველა შესაძლებლობა აქვს იგი დეტალურად შეამოწმოს . მე აბსოლუტურად არავითარი წარმოდგენა არა მაქვს რაიმე ტროცკისტული ცენტრის შესახებ, რომ მცოდნოდა მოვიქცეოდი ისე, როგორც ბოლშევიკს შეჰფერის. ამის შესახებ მინდა იცოდეთ ვიდრე მოვკვდები...“ (იქვე, ფურც.129, 146). აქედან ჩანს, რომ იგი თავიდან რაღაც საეჭვო და ნაკლები ბოროტების ჩვენებებზე დაიყაბულა ბერიამ.

ხალხის მტრების, ბერიას, გოგლიძის და სხვათა საქმის გამოძიებისას დადგინდა, რომ მათიკაშვილის საქმის შემდგომი ძიება მიმდინარეობდა საბჭოთა კანონების უხეში დარღვევით. სასამართლოზე გოგლიძემ და ქობულოვმა უჩვენეს, რომ ისინი მათიკაშვილს სცემდნენ ბერიასთან ერთად მისგან, მათთვის საჭირო ჩვენებების მიღების მიზნით.

ქობულოვმა 1953 წლის 11 აგვისტოს დაკითხვის დროს უჩვენა, რომ იგი ბერიას მითითებით მონაწილეობდა პატიმარ მათიკაშვილის ცემაში და მას ბერიას წინაშე აღიარებინა არა მარტო ანტისაბჭოთა მუშაობის წარმოება, არამედ ბერიას მოკვლის მიზანდასახულობაც (იქვე, ფურც.147).

ყაზბეგის რაიკომის მდივანს შალვა ნამგალაძეს გამოსძალეს საზარელი „აღიარებები“: „მათიკაშვილმა მითხრა, რომ მის მიერ უკვე შექმნილია ტერორისტული ჯგუფი“. დაასახელა რვა პიროვნება. „შემომთავაზა მეც ჩავბმულიყავი. რომ დავეთანხმე დამავალა მის პირველსავე მოწოდებაზე ვყოფილიყავი მზად. ყაზბეგის რაიონში

გამოვყავი ტერორისტების ჯგუფი (ასახელებს ხუთ კაცს, მეექვსე – ივანე ქობულოვის გადაბირება ვერ მოვასწარი, ვინაიდან იმყოფებოდა საზაფხულო საძოვრებზეო – გ.ც.). მან შ.მათიკაშვილის კომისარიატისადმი დაქვემდებარებულებად კონტრრევოლუციონერთა შორის „დაასახელა“ 50-მდე პიროვნება (საქმე, №17988, ПР-18967, ფურც.333-335).

გოგლიძემ სასამართლოს თავმჯდომარის კითხვაზე უპასუხა: „მათიკაშვილს პირველი დარტყმები მიაყენა ბერიამ, შემდეგ კი, ის სცემა ქობულოვმა. გოგლიძის ეს ჩვენება ქობულოვმაც დაადასტურა (იქვე, საქმე №12636, ფურც.147).

ბერიას საბრალდებო დასკვნაში მითითებულია, რომ მამულია და მისი ჩვენებით დასახელებულები დაკითხეს წამების გამოყენებით. მამულიას ჩვენების საფუძველზე დაპატიმრებულ იქნა სკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ყოფილი მდივანი, მამია ორახელაშვილი, რომელიც ადრე სკპ (ბ) ცეკას მარქსის, ენგელსის, ლენისისა და სტალინის ინსტიტუტში განყოფილების გამგედ მუშაობდა.

ორახელაშვილის ცემისა და წამების დროს ქობულოვი და კრიმიანი აღწევდნენ მისგან ცილისწამებას ს.ორჯონიკიძეზე.

მოწმის სახით დაკითხულმა შიდა (ჩეკას – გ.ც.) ციხის მუშაკმა (ექთანმა – გ.ც.) ტესტოვამ, 1954 წლის 8 ივნისს უჩვენა: „დახვრეტების დროს, მასთან ერთად ძალიან ხშირად გადიოდნენ გამომძიებლებიც: სავიცკი, კრიმიანი, ხაზანი, პარამონოვი. გაგონილი ხმების მიხედვით მე ვიცოდი, რომ ისინი გადიოდნენ ბრალდებულ-დასახვრეტთა საცემად. მე მიხდებოდა პატიმართა მასობრივი დარბევის ყურება. ჩვეულებრივად დაკითხულების საკნებში ძალიან ნაკლებს აბრუნებდნენ, ან კიდეც მოჰქონდათ უგონო მდგომარეობაში. დაკითხულები სამედიცინო დახმარებისთვის მოგვმართავდნენ ამოგდებული თითებით, სხეულზე დიდი ჭრილობებითა და სისხლჩაქცევებით. მათ ტერფები იმ ზომამდე ჰქონდათ დასახიჩრებული, რომ ტყავი ჰქონდათ გამძვრალი. პატიმრების წამების და მათგან სასურველი ე.წ. „აღიარებითი“ ჩვენებების გამოძალვის მიზნით, შიდა ციხეში შექმნილი იყო „ცხელი“ და „ცივი“ საკნები...

კრიმიანმა 1954 წლის 13 ივლისს, დაკითხვის დროს უჩვენა: მოდებაძე, მათიკაშვილი, ლავრენტევი (ღოღობერიძე) დაკითხეს ბ.ჭიჭინაძის დაპატიმრება-დაკითხვის და დასახელების შემდეგ...

მათიკაშვილის საქმის გამო მის მიერ დასახელებული ბევრი არ დაპატიმრებულა. მისი საქმის გამო მოწმის სახით დაკითხულებმა დ.ნ.გედევანიშვილმა, დ.ი.ფურადაშვილმა, ვ.ვ.ჩერქეზიშვილმა, კ.ვ.როგავამ, ვ.ს.გამყრელიძემ, ი.ტ.რცხილაძემ, ე.ე.აფხაიძემ, კ.ბელეცკიმ, იგი მხოლოდ დადებითად დაახასიათეს.

მათიკაშვილის საქმით გადიოდნენ მემარჯვენე კონტრრევოლუციონერებად მხილებულები: მ.ორახელაშვილი, ლ.ღოღობერიძე, ბ.ჭიჭინაძე, კირვალიძე, პ.ორჯონიკიძე, რომლებიც უდანაშაულობის გამო რეაბილიტირებულნი იქნენ. ასევე რეაბილიტირებული იქნენ ა.ახმეტელი, გოგეშვილი, ბუაჩიძე და სხვ.

ბესარიონ ლომინაძე, რომელმაც თითქოს შ.მათიკაშვილი ამხილა, დაპატიმრებული არ ყოფილა. მან თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე. მისი საქმე საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტის მიერ განადგურებული იქნა დაწვით, რადგან მასში არ აღმოჩნდა მისი ანტისაბჭოთა საქმიანობის დამამტკიცებელი საბუთები.

მათიკაშვილის აღიარება იმის გამო, რომ თითქოს აფხაზეთში ნ.ლაკობას ხელმძღვანელობით არსებობს კონტრრევოლუცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ლადარია, ჩალმაზი, მ.ლაკობა, ინალიპა და სხვები არ დასაბუთდა და ყველა ისინი 1955 წლის 3 აგვისტოს რეაბილიტირებული იქნენ. გამოირკვა, რომ მათი მასალების ფალსიფიცირება მოხდა ბერიას მითითებით და საქართველოს შინსახკომის ყოფილი მუშაკების მიერ (იქვე, ფ.153).

შ.მათიკაშვილის მრავალტომიან საძიებო საქმეში დასახელებულია 150-მდე პიროვნება, რომელთაგან დახვრეტილად მითითებულია 80-მდე. დახვრეტილთაგან ბრალდება არ აღიარა 20-მდე პატიმარმა. ზოგი ძიების დროს და ციხეში გარდაცვლილა . ყოფილი ჩეკას ბობოლა მუშაკი, ამიერკავკასიის შინსახკომის უფროსად ნამუშევარი ი.ფ.სტანსკი, რომელიც გიორგი ელიავამ დაასახელა და ამხილა. იგი სულიერად იყო დაავადებული და ძალით მკურნალობას ექვემდებარებოდა ჯერ ციხის საავადმყოფოში, შემდეგ

კი, ფსიქიურად დაავადებულთა ინსტიტუტში, მაგრამ რესპუბლიკის პროკურორის სანქციით მაინც დააპატიმრეს. იგი 1938 წლის 11 ივლისს გარდაიცვალა „პროგრესული პარალიჩით“ (იქვე, ПР-2431).

შ.მათიკაშილმა მეუღლის, ანნა სოლომონის ასული ბეიტმანის საქმე 20 წუთში განიხილა სსრ კავშირის იმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ - 1937 წლის 14 სექტემბერს. მოწმეები არ გამოძახებულან. განსასჯელს არ მოუთხოვია სასამართლოს შემადგენლობის აცილება. თავი დამნაშავედ ცნო, ოღონდ ეგ კი იყო, რომ საბოლოო სიტყვის უფლებით ისარგებლა და სიცოცხლის შენარჩუნება ითხოვა, ისიც გათვალისწინებული არ იქნა (ПР-2431, ტ.2, ფურც.93-94).

საქარტველოს სახალხო განათლების ყოფილი კომისრის, 1902 წლიდან პარტიის წევრის ყოფილი ნაციონალ-უკლონისტისა და „ნაციონალური ცენტრის“ წევრად შერაცხულის, მალაქია ტოროშელიძის მიმართ ჩეკას ძიების დამოკიდებულება სამაგალითოდ იყო ფალსიფიცირებული. თავდაპირველი წინააღმდეგობის შემდეგ, მას აღიარებინეს, რომ: თითქოს მას პარიზში მივლინებული კარპე მოდებაძის პირით ნოე ჟორდანიამ დაავალა საქართველოში შეექმნათ ნაციონალური ცენტრი, ხოლო ბუდუ მდივანისგან მიიღო დამატებითი ინფორმაცია ამ ცენტრის სტრუქტურაში პარტიების გაერთიანების წესის შესახებ.

მ.ტოროშელიძე იქამდე აწამეს, ვიდრე გადააწყვეტინეს „ნაციონალური ცენტრის“ პერსონალური შემადგენლობის დასახელება. მისგან გამოძალული ჩვენებებით „ცენტრში“ შედიოდნენ:

<u>ტროცკისტებიდან</u> – ბ.მდივანი, ს.ქავთარაძე, მ.ოკუჯავა, ბ.კვირკველია;

<u>მენშევიკებიდან</u> – ნ.ქარცივაძე, გ.მახარაძე, მ.ტოროშელიძე. მეხუთე ვეღარ გაიხსენა.

მასვე დაასახელებინეს: <u>„მემარჯვენეები“</u> - მ.კურულოვი, თ.ჟღენტი, კ.ხომერიკი, ს.კუხალეიშვილი, ვ.ჯიქია, ვ.ქურდაძე, ვ.გვარამია, გ.მგალობლიშვილი და „ტერორისტები“ - გ.გოგოტიშვილი, ვ.ლეჟავა, რ.ალავერდოვა, აქვ.პაპავა, შ.მარგალიტაძე,

ალ.თუმანოვი, ნ.აკირთავა, გ.ძიძიგური, ლ.აღნიაშვილი, ვარდინ-მგელაძე, კ.გორდელიძე (საქმე №6219, ს.3, ტ.1, ფურც.236-240).

უაღრესად საზარელია ბერიას მიერ განადგურებულ-მოსპობილი ქართველ ნაციონალ-უკლონისტ-ტროცკისტებად და მავნებლების ტიპიურ წარმომადგენლებად გასაღებული საქართველოს კომპარტიის ცეკას ყოფილი მდივნის, პარტიის სინდისად წოდებული მიშა ოკუჯავას (აკად. ვ.ოკუჯავას მამის), შალვა ოკუჯავას (ბულატ ოკუჯავას მამის), ცნობილი პოლიტიკური მოღვაწისა და საქართველოს ჩეკას ყოფილი ლიბერალი (ანტისაბჭოთა არალეგალურ მებრძოლთა მიმართ ლოიალური პიროვნების) საქართველოს ჩეკას ყოფილი თავმჯდომარის, კოლია ოკუჯავას დის და გალაქტიონის ფაქიზი სულიერი გრძნობებით შემკული მეუღლის, ოლიას ბედისწერა.

მ.ოკუჯავას 1937 წლის 12 ივნისის დაკითხვის ოქმში ვკითხულობთ:

„კვების მრეწველობაში ეწეოდა მავნებლობას, კერძოდ კონსერვის ხარისხის დადაბლების და ამით მოსახლეობის უკმაყოფილების გამოწვევის მიზნით (იგი ბოლო დროს საქკონსერვწარმოების მმართველად იყო ჩამოქვეითებული – გ.ც., საქმე №7982, ПР-5975, ტ.4, ფ.1464).

მ.ოკუჯავას უკიდურესი წამებით „აღიარებინეს“: „ჩვენი რეცეპტით დამზადებულ კონსერვებს წითელარმიელთა მოწამვლა უნდა გამოეწვიაო“ (იქვე, ფურც.1735). ამავე ოქმიდან ჩანს, რომ მას გადააფარინეს კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული კავშირები ბერიას მიზანდასახულობით განწირულ ადამიანებთან და მათ შორის შინსახკომის მუშაკებთან - გ.სარჩიმელიასთან და ნ.მდივანთან, აგრეთვე მაკეევკაში მოღვაწე ცნობილ ქართველ სპეციალისტ-მეტალურგებთან, მათ შორის გ.გვახარიასთან...

ბერიას მიერ პირად მტრად მოკიდებულ ამ სპეტაკ კომუნისტსა და სამშობლოს თვალსაჩინო პატრიოტს, რონმელმაც ტირანიის მხრივ იშვიათი წამება განიცადა, დაასახელებინეს საქართველოს რეგიონში (ლეჩხუმში, ლანჩხუთში, ქუთაისში) ვითომ მართლა არსებული ტერორისტული ორგანიზაციები (იქვე, ფურც.1736). ბერიას მიერ დაკვალიანებული სახელმწიფო უშიშროების

კონტრრევოლუციასთან მებრძოლი საძიებო სამსახური ასე თითხნიდა სტალინსა და ბერიაზე ტერორის განხორციელების საშიშროებასა და მისი დაძლევის პროფესიულ გმირობას, რომლის გამოც ყველაზე დიდი დამსახურება სავსებით სამართლიანად მიეწერებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანსა და საქართველოს ჩეკას შეფს, ფენომენალური ჩეკისტური ნიჭის მქონე ლავრენტი ბერიას. მისი ნიჭიერებისა და დამსახურებათა მოტრფილეების პუბლიკაციებში დღესაც ვკითხულობთ სიტყვებს - „ბერიას უყვარდა საქართველო...“.

ახლა, მას შემდეგ, როცა დამატებით და ნაწილობრივ მაინც გავეცანით ბერიას სისასტიკის პათოგენურ შედეგებს, საჭიროა დაუბრუნდეთ 1937 წლის ჩეკისტური ჩვენებების ესტაფეტისა და კონვეირული დახვრეტების შედეგების შეჯამებულ გაშუქებას. ამ აღიარება-ჩვენებების გამოძალვის პოლიტიკურ-ჩეკისტური ესტაფეტისა და კონვეირული დახვრეტა-გადასახლებების საფუძველზე ლ.ბერიამ, ი.სტალინს უკვე 1937 წლის 30-31 ოქტომბრის თარიღით უპატაკა:

საქართველოს სსრ რესპუბლოკაში „უკანასკნელ წელს საქართველოს შინსახკომის ორგანოების მიერ დაპატიმრებულია 12 000 კაცზე მეტი. დღეისთვის დაპატიმრებულთაგან გასამართლებულია: სამეულების მიერ 5236 ჯაცი. სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ – 210 კაცი. სსრკ შინსახკომის საგანგებო სათათბიროს მიერ – 591 კაცი. საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სპეც კოლეგიის მიერ – 468 კაცი. სამხედრო ტრიბუნალის მიერ – 99. სახალხო სასამართლოების მიერ – 70 კაცი (0.01 პროცენტი – გ.ც), ხოლო სულ დაპატიმრებულთა საერთო რაოდენობიდან გასამართლდა 7374 კაცი. (ე.ი. უმრავლესობა დაიხვრიტა. ეს არის კრემლის სახელმწიფოებრივი დაკვეთისა და ბერიას პირადი ინტერესებით გატარებული დიდი ტერორის სულ რაღაც 4-5 თვის შედეგი – გ.ც.).

საქართველოს შინსახკომის საპატიმოებში დღეისთვის, საერთო ჯამში 5 ათასზე მეტი ძიებაში მყოფია, რომელთაგან თბილისში პატიმრობაშია 2 ათასზე მეტი...“ დასახვრეტი და გასაუბედურებელი.

ბერია სტალინს ატყობინებს აგრეთვე იმ „საგანგაშო ვითარების“ შესახებ, რომელიც შექმნილია იმით, რომ:

„1. საკნების გადატვირთულობის გამო ირღვევა ერთ საქმეზე გამსვლელთა იზოლაციის წესი (! – გ.ც.).

2. შეუძლებელი ხდება პატიმრებისათვის განკუთვნილი ქცევის კონტროლი, რომელიც პატიმრებს შეთანხმების შესაძლებლობას აძლევს ადრე მიცემულ კ.რ. საქმიანობის უარსაყოფად... (ან უსიტყვოდ წამებისგან თავის დასაღწევი აღიარებისთვის, ან თვითმკვლელობისთვის – გ.ც.).

3. ახლად დაპატიმრებულებს ძველთაგან ეძლევათ ინფორმაცია, რომალსაც იყენებენ ჩვენებების მიცემის დროს.

4. პატიმრები ახლად შემომატებულებს ინფორმაციას აძლევენ დაკითხვის მეთოდის შესახებ” (ამიტომ ისიც იციან, რომ, თუ არ აღიარებენ ხეიბრად გახდიან, ან მოკლავენ – გ.ც.).

ბერია ი.სტალინს განუმარტავს: „საქათველოს შინსახკომსა და მის პერიფერიულ ორგანიზაციებში პატიმრების გადატვირთვა გამოწვეულია დაგროვილი განსახილველი საქმეების სამართლებრივი განხილვის გაჭიანურებით. ეს კი განპირობებულია სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გამსვლელი სესიების გადატვირთულობით”. ბერია ამით სტალინს განუმარტავს პრობლემას და შესაბამისად საქართველოს ცკ-ის სახელით სთავაზობს: „ნება დაგვერთოს შინსახკომის მიერ გამოვლენილი ტროცკისტულ-ტერორისტული, დივერსიულ-ჯაშუშური და მემარჯვენეთა დივერსიულ-ჯაშუშური ორგანიზაციის წევრების საქმეების განხილვისათვის, <u>სპეციალური სამეულების</u> შესაქმნელად, თუ არადა შევქმნათ <u>სპეციალური კოლეგია</u> საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობიდანო...“ (იხ.გ.ციციშვილი, კაცის სიცოცხლე ჩირად არ ღირდა, გაზ. „7 დღე“. 1990, 12 ოქტომბერი).

ზემოთ მოყვანილი შეტყობინების დოკუმენტი ნათლად მოწმობს ბერიას და საქართველოს ჩეკას იდეურ და პრაქტიკულ მუშაობას. ამასთანავე საყურადღებოა, რომ ბერიამ სინამდვილეში, როგორც ადრე ვნახეთ, სწორედ მისი პირადი ინიციატივით უკვე 1937 წლის ივლისში, შექმნა საქართველოს უმაღლეს სასამართლოს წევრთაგან

შედგენილი სპეციალური კოლეგია, რომელმაც ფაქტობრივად შეასრულა იგივე სპეციალური სამეულის მსგავსი ფუნქცია და ბერიას წინასწარი მითითებით, 10 ივლისს სასჯელის უმაღლესი ზომის განაჩენი გამოუტანა „საქართველოს ნაციონალური ცენტრის" წევრებად გასაღებულებს, რომლებიც იმავე დღეს დახვრიტეს, ჯერ კიდევ წინა დღეს, წინასწარ გაცემული გოგლიძის ბრძანების საფუძველზე.

როგორც ვნახეთ, ბერია სტალინისთვის მოწოდებულ სტატისტიკურ მონაცემებს უკავშირებს „უკანასკნელ ათი თვეს", ანუ ფაქტობრივად ადრინდელ და 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმზე სტალინის მიერ გამოთქმულ დირექტივებს. სინამდვილეში კი, აღნიშნული რეპრესიების დასკვნითი ნაწილი მხოლოდ ა.წ. უკანასკნელ ხუთ თვეში შესრულდა. 50-იან წლებში დაკითხულთა ჩვენებები მოწმობენ, რომ ასეთი შემჭიდროებული ვადების გამო, ბრალდებულთა დოკუმენტაცია კანონიერების დაცვის სკუპულოზური წესის იმიტაციით, ფორმალურად და მიზნობრივად ითითხნებოდა, ზოგჯერ კი დოკუმენტური გაფორმების წესი ირღვეოდა, მაგრამ ფაქტობრივად კონტრრევოლუციონერებად და ხალხის მტრებად გასაღებულებისა და ბერიას პირადი მტრების, თუ მისი ჩეკისტური პოლიტიკისადმი ურჩების „ჩისტკა" ხდებოდა.

დასახვრეტად, ზოგჯერ, ერთდროულად გაჰყავდათ 300-400 კაცი („სუკის" ყოფილი არქივი №2431, ტ. 3, ფურც. 312, 319). ასეთი დაჩქარებული სასაკლაო მექანიზმის ამუშავებამ ჩეკას სამძებროს კიდევ უფრო გაუადვილა მძიმე კატეგორიის „დამნაშვე", ხელისუფლების მიერ კონტრრევოლუციონერებად გასაღებულთა საქმეების შეკერვა-გაყალბება და ადამიანების მასობრივი მოსპობა. ამ ჩეკისტურმა პროცესმა თანდათან კიდევ უფრო საშიში საზოგადოებრივი და ანტიეროვნული ხასიათი შეიძინა... ჩემს მიერ, ყოფილი ჩეკას არქივის თანამშრომელთა მიერ 1989 წელს ნაჩვენები მასალების მხოლოდ ოქმი №1 და №2-ის მონაცემების მიხედვით, 1937 წლის ტერორის დროს დახვრეტილი იქნა 5842 ბრალდებული. ოქმი №3 არ მანახეს, განმიმარტეს-„დამუშავებაშიაო". 1938 წლის ოქმი №4-7-ის მიხედვით დახვრიტეს 2707 კაცი. ამის შემდეგ,1997 წლის 17 დეკემბერს, მითითებული არქივის უფროსის ბატონ იგორ მირონოვის

მიერ გაზეთ „მშვიდობა ყოველთა“-ს რედაქტორ-გამომცემლის, ქალბატონ ნანული ცაგარეიშვილის თხოვნით ფაქსით გადაცემული წინასწარი მონაცემების მიხედვით, საერთოდ 1937-1938 წლებში საქართველოში დაიხვრიტა 11264 კაცი. ე.ი. გამოდის, რომ 1937 წ. დაიხვრიტა 8557 ადამიანი. ამვე 1937-1938 წლებშიგასამართლებულებს მიესაჯათ, თავისუფლების აღკვეთა: 15 წლით – 2 კაცი; 10 წლით – 8974; 8 წლით – 342; სხვა ვადით 1768 (ჩავიწერე 13/VII-1998წ.-ს). 1939 წლის 1 იანვრისთვის საბჭოთა „გულაგის“ პატიმართა შორის ეროვნებით ქართველი იყო 11723 (გაზ. „аргументы и факты“ 1989, №35). საქართველოს მოქალაქე არაქართველებთან ერთად კი, უთუოდ იყო ბევრად უფრო მეტი. ასეთი პოლიტიკური რეჟიმის ვითარებაში ჩამოყალიბდა მ.ჯავახიშვილის და სხვათა ჩეკისტური ბედისწერა.

მაგრამ სად იყო ეს საძმო სასაფლაო, რომელშიც 30-იანი წლების დიდი ტერორის დროს არაადამიანური დაუნდობლობით ფლავდნენ, საბჭოთა ხელისუფლების მიმართ „ორგანიზებული და პრაქტიკული მოქმედებით გამოვლინებულად” გასაღებულ სხვადასხვა, პარტიულ-პოლიტიკური და ეროვნულ პატრიოტული შეხედულობების ადამიანებს, ე.წ. „ხალხის მტრებს“, რომლებიც საქართველოს და ქართველი ხალხისთვის ჭეშმარიტად არსებულზე უკეთესი მომავლის მისწრაფებით იყვნენ გამსჭვალულნი?! ამ 1997 წელსაც კი ამ ჩეკისტურ-სახელმწიფოებრივი საიდუმლოების შესახებ ისტორიკოსთაგან არავინ არაფერი ვიცოდით.

მაგრამ აი, ერთ დღეს, როცა სუკის არქივში ჩვეულებრივ საბჭოთა პოლიტიკური რეპრესიების მოწმეთა 50-იანი წლების ჩვენებებს ვეცნობოდი და ვიწერდი, სრულიად მოულოდნელად, წავაწყდი დიდი ტერორის დროს, ჩეკას იზოლატორის ზედამხედველ, ონისე მაღრაძის ჩვენებაში შეტანილ ასეთ ტექსტს: „...Приговореные к растрелу, растреливались в поле, в ночное время, в 18 километрах от г. Тбилиси, около села Соганлухи, в 8 км. от него...” (იქვე №ПР-5775, ტ.1, ფურც.316). ეს იყო კლიოს შემწეობა, ამ დროს ხალხისგან ფარულად დახვრეტილი და მკაცრად გასაიდუმლოებული მათი გაუპატიოსნებელი განსასვენებლების აღმოჩენისა.

კლიოს შთაგონება შესაძლებლობას მაძლევდა ათეული ათასობით დახვრეტილთა ჭირისუფალთათვის აღმომეჩინა მათი

მიცვალებულების სასაფლაო. ზოგს ათასობით კილომეტრზე, უცხოეთის ქვეყანაშიც არ ეშურებოდა თავისი მშობლისა, თუ დედმამიშვილის საფლავებისათვის ტრადიციული პატივის მისაგები მგზავრობა. ეს კი აქვე, თბილისსა და რუსთავს შორის, ათწლედების მანძილზე მიუსაფრად და გაუპატიოსნებლად მიეგდო ხელისუფლებას, ახლა კი, მე შესაძლებლობა მეძლეოდა იგი ათასობით ჭირისუფალთა ოჯახებისთვის წარმომეჩინა...

ჩუმად ავალაგე სამუშაოდ გამოტანილი მასალები და მის მცველს ბატონ ოთარს უსიტყვოდ ჩავაბარე. გაკვირვებულმა შემომხედა, სხვა დროს ყოველთვის სამუშაო დღის დამთავრების შეხსენება უწევდა, ახლა კი, შუა დღეც არ იყო. ჩეკას მეოთხე სართულიდან სწრაფად ჩამოვირბინე, მახლობელ ქუჩაზე მდგარი ჩემი მოსკვიჩის საჭეს მივუჯექი, მანძილის საზომი ჩავრთე და გეზი აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფელ სოღანლულისკენ ავიღე. ჯერ სოფლის სკოლის დირექტორს მივაკითხე... მისი დახმარებით სოფლის უხუცესებს დავუკავშირდი. „ადამონ გირლან" – ადამიანთა სასაკლაო ამბობდნენ მოხუცები. მის შესახებ უმრავლესობას კარგად ახსოვდა. მათ შორის, ზოგმა დასახვრეტებისთვის გაჭრილი და წინასწარ მომზადებული, შემდეგ კი, დახვრეტილუბით ამოვსებული თხრილების შესახებ მომითხრო. ერთი მათგანი დახვრეტის შემსწრეც აღმოჩნდა - „თივის მოსატანად წასულს სროლის ხმა შემომესმა, ბალახში გავწექი და იქიდან ვადევნებდი თვალსო". მან აგრეთვე მითხრა: „დღისით სამარხებს შეიარაღებული გუშაგი იცავდა, რომელიც შორიახლოს გავლას გვიკრძალავდაო"... მათ შორის შედარებით ახალგაზრდები სამარხების მინდვრის დასათვალიერებლად წამოყოლასაც არ დამზარდნენ. აღმოჩნდა, რომ „ადამონ გირლანი" რუსთავისკენ მიმავალი გზატკეცილის მიმდებარე იმ ადგილებზე ყოფილა სადაც მკვეთრი აღმართია. ადგილობრივთა გადმოცემით იმ დროს საავტომობილო გზა მტკვრის ნაპირს მიუყვებოდა. ამ ადგილს მაშინ გზისგან ჭალა ფარავდა და მიუვალ ადგილს წარმოადგენდა. ახლა კი ჩვენს წინ გადაიშალა მინდვრის ყვავილებითა და ხასხასა ბალახით მოქარგული ულამაზესი ველი. ადგილობრივ გამყოლთა გადმოცემით, მსოფლიო ომის შემდგომ წლებში კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ერთხელ ამ ველის

გადახვნა და ხორბლის მოსავლის მიღება უცდია, მაგრამ ბალახისა და ყვავილების გარდა არაფერი ამოსულა. ამის, შემდეგ მისი დამუშავება არავის უცდია და არისო ასე ლამაზად როგოც ახლა. ბექობის მიმდებარე წყალნარევში კი ლერწამი ხარობს და სიმშვენიერეს მატებს ეგზოტიკურ გარემოს.

მეორე დღეს იმავე ადგილს ჩემი მეგობარი ისტორიკოსისა და ცნობილი ჟურნალისტის, ალიკო ასლანიშვილის, აგრეთვე გაზეთის ცნობილი ფოტორეპორტიორის, გენადი სანაიას და სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენელთა ჯგუფის სახით ვეწვიეთ. აქაურობა ფოტოგრაფულად დავაფიქსირეთ, ის აზრიც გამოვთქვით, რომ შთამომავლობა, ახალი ხელისუფლების თანადგომით, აქ ოლღას (დღევანდელი კოსტავას) ქუჩის მიმდებარე ვერის სასაფლაოზე არსებული პარკის მსგავსად, გააშენებდა საბჭოთა ტოტალიტარიზმის მსხვერპლთა მემორიალურ პარკს, მოაწყობდა მსგავსად იმისა, როგორიც ბაქოელებმა გააშენეს ზღვისპირა ამფითეატრის მსგავს ლანდშაფტში და ხსოვნის ძეგლსაც აღმართავდა... ჭირისუფალთა, მათ შთამომავალთა და აგრეთვე ტურისტებისთვის. მაგრამ ამაოდ... ამ მადლიანი საქმისთვის ჯერ-ჯერობით ვერცერთმა ხელისუფალმა ვერ მოიცალა.

ამ აღმოჩენის შესახებ ა.ასლანიშვილმა გაზეთის ფურცელზე გამოაქვეყნა ჩემი ვრცელი ინტერვიუ და ჩეკას არქივში ჩემს მიერ მოპოებული რეპრესიების მეთოდების მამხილებელი ცნობები (ა.ასლანიშვილი, თბილისიდან მე-18 კილომეტრზე, სოღანყულთან, გაზ. „ერი", 1991, 19 ივნისი). ამის შემდეგ მან ეს ამბავი თავისი მონაპოვარის დამატებით, საკუთარი პუბლიკაციების კრებულშიც შეიტანა, ოღონდ აქ ჩემი ღვაწლი გადაჭარბებული შეფასებით აღწერა.

არა და, ჩემთვის ცნობილი წყაროები მოწმობენ, რომ წინამდებარე წიგნის მოცემულ თავში აღწერილი შემაძრწუნებელი მოვლენები ხდებოდა იმ დროს, როცა, სინამდვილეში საქართველოში არსებობდა ანტისაბჭოთა პატრიოტულ ძალთა (მწერლების, მეცნიერ-პედაგოგების და სხვ.), საბჭოთა შიდა პარტიულ და სახელმწიფოებრივ ხელმძღვანელთა (ყოფილი ნაციონალ უკლონისტების, სამეურნეო სფეროს მუშაკების) მხოლოდ იდეური

ოპოზიცია, მაგრამ არსებულ საბჭოთა ტოტალიტარულ რეჟიმს რეალურ ანტისაბჭოთა არალეგალურ-კონტრრევოლუციური, მებრძოლი ორგანიზაციულ-პრაქტიკული მოწინააღმდეგე არ ჰყავდა და ამდენად არსებულ რეჟიმს დამხობის რეალური ანტისაბჭოთა ორგანიზაციულ-პრაქტიკული საშიშროება არც ემუქრებოდა. ამის შესახებ დამატებით საყურადღებო ცნობებს გვაწვდის რეპრესიებ გამოვლილი ცნობილი საბჭოთა სახელმწიფო მუშაკი, სერგო ქავთარაძე, რომელმაც დიდი ტერორის ჩეკისტური ზემოქმედება თავად განიცადა. მან 1954 წელს სარეაბილიტაციო ძიებას საკუთარი ინიციატივით წარუდგინა დიდი ტერორის დროინდელი რეპრესიებისა და ვითარების დამახასიათებელი პირადად განცდილი წამებითა და საკუთარი გამოცდილებით შეძენილი აზრი. იგი ამასთანავე არის ჩემს მიერ მოპოვებული და ჩემთვის ცნობილი წყაროების საფუძველზე, ჩემს მიერ ჩამოყალიბებული და გამოქვეყნებული, მეცნიერული აზრის, ანუ სათანადო წყაროების ანალიზის სავსებით თანმხვედრი.

ავტორი დამაჯერებლად წერს: "После ликвидации внутрипартийной оппозиции (1929-1930 гг. - Авт.) никакой организации оппозиционного характера в Грузии не существовало, и, следовательно, и никакого антипартийного центра. Были ответственные лица, настроенные оппозиционно. Об их какой бы то ни было деятельности против партии и Советской власти мне абсолютно ничего не известно.

Находясь под постоянным действием невыносимых методов (угрозы расстрелом, инсценировки расстрела, физическое и нервное изнурение, граничавшее с умопомешательством (например, мне казалось, что у меня сохнет голова и сокращается череп), я наговорил на себя и признал наговоры других лиц на меня (Мдивани, Гасвиани, Серебрякова и др.). На эти наговоры, парируя и защищаясь, я отвечал контрнаговорами, как это было на очной ставке Мдивани со мной. Возможно, что в условиях психического и физического принуждения мною даны требуемые следователям показания!" (იხ. საქართველოს შინაგანსაქმეთა სამინისროს, ანუ ე.წ. „სუკის" არქივის საქმე №11545, ფურც.71). როგორც ჩემს მიერ შემოთავაზებული წიგნის ფაქტობრივი მასალა და მასზე დაყრდნობილი ჩემი ანალიზი მოწმობს დიდი ტერორის

გამამართლებელი ხელისუფლების მიმართ ჩეკისტურად წარმოჩენილი ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციულ-პრაქტიკული ბრძოლისა და ტერორის არსებობა არ დასტურდება.

რაც შეეხება ბუდუ მდივანის შესახებ არსებული ინფორმაციას, რომლის მიხედვით ისე ჩანს, რომ იგი „მოწინააღმდეგე ხელისუფლებასთან ბრძოლაში მზად იყო შეკვროდა ეშმაკსაც" და „თუ არა კომუნისტების მხრივ მისი დაპატიმრება, იგი თვითონ ჩამოკიდებდა მათ ტელეგრაფის ბოძზე" – ეს სიტყვები, ჩემი აზრით, უნდა გამოხატავდეს არა იმ ხარისხის რეალობას, არამედ უპირატესად ჩეკისტური ძიების მიერ ხელისუფლების დაკვეთით უკიდურესად გაწამებული და დასახვრეტად განწირული მოწინააღმდეგეს სულიერ განწყობილებას. ამასთანავე, არ გამოვრიცხავ, რომ ხელისუფლების მიერ განწირულ ქართველთა შორის, მართლაც იყვნენ ბუდუ მდივანის მიერ გახმოვანებული განწყობილების პიროვნებები. უთუოდ იყვნენ ბერიას მოსპობის მოსურნეები, მაგრამ ჩემს ხელთ არსებული წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ საქართველოში იყო ხელისუფლების მიმართ არსებული ფართო, სერიოზული ოპოზიციური და ბერიას მიმართ მტრული განწყობილება. პატრიოტულ „მემარჯვენე" ინტელიგენციაში არსებობდა და დომინირებდა, ბოლშევიკურ-ჩეკისტური ტოტალიტარული რეჟიმის სიძულვილი, რომელიც რეჟიმისა და ბერიას შესახებ მეგობრულ საუბრებსა და შეკრებებზე მართლაც გამოითქმებოდა. მაგრამ ზემოთ ჩეკისტურად მითუმეტეს წინამდებარე წიგნის II თავში ასახული და გაშუქებული მიმდინარეობების ორგანიზაციულ-პრაქტიკული ანტისაბჭოთა არალეგალური ბრძოლა, არ არსებობდა. მაშასადამე, ხელისუფლებისა და ბერიას პოლიტიკით უკმაყოფილო ათასობით კომუნუსტისა და პატრიოტი მამულიშვილის მოსპობა განაპირობა რეჟიმით ნასაზრდოებმა პოლიტიკამ, რომელსაც ბერია იდეურად და პრაქტიკულად მართავდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების რეალური შანსების საერთაშორისო მასშტაბით აღმოცენების შემთხვევაში, არ იყო გამორიცხული რეჟიმის ამ ოპოზიციურ ძალთა კონსოლიდაცია და მათი ანტისაბჭოთა ორგანიზაციულ-პრაქტიკული ბრძოლის

მასობრივი განვითარება. მაგრამ ეს არის პერსპექტივის პროგნოზირებით აღქმის ვარაუდი, ხალხი კი იჟლიტებოდა მათ მიმართ ანტიბოლშევიკურ-ანტისაბჭოთა ორგანიზაციული პრაქტიკული ბრძოლის მიზნობრივად მოაზრებული ყალბი ბრალდებით... ასეთ ვითარებაში ჩატარდა რეპრესიების პირველი 1937 წელი, რომელმაც განაპირობა მრავალ სხვათა და მათ შორის,წინამდებარე წიგნის განვლილ და მომდევნო თავში ასახული ათასობით ადამიანის, მათ შორის პ.იაშვილის, მ.ჯავახიშვილის, ტ.ტაბიძის და სხვათა ჩეკისტურად ნამართავი ცხოვრებისეული პერიპეტიები, რომელმაც გაყალბებულად ახსნის შესაძლებლობაც ასაზრდოვა და მისი სწორად გაგებისაც. მაშასადამე, „არ არის საიდუმლო, რომელიც არ გაცხადდეს". ამაში მკითხველი მომდევნო თავში კიდევ უფრო საგნობრივად დარწმუნდება.

ამასთანავე, ისიც უნდა ითქვას, რომ პოსტსაბჭოთა წლებში ბევრი დაიწერა და გამოქვეყნდა არა მარტო სტალინისა და ბერიას მხილების, არამედ მათი განსაკუთრებული დამსახურების შესახებ საბჭოთა ხალხის, ქართველებისა და საერთოდ კაცობრიობის მიმართ. ასეთი და მსგავსი პუბლიკაციები დღესაც იბეჭდება, მათ შორის პოპულიარული პრესისი ფურცლებზე. ჩემი აზრით, მათ ავტორებს აქვთ ამის მორალური უფლება, იმის მიუხედავად, რომ მათი სუბიექტური მიზანდასახულობით, ისინი საკითხებს და პიროვნებებს აშუქებენ ცალმხრივად. ამ პუბლიკაციებში მართლაც ასახულია რაციონალურიც. ცალმხრივობა კი, გამოწვეულია ამ პუბლიკაციის ავტორთა სპეციფიური მიზანდასახულობითა და ქრონოლოგიური სივრცის რეალობის თვალსაწიერი. იყო დრო, როცა ზოგი მკითხველი ჩემს ახლებური აზროვნების პოზიციებიდან დაწერილ 1989 და შემდგომ წლების ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებულ საბჭოთა ეპოქის რეპრესიებზე გამოქვეყნებულ საგაზეთო სერიებს ეჭვისთვალით კითხულობდა. ზოგს მიაჩნდა, რომ 1937 წელს ნადგურდებოდა მეხუთე კოლონა და ჩემთვის ამ მიზნით შემოდავებასაც არ ერიდებოდა. არ არის გამორიცხული, რომ ვინმემ ახლაც გამოავლინოს მსგავსი აზრი. გილწრფელად გამოთქმული საწინააღმდეგო თუნდაც მცდარი აზრი დამატებითი სტიმულის წყაროა. ისე კი, ისიც გასათვალისწინებელია, ვისი პოზიციებიდან და

როგორ გავიგებთ მეხუთე კოლონას. მაგრამ ისეც ხდება, რომ მუშაობს ქვენაგრძნობებით გამოწვეული კრიტიკაც. მე კი, მიმაჩნია, რომ წინამდებარე წიგნში, ჩემი ძალისხმევითა და სრული სიმართლით წარმოჩენილი პრობლემები სხვაგვარად ვერ გაშუქდებოდა, თუ არა ჩემ მიერ შემოთავაზებული სახით.

წინამდებარე ნაშრომი დამატებით მოწმობს, რომ: ტროცკისტად გაზვიადებული ქართველი ნაციონალ-უკლონისტები სინამდვილეში იყვნენ საბჭოთა საქართველოს მაქსიმალური სუვერენული უფლებების შენარჩუნებისათვის მებრძოლი პატრიოტი ბოლშევიკები. სხვა ყოფილი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და კულტურის სფეროს განადგურებული ლიდერები კი, უმთავრესად იყვნენ „ბერიას ჩეკისტური მმართველობის“ მოწინაღმდეგეები, ხოლო ანტისაბჭოთა პარტიების ყოფილი წევრები და უპარტიო ოპოზიციის განადგურებული თვალსაჩინო წარმომადგენლები სინამდვილეში წარმოადგენდნენ სამშობლოს სრული დამოუკიდებელი აღორძინება-განვითარების სურვილით გამსჭვალულ ადამიანებს. ყველა ისინი, ერთად აღებული, საერთოდ იყვნენ ტოტალიტარულ-ბოლშევიკური, ანუ იგივე კომუნისტურ-იმპერული პოლიტიკის ორგანიზაციულ-პრაქტიკულ ოპოზიციად შერაცხულნი და ხელისუფლების მიერ დამარხული ქართული ეროვნული ენერგიის სისხლ-ხორცეული წარმომადგენლები.

<u>თავი XII. მიხეილ ჯავახიშვილის სარეაბილიტაციო პროცესი და რეაბილიტაცია</u>

წინამდებარე წიგნის მოცემული თავი შესაძლებლობას გვაძლევს დამატებითი ფაქტებისა და პროცესების შუქზე სწორად გავიაზროთ 1937 წლის დიდი ტერორის ისტორია და ამავე დროს, რეტროსპექტული მეთოდით შევაფასოთ მ.ჯავახიშვილის, ტ.ტაბიძისა და პ.იაშვილის მიმართ ბერიას და მისი ხელქვეითი ჩეკას საძიებო ორგანოების საქმიანობა. ეს საკითხი აგრეთვე მოითხოვს სადღეისოდ კვლავ არსებული სხვა ფაქტების და ამბების მიზნობრივად ტენდენციური გაშუქების მაგალითების გამომზიურებას. ამ მხრივ კვლავ ყურადღებას იმსახურებს მ.ხომერიკის მოსაზრებათა ხარვეზების მხილება. სხვაგვარად სიმართლის სრულყოფილად გაშუქება შეუძლებელია.

მ.ხომერიკის ბოლო წიგნი-პასკვილის კონცეპტუალური აზრისა და ისტორიის ფაქტების მისეული ინტერპრეტაციების ბოროტი არსის შემეცნებისათვის უაღრესად თვალსაჩინო და საყურადღებოა, აგრეთვე დასახელებული წიგნის IV თავი - „რეაბილიტაცია“. ეს თავი ძირითადად სტალინისა და ბერიას მმართველობის შემდგომ, 1954-1955 წლებს ეხება და მ.ხომერიკის პროვოკატორობის მხილებისათვის მართლაც უნიკალური და მისი მიზნობრივი ბოროტების თვალსაჩინო მამხილებელია. ამ თავში ჩადებული ავტორის მთავარი არსი იკითხება მის დასაწყის განცხადებასა და ბოლოში ჩამოყალიბებული დასკვნით.

მ.ხომერიკს IV თავის დასაწყისში ნათქვამია: „ისეთი შთანებჭდილება მექმნება, თითქოს <u>საბჭოთა ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი პირების მაშინდელი მენტალიტეტი დიდად არ განსხვავდებოდა რეპრესიების ხანის მენტალიტეტისაგან“</u> (გვ.120). ჩემი აზრით, ეს არის არამარტო რეაბილიტაციის პროცესის მონაწილეების, არამედ რეაბილიტირებულთა შეურაწყოფა.

მოცემული წლების პიროვნებათა მენტალიტეტების მსგავსების საილუსტრაციოდ მ.ხომრიკს მოცემულ თავში თავისებურად აქვს გამოყენებული მხოლოდ სამი პიროვნების საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, ალექსი ინაურის; სსრ კავშირის გენერალური

პროკურორის, რომან რუდენკოს და მ.ჯავახიშვილის გამომძიებლის თანაშემწის, მიხეილ ნაცვლიშვილის მიერ გამოთქმული აზრების მიზნობრივი ამონაგლეჯები და ამონარიდები. მის მიერ კი, იგულისხმებიან სხვა 50-იანი წლების წარმომადგენლები, რომლებიც რეაბილიტაციის პროცესში მონაწილეობდნენ, მაგრამ ისინი ადვილი ამოსაცნობი არიან, მ.ხომერიკის მიერ „მხილებულებისთვის“ მიწერილი მსგავსი „ბრალეულობებით“. მათი თავისებური ინტერპრეტაციით მ.ხომერიკს წარმოჩენილი აქვს ამ პირების მიერ ტყუილად, მცდარად და დაუჯერებლად მიჩნეული, ზოგჯერ მართლაც ასეთი, მაგრამ მათი მიზანდასახულობით და არსის თვალსაზრისით სრულიად განსხვავებული აზრის შემცველი გამონათქვამები. ამ ცბიერი ხერხით მ.ხომერიკს მკითხველი შეჰყავს შეცდომაში. მას ისე გამოჰყავს, რომ მკითხველმა ვერ ამოიცნოს მისი გაუკუღმართებული ინტერპრეტაციების ნამდვილი მიზნადასახულობები. წყაროების ინტერპრეტაციის მ.ხომერიკისეულ ხერხებით ისე გამოდის თითქოს მ.ჯავახიშვილის რეაბილიტაციის აღნიშნული სამი მონაწილე 30-იანი წლების ჯალათების მსგავსად ტყუის და ასეთები არიან რეაბილიტაციის პროცესში მონაწილე სხვებიც. ასეთი ლოგიკით მ.ხომერიკს ისე გამოჰყავს თითქოს ყველა ვინც მ.ჯავახიშვილის რეაბილიტაციაში მიიღო მონაწილეობა, ისეთივე არაობიექტურები არიან, როგორც 30-იანი წლების ფალსიფიკატორი ჯალათები და თავად რეაბილიტირებულნი, მათ შორის მ.ჯავახიშვილიც, რამდენადაც ყველა ისინი იყვნენ ცოდვილნი.

ჩემს მიერ მიგნებული, წყაროების მ.ხომერიკისეული „ახსნის“ და მათი სიღრმისეული გაგების მიზნით საჭიროა ეტაპობრივად გამოვამჟღავნოთ იგი. ამისთვის საჭიროა, პირველ ყოვლისა წარმოვაჩინო ამავე თავში მოყვანილი, რ.რუდენკოს დასკვნა-წარდგინების, ა.იანურის ნათქვამისა და მ.ნაცვლიშვილის ჩვენების ნამდვილი სულისკვეთების და არსის საწინააღმდეგო ის მ.ხომერიკისეული მდგომარეობები, რომელთა ხელოვნური მაქინაციების საფუძველზეც, იგი IV თავის ბოლოში აყალიბებს მკითხველის მოსატყუებელ თავის მეთოდოლოგური ხასიათის შემაჯამებელ დასკვნას: „<u>აი, როგორ გარდაიქმნენ და როგორ</u>

ემსახურებოდნენ სიმართლეს რუდენკო და ძმანი მისნი 1950-იან წლებში“.

მ.ხომერიკი ცბიერი კვლევა-ძიების მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის სრული გააზრებისთვის საჭიროა ჯერ გავაერთიანოთ მისი ზემოთ მოყვანილი ორი „აღმოჩენა“, ხოლო ამის შემდეგ მივყვეთ მისი კვლევის ანალიზის ილუსტრირებას და წარმოვაჩინოთ იმ წრის წარმომადგენლები ვინც იგულისხმებიან სიტყვებში - „ძმანი მისნი“.

მაშასადამე, მ.ხომერიკმა „აღმოაჩინა“, რომ 1950-იანი წლების „საბჭოთა ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი პირების მენტალიტეტი დიდად არ განსხვავდებოდა რეპრესიების ხანის (სტალინის, ბერიას და მისი ჯალათების – გ.ც.) მენტალიტეტისგან“ და „აი, როგორ გარდაიქმნენ და როგორ ემსახურებოდნენ სიმართლეს რუდენკო და ძმანი მისნი (ანუ მ.ჯავახიშვილის და სხვათა რეაბილიტაციის მონაწილეები – გ.ც.) 1950-იან“ წლებში. ამ მ.ხომერიკისეული აღმოჩენით დილეტანტი მკითხველი ადვილად ებმება ავტორის მიერ დაგებულ მახეში. მას ეჩვენება, რომ მ.ჯავახიშვილის რეაბილიტაცია მოხდა იმიტომ, რომ 1930-იანი წლების მსგავსი მენტალიტეტის პირებმა განახორციელეს, ჩეკას და ბერიას წინაშე „დამსმენი, ჩეკას აგენტის“, მ.ჯავახიშვილის რეაბილიტაცია 50-იან წლებში...

მაშასადამე, განსახილველ IV თავში, მ.ხომერიკს მის მიერ მოხმობილ-მითითებული განცხადების, დასკვნისა და ტენდენციური კვლევის ნიმუშებით, მის მიერ მოხლაფორთებულ ხაფანგში თანდათანობით იმიტომ შეჰყავს, მკითხველი რომ დააჯეროს, თითქოს 1930-იანი წლების სახელმწიფოებრივი და პასუხისმგებელი ჯალათებისა და 1950-იანი წლების რეაბილიტაციის ხელშემწყობი პირების, ა.ინაურის, რ.რუდენკოს და სხვების, ანუ „ძმანი მისნის“ მენტალიტეტი „დიდად არ განსხვავდებოდა“. რადგან თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს ტყუოდნენ რეპრესიების დროინდელი ჯალათებიც და ტყუიან რეაბილიტაციის მონაწილე 50-იანი წლების „საბჭოთა ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი პირებიც“. ამის გამო მათ მოახდინეს რეაბილიტაცია ჩეკას და ბერიას აგენტ-თანამოაზრე-თანამებრძოლთა დამსმენი „არსენასი“- ანუ მ.ჯავახიშვილის. მ.ხომერიკი არ ასახელებს ვინ არიან ეს „ძმანი

მისნი 1950-იან წლებში“. მაგრამ მ.ხომერიკის მიერ მ.ჯავახიშვილის „რეაბილიტაციის“ ისტორიის გაშუქების დროს დასახელებული ა.ინაურის, რ.რუდენკოს, მ.ნაცვლიშვილის მენტალიტეტის მისეული უპასუხისმგებლო და ბოროტი გაშუქების მაგალითზე, მათი ვინაობის დადგენა და დასახელება ადვილად შეიძლება თუნდაც ანალოგიის მარტივი მეთოდით და მითუმეტეს ფაქტებით.

მ.ჯავახიშვილის, ტ.ტაბიძისა და პ.იაშვილის რეაბილიტაციის ისტორიის მცოდნეებმა კარგად იციან, რომ, მათ რეაბილიტაციას, თავიანთი „ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი“ მენტალიტეტითა და შესაძლო კომპეტენციის მიხედვით, ასეთი პირები არიან არა მარტო რ.რუდენკო, ა.ინაური, მ.ნაცვლიშვილი, არამედ მოსკოველი და თბილისელი ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი პირები. მათ შორის არიან 50-იანი წლების საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პოლიტბიუროს წევრები, პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე, ა.ინაური და სხვები, მაშასადამე, აგრეთვე მ.ჯავახიშვილილის ქალიშვილის, ქალბატონ ქეთევანის მიერ მამის რეაბილიტაციის აქტიურ მხარდამჭერად და მათი ოჯახის გულისშემატკივარის სახით დასახელებული საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე – ირაკლი აბაშიძე. ზოგი მათგანის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, აქ კი, საჭიროდ მესახება წარმოვაჩინო მ.ხომერიკის მიერ ტექსტის ამოგლეჯვით და მკითხველისთვის მიზნობრივი მაქინაციით მოყვანილი, წყაროების თავისებური ინტერპრეტაციებით გამოყვანილი ის დასკვნები, რომლითაც ირკვევა როგორც წყაროს ნამდვილი არსი, ისე მისი, მ.ხომერიკისთვის სასურველი სახეცვლილება და ასევე, პიროვნებათა მენტალიტეტების მსგავსების მისეული ანალოგიები.

მაგალითად, მ.ხომერიკს 1930-იანი წლების ჯალათაბის მენტალიტეტის მატარებლად ა.ინაურის გაყალბების მიზნით, მიზნობრივად, შეკვეცილ ნაწილებად მოჰყავს მ.ჯავახიშვილის ქალიშვილისა და შემდეგში მამის ცნობილი ბიოგრაფის, ქ.ჯავახიშვილის ა.ინაურთან საუბრისა და მამის საქმის გაცნობის ჯიუტად მოთხოვნის გამო, ა.ინაურის მიერ გაცემული პასუხის ასეთი ნაწყვეტი: „მიხეილის საქმეს რომ გადახედოთ, გაგიკვირდებათ მასში მხოლოდ ერთი ფურცელი დევს. ეს არის დაკითხვის ოქმი, მეტი არაფერია. მას დააბრალეს, რომ ერთდროულად 11 სახელმწიფოს

ჯაშუში იყო". (ქ.ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება, თბ. 1991, გვ. 433). აქ ინაურმა მართლაც იცრუა და გააზვიადა. როგორც ადრე გავეცანით მ.ჯავახიშვილი მის საქმეში დაცული „ჩვენებებით", არის მხოლოდ სამი სახელმწიფოს (პოლონეთის, გერმანიის და იტალიის) „ჯაშუშად" გაყალბებული. მართალია, ა.ინაურმა იცრუა, მაგრამ, არა ისე, ანუ იმ მიზნით როგორც 30-იანი წლების ჯალათები ცრუობდნენ, არამედ მ.ჯავახიშვილის ქალიშვილის მოგერიების უაღრესად კეთილი და გამართლებული მიზნით. ამას მოსდევს მ.ხომერიკისეული ინერპრეტაციისთვის გამიზნული ა.ინაურის სიტყვის სხვა ამონაგლეჯი: „ამით მივხვდით (რებილიტაციის მომზადების ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი, 50-იანი წლების პირები – გ.ც.), რომ საქმე ხელოვნურად იყო შექმნილი და მიხეილის მოსასპობად ტყუილი ბრალდების შექმნა დასჭირდათ". ა.ინაური ამ აზრითაც ცრუობს, მაგრამ ისევ კეთილი მიზანდასახულობით. სინამდვილეში, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ა.ინაური და სხვ. მ.ჯავახიშვილის ჩეკისტურ გაყალბებას მიხვდნენ, არა მწერლის ჯაშუშობის დიდი სიმრავლით, არამედ მისი ხელნაწერი განცხადება-„ჩვენებისა" და საერთოდ მის შესახებ ძიების მიერ შეთითხნილი საქმის მასალებით. მაგრამ ზემოთ ციტირებული ამონაგლეჯების, ანუ ციტატების მიზნობრივი ნაწყვეტების შეერთების საფუძველზე მ.ხომერიკი აყალიბებს მკითხველის დამაბნეველ საკუთარ აზრს: „ეს ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება, რაზედაც ქ.ჯავახიშვილი არ აგებს პასუხს, მაგრამ თავისი მოგონებების საშუალებით ხელს უწყობს მის გავრცელებას. მ.ჯავახიშვილის საქმეში ერთადერთი ფურცელი კი არ იდო, არამედ იგი სქელტანიან ტომს წარმოადგენდა. რაც შეეხება 11 სახელმწიფოს ჯაშუშობას ეს კონკრეტული რიცხვი ბრალდებაში არ არის... ინაურის მსჯელობის მიხედვით კი, მ.ჯავახიშვილის უდანაშაულობა იმ ერთადერთ ფაქტს ემყარება, რომ მას თერთმეტი სახელმწიფოს ჯაშუშობა დააბრალეს. ა.ინაური განაგრძობს „ამით მივხვდით, რომ საქმე ხელოვნურად იყო შექმნილი და მიხეილის მოსასპობად ტყუილი ბრალდების შექმნა დასჭირდათ". ამ მ.ხომერიკისეულ ლოგიკურ, მაგრამ მიზნობრივად და აზრობრივად აბსურდულ

მსჯელობას აბზაცით მოსდევს მ.ხომერიკის ასევე აბსურდული „აღმოჩენა“:

„პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ 11 სახელმწიფოს ჯაშუშობა, ანუ ბრალდება, რომლის საფუძველზეც მ.ჯავახიშვილი გაამართლეს, სწორედ მისი რეაბილიტაციის დროს იყო შეთხზული“ (?! – გ.ც., მ.ხომერიკის დასახელებული წიგნი, გვ.120). მაშასადამე, მ.ხომერიკმა თავისებური დოკუმენტურ-ლოგიკური ექსკურსით ისე გამოიყვანა, რომ თითქოს მ.ჯავახიშვილი გაამართლეს არა ღირსების შესაბამისად, არამედ რეაბილიტაციის დროს შეთითხნილი ტყუილის საფუძველზე.

მ.ხომერიკმა კარგად იცის, რომ მ.ჯავახიშვილის რეაბილიტაცია ა.ინაურის ამ კეთილი მიზანდასახულობების სიცრუის საფეძველზე არ მომხდარა. მაგრამ, რაც მთავარია მკითხველი ხომ მწარედ მოატყუა, ეს არის მისთვის მთავარი. მაგრამ მ.ხომერიკმა მკითხველი დააკვალიანა იმ ხერხით, რომ ქ.ჯავახიშვილის მონათხრობიდან ა.ინაურის მიერ ნათქვამი ტყუილის მოტივაცია გამოტოვა და მკითხველს საკუთარი ტყუილი შეაჩეჩა, ანუ მიასაღა.

სინამდვილეში ქ.ჯავახიშვილის ამონაგლეჯ-დაცილებული სიტყვების შეერთებით ნათქვამი ა.ინაურის აზრი და მისი მიზანი სულ სხვაა. ქ.ჯავახიშვილი აღნიშნულ პერიოდს ასე იხსენებს: „როცა ვთხოვე ინაურს ეჩვენებინა ჩემთვის ეს საქმე, მან უარი მითხრა, ისედაც საკმარისია თქვენთვის რა ნერვიულობაც გადაიტანეთო. თქვენ ამიერიდან მამასთვის საჭირო ხართ, მის მემკვიდრეობას უნდა მოუაროთ. არ მაჩვენა. მეც აღარ ჩავაცივდი. მართლაც ძალზე მძიმე იქნებოდა იმ ფურცლების ხელში დაჭერა“ (ქ.ჯავახიშვილის დასახელებული წიგნი, გვ.333). როგორც ვხედავთ ა.ინაურმა ამ ტყუილის თქმის შემთხვევაში, გაითვალისწინა მ.ჯავახიშვილის საქმის, განსაკუთრებით კი, მწერლისგან ჩეკისტურად ორჯერადი ცემით და წამებით გამოძალული აბსურდული და საზარელი ხელნაწერი განცხადების, ისედაც გაწამებული ქალიშვილისთვის გაცნობის მოსალოდნელი, შესაძლო მომაკვდინებელი შედეგი. ამიტომ როგორც კეთილგანწყობილმა ბრძენმა ადამიანმა, დაბეჯითებით მთხოვნელი, მ.ჯავახიშვილის ისედაც გაწამებული ქალიშვილი, ქ.ჯავახიშვილი, მოიგერია კეთილი

მიზანდასახულობით ნათქვამი ტყუილით. მისი საქციელი გამოწვეული იყო იმითაც, რომ რეაბილიტაციის წინასწარი სამუშაოების შესრულების დროს ვერავინ შეძლო მ.ჯავახიშვილის საძიებო საქმეში დაცული, მწერლის ერთადერთი ხელნაწერი განცხადების მცდარი თარიღის ამოცნობა. მის აბსურდულობასა და ნაძალადევ შექმნაში კი, ეჭვი ნებსით, უნებლიეთ, თუ გარემოებათა გამო, არავის შეპარვია. ამაში ქვემოთ კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით.

როგორც ვნახეთ, ა.ინაურმა კეთილი მიზანდასახულბით იცრუა. ამის გამო მისი მენტალიტეტის 30-იანი წლების ჩეკისტი ჯალათების მენტალიტეტთან შედარება მიზნობრივი აბსურდია. მაშასადამე, მ.ხომერიკი მისტიფიკაციის მეთოდების გამოყენებით ცდილობს, რომ მკითხველი დაარწმუნოს, თითქოს ა.ინააური და სხვა რეაბილიტაციის პროცესის მონაწილეები ამ „11 სახელმწიფოს“ ტყუილმა მიიყვანა იმ აზრამდე, რომ მ.ჯავახიშვილის ჩეკისტური ბრალეულობების ნამდვილი არსი გაერკვიათ და მწერლის რეაბილიტაცია გაემართლებინათ. მაშასადამე, მ.ხომერიკს ისე გამოყავს თითქოს მ.ჯავახიშვილის გამართლების ტყუილ საფუძველში გამოიჭირა არა მარტო სახელმწიფო უშიშროების შეფი-გენერალი, არამედ მისი მსგავსი, „1930-იანი წლების მენტალიტეტის მქონე ყველა ის, ვინც მ.ჯავახიშვილის რეაბილიტაციის დროს იღებდა მონაწილეობას და მითუმეტეს, რომ ტყუილსაც იყენებდა. მის მიერ, ამ აზრით, არის გაგებული მ.ჯავახიშვილის რეაბილიტაციის ხელშემწყობი რუდენკოც. მაშასადამე, მ.ხომერიკმა ისე გამოიყვანა, რომ თითქოს რუდენკო და 1950-იანი წლების რეაბილიტაციის პროცესის მონაწილე ყველა მისი მსგავსი სხვაც, დიდი ტერორის შემოქმედი ჯალათების მსგავსი მენტალიტეტისანი ყოფილან. ამის საილუსტრაციოდ ახლა მ.ხომერიკისეული მეთოდი გავიაზროთ რუდენკოს მაგალითზე.

რ.რუდენკოს და სხვათა ასეთი გაგება-გაყალბების მიზნით მ.ხომერიკი მკითხველს ითრევს წყაროების თავისებური, მიზნობრივად ყალბი ინტერპრეტაციების რთულ ხაფანგში და წერს: „1955 წლის 7 სექტემბერს, თბილისში დაიწყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის ღია პროცესი,

რომელშიც საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორი (ანუ მთავარი ბრალმდებელი – გ.ც.) რ.რუდენკოც მონაწილეობდა. ქ.ჯავახიშვილი მოგვითხრობს: „ერთ-ერთ სხდომაზე რ.რუდენკომ მამას საქმე საქაღალდედან ამოიღო, ზევით ასწია რომ ყველას დაენახა. ჰაერში ააფრიალა და დარბაზში მსხდომ ხალხს მიმართა: აი, მიხეილ ჯავახიშვილის საბრალმდებო საქმე (? – გ.ც.), ერთადერთი ფურცელია საქმეში (! – გ.ც.). აქ წერია, რომ ის მრავალი სახელმწიფოს ჯაშუში იყო, მაგრამ ასეთი წამების შემდეგ ის ხელს კი არ მოაწერდა, რომ ჯაშუში და მოღალატე იყო, არამედ იმაზეც, რომ ის ირანის შაჰი იყო. უწყალოდ აწამებდნენ მას“ (ციტირებული აქვს ქ.ჯავახიშვილის დასახელებული წიგნიდან, გვ.460-461, ხაზგასმა ჩემია – გ.ც., სინამდვილეში დამოწმებულია გვ.459-460-დან).

დააკვირდით: მ.ხომერიკმა ქ.ჯავახიშვილის ჩანაწერი, რომელსაც იგი სასამართლო პროცესის მღელვარე ვითარებაში აკეთებდა და იქნებ მთელი სიზუსტე ვერც დაიცვა, მკითხველისათვის თავის ყალბი აზრის ჩასაგონებლად გამოიყენა. მან ფაქტი მიზნობრივად ისე წარმოაჩინა, როგორც თვითონ აწყობდა, თითქოს აქ წერია, რომ რ.რუდენკომ თქვა: მ.ჯავახიშვილის მთელი ჩეკისტურად შეთითხნილი საქმე საქმეს მხოლოდ ერთი ერთადერთი ფურცელისგან შედგებაო და ისე გამოიყვანა თითქოს მასში იმის მსგავსი ტყუილი წერია რაც ა.ინაურის ნათქვამით წარმოჩნდა. მკითხველის დასაბნევად მ.ხომერიკი ასე გააგრძელებს: „რუდენკომ იცოდა (! - გ.ც.), რომ მ.ჯავახიშვილის საქმეში ერთადერთი ფურცელი არ იდო (?! დიახ, რუდენკომაც იცოდა და ბევრმა სხვა დამსწრემაც. მათ შორის იცოდა ყველამ ვინც რეაბილიტაციის საკითხს 1954 წელს გაეცნო. მომდევნო მ.ხომერიკისეული სიტყვები მკითხველის მოსატყუებელი დემაგოგიაა და აი რატომ? – გ.ც.) პროცესზე გამოსვლამდე ერთი წლით ადრე, 1954 წლის 24 ივნისს, მან საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას გაუგზავნა საიდუმლო დასკვნა, რომელშიც ჩამოთვალა მ.ჯავახიშვილის მიერ დაწერილი ადიარებანი (! – გ.ც.) და საქმის ფურცლებიც ზუსტად მიუთითა. ჩვენ უკვე ვნახეთ რუდენკოს მიერ შექმნილი ყალბი (! სინამდვილეში ეს იყო მცდარი და არა „ყალბი“ – გ.ც.) ვერსია მ.ჯავახიშვილის 1937 წლის

ივნისში დაპატიმრების თაობაზე, <u>რომლის მიზანიც იმ ფაქტის დამალვა იყო, რომ მწერალმა ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე, ცემის გარეშე, დაწერა თავისი ვრცელი განცხადება</u>(! - გ.ც.). მ.ჯავახიშვილის რეაბილიტაციას პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ხელისუფლებას არ სურდა ხალხის ყურადღება გაემავხილებინა იმ ფაქტზე, რომ დიდ მწერალს შესაძლოა მართლა არ მოსწონდა საბჭოთა წყობილება“ (გვ.121). მ.ჯავახიშვილის, ისევე როგორც საბჭოთა ოპოზიციურ ინტელიგენციას, მათ შორის კომუნისტ-რეპრესირებულებსა და განსაკუთრებით კი, ეროვნულ-პატრიოტულად მოაზროვნე შემოქმედებით წარმომადგენლობას რომ არსებული რეჟიმი და საბჭოთა წყობილება არ მოსწონდა ყველა საღად მოაზროვნესთვის იყო ცნობილი. ამიტომაც იყვნენ უაღრესად პოპულარული არა მარტო მ.ჯავახიშვილი, არამედ სხვებიც. მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა ის, თუ ვინ როგორ უყურებდა მას, არამედ ის, იყვნენ თუ არა ისინი ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური მებრძოლები თავიანთი ორგანიზაციულ-პრაქტიკული საქმიანობით.

აღნიშნული ბოროტი პასაჟით მ.ხომერიკი ტყუის. მას ისე გამოჰყავს, თითქოს რ.რუდენკომ მ.ჯავახიშვილის <u>საქმე-ფურცელი ააფრიალა</u>, ხოლო მის ამ ერთ-ერთ ფურცელში, ანუ ხელნაწერში, თუ „საბრალდებო დასკვნაში“ წერია: „<u>მ.ჯავახიშვილის მიერ დაწერილი აღიარებანი“</u>-ს შესახებ. ამ შემთხვევაში, მ.ხომერიკი ქალბატონი ქეთევანის არაზუსტი ნაწერით სარგებლობს და ისე გამოჰყავს, რომ თითქოს რუდენკოს ტყუილიც აღმოუჩინა და მისი მოტივაციაც. სინამდვილეში მ.ხომერიკი მკითხველს მის მიერ დაგებულ ხაფანგში ექაჩება, არ არის გამორიცხული, რომ ზოგი მკითხველი კიდეც დააჯერა, რომ ამ ტყუილ-ყალბი ფაქტების საფუძველზე მოხდა მ.ჯავახიშვილის რეაბილიტაცია. რუდენკომ მართლაც ბევრი იცოდა, მაგრამ მ.ჯავახიშვილს რომ ბერიამ წამებით დააწერინა ხელნაწერი ისეც კარგად იცოდა და არც დაუმალავს. მას ამ შემთხვევაში ტყუილის გათამაშება არც სჭირდებოდა და არც შეეძლო. ხელისუფლებას რომ მ.ჯავახიშვილის ანტისაბჭოურობის წარმოჩენა არ უნდოდა, ამით რუდენკოს ნათქვამის დამახინჯება არ გამოდის. მას არსად და არასდროს დაუმალავს, რომ

მ.ჯავახიშვილის საქმეში მრავალი ფურცელი იდო. ამას მოწმობს თუნდაც მ.ხომერიკის წიგნში მოყვანილი რუდენკოს „დასკვნის“ სრული ტექსტი (იხ. მ.ხომერიკის დასახელებული წიგნი, გვ.122-124). ამის გარდა მ.ხომერიკი ამახინჯებს წყაროს, ანუ ქ.ჯავახიშვილის ციტატის შინაარსს. სინამდვილეში ამ პროცესის დამსწრეს, ქ.ჯავახიშვილის ჩანაწერი ასე უნდა გავიგოთ: „...რუდენკომ მამას საქაღალდედან ამოიღო... ააფრიალა“ საქმის „ერთადერთი“ ის ფურცელი, „რომელშიც წერია, რომ ის მრავალი ქვეყნის ჯაშუში იყო“ (გვ.459). როგორც ვხედავთ ქ.ჯავახიშვილის ნაწერსა და მ.ხომერიკის მიერ ინტერპრეტირებული შეიძლება გავიგოთ განსხვავებულად და აი, რატომ?: მ.ჯავახიშვილის საქმეში ასეთი შინაარსის ფურცელი, რომელიც რ.რუდენკოს შეეძლო აეფრიალებინა, იყო მისი საქმის გამო გამოტანილი „საბრალდებო დასკვნის“ ბოლო, ან ბრალდებულის განაჩენის პირველი ფურცელი, რომელშიც წერია: „...проводил большую шпионскую работу вползу неко<u>их</u> (т.е. несколких ან„некоторых“ -Г.Ц.) иностранн<u>ых государств</u>...“ (საქმე №9997, ფურც.255, მ.ხომერიკის დასახელებულ წიგნში, გვ.118, ხაზგასმები ჩემია – გ.ც.).

სინამდვილეში რ.რუდენკოს „დასკვნაში“ გარკვევით წერია: „ივნისში 1937წ. თბილისში დაპატიმრებული იყო მწერალი ჯავახიშვილი, <u>21 ივნისს</u> 1937წ. ჯავახიშვილმა დაწერა განცხადება საქართველოს შინაგან საქმეთა კომისრის სახელზე, რომელშიც აღიარა, რომ იგი არის მწერლების კ/რ ნაციონალისტური ჯგუფის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი;

ჯავახიშვილის დაპატიმრება გაფორმებული იყო მხოლოდ 1937წ. 13 აგვისტოს... (როგორც ვხედავთ იგი კი არ ტყუის, არამედ ცდება – გ.ც.) საქმეს ერთვის მისი 1937 წლის 19 აგვისტოს დაკითხვის ოქმის ასლი და ასლები მისი 1937წ. 21 და 31 აგვისტოს საქართველოს შინსახკომისრის სახელზე. ამ დოკუმნტების დედნები საქმეში არ არის.

ხალხის მტრის, ბერიას და მისი თანამზრახველების ძიების პროცესში დადგინდა, რომ საქმე ჯავახიშვილის ბრალდების გამო ფალსიფიცირებული იქნება ბერიას მითითებით, ხოლო <u>აღიარება</u> ჯავახიშვილის კ/რ საქმიანობის შესახებ მიღებული იქნა მისდამი

სასტიკი ცემების შემდეგ“. ამ კონკრეტულ დასკვნას, რ.რუდენკო აყრდნობს საქართველოს სსრ შინსახკომის IV განყოფილების III ქვეგანყოფილების ყოფილი უფროსის (? – მ.ნაცვლიშვილის ეს თანამდებოდა უცნობია. არ არის გამორიცხული, რომ რუდენკო ცდება, არც ის არის გამორიცხული, რომ მან ლ.აბაშიძის განადგურების მერე მისი თანამდებობა მოიპოვა – გ.ც.) მ.გ.ნაცვლიშვილის ჩვენებაზე... (იხ. მ.ხომერიკის დასახელებული წიგნი, გვ.122-123). დასკვნაში რ.რუდენკოს მოჰყავს მ.ჯავახიშვილის ხელნაწერი განცხადებისა და მისთვის მიწერილი განცხადებების განმასხვავებელი განმარტებებიც, პირველს უწოდებს მ.ჯავახიშვილის დაწერილ განცხადებას, ხოლო სხვებს კი – ასლებს.

რ.რუდენკოს მოჰყავს მ.ჯავახიშვილის „მამხილებელი“ პატიმრების ჩვენებები, მოცემული აქვს მათი ანალიზიც და აკეთებს დასკვნას: „ზემოთ განხილული ჩვენებები უკიდურესად წინააღმდეგობრივია, არ შეიცავს კონკრეტულ მითითებებს ჯავახიშვილის კ/რ მუშაობის შესახებ და ასეთ მდგომარეობაში მათგან არ შეიძლება გაკეთდეს დასკვნები მისი დანაშაულობის შესახებ“ (იქვე, გვ.124).

მაშასადამე, მ.ხომერიკის ვერსია ისევე მიზნობრივი და ყალბია, როგორც მისეული წყაროების ინტერპრეტაცია და კონცეფცია. რუდენკო სიმართლეს ამბობს და არაფერი აქვს დამალული. იგი წერს ისე, როგორც მ.ჯავახიშვილის სქელტანიანი საქმის მასალებშია აღწერილი და როგორც მათი პირადი შემეცნებით, ან მოუცლელობის გამო თანაშემწეთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე აქვს გაგებული.

როგორც ვხედავთ, რუდენკო დასკვნაში შეცდომებსაც უშვებს: იგი წყაროსეულად, მაგრამ არასწორად განსაზღვრავს მ.ჯავახიშვილის დაპატიმრებისა და მის საქმეში დაცული, ბერიას თანდასწრებით და მისი ბრძანებით განხორციელებული ჩეკისტურად, ორჯერადი ცემით გამოძალული, მწერლის ხელნაწერი განცხადების თარიღებს; მ.ჯავახიშვილის დაპატიმრების ადგილად ქვიშხეთის ნაცვლად ასახელებს თბილისს. ეს იმიტომ, რომ საქმეში ქვიშხეთი არაა ნახსენები; მ.ჯავახიშვილის დაპატიმრება და ხელნაწერი გაგებული აქვს მასზე დატანილი მცდარი თარიღის მიხედვით;

გამომძიებლის მიერ მ.ჯავახიშვილისეულად გასაღებულ ფუტლიარ განცხადებებს კი „ასლებს“ უწოდებს, იმის მიუხედავად, რომ მათზე არ არის დატანილი სათანადო მაჩვენებელი, ანუ ასლის დამადასტურებელი აღნიშვნა. ჩვეულებრივად, გამომძიებელთა მიერ შეთითხნილ ოქმებს აწერია „верно“ და ახლავს სათანადო უფლებამოსილი ჩეკისტის ხელმოწერა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დოკუმენტი დედნის ასლია. ასლებს მითითებული აქვთ მინიშნება - „верно“ და იმისა თუ რამდენ ეგზემპლარად არის გადაბეჭდილი. მაგალითად ნ.მიწიშვილის 14/VI-37წ. დაკითხვის ოქმს მითითებული აქვს, რომ იგი 40 ცალად გადაიბეჭდა. მსგავსი მითითებები ჩანს სხვა შემთხვევებშიც. ასლები სჭირდებოდათ გამოძალული ჩვენებების სხვა გამომძიებელთა მიერ გამოსაყენებლად და თავიანთ შენათითხნში გამოსაყენებლად; რ.რუდენკო მ.ნაცვლიშილს ქვეგანყოფილების უფროსად მოიხსენიებს, მაშინ როცა ის არის უფროსის თანაშემწე; განსაკუთვრებით მნიშვნელოვანია ის, რომ - რუდენკო მ.ჯავახიშვილის ხელნაწერი განცხადების მცდარი თარიღით ხელმძღვანელობს და მცდარად, წყაროსეულად მიიჩნევს, რომ მ.ჯავახიშვილი ვითომ დაპატიმრებული იყო 1937 წლის ივნისში, ხოლო მის საქმეში დაცული ერთადერთი ხელნაწერი განცხადება დაწერა 21 ივნისს.

მაგრამ, ეს წყაროსეულად ნამართავი შეცდომებია და არა რუდენკოს მიზნობრივი ტყუილები. თანაც ცხადი ხდება, რომ რუდენკო დასკვნაში სკურპულიოზურად ეყრდნობა მ.ჯავახიშვილის საძიებო საქმეს. მას ტყუილები არ დასჭირვებია არც სასამართლოში წარსადგენი გენერალური პროკურორის დასკვნის შედგენისას და არც თბილისის სასამართლოს პროცესზე გამოსვლის დროს. მაშასადამე, რუდენკო უშეცდომო და უცოდველი როდია, მაგრამ იმ კონკრეტულ საკითხში, რომ მან თითქოს სასამართლოს დამსწრე აუდიტორიის, საქართველოს კომპარტიის ცეკას ბიუროს წევრებისა და დამსწრე საზოგადოების მოტყუება განახორციელა, იმ მოტივით, რომ მ.ჯავახიშვილის ანტისაბჭოურობა დაემალა – აბსურდია! რუდენკოს გაგების საკითხში მ.ხომერიკი ტყუის. მას რუდენკოს მიმართებით უადგილოდ შემოაქვს ასეთი სიტყვები: „რომლის მიზანიც იმ ფაქტის დამალვა იყო, რომ მწერალმა ჯერ კიდევ

დაპატიმრებამდე, ცემის გარეშე დაწერა თავისი ვრცელი განცხადება“ (გვ.121). აი რატომ ტყუის „მეცნიერი“. სინამდვილეში ხომ ვნახეთ, რომ რუდენკოს არ დაუმალავს ის რაც დაუწერია და იგი არც სასამართლოს და აუდიტორიის მოსატყუებლად უთქვამს. მას არც შეეძლო ტყუილები ეთქვა, რადგან მისი დასკვნა და განცხადება, 1930-იანი წლების ჩალით დახურულ ქვეყანაში არ იყო დაწერილი და საჯაროდ გაცხადებული. მაგრამ მ.ხომერიკს უნდა მკითხველი დაარწმუნოს, რომ მხოლოდ თვითონ და ისინი არიან მართალი ვისაც სჯერა, რომ იმ ტყუილების საფუძველზე მოხდა მ.ჯავახიშვილის გამართლება, რომლებიც ა.ინაურის, რ.რუდენკოს, მ.ნაცვლიშვილისა და 1950-იანი წლების „ძმანი მისნის“ მიერ იყო შეთხზული.

ახლა რაც შეეხება გამომძიებლის თანაშემწე მ.ნაცვლიშვილის ჩვენების მ.ხომერიკისეულ გამოყენებას: მ,ხომერიკმა იცის, რომ მ.ნაცვლიშვლის ჩვენება არა მარტო რ.რუდენკოს დასკვნის ერთ-ერთი დასაყრდენია, არამედ არის აგრეთვე მ.ჯავახიშვილის ხელნაწერის სწორი დათარიღების, მისი სხვა მოწინააღმდეგე მეცნიერების (ბ.არველაძის, რ.კვერენჩხილაძის) და ჩემს მიერ გამოყენებული ერთ-ერთი გასაღები. ამიტომ იგი წერს: „მ.ნაცვლიშვილის ჩვენებაში მოყვანილი ფაქტებიდან უტყუარი უნდა იყოს მ.ჯავახიშვილის სასტიკი ცემა ბერიას დავალებით და თანდასწრებით“. კარგია, რომ ამას თვითონ აღიარებს, მაგრამ ცემა კი არა, არამედ ორჯერადი ცემა, თანაც ისეთი, რომ ეს ჩია მოხუცი პირველი დარტყმით იატაკზე სკამიანად მოისროლეს და უგრძნობლად დაახეთქეს. მოხუცს ესეც არ აკმარეს და სიჯიუტით გაწეული წინააღმდეგობის გამო, მეორედ ისე სცემეს, რომ დამოუიდებლად გადაადგლება თუ მ.ნაცვლიშვილს დაუჯერებთ მეორე დღესაც არ შეეძლო. სინამდვილეში არ არის გამორიცხული, რომ მასთან მ.ჯავახიშვილი მიიყვანეს არა მეორე, არამედ შემდგომ დღეები. კრიტიკანებმა მის ადგილას საკუთარი თავი უნდა წარმოიდგინონ და იქნებ რაიმე გაიგონ. მაგრამ ამასთანავე მ.ხომერიკი ამჟღავნებს ამ გამომძიებლის, თუ გამფორმებლის 1953 წელს მოცემული ჩვენებები ზოგ ადვილად შესამჩნევ შეცდომას და ამის გამოყენებით, ასეთ სრულიად აბსურდულ არგუმენტებს და საწინააღმდეგო აზრს ავითარებს -

„ჩვენება დაწერილია წინასწარ მიცემული დავალებით და ნდობას არ იმსახურებს“ (გვ.121). ესეც მ.ხომერიკისეული ხაფანგში მკითხველის შესატყუებელი მეთოდია. ისე გამოყავს, რომ თითქოს რადგან მ.ნაცვლიშვილი ზოგჯერ მართლაც ტყუის, ამდენად მკითხველმა სისხლის სამართლის მუხლების პასუხისმგებლობით გაფრთხილებული მ.ნაცვლიშვილის ჩვენებიდან სხვა არაფერი უნდა დაიჯეროს გარდა მ.ჯავახიშვილის ცემისა და მაშასადამე, მან უნდა დაუჯეროს მ.ხომერიკისთვის სასურველ ტყუილებს. ასეთი ლოგიკით, მ.ხომერიკს ისე გამოჰყავს, თითქოს მ.ჯავახიშვილის ორჯერადი ცემა ბერიას ბრძანებითა და მისი თანდასწრებით კი მოხდა, მაგრამ მისგან საზარელი და აბსურდული შინაარსის ხელნაწერი განცხადების გამოძალვისთვის კი არ მოხდა, არამედ 20 სექტემბრის განცხადების გამო, რადგან მწერალმა აბაშიძეს ძველი აღიარებების გამო პროტესტი გამოუცხადა, ხოლო როცა ცემეს უჩვენა: „გავიაზრე და დავრწმუნდი გულრწფელობა და სიმართლე საუკეთესო საშუალებაა სრული განიარაღებისთვისო...“ (გვ.107). ჩვენ ა.სუხომლინოვისა და ხეჩუმოვის წყაროთა გამოყენებით გავარკვიეთ, რომ ამ დროს კრიმიანმა მართლაც სიკვდილის პირამდე მიიყვანა მ.ჯავახიშვილი, მაგრამ ეს იყო მისი მეორედ, ერთი თვის შემდეგ ჩატარებული ცემა. მაშასადამე, მ.ხომერიკი ცდილობს მკითხველი დააბნიოს და ისე მოაჩვენოს, რომ მ.ჯავახიშვილი ბერიას თანდასწრებითა და ბრძანებით ცემეს, მაგრამ ეს იყო არა 21 აგვისტოს „ფუტლიარის“ შეთითხვნის მერე და ორჯერ მიყენებული ცემა, არამედ 20 სექტემბერს, მაგრამ არა მწერლისგან მისი ხელნაწერი განცხადების გამოძალვის დროს. მ.ხომერიკს გამომძიებელ-გამფორმებლის, მ.ნაცვლიშვილის ეჭვგარეშე, სანდო ინფორმაციის იგნორირებისა და ხელნაწერის მოპოვების დამაჯერებელი ფაქტების მიჩქმალვით განუზრახავს საკუთარი ყალბი და დანაშაულებრივი ვერსიის გამართლება. იგი ანგარიშს არ უწევს, რომ მის სიყალბეებს გონიერი და უაღრესად დაინტერესებული მკითხველი გასართობად კი არ კითხულობს, არამედ გასაანალიზებლად. ხოლო ანალიზის უნარის მქონე მკითხველს კარგად ახსოვს, რომ მ.ნაცვლიშვილი ისე როგორც ლ.აბაშიძე, 1937 წლის ივნისში იყო II ქვეგანყოფილების ჩეკისტი,

ხოლო, როცა იგი ამბავს აღწერს (ანუ მ.ჯავახიშვილის პატიმრობის დროს, 22 ივლისს უკვე არის სპეციალურად შექმნილი III ქვეგანყოფილების მუშაკი.

მ.ხომერიკის „ფიცი“ შეიძლება ვინმეს სწამს, მაგრამ „ბოლო“ არ შეიძლება აბსურდად არ მოეჩვენოს, თუ გაიხსენებს, რომ: 20 სექტემბრის ჩვენება „ფუტლიარია“. მკითხველი იმასაც გაიხსენებს, რომ მეორედ ცემის ფაქტი კრიმიანთანაც არის დაკავშირებული, იგი მ.ნაცვლიშვილის მიერ არის ხელმოწერილი და არა მ.ჯავახიშვილის მიერ. მკითხველი უთუოდ იმასაც გაიხსენებს, რომ 20 სექტემბერს, უკვე დასახვრეტად განწირულს, ჩეკისტი გამომძიებლები მათთვის დაკისრებული საქმის გამართლებისთვის იყენებენ და გაჯიუტებულს ჩეკას ცნობილი ჯალათის, კრიმიანის გამოყენებით, კიდეც განმეორებით იმორჩილებენ. იგი ახლა უკვე იმასაც გაიგებს, რომ ამ ჩვენების, ანუ „ფუტლიარის“ შინაარსის არც ჯავახიშვილისეულად შეფასება და არც სრული ნდობა არ შეიძლება. ამასთანავე, მკითხველმა წინამდებარე წიგნის ავტორის ანალიტიკური განმარტებებით ხომ ნახა, რომ მ.ჯავახიშვილის „საბრალდებო დასკვნაში“, ორჯერ ნაცემი პატიმრის ხელნაწერი ჩვენებების ტექსტები 20 სექტემბრის აღიარებიდან კი არ არის შეტანილი, არამედ როგორც გამომძიებლის თანაშემზე, მ.ნაცვლიშვილმა ცხადყო, მწერლის 21 აგვისტოს ხელნაწერი განცხადება-ჩვენებიდანაა დამოწმებული, ხოლო მ.ჯავახიშვილის 19 სექტემბრის „საბრალმდებო დასკვნა,“ 21 აგვისტოს დედანი ბერიას მიერ გამოძალული „განმარტებების“ საფუძველზე იყო გაფორმებული. ამდენად არ შეიძლება, რომ მ.ჯავახიშვილს 1937 წლის 19 სექტემბრის „საბრალდებო დასკვნაში“ შეტანილი მისი 21 აგვისტოს ხელნაწერი ტექსტების ზუსტი თარიღების არსებობის გასაბათილებლად გამომძიებლის თანაშემწე მ.ნაცვლიშვილს 1953 წლის 20 ნოემბერს, თუნდაც დავალებით, ტყუილი ათქმევინო, ორჯერადი ცემის ფაქტი გააქრო და ამით 21 აგვისტოთი დათარიღებული ჩვენებები 21 ივნისს დაწერილად გაასაღებინო. მაგრამ როგორც ვნახეთ მ.ხომერიკის სახით ისეთი მისტიფიკატორი ისტორიკოს დოქტორები არსებობენ, რომელთა ნაწერები ყურადღებით და კრიტიკულად უნდა გაიაზროთ, თორემ შეიძლება ზოგივით გაგაბრიყვონ.

ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ მ.ჯავახიშვილი 21 აგვისტოს თარიღის მქონე ხელნაწერი განცხადების მოპოებამდე ჩეკას გამომძიებლებს, მათი პათოლოგიური სისასტიკის მიუხედავად, უაღრესად პოპულარული და სტალინის მიერ დაჯილდოებული პატიმარი-მწერალი არ უცემიათ. მწერლის თანამესაკნე, ცოცხლად გადარჩენილი ორი პატიმრის (მოსე გვასალიას და ქუთაისელი სტუდენტის) მონაყოლიდან კარგად ჩანს, რომ მ.ჯავახიშვილი პატიმრობის პირველ ხანებში მხნედ იყო, სხვებსაც ამხნევებდა იმით, რომ სიმართლე გაირკვეოდა და საინტერესო ამბებსაც უყვებოდა. ისიც ხომ გასათვალისწინებელ ფაქტად გვიდევს, რომ მ.ჯავახიშვილის ხელნაწერში ჩაკვეხებული აბსურდებისა და ანომალიების მაგალითზე დავამტკიცე, რომ იგი მწერლის დაპატიმრებამდე არ შეიძლებოდა დაწერილიყო. ამის მერე რატომ უნდა იყოს სადაო, რომ ხელნაწერის შექმნის თარიღის გაგებისას ცდება არა მარტო რუდენკო და რატომ უნდა გახდეს დაუჯერებელი, რომ მ.ჯავახიშვილი ცემეს სწორედ პატიმრობის დროს და ხელნაწერის მოპოების მიზნით. მაშასადამე ყოველივე ზემოთ მოთხრობილი, მკითხველის მიერ წინა თავებში უკვე გაცნობილის განმეორებით, დამატებით ვრწმუნდებით, რომ მ.ნაცვლიშვილის მენტალიტეტით „ძმანი მისნის“ გაბაიბურება და 30-იანი წლების ჯალათების მენტალიტეტთან ლამის გაიგივების მცდელობა ხელოვნურია. ქვემოთ ვნახავთ, რომ მ.ხომერიკის ამ მცდელობამ, ჩემი ანალიტიკური გამოკვლევების საფუძველზე ჩაილურის წყალი კიდევ არაერთხელ დალია.

მ.ხომერიკი როცა ცდილობს მკითხველი დააჯეროს, რომ თითქოს „მ.ნაცვლიშვილის ჩვენება... ნდობას არ იმსახურებს“, მოჰყავს ასეთი სასაცილო არგუმენტი: „საიდან უნდა სცოდნოდა ნაცვლიშვილს მ.ჯავახიშვილის მიერ მოყვანილი ისეთი ფაქტები, როგორიცაა მაგ. მის მიერ პოლონეთის კონსულისაგან 6000 მანეთის მიღება. ლ.გარსიაშვილისა და ბ.ფაღავას ბარათების გაგზავნა. შ.ქარუმიძესთან შეხვედრა და სხვა?“ ამ კითხვებზე ჩემი პასუხი სათანადო თავებში და ზემოთ უკვე გაგაცანით. აქ კი დამატებით გეტყვით: საიდან უნდა სცოდნოდა და იქიდან უნდა სცოდნოდა, საიდანაც „იცოდნენ“, რომ: მ.ჯავახიშვილი საქართველოს მასშტაბით

განშტოებულ ფაშისტების ორგანიზაციის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო; დაკავშირებული იყო საქართველოს ყველა ანტისაბჭოთა პარტიებთან, აგრეთვე ქართველ სამხედრო შეთქმულებთან და უნივერსიტეტის მეამბოხე პროფესორებთან, ხოლო მათი მეშვეობით ასეთივე დოცენტობასთან და სტუდენტობასთან; მას რომ გათვალისწინებული ჰქონდა ბერიას, გოგლიძისა და მთელი შინსახკომის დაპატიმრება. ეს ხომ ისევე „მართალია“, როგორც მ.ჯავახიშვილის მიერ 6 ათასი მანეთის კი არა, არამედ 12 ათასი მანეთის მითვისება და ამ თანხის თანამოაზრე-თანამებრძოლებისგან „ფაშისტური ორგანიზაციის“ საერთო სალაროსგან და მისთვის ჯაშუში დოკუმენტების ვითომ მიმწოდებლების ბეგლარ ფაღავას და გარსიაშვილისგან მოტეხვა. მაგრამ მე ის მიკვირს, ბინა ხომ გაუჩხრიკეს, როგორ ვერ აღმოაჩინეს წერილები, რომლებიც დაადასტურებდნენ მის კონტაქტს მუსოლინთან და ჰიტლერთან. როგორც ჩანს ბერიას ეს „სიმართლე“ აღარ დასჭირდა, თორემ, რომ დასჭირვებოდათ, ჩეკას ძიებას ისეთი ტალანტები ჰყავდა, რომ მიხეილ ჯავახიშვილს მეორე, ბომბეიდან ბერლინამდე გასათხრელი გვირაბის პროექტის ავტორობასაც დააბრალებდნენ და ინჟინრობასაც. მ.ჯავახიშვილს რაც დააბრალეს ისიც საკმარისზე მეტია და ვისაც არა სჯერა კიდევ ერთხელ გადაიკითხოს წინამდებარე წიგნის მეორე, მეხუთე, მეექვსე და შემდგომი თავი, რომელიც ცხადყოფენ, რომ 1937 წლის დიდი ტერორის საფუძველი და ჩეკისტური პროცესი თავიდან ბოლომდე, შეთითხნილი იყო დაბრალებებითა და აბსურდებით...

მ.ხომერიკის „მცნიერული“ წიაღსვლების გაცნობის შემდეგ ისმება ლოგიკური კითხვა: რისთვის სჭირდება მას ეს უამრავი აბსურდული ინტერპრეტაციების საფუძველზე დაყრდნობილი „მეცნიერული მიგნებები“?! ამ დასმული კითხვის პასუხი იგივეა, რაც წინამდებარე წიგნის სხვა თავებში წარმოვაჩინე: მ.ხომერიკი ცდილობს მ.ჯავახიშვილის გაუბედურება-მოსპობის პერიპეტიებთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი წამოაჩინოს მის მიერ შემუშავებული ყალბი კონცეფციის შესაბამისად; მ.ხომერიკის საერთო კონცეფცია კი არის მის მიერ მკითხველისათვის დაგებული ხაფანგი, რომლის მიხედვით: მ.ჯავახიშვილი დიდი მწერალი იყო,

მაგრამ კომპრომისებზე წასვლა უხდებოდა. ამიტომ მან დაპატიმებამდე ორი თვით ადრე ჩეკას თუ ბერიას მიაწოდა თავისი ხელით, ცემის გარეშე, გოგლიძის მიმართ დაწერილი დასმენის განცხადება, რომლითაც გასწირა თავისი თანამოაზრე მეგობრები, მათ შორის პაოლო იაშვილი, რომელიც თვითმკვლელობამდე მიიყვანა; შემდგომში, როცა დააპატიმრეს ეს ჩეკას თუ ბერიას დამსმენი და აგენტი, მეტსახელად „არსენა“, იგი ერთხანს უარჰყოფდა იმას რაც თავისუფლებაში მყოფმა 21 ივნისს ცემის გარეშე გოგლიძეს, ანუ ბერიას მიწერა, მაგრამ მერე 20 სექტემბრის განხორციელებული ცემით მაინც იძულებული გახდა ყველაფერი გადაეფარა და ახალ-ახალი ხალხი ჩაეშვა, მაგრამ ეს მხოლოდ 31 აგვისტოს მერე ხდება... ისმება კითხვა ამის მტკიცება ვისი მენტალიტეტის გამოვლინებაა?! პასუხი მკითხველისთვის მიმინდვია.

მ.ხომერიკის მიერ კონკრეტულად მეოთხე თავში წარმოჩენილი ინტერპრეტაციები კი, როგორც თავად აცხადებს „გვისაბუთებენ“, რომ: ა.ინაურის, რ.რუდენკოს, მ.ნაცვლიშვილისა და მათ მსგავს, მ.ჯავახიშვილის რეაბილიტაციის ხელშემწყობ პირთა მენტალიტეტი საერთოა და ლამის 30-იანი წლების ჯალათების მენტალიტეტის მსგავსია, რამდენადაც ყველა მათგანი მეტ-ნაკლებად მსგავს ტყუილებს ეყრდნობა. მათ მიერ მ.ჯავახიშვილის გამართლება მხოლოდ იმით უნდა აიხსნას, რომ უნდათ ეჭვი არავის შეეპაროს – მიხეილ ჯავახიშვილი საბჭოთა მწერალია. აი მ.ხომერიკის მიზანდასახულობა. მსგავსი ლოგიკის გამო ამბობენ: „მაგ სიმართლით იარე!“ და, იარა კიდეც...

როგორც ვნახეთ მ.ხომერიკი თავისი კონცეფციის შეთითხვნის დროს, უმთავრესად დაეყრდნო მ.ჯავახისვილის საძიებო საქმეში დაცულ აბსურდულ და ამავე დროს შემზარავი შინაარსის მქონე ხელნაწერი განცხადების მცდარი, დაპატიმრებამდელი თარიღის („21/VI-37) მქონე განცხადებას. იგი მ.ჯავახიშვილის საძიებო საქმის ზოგადი კონცეფციის შესაბამისად აშუქებს 50-იანი წლების მ.ჯავახიშვილის რეაბილიტაციის საქმეში ჩართული „საბჭოთა ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი პირების რ.რუდენკოს, ა.ინაურის, მ.ნაცვლიშვილის და „ძმანი მისნი“-ს მენტალიტეტს, რომელსაც ლამის 1937 წლის ტერორის გამტარებელთა მენტალიტეტს უტოლებს.

ამას იგი, იმიტომ აკეთებს, რომ მ.ხომერიკის კონცეფცია, წყაროების ინტერპრეტაცია და მიზანდასახულობა, ანუ მენტალიტეტი, სამწუხაროდ, მართლაც 30-იანი წლების ჩეკისტი ჯალათების მენტალიტეტის მსგავსია, ხოლო მ.ჯავახიშვილისა და სხვათა რეაბილირაციის ხელშემწყობთა მენტალიტეტი და მ.ხომერიკის მენტალიტეტი პრინციპულად საწინააღმდეგოა. მ.ხომერიკს უნდა მკითხველი დაარწმუნოს, რომ მ.ჯავახიშვილის ცხოვრებისეული პერიპეტიების შემეცნებისა და მწერლის პირადი ღირსებების შეფასებაში მხოლოდ თვითონ კი არ არის მართალი, არამედ მართალია „ასავალ-დასავალის“ მუშაკი – ქ.ხამიცაშვილიც. მაგრამ ეს არის კარგად გამომჟღავნებული აბსურდი.

ახლა საჭიორა მ.ხომერიკის მეცადინეობანი და ჩეკისტური პოსტულატები გავიაზროთ უშუალოდ მ.ჯავახიშვილის რეაბილიტაციის მზადებისა და სარეაბილიტაციო პროცესის დაგვირგვინების მაგალითზე. მაშასადამე, საჭიროა გავარკვიოთ ვინ არის ის სხვა, მ.ხომერიკის მიერ ნაგულისხმევი, მაგრამ დაუსახელებელი რ.რუდენკოს და ა.ინაურის მსგავსი მენტალიტეტის 50-იანი წლების „ძმანი მისნი“? ამ „საიდუმლოებას“ ფარდას ხდის წყაროების მ.ხომერიკისეული ინტერპრეტაციით მოპოებული ფორმულა. იგი ცხადყოფს, რომ ა.ინაურის, რ.რუდენკოს და მ.ნაცვლიშვილის მენტალიტეტისანი არიან ყველა ვინც მ.ჯავახიშვილის რეაბილიტაციის დროს, შეეცადა დიდი მწერლის გამართლებას, მაგრამ მათ მსგავსად, ტყუილით, დამალვითა და ზოგი ფაქტების გვერდის ავლით წაახმარა ხელი, ანუ რომლებმაც რ.რუდენკოს და ა.ინაურის მსგავსად მ.ჯავახიშვილის გამართლება-რეაბილიტაციას ხელი შეუწყვეს თავისი კომპეტენციისა და შესაძლებლობების ფარგლებში, მაგრამ ამ დროს, მიზეზთა გამო, კიდეც იცრუეს, შეცდომაც დაუშვეს და პრინციპული მნიშვნელობის ფაქტებს გვერდიც კი აუარეს. ასეთ პიროვნებების დამსახელებელია წყაროები: პირველ ყოვლისა, მ.ჯავახიშვილის ბიოგრაფი ქალიშვილის მოგონებები და აგრეთვე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს მუშაკისა და ჟურნალ „საარქივო მოამბის“ რედაქტორის, ნანა ყიფშიძის მიერ გამოქვეყნებული რეპრესირებული ქართველი მწერლების

რეაბილიტაციის ისტორიის ნარკვევში დასახელებულები. მათში ასახულია რეაბილიტაციის ისტორიის საყურადღებო ეპიზოდები, ა.ინაურის და რუდენკოს „ტყუილების“ გარდა, გაშუქებულია სხვების „ტყუილები“, შეცდომები და მათი კეთილი მიზანდასახულობიდან გამომდინარე ზოგი პრინციპული მნიშვნელობის ინფორმაციის წაყროების ავტორთა მაგალითებიც. ამდენად ისინი ზუსტად ჯდებიან მ.ხომერიკის მიერ „ძმანი მისნის“ გაგების მეთოდოლოგიურ ფორმულაში. ასე მაგალითად:

ქეთევან ჯავახიშვილი წერს:

1. „ბერიას სიკვდილის ამბავი რომ გავიგეთ... ერთ დღეს... კარი რომ გავაღე... ოთახში ტიციანის მეუღლე ნინო ტაბიძე შემოვიდა... მან გვითხრა, რომ წუხელ მალენკოვს განცხადება გავუგზავნე და რაც ტიციანის ირგვლივ ვიცოდი ყველაფერი დავწერეო.. საჩქაროდ შენც გააგზავნე განცხადება... ეს დღეა, 1953 წლის 27 დეკემბერი...

იმავე საღამოს... მალენკოვის სახელზე განცხადება დავწერეთ და კრემლში გავაგზავნეთ...

1953 წელი იყო, ჩვენთან უმაღლესი საბჭოს არჩევნები ტარდებოდა.

ამ დროს, მოსკოვიდან, მთავარი სამხედრო პროკურატურიდან ჩემი განცხადების პასუხი მოვიდა... შემოწმების დასაჩქარებლად, გთხოვთ, თქვენს საჩივართან ერთად, დამატებით, მთავარ სამხედრო პროკურატურას შეატყობინოთ მ.ჯავახიშვილის დაბადების წელი, დაბადების ადგილი, აგრეთვე სად და როდის იყო დაპატიმრებული. თქვენი საჩივრის შედეგს, შემოწმბის დამთავრების შემდეგ, დამატებით გაცნობებთ... საბუთს ხელს აწერდა <u>სამხედრო პროკურორი</u>... <u>კუზმინი</u>... თბილისში რა გამაჩერებდა... 1954 წელს, 13 თებერვალს (სამსახურში – გ.ც.) სპეციალური ბრძანება დაიწერა... ქ.მ.ჯავახიშვილი მივლინებით იგზავნება მოსკოვში, 17 დღის ვადით... (მოსკოვში – გ.ც.) პროკურატურისკენ ავიღე გეზი... კუზმინი გულისხმიერი კაცი გამოდგა... გამოკითხვაც თავაზიანად და თბილად დაიწყო... მითხრა: ...შინ წადით... ყველაფერი დაწერეთ, რაც კი მამას შესახებ იცით... ჩვენ ასე მალე ვერ დავამთავრებთ ამ საქმეს... ყველაფერს წერილობით შეგატყობინებთ... დავწერე რაც კი ვიცოდი და რისი დაწერაც იყო საჭირო ჩემი ნაწერი კუზმინს დავუტოვე.

გამოვემშვიდობე და თბილისში დავბრუნდი... ეს განცხადება 15 მარტს, 1954 წელს არის დაწერილი... მოსკოვში ყოფნისას ერთ დღეს გოგლა ლეონიძე შემხვდა. მითხრა, ჩემს საქმეზე ჩამოვედი და ბარემ ჩემი ძმის, ლევანის რეაბილიტაციის საქმეც მინდა გავარკვიოო...“ მან დამაიმედა. მითხრა დაიძრა ჩვენების საქმეო და ახლა ალბათ მალე გაუკეთებენ რეაბილიტაციასო... (აქედან ჩანს, რომ 1954 წლის 15 მარტს უკვე გოგლა ლეონიძემაც იცის, რომ რეაბილიტაციის საქმე დაძრულა! – გ.ც.).

თბილისში ჩემი არყოფნის დროს რეაბილიტყაციის ცნობამ აქამდე მოაღწია (ქ.ჯავახიშვილის დასახელებული წიგნი, გვ.413-424).

მ.ჯავახიშვილის საქმეში (ფურც.268) ჩაკერებულია სსრკ მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილის, იუსტიციის გენერალ მაიორის ლ.კიტაევის 1954 წლის 4 აპრილის მიმართვა სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სააღრიცხვო საარქივო სამმართველოს უფროსისადმი, მასში ნათქვამია: „აუცილებლობის განვლის გათვალისწინებით გიბრუნებთ მ.ს.ჯავახიშვილის საარქივო საძიებო საქმეს №9793/8. 1 ტომი გადაიბეჭდა ორ ეგზემპლიარად“. მითითებული აქვს თარიღი 1954 წლის 15 მარტი. აქედან კარგად ჩანს, რომ დიდი ტერორის მსხვერპლთა რეაბილიტაციის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ნებას მიესადაგა გ.ტაბიძის მეუღლისა და მ.ჯავახიშვილის ქალიშვილის აქტივობა. ამან იქნებ კიდეც დააჩქარა მწერლების რეაბილიტაცვიის პროცესი. მაგრამ აქ ისიც წარმოჩნდა, რომ უმაღლესი სასამართლოს სარეაბილიტაციო სამხედრო კოლეგიას სათანადო წინასწარ ინფორმაციასთან ერთად, ახალ უმაღლეს ხელისუფალთა აქტიური მხარდაჭერაც გააჩნდა. ახალი ხელისუფლების უმაღლეს დონეზე, თავადაც დაინტერესებული იყვნენ სამი დიდი ქართველი მწერლის რეაბილიტაცია დაეჩქარებინათ. გასაგებია: ორი ქართველი გოლიათის სტალინისა და ბერიას კომპენსაციის სახელმწიფოებრივი მოთხოვნილების აჩქარებულმა კურსმა, სამი დიდი ქართველი მწერლის პოლიტიკური რეაბილიტაციის პროცესზე იმოქმედა წარმატებულად.

ქ.ჯავახიშვილი აგრძელებს: რომ მოსკოვმა სათანადო მოწერილობით, საქართველოს ცენტრალურ კომიტეტში აღნიშნული მწერლების რეაბილიტაციის საკითხი დააყენა.

ქ.ჯავახიშვილი დასძენს: „ერთხელ, ჩემთან მეგობარი ქალი მოვიდა და ასეთი ამბავი მომიტანა: მამას წიგნი თურმე ცეკაში წაუღიათ ხელუხლებელი ფონდიდან და ეცნობიანო... ლია მახარაშვილმა მომახარა, მე ერთ შინსახკომელს ვიცნობ, რომელმაც გუშინ ასეთი რამ მითხრა: „მიხეილის რეაბილიტაცია მზადდება და ალბათ მალე გამოცხადდებაო...“.

„წლები რომ გავიდა, ირაკლიმ დაწვრილებით მიამბო თუ როგორ მზადდებოდა მამას რეაბილიტაცია, მას გარკვეული წვლილი მიუძღვოდა ამ საქმეში. მიეცა თუ არა საშუალება, ირაკლის სულითა და გულით მოუნდომებია ამ საქმის დაგვირგვინება; იმ დროს დიდი ძალა-უფლება გააჩნდა, მის ერთ სიტყვას, რეაბილიტაციის საქმში შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდა. ასეთ დროს ირაკლიც ისე მოიქცა, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტი და მამულიშვილი მოიქცეოდა. მხარი დაუჭირა მთავრობას ჩვენი მწერლების რეაბილიტაციის საქმეში, მან იგრძნო თავისი ერის წინაშე პასუხისმგებლობა, თავს მოვალედ თვლიდა, რომ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიეღო, ქართველი ხალხისთვის დაებრუნებინა თავისი საყვარელი, უდანაშაულოდ დასჯილი მწერლები და მან ეს უყოყმანოდ გააკეთა. იმ დროს ჩენი მთავრობა კარგად არც იცნობდა მამას შემოქმედებას, ამიტომ როგორც მოახსენებდნენ მათ და საქმის მცოდნეები ურჩვდნენ, ისინიც ისე მოიქცეოდნენ. ირაკლი თავგამოდებით გამოექომაგა მამას, ტიციანს და პაოლოს და ცეკას პირველ მდივანს, ვასილ პავლეს ძე მჟავანაძეს ურჩია ეს საშვილიშვილო და პატრიოტული საქმე გაეკეთებინა. მას ასე უთქვამს მჟავანაძისთვის: - ისტორია თქვენს ამ დიდ ამაგსა და კეთილ საქმეს არ დაგიკარგავთ, ქართველი ხალხი ასეთი საქმისთვის დიდ მადლობას გეტყვით. ამ სამი მწერლის სახელი უნდა აღადგინოთ, რადგან ისისნი უდანაშაულოდ დასჯილნი არიან. დიდი მადლობა ბატონ ირაკლის, რომელსაც ჩვენი ოჯახისთვის მზრუნველობა არასოდეს არ დაუკლია. მანვე შეგვატყობინა ის სასიხარულო ამბავი, რომელსაც წლების განმავლობაში ოჯახის

ყველა წევრი ველოდით...“ (ქ.ჯავახიშვილი, დასახელებული მონოგრაფია, გვ.427-428 ხაზგასმები ჩემია – გ.ც.). მაშასადამე ირაკლი აბაშიძე ქართველებიდან ერთ-ერთი „ძმანი მისნი“ ყოფილა... აქ, ჩემი აზრით, ი.აბაშიძეს იმ განსაკუთრებული როლის შესრულება მოუწევდა, რომლითაც მას ვ.მჟავანაძე უნდა დაერწმუნებინა, რომ რეაბილიტაციის პროცესისათვის ხელი შეეწყო და მოსკოვის დავალებაში დაფიქსირებული, მ.ჯავახიშვილის დაპატიმრება-დაკითხვის ყალბი თარიღი პრობლემაც არ გაუხადა.

მ.ჯავახიშვილის ბიოგრაფი ქალიშვილის ემოციური ასახვით ქებას უთუოდ იმსახურებს ი.აბაშიძე, რომელიც მართლაც ცნობილია დიდი ტერორის სიბინძურეებში გაუსვრელობითა და თავისი ზემოთ აღწერილი ადამიანური თვისებებით. მაგრამ აქ შეიმჩნევა რეალობიდან ერთგვარი ემოციური გადაჭარბებაც, რადგან სამივე მწერალი და მათ შორის მ.ჯავახიშვილი ყველა შემთხვევაში იმსახურებდა რეაბილიტაციას, მაშინაც კი, მ.ჯავახიშვილს თუნდაც მართლა დაპატიმრებამდე, ცემის გარეშე რომ დაეწერა თავისი აშკარად ცემითა და წამებით შექმნილი აბსურდული შინაარსის ხელნაწერი განცხადება და ბერიას, თუ ჩეკასთვის რომ იგი მართლა გადაეცა. დიახ, ეკუთვნოდა, მით უმეტეს, რომ პოლიტიკური რეაბილიტაციის ინიციატივა სკკპ ცკ-დან მოდიოდა, მითითებული სამი მწერლის შემდეგ რეაბილიტირებული იქნენ მწერლები: პ.საყვარელიძე, კ.მელაძე, მალაქიაშვილი-ხუროძე, კ.აბაშიძე, გ.ავეტისიანი, პ.ქავთარაძე, გ.არსია, შ.ქარელიშვილი, ა.ტიბილოვი, ს.კელაევი, ნ.მიწიშვილი, ვ.ლუარსამიძე, დ.დემეტრაძე, კ.კოსიევი, რ.ლუსინიანი, ბ.ბუაჩიძე, მ.გვასალია, ვ.კოტეტიშვილი, დ.ჩიანელი, ვ.ბახტურიძე, გ.ბააზოვი, პ.ქუთათელაძე-სამსონიძე (ლხცსა, საქმე 8, აღ.2, 57[ს], ფურც.10) და სხვა. რეაბილიტაცია, როგორც ცნობილია, შეეხო არა მარტო სრულიად უდანაშაულო და უმწიკვლო ადამიანებს, არამედ აგრეთვე პარტიულ-პოლიტიკური გაგებით. პარტიის გენერალური ხაზის ყოფილი ოპოზიციის წარმომადგენლებს, მათ ლიდერებსაც და მათი გაუბედურების დროინდელ ჩეკისტებსაც. მ.ჯავახიშვილი კი, 1923 წლის შემდეგ, ორგანიზაციულ-პრაქტიკული ბრძოლის თვალსაზრისით, არავითარ ანტიპარტიულსა და ანტისახელმწიფოებრივ ფორმალურ

გაერთიანებაში არ ყოფილა... ე.ი. მწერლებისა და სხვათა რეაბილიტაცია ქვეყნის ახალმა ხელმძღვანელობამ დაძრა და მისი კურსით განხორციელდა. ეს იძულებითი პროცესი იყო, მაგრამ მისი პროგრესიულობის უარყოფა შეუძლებელია...

ქ.ჯავახიშვილი ასე ასახავს თავისი ცხოვრების ყველაზე ემოციური მომენტის მოგონებას: „საქართველოს მწერალთა მეოთხე ყრილობაზე, მთელი ოჯახი ვიყავით მიწვეული, რათა დავსწრებოდით მამას სახელის აღდგენას... ბატონმა ირაკლიმ მანქანით გამოგვიარა და უმაღლესი საბჭო ხდომათა დარბაზისკენ გავემართეთ (! – გ.ც.).

ყრილობა ირაკლი აბაშიძემ გახსნა. შემდეგ მოხენებით ვასილ მჟავანაძე გამოვიდა... მოხსენების ბოლოს მჟავანაძემ თქვა: ამხანაგებო, ყველა თქვენგანმა კარგად იცის, თუ რა უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენს ხალხს კაცისმკვლელმა ბანდამ, რომელბიც ამხილა და უვნებელყო ჩვენმა პარტიამ. ბევრი მოწინავე პროგრესული მეცნიერი დაღუპა ამ ბანდამ. <u>საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მითითებით (! – გ.ც.), არკვევს (? – გ.ც.), თუ როგორ დასწამეს ცილი</u>, დასდეს მსჯავრი, შეურაცხყვეს პატიოსანი, კეთილსინდისიერი ადამიანები. არკვევს (მაგრამ ბოლომდე ვერ არკვევს – გ.ც.) რათა თუნდაც სიკვდილის შემდეგ დაუბრუნოს მათ პატიოსანი სახელი. <u>საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოარკვია</u> (! – გ.ც.) რომ კაცის მკვლელთა ამ საზიზღარი ბანდის ინტრიგებისა და ტეროსის მსხვერპლნი გახდნენ ქართული მხატვრული სიტყვის შესანიშნავი ოსტატები: მიხეილ, ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი. მე მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ სათანადო ორგანოების გადაწყვეტილებით ეს პირნი რეაბილიტირებულნი არიან... (მაშასადამე, კიდეც „გამოურკვევიათ“ და კიდეც გადაუწყვეტიათ, მაგრამ გასარკვევებიდან ზოგი მნიშვნელოვანი კითხვები ვერ აუხსნიათ და ამიტომ სახლაფორთო-საჩორითოდ დაუტოვებით – გ.ც.). ასეა, თუ ისე, ვ.მჟავანაძე არის „ძმანი მისნი“.

გამოცხადდა შესვენება... უამრავი ხალხი წამოვიდა ჩვენკენ და ზოგი აღტაცებული, ზოგი ცრემლნარევი ხმით რეაბილიტაციის

მიღებას გვილოცავდა... ბევრი მწერალი მოვიდა ჩემთან, მოვიდნენ ისინი ვისაც მოესვლებოდა, გვკოცნიდნენ და მამას სახელის აღდგენას გვილოცავდნენ (მაშასადამე ესენიც „ძმანი მისნის“ მხარდამჭერები არიან – გ.ც.). ზოგმა კი მოსვლა ვერ გაბედა, უთუოდ მოსასვლელი პირი არ ჰქონდათ და იმიტომ; როცა გვერდით ჩავუარე – გვერდი ამარიდეს. რეაბილიტაციის გამოცხადება, თურმე ლახვარივით მოხვდა გულზე. ისინი არ მოელოდნენ საქმის ასეთ შემობრუნებას და გაბოროტებულები ვეღარ მალავდნენ თავიანთ განწყობას, თვალს მარიდებდნენ (!!! – გ.ც.).

მწერალთა ყრილობაზე შესვენება, რომ გამოცხადდა ჩვენთან გოგლა ლეონიძე მოვიდა... ხელი დაგვავლო მე და რუსიკოს და მთავრობის ოთახისკენ წაგვიყვანა. გზადაგზა მეუბნებოდა: მჟავანაძესთან მიდი და მადლობა უთხარი, ის კეთილი კაცია და გაუხარდება. აბა, ყოჩაღად იყავი, ყველაფერი ცუდი, რაც თავს გადაგხდა დაივიწყე და ამიერიდან გაიხარე... გოგლამ პირდაპირ მჟავანაძესთან მიმიყვანა... მჟავანაძემ ხელი გამომიწოდა... მის თვალებზე ცრებლები დავინახე. ის გულჩვილი ადამიანი იყო და ჩვენ დანახვაზე ცრემლები მოერია“ (ქ.ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება, გვ.427-431).

<u>რ.რუდენკო და „ძმანი მისნი“, ა.ინაური და სხვანი</u> რომლებმაც ხელი წაახმარეს მ.ჯავახიშვილის რეაბილიტაციას და მწერლის ბიოგრაფი ქალიშვილის მიერ სიკეთით არიან დახასიათებულნი, მართლაც 1950 წლების საბჭოთა ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი პირები არიან, რომლებსაც ამ დროს ერთმანეთის მსგავსი მენტალიტეტი გააჩნიათ, ისინი, როგორც ქვემოთ დამატებით ვნახავთ, ზოგჯერ რ.რუდენკოს მსგავსად ინფორმაციულ შეცდომებს უშვებენ, ზოგჯერ ი.ინაურივით, კეთილი მიზანდასახულებით, კიდეც ტყუიან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებისა და მათ შორის ვ.მჟავანაძესავით თავს არიდებენ მ.ჯავახიშვილის ჩეკისტურად ნამართავი ცხოვრებისეული პერიპეტიების ოფიციალურ-ჩეკისტური ვერსიის წარმოჩენას, მაშასადამე ისინი მ.ჯავახიშვილის რეაბილიტაციის საქმეში „ძმანი მისნი“ არიან, მაგრამ ესენი 1930-იანი წლების რეპრესიების შემოქმედთა მენტალიტეტის მქონე პირებისაგან პრინციპულად

საწინაათმდეგო მენტალიტეტისანი არიან. სწორედ ამის საილუსტრაციო, ძვირფასი ინფორმაციის შემცელი დოკუმენტური ნარკვევი გამოაქვეყნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის მუშაკმა და ჟურნალ „საარქივო მოამბის“ რედაქტორმა ნანა ყიფშიძემ.

ნ.ყიფშიძემ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჟურნალის „საარქივო მოამბის“ 2011 წლის №10-ში, მის 125-136 გვერდებზე გამოაქვეყნა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში (I), ანუ, ყოფილ „... პარტიულ არქივში“, დაცული „სრულიად საიდუმლო საქაღალდე“ №31-ში საიდუმლო დოკუმენტზე დაყრდნობილი სტატია - „რეპრესირებული ქართველი მწერლები“. ამ პუბლიკაციაში წარმოჩენილია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1954 წლის 4 მაისის დადგენილება და საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივნის ვ.პ.მჟავანაძის „სრულიად საიდუმლო მოხსენება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს“, რომელიც დათარიღებულია 1954 წლის 18 მაისით“.

ნ.ყიფშიძის აღნიშნული ნარკვევის, ჩემითვის საყურადღებო გვერდებზე მოტანილი დამატებითი ინფორმაცია ცხადყოს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოსკოველ ხელისუფალთა დავალებით შეისწავლა ქარველი მწერლების, 1937 წელს დახვრეტილი, მ.ჯავახიშვილისა და ტ.ტაბიძის, აგრეთვე ბერიას მიერ თვითმკველობამდე მიყვანილი პ.იაშვილის საკითხი. დადგენილიებაში ნათქვამია: „... ცკ-ის ბიუროს სხდომამ გადახედა და შეისწავლა რა 1937 წ. დაპატიმრებული და დახვრეტილი მწერლების მ.ს.ჯავახიშვილის და ტ.ი.ტაბიძის საქმეები, ასევე მწერალ პ.ჯ.იაშვილის თვითმკვლელობის ფაქტი, დაადგინა, რომ მ.ს.ჯავახიშვილი და ტ.ი.ტაბიძე დაუსაბუთებლად, სისხლის სამართლის საქმეების პროცესუალური ნორმების უხეში დარღვევით იქნენ დაპატიმრებულნი. ურთიერთ გამომრიცხავია, როგორც ბრალდებულების, ასევე ამ საქმესთან დაკავშირებით დაკითხული მოწმეების ჩვენებები და აქედან გამომდინარე ბრალდების საფუძველიც არადამაჯერებელია. მ.ს.ჯავახიშვილის საძიებო-საარქივო საქმე №97938 (ანუ იგივე საქმე 9997-გ.ც.) მასალებით (! –

გ.ც.) იგი დააპატიმრეს 1937 წლის ივნისში (?! – გ.ც.), მისი დაპატიმრება გაფორმდა მხოლოდ ორი თვის შემდეგ, 13 აგვისტოს... მას ბრალი ედებოდა ავჯანყების მოწყობასა და ჯაშუშობაში, მავნებლობაში, დივერსიების მოწყობაში და ტერორისტული აქტების მოწყობაში.

ეს ბრალდებები პატიმრისთვის ძიების პროცესში არ წაუყენებიათ (? – გ.ც.), ხოლო საბრალდებო დასკვნაში ამ ბრალდების არცერთი კონკრეტული ფაქტი არ დასტურდება.

ცკ-ს მიაჩნია, რომ სისხლის სამართლის პროცესუალური ნორმები უხეშად დაირღვა. მ.ჯავახიშვილის საქმეში დევს მისი ერთი დაკითხვა-დაპირისპირების ოქმი და სამი განცხადება, რომელთაგან ერთ პატიმრის ხელნაწერ განცხადებას, აქვს იურიდიული ძალა, დანარჩენი სამი კი ასლია (არა, მართალია ასლად მოიხსენიება, მაგრამ „ფუტლიარია“. ასლებს ახლავს ხოლმე სათანადო მითითება – გ.ც.).

მ.ჯავახიშვილის „მამხილებელი“ 11 მოწმიდან, რომლებიც მასზე ადრე არიან დაპატიმრებულები 5 მოწმე ჯავახიშვილის საქმესთან დაკავშირებით არ იძლევა ჩვენებას. დანარჩენები კი, არადამაჯერებელი და ურთიერთგამომრიცხავია“.

ამ დოკუმენტის ტექსტის გაგრძელების მიხედვით, მ.ჯავახიშივლის საგამოძიებო საქმის ანალიზით გამოურკვევიათ, რომ „უხეშად დარღვეულია სისხლის სამართლის საქმეების პროცესუალური ნორმები და ამდენად მისი ბრალდების საფუძველი არადამაჯერებელია“ (ნ.ყიფშიძე, დასახელებული პუბლიკაცია, გვ.134-138).

ნ.ყიფშიძის მიერ გამოქვეყნებული ნარკვევიდან კარგად ჩანს, რომ საქართველოს კომპარტიის ცეკას ბიუროს დადგენილებასა და საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივნის ვ.მჟავანაძის მოხსენებაში საგნობრივად არის ახსნილი მ.ჯავახიშვილის რეაბილიტაციის იურიდიული უფლება. მაგრამ აქ განმეორებულია მწერლის დაპატიმრების და მისი დაპატიმრების გაფორმების წყაროსეული თარიღი. ამასთანავე, რატომღაც, ნახსენები არ არის ბერიას საქმის გამო დაკითხული მ.ნაცვლიშვილი და მისი ჩვენება. ამასთანავე გამოტოვებულია, ანუ იგნორირებული და გვერდავლილია

მ.ჯავახიშვილის ხელნაწერისა და მისი მცდარი თარიღის მითითება. აღნიშნულის მიზეზთა დადგენას უთუოდ სჭირდებოდა დამატებითი კვლევა-ძიება იმის დასადგენად, თუ: რა ინფორმაციის შემცველია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მ.ჯავახიშვილის, ტ.ტაბიძის და პ.იაშვილის სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების მომთხოვნი მოწერილობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართ, ანუ დირექტივა; რატომ წაუყრუეს მ.ჯავახიშვილის ხელნაწერი განცხადების ხსენებას ოფიციალურ, ბიუროს დადგენილებასა და ვ.მჟავანაძის, მოსკოვის მოთხოვნის პასუხად წარდგენილ მოხსენებაში; საჭირო იყო გამორკვევა იმისა, თუ როგორ მომზადდა ამ დოკუმენტების დასკვნები; მ.ჯავახიშვილის ხელნაწერი განცხახდება მათში გათვალისწინებული იყო თუ არა; რა საერთო ინფორმაციული საფუძველი გააჩნდა მოსკოვსა და თბილისში მომზადებულ სარეაბილიტაციო დოკუმენტაციას?

ზემოთ წარმოჩენილ საერთო ინფორმაციებიდან ჩანს: სარეაბილიტაციო სამუშაოების დაჩქარებული ტემპის პოლიტიკური საფუძვლები; ბერიას და მისი თანამზრახველების საქმის ძიების დროს მ.ნაცვლიშვილის 1953 წლის 20 ნოემბრის დაკითხვის დროს, ძიების ინტერესები მ.ჯავახიშვილის მიმართ; სარეაბილიტაციო წინასწარ სამუშაოებში ტ.ტაბიძის მეუღლისა და მ.ჯავახიშვილის ქალიშივლის განცხადებათა გარკვეული მნიშვნელობა; რ.რუდენკოს და საქართველოში მომზადებულ დოკუმტებში დასკვნების პრიცნიპული თანხვედრა; სარეაბილიტაციო წინასწარი სამუშაოების შესხებ გ.ლეონიძის, ბიბლიოთეკის სპეცფონდის თანამშრომლისა და ცეკას ერთ-ერთი მუშაკის ინფორმირებულობა; სარეაბილიტაციო სამუშაოებში ირ.აბაშიძის თანამშრომლობა; ის, რომ რეაბილიტაციის სამუშაოები საქართველოში უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობდა – ქ.ჯავახიშვილის ინფორმაცია მოწმობს, რომ საქართველოს მწერალთა IV ყრილობაზე სარეაბილიტაციო ზეიმი ზოგისთვის მიუღებელი და „თავზარის დამცემიც“ კი აღმოჩნდა; საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანმა, ვ.მჟავანაძემ თავის მოხსენებაში თქვა: „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მითითებით, <u>არკვევს</u> (! - გ.ც.) თუ <u>როგორ</u> (!

- გ.ც.) დასწამეს ცილი, დასდეს მსჯავრი...“ ადამიანებს, რომლებიც უკვე რეაბილიტირებულები არიან. ასეთი განცხადება იმას ნიშნავდა, რომ რეაბილიტაციის შემდეგაც საჭირო ყოფილა აღნიშნული მიმართულებით მუშაობა; მ.ხომერიკი ადასტურებს, რომ მის ერთ ჩეკისტ მეზობელს დიდი ხნის წინ უთქვამს: „მ.ჯავახიშვილი ჩვენი, ჩეკას აგენტი იყო, მეტსახელად – არსენა...“. ეს „ჩეკისტი“ სავარაუდოა, რომ 50-იანი წლების სარეაბილიტაციო პროცესთან დაკავშირებული კულუარული საქმის, თუ ჭორების მცოდნე და ხომერიკივით ამ ყალბი ვერსიის ერთ-ერთი გამავრცელებელია. ერთი რამ ცხადია, ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია არის უაღრესად ძვირფასი და ქმნის საყრდენი წყაროების ერთობლიობას.

ზემოთ აღნიშნულის გარდა 1954 წლის საქართველოს კომპარტიის ბიუროს სარეაბილიტაციო მასალებში გამოვავლინე უაღრესად საყურადღებო, დამატებითი ინფორმაციები, მათ შორის საქართველოს კომპარტიის ცეკას 1954 წლის 29 აპრილის დადგენილების ასეთი ცნობა: „ბიუროს წევრების გამოკითხვით“, „განსაკუთრებული საქაღალდე“ (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (I), ფონდი 14, აღ.28, ს.40, ფურც.55). ამ ძუნწი ინფორმაციიდან ჩანს, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოებს წარმართავდა ბიუროს წევრთა წარმომადგენლობა. თვით ის ფაქტი, რომელიც მეტყველებს, რომ სარეაბილიტაციო წინასწარი სამუშაოები უკიდურესად გასაიდუმლოებულად წარმოებდა და სათანადო დოკუმენტაცია საქართველოს კომპარტიის ცეკას „სრულიად საიდუმლო“ გრიფის მქონე, შეუვალ „საქაღალდეში“ იმალებოდა, იმაზე მიანიშნებს, რომ რეაბილიტაცია მოწინაღმდეგეთა აზრის დაძლევის ზომების გათვალისწინების გარეშე არ მომხდარა.

ახლა გავარკვიოთ, უკვე დასახელებულების გარდა კიდევ ვინ არიან „ძმანი მისნი“, რომელთა მენტალიტეტს მ.ხომერიკი 30-იანი წლების ჯალათების მენტალიტეტთან ლამის აიგივებს?! დამატებითი ინფორმაციის მოპოვების მიზნით მე გავაკონტროლე და შევისწავლე აღნიშნულ „საიდუმლო საქაღალდეში დაცული „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1954 წლის 4 მაისის დადგენილებისა“ და „საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივნის ვ.პ.მჟავანაძის მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართ,

1954 წლის 18 მაისს გაგზავნილი მოხსენების“, ანუ წარდგინების აგრეთვე, უაღრესად საყურადღებო ინფორმაციის შემცველი შავად შესრულებული პროექტები. რომლებიც სხვა მკვლევარებისთვის დარჩა ყურადღების გარეშე. აქედან პირველი შესრულებულია ფანქრით. მისი სათაურის ზედა მარჯვენა მხარეს გადაშლილ ნაბეჭდში იკითხება ავტორის ვინაობა – А.Н.Инаури.რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მ.ჯავახიშვილისა და სხვათა საქმეების გამოკვლევა და ბიუროს დადგენილების პროექტის მომზადება დავალებული ჰქონდა პირადად ბიუროს წევრსა და სათანადო კომპეტენციის თანამდებობის მქონე, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის უფროსს, ა.ინაურს. იგი დავალებულ საკითხს იკვლევს მ.ჯავახიშვილისა და ტ.ტაბიძის საძიებო საქმეებზე დაყრდნობით. ამ პრეოქტს სათაურის ზემოთ ირიბად, ფანქრითვე მიწერილი აქვს „გოცირიძე, ჯავახიშვილი, გეორგაძე, ლელაშვილი, მჟავანაძე“ (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (I), საქმე - „საიდუმლო საქაღალდე“ №31, ფურც. 20). ეს არის საქართველოს კომპარტიის იმდროინდელი ცკ-ის ბიუროს წევრების ერთი ძირითადი ნაწილი. იგი სავარაუდოდ ის შემადგენლობაა, რომელსაც ა.ინაურთან ერთად დავალებული ჰქონდა საქართველოს კომპარტიის ცეკას საიდუმლო დადგენილებისა და სკკპ ცეკასადმი წარსადგენი ასევე საიდუმლო მოხსენების „გამოკითხივს წესით“ მოსმენა-დამტკიცება. მაშასადამე, მ.ხომერიკის კონცეფციისა და ფორმულის თანახმად, ესენიც ვ.მჟავანაძესთან და ი.აბაშიძესთან ერთად „ძმანი მისნი“ და 30-იანი წლების ჯალათების მენტალიტეტისანი არიან.

ჩემს მიერ გამოვლენილი და შესწავლილი იქნა, ასევე უაღრესად საყურადღებო ინფორმაციის შემცველი, ამავე საქმეში დაცული საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივნის ვ.პ.მჟავანაძის 18 მაისის წარდგინების შავი პირი, ანუ პროექტი. იგი აზრობრივად ემთხვევა მისი საფუძველზე მომზადებულსა და მოსკოვში გაგზავნილს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ ზოგ დედნისეულ დებულებას მისდევს ჯვარედინად ფანქრით გადახაზულ-გადაშლილი არგუმენტები. აქედან კარგად ჩანს, რომ ასეთი თავდაპირველი არგუმენტირება, შემდეგ, დედანში შეტანისათვის მიზანშეწონილად არ უცვნიათ. მაგრამ, მათმა შესწავლამ დამანახა არა მარტო ის,

რომ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბიურო, ვ.მჟავანაძე და ა.ინაური ბიუროს დადგენილებასა და მოსკოვში გაგზავნილ ოფიციალურ მოხსენებაში მალავენ, ანუ საჭიროდ არ მიიჩნევენ წამოსწიონ მ.ჯავახიშვილის დაპატიმრებისა და მისი ხელნაწერი განცხადების ჩვენთვის საინტერესო საკითხები, არამედ ისიც, რომ გადაშლილ ტექსტში, თუ მის არგუმენტებში დაფიქსირებულია უაღრესად საყურადღებო ინფორმაციები.

გადაშლილი არგუმენტები მოწმობენ, რომ ისინი ამოკრეფილია მ.ჯავახიშვილის, როგორც პატიმარი მწერლის საქმეში დაცული, ერთადერთი იურიდიული ძალის მქონე და მაშასადამე, ყველაზე მნიშვნელოვანი ხელნაწერი განცხადებიდან, და ამასთანავე იმ მიზნით, რომ ცხადი გახადონ საქმის რეალური ვითარება და მისი ავტორის ხელნაწერის ჩვენებათა წინააღმდეგობრიობა და მცდარობა. მომყავს ამ გადაშლილი, მოსკოვში ვ.მჟავანიძის მიერ გაგზავნილ მოხსენებაში შესატანად გამორიცხული, მაგრამ მისი აზრის ბალავარი არგუმენტების ქართული თარგმანი:

„ყურადღებას იპყრობს მ.ს.ჯავახიშვილის „<u>აღიარება</u>“, თითქოს 1937 წლის მაისში სსრ კავშირში არალეგალურად ჩამოვიდა ემიგრანტი შალვა ქარუმიძე და შეხვედრა ჰქონდა ჯავახიშვილთან, უკანასკვნელის ბინაზე. ამ დროს, არც 1937 წლამდე და არც შემდეგ, ქარუმიძის სსრ კავშირში ჩამოსვლის შესახებ ჩვენს ორგანოებში ცნობა არ მოსულა (ეს ეხება მ.ჯავახიშვილის ხელნაწერს. იგი ა.ინაურისეულად არის გაშიფრული და უაღრესად საყურადღებოა – გ.ც.).

„ერთხელ მაისში (ლაპარაკია 1937 წელზე <u>მ.ჯავახიშვილის დაპატიმრებამდე ერთი თვით ადრე</u>), გვიან ღამით, როდესაც ყველას ეძინა, კარზე წყნარად დააკაკუნეს. მე კარი გავაღე, ჩვენს წინ ნახევრად სიბნელეში იდგა უცნობი კაცი. „ვერ მიცანი? – ვერა! მით უკეთესი.

იგი თვითონ შემოვიდა ოთახში. მხოლოდ ღიმილით ვიცანი შალვა ქარუმიძე (ესეც მ.ჯავახიშვილის ხელნაწერიდანაა – გ.ც.).

შემდგომ დაწვრილებით გადმოცემულია, რომ მან (მ.ჯავახიშვილმა – გ.ც) ქარუმიძეს გააცნო საქართველოში არსებული მდგომარეობა და მან (შ.ქარუმიძემ – გ.ც.) რეკომენდაცია მისცა არ

წახვიდეთ ავანტიურაზე, რათა არ დაზარალდეს ქართველი ერი, არავითარ შემთხვევაში არ დაუკავშირდეთ მენშევიკებს, ტროცკისტებს და სხვა პარტიებს.

ჯავახიშვილმა უჩვენა:

შემდეგ გაირკვა, რომ იგი (ქარუმიძე) თბილისში ესტუმრა პოლონეთისა და გერმანიის კონსულებს, რომლებიც გამოლანძღა იმის გამო, რომ ძალუძთ წარმოაჩინონ თეთრი შავად და პირიქით...“ (ესეც იმავე წყაროდან არის – გ.ც.).

ცხადია, რომ ყველა ეს ჩვენებები ყალბია, ნაძალადევია (!-გ.ც.), რამდენადაც საზღვარგარეთიდან არალეგალურად ჩამოსულ ემისარს გაცხოველებული დაპატიმრებების დროს არ შეეძლო ასე დაუბრკოლებლად და თავისუფლად მოენახულებინა უცხოეთის საკონსულოები და ანტისაბჭოთა ფორმირების მონაწილეები“.

როგორც ვხედავთ, გადახაზულ-უარყოფილის ავტორი მ.ჯავახიშვილის ხელნაწერში მართლაც პოულობს წინააღმდეგობრივსა და დაუჯერებლს. რატომ არის დაუჯერებელი? თუნდაც იმიტომ, რომ საგარეო საფრთხის გამო საკონსულოები და ჩეკისტური ძიებით გამოვლენილ-დასაპატიმრებელი ჩვენი მოქალაქეები მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ. მე ჯერ კიდევ, 1990 წლების დასაწყისში ჩემი უხუცესი კოლეგის, დოცენტ სოკრატ ხურცილავას მონაყოლ სტუდენტობის დროინდელ განცდილზე დაყრდნობით, ჩემი ნაშრომების ციკლში („დიდი ბოროტების სათავეები და შედეგები“), 1990 წელს გამოვაქვეყნე ასეთი შემთხვევა: როცა 1937 წელს უცხოეთიდან ნათესავების მიერ გამოგზავნილი ამანათის მისაღებად პოლონეთის საკონსულოში მისულ უნივერსიტეტის სტუდენტს ჯაშუშობა დააბრალეს და ამ ვიზიტის გამო გააქრეს. ეს ალბათ ახალგაზრდების დაშინებისთვის გაკეთდა. მაგრამ ცხადია, რომ საკონსულოები ჩეკას მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ.

აგრეთვე საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ამ პროექტში ნათქვამია: „მთავარი“ “მოწმე ლ.ქორქაშვილი მ.ს.ჯავახიშვილს როგორც ფაშისტური ცენტრის წევრის გამომჟღავნების დროს, რომელთანაც მან 1937 წლის თებერვალში პირადად დაამყარა კავშირი, სოცფედერალისტების პარტიის ცენტრის დავალებით, - მას

ასახელებს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად, მაშინ როცა ჯავახიშვილი არის მწერალი და არასოდეს სახ.უნივერსიტეტის პროფესორი არ იყო. ისმევა კითხვა, უნდა სცოდნოდა თუ არა ლ.ქორქაშვილს ვის წარმოადგენს ჯავახიშვილი, თუ იგი მართლა იყო გაცნობიერებული მის, მსგავს საიდუმლოებებში? (ლ.ქორქაშვილმა მ.ჯავახიშვილის ვინაობა კარგად იცოდა, მაგრამ ტექსტის გამფორმებელმა, ვიდრე გაერკვეოდა უთუოდ მისი სახით ივანე ჯავახიშვილი იგულისხმა – გ.ც.).

შემდეგ ქორქაშვილმა 1937 წლის ივლისში მისცა ჩვენებები, რომ მ.ჯავახიშვილის სიტყვებით მისთვის ცნობილი იყო, რომ ომის მომენტში, ფაშისტური ცენტრის დავალებით, ა.ახმეტელს უნდა დაეპატიმრებინა ბერია და გოგლიძე. ეს ჩვენებები, რატომღაც არ იქნა რეალიზებული ჯავახიშვილისა და ქორქაშვილის დაპირისპირების დროს (რომელზედაც ჯავახიშვილი საკუთარ თავზე უკანასკნელის ჩვენებას კატეგორიულად უარჰყოფდა). არადა ეს საჭირო იყო, რადგან ჯერ კიდევ ივნისში დაპატიმრებულმა დავით წერეთელმა უჩვენა, რომ იმავე ჯავახიშვილის სიტყვებით მისთვის ცნობილია, რომ ლ.ქორქაშვილს უნდა შეეკრიბა და ეხელმძღვანელა საბრძოლო რაზმისთვის, რომელსაც უნდა დაეპატიმრებინა ბერია და გოგლიძე...“ (იქვე, გვ.30-34). მაშასადამე, მკვლევარი ახდენს, მ.ჯავახიშვილის ხელნაწერი განცხადების და მისი წინამორბედი პატიმრის დაკითხის ოქმის ანალიზს და კარგად ხედავს მის აბსურდულ შინაარსს. მ.ხომერიკს კი, მსგავსი წიაღსვლების საჭიროება მიზნობრივად აქვს უგულვებელყოფილი.

ჩემი დაკვირვების მიხედვით, მოყვანილ პროექტებში საკმაოდ გონივრულად არის მიგნებული მ.ჯავახიშვილის საქმეში ძიების მიერ ჩადებული, მათ შორის, მწერლის ხელნაწერში შენიშნული, ზოგი პრინციპული, აბსურდული აზრის შემცველი წინააღმდეგობრივი მდგომარეობები, აგრეთვე, სისხლის სამართლის პროცესუალური ნორმების დარღვევა. მაგარმ გაუგებარი რჩება, „მკვლევარმა“ რატომ ბოლომდე არ გაარკვია და არ წარმოაჩინა მ.ჯავახიშვილის ხელნაწერში ჩადებული ის უამრავი, სხვა მდგომარეობები, რომლებიც 60 წლის შემდეგ ჩემი გამოსარკვევი და წინამდებარე წიგნის II, V, VI და ზოგ სხვა თავებში გახდა გასაშუქებელი. ჩემი

აზრით ამის მთავარი მიზეზია სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გამოყოფილი, პოლიტიკურად უკიდურესად დაჩქარებული ტემპი, მისი უაღრესად გასაიდუმლოებულად წარმოების მცდელობა და სათანადო წინასწარი სამუშაოების, მათ შორის, ხელწერის მიხედვით მ.ჯავახიშვილისეულად შეფასებული განცხადების თარიღი, მისი ხელნაწერის შემზარავი და აბსურდული შინაარსის ბოლომდე გამორკვევა-გაანალიზების სირთულე, რომლის ამოხსნა, არა მარტო დამატებითი სამუშაოების შესრულებას, არამედ, ამასთანავე შესაბამის ძალისხმევას მოითხოვდა. უთუოდ შეინიშნება ასეთი მოთხოვნების არსებობა. ამ სირთულეს ისიც ცხადყოფს, რომ იყვნენ მ.ჯავახიშვილის რეაბილიტაციისა და გამართლებით შეშინებულ-შეშფოთებულნი; რომლებიც უთუოდ გამოავლენდნენ წინააღმდეგობას. ჩემი აზრით, სწორედ ამიტომ მოხდა, რომ 1937 წლიდან დღემდე, ანუ ლამის 80 წლის მანძილზე ჩემს გარდა, სრულად ვერავინ ამოიცნო მ.ჯავახიშვილის ხელნაწერის მცდარი თარიღის საიდუმლოება. ამიტომაც უკვე მ.ჯავახიშვილის რეაბილიტაციის პროცესის და განსაკუთრებით რეაბილიტაციის საზეიმოდ გამოცხადების დროს გამოვლინდა ზოგი მ.ჯავახიშვილის თანამედროვეს მხრივ მისი რეაბილიტაციის გამო გამოხატული ის უკმაყოფილოება, რომლის შესახებაც არა სრულად, მაგრამ საგულისხმოდ მოგვითხრო ქეთევან ჯავახიშვილმა.

როგორც ჩანს, საქართველოს კომპარტიის ცეკას ბიუროს წევრებმა და ა.ინაურმა მ.ნაცვლიშვილის ჩვენების გამოყენებული ანალიზის დაფიქსირების საჭიროებაც უგულებელჰყვეს, არც მ.ჯავახიშვილის გაუბედურება-დაპატიმრების მცოდნე ჩეკისტები და მწერლები დაუკითხავთ...

1937 წელს დახვრეტილთა რეაბილიტაციის დროს, არსებული წესით წარმოებდა შესაბამისი ძიება, რომლის დროსაც სისხლის სამართლის სათანადო მუხლების პასუხისმგებლობით დაკითხავდნენ ხოლმე არა მარტო დახვრეტილთა ძიების პროცესთან დაკავშირებულ ჩეკისტებს, არამედ, მათ მიერ ჩადენილ დანაშაულში თანამოაზრე-მონაწილეებად აღიარებულ, ანუ „ჩვენებებით“ დასახელებულ პიროვნებებს. ძიებას, ასეთი მ.ჯავახიშვილის მიერ ფაშისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელ-თანამონაწილეებად „დასახელებულთა

მიმართ, როგორც ჩანს, არ ჩაუტარებიათ. მ.ჯავახიშვილის ვითომ 1937 წლის 21 ივნისის, გოგლიძის სახელზე წარდგენილი, მის საძიებო საქმეში დაცულ ერთადერთ ხელნაწერ განცხადება- „ჩვენებაში“ დასახელებული პიროვნებები და ვითომ ფაშისტი თანამებრძოლი ლიდერები (გ.ქიქოძე, ი.მოსაშვილი, ს.დანელია, ს.თავაძე, ი.ვაკელი, ს.შანშიაშვილი, ვ.ბერიძე) არ დაუკითხავთ. 50-იანი წლების სარეაბილიტაციო ძიების ჩატარების დროს დაკითხეს კ.გამსახურდია, შ.ნუცუბიძე და ზოგი ის პიროვნება, რომლებიც ე.წ. „ფაშისტურ“ და სხვა ორგანიზაციებთან კავშირში იყვნენ „მხილებული“, მაგრამ ჩანს მათთვის მ.ჯავახიშვილთან დაკავშირებით არ უკითხავთ. ამის მიზეზი, როგორც ვნახეთ, იყო მ.ჯავახიშვილის საძიებო საქმის შესწავლით დავალებული „მკვლევარის“, „სუკის“ იმდროინდელი თავმჯდომარის, ა.ინაურის და სსრკ გენერალური პროკურორის რ.რუდენკოს მიერ ჩატარებული წინასწარი გამოკვლევებით გამოვლენილი და მათ დასკვნაში წარმოჩენილი, მ.ჯავახიშვილისეულად გასაღებული აღიარებების აბსურდულობა და ჩემი აზრით ისიც, რომ სიმართლის მაძიებლებს სათანადო, საჭირო ინფორმაციის მიღება შეეძლოთ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ირაკლი აბაშიძისგან.

ერთ-ერთი შემთხვევა, ვინც 1947 წელს გერმანიასთან კავშირის ბრალდებით დაკითხეს იყო გერონტი ქიქოძე, მაგრამ ეს იყო ბერიას დროს. ამასთანავე, გ.ქიქოძემ ადვილად დააღწია თავი ძველი სავალალო აბსურდული ბრალდებების აცილებას. ამის შესახებ გ.ქიქოძე ასე მოგვითხრობს: „1947 წელს მწერალთა კავშირში მითხრეს, ჩარკვიანთან ხარ გამოძახებულიო... კაბინეტში მაგიდის თავში ჩარკვიანი იჯდა, ცოტა მოშორებით მეორე მდივანი პეტრე შარია, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჩხუბიანაშვილი და უშიშროების მინისტრი ავქსენტი რაფავა ისხდნენ...

„თქვენ ბრალად გედებათ, რომ მთავრობის შედგენას აპირებდით, იმ შემთხვევაში თუ გერმანელების ჯარი საქართველოში შემოიჭრებოდა და საბჭოთა ხელისუფლება იძულებული გახდებოდა ამიერკავკასიის ევაკუაცია მოეხდინა, - მითხრა რაფავამ... ცხადი იყო, ძალიან ნანობდა, რომ ეს ჩემი დაკითხვა პირველი მდივნის

კაბინეტში ხდებოდა და არა ბნელ ჯურღმულში სადაც მას უფრო მოქმედი იარაღების გამოყენება შეეძლო.

- თქვენი სახელი და გვარი მოხსენებულია მრავალ საბრალდებო დასკვნაში – მითხრა ჩარკვიანმა... ამას გარდა თქვენ დასახელებული ხართ რამდენიმე ბრალდებულის მიერ...“ მაგრამ ეს იყო ვინმე, ამ დროს დახვრეტილი კომუნისტისგან გამოძალულ ჩვენებაზე დაყრდნობილი აბსურდი, რომელიც გ.ქიქოძემ ადვილად გააბათილა. ამის შემდეგ ჩარკვიანმა, როგორც გ.ქიქოძე წერს - „მთხოვა სრული საიდუმლოება დამეცვა ამ ამბის შესახებ“. იგი დასძენს: „ცოტა ხნის შემდეგ თვით საბჭოთა ხელისუფლებისთვის აშკარა გახდა, რომ მთელი ამ (ომისდროინდელი – გ.ც.) შეთქმულების ამბავი მოგონილი იყო უშიშროების მინისტრის რაფავას მიერ...“ (გ.ქიქოძე, დასახელებული ჩანაწერები, გვ.49-50). როგორც ცნობილია, ა.რაფავა იმ დროს, როცა მ.ჯავახიშვილის საბრალდებო აბსურდები ითითხნებოდა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე იყო და გ.ქიქოძის შესახებ დიდი მწერლისგან გამოძალულ ხელნაწერ ჩვენებაში დაფიქსირებული ჩვენებების შესახებ ყველაფერი კარგად იცოდა, მაგრამ ამის შესახებ არაფერი უხსენებია, რადგან ახალი აბსურდის ძველი აბსურდით გამაგრებას აზრი არ ჰქონდა. ამის შემდეგ, როგორც ცნობილია წარსული დანაშაულებების გამო სხვებთან ერთად, თვით რაფავაც დახვრიტეს, ხოლო მ.ჯავახიშვილი გაამართლეს.

როგორც ვნახეთ, ა.ინაურმა წინასწარი ძიების დროს დაადგინა მ.ჯავახიშვილის 21 ივნისით დათარიღებული, ვითომ მის მიერ დაპატიმრებამდე ორი თვით ადრე წარდგენილი ხელნაწერი განცხადების აბსურდულობაც, მაგრამ მან ბოლომდე ვერ გაარკვია მცდარი თარიღის საიდუმლოება. ამ „მკვლევარის“ პროექტში ჩანს ერთი სავალალო შეცდომა: მან მ.ჯავახიშვილის საძიებო საქმეში დაცული 1937 წლის 21 აგვისტოს ე.წ. „ასლი“, ანუ „ფუტლიარი“ და მისი მომდევნო 21 ივნისით, მცდარად დათარიღებული იურიდიული ძალის მქონე ხელნაწერი-„დედანი“, შეაფასა „არსებითად ერთი და იმავე ჩვენებად“ (შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (I), საქმე №31, ფურც.31). ამ შეცდომასაც შეეძლო შეექმნა ბიუროს წევრების უნდობლობა და ძიების შეეწყვიტა „დედანში“ არსებული, მართლაც

არსებითი მნიშვნელობის შემცველი და მისთვის შეუმჩნეველი სხვა, ჩემს მიერ წარმოჩენილი, იმ არსებითი მდგომარეობის მოკვლევის გაგრძელება, რომელთაც მ.ჯავახიშვილის ხელნაწერი განცხადების სწორი დათარიღებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ამასთანავე იმ კონკრეტულ სიტუაციაში, როცა ქართველი ხალხის დიდი, ეგზალტირებული უმრავლესობა „ყველაზე საამაყო“ ქართველის, სტალინის გარდაცვალების გამო ტიროდა და მისი იგნორირების გამო მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ბერიას შესახებ გამოქვეყნებული აბსურდული ბრალეულობების გამო, მისი ოფიციალური შეფასების საერთოდ არ ეჯერებოდა, სამი დიდი ქართველის დაჩქარებულ რეაბილიტაციას განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ამდენად მ.ჯავახიშვილის ხელნაწერის დეტალიზაციასა და მისი თარიღის დადგენას „ურმის მეხუთე ბორბლის“ მნიშვნელობა ენიჭებოდა. ხელისუფლებისთვის მთავარი იყო საქართველოში სახალხო გლოვის სახალხო სიხარულად შემობრუნება. ამიტომ რუდენკოს და „ძმანი მისნის“, მათ შორის ქართველი „ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი პირების“ მიერ შექმნილ დოკუმენტებსა და წარდგინებაში მ.ჯავახიშვილის ხელნაწერის დეტალიზება, მისი სწორი დათარიღება და მწერლის დაპატიმრების თარიღის სწორად განსაზღვრა ვერ, ან აღარ მოხერხდა, ან კეთილი მიზანდასახულობით არ მოხდა და მცდარად გამგებლით.

ამ ლაფსუსმა თავი იმთავითვე იჩინა. ქ.ჯავახიშვილი წერს: რეაბილიტაციის გამოცხადების შემდეგ... ფილარმონიის დირექტორმა... დამირეკა და მითხრა... მსახიობებთან ერთად ის ციმბირის მხარეში საგასტროლოდ იმყოფებოდა... ერთხელ, მასთან ერთი კაცი მისულა და უთქვამს... იცნობდით მწერალ მიხეილ ჯავახიშვილს? ის ჩვენთან იყო გადასახლებაში, ბევრი ნაწერი დარჩა მას და ჩამოდით, ნახეთ ეს ნაწერები...

ეს ამბავი რომ გავიგე... მეორე დღესვე წავედი მწერალთა კავშირში და ეს ამბავი ირაკლი აბაშიძეს გადავეცი, ისიც ვუთხარი, რომ წასვლა გვინდოდა... მან ისეთი რამ მითხრა, რომ მაშინვე იმედი გამიცრუვა. ქეთო მითხრა ირაკლიმ... დამიჯერე მე დანამდვილებით ვიცი, რომ მიხეილი თბილისიდან არსად გასულა (! – გ.ც.),

ყველაფერი აქვე მოხდა (! – გ.ც.)... შენ ისე უნდა ირწმუნო, როგორც ოფიციალურად გატყობინებენ. მწერალთა კავშირმა (! – გ.ც.) უკეთ არ იცის ეს ამბავი? ამიტომ მე დამიჯერე...“ (ქ.ჯავახიშვილის დასახელებული წიგნი, გვ.443-444). მაშასადამე მ.ჯავახიშვილის „ამბავი“ ირ.აბაშიძემაც იცოდა და მწერალთა კავშირის „აქტივმაც“. მათ შორის მ.ჯავახიშვილის რეაბილიტაციას მომხრეც ბევრი იყო და მტერიც არ გამოლეულა.

საქართველოს მწერალთა IV ყრილობის მხოლოდ ხელმძღვანელ ორგანოებში დასახელებული არიან პასუხისმგებელი პირები – ირ.აბაშიძე, გ.ლეონიძე, კ.გამსახურდია, ს.შანშიაშვილი, ი.მოსაშვილი, ბ.ჟღენტი, ს.ეული, ი.ლისაშვილი, ქავჟარაძე (ლხცსა, ფონდი 8, აღ1, ს.1, ფურც.1-8) და სხვ. საერთოდ ყრილობას კი რეაბილიტირებულთა კეთილმოსურნე ვ.მჟავანაძესთან ერთად, მხოლოდ მწერლების სახით ორასამდე კაცი ესწრებოდა. მათ შორის იყვნენ ისინიც ვინც მ.ჯავახიშვილს, ტ.ტაბიძესა და პ.იაშვილს სისხლი სიცოცხლეშივე გაუშრო, ხოლო მათი მოსპობის მერე, მათივე მ.ჯავახიშვილისა და სხვა რეპრესირებულთა გინებით გაზეთის ფურცლები დაამძიმა. სავარაუდოა, რომ აქედან ზოგმა თავისი მოგონებებით მ.ხომერიკი და მომავალი თაობები სასურველი აზრით დააკვალიანა.

მ.ხომერიკის ბოლო პასკვილური წიგნიდან ისე ჩანს, რომ მისი ტენდენციების ინტერპრეტაციების და ყალბი მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ყალბმა ჩეკისტურმა მემკვიდრეობამ და ბაბუა იაკინთე ხომერიკი-ლისაშვილის ჩანაწერებმა.როგორც ცნობილია, ჩეკას (იგივე სუკის) არქივის მუშაკები ყოველთვის ამჟღავნებდნენ ინტერესს მათთვის ხელმისაწვდომი ისტორიის მემკვიდრეობის შემცველი საქმეების მიმართ. არ არის გამორიცხული, რომ რომელიმე ასეთმა სპეციალისტმა თავის დროზე მ.ხომერიკის მიერ მ.ჯავახიშვბილის ჩეკას დამსმენ – აგენტად გაგების საკითხში თავისი აზრის შესაბამისი კონსულტაცია გაუწია და დამაჯერებლად დააკვალიანა. ამას ისიც მაფიქრებს, რომ ჩემს მიერ შესწავლილი ჩეკისტური არქივის ერთ-ერთ ტომს გველი ახატია და ერთი ცნობილი მწერლის სახელის და გვარის მინაწერიც აქვს. მართალია ეს „მხატვრის“ პოზიციას გამოხატავს, მაგრამ ამასთანავე უაღრესად და მრავალმხრივ საგულისხმოა... აქ საჭირო

ითქვას, რომ ამ გველს ი.ლისაშვილის, ი.მოსაშვილის და ს.შანშიაშვილის გვარი არ აწერია.

ზემოთ აღნიშნულთან ერთად ისიც სავარაუდოა, რომ მ.ხომერიკს „დახმარება“ გაუწია ბაბუა იაკინთეს მოგონებათა რვეულის“ არსებობამ (იხ. მ.ხომერიკის ბოლო წიგნი-პასკვილი, გვ.68, 132-133); ზოგი კრიტიკანის მხრივ მცდარმა დაკვალიანებამ (იხ. იქვე, გვ.84); ერთი მეზობელი ჩეკისტის მონათხრობმა (იხ. თსუ პროექტორთან 2003 წლის 3 ნოემბერს ჩატარებული სხდომის ოქმი №3, ფურც.3).

როგორც მოცემული წიგნის წინა თავებში ვნახეთ: მ.ხომერიკი ეყრდნობა მის დაბადებამდელ ასეთ ფაქტს: თურმე მან, რომელიც 1935 წელს დაბადებულიც არ იყო, იცის, რომ მისი ბაბუა იაკინთე, ვიდრე მ.ჯავახიშვილს 1935 წელს, მისთვის „სისხლის რასობრივი თეორიის“ მთხრობელს, ორჯერ, პირველად, ჯერ მწერალთა კავშირში, მერე კიდევ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში დააბეზღებდა და პრობლემას შეუქმნიდა, ბოლთას ცემდა და აამბობდა „არ ვიცი რა ვქნაო...“ აქედან ჩანს, რომ მ.ხომერიკი ბაბუას ჩანაწერებს ან მონაყოლებს ეყრდნობა. მ.ხომერიკს მოჰყავს ი.ლისაშვილის ჩანაწერები: ერთი ხელნაწერის ქსეროასლი მოწმობს, რომ მას აღფრთოვანება განუცდია გაგარინის კოსმოსში გაფრენის გამო. მეორეში ნათქვამია: „ხელახლად ვკითხულობდი ვაჟა-ფშაველას პოემას - „გველის მჭამელს“ ვიგრძენ ავცრემლდი და გამოვფხიზლდი – ამ დროს რადიოში უკრავდნენ ბეთჰოვენის „მეცხრე სიმფონიას“ და მაშინ მივხვდი: მე ორი გენიოსი მატირებდა“. დაუჯერებელია, რომ ი.ლისაშვილი, რომელსაც ბევრი სასიამოვნო განცდის გარდა, 1920-1930-იანი და 50-იანი წლების უამრავ უსიამოვნო ამბავსაც მოესწრო, თავის ჩანაწერებში მათ თავისებურ ახსნას არ მოუძებნიდა და არ ჩაიწერდა, ან ერთადერთ მომავალ ცნობილ ისტორიკოს შვილიშვილს თავის წარსულ განცდებს თავისებურად არ მოუყვებოდა?..

ხომ ვნახეთ, რომ მ.ხომერიკმა 1937 წლის 26 სექტემბრის ფაქტი – ბერიას მიერ მ.ჯავახიშვილის ვითომ ჯაშუშობისა და პოლონეთის კონსულიგან 3000 მანეთის ვითომ მართლა აღების შესახებ და ამის დამადასტურებლად ფურცლის ყასიდი აფრიალების შესახებ ბ.ჟღენტის მოგონება, თავისი კონცეფციის შესაბამისად გაგვიყალბა.

ესეც ხომ საეჭვო და მცდარი მემკვიდრეობის გამოყენების გამოვლინებაა...

მ.ხომერიკის მხრივ აუგი მემკვიდრეობისადმი ერთგულება და მისი გამოყენება იყო: მის მიერ, „მეზობელი ჩეკისტის“ ნათქვამის („მ.ჯავახიშვილი, ჩეკას აგენტი, მეტსახელად „არსენა“ იყო“) ჭეშმარიტებასავით მიღება და გასაღება. ამის, ჯერ კერძო საუბრებში, მერე საჯაროდ, უნივერსიტეტის კადრების განყოფილების მრავალრიცხოვანი თანამშრომლების წინაშე კამათის დროს გამოცხადება და ბოლოს, კიდევ, ჩემი კათედრის გამგის გადასაბირებლად გამოყენებაც. ეს მაგალითები ცხადად მეტყველებენ, რომ, მ.ხომერიკს ზემოთ მოყვანილი და სხვა, მსგავსი მემკვიდრეობის სახით შეყრია 1930-იანი წლების მენტალიტეტის მქონეთა ვირუსი.

მ.ხომერიკი თავისი ყალბი მიზნობრივი ინტერპრეტაციებისა და კონცეფციის დამაჯერებლობისთვის მარჯვედ იყენებს სიმართლის მღაღადებელთა ცნობილ გამონათქვამებს: „ხელნაწერები არ იწვიან“, „არ არის დაფარული რაიც არ გაცხადდეს“. იგი ამ დევიზებით მკითხველს რომ აკვლიანებს, ისიც ხომ უნდა იცოდეს, რომ ისინი ამავე დროს, როგორც ვნახეთ, იძლევიან მისი ინტერპრეტაციებისა და ამ ყალბ ინერპრეტაციაზე დაყრდნობილი, მისივე ყალბი კონცეპციის მიმართ ჩემი სწორი ახსნის შესაძლებლობას. ამ გასაღების გამოყენებით ისიც ცხადი ხდება, რომ მისი პასკვილური წიგნის IV თავში მ.ხომერიკი ცდილობს მკითხველი მართალი წყაროების თავისებური გამოყენებით და ყალბი ინტერპრეტაციებით დაარწმუნოს, თითქოს მ.ჯავახიშვილის რეაბილიტაციის მონაწილე ხელისშემწყობები, უამრავი ტყუილ-მართლის მცოდნე, ა.იანური, რ.რუდენკოს და „ძმანი მისნი“, ანუ ვ.პ.მჟავანაძე საქართველოს კომპარტიის ცეკას ბიუროს წევრები და სხვა ყველა ვინც ხელი წაახმარა დიდი მწერლის რეაბილიტაციას, მაგრამ ამავე დროს, შეცდომები დაუშვა, მცდარი აზრი გამოთქვა, ან კეთილი მიზანდასახულობით გვერდი აუარა მისთვის ბოლომდე შეუცნობელს და იგი ოფიციალურ დოკუმენტებში არ დააფიქსირა, მკითხველს მოაჩვენოს 1930-იანი წლების დიდი ტერორის შემომქმედი ჯალათების მენტალიტეტის მსგავსი მენტალიტეტის პიროვნებებად. მ.ხომერიკი

თავის, მ.ჯავახიშვილის შესახებ შექმნილ „ნაშრომებში“ კი, მუყაითად და დაბეჯითებით ცდილობს დიდი მწერალი მკითხველს შეაჩეჩოს ბოლშევიკური კრიტიკის გაგებითა და ჩეკისტურად შეთითხნილი ფაქტოლოგიისა და კონცეფციის შესაბამისად, ამავე დროს, იგი ამ აუგ საქმეში მარტო არ არის. მას მხარი დაუჭირეს მისი მენტალიტეტის ადამიანებმა, მათ შორის მის მიერ „ეროვნულ ნიადაგზე მდგომ“ მეცნიერებად გამოცხადებულებმა. აი, ვინ და როგორ არის დაავადებული ჩეკისტი ჯალათებისა და მათი თანამოაზრეების მენტალიტეტის სხვისთვის დაბრალების ვირუსით და როგორ ყალბდებოდა საქართველოს უახლესი ისტორიის საყურადღებო საკითხები...

ბოლოთქმა

„დასასრულია ის ვასდეს,
ვინც მართალს აკადე შეერთ"
(ვაჟა-ფშაველა)

როგორც ჩემი წინამდებარე წიგნითა და მ.ხომერიკის პასკვილის საერთო ანალიზით ვნახეთ, არ დასტურდება და ამდენად ტყუილია, რომ თითქოს მ.ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე ჩეკას თუ ბერიას დამსმენისა და აგენტის მენტალიტეტიდან გამომდინარე, დაწერა გოგლიძის მიმართ განკუთვნილი ავტოგრაფული განცხადება.

ჩეკისტურად მოპოებული „ჩვენებების" ანალიზით ცხადი გავხადე, რომ დიდი ტერორის პოლიტიკური კონიუნქტურის პასუხად ჩეკას ძიებამ მაქსიმალურად გაითვალისწინა მათთვის ბერიას მიერ დასახული ამოცანები და გამოაყენებინა გამოძალვის მის მიერ მოცემული მაგალითები. ძიებამ ადრე დაპატიმრებულთაგან გამოძალვით მოიპოვა აღიარება-ჩვებებები, რომლებიც მ.ჯავახიშვილს დოკუმენტურად ამხელდნენ ფაშისტად, მწერალთა ფაშისტური ორგანიზაციის თავმჯდომარედ და საერთო კონტრრევოლუციური, მრავალპარტიული ცენტრის წევრად. ამ ჩვენებათა მნიშვნელოვანი ნაწილი არსებობდა ჯერ კიდევ 1937 წლის 21 ივნისამდე და მის დაპატიმრებამდე (15.VIII.1937წ.). ეს გამოიწვია იმან, რომ ხელისუფლებამ და პარტიულმა ხელმძღვანელობამ 1923 წელს ექვსთვიანი პატიმრობისა და დახვრეტის რეალური ბრალდების მქონე, მ.ჯავახიშვილის გადაბირებისა და მისი საბჭოთა ცხოვრების წესის მქადაგებელ მწერლად გარდაქმნა ვერ მოახერხა. იგი ამის მერე პიროვნული თვისებებითა და მწერლური შემოქმედებით კიდევ უფრო გასხივოსნდა რეჟიმის მიმართ დაუმორჩილებელ, სხვაგვარად მოაზროვნე ეროვნულ მამულიშვილად. მ.ჯავახიშვილი თავისი შემოქმედებით, არსებობითა და საქმიანობით გავლენას ახდენდა თანამოაზრეებზე და მკითხველ საზოგადოებაზე...

მ.ჯავახიშვილზე ბერიას და მის მიერ ნამართავი ჩეკას გადამწყვეტი ზემოქმედების საბაბი გახად პ.იაშვილის თვითმკვლელობის დროს მისი საჯაროდ დამფასებელის, ანაზდად და

განმეორებულად წამოძახებული, პაოლოს ქმედების ზედმიწევნით ზუსტად დამფასებელი სიტყვები - „ვაჟკაცი ყოფილა“! ამ ბერიას და რეჟიმის მამხილებელი და პაოლოს დამფასებლური განცხადების გამო ჩეკას გამომძიებლებმა გააქტიურეს მასზე ჩეკისტური მეთოდებით ზემოქმედება. დაპატიმრების შემდეგ ბერიას უშუალო ზემოქმედებით და ცემით 21 აგვისტოს გამოსძალეს აღიარებითი განმარტებები, რომლებიც შემდეგ მასვე გააფორმებინეს როგორც იურიდიული ძალის მქონე, მისი ბრალეულობების დამამტკიცებელი ძირითადი დოკუმენტური აღიარება-ჩვენებების შემცველი განცხადება.

კონკრეტული წყაროების სწორი ანალიზით დავასაბუთე, რომ მ.ჯავახიშვილის ეს ხელნაწერი განცხადება დათარიღებულია არასწორად, ხოლო მისი შინაარსით, სხვა დამხმარე წყაროებითა და ხელნაწერში ჩადებული აბსურდული ნიუანსების სწორი, მეცნიერული ანალიზით დავამტკიცე, რომ: მ.ჯავახიშვილი დაპატიმრების შემდეგ, ვიდრე მის მიმართ გამოყენებული იქნებოდა ფსიქოლოგიური წამება და ბერიას ბრძანებით ორჯერ განხორციელებული გაუსაძლისი ცემა, კატეგორიულად და პრინციპულად უარყოფდა ჩეკას ძიების მიერ წაყენებულ სხვათა და საკუთარ ანტისაბჭოთა ორგანიზაციულ-პრაქტიკულ ფაშისტური მუშაობის ბრალდებას. მაგრამ ბერიას მონაწილეობითა და ბრძანებით შესრულებული ზემოქმედების შემდეგ ისე როგორც ყველა სხვა უდანაშაულო, იგი იძულებული გახადეს, მ.ნაცვლიშვილის „დახმარებით“, დაეწერა თუ გადაეწერა ბერიას მოთხოვნების შესაბამისი „განცხადება“-„ჩვენება“, რომელშიც სხვათა მსგავსად „აღიარებინეს“ ის, რასაც მისგან მოითხოვდა ჩეკისტური ძიება, ანუ ბერია. ამის მერე, 20 სექტემბრისთვის მ.ჯავახიშვილის მიმართ ბერია-აბაშიძის ძალმომრეობა გაიმეორა კრიმიანმა და საწადელსაც ბერიას მსგავსად მიაღწია. ახლა მას გადააფარინეს სხვა ბრალდებები...

მ.ხომერიკმა ცნობილი მიზეზითა და საკუთარი „მეცნიერული“ რენომეს დაცვა-გამართლების მიზნით, დიდი მწერალი და ერის საუკეთესო მამულიშვილი, თავის მხრივ „20 წლის“ მანძილზე შეთითხნილი და გადამღერებული პასკვილური პუბლიკაციებითა გააყალბა და გაუმართლებელი ქმედებებით, თანამოაზრე-მეგობრის

დამსმენად, თუ ჩეკას აგენტ „არსენად“ გააზვიადა, მაგრამ მისი გაუმართლებელი მეცადინეობების ჩეკისტური მეთოდიკა და მეთოდოლოგია 20 წლის მერე მაინც ბოლომდე გამომჟღავნდა. ამრიგად, დამტკიცდა, რომ მან მიზნობრივად გაიზიარა დიდი ტერორის დროის ბერიას მიერ ნასაზრდოები ჩეკისტური ძიებისა და ბრალდების მეთოდიკა და მეთოდოლოგია. წინამდებარე გამოკვლევით ცხადი გახდა, რომ მან მოწინააღმდეგე აზრის მკვლევართა მიგნებების სრული იგნორირებით და საკუთარი ამბიციცებით, თავად დაიავადმყოფა საკუთარი თავი ჩეკას ძიებისთვის დამახასიათებელი ვირუსით და 1989 წლიდან დღემდე ვერ განიკურნა.

ამრიგად, მიმაჩნია, რომ ჩემი წინამდებარე წიგნის მკითხველისათვის გასაგები გახდა როგორც მ.ხომერიკის მიზნობრივი მეთოდოლოგიითა და წყაროების ინტერპრეტაციით წარმოჩენილი პასკვილი, ისე მისი აზრების მოწინააღმდეგე, მ.ჯავახიშვილის გულშემატკივართა და ჩემს მიერ მიგნებული სიმართლე დიდი ქართველი მწერლისა და საბჭოთა ბოლშევიკური რეჟიმის მიმართ დაუმორჩილებელი, სხვაგვარად მოაზროვნე, საუკეთესო მამულიშვილის შესახებ. ამრიგად ცხადი გახდა, რომ მ.ხომერიკის ნააზრევი არის 1937 წლის ტერორის შემოქმედთა მიერ ჩეკისტურად ნასაზრდოები ისტორიის გამეორება. ამასთანავე ისიც გაცხადდა, თუ აქამდე რატომ შეფერხდა ამ ეროვნულად უაღრესად მტკივნეული ჩეკისტური ისტორიის სრული მხილება. ახლა მკითხველს წინ უდევს მ.ჯავახიშვილის 1937 წლის ორი დიამეტრიულად განსხვავებული ისტორია, ამით მას ძალუძს თავად გაიცნობიეროს და განსაზღვროს, მ.ჯავახიშვილის ამ ისტორიის შეფასების საკითხში ვინ არის მართალი და ვინ მყტუანი, ანუ როგორც მ.ხომერიკი ბრძანებს „პროვოკატორი“, „ჩეკას ვირუსით შეპყრობილი“ და „აბდაუბდების მთქმელი“?!

წინამდებარე წიგნში ავტორის მიერ ძირითადად ყოფილ ჩეკას არქივში გამოვლენილი დოკუმნტების, სხვა ავტორთა მიერ გამოქვეყნებული ცნობილი, განსაკუთრებით ღირებული ცნობებისა და მასალების საფუძველზე გამოკვლეული, გაანალიზებული და გაშუქებულია ბოლშევიკური ტოტალიტარული რეჟიმის მიერ

ნასაზრდოები 1937 წლის დიდი ტერორის წამოწყება-განვითარების თავისებურებები, ჩეკისტური ძიების მეთოდები და ჩეკას გამომძიებელთა ჯალათობის უმძიმესი შედეგები. ამ ფონზე, ჩემი აზრით, დამაჯერებლად არის წარმოჩენილი, მოცემული პერიოდის რეჟიმის მიერ მიხეილ ჯავახიშვილისა და სხვა რეპრესირებულთა ჩეკისტურად ნამართავი პერიპეტიები. ამასთანავე, ამ წიგნში სათანადოდ წარმოჩნდა 1937 წელს რეპრესირებულთა, მ.ჯავახიშვილისა და ზოგ სხვათა უკანასკნელი ორი ათწლედის მანძილზე მიზნობრივად გაყალბებული აზრები. წიგნში, სათანადო წყაროების კრიტიკული ანალიზისა და მათ მყარ ბალავარზე დაყრდნობით, სრული სახით პირველად ირკვევა, რომ მიხეილ ჯავახიშვილის „დაპატიმრებამდე ორი თვით ადრე, ჩეკას თუ ბერიასთვის არ მიუწოდებია თანამოაზრე-მეგობრების დასმენების, თუ ბრალდებების შემცველი 34 ფურცლიანი ხელნაწერი განცხადება-„ჩვენება". ჩეკისტურად ნამართავი რეპრესირებულთა თანადროულობის დიდი მწერლის პოლიტიკური მრწამსისა და ადამიანური ღირსების შემლახველი და მცდარი გაგება გამოწვეულია მისი ეპოქისა და პერიპეტიების ამსახველი წყაროების არაობიექტური ახსნით. სინამდვილეში არ არსებობს საბჭოთა პერიოდის 20-30-იან წლებში რეჟიმის მიერ განხორციელებული უბედურებებთან დაკავშირებით, მ.ჯავახიშვილის პირადი ნებით ცილდაწამებული და გაუბედურებულები. არ არსებობს დიდი ტერორის დროს რეპრესირებულთა და მათ შორის მ.ჯავახიშვილის პირადი პასუხისმგებლობის დამადასტურებელი ჭეშმარიტი მტკიცებულობები. მ.ჯავახიშვილი უცოდველია 1937 წლის რეპრესიების დროს მისგან გამოძალული „ჩვენებებისა" და „მის მიერ მხილებული" ადამიანების გაუბედურების გამოც, რადგან მას ისე, როგორც მრავალ სხვა რეპრესირებულთა ჩვენება-აღიარებებს, ბერია და ჩეკისტები მართავდნენ ადამიანისთვის გაუსაძლისი მეთოდებით. ამავე დროს სხვა რეპრესირებულებს და მათ შორის მ.ჯავახიშვილს ნებსით და უნებლიედ ცილს სწამებენ, როდესაც მათ ადანაშაულებენ მათი ჩვენებიდან ამოკრეფილი დასახელებული ადამიანების წინაშე ჩადენილი უსამართლობაში და ისიც ირკვევა,

რომ მიხეილ ჯავახიშვილს ცილს სწამებენ, მაშინაც როცა აცხადებენ ჩეკას აგენტ-„არსენად".

სათქმელი კიდევ ძალიან ბევრია, ამიტომ ეს წიგნი გარკვეული ხარვეზების შემცველიცაა. პირველ რიგში სათქმელია ის, რომ შეიძლებოდა პოლემიკისთვის მეტი „კორექტული" ხასიათის მიცემა. ასეც მოვიქეცი 2003 წელს გამოქვეყნებულ ჩემს მონოგრაფიაში - „სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ". ამ წიგნში მ.ხომერიკი კიდეც შევაქე და მისი აზრის მთავარი მოწინააღმდეგე კიდეც გავაკრიტიკე მის მიერ დაშვებული უხეში შეცდომის გამო. შედეგად მისგან დაცინვა და ლანძღვა მივიღე. სათანადო წინდახედულობაც გამოვიჩინე იმისათვის, რომ პოლემიკას კორექტული ხასიათი ჰქონოდა. მაგრამ მოწინააღმდეგეების უსამართლო და ვულგარულმა თავსდასხმებმა არ მომცეს სხვა შესაძლებლობა. როგორც მკითხველმა ნახა, მათი მეცნიერული ობიექტურობისა და ზნეობის დეფიციტიდან გამომდინარე, მათი თავგასული ქმედება შესაბამის პასუხებს საჭიროებდა. ამის გარდა მინდოდა წინამდებარე წიგნისთვის დამერთო ზოგი, ჩემი სიმართლის განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მეტყველი სხვა, დამატებითი წყაროები და განმარტებები, რომლებიც კიდევ უფრო გაზრდიდნენ მათ მიმართ მკითხველთა ინტერესის უკუგებას. მაგრამ მათი ფურცლების საერთო რაოდენობა როცა დავითვალე, აღმოჩნდა, რომ წიგნის მოცულობას გადააჭარბა. მაგრამ აქ მთავარი მაინც ის არის, რომ, როგორც წინამდებარე პუბლიკაციაში მოხმობილი ისტორიის წყაროების სწორი, მეცნიერული ანალიზი მოწმობს, ბოლშევიკურმა ხელისულბებამ, გერმანიასთან მოსალოდნელი ომის მოლოდინის ვითარებაში, ხალხს შეგნებულად მოახვია დიდი ტერორი, რომელიც მიზნად ისახავდა მისი მოწინააღმდეგე აზრის მქონე, სხვაგვარად მოაზროვნე, მეხუთე კოლონად მიჩნეული ადამიანებისგან ქვეყნის ე.წ. „ჩისტკას". ეს პროცესი საქართველოში მნიშვნელოვნად გააძლიერეს ბერიამ და მის მიერ მართულმა ძალებმა, მასში აქტიური მონაწილეობა მიღეს ობივატელური მიდრეკილების მქონე, ხელისუფლების მიერ ეგზალტირებულმა ადამიანებმა. ამ დროს სხვაგვარად მოაზროვნე, იდეურად დაუმორჩილებელ ადამიანებს

წამებითა და ძალადობით გამოსძალეს კონტრრევოლუციური ბრალდებების შემცველი აღიარება-ჩვენებები და ამით ისინი განავითარეს მუშურ-გლეხური სამშობლოს ხელყოფითა და მისი სოციალისტური ბუნებრივ-ისტორიული განვითარების მოწინააღმდეგე ორგანიზაციულ-პრაქტიკულად და იდეურად მებრძოლებად. ამ პროცესმა საქართველოში უამრავი ღირსეული, სამშობლოსათვის სასარგებლო ადამიანი შეიწირა, და გააუბედურა. ამასთანავე ამ პროცესმა კიდევ უფრო გააღრმავა საზოგადოებაში ხელისუფლებასა და სხვაგვარად მოაზროვნეთა შორის ფარულად არსებული წინააღმდეგობა.

აღნიშნულმა პროცესმა მრავალ სხვა ქართველი ღირსეული მამულიშვილის მსგავსად შეიწირა მიხეილ ჯავახიშვილი, რომელსაც არ უმტკიცდება იაკინთეს მიმდევარი შვილიშვილის, მანანა ხომერიკის მიერ მიზნობრივი ბოროტებით შეთითხნილი ბრალეულობები. მაშასადამე, მტკიცდება, რომ მიხეილ ჯავახიშვილი იყო არა ჩეკას თუ ბერიას დამსმენ-ინფორმატორი და ჩეკას აგენტი- „არსენა", როგორც ამის დასაბუთებას თავის დეგრესიულ პუბლიკაციებში მრავალგზის შეეცადა მ.ხომერიკი და ფაქტობრივად მხარი აუბეს წინამდებარე წიგნში მხილებულმა მისმა მხარდამჭერებმა და მათ შორის „ექსპერტებმა", არამედ სინამდვილეში როგორც წინმდებარე პუბლიკაციაში გამოყენებული წყაროებიდან და მათი სწორი ანალიზიდან ჩანს, მიხეილ ჯავახიშვილი მართლაც იყო მოკვდავი, მაგრამ იგი ამასთანავე იყო ბოლშევიკური ტოტალიტარიზმის მიმართ შეურიგებელი, სამშობლოს ინტერესებით მოაზროვნე, მებრძოლი მწერალი, ქართველი პატრიოტული ინტელიგენციის ერთ-ერთი ლიდერი, მათი თვალსაჩინო წარმომადგენელი, რეჟიმისა და ბერიას მიერ დახვრეტილ მწერლებს შორის ყველაზე პოპულარული მწერალი და დიდებული მამულიშვილი. ბერიამ სწორედ ამიტომ განახორციელა მის მიმართ ჩეკისტური დარტყმა განსაკუთრებული სიმწვავით.

ეს წიგნი ჩემი რწმენით არის მ.ჯავახიშვილის ეპოქის, ამდროინდელი რეჟიმის მსხვერპლთა და პირადად დიდი მწერლის ცხოვრებისეული პერიპეტიების ხანგრძლივი კვლევით მოპოებული, ჩემი პროფესიული მიგნებებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი. მის

აზრთა ზოგი ადგილების ნაწილობრივად, თეზისურად გამოქვეყნების გამო მოწინააღმდეგეთაგან არაერთხელ განვიცადე გაუგებრობის გამოვლინება, წერილობითი თავდასხმა და შეურაცხყოფა. გასაგებია, რომ ეს არის არა მხოლოდ მეცნიერული ინტრიგის გამოვლინება. მაგრამ მათი საწინააღმდეგო, ისტორიის ჯიუტი ფაქტების მრავლად არსებობის გამო, რეჟიმის მიმართ დაუმორჩილებელი დიდი მწერლისა და საუკეთესო მამულიშვილის მიზნობრივ გაყალბებასა და ჩემს დაუმსახურებელ დამცირებას ვერ შევურიგდი. ამით მკითხველსა და შთამომავლობას იმის კიდევ ერთი შესაძლებლობა შევუქმენი, რომ კარგად გაიგოს, მ.ჯავახიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობისა და 1937 წლის პერიპეტიების შეფასების საკითხში, მ.ხომერიკის მიერ ჩემს მიმართ გამოთქმული ტერმონოლოგია რომ ვიხმარო, სინამდვილეში ვინ არის „თაღლითი“ „აბდაუბდას მთქმელი“ და „პროვოკატორი“. მ.ჯავახიშვილის და სხვა რეპრესირებულთა ადამინაური ბედით დაინტერესებულ მკითხველს სწორედ ამიტომ შევთავაზე ჩემი მძიმე და შრომატევადი სამეცნიერო საარქივო კვლევის საფუძველზე მოპოებული წყაროები, ფაქტოლოგია, მათ ანალიზზე დამყარებული სწორი ინტერპრეტაციები, შესაბამისი მაგალითები, დასკვნები და ალტერნატიული კონცეფცია. ვფიქრობ, რომ ეს წიგნი სიკეთით წაადგება არა მარტო დიდი ტერორის დროს რეპრესირებულთა, მათ შორის მ.ჯავახიშვილისა და თანამოაზრეთა ბედის შემდგომ გაღრმავებულ შესწავლა-გაშუქებას, არამედ მეცნიერების პოლიტიკური და სუბიექტური მიზანდასახულობით გამოყენების ამბიციებით შეპყრობილებსაც.

მაშასადამე, წინამდებარე წიგნის დაწერით, ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში გავისარჯე და ჩემი მეცნიერული ვალი მოვიხადე. მაგრამ გამოცდილება სულაც არ მაძლევს იმის გარანტიებს, რომ მ.ხომეიკი და მისი დამქაშები ობიექტურად მოეკიდებიან მათი „ღვაწლის“ შესაბამისად გამოქვეყნებულ ჩემს საპასუხო ნაშრომსა და მასში გამოვლენილ ჩემს ჩაგონებას. ისინი აუცილებლად შეეცდებიან ჩემი მეცნიერული მიგნებების, არგუმენტებისა და კონცეფციის, თავიანთი ნაცადი, ფუტურო მსჯელობითა და ინტერპრეტაციებით იგნორირებას, აქეთაც

შემომედავებიან. ამიტომ ყველაზე სანდო მედიატორის როლის შესრულება, მაინც ფართო მკითხველ საზოგადოებას ეკისრება. ამდენად, თუ დაინტერესებულ მკითხველთაგან ვინმეს ჩემი ამ ნარკვევ-ნაშრომის გამო გაუგებრობა შეგექმნებათ, ან ჩემი ნააზრევის მტკიცებულებათა „გამაბათილებელი“ მოწინააღმდეგეთა არგუმენტი მოგეწონებათ, ან საკუთარი საწინააღმდეგო მოსაზრებები გაგიჩნდებათ, დამიკავშირდით, მზად ვარ, სათანადო განმარტებებიც მოგაწოდოთ და ჩემი შეცდომებისთვის პასუხიც ვაგო. ხოლო, თუ ჩემს გამამტყუნებლად არსებითი მნიშვნელობის ვერაფერი გამოძებნოთ, მაშინ მ.ხომერიკს და მის დამქაშებს, დიდი მწერლის, სახელმწიფოებრივ-ჩეკისტური ტერორით რეპრესირებულთა და სამშობლოს საუკეთესო მამულიშვილის მიმართ გამოთქმული მიზნობრივად ყალბი, დამამცირებელი და კონიუნქტურული „მტკიცებულებების“ გამო, იქნებ თქვენი მოკრძალებული აზრი მაინც მიაწოდოთ. პირადად ჩემი მხრივ კი, მ.ხომერიკსა და მის დამქაშებს ვუცხადებ: რასაც დასთესავთ, კვლავაც იმასვე მოიმკით!..

ჩემის საკონტაქტო ტელეფონია: 577 90 00 32

P.S. დანართი - Vivat Propessore!

როგორც წინამდებარე წიგნის წინათქმაში ავღნიშნე, მისი გასრულების შემდეგ იგი ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს, ქალბატონ დარეჯან თვალთვაძეს წარვუდგინე უნივერსიტეტის ეგიდით გამოქვეყნების რეკომენდაციის მოპოების მიზნით. ამ დროს გავითვალისწინე ის რომ მოხერხდებოდა ამ ნაშრომის სტამბურად გამოცემა 2015 წლის ნოემბრისათვის, როდესაც სრულდებოდა დიდი მწერლისა და საუკეთესო მამულიშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის დაბადების 135-ე წლისთავი ამასთანავე ქალბატონი დეკანი უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულებით გამოსაქვეყნებლად წარმდგენი ნაშრომების ავტორებისადმი მინიჭებული უფლებით, საგანგებოდ გავაფრთხილე, რომ ჩემი წიგნი სარეცენზიოდ არ გადაეცა ჩემს მიერ 2003 წელს ი.ჯავახიშვილის პრემიის მოსაპოებელ კონკურსის დროს გამოყოფილი არაობიექტური მეორადი ექსპერტის წევრების, პროფესორების დ.შველიძის, ნ.ჯავახიშვილისა და ბ.კუპატაძისათვის. ჩემი ეს გაფრთხილება გამოწვეული იყო იმით, რომ, ჯერ ერთი, წინასწარ ეჭვი მეპარებოდა მათ ობიექტურობაში, ხოლო მეორე მხრივ ვისარგებლე უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე გამოქვეყნებული დებულებით, რომლითაც უფლება მეძლეოდა სურვილის შემთხვევაში აცილება მიმეცა თუნდაც 5 პიროვნებისათვის.

როგორ განვითარდა ჩემი წინამდებარე ნაშრომის რეცენზირების ისტორია, ამას გვაცნობს შესაბამისი დოკუმენტაცია და მასში ასახული, ჩემი აზრით, რეცენზენტების მიერ განხორციელებული მათი არასაპატიო და დებულების დარღვევით განხორციელებული, გაუმართლებელი კომბინაცია:



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს
პროფესორ დარეჯან თვალთვაძეს
ამავე ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის
მიხეილ ბახტაძის

განცხადება

ქალბატონო დარეჯან, მე სარეცენზიოდ გადმომეცა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის გ.ციციშვილის ნაშრომი - „სიმართლე 1937 წლის დიდი ტერორის ბედის მწერალთა და მიხეილ ჯავახიშვილის შემფასებელ-დამფასებელთა შესახებ". გავეცანი ნაშრომს, რომელიც საინტერესოა და მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ მოგვითხრობს. აღსანიშნავია, რომ ავტორი იყენებს დიდ წყაროთმცოდნეობით ბაზას, აანალიზებს მას და აკეთებს საკუთარ დასკვნებს. მკვლევარი კარგად იცნობს იმ საკითხებს, რომლებსაც განიხილავს.

მიუხედავად ყოველივე ამისა მე უარს ვამბობ გადმოცემული ნაშრომის რეცენზირებაზე. ორი უმთავრესი მიზეზის გამო: პირველი - ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი მიზანმიმართულად ეძღვნება ოპონენტების კრიტიკას. სამეცნიერო ნაშრომისთვის ჩვეულებრივი რამაა სხვადასხვა მოსაზრებების განხილვა და კრიტიკა. თუმცა ამ შემთხვევაში, ჩვენ ასეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ ამ კრიტიკაში მნიშვნელოვნადაა ჩართული პიროვნული მომენტებიც და ამას არაფერი აქვს საერთო სამეცნიერო პაექრობასთან (მაგ. მოტანილია: ავტორისა და ოპონენტის დავის განმხილველი სასამართლო პროცესის მიმდინარეობის აღმწერი ფრაგმენტები, პრივატული საუბრების შინაარსები, თავის დროზე ისტორიის ფაკულტეტის საბჭოზე მიმიდინა დისკუსიის ფრაგმენტები და სხვ. რაც სამეცნიერო ნაშრომისთვის სრულიად ზედმეტია). პირადად ჩვენთვის ეს მიუღებელია; მეორე - ნაშრომის ობიექტური და სრული რეცენზირება (ნაწილობრივ პირველი მიზეზის გათვალისწინებითაც), მოითხოვს საკვლევი საკითხის ძალიან ღრმა და დეტალურ ცოდნას, რითაც მე ვერ დავიკვეხნი. აქედან გამომდინარე ჩემი რეცენზია ვერ იქნება სათანადოდ სიღრმისეული და ყოვლისმომცველი.

გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩემი არგუმენტები და ნაშრომი სარეცენზიოდ გადასცეთ ამ საკითხში უფრო კარგად გარკვეულ პიროვნებას.

პატივისცემით /მ.ბახტაძე/

(მართლაც შემაშფოთებელია. ეს ნაშრომი უნივერსიტეტის ისტორიკოსმა პროფესორმა რომ არ შეაფასა და არაკომპეტენტურობის მოტივით, რომ აიცილა, რიგითმა მკითხველმა როგორღა უნდა გაიგოს? მაგრამ სინამდვილეში საქმის ნამდვილი ვითარება სხვანაირია. სინამდვილეში ბატონი მიხეილი გაერიდა მავანთა კრიტიკის მხარდაჭერას... მაგრამ ამასთანავე უნდა

აღინიშნოს, რომ იგი არ მოერიდა გაცნობილი ნაშრომის ზოგ ღირსებათა წარმოჩენას და წერს: „გავეცანი ნაშრომს, რომელიც საინტერესოა და მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ მოგვითხრობს, აღსანიშნავია, რომ ავტორი იყენებს დიდ წყაროთმცოდნეობით ბაზას. აანალიზებს მას და აკეთებს საკუთარ დასკვნას. მკვლევარი კარგად იცნობს იმ საკითხებს, რომლებსაც განიხილავს“ – გ.ც.).



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,
ქალბატონ დარეჯან თვალთვაძეს

ამავე ფაკულტეტის დეკანის მოადგილის,
საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო
ინსტიტუტის ხელმძღვანელის,
პროფ. თედო დუნდუას

სამსახურებრივი ბარათი

მოგახსენებთ, რომ 2015 წლის 28 თებერვალს განსახილველად გადმომეცა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, გიორგი ციციშვილის, ნაშრომი: „სიმართლე 1937 წლის დიდი ტერორის ბედის მწერალთა და მიხეილ ჯავახიშვილის შემფასებელ-დამფასებელთა შესახებ“. აღნიშნული ნაშრომი სარეცენზიოდ გადავეცი თსუ ასოცირებულ პროფესორს, ბონდო კუპატაძეს, რომელმაც წარმოადგინა რეცენზია (იხ. დანართი)

პროფ. თედო დუნდუა

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე
საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო
ინსტიტუტის ხელმძღვანელი
24.03.2015

(ამ შემთხვევაში შექმნილია გაუგებრობა: პროფ. მ.ბახტაძის აცილების შესახებ განცხადება გადაეცა ფაკულტეტის დეკანს, ხოლო სარეცენზიო ნაშრომი რატომღაც გადაეცა დეკანის მოადგილე პროფ. თ.დონდუას, რომელმაც იგი გადასცა ჩემს მიერ აცილებულ პროფ. ბ.კუპატაძეს. ეს უკვე აღმაშფოთებელია.

ბ.კუპატაძეს ჩემს მიერ წარდგენილ სარეცენზიო ნაშრომის თემაზე არავითარი ღირებული, დამოუკიდებელი პუბლიკაცია არ გააჩნია, გარდა ჩემს მიერ ადრე და ახლაც გაკრიტიკებული მისი და მეორადი „ექსპერტების კოლექტიური რეცენზიისა“, რომელშიც შეტანილი აქვთ მისი დამოუკიდებელი აზრი, თითქოს კომპრომისი მხოლოდ კომფორმიზმია და ასევე მცდარი აზრებით აღსავსე მათი ერთობლივი, გაზეთ 24 საათში გამოქვეყნებული წერილისა, რომლიდანაც კარგად ჩანს, რომ ექსპერტები ისტორიის სიმართლეებს მიზნობრივად აფუჩეჩებენ და გვერდს უვლიან. ახლა კი, ნაცვლად იმისა, რომ ბ.კუპატაძეს დებულება დაეცვა, ძველებური ტენდენციურობა გაიმეორა და ისევ მცდარი რეცენზია მოახლაფორთა. ამის გამო, მისი რეცენზია გავაპროტესტე, დეკანის და მისი მოადგილის წინაშე დავსვი კითხვა: როგორ და რატომ მოხდა, რომ ჩემი ნაშრომი გადაეცა ჩემს მიერ აცილებულ პიროვნებას? ამაზე პროფ. თ.დონდუამ განმიცხადა: „მე ვისაც მინდა იმას გადავცემ!“ მაშასადამე ჩემს მიმართ, რექტორის მიერ დამტკიცებული დებულებით მონიჭებულ უფლებასა და დეკანისათვის შეთავაზებულ თხოვნას აზრი არ ჰქონია. ამის გამო არ შეიძლება არ აღმოცენდეს ლოგიკური კითხვა: რისთვის და ვისთვის დაიწერა რექტორის 1914 წლის 5 მარტის ბრძანება №43/01-01?! ამ კითხვის პასუხი ჯერაც არ მიმიღია.

რეცენზია გიორგი ციციშვილის ნაშრომზე „სიმართლე 1937 წლის დიდი ტერორის ბედის მწერალთა და მიხეილ ჯავახიშვილის შემფასებელ-დამფასებელთა შესახებ“.

სარეცენზიოდ წარმოდგენილი ნაშრომი არ არის არც მონოგრაფია, არც სახელმძღვანელო. იგი წარმოადგენს საპოლემიკო ტიპის პუბლიცისტურ ნაწარმოებს. მასში ავტორის მიერ გადმოცემული შეხედულებები, ფაქტები და მოვლენები ძირითადად გასულ წლებში სხვადასხვა პუბლიკაციებშია ასახული. წიგნის მთავარ ღერძს წარმოადგენს მ. ხომერიკის კრიტიკა. ამასთან ეს კრიტიკა ხშირად სცდება სამეცნიერო ეთიკის ფარგლებს და პიროვნული ანგარიშსწორების სახეს იღებს.

წიგნში არ არის წარმოდგენილი სამეცნიერო მონოგრაფიისთვის სავალდებულო აკადემიური ნორმები: ინდექსი, გამოყენებული ლიტერატურის სია, არ არის დაცული სქოლიერების ერთიანი წესი.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ სარეცენზიო მასალა შინაარსობლივად საინტერესოა, მას არ გააჩნია სამეცნიერო პუბლიკაციის სახე და ძირითადად მრავალწლიანი დავის (რომელსაც სამეცნიეროზე მეტად პიროვნული ხასიათი აქვს) შეჯამების მცდელობაა. ამ თვალსაზრისით ის ნაკლებმნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო სამეცნიერო საზოგადოებისათვის. მიმაჩნია, რომ მსგავსი ტიპის პუბლიკაციისთვის თსუ საგამომცემლო გრიფის მინიჭება არამართებულია.

სად წერია?

თსუ ასოცირებული პროფესორი,
ისტორიის დოქტორი: ბ. კუპატაძე ბონდო კუპატაძე

(ნათლად ჩანს, რომ პროფ. ბ.კუპატაძეს სარეცენზიო ნაშრომში ღირებული ვერაფერი დაუნახავს გარდა იმისა, რომ, როგორც თვითონ წერს „სარეცენზიო მასალა შინაარსობრივად საინტერესოა“. არა და, წინამდებარე წიგნი და მისი თითოეული თავი შეიცავს მეცნიერული ღირებულების მქონე მიგნებებსა და სიახლეებს.

დავუშვათ, რომ ეს მართლა არის პროფესორ ბ.კუპატაძის მიერ ჩემი 500 გვერდიანი დოკუმენტურ-ანალიტიკური ნაშრომის ობიექტური რეცენზია. ამ შემთხვევაშიც კი, სათანადო

საუნივერსიტეტო დებულებით (იხ: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის „05.03“ №43/01-01 ბრძანების დანართი, №1 მუხლი 3, პუნქტი „ე“) უფლება მეძლეოდა ბ.კუპატაძისათვის აცილება მიმეცა, რაც გათვალისწინებული არ იქნა. ამავე დებულებით, ჯერ ერთი „არასასურველია“ სარეცენზიო ნაშრომის რეცენზენტად ავტორის მიერ აცილებულად დასახელებულის გამოყოფა. მეორე, დებულებით უნივერსიტეტის მიერ გამოქვეყნებას ექვემდებარება საინტერესო წიგნებიც, რომლებიც არც მონოგრაფიაა და არც სახელმძღვანელოა (მუხლი 4); მესამე, დებულება მოითხოვს ორი რეცენზენტის გამოყოფას. აგრეთვე მათი დასკვნების შემდგომ მოსმენასა და განხილვას დარგობლივი სარედაქციო კოლეგიის მიერ (დანართი №2, მუხლი 3, პ.1), მეოთხე, შეუძლებელია ცნობილის გარეშე უცნობის გაშუქება, მითუმეტეს, რომ ეს ნაწილობრივად ცნობილი, ძირითადად ჩემს ადრინდელ პუბლიკაციებში გაშუქდა; მეხუთე, ჩემი ნაშრომი მართლაც პოლემიკურია, მაგრამ იგი არის არა მხოლოდ „პიროვნული“. მხოლოდ პიროვნული კი, გვხვდება ბერიას მიერ მიზნობრივად მოსპობილი მ.ჯავახიშვილის მიმართ შეთითხნილი მ.ხომერიკის პასკვილური აზრების შემცველი პუბლიკაციებისა და მეორადი ექსპერტების ე.წ. „რეცენზიის“ სახით, რომელიც დაიწერა მ.ხომერიკის შანტაჟით დამფრთხალთა, მათ შორის ბ.კუპატაძის მხარდაჭერით და მ.ხომერიკის პასკვილის მეცნიერულ გამოკვლევად გამომცხადებელთა მიერ. მეექვსე, ჩემს მიერ შემოთავაზებული გამოკვლევა იმ უამრავ ისტორიოგრაფიულ მიგნებებს შეიცავს და იმდენ სიყალბეს აბათილებს, რომელიც „პიროვნული“ კრიტიკის გარეშე ვერ მოხერხდებოდა და ვერც წარმოჩნდებოდა; ამასთანავე, კრიტიკა ყოველთვის პიროვნულია, ანუ კონკრეტული პიროვნების მიმართ არის გამოთქმული. სხვა შემთხვევაში არ არსებობს არც პოლემიკა და არც კრიტიკა. და ბოლოს, ნებისმიერმა რეცენზენტმა და ავტორმა იცის, რომ პოლემიკის გარეშე ახალი აზრები ვერ განვითარდება, ხოლო უნაკლო წიგნი, ჯერ-ჯერობით არავის გამოუქვეყნებია. ამასთანავე რეცენზენტები იმისთვის კი არ არასებობენ, რომ რეცენზირებული წიგნის ავტორს ჩაუსაფრდნენ, არამედ იმისთვის, რომ ავტორისეული სიმართლე გაარკვიონ. ხოლო

გამომცემლობები იმისთვისაც არსებობენ, რომ ავტორებს თავიანთი კომპეტენციის შესაბამისად დაეხმარონ და ავტორთა ხარვეზები მაქსიმალურად შეამცირონ. „ბ.კუპატაძის რეცენზიიდან კი კარგად ჩანს, რომ ავტორი ზემოთ მითითებულ სიმართლეს მიზნობრივად უგულვებელყოფს – გ.ც.).

ო ქ მ ი № 3

2015 წლის 4 მაისს შედგა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების დარგობრივი სარედაქციო კოლეგიის სხდომა. ესწრებოდნენ კოლეგიის წევრები: ჯ. შარაშენიძე, თ. პაპასქირი, ა. ბოშიშვილი, ი. ხუბაშვილი, მ. კალანდაძე.

დღის წესრიგი: გიორგი ციციშვილის ნაშრომზე "სიმართლე 1937 წლის დიდი ტერორის ბედის მწერალთა და მიხეილ ჯავახიშვილის შემფასებელ-დამფასებელთა შესახებ" პროფ. ბონდო კუპატაძის მიერ წარმოდგენილი წინასწარი დასკვნის განხილვა.

მოისმინეს: გიორგი ციციშვილის ნაშრომზე "სიმართლე 1937 წლის დიდი ტერორის ბედის მწერალთა და მიხეილ ჯავახიშვილის შემფასებელ-დამფასებელთა შესახებ" პროფ. ბონდო კუპატაძის მიერ წარმოდგენილი წინასწარი დასკვნა (დასკვნა თან ახლავს წინამდებარე ოქმს).

კოლეგია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს აღნიშნული დასკვნის ბოლო აბზაცში გამოთქმულ მოსაზრებას: "მიუხედავად იმისა, რომ სარეცენზიო მასალა შინაარსობრივად საინტერესოა, მას არ გააჩნია სამეცნიერო პუბლიკაციის სახე და ძირითადად მრავალწლიანი დავის (რომელსაც სამეცნიერზე მეტად პიროვნული ხასიათი აქვს) შეჯამების მცდელობაა. ამ თვალსაზრისით ის ნაკლებმნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო სამეცნიერო საზოგადოებისათვის. მიმაჩნია, რომ მსგავსი ტიპის პუბლიკაციისათვის თსუ საგამომცემლო გრიფის მინიჭება არამართებულია".

აზრი გამოთქვეს: ა. ბოშიშვილმა და თ. პაპასქირმა. მათ აღნიშნეს: დასკვნაში გამოთქმული მოსაზრებიდან ჩანს, რომ განხილულ ნაშრომს რეცენზენტი არ აძლევს რეკომენდაციას თსუ გამომცემლობაში მისი გამოქვეყნებისათვის.

დაადგინეს: გიორგი ციციშვილის ნაშრომს "სიმართლე 1937 წლის დიდი ტერორის ბედის მწერალთა და მიხეილ ჯავახიშვილის შემფასებელ-დამფასებელთა შესახებ" აღარ მიეცეს შემდგომი მსვლელობა. იგი დაუბრუნდეს ავტორს.

დარგობრივი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე თსუ ემერიტუს
პროფესორი ჯ. შარაშენიძე

(დებულების მიხედვით, დასახელებული დარგობრივი სარედაქციო კოლეგიას ევალება სხდომაზე „განიხილოს გამოსაცემად მომზადებული მასალა“ (დანართი №1, პუნქტი 11). ასეთი სხდომა როგორც გაირკვა არ შემდგარა. უარყოფითი გადაწყვეტილება მიღებული იქნა უნივერსიტეტის დერეფანში და ურთიერთ შეთანხმებების წესით. შესაბამისად არც წარდგენილი წინასწარი დასკვნა მოსმენილა და არც გონიერი აზრი გამოთქმულა. შესაბამისად ჩემს მიერ წარდგენილი „საინტერესო ნაშრომს“ (პროფ.: მ.ბახტაძე, ბ.კუპატძე) უარყოფითი შეფასება მიეცა და უკან დამიბრუნდა. ჩემი აზრით, რექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულების მიმართ ასეთი უპასუხისმგებლობა არის ჩემი წიგნით განაწყენებულთაგან გამოვლენილი კლანურის მსგავსი დამოკიდებულების შედეგი. ისე მოხდა, რომ:

1. მე მტყუანად გამომიყვანეს...

2. ჩემი ოპონენტების ტენდენციურობამ კი, მოსალოდნელია, რომ ხელი შეუწყოს მ.ხომერიკის ყალბი აზრების შემდგომ დომინირებასა და მის შემდგომ, უნივერსიტეტის ზემოხსენებული რეცენზენტ-კოლეგების ყალბი აზრის შესაბამისად გამოქვეყნებას.

3. წარსულში ისე მოხდა, რომ მათი წყალობით, მ.ხომერიკის შემდგომი პუბლიკაციები ისევ დიდი ტერორის დროინდელი ჩეკისტური ძიების საიდუმლოებათა აუხსნილობითა და მ.ჯავახიშვილის ჩეკისტური გაგებით გამოქვეყნდა. ამის გამო ისე მოხდა, რომ ზოგ მკითხველს გაუჩნდა მ.ხომერიკის მიერ თავსმოხვეული შესაბამისი რწმენა: „მ.ჯავახიშვილი დიდი მწერალი იყო“, მაგრამ ზოგ სხვა მწერალივით, თანამოაზრე-მეგობრების დამსმენიც იყო და ჩეკას აგენტი - „არსენაცო“... (ეს აზრი ახლა ხანს მომაწოდა ერთმა შემთხვევით გაცნობილმა პიროვნებამ, რომელმაც მ.ხომერიკის წიგნებით შექმნილი თავისი მცდარი აზრი მაშინ გამიზიარა, როცა მან არც კი იცოდა, ვინ ვიყავი). სადღეისოდ, მანანას მიერ დაკვალიანებული, ასეთი მცდარად გამგებნი, ერთეულები არ არიან და ამიტომ არის, რომ 1937 წლის დიდი ტერორის არსი და მიხეილ ჯავახიშვილის ღვაწლი ზოგისთვის დღესაც გაუგებარია, მის მწერლურ შემოქმედებას ზოგი თანამედროვე ახალგაზრდა არც ეწაფება, ერიდება და მიუხედავად

მისი დიდი დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობისა, არც იცნობს. ამით ხომ ღარიბდება ახალგაზრდობაზე ჩვენი 1920-30-იანი წლების სანიმუშო მწერლობის მემკვიდრეობითი გავლენა?! დღესაც ხშირად ქვეყნდება სტალინის და ბერიას მაქებართა წერილები, რომლებშიც გვერდი აქვს ავლილი მათი ინიციატივით განხორციელებულ იმ ღონისძიებებს, რომლებმაც მრავალი ღირსეული პიროვნება, მათ შორის მ.ჯავახიშვილი შეიწირა და ამით ჩვენი ეროვნული პოტენციალი მნიშვნელოვნად დააზარალა და დაასუსტა. ამასაც ხომ უცილოდ სჭირდება საწინააღმდეგო, რეალური ისტორიის გაშუქება. განა ისე უნდა გაგრძელდეს, რომ ამ სავალალო ისტორიას გვერდი ავუაროთ?! არა და, სწორედ ასეთი გვერდის ავლით ჩაატარა მ.ჯავახიშვილის 135-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა მწერალთა კავშირმა 2015 წლის ნოემბერში.

4. მე შევეცადე არსებული ხარვეზის სრული სიმართლით წარმოჩენის გზით აღმოფხვრას. ამის გამო მიპირისპირდება ყველა ის, ვისაც არ უნდა თავისი ძველი ცოდვების აღიარება. უნივერსიტეტის დასახელებული ისტორიკოსები, ჩემს წინამდებარე ნაშრომს უნივერსიტეტის ეგიდით გამოქვეყნების ღირსად არ ცნობენ, სპონსორი ჩემს მოწინააღმდეგეებს ერიდება და ამდენად ამ პრობლემის სტამბური წესით გამოქვეყნება არა მარტო რთულდება, არამედ ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება. ამიტომ ისღა დამრჩენია, რომ ჩემი ეს საჭირო, მრავალი წლის მანძილზე მძიმე შრომით დაწერილი წიგნი უნივერსიტეტის არქივს გადავცე. მაგრამ ამ შემთხვევაშიც გამოჩნდება მავანთა მსგავსი ისტორიკოსი, რომელიც ჩემს ნაშრომს თავისებურად გადააკეთებს და ისე წარმოაჩენს თითქოს მან იშრომა და მანვე გადაჭრა პრობლემა... საკუთარი დამსახურების იმიტაციისათვის ალბათ ზოგ საკითხში კიდეც გამაკრიტიკებს. ზოგჯერ ასე ხდება და ალბათ ახლო მომავალშიც ასე მოხდება.

ყოველივე ზემოთ წარმოჩენილის გამო დეკანს ა.წ. 8 მაისს საპროტესტო წერილი მივართვი და მოვითხოვე ჩემი ეს ნაშრომი სარეცენზიოდ გადასცემოდა ნეიტრალურ სამეცნიერო დაწესებულებას, მაგრამ პასუხი დღემდე რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ჩემი აზრით, რექტორის ზემოთ ციტირებული

ბრძანება იმისთვის დაიწერა, რომ ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში გამოვლენილი კლანურის მსგავსი ურთიერთ თავდებობა აღარ ხდებოდეს. როგორც ჩანს, ზოგი ჩინოვნიკისთვის ეს მოთხოვნა ღობის ჩხირია.

შემდგომი კომენტარები და დასკვნები, ჩემს მიერ შემოთავაზებული ხენლაწერი წიგნის მკითხველისთვის მიმინდვია – გ.ც.).

გ.ციციშვილი, თსუ 2015 წლის 1 სექტემბერი.

სარჩევი

წინათქმა
---------- 3

თავი I. მიხეილ ჯავახიშვილის ჩეკას დამსმენად და აგენტ-„არსენად", ხოლო სიმართლის მთქმელ მკვლევართა, დიდი მწერლის მიმართ დათვური სამსახურის... გამწევად გამყალბებელთა შესახებ
---------- 21

თავი II. საქართველოში დიდი ტერორის თავისებურებების, ჩეკისტური ძიების მიზანდასახულობისა და აღიარება-ჩვენებების მოპოების მეთოდიკის შესახებ
---------- 96

თავი III. დიდი პოლიტიკური ტერორის ახალი, ეტაპის დასაწყისი. პაოლო იაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის და სხვათა ჩეკისტურ-კოლეგიალური ბედისწერა
---------- 153

თავი IV. ბერიას მიერ შერისხული და მწერალთა სხდომის დროს ეჭვებითა და ბრალეულობებით დამძიმებული მწერლების შემდგომი ბედის შესახებ
---------- 200

თავი V. მიხეილ ჯავახიშვილის დაპატიმრება და დამორჩილება, „უნიკალური წყაროების" სწორი ანალიზის შუქზე
---------- 240

§1. მ.ჯავახიშვილი ჩეკას სამძებროს ხაფანგში.
---------- 240

§2. მიხეილ ჯავახიშვილი 19 აგვისტოს დაკითხვა დაპირისპირების, შემდგომი დაკითხვის და 21 აგვისტოს ფუტლიარის ფონზე
---------- 252

§3. მიხეილ ჯავახიშვილისგან იურიდიული ძალის მქონე 1937 წლის 21 აგვისტოს აღიარება-ჩვენებათა ჩეკისტური გამოძალვა ბერიას მიერ.
---------- 274

თავი VI. მიხეილ ჯავახიშვილი მისთვის ჩეკას ძიების მიერ დაბრალებული აბსურდების და მის ხელნაწერ განცხადება-ჩვენებაში ჩადებული ანომალიური „აღიარებების“ და აბსურდების შუქზე
---------- 293

თავი VII. მიხეილ ჯავახიშვილი, მის შესახებ ჩეკისტურად შეთითხნილი 19 სექტემბრის „საბრალდებო დასკვნისა“ და „დადგენილების“, აგრეთვე 30 სექტემბრის „განაჩენის“ შუქზე
---------- 345

თავი VIII. მ.ხომერიკის მიერ მ.ჯავახიშვილის გაყალბების დროს, შალვა რადიანის, გერონტი ქიქოძის, სხვათა და მათ შორის თვით ბერიას გაყალბების შესახებ
---------- 367

თავი IX. დამატებითი სიმართლე მიხეილ ჯავახიშვილის პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის და ზოგ სხვათა შესახებ
---------- 380

თავი X. ქართველი თვალსაჩინო სამხედრო სპეციალისტების, პოლკოვნიკ, ლ.გარსიაშვილისა და სახკომსაბჭოს მუშაკის ბეგლარ ფაღავს ჩეკისტური ბედის მ.ხომერიკისეული ახსნის გამო
---------- 415

თავი XI. ჩემი მიგნებები ბერიას მიერ 1937 წელს დახვრეტილებისა და მათი საფლავების ადგილმდებარეობის შესახებ
---------- 429

თავი XII. მიხეილ ჯავახიშვილის სარეაბილიტაციო პროცესი და რეაბილიტაცია

---------- 446

ბოლოთქმა

---------- 487

დანართი

---------- 495

წიგნის გასრულება და ელექტროვერსიის მომზადება მომიხერხდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევარის ხელფასით.

* * *

ავტორი წინამდებარე ნაშრომზე მუშაობის დროს დახმარებისათვის მადლობას ვუხდი: პოეტი აკად. გ.ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივების; საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივისა და ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიის არქივის ხელმძღვანელობას.

* * *

ნაშრომის დასრულების ეტაპზე გამოთქმული საქმიანი წინადადებებისა და გასათვალისწინებელი შენიშვნებისათვის, ავტორი მადლობას გამოთქვამს მეცნიერ რედაქტორის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დავით სანდოძისა და მეცნიერ რეცენზენტის – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ რუსუდან ბურჯანაძის მიმართ.